

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ნიკო გერკენიშვილის ინსტიტუტი

შრომები XI



გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2015

**BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

TRANSACTIONS XI

Publishing House
„Batumi Shota Rustaveli State University”
Batumi – 2015

**БАТУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ
УНИВЕРСИТЕТ ШОТА РУСТАВЕЛИ
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ**

ТРУДЫ ХІ

Издательство
«Батумский Государственный университет Шота Руставели»
Батуми – 2015

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების XI ტომში მკითხველი გაცნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხიმშიაშვილთა ღვაწლს და ამ საგვარეულოთა ოჯახებიდან გამოსული სახელოვანი ქართველი ქალების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. წიგნში დახასიათებულია აჭარა-მაჭახლის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება პირველი მსოფლიო ომის წლებში, ბათუმის ოლქის ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობის საკითხები, გაშუქებულია აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, ლინგვისტიკის, განათლების და კულტურის, სოციოლოგიური კვლევის სხვადასხვა ასპექტი.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის.

სარედაქციო კოლეგია:

ნარგიზ ახვლედიანი, ბიჭიკო დიასამიძე (რედაქტორის მოადგილე), **ჯემალ ვარშალომიძე, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე** (რედაქტორი), **თამილა ლომთათიძე, როინ მაღაყმაძე** (თავმჯდომარე), **უნა ოქროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე** (რედაქტორის მოადგილე), **ელზა ფუტკარაძე, ნაილა ჩელებაძე, მერაბ ხალვაში, ნანა ხახუტაიშვილი, ოლეგ ჯიბაშვილი.**

რეცენზენტები:

ჯემალ კარალიძე – ასოცირებული პროფესორი

თამაზ ფუტკარაძე – ასოცირებული პროფესორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ეთერი ხეცოიძე

*ტომი ეძღვნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დაარსების 80 და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვახტანგ შამილაძის დაბადების 80 წლისთავს.*

ს ა რ ჩ ე ვ ი

ისტორია

ბიჭიკო დიასამიძე – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისაგან მებრძოლნი	8
Bichiko Diasamidze - The Warriors for the freedom of South-west Georgia under the rule of Ottomans (Selim Khimshiashvili and his Descendants)	19
შუშანა ფუტკარაძე – სახელოვანი ქართველი ქალები ხიმშიაშვილთა ოჯახებიდან	20
Shushana Putkaradze - Omen from the Khimshiashvili Family	39
Шушана Путкарაძე - Знаменитые грузинские женщины из рода Химшиашвили	41
ნოდარ კახიძე – აჭარა-მაჭახელი პირველი მსოფლიო ომის წლებში	43
Nodar kakhidze - Ajara-Machakheli during the First World War	55
ლელა სარალიძე – ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და ბათუმის ოლქის საკითხი (1921–1922 წლები)	56
Lela Saralidze - Georgian political emigration and Batumi region (1921-1922)	67
არჩილ ჩაჩხიანი – ბრიტანულ-დენიკინური სამხედრო პოლიტიკური ალიანსის საკითხისათვის	68
Archil Chachkhiani - On the Military-Political Alliance between Britain and General Denikin	82
ოთარ თურმანიძე – ნიკო ბერძენიშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ	83
Otar Turmanidze - Niko Berdzenishvili about Russian-Georgian relations	96
ოლეგ ჯიბაშვილი – ნიკო ბერძენიშვილის „ისტორიულ-არქეოლოგიური“ ექსპედიცია ჯავახეთში და ქართულ-სომხური ურთიერთობები	97
Oleg Jibashvili - Niko Berdzenishvili's "Historical and Archeological Expedition" to Javakheti and Georgian-Armenian Relations	106
ოთარ გოგოლიშვილი – ახალი მასალები გურიის 1841 წლის გლეხთა აჯანყების შესახებ	107
Otar Gogolishvili - The peasants' rebellion if 1841 in Guria	113
ეთნოლოგია, ფოლკლორი	
ნოდარ კახიძე – საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შემსწავლელი 1935 წლის ექსპედიცია და საქართველოში და აჭარა მის მასალებში	114

ნაილა ჩელებაძე – მასალები ხინოს ხეობის ტოპოგრაფიული რუკისათვის (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)	126
Naila Chelebadze - Materials for the topographic map of Khino Gorge (according to the historic-ethnographic data)	141
თამილა ლომთათიძე, ქეთი ფუტკარაძე – მოზარდის საზოგადოებაში ინიციაციის ტრადიციები აჭარაში	142
Тамила Ломтатидзе, Кети Путкарадзе - Обряды инициации подростка в Аджарии	149
ნანული ნოღაიდელი – ქორწინებისა და ნათესაური სისტემის ეთნოლინგვისტური ასპექტები აჭარაში	150
Нанули Ногаидели - Этнолингвистические аспекты свадебных обрядов и системы родства в Аджарии	158
ნაილე მიქელაძე – წმინდა ადგილებთან დაკავშირებული თქმულებები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერებაში	159
Naile Mikeladze - The Legends Connected with Holy Places in the Folklore of South-Western Georgia	165
ფილოლოგია	
ციალა ნარაკიძე – ადამიანთა გვარსახელები ლაზურში	166
Narakidze Tsiala - Surnames in Laz Dialect	177
ელზა ფუტკარაძე – ალწერითი ვნებითის ფორმები თანამედროვე ქართულში	178
Elza Putkaradze - Describe passive voice in modern Georgian Language	186
ომარ მემიშიში – მოდალურ წინადადებათა კონსტრუქციები ლაზურში	187
Omar Memishishi - Modal Sentences Construction in Lazuri	191
ნარგიზ ახვლედიანი – რაჭული „ქვე“-სა და ზანური „ქოს“-ს ურთიერთმიმართებისათვის	192
Nargiz Akhvlediani - For the Interrelations of Rachvelian “qve-“and Zanian “qo-”	195
შოთა ზოიძე – ლტოლვილი ჩონგური	196
Шота Зоидзе - Изгнанная лира	200
განათლება	
ოთარ თურმანიძე – ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი 1935–1940 წლებში	201
Otar Turmanidze - Batumi Teacher's Institute (1935-1940)	215
ნანი გუგუნავა – განათლების ისტორიის საკითხები აჭარაში	216
Nani Gugunava - About the History of Education in Adjara	224

საგვარეულოთა ისტორია

- უჩა ოქროპირიძე** – „კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი
(ოქროპირიძეთა გვარის წარმოშობის ისტორიიდან) 225
- Ucha Okropiridze** - “Okropiridze’s having Kind Surname” –
from the history of Okropiridze’s 236

სოციოლოგია

- ნუგზარ ჩხაიძე** – სოციოლოგიური კვლევების სანდოობის ზოგიერთი
საკითხისათვის 237
- Нугзар Чхаидзе** - К некоторым вопросам достоверности социологических
исследований 245
- კონსტანტინე ღლონტი** – სოციალური აზრის განვითარების ზოგიერთი
ასპექტი 246
- К. Глонти** - Некоторые аспекты развития социальной мысли 256

არქეოლოგია, სფრაგისტიკა

- Irakli Iashvili (†)– Werner Seibt** - Byzantinische Siegel Aus Petra In Westgeorgien 257
- ირაკლი იაშვილი (†), ვერნერ საიბტი** – ბიზანტიური ბულები პეტრადან
დასავლეთ საქართველოში 264

ექსპედიცია

- როინ მაღაყმაძე** – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 2014 წლის
კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია ამიერტაოში 274
- ა. კახიძე, თ. შაღიკაძე** – ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ
კაპნისთავში 292

აჭარის მთის პრობლემა

- ბიჭიკო დიასამიძე, როინ მაღაყმაძე** – მთიანი აჭარის სოფელი
(პრობლემები და პერსპექტივები) 295

იუბილე

- მერაბ ხაღვაში, როინ მაღაყმაძე, ნოდარ კახიძე** – თვალსაჩინო მეცნიერი
და საზოგადო მოღვაწე (ვახტანგ შამილაძის დაბადების
80 წლისთავის გამო) 304

ბიჭიკო დიასამიძე

*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ისტ. მეცნ. დოქტორი*

**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან
განთავისუფლებისათვის მებრძოლნი
(სელიმ ხიმშიაშვილი და მისი შთამომავლები)**

2015 წლის 3 ივნისს 200 წელი შესრულდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის სახელოვანი წინამძღოლის – **სელიმ ხიმშიაშვილის** ტრაგიკული აღსასრულიდან.

ხიმშიაშვილების გვარს იმ პერიოდში მოუწია აჭარის მმართველობა, როცა მუსლიმან დამპყრობლებთან (ირანი, ოსმალეთი...) ბრძოლაში დაუძლეურებულმა საქართველომ თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა და ამ უკანასკნელმა, როგორც „მფარველმა“, საბოლოოდ გამოაჩინა თავისი ჭეშმარიტი მიზნები. აჭარის ხელისუფალთ, რომლებიც ამ დროს ოსმალებს ემორჩილებოდნენ, ორმაგი თამაში უწევდათ იმ მამულიშვილური ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის, რასაც „გამოხსნა-აღდგომა“ ვუწოდებთ და რომლის საბოლოო მიზანი ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ამოცანის განხორციელებაში ამ გვარის წარმომადგენლებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს.

ხიმშიაშვილთა გვარის წარსულის შესახებ დიდხანს არაფერი იყო ცნობილი და მისი პოლიტიკური აქტიურობის ისტორიას XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყებდნენ, როცა აბდულ ბეგ (აღა) ხიმშიაშვილი 1784 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში (გურია, აკეთი) მოკლეს. აბდულ ბეგის შესახებ დ. ბაქრაძე წერდა: „აჭარელ ხიმშიაშვილთა პირველი ცნობილი წინაპარი, როგორც ამტკიცებენ, უბრალო მწყემსი აბდულა ბეგი ყოფილა, რომელიც თავისი ენერგიულობით დაწინაურებულაო“ (ბაქრაძე, 1987:65).

ცნობილი ეთნოგრაფის თ.სახოკიას მიხედვით, რომელიც ზეპირგადმოცემებს ეყრდნობა, აჭარელი ხიმშიაშვილები არაგვისპირეთის (დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილთა მონათესავენი არიან. XVII საუკუნეში კაცი შემოკვდომიათ და აჭარისათვის შეუფარებიათ თავი. იმასაც ამბობდნენ, მისი თქმით, რომ ხიმშიაშვილები XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის წინააღმდეგ მებრძოლი ხიმშიას შთამომავლები არიან და გვარიც ამ პიროვნე-

ბიდან მომდინარეობსო. მაგრამ ახლა, როცა აღმოჩენილია XV საუკუნის წყარო „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერები, რომელთაგან ერთ-ერთში მოხსენიებულია დაყუდებული ვინმე მწერალი ხიმშიაშვილი, რომელიც ჩარიცხული ყოფილა ამ მონასტრის „მწირველთა თანა“, ცხადი ხდება, რომ ხიმშიაშვილები იმ დროის მესხეთის ადგილობრივი ფეოდალები ყოფილან, რადგან, როგორც პროფ. შ. ლომსაძე წერს, მონასტრის განგების თანახმად, ასეთი პირი „დიდად საპატიო და ნამსახური“ გვარისშვილი უნდა ყოფილიყო (ლომსაძე, 1993). ამ აზრს ამაგრებს 1917 წელს ე. თაყაიშვილის მიერ მოწეობილი ექსპედიციის დროს აღმოჩენილი XVI საუკუნის კარნავაზის წარწერაში მოხსენიებული დიდი ფეოდალის, მერაბ ხიმშიაშვილის შემორჩენილი სასახლე და არსენიაკი (ლომსაძე, 1993).

ასე რომ, ეჭვგარეშეა XV საუკუნიდან ხიმშიაშვილთა ფეოდალური სახლის არსებობა მესხეთში, რომლის წარმომადგენლები ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, იძულებული გახდნენ გადასახლებულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის, აჭარაშიც. აქ კი შესაძლებელია ლტოლვილი ხიმშიაშვილების იმ შთამომავლებმა მოიპოვეს აღიარება და ტიტულები, ვინაც მიიღო ოსმალთა ქვეშევრდომობა და მუსლიმანობა. ამათგან, როგორც ჩანს, პირველი აბდულ ბეგი ან მისი წინაპარი იყო. საინტერესოა მკვლევარ შოთა ლომსაძის დაკვირვება, რომ 1770 წლის ცნობილ ასპინძის ბრძოლაში ახალციხის საფაშოს მხარეზე აჭარის სანჯაყი არ მონაწილეობდა. „როგორც ჩანს, – ასკენის მკვლევარი, აჭარამ, ახალციხის ნომა ფაშას ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი უთხრა... რის გამოც 1774 წლის მაისში აფორიაქებულ აჭარაში თურქთა დამსჯელი კორპუსი შევიდა“ (ლომსაძე, 1993).

აშკარაა, რომ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართლ-კახეთის ტახტზე ერეკლე II ასვლის შემდეგ, როცა „გამოხსნა-აღდგომის“ ფართო გეგმა დაისახა ქვეყნის უპირველეს ამოცანად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნა იყო გათვალისწინებული, რადგან ეს მხარე „საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუს“, როგორც მაშინდელ პროექტებში იყო მითითებული. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, გასაგები ხდება 1770 წელს აჭარის მმართველთა პოზიცია და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს აქ ხელისუფალი აბდულ ბეგი უნდა ყოფილიყო.

1784 წლიდან, მამის დაღუპვის შემდეგ, აჭარის მმართველი გახდა სელიმ ხიმშიაშვილი, ამ გვარის ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნება, რომელმაც ოსმალეთის სამეფო კარის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურს, სამთუდიანი ფაშის ტიტულს მიაღწია, თუმცა არასდროს დაუწყებია თავისი მისია – ქვეყნის გამოხსნა და სიცოცხლედ ტრაგიკულად შემდეგი სიტყვებით დაუსრულებია: „თქვენ შეგიძლიათ ჩემი თავი ჩემს სხეულს მოაშოროთ, მაგრამ აჭარა მაინც გურჯისტანს დარჩება. ამას მე ჩემს შვილებს ანდერძად დავუტოვებ.“

მამის დაღუპვისას სელიმი ოცდაცხრა წლისა ყოფილა (დაბ. 1755 წ.), სტამბულში მიღებული უმაღლესი სამხედრო განათლებითა და მაიორის ჩინით (სურგულაძე, სურმანიძე, 2013: 132), კარგად სცოდნია ქართული, რაზეც მიუთითებს მის მიერ გაგზავნილი ქართულად დაწერილი წერილები რუსი ჩინოვნიკებისა და გურიის მთავრებისადმი (სურგულაძე, სურმანიძე, 2013: 132). ეს ის დროა, როცა ოსმალეთის იმპერია მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა, რასაც დაპყრობილი არათურქული პროვინციების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გააქტიურება მოჰყვა. გამონაკლისი არც „სამაჰმადიანო საქართველო“ იყო, სადაც, მართალია, ოსმალური ცხოვრების წესი იკიდებდა ფეხს, მაგრამ მათი ბატონობა აქ ნომინალურია და იმპერიის ცენტრალური რაიონებისაგან განსხვავებით, მმართველობა აქ მემკვიდრეობითი იყო. ამასთან, აქ ძალაუფლებას მთლიანად ხიმშიაშვილი ბეგები ფლობდნენ. მალე ახალციხის საფაშოში ტახტისათვის ჯერ ჯაყელთა საგვარეულოში დაიწყო ქიშობა, შემდეგ მასში სხვა ძალებიც აღმოჩნდნენ ჩაბმული, მათ შორის, სელიმ ხიმშიაშვილიც.

ეს კი 1791 წელს, ახალციხის ფაშის სულეიმან ჯაყელის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. 1803 წლამდე ახალციხის ფაშის ტახტი მცირე ხნით ეკავათ ჯაყელთა გვარის წარმომადგენლებს – ისაყს, შერიფს, იუსუფსა და საბუღს. ამ უკანასკნელს მხარს უჭერდა სელიმი, მაგრამ შერიფმა (სულეიმანის შვილი) იმერეთს შეხიზნული საბუღი მუხანათურად მოაკვლევინა, რამაც საბაბი მისცა სელიმ ხიმშიაშვილს თვითონ ებრძოლა ფაშის ტახტისათვის. 1801 წლის 21 ნოემბერს შერიფსა და ტახტისმადიებელ სელიმს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ციხე-ქალაქ ოლთისთან, სადაც სელიმმა გაიმარჯვა. თითქოს ფაშის ტახტი სელიმისთვის გარანტირებული იყო, მაგრამ სულთანმა ტახტზე რაჯაბი დასვა. როგორც ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლება სელიმს არ ენდობოდა და ახლა, როცა რუსეთმა ქართლ-კახეთში მეფობა გააუქმა და ახალციხის საფაშოს უშუალოდ დაუმეზობლდა, ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლებას იქ ფაშად მისთვის საიმედო პირი სურდა, მაგრამ ფაქტიურ მმართველად მაინც სელიმი იქცა და მალე რაჯაბი გადადგა კიდეც (ლომსაძე, 1975: 23).

სულთნის კარს ისღა დარჩენოდა, ეცნო მომხდარი ფაქტი. 1803 წლის 21 სექტემბერს „სელიმ ფაშას თულები და მუყარლამა მოუვიდა“ (ქრონიკები, 1979: 195). ასე, რომ სამცხე-საათაბაგოს მმართველობის ისტორიაში პირველად ჯაყელების გვარს ხიმშიაშვილთა გვარი ჩაენაცვლა. სელიმი ახალციხის საფაშოს ორჯერ ედგა სათავეში 1803-1809 და 1812-1815 წლებში. იგი ჯერ კიდევ ადრე, აჭარის სანჯაყ-ბეგობის დროს, ცდილობდა საქართველოს მეფე-მთავრებთან ურთიერთობის დამყარებას და კეთილმეზობლობის აღდგენას. ამ მიზნით დაუმოყვრდა გურიის მთავარ სიმონ გურიელს (თავისი მცო-

რეწლოვანი შვილი აბდი დანიშნა სიმონის ქალიშვილ კესარიასზე). ასევე, შეეცადა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვებას, რომ ისინი გამოეყენებინა საფაშოს ძველ, სამცხე-საათაბაგოს უფლებებში აღდგენისათვის ბრძოლაში. მთავარმართებელ პ. ციციანოვს წერდა: „მენატრება, რომ თქვენის ჯარის დახმარებით მთელი ამ ჩვენი გურჯისტანის ადგილები ჩამორთმეულ იქნეს ოსმალებისგან და იგი გადაკეთდეს ისეთ სახელმწიფოდ, როგორც ის ათაბაგების დროს იყო“ (ბათუმის., 1911). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ოსმალთა იმპერიის სამთულიან ფაშას, რომელმაც რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომში გადამწყვეტ მომენტში აწყურთან და ყარსთან არ შეასრულა ოსმალ ხელისუფალთა ნება – არ ააოხრა ქართლის სასაზღვრო სოფლები და ზურგში არ დაარტყა ყარსის მოალყე რუსებს, ცხადი გახდება, რომ სელიმი დიად აუჯანყდა ოსმალებს. იგი მზად იყო რუსებთან გაეფორმებინა ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში ახალციხის საფაშოს შესვლის შესახებ, მაგრამ მოლაპარაკებები ჭიანჭურდებოდა, პოლიტიკური მოვლენები კი სწრაფად იცვლებოდა. სწორედ ეს გახდა საფუძველი 1809 წელს ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით შერიფ ჯაყელის მიერ სელიმზე საფაშოს ტახტის წართმევისა.

სელიმმა 1812 წელს მეორედ მოახერხა შერიფზე ტახტის წართმევა და ახალციხის ციტადელის დაკავება, მაგრამ ამჯერადაც უმოკავშიროდ დარჩენილმა და ცენტრალური ხელისუფლებიდან შერისხულმა ველარ შეძლო ტახტის შენარჩუნება. მართლაც, სულთნის ბრძანებით გამოგზავნილი არზრუმის სერასკირი ფეხლევან-ბაბა ფაშა 15 ათასი კაცითა და სხვა დამხმარე ძალებით შემოადგა ხიხანის ციხეს, სადაც მცირერიცხოვანი მხლებლებით სელიმი იყო ჩაკეტილი. ალყა გრძელდებოდა, მოალყეები ახლო სოფლებს აწიოკებდნენ.

სელიმის ცხოვრების ბოლო დღეებზე და საათებზე სხვადასხვა ვერსიია გავრცელებული. ერთი ყველაზე გავრცელებული – ციხის შიგნიდან გატეხვაზე მოგვითხრობს, მეორე – სელიმის თავგანწირვაზე, რომ უდანაშაულო ადამიანთა აწიოკება შეწყვეტილიყო. ვფიქრობთ, უფრო სარწმუნო უნდა იყოს მეორე ვერსია, რადგან ამ სიტყვების მოქმელი პიროვნება – „თქვენ შეგიძლიათ ჩემი თავი ჩემს სხეულს მოაშოროთ, მაგრამ აჭარა მაინც გურჯისტანს დარჩება. ამას მე ჩემს შვილებს ანდერძად დაუტოვებ“, ნამდვილად თვითონ ჩაბარდებოდა ჯალათებს, რომ ეხსნა თანამემამულენი დარბევისაგან. სელიმს 1815 წლის 3 ივნისს თავი მოკვეთეს ხიხანის ციხის ძირში – სოფ. ბაკი-ბაკოში (ადგილი სერიყანა).

სელიმ ხიმშიაშვილის ბრძოლის პოლიტიკური იდეალი დამოუკიდებელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღდგენა იყო, ძირითადად, სამცხე-

საათაბაგოს ფარგლებში, რაც გვიანფეოდალურ საქართველოში მიღებული ლოზუნგის „გამოხსნა-აღდგომის“ პირველი ნაწილის – „გამოხსნის“ პროცესის დასაწყისი იქნებოდა.

სელიმ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით თავგანწირულმა ბრძოლამ ხელი შეუწყო ოსმალთა ბატონობის შესუსტებას, მოსახლეობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას და განმათავისუფლებელი ბრძოლის გაფართოება-გაძლიერებას. ამიტომაც, რომ ხალხმა იგი გმირად შეაფასა.

ხიხანის ციხეში სელიმს არ ახლდა მისი ორი ვაჟი **ახმედი** და **აბდი**. ისინი ნიგაზეულის ციხესიმაგრეში იყვნენ გამაგრებული, აქ მოუწიათ მათ შეებმა ოსმალთა ჭარბ ძალებთან, რის შემდეგ გაქცეულებს გურიაში აბდის მეუღლის – კესარიას ძმასთან – მამია გურიელთან შეუფარებიათ თავი.

1816 წლის დასაწყისიდან ოსმალეთის ხელისუფლებამ ხიმშიაშვილების ოჯახი შეიწყნარა. ძმებს აჭარაში დაბრუნების საშუალება მიეცათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ძმები ხელისუფლებასთან ბრძოლას აპირებდნენ. თურქი ისტორიკოსი ჯევედეთი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ ახმედ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით აჯანყება მთელ მხარეს მოედო. ოსმალთა მიერ გამოგზავნილმა ჯარებმა ვერაფერი გააწყვეს და ისევ შერიგება არჩიეს, თუმცა 1818 წელს ახმედის სახლ-კარი ააოხრეს. ამის შემდეგ ახმედს საჭიროდ მიუჩნევია ხელისუფლებასთან შერიგება, რითაც ჯერ აჭარის გამგეობა მიუღია (1820 წ.), შემდეგ, 1821 წელს, ახალციხის მუსელიმად დაუნიშნა: 1826 წელს ახალციხის ფაშის ტიტული მიუღია, ხოლო 1828 წელს ახალციხის ფაშად დაუსვაძლ.

ეს ის წლებია, როცა რუსეთი სულ უფრო მტკიცედ იკიდებდა ფეხს ამიერკავკასიაში, რისი მოთმენაც სულთნის ტახტს არ სურდა. ასე, რომ მზადდებოდა ამ ორ იმპერიას შორის საომარი შეჯახება. ასეთ პირობებში ორივე მხარისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთი ავტორიტეტული და გავლენიანი პირის პოზიციას, როგორიც იყო **ახმედ ხიმშიაშვილი**. ახმედ ფაშას კარგად ესმოდა, რომ მისი და მამამისის მიზანი – სამხრეთი საქართველოს გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან, მხოლოდ რუსეთის მეშვეობით, მისი დახმარებით შეიძლებოდა. ამიტომ მას ფარული მიმოწერა ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებასთან, კავკასიის სარდლობასთან. იგი აყენებდა პირობებს: რელიგიური რწმენის ხელშეუხებლობა, მისი ხელისუფლების შენარჩუნება და მემკვიდრეობით გადაცემა. ამასთან, მას უნდა მისცემოდა გენერლის ჩინი, ლენტი და სახელმწიფო ჯამაგირი, დამტკიცებოდა ფაშობა და რუსეთი უნდა ყოფილიყო საფაშოს მფარველი და გარეშე მტრებთან ბრძოლაში მოკავშირე და შემწე. მთავარმართებელ პასკევიჩისათვის ეს პირობები მისაღები აღმოჩნდა და დაიწყო მოლაპარაკება გენერალ ვასილ ბებუთოვის მეშვეო-

ბით. 1828 წლის ზაფხულში (ივლისი) რუსთა ჯარმა იერიში მიიტანა ახალციხეზე. მართალია, ახმედ ფაშამ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია რუსებს, მაგრამ „დამარცხდა“ და გადარჩენილი ჯარის ნაწილებით აჭარაში გადავიდა. რუსეთის თანხმობა წაყენებული პირობების შესრულების თაობაზე არ ჩანდა. ამიტომ ახმედ ფაშამ თავი მოტყუებულად და შეურაცხყოფილად ჩათვალა. იანვრის სუსხიან ზამთარში ჯარით გადალახა თოვლიანი მთები და ახალციხეში გამაგრებული გენერალი ბებუთოვი ალყაში მოაქცია. მისი ულტიმატუმის ბოლო სიტყვები „მე გაგიყვანთ თქვენ მშვიდობიანად“, როგორც ჩანს, იმას ნიშნავდა, რომ მისი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, რუსთა ჯარს უვნებლად მისცემდა გზას, ამასთან, ამით იგი საკუთარი ძალების დემონსტრირებასაც ახდენდა, რომ დაექარებინა რუსეთის მხრივ პირობების შესრულება. ბებუთოვს მაშველი ძალები მოუვიდა და ახმედ ფაშა აქაც დამარცხდა. რუსეთის ხელისუფლებამ ბებუთოვი სხვაგან – სომხეთში გადაიყვანა და მოლაპარაკების გაგრძელება ახლადდანიშნულ სარდალს ბარონ ოსტენ-საკენს დაავალა.

როგორც ჩანს, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის ფრონტებზე მოპოვებული წარმატებებისა და ახალციხის აღების შემდეგ, ახმედ ფაშა აღარ იყო ისე საინტერესო რუსეთისათვის, როგორც ომის დასაწყისში, როცა გაურკვეველი იყო სიტუაცია. ამიტომ აჭინაურებდა რუსეთის ხელისუფლება მოლაპარაკებას და თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდა ოსტენ-საკენს აჭარაში, რომელმაც უმოწყალოდ გადაბუგა არაერთი სოფელი და ახმედ ფაშას სახლ-კარიც. კარგი დღე არც მის ჯარს დადგომია, აქაურთა რისხვას გადარჩენილი ძლიერ გასულან სამშვიდობოს, ახალციხეში. ამ ამბების შემდეგ ახმედ ფაშამ საბოლოოდ დაკარგა რუსეთის იმედი და ოსმალთა ინტერესების გამტარებლად იქცა აჭარაში. მან პირველმა შემოიღო აქ სამხედრო სამსახური, ააგო პირველი მეჩეთი მედრესეთი, მან დაიწყო ოსმალთა ცხოვრების წესების დანერგვა, ის გაუსწორდა სასტიკად ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებულ ლაზებს. ამან აუმაღლა მას სულთნის კარზე ავტორიტეტი და იგი ჯერ დანიშნეს ყარსის სერასკირად, შემდეგ ერზრუმის გუბერნატორად, სადაც იგი საექვო ვითარებაში (მოწამლეს) გარდაიცვალა 1836 წელს და დასაფლავებულია ლალი-ფაშას სასაფლაოზე.

მართალია, ახმედ ხიმშიაშვილის მიერ ცხოვრების ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებები აშკარად ჩრდილს აყენებს მთელ მის ადრინდელ მოღვაწეობას, მაგრამ ახმედ ხიმშიაშვილი მისი ეპოქის ტრაგიკული შვილია, რომელმაც, ყველაზემოთქმულის მიუხედავად, შვილს ასეთი ანდერძი დაუტოვა: *„გახსოვდეს, შვილო, ადრე თუ გვიან ჩვენი კუთხე რუსეთს შეუერთდება ისე, როგორც ახალციხე. იმეგობრე რუსეთთან, აჭარის მეზობლებთან, ჩვენი ბედნიერება დამოკიდებულია რუსეთზე. იცოდე, რომ ჩვენი გზა იქეთკენ მიდის და არა სტამბოლისაკენ“*.

ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მართალია, მემკვიდრედ შვილი შერიფი დარჩა, მაგრამ მცირეწლოვნობის გამო აჭარას დედამისი-დუდი ხანუმ ბეჟანიძე მართავდა. დუდი ხანუმმა გონიერი დიპლომატისა და მზრუნველი ხელისუფალის სახელი მოიხვეჭა, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ დუდი ხანუმის მაზლის, ახმედ ფაშას ძმის – **ქორ-ხუსეინის** მოღვაწეობაზე, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლით 40-იან წლებში, „თანზიმათის“ გამოცხადების შემდეგ. „თანზიმათის“ მთავარი დევიზი იყო: *„იმპერიის ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს.“* ეს იყო იმის საფუძველი, რომ „თანზიმათის“ წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დადგა ყველა: გლეხიც, ბეგიც, მუსლიმანიც და არამუსლიმანიც. აჭარაში განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია „სალიანის“ გადასახადმა და სამხედრო ბეგარამ, ადგილობრივთა რეკრუტში გაწვევამ. თითქმის ყველა სოფელი ფეხზე დადგა. ზემო აჭარის უკმაყოფილო მოსახლეობას ქორ-ხუსეინი ჩადგომია სათავეში. აჯანყებულა ქვემო აჭარაც. მართალია, ხელისუფლებას ჯარები ჩაუყენებია, მაგრამ თითქმის მთელი წელი გაგრძელებულა აჯანყება. ქორ-ხუსეინის არაერთი წარმატება მოუპოვებია, დიდი ავტორიტეტი და უშიშარი მეთაურის სახელიც მოუხვეჭია, მაგრამ ბოლოს შეუპყრიათ, სტამბოლში ჩაუყვანიათ და იქვე გარდაცვლილა. სულთნის რისხვისაგან აჭარა ისევ დუდი-ხანუმის გონიერებას, სულთნისაგან პატიების თხოვნას უხსნია ისე, რომ გადასახადიც შეუმცირებიათ და სამხედრო ბეგარისაგანაც გაუთავისუფლებიათ აქაური მოსახლეობა.

აჭარის პარალელურად, „თანზიმათის“ უკმაყოფილება გამოუწვევია შავშეთში, ლივანასა და ფოცხოვშიც. აქაც მოძრაობას სათავეში ხიმშიაშვილთა გვარის წარმომადგენელი – ახმედ ფაშას ძმისშვილი, აბდი ბეგის შვილი **სელიმი** ჩადგომია, რომელიც მაშინ სულ 15 წლისა ყოფილა. მართალია, აჯანყება აქაც დამარცხებულა, მაგრამ ხელისუფლება რიგ დათმობებზე წასულა.

თვითონ **აბდი ხიმშიაშვილის** შესახებ, მართალია, მწირია ცნობები, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია მისი ერთი საინტერესო წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ 1841 წელს იგი ტერიტორიულად შემცირებული „ჩილდირის ეიალეთის კაიმაკამი“ იყო. იგი გურიის უეხდის უფროსს სთხოვს დაეხმაროს ჭვანელი ისმეილ ჩალოღლისათვის მისი ქვეშევრდომების – ებე ერისთავისა და მალაქია ბატონიშვილის მიერ ვალად აღებული ფულის დაბრუნებაში (სიხარულიძე, 1984).

შემდეგი საინტერესო ინფორმაცია აბდი ხიმშიაშვილის მოღვაწეობის შესახებ მოცემულია კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის 1853-1856 წლების რუსეთ-ოსმალეთის (ყირიმის) ომისადმი მიძღვნილ წერილებში („აღმოსავლეთის ომი“, „თურქეთის ომის მსვლელობა“ ...), რომელთა მიხედ-

ვით, აბდი ხელმძღვანელობდა საომარ ოპერაციებს ყარსისა და ახალციხის მხარეებში. მას უნდა შეექმნა ორი კორპუსი, ერთი ბათუმის დასაცავად, მეორე თბილისზე გასალაშქრებლად. „მან კი ჯარი გაფანტა ბაიაზეთსა და ბათუმს შორის, მოქმედებდა ზანტად, რუსებს საშუალებას აძლევდა ჯარები გადაეადგილებინათ“. ამიტომ მარქსი აბდის შესახებ წერდა: „ან გამყიდველია, ან სულელი“. შემდეგ წერილში ამატებდა: „გაიწვიეს და ყარსში დააპატიმრეს“ (მარქსი., 1958: 21, 29). ფრიდრიხ ენგელსის აზრით, აბდი 30-ათასიან კორპუსს თუ შექმნიდა და ამით შეუძლებელი იყო ბათუმიდან თბილისისკენ მიმავალი გზების ბლოკირება, ან ქალაქ თბილისის დაკავება (მარქსი., 1957: 451-452).

სინამდვილეში, საეჭვო არაა, რომ აბდი ხიმშიაშვილი ასე შეგნებულად მოქმედებდა, როგორც მომდევნო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მისი ძმიშვილი შერიფი, რომ რუსებს გაემარჯვათ და ოსმალთა ბატონობისაგან გაათავისუფლებულიყო მისი მშობლიური მიწა-წყალი. ასე, რომ აბდი ხიმშიაშვილიც თავისი მოღვაწეობით წარმოგვიდგება, როგორც სელემ ხიმშიაშვილის ღირსეული შთამომავალი.

ასეთივე შეფასებას იმსახურებს შავშეთის მმართველი **ნური-ბეგ ხიმშიაშვილიც**. 1878 წლის აგვისტოში ალექსანდრე ფრენკელი, რომელიც რუსეთის ჯარებს შემოჰყვა ბათუმში, მის შესახებ წერდა: „ნური-ბეგ ხიმშიაშვილი შავშეთის მმართველად იყო ... მეთაურობდა თურქულ მილიციას, დიდი ხანია რუსებთან ურთიერთობაშია ... როდესაც საჭირო იყო რუსების სურსათით მომარაგება, მან ისე წაიყვანა საქმე, თითქოს რუსებმა ძალად წაართვეს პროდუქტები, მფრინავი რაზმი თავს დაესხა ნური-ბეგის მამულს, წაიღეს ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ, ამასთან, თან წაიყვანეს ნური ბეგიც (ფრენკელი, 2012: 142).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის ოსმალთაგან განთავისუფლების შემდეგ, 1882 წლის 31 მარტით დათარიღებულ წერილში ნური ხიმშიაშვილი იღია ჭავჭავაძეს სთხოვს შავშეთი ბავშვებისათვის სკოლის გახსნას. შენობის ნახვასა და შეძენას სკოლისა და მისი მასწავლებლისათვის თვითონ კისრულობს, ასევე, მზადაა შეკრიბოს 60-80 ყმაწვილი, გაუჩინოს მათ სარჩო, სკოლას კი საჭირო მოწყობილობა (ხიმშიაშვილები, 2003: 405).

განსაკუთრებულია XIX საუკუნის ბოლო მესამედის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში **შერიფ ხიმშიაშვილის** როლი და დამსახურება. ახმედ ხიმშიაშვილისა და დუდი-ხანუმ ბეჟანიძის სახელოვანი შვილის მსოფლმხედველობა და სამშობლო მხარის მომავლისადმი დამოკიდებულება არსებითად განსხვავებული იყო მისი წინაპრებისგან. თუ ბაბუა სელიმი და მამამისი ახმედი ოცნებობდნენ ათაბა-

გობის დროინდელი სამხრეთ-საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე, შერიფ ხიმშიაშვილი ერთიან საქართველოზე ოცნებობდა. აჭარის თავისუფლება საქართველოს გარეშე ვერ წარმოედგინა. 1870 წელს მასთან ფარულად სტუმრად მყოფ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს ეუბნება: „მაღე დაიწეოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შეილებს შეუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს.“ ამ სიტყვებში ეჭვის შეტანა ძნელია, რადგან შერიფმა იცოდა დიდი ბაბუას ტრაგიკული ბედი, მას ახსოვდა რუსთა დამოკიდებულება მამამისისადმიც, ამიტომ კარგად ესმოდა, რომ აჭარა თავისუფლებას მხოლოდ საქართველოსთან ერთად თუ მოიპოვებდა.

შერიფ ხიმშიაშვილის მოღვაწეობის წლები დაემთხვა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, თერგდალეულთა მოღვაწეობის გააქტიურებას, რუსეთის საქართველოში საბოლოოდ განმტკიცებას და მისწრაფებას – გაბატონებულიყო შავ ზღვაზე, შემოეერთებინა თურქეთის მიერ ამიერკავკასიაში ადრე მიტაცებული ტერიტორიები. ეს უკანასკნელი მისწრაფება რუსეთისა, ემთხვეოდა ქართველ პატრიოტთა მისწრაფებებს. ამიტომ რუსეთის ხელისუფლების მიერ აჭარაში შემოგზავნილი ივ. კერესელიძის (1870 წ.), დიმიტრი ბაქრაძის (1873 წ.), გიორგი ყაზბეგის (1874 წ.) და სხვათა საქმიანობა, ერთი მხრივ, რუსეთის ხელისუფლების, და მეორე მხრივ, საქართველოს მომავლის ინტერესებს ემსახურებოდა, რადგან ამზადებდა პირობებს ამ მხარის დედასამშობლოსთან დასაბრუნებლად. ამ საქმეში უდიდესი როლი სწორედ შერიფ ხიმშიაშვილმა შეასრულა.

შერიფ ხიმშიაშვილი თურქეთის ხელისუფლების მოხელე და სამხედრო ჩინის მქონე პიროვნება იყო და ბუნებრივია, ომის (1877-1878 წწ.) მოახლოებისთანავე თურქეთის ხელისუფლება მას გარკვეულ პასუხისმგებლობას დააკისრებდა. პირველ რიგში, მას უნდა გაემაგრებინა მისი საგამგეო მხარის საზღვრები, არ შემოეშვა რუსთა ჯარი და საჭირო შემთხვევაში მიეშველებინა ძალები ოსმალებისათვის. 1877 წლის აპრილიდან, ომის დაწყების შემდეგ, როცა საბრძოლო მოქმედებები გაჩაღდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთითაც, შერიფ ხიმშიაშვილს, როგორც აჭარის მმართველსა და ოსმალეთის არმიის ოფიცერს, უბრძანეს მოხალისეების შეგროვება, რომ 1000 კაცი არტაანს გაეგზავნა და ორი ათასი კაცით ციხისძირის გარნიზონს დახმარებოდა. შერიფმა მაშინ ავადმყოფობა და ახალციხიდან რუსთა შემოჭრის საშიშროება მოიმიზეზა. ამასთან, რუსთა ჯარის სარდლობას აღუთქვა გზის მიცემა და უშიშროება ზემო აჭარის გზით წასვლის შემთხვევაში. იგი ურჩევდა მათ ბათუმზე შეტევის აქედან განხორციელებას, რადგან საზღვაო ძალების გარეშე ქობულეთ-ციხისძირიდან ამ ამოცანის განხორციელება ძნელი იქნებოდა.

ოსმალეთის ხელისუფლება შერიფ ხიმშიაშვილს აქტიურ მოქმედებას თხოვდა. მოგვიანებით იგი იგონებდა, რომ დევრიშ ფაშა „ყოველ კვირაზე მწერდა, „გეიწი, გეიწი ახალციხისკენო, რას გაჩერებულხარ ერთ ადგილასო.“ ოსმალეთის ხელისუფლება შერიფს ისეც კარგა ხანია ეჭვით უყურებდა, ახლა მის მოქმედებას გამართლება უნდა მისცემოდა იმით, რომ ზემო აჭარაში რუსთა ჯარის ნაწილები უნდა შემოსულიყვნენ. ამ მიზნით, 1878 წლის მარტში პოლკოვნიკ ტრეიტერის რაზმი შემოვიდა „ძალის ენერგიული დემონსტრირების“ მიზნით, მაგრამ მალე გაფორმდა სან-სტეფანოს ზავი და საომარი მოქმედებაც შეწყდა.

შერიფ ხიმშიაშვილმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ურყევე ნება მაშინ, როცა ბერლინის კონგრესის წინ ოსმალეთის ხელისუფლებამ მოინდომა აჭარაში მღელვარების პროვოცირება იმის საბაბით, რომ თითქოს მოსახლეობას არ სურდა რუსეთთან (საქართველოსთან) შეერთება. შერიფი აშკარად დაუპირისპირდა ამ ღონისძიებას, რითაც საბოლოოდ დაკარგა ოსმალთა ნდობა. დევრიშ ფაშამ ბათუმიდან გაგზავნა ძალები მის შესაპრობად, მაგრამ შერიფი ახალციხეში გადავიდა. ოსმალებმა მას ოჯახი დაურბიეს და სახლ-კარი დაუწვეს.

ბერლინის კონგრესმა აჭარა ბათუმითურთ რუსეთს მიაკუთვნა. შერიფ ხიმშიაშვილი რუსთა ჯართან ერთად ბათუმში ჩამოვიდა. აქაც და თბილისში სტუმრობისას შერიფის საფიქრალ-საზრუნავი აჭარის მოსახლეობა იყო. 1878 წლის 3 სექტემბერს ბათუმის მოედანზე გამართულ საზეიმო ვახშამზე, სადღეგრძელოში უთქვამს: ბატონებო, ჩვენში განსხვავებულს ნურაფერს ეძებთ. ჩვენ ისეთივე ქართველები ვართ, როგორც საქართველოს სხვა კუთხის შვილები. ჩვენ მხოლოდ მთელი საქართველოს ერთიანობასა და შეკავშირებას ვესწრაფვით“ (ლომსაძე, 1993), ხოლო თბილისში სტუმრობისას ითხოვდა: „განათლება ეჭირვებათ ბატონებო იმათ... წადით, გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ახწავლეთ“ (მესხი, 2008:83) – მოუწოდებდა სრულიად საქართველოს. იგი ყველაფერში პირველი და სამაგალითო იყო. 1880 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ს მიწვევით პეტერბურგში ჩასული შერიფი და მისი ორი ვაჟი მართლმადიდებელ ქრისტიანებად მოინათლენ. აქვე იქორწინა მან მეოთხედ გერმანელ ქრისტიან ქალზე, რომელიც სხალთაშია დაკრძალული.

შერიფ ხიმშიაშვილი პეტერბურგში ყოფნისას, 1892 წ. გარდაიცვალა, ანდერძისამებრ, სამშობლოში გადმოუსვენებიათ და მის საზაფხულო რეზიდენციაში, ქოჩახში დაუსაფლავებიათ. მრავალრიცხოვან შვილთაგან (ოცს ასახელებენ), საზოგადოებისათვის უფრო ცნობილი არიან მურთაზი, ჯემალი და თემური. მურთაზი 1876 წელს, 27 წლის ასაკში, გაურკვეველ სიტუაციაში დაიღუპა და მამასაც დასდეს ამაში ბრალი (ვფიქრობთ, უსამართლოდ). ჯემალსა და თემურს ოსმალეთის ხელისუფლებამ ფაშის და შესაბამისად გენერლის წოდებები უბოძა. თემურმა თავისი ცხოვრება თურქეთში გაატარა, ჯემალი კი ყველა იმ კატაკლიზმის მონაწილე იყო, რაც

მისმა სამშობლო მხარემ გამოიარა გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში. მართალია, ჯერად ბეგის მოღვაწეობას მკვლევრები არაერთგვაროვნად აფასებენ, მაგრამ ყველაზე მძიმე, თურქთა თუ ინგლისელთა ოკუპაციის წლებში ჯერად ხიმშიაშვილს ღირსეულად ეჭირა თავი, ასრულებდა სამშობლოს დავალებებს ახალციხეში და იცავდა ქვეყნის ინტერესებს. იგი გაზეთ „ერთობაში“ გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „*ეუკოლისი (ინგლისელი გენერალი) აშინებს ხალხს და ჰკრებს ხმებს, რომ აჭარა არ შეუერთდეს საქართველოს. მე ვამტკიცებ, რომ აქაურ მცხოვრებლებს სულით და გულით სურთ საქართველოს ჯარების შემოსვლა.*“ მკითხველი აშკარად მიხვდება, რომ ეს სიტყვები არ შეიძლება ოსმალთა ერთგულ გენერალს ეკუთვნოდეს, რომ ამ სიტყვების ავტორი პატრიოტია. ჯერად ხიმშიაშვილის პოზიცია მისი დროის მოვლენებისადმი კარგად ჩანს მის ერთ პუბლიკაციაში, სადაც აცხადებს: „აჭარას არ სურს ავტონომია, იგი საქართველოს უერთდება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი“ (ხიმშიაშვილი, 1920) და დამფუძნებელი კრებისადმი გაგზავნილი დეპეშის ტექსტის შინაარსში: „მიუხედავად ინგლისელი აფიცრების ინტრიგებისა, რომ აეჯანყებინათ ზემო აჭარის მცხოვრებლები ჩვენი ჯარის წინააღმდეგ, მიუხედავად სანგრებისა ხულოს გარშემო და სხვა დემონსტრაციებისა, საქართველოს ჯარის შესვლას ხულოში მცხოვრებლები პურ-მარილით შეეგება, რასაც აღტაცებით გილოცავთ; ჩვენ დარწმუნებული ვართ, არავითარი ინტრიგები არ შეარყევენ აჭარის ხალხის სიხარულს მშობლიურ საქართველოსთან შეერთებით გამოწვეულს“ (ხიმშიაშვილი, 1920). ჯერად ბეგი 1924 წელს გარდაიცვალა თურქეთის რესპუბლიკის ქ. არტანში.

ხიმშიაშვილთა გვარის არაერთმა წარმომადგენელმა შემდეგაც გამოიჩინა თავი და დღესაც ერთგულად ემსახურებიან სამშობლო ქვეყნის ინტერესებს, ამიტომ საზოგადოებრიობა დამსახურებულ პატივს მიაგებს ამ გვარის ღირსეულ წარმომადგენლებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბათუმის., 1911:** „ბათუმის გაზეთი“, №134;
- ბაქრაძე, 1987:** დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, ბათუმი;
- ლომსაძე, 1975:** შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი;
- ლომსაძე, 1979:** შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, თბილისი,
- ლომსაძე, 1993:** შ. ლომსაძე, ხიმშიაშვილების ფეოდალური სახლი, გაზ. „სიტყვა ქართული“, 28 თებერვალი, №3;
- მარქსი., 1957:** კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, IX, მოსკოვი (რუს.);

მარქსი., 1958: კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, X, მოსკოვი (რუს.);

მესხი, 2000: ს. მესხი, წერილები აჭარაზე, შეადგინა რამაზ სურმანიძემ, ბათუმი;

სახოკია, 1985: თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი;

სიხარულიძე, 1984: ი. სიხარულიძე, აბდი ხიმშიაშვილის ერთი წერილი, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 21 აგვისტო, №159;

სურგულაძე, სურმანიძე, 2013: აბ. სურგულაძე, რ. სურმანიძე, სელიმ ხიმშიაშვილი, თბილისი;

ფრენკელი, 2012: ა. ფრენკელი, ნარკვევები ჩურუქ-სუზე და ბათუმზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი;

ხიმშიაშვილები, 2003: ხიმშიაშვილები (წყაროები, ლიტერატურა, პუბლიკაცია), წიგნი I, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და საძიებელი დაურთო იოსებ ხიმშიაშვილმა, ბათუმი;

ხიმშიაშვილი, 1920: ხიმშიაშვილი ჯემალ, ქართული არმიის პოლკოვნიკი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ივლისი;

ხიმშიევი, 1920: ჯემალ-ფაშა ხიმშიევი, გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, N321.

Bichiko Diasamidze

The Warriors for the freedom of South-west Georgia under the rule of Ottomans (Selim Khimshiashvili and his Descendants)

Summary

The article studies the contribution of Selim Khimshiashvili and his descendants to the struggle for the freedom of South-west Georgia occupied by the Ottomans. Selim Khimshiashvili died heroically.

The Author describes the forms of the struggle of Selim Khimshiashvili, his sons – Akhmed, Kor-khusein, Abdi, grandsons – Junior Selim, Nuri, Sherif and the son of the last – Kemal against the Ottomans. The author concludes if Selim and Abdi Khimshiashvilis struggled for the restoration of Georgia of the period of Atabegs, Sherif Khimshiashvili dreamt of unification of Georgia. Because of his active participation, after the Russian-Turkish War of 1877-1878 Adjara and the other South-west provinces were returned to the Motherland.

შუშანა ფუტკარაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

სახელოვანი ქართველი ქალები ხიფთიაშვილთა ოჯახებიდან

ქართველმა ქალმა დასაბამიდან დღემდე ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერა მშობელი ქვეყნის ისტორიაში. იგი მტკიცე დედაბოძად ედგა ოჯახსა და სამშობლოს ჩვენი ერის ისტორიის გრძელ გზაზე. პატიოსნებითა და ერთგულებით გამორჩეული ქართველი ქალები სანატრელ საპატარძლოებად ითვლებოდნენ ოდითგანვე მეზობელ ხალხებშიც. მე-17 საუკუნის თურქი პოეტი **ნიაზი მისრი** ერთ თავის დიდაქტიკურ ლექსში უმღერის ქართველი ქალის სათნოებას და თავის შვილს ურჩევს ცოლად აირჩიოს სათნო ქართველი ქალი. გავიხსენოთ ამ ლექსის თამაზ ნატროშვილისეული თარგმანის ფრაგმენტი:

„ხომ გსურს იცხოვრო, შვილო ჩემო, მშვიდად და ტკბილად?
მაშ, უყოყმანოდ აირჩიე სათნო ქართველი!
მთელს დუნიაზე ჭეშმარიტად ერთადერთია,
ცოლად, მეგობრად, მიჯნურად რომ გამოგადგება...
ნუ დაიწუნებ უხეირო სამოსლის გამო,
სამაგიეროდ, გულწრფელია, ნაზი, ხალასი...
მაშ, შვილო ჩემო, აირჩიე ქალი ქართველი;
მასთან ცხოვრებით შენ იხილავ ყველაფერს იმას,
რასაც ალაჰი უწყალობებს უბრალო მოკვდავთ,
ამქვეყნიური ნეტარების მოსაპოვებლად...“

მართლაც, ქართველი ქალები დიდი ხნის მანძილზე ამშვენებდნენ ბიზანტიის, ირანის, სელჩუკების, ოსმალების... სამეფო სასახლეებს; იყვნენ სილამაზით, მისაბაძი კულტურით, განათლებით, ქველმოქმედებით გამორჩეული დედოფლები (მართა-მარიამ ბაგრატიონი, გურჯი ხათუნი-თამარ ბაგრატიონი, თამთა ათაბაგი, მესხი შალიკაშვილის ასული-შაჰბასის ბეზია, მიჰრიშაჰ სულთანი, ბეზმიალემ ვალიდე სულთანი...). მათ შესახებ მოგვითხრობენ ქართული და უცხოური წყაროები.

ბუნებამ კდემამოსილებითა და სილამაზით გამორჩეულ ქართველ ქალებს გმირული სულიც შთაბერა. სამშობლოს დაცვისა და მისი ნათელი

მომავლისათვის ბრძოლაში ხშირად ვაჟკაცებს გვერდში ედგნენ ეს ნაზი არსებანი. ეროვნული იდეალებისათვის წამებულნიც ყოფილან ისინი და სათუთი სატრფოებიც; გმირი დედების სახელიც უტარებიათ, ძლევაშემოსილი მეფის გვირგვინიცა და პატიოსანი მანდილოსნის მანდილიც...

საქართველოში ოდიტგანვე დიდების შარავანდედით მოსავდნენ ქალის სახელს. ქართველი ერის ასეთნაირი დამოკიდებულება ბუნების ამ ქმნილებიდან, უპირველესად, იმით აიხსნება, რომ ქალის არსებას ჩვენი წინაპრები დასაბამითგანვე უკავშირებდნენ მშვენიერების, სათნოების, სიკეთის, სიყვარულისა და დედობის ამაღლებულ, ღვთაებრივ გრძნობებს. ეს ეროვნული შეგნება შესაბამისად აისახა ქართულ ენაში. ქართველ ქალს ჩვენი ენა ადარებს ციურ მნათობებს, ყვავილს, ვარდს, სინათლეს... ქალთა საკუთარი სახელები, ჩვენი ენის მიერ ჩამოქნილი, სწორედ ამაზე მიგვითითებს: მზისა, მთვარისა, მზისადარი, მზექალა, ქალთამზე, მზევინარი, მზიური, გულთამზე, გულვარდი, გულნაზი, ნარგიზი, შუქია, ნაზიბროლა, ციური... ესენი ჩვენი ენის მიერ შექმნილი ქალთა საკუთარი სახელებია, რომლებიც, სამწუხაროდ, დღეს ნაკლებად გვესმის...

ქალისადმი დამოკიდებულებაში გამოხატულია ქართველი ერის შინაგანი კულტურა, ჰუმანიზმი, პატივისცემა, მაღალი სულიერება. დიდი ილია ხშირად მიგვანიშნებდა ხოლმე ქართველი ხალხის ამგვარ დამოკიდებულებაზე ქალის მიმართ. სწორედ მან მიგვაქცევინა ყურადღება ქართული ენის ერთ ლამაზ სიტყვაზე, როგორიცაა **გათხოვება**. დაგვანახვა, რომ ქართველი ქალს კი არ ჰყიდდა (როგორც ეს ძველად მრავალ ხალხში ქორწინებასთან დაკავშირებულ ტრადიციად იყო ქცეული), არამედ **ათხოვებდა**. ამ „თხოვებაში“ იღო სწორედ დიდი აზრი, კეთილშობილური დამოკიდებულება ქალიშვილის მიმართ, რომელიც სხვა ოჯახში მიდიოდა საცხოვრებლად. ამ საკითხზე დიდმა **ილია ჭავჭავაძემ** და **ივანე ჯავახიშვილმა** მიგვაქცევინეს ყურადღება და ჩაგვახედეს ქართული ენის წიაღში, ქართველი კაცის მდიდარ სულიერ სამყაროში.

ქართველმა ქალმა, ისტორიის გრძელ მანძილზე, მამაკაცთან ერთად, თანაბრად ზიდა ცხოვრების მძიმე უდელი. იგი ჭეშმარიტი მეუღლე იყო. ქართულმა ენამ ეს ურთიერთობა შესანიშნავად ასახა და გამოძერწა სიტყვა **„მეუღლე“**. ასეთი სახელდება დედამიწაზე არც ერთ ენაში არ არის შენიშნული ენათმეცნიერთა მიერ.

მე-17 საუკუნეში იტალიელი **პიეტრო დელა ვალე** წერდა: „ქართველი ქალები ყველაზე მშვენიერნი არიან მთელს აზიაში“. ეს შესაშური თვისება ხშირად საბედისწერო ხდებოდა არა მხოლოდ ამ ლამაზი არსებისათვის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც, რაც ცნობილია ჩვენი ისტორიის ფურცლებიდან.

სახელოვანი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი გვასწავლის: „თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო. ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრია ტაროსისაო-ამინდისაო... **თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგასო**“. სახელოვანი ქართველი დედების სულიერი და ფიზიკური მშვენიერების წყალობით, საუკუნეთა მანძილზე ქართველ ერს დარი ედგა დაღოცვილ მიწაზე – საქართველოში. სწორედ **ქართველი დედები იყვნენ ქართველობის მაჩვენებელი ბარომეტრები ჩვენს ქვეყანაში**. ამიტომ გადაურჩა გადაშენებას ქართველი ერი. ქართველთა ასაკის მქონე ერების დიდი ნაწილი კი კარგა ხანია გადაშენდა და მათი ხსენება მხოლოდ ისტორიულ ნაშრომებშია საძიებელი.

მეცნიერთა დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ ერის მეობის, თვითმყოფადობის შემნახავი, გადამრჩენი უმთავრესი ძალა მტკიცე ტრადიციების მატარებელი ოჯახია. ოჯახის ბურჯი – დედაბოძი კი დიასახლისია, ქალია, დედაა.

ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე **ჰაიდარ აბაშიძე** სამართლიანად წერდა: „აჭარამ სამი საუკუნის მანძილზე ცეცხლში გამოატარა თავისი ყოფა-ცხოვრება. აჭარელმა ქალმა, ამ სახელოვანმა ქართველმა დედამ, სუფთად შემოგვინახა ქართული სისხლი და ჩვენამდე ბრძოლით მოიტანა ჩვენი ტკბილი დედაენაო“. მართლაც, განუზომელია ქართველი ქალის ღვაწლი აჭარაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის უღამაზეს კუთხეში – აჭარაში საუკუნეთა ქარტყილებმა კიდევ უფრო გამოკვეთა ქართველი ქალის არსება. აქ ქალი-დედა მოგვევლინა ქართველობის, ქართული გენისა და ენის სიძლიერის, უკვდავების სიმბოლოდ. აქაურმა დედებმა შავბნელ წარსულში თავიანთ თბილ უბეებში სათუთად შეინახეს მშობლიური ქართული. ისინი აკვანში თავიანთ შვილებს, დედის რძესთან ერთად, არწყულებდნენ მშობლიური ქართულით. მათ მამა-პაპათა ნაფუძარებზე არ გააცივეს ქართული კერა, არ მოშალეს ეროვნული ზნე-ჩვეულებანი და ჩვენამდე მოიტანეს საპატრონებლად, საშვილიშვილო იადგრად (სამახსოვრო საჩუქრად).

ამ სახელოვან ქალთა შორის საპატიო ადგილი უჭირავთ აჭარის დიდებულთა ოჯახებში დღენიადგ მოფუსფუსე, სამშობლოს ზრუნვაში მუხლჩაუხრელ, ერის წინამძღოლი შვილების გამზრდელ, ერისკაცთა ერთგულ მეუღლეებს, აჭარის ღირსეულ მანდილოსნებს, უპირველესად, ხიმშიაშვილთა საგვარეულო ოჯახებში მოღვაწე დიდებულ ქალბატონებს.

ხიმშიაშვილთა ოჯახებში ქართული ცნობიერების, მშობლიური ენის, ძირძველი ტრადიციების შენარჩუნებას, ხიმშიაშვილთა ძარღვიდან მომდინარე სუფთა ქართული სისხლის ქალბატონების გარდა, ემსახურებოდნენ, აგრეთვე, სხვა წარჩინებულ გვართა წარმომადგენლებიც, ხიმშიაშვილთა საპატიო პატარძლები. მოგეხსენებათ, დიდებული გვარი სამოყვროდ ისევე დიდებულ გვარს ეძებდა. საუკუნეთა მანძილზე ასე ყალიბდებოდა საზოგადოების წარჩინებული წარმომადგენლობა. ხიმშიაშვილთა ოჯახების პატარძლები სახელოვანი გვარის შვილები იყვნენ. ბოლო 170 წლის ისტორიას თვალს თუ გადავაგვლებთ, დავინახავთ, რომ ხიმშიაშვილთა ოჯახებში პატარძლებად შესული არიან ბეჟანიძეების, **ფალავანდიშვილების, აბაშიძეების, ათაბაგების (ჯაყელების), ერისთავების, ლორთქიფანიძეების, თავდგირიძეების, გურიელების...** უღამაზესი ასულები. თითოეული მათგანის ბიოგრაფია საინტერესოა და მისაბადი, გამოდგება ისტორიული რომანების სიუჟეტებად.

ამჯერად, მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ სამი სახელოვანი ქალბატონის შესახებ. ესენი გახლავთ: **ღუდი-ხანუმ ბეჟანიძე, ფიქრიე და მელაათ ხიმშიაშვილები.**

ღუდი-ხანუმ ბეჟანიძე იყო ჩაქველი თავადის – უსეინ ბეგ ბეჟანიძის და. უსეინ ბეჟანიძე ისტორიული პიროვნებაა. 1883 წელს ჩაქველ თავადს ესტუმრა ცნობილი ფოლკლორისტი პეტრე უმიკაშვილი და მისგან ჩაიწერა თამარ მეფის ლექსი „ათასი კაბა ყმა მყავდა“.

„ათასი კაბა ყმა მყავდა, ყველანი ოქროს ღილითა;

ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმევდი ბროლის ჭიქითა.

ვინც რომ შემება, შევები ალალითა და ჯიქითა;

აწი თქვენ იცით, მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა“.

ეს ლექსი უსეინ ბეგს გაგონილი და ნასწავლი ჰქონია წინაპართაგან. ლექსი, ჩამწერის წერილთან ერთად, დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. ეს გამოსათხოვარი წერილი იყო, უსეინ ბეგ ბეჟანიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი. გაზეთი მოგვითხრობს, რომ უსეინ ბეგმა თურმე მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, კარგი მექართულე და სამშობლოს მოსიყვარულე იყო. მისი საქმიანობით მუჰაჯირობის პროცესი საგრძნობლად შეჩერებულა ჩაქვსა და ქობულეთში.

უსეინ ბეგ ბეჟანიძე ყოფილა „გონიერი, მოსწრებული სიტყვის პატრონი, გულკეთილი, კეთილშობილი, საყვარელი ხასიათის მქონებული. სულითა და გულით ნამდვილი გურჯი (მუსლიმანი ქართველი), მაიორის ჩინით... მომეტებულად გადასახლების (მუჰაჯირობის) მოწინააღმდეგეთაგანი. მას ძლიერ უყვარდა მამა-პაპის მიწა-წყალი და მისი მოშორება სიკვდილად

მიიჩნდა თავისთვისაც და ჩვენს ხალხისთვისაც“. პ. უმიკაშვილი ასე ეთხოვება ამ დიდ ქართველს: „ვერც არავითარი ცრემლი, ვერც არავითარი მეტყველი ენა და კალამი ვერ გამოსახავს შენს და შენს მგავს ღვაწლს, კეთილო კაცო უსეინ-ბეგ, რაც საშვილიშვილო, საუკუნოდ მოსახსენებელი, საქართველოს საისტორიოდ საღაღადებელი, ქართულთ ქვეყნისთვის ძვირფასი საქმე მოიმოქმედე; ასი ათასი შვილი გადაურჩინე დედა ქვეყანასა... **იყავ უკუდავ მაგალითად ჩვენის შთამომავლობისათვის... იყავნ საუკუნოდ სახსენებელი, შენ, პატიოსანო, ერთგულო შვილო შენის ქვეყნისაო**“ (უმიკაშვილი, 1883).

აი, ასეთ ოჯახში, ასეთი ძმის გვერდით იყო აღზრდილი დუდი ხანუმ ბეჟანიძე – დიდი სელიმის რძალი, ახმედ ხიმშიაშვილის მეუღლე, შერიფ ხიმშიაშვილის დედა.

ქართული სულისკვეთებით აღზრდილ ქალბატონს მეუღლის – ახმედ ხიმშიაშვილის ოჯახშიც საქართველოს სიყვარულით გამთბარი ატმოსფერო დახვდა. იგი მეუღლესთან ერთად შენატროდა იმ დღის გათენებას, როცა დედის კალთას დაუბრუნდებოდა ისტორიული საქართველოს მიწა-წყალი: აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, შავშეთ-კლარჯეთი, არტაანი და ტაო.

დუდი ხანუმის პიროვნების სიდიადე დღემდე შემონახული არა მარტო ისტორიულ წყაროებში, არამედ ზეპირსიტყვიერების შედეგებშიც, თქმულება-ლეგენდაში. დუდი ხანუმისა და ახმედ ხიმშიაშვილის ოჯახში საქართველოს დაჭრილი სხეულის გაერთიანების, გამთლიანების ოცნება შლიდა ფრთებს.

ჭკვიანმა მანდილოსანმა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ რუსეთის არმიის დახმარებით შეიძლებოდა დაკარგული ისტორიული ქართული მიწების დაბრუნება. ამიტომაც თანაუგრძნობდა თავი მეუღლეს, მამაცსა და შეუპოვარ მეომარს, რომელსაც, ოფიციალურ პირთა სიტყვებით, მხოლოდ მას შეეძლო მორჩილებაში ჰყოლოდა დაუდგრომელი ხალხი. ახმედ ხიმშიაშვილის შესაძლებლობას, ნიჭს კარგად აფასებდა თურქი ისტორიკოსი ჯეფდეთი. იგი ნაშრომში – „თარიჰი ჯეფდეთი“ ახმედ ხიმშიაშვილს ახასიათებს როგორც მამის – სელიმის საქმის გამგრძელებელს, რომელმაც მოსახლეობა ზემო აჭარაში თურქეთის წინააღმდეგ ააჯანყა და მთავრობის რწმუნებული, ამ მაზრის უფროსი მუთესელიმი განდევნა აჭარიდან.

სამშობლოს ნათელი მომავლისათვის მოღვაწე ხიმშიაშვილთა საგვარეულო ოჯახის – დუდი ხანუმისა და ახმედ ხიმშიაშვილის სანუკვარი ოცნება სინამდვილედ ნაწილობრივ იქცა 1828–29 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრებისთანავე, როცა სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი დედა-სამშობლოს დაუბრუნდა.

ოცნების სრული გამართლება კი, მოგვიანებით, 1877–78 წლების ომის შემდეგ განხორციელდა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა დუდი ხანუმის იდეებზე აღზრდილმა შერიფ ხიმშიაშვილმა. 1878 წლის აგვისტოს ბოლოს ახალციხიდან ბათუმში მომავალ განმათავისუფლებელ რუსი ჯარისკაცების არმიას **გენერალ ტრეიტერის** ხელმძღვანელობით წინ მოუძღოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. მან ეს არმია გოდერძის უღელტეხილით გადმოიყვანა აჭარაში; მშვიდობიანად გამოატარა აჭარისწყლის გრძელი ხეობა. შერიფ-ბეგის პატივისცემითა და რიდით ერთი ტყვიაც არ გასროლილა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ბეგრ ვინმეს არ გაუხარდებოდა რუსეთის არმიის აჭარაში შემოსვლა. შერიფ ხიმშიაშვილი სიხარულით შემოუძღვა ბათუმში ამ არმიას; გამარჯვების ნიშნად ბათუმში დიდებული ღვინო გაიმართა. „ტოლუმბაშად“ შერიფ ბეგი აირჩიეს. ამის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს სამხედრო ჟურნალისტი ალ. ფრენკელი (ფრენკელი, 2012, გვ. 143–144; Василевский, 1880, გვ. 296).

დუდი ხანუმ ბეჟანიძისა და ახმედ ხიმშიაშვილის ოჯახში ქართული სული ტრიალებდა, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის სანთელი ენთო. დუდი ხანუმი ღარიბთა, ქვრივ-ობოლთა მფარველი და გამკითხავი იყო. მან ხშირად იცოდა მოწყალეების გაღება, გამოირჩეოდა ქველმოქმედებით. ხიმშიაშვილების სახელოვანი რძლის სახელი დღესაც ლეგენდებში ცოცხლობს აჭარის მთიანეთში. ღრმად მოხუცები დღესაც ჰყვებიან მამა-პაპათა მონათხრობს ამ კეთილშობილი მანდილოსნის შესახებ.

დუდი ხანუმი ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი, დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული მანდილოსანი გახლდათ. მას არაერთხელ გამოუვლენია ეს დადებითი თვისებები და მოუხიბლავს უცხოელებიც კი. ამ თემასთან დაკავშირებით შესანიშნავი წყარო გახლავთ ცნობილი პიროვნების **პოტტოს** დღიურები, აქტები და სხვა ისტორიული წყაროები. თავისი პიროვნების სიდიადე ამ ქალბატონმა კარგად გამოავლინა 1829 წლის აგვისტოს ბოლოს ზემო აჭარაში ვერაგულად შემოჭრილ ოსტენ-საკენტან დაკავშირებით (Porto, 1885, 96).

დუდი ხანუმ ბეჟანიძე ადრე დაქვრივდა; ქმარი, ახმედ ხიმშიაშვილი – ეზრუმის სერასკირი – 1836 წელს ეზრუმში ტრაგიკულად დაიღუპა. ზოგიერთი ცნობით, იგი ბაბა ფაშას მიმდევრებმა მოწამლეს. მას ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩა: შერიფი, ასლანი, ფატმა და დილდარი (Acar, 1995, გვ. 68).

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, სულთნის ბრძანებით აჭარის გამგებლობა დუდი ხანუმ ბეჟანიძეს დაევალა. იგი 14 წლის მანძილზე – 1836–1850 წლებში – იყო აჭარის გონიერი მმართველი. მეუღლის გარდაცვალების

შემდეგ-1836 წლისათვის მისი ვაჟიშვილი შერიფი მხოლოდ 7 წლისა იყო. მის დაეჯავახებამდე აჭარას თვითონ მართავდა. შერიფს მიაღებინა შესაბამისი განათლება ოსმალეთის სამეფო კარზე. ქართულ ენასა და ლიტერატურაში კი შვილს თვითონ წვრთნიდა. ოსმალეთის სამეფო კარზე მას ეხმარებოდა სულთან აბდულ მეჯიდის დედა-წარმოშობით ქობულეთელი თავდგირიძის ქალი, რომელიც ოსმალეთში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და იწოდებოდა **ბეზმი ალემ ვალიდე სულთანად ანუ ხალხის დედა-დედოფლად**. სწორედ ამ დიდბუნებოვანი ქალბატონის-ფადიშაჰის დედის წყალობით შეძლო დუდი ხანუმმა აჭარაში თანხიმათის კანონების შერბილება, 1844 წლის აჯანყების მშვიდობიანად დამთავრება და აჯანყებულთა ხელმძღვანელების სასჯელისაგან განთავისუფლება (ქასაბ, 2012, გვ. 140).

აჭარის წარსულის ეს მონაკვეთი მეტად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციებით გამოირჩეოდა. როგორც ცნობილია, 1844 წლიდან ოსმალეთის მთავრობა მთელს იმპერიაში შეუდგა ე.წ. თანხიმათის კანონების შემოღებას, მმართველობის რეჟიმის გამკაცრებას. დიდი ხნით ნახევრადვასალურ მდგომარეობაში ყოფნას მიჩვეული აჭარის მოსახლეობა ამ ფაქტმა ააღელვა. 1844 წელს აჯანყებამ მთელი აჭარა მოიცვა და ერთი წელი გრძელდებოდა. დუდი ხანუმ ბეჟანიძე მშობელი ხალხის წინაშე წარსდგა, როგორც ბრძენი მმართველი, დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული პოლიტიკოსი. მშობელი მხარის დასჯისაგან გადასარჩენად მან ბევრი იღვაწა.

დუდი ხანუმ ბეჟანიძე სტამბოლში რამდენიმე თვეს დარჩა სულთნის დედასთან და მისი დახმარებით **ოსმალეთის ხელისუფლებასთან თავისი ქვეყნის სასარგებლოდ მიაღწია შეთანხმებას**. აჭარის მოსახლეობა იხსნა ოსმალეთის ახალი რისხვისაგან, რაც ოსმალეთის იმპერიის სხვა ამბოხებულ რეგიონებში დიდი სიმკაცრით განხორციელდა. ამ შეთანხმებით აჭარის მოსახლეობა სამხედრო ბეგარისაგან გაათავისუფლეს და გადასახადების რაოდენობა შეუმცირეს. თანაც მალე დუდი ხანუმმა თავისი 15 წლის ვაჟიშვილი – შერიფი სტამბოლიდან ხულოს საგვარეულო სასახლეში ბეგის ტიტულით დააბრუნა. მან თავისი გონიერი საქმიანობით დაამშვიდა აჯანყებულები და აჭარას მშვიდობიანი ცხოვრება დაუბრუნა („ივერია“, 1899, № 203).

დუდი ხანუმი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული იყო. ოქრომკედით დაგვირისტებული ქარგვის საიდუმლოს ფლობდა. მისი ხელით ნაქსოვი ფარდაგები და ნაქარგობა დიდხანს ამშვენებდა ხიმშიაშვილთა სასახლეებს. რამდენიმე ერთეული დღემდე დაცულია სტამბოლელი და ბაქოელი ხიმშიაშვილების ოჯახებში და ძვირფას სამუზეუმე ექსპონატს წარმოადგენს.

ღუდი ხანუმი ბეჟანიძე საკმაოდ განათლებული, ქართულ მწერლობაში განსწავლული მანდილოსანი იყო. ბავშვობაში თავის ძმას – უსეინ ბეგ ბეჟანიძეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დაზეპირებაში ეჯიბრებოდა. იგი ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა არა მარტო თავის შვილებსა და შვილიშვილებს, არამედ მოსამსახურეთა ოჯახის წევრებსაც. მისი დარბაისლური ქართულის მაღლი ათბობს შერიფ ხიმშიაშვილის წერილებს, მის ნაფიქრ-ნააზრებს. ამ მხრივ აღსანიშნავია 1879 წლის 29 თიბათვეს არტაანში დაწერილი წერილი „გულწრფელი აღსარება“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“, 1879 წელს. ქართული პუბლიცისტიკის ეს შედეგური გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრმითა და მხატვრული ოსტატობით, მეტაფორული აზროვნების საუკეთესო ნიმუშებით, მოხდენილი ეპითეტებითა და შედარებებით, პატრიოტული სულისკვეთებით (ფუტკარაძე, 1989)..

სამართლიანად არის ნათქვამი: „ყოველი ხე ნაყოფითა მისითა იცნობებოდა“. მშობლების პროგრესულმა იდეებმა, ოჯახში შეთვისებულმა ქართული ლიტერატურის სიყვარულმა, შვილის სულიერ სამყაროში გაშალა ფრთები, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის საქმიანობაში განხორციელდა... 1879 წლის 19 ივნისს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი და არტაანის მაზრის მმართველი **მიხეილ მეფისაშვილი** სადილად იყვნენ მიწვეულნი თბილისში **თავად მელიქიშვილთან**. მასპინძელს შერიფისათვის უკითხავს: – ქართული ხომ არ დავიწყნიათ თქვენკენო. შერიფ-ბეგს უპასუხია: – რა ბრძანებაა, ბატონო! მთელს აჭარაში სულ ქართულს ღაპარაკობენ.

– წერა-კითხვა, – ბატონო ბეგო?

– მაგაში კი სუსტობენ: ალაგ-ალაგ კიდევ იციან ზემო აჭარაში, მაგრამ სხვაგან ძვირად... უფრო დედაკაცებმა იციან ქართული წერა-კითხვა“ („დროება“, 1879, № 26). ცხადია, უპირველესად, საყვარელ დედას გულისხმობდა შერიფ-ბერი, რომელმაც არა მარტო თავის შვილებს, არამედ შვილიშვილებსაც შეასწავლა ქართული წერა-კითხვა და მწიგნობრობა.

შერიფ ხიმშიაშვილს სწორედ დედამ შეაყვარა ხელოვნება, მხატვრობა, ხელოსნობა. **გ. ყაზბეგი**, რომელმაც 1874 წელს იმოგზაურა ზემო აჭარაში, ასე ახასიათებს შერიფს: „იგი ძალზე ჭკვიანია, კარგი მოუბარი და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული და, რაც მთავარია, ხელიდან ყველაფერი გამოუდის. ჩვენ ვნახეთ მისი გაკეთებული ხმალი, რომელსაც ოქროს ზარნიში და ვერცხლის შემკულობა აქვს. იარაღის ყველა წერილმანი ჩვენი მასპინძლის ხელითაა გაკეთებული. ეს კიდევ ცოტაა – ბევრა თვითონ ჩამოასხა სპილენძის პატარა ზარბაზანი; კაკლის ხისგან კი საკმაოდ ფაქიზად გააკეთა რამდენიმე სკამი და დივანი. გარდა ამისა, შერიფ-ბეგი

კარგი მხატვარიცაა; სახლის თითქმის ყველა კედელს მისი ნახატები ამშვენებს“ (ყაზბეგი, 1995, გვ. 44).

დუდი ხანუმის ხელსაქმეს სახელი ჰქონდა განთქმული. მისი ხელით ნაქსოვი ფარდაგები, ნაქარგი გულისპირები, დაგვირისტებული ყაბალახები, ხელმანდილები დიდხანს ინახებოდა ხიმშიაშვილთა ოჯახებში; ხიმშიაშვილთა გათხოვილი ქალიშვილების მზითვის წიგნებში საპატიო ადგილას იყო ჩაწერილი დუდი ხანუმის ხელსაქმის ნიმუშები, როგორც საგვარეულო რელიქვია. ერთ-ერთი, ასეთი მზითვის წიგნი დღემდე დაცულია ბაქოში მცხოვრები ფიქრიე ხიმშიაშვილის ოჯახში. ეს ისტორიული წყარო დაწერილია შერიფ ხიმშიაშვილის ვაჟის ჯემალ ხიმშიაშვილის მიერ; წარმოადგენს დუდი ხანუმის შვილიშვილის ნიგარ ხიმშიაშვილის საკუთრებას, რომელიც არტაანში იყო გათხოვილი.

დუდი ხანუმმა ოქრომკედით ანუ სირმა ძაფით ქარგვის ოსტატობა შეასწავლა არა მხოლოდ თავისი ოჯახის წევრებს – ქალიშვილებსა და რძლებს, არამედ მოსამსახურე ქალებსაც. როგორც ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, თავადაზნაურთა სასახლეებში ქალები ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ჭრა-კერვასა და ქარგვას დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებსაც. „არ იყო ისეთი სოფელი თუ დაბა, რომ ოსტატ დედაკაცებს სკოლა არ ჰქონოდათ“ (ჯანაშვილი, 1914, გვ. 142; დროება, 1880, №119). ეს ტრადიცია საქართველოში სათავეს უმთავრესად იღებდა დიდი თამარ მეფის სამეფო კარიდან. დუდი ხანუმის წინაპრები, ისტორიული წყაროების თანახმად, თამარ მეფის პირისმსახურები იყვნენ. აქედან მომდინარეობს გვარის სახელი „პირმსახურისძენი“, რომლებიც სახელოვანი შვილის ბეჟან პირმსახურის ძის შემდეგ ბეჟანიძეებად იქცნენ.

ცნობილი სასულიერო პირი, ისტორიკოსი დიმიტრი ჯანაშვილი, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაკვირვების საფუძველზე, ასეთ დასკვნას აკეთებდა: „საზოგადოება ისე კეთილად ვერა ზრდის და ვერ სწვრთნის კეთილ-ცხოვრებისათვის ადამიანს, როგორც ოჯახში დედაკაცი. ხალხს საზოგადო ზრდილობას და გაწვრთნილობას დედა-კაცი აძლევს ოჯახში... დედა და დედაკაცი არიან ნამდვილნი მწვრთნელნი და განმანათლებელნი ხალხისა. იმათ მოჰყავთ ხალხის ცხოვრება მოძრაობაში; იმათ ხელშია ემაწვილკაცობაში კაცის ბედი და უბედობა, მისი მომავალი. სწორედ ასეთი იყო ქართველი ქალების ისტორიული მნიშვნელობა წარსულში“ (ჯანაშვილი, 1914, გვ. 199–200). ეს სიტყვები ესადაგება დუდი-ხანუმ ბეჟანიძის საქმიანობასა და ღვაწლს, გაწეულს აჭარაში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში.

დუდი ხანუმი არა მარტო ნიჭიერი პოლიტიკოსი, არამედ გამორჩეული ღვთისმსახურიც იყო. მისი რიდით სხალთის ეკლესიას ავი თვალით ვერავინ შეხედავდა. სხალთის უძველესი საყდარი ხიმშიაშვილების სასახლესთან ახლოს დგას. სახელოვანი ქალბატონი ეკლესიის ხშირი სტუმარი და ნამდვილი ჭირისუფალი იყო; მის ბებერ კედლებს ედგა ერთგულ დარაჯად. მამისეული ოჯახიდან გამოყოფილ ბებერ ქრისტიანულ რიტუალსა და ტრადიციას ხიმშიაშვილების ოჯახშიც იცავდა. ისტორიული წყაროებისა და ხალხური გადმოცემების თანახმად, ხიმშიაშვილები მე-18 საუკუნის ბოლომდე და მე-19 საუკუნის 20-იან წლებამდე ქრისტიანული აღმსარებლობისანი იყვნენ. ეს კარგად ჩანს სელიმ ხიმშიაშვილის წერილებიდანაც (ფუტკარაძე, 2014, გვ. 358–360; ფუტკარაძე, 2006, გვ. 4–5). დუდი ხანუმის სიცოცხლეში სანთლის შუქი და სითბო არ მოჰკლებია დაობლებულ სხალთის საყდარს.

ასეთივე სიყვარული აკავშირებდა მას ხულოს ეკლესიასთანაც. მართალია, მისი მეუღლე, ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მესხეთ-ჯავახეთის გამგებელი – ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი ოფიციალურად, სამსახურობრივი მდგომარეობის გამო, მუსლიმანური რწმენისა გახლდათ, მაგრამ ხულოს ტაძარში სიარულსა და მისთვის ზრუნვას არ უშლიდა მეუღლეს – დუდი-ხანუმ ბეჟანიძეს. სამწუხაროდ, 1829 წლის აგვისტოს ბოლოს ზემო აჭარაში გენერალ ოსტენ-საკენის ხელმძღვანელობით ვერაგულად შემოჭრილ რუსის ჯართან შეტაკების დროს ხულოს უღამაზესი ეკლესია დაიწვა, დაინგრა; განადგურდა საეკლესიო ნივთები და ხატები (Потто, 1885; გვ. 96; 394–398).

დუდი ხანუმ ბეჟანიძე ღვთის სიყვარულს უნერგავდა შვილებსა და შვილიშვილებს. სხალთის ტაძრისადმი პატივისცემა და სიყვარული დუდი ხანუმის შვილებზე, შვილიშვილებზე და ადგილობრივ მოსახლეობაზედაც გადადიოდა. სხალთის ეკლესიის გადარჩენას მეტწილად მის სახელს უნდა ვუმაღლოდეთ. მოგზაურთა ცნობით, შერიფ ბეგის სიცოცხლეში ტაძარი საკმაოდ კარგად ყოფილა მოვლილი და შენახული. სხალთის ტაძრისადმი პატივისცემა და მოკრძალება გახდა შემდეგში იმის საფუძველი, რომ შერიფ ხიმშიაშვილმა პეტერბურგში ყოფნის დროს შეძლო სარწმუნოების გამოცვლა, ქრისტიანულად მონათვლა. როგორც ჩანს, იგი შინაგანად, სულიერად უკვე მზად იყო ასეთი ნაბიჯისათვის. მას ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარული და პატივისცემა სხალთიდან გაჰყვა პეტერბურგში.

ისტორიული წყაროების თანახმად, 1883 წელს შერიფ ბეგი, დედის ძმასთან უსეინ ბეგ ბეჟანიძესთან, უსეინ-ბეგ აბაშიძესთან, თეოლოგიის პროფესორ ლომან-ეფენდი ქარცივაძესთან და სხვა დიდებულებთან ერთად, მიწვეული იყო პეტერბურგში ალექსანდრე მესამის საიმპერატორო კარზე. იგი ქრისტიანულად მონათლა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ.

შერიფის ნათლობის სახელიც „ალექსანდრე“ იყო. მან პეტერბურგში ყოფნის დროს გაიცნო ალექსანდრე მესამის მეუღლის – დედოფალ მარია თეოდორეს ასულის ბიძაშვილი, დანიის მეფის ქრისტიან IX-ის ძმის შვილი და მასზე იქორწინა. ცნობილია, რომ ჯვრისწერისა და ნათლობის ცერემონიალი რუსეთის სამეფო კარზე გაიმართა დედოფლის თაოსნობით. მალე მონათლული შერიფი ჯვარდაწერილი მეუღლითურთ სხალთაში დაბრუნდა. რამდენიმე ხანს ეს ქალბატონი გახლდათ სხალთის ტაძრის მზრუნველი.

დუდი ხანუმის პიროვნება ჭეშმარიტად ნათელ ფურცელს ჰმატებს ქართველი ქალების გმირული ცხოვრების ისტორიას; იგი სამშობლოს ნათელი მომავლისათვის მუხლჩაუხრელი ზრუნვის მაგალითია; შთამომავლობა მისგან „თელილ“ გზას უნდა გაჰყვეს.

„აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“, – უთქვამს ლაიბნიცს. ჩვენი აწმყოც დიდებულ ფესვებზეა აღმოცენებული და გვეამაყება დიდად. ამიტომაც მტკიცედ გვჯერა ნათელი მომავლისა. დიდებული მანდილოსნის–დუდი ხანუმ ბეჟანიძის ფესვებზე ამოზრდილი იყო ცნობილი ქალბატონი **ფიქრიე ხიმშიაშვილი**, დუდი ხანუმის შვილიშვილის – ჯემალ ხიმშიაშვილის ქალიშვილი. ფიქრიეს დედა–**საადეთ ბეჟანიძე** თავის გვარში გამორჩეული ასული იყო, კდემამოსილი, ქართული ლიტერატურის მცოდნე, განათლებული. მან შეასწავლა თავის შვილებს ქართული წერა–კითხვა, ჩაუნერგა სამშობლოს სიყვარული.

ფიქრიე ხიმშიაშვილი, დედისა და დიდედის მსგავსად, სილამაზით ქებული, შესანიშნავი მექართულე, განათლებული ქალბატონი გახლდათ; ექვს ენას ფლობდა. ქართულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, ფრანგულ, არაბულ, რუსულ ენებზე თავისუფლად შეეძლო საუბარი. კარგად იცნობდა ამ ენებზე შექმნილ მხატვრულ ლიტერატურას. იყო დაგვირისტებული, ოქრომკედით მქარგავი, მქსოველ–დეკორატორი, მუსიკისა და მხატვრობის მოტრფიალე და მცოდნე. იგი მე–20 საუკუნის 20–40–იან წლებში ბევრი ქართველი ვაჟკაცის ტრფობის საგანი გამხდარა. მაგრამ თვითონ მას პირად ცხოვრებაში სრულყოფილ ბედნიერად თავი მხოლოდ 3–4 წლის მანძილზე თუ უგრძნია. პირველი ქორწინება ხანმოკლე და უბედური გამოდგა. მისი მეუღლე შორეული მოგვარე, ცნობილი პიროვნება – **თახსიმ ხიმშიაშვილი** – ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი შეიქმნა. გაზეთ „**სამუსლიმანო საქართველოს**“ ერთ–ერთი რედაქტორი, ახლადჩამოყალიბებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაბული ენის მასწავლებლად ა. შანიძის მიერ მიწვეული, უგანათლებულესი პიროვნება, ხუთი ენის საუკეთესო სპეციალისტი (ქართული, არაბული, ოსმალური, ფრანგული, რუსული) ბოლშევიკურმა რეჟიმმა სასიკვდილოდ გაიმეტა. გადმოცემის თანახმად, ჯერ

სამსახურიდან დაითხოვეს, შემდეგ კი იგი მოწამლეს, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ეგუებოდა, ბოლშევიკური ხელისუფლების იდეოლოგია არ მოსწონდა.

ახალგაზრდა ულამაზესი ქალბატონი, ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის ქალიშვილი – ფიქრიე აჭარიდან განდევნეს; თბილისში გაასახლეს. მას სასტიკად ეკრძალებოდა აჭარაში ჩამოსვლა, მამა-პაპისეულ სახლში ცხოვრება. ერთხანს ულუკმაპუროდ დარჩენილი ხელსაქმით ირჩენდა თავს: ნაქარგებს, ნაქსოვებს, სათამაშო თოჯინებს ამზადებდა გასაყიდად; მთელი დღე ქუჩაში იდგა, ყიდდა თავის ნახელავს და ისე შოულობდა სარჩოს. ღვთის წყალობით, დედის ნათესავის – ნარგიზ ბეჟანიძის ბინაში ათევდა ღამეს.

...დრო გადიოდა დუხჭირ წუთისოფელში, „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს“ წუთისოფლის მარწუხებში მოქცეულ კეთილ ადამიანებს; და ასეც მოხდა. თბილისში მაშინ, 1924–28 წლებში, უნივერსიტეტში სწავლობდა აზერბაიჯანელი სტუდენტი, ყარაბაღელი ბეგის შვილი ილიუშა ახუნდოვი. მას შეუყვარდა ულამაზესი ფიქრიე და ცოლად შეირთო; ისინი ბაქოში დასახლდნენ და შესანიშნავი ოჯახი შექმნეს, შვილები შეეძინათ.

ფიქრიე ხიმშიაშვილს გული მაინც აჭარისკენ, ხულოსკენ მოუწევდა; დარდობდა, აჭარაში ჩამოსვლა რომ ეკრძალებოდა დიდხანს. მთელი სიცოცხლე აჭარის თბილ მიწას ოცნებით ეფერებოდა, დედის-საადეთ ბეჟანიძის საფლავი ესიზმრებოდა, მამისეული 180 წლის სახლი ენატრებოდა. სტამბოლელი ხიმშიაშვილების თხოვნით, მე მის სანახავად 1998 წლის აპრილში ბაქოში ჩავედი, გავეცანი ოთხმოცდაცხრამეტი წლის ქალბატონს და აღფრთოვანებული დავრჩი მისი გამძლეობით, სამშობლოს სიყვარულის ჩაუქრობელი გრძნობით. მან გადმომცა წინაპართა ფოტოსურათებისა და სამუზეუმო ექსპონატების ორიგინალები, რომელთა ასლები დღეს ამშვენებს აჭარაში არსებულ ხიმშიაშვილთა მუზეუმებს; სურათების ორიგინალები კი ჩემს არქივშია დაცული.

ფიქრიე ხიმშიაშვილის ოცნება იყო ხულოში, მამაპაპისეულ ისტორიულ, 180 წლის სახლში **სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის გახსნა**. მას სურდა თავის ოჯახში შემონახული ისტორიული წყაროები (მზითვის წიგნი, წერილები, საქმიანი ქაღალდები) ამ მუზეუმისთვის გადაეცა. დღეს ეს საუნჯე ბაქოში **ორჰან და საადეთ ახუნდოვების** ოჯახებშია დაცული. აქვეა ძვირფას ჩარჩოებში ჩასმული ოქრომკედით შესრულებული, დაგვირისტებული ნაქარგობის ნიმუშები. როგორც ცნობილია, ქარგვის ოსტატობის ეს სახეობა მომდინარეობს თამარ მეფის სასახლიდან. ამ ოსტატობის ნიმუშები შენარჩუნებული ჰქონდათ აჭარელ პირმსახურისძეებს (ბეჟანიძეებს). დუდი ხანუშის მეშვეობით, ამ ხელოვნებას ეზიარა

ხიმშიაშვილთა საგვარეულოც. ამ საუნჯის დაკარგვას შთამომავლობა არ გვაპატიებს...

ხიმშიაშვილთა საგვარეულო სახლში დაბადებულ ქალბატონებს შორის სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გამოირჩევა **მელაათ ხიმშიაშვილი**, დედი ხანუმ ბეჟანიძის შვილთაშვილი, შერიფ ბეგის შვილიშვილი.

მელაათ ხიმშიაშვილზე საუბრის დროს, უნებურად მახსენდება ცნობილი ნოველისტის, სახელოვანი მწერლის, ნიკო ღორთქიფანიძის მინიატურა „გული“. მოგეხსენებათ, მასში სულ რამდენიმე სტრიქონით ნაჩვენებია თავგადასავალი უცხოეთში გადახვეწილი ქართველისა, სამშობლოზე დარდს რომ ვერ გაუძლო, დასნეულდა და ნაადრევად გარდაიცვალა. მეგობრებმა გვამი გააკეთინეს; ნახეს, რომ მკვდარს გული აღარ ჰქონდა. სამშობლოზე სევდას გული ფერფლად ექცია. დარწმუნებით შემოძლია ვთქვა: მელაათ ხიმშიაშვილის ცხედარიც რომ გაეკეთათ, გულის მაგივრად ფერფლი დახედებოდათ.

... მელაათი დაიბადა ზემო აჭარის უღამაზეს ადგილას, დაბა ხულოში 1922 წლის 14 ივნისს, ჰაჯი **ალი სეიდიშვილის – ხიმშიაშვილის** ოჯახში. მამა გაჭრობას მისდევდა; სტამბოლიდან სამრეწველო საქონელი ჩამოჰქონდა აჭარაში და იმით ახერხებდა ოჯახის შენახვას, ხიმშიაშვილთა დიდი გვარის სიძეობას. გულისხმიერი, თავაზიანი, სტუმართმოყვარე პიროვნება ხიმშიაშვილთა საყვარელი სიძე გახლდათ.

მელაათის დედა, ქალბატონი **მინირე** ხიმშიაშვილთა სახელოვანი შვილის – შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის ქალიშვილი იყო, **დანის მეფის ქრისტიან IX-ის (1818–1906) ძმის შვილიშვილი**.

შერიფ ხიმშიაშვილი 1880 წელს პეტერბურგში მიიწვია რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ (1855–1881 წ.წ.), აჭარისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეების დაბრუნების საქმეში გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად. პეტერბურგში ყოფნის დროს შერიფის პირად ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა...

შერიფი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, აჭარიდან, პირველი ქართველი მუსლიმანი გახლდათ, რომელიც პეტერბურგში ქრისტიანულად მოინათლა. იგი მონათლა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ (1881–1894). ნათლობის სახელიც მეფემ შეურჩია – **ალექსანდრე**. მალე შერიფმა ჯვარი დაიწერა **ნადეჟდა დავმარაზე-დანიელ პრინცესაზე**, რომელიც იყო რუსეთის დედოფლის მარია თეოდორეს ასულის ბიძაშვილი, დანის მეფის – ქრისტიან IX ძმიშვილი და ამ გზით რუსეთის იმპერატორს დაუმოყვრდა. აღნიშნული ქორწინებით ხიმშიაშვილთა საგვარეულო, აგრეთვე, დაუახლოვდა ინგლისისა და დანის სამეფო კარებს (ინგლისის დედოფალი ალექსანდრა იყო მარია თეოდორეს ასულის და).

ალექსანდრე მესამის მეუღლეს – **მარია თეოდორეს ასულს** სასახლეში სეფექალთა ამაღლა ჰყავდა. ამ ამაღლის საპატირო წევრი იყო **ნა-**

დეჟდა (ნადია) დაგმარა. რუსეთის იმპერიის დედოფალი, **დანიის მეფის, ქრისტიან IX-ის** (1818–1906) ქალიშვილი **მარია თეოდორეს ასული** ნადეჟდას **ღვიძლი ბიძაშვილი** იყო; შერიფ ხიმშიაშვილის ნათლობისა და ჯერისწერის დღესასწაულები სამეფო კარმა რომანოვების სასახლეში გადაიხადა.

ამიერიდან რუსეთისა და დანიის სამეფო კარი დაუმოყვრდა აჭარის მმართველ გვარს–ხიმშიაშვილებს. ეს მოყვრობა გაგრძელდა 1917 წლის თებერვლამდე, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის შვილის–**ნიკოლოზ მეორის (1894–1917 წ.წ.) გადადგომამდე**. იმ მძიმე დღეებში **ალექსანდრე მესამის ქვრივი, ნიკოლოზ მეორის დედა – მარია თეოდორეს ასული (დაგმარა)** ისვენებდა ლივადიაში (ყირიმის ოლქი, იალტასთან ახლოს), მეურნალობდა კარდიოლოგიურ სანატორიუმში. რუსეთის სამეფო კარის განადგურებამ, შვილის – **ნიკოლოზ მეორის წამებულმა სიკვდილმა**, დაამძიმა დედოფლის ჯანმრთელობა. მას, როგორც **დახვრეტილი ნიკოლოზ მეორის დედას** საფრთხე შეექმნა.

ინგლისის მაშინდელმა დედოფალმა **ალექსანდრამ (1844–1925 წწ.)** სამხედრო კრეისერი „**მარლბორი**“ გამოგზავნა ოდესაში, ლივადიაში, **თავისი დის – ნიკოლოზ II-ის დედის ლონდონში წასაყვანად**. რუსეთის იმპერიის ყოფილი დედოფალი **მარია თეოდორეს ასული თავისი ამალით შეიფარა ინგლისის სამეფო კარმა**. ამ ამალაში ირიცხებოდა **შერიფ ხიმშიაშვილის ქვრივიც – ნადეჟდა (ნადია) დაგმარა**. როგორც ცნობილია, შერიფი გარდაიცვალა პეტერბურგში 1892 წლის ზამთარში. ასე დაშორდა **ნადია დაგმარა** თავის ერთადერთ ქალიშვილს – **მინირეს**, რომელიც მაშინ სტამბოლში ცხოვრობდა ქმართან ერთად.

მალე ოსმალეთშიც დამძიმდა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ევროპის ძლიერი სახელმწიფოები, ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, ცდილობდნენ სტამბოლის დასაკუთრებას. **ჩანაქქალესთან** გამართულ ბრძოლაში (1915 წელს) ოსმალეთის მტრები დამარცხდნენ, მაგრამ სახელმწიფოს მმართველმა ორგანოებმა ვეღარ შეძლეს ხელისუფლების შენარჩუნება; ბოლო იმპერატორმა (ფადიშაჰმა), დედით ქართველმა–სულთან **მეჰმედ ვაჰიდუდინმა** (1918–1922) სამეფო ტახტი დაკარგა.

ოსმალეთის იმპერიის გულში აღმოცენდა ახალი ძლიერი სახელმწიფო – **თურქეთის სახალხო რესპუბლიკა, ქემალ ათათურქის** მეთაურობით.

თურქეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო მეღაათის დედ-მამა საცხოვრებლად სტამბოლიდან ხულოში გადავიდა, **ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის** ოჯახში. ე.ი. ძმამ შეიფარა დის – მინირეს ოჯახი. 1922 წელს მეღაათი დაიბადა. იგი ხულოში ცხოვრობდა 1935 წლამდე; მან აქ მიიღო დაწყებითი განათლება.

ბოლშევიკური მმართველობის მძიმე პერიოდმა მის თვალწინ გაიარა. მეღაათს ბოლომდე დაწვრილებით ახსოვდა ყველაფერი: ბოლშევიკები

როგორ ავიწროებდნენ ხიმშიაშვილთა ოჯახებს, უმოწყალოდ ძარცვავდნენ, სიკვდილით ემუქრებოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ; აბუხად ივდებდნენ ადებსა და ბეგებს (აზნაურებსა და თავადებს). სწორედ მაშინ განადგურდა საზოგადოების მოწინავე ნაწილი, განათლებული ქართველობა: ბევრი განუკითხავად დახვრიტეს, დახოცეს, ციმბირში გადაასახლეს, სადაც, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, მალე დაიხოცნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ობიექტურადაა შეფასებული ხიმშიაშვილთა დეაწლი და დამსახურება სამშობლოს ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში. თურქეთში იძულებით გახიზნულა ხიმშიაშვილების გვარი. „თურქეთისა და რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული, სამშობლოს გადასარჩენად იღვწოდა და მწვავედ იწვნია რეპრესიების სუსხი – მათ სიკვდილით სჯიდნენ, უწვავდნენ სახლ-კარს, ასახლებდნენ. მიუხედავად ამისა, თურქეთში მცხოვრებმა ხიმშიაშვილებმა დღემდე მოიტანეს თავისი გვარის ღირსება“ (ლორთქიფანიძე, 2004, 6).

მელაათის მშობლები იძულებული გახდნენ 1935 წელს დაეტოვებინათ აჭარა და ყარსში გადასულიყვნენ. მათ მოინახულეს ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ხიმშიაშვილები, ამ მხარეების გამგებლები. **ოღთისში, ტაოსკარში, შავშეთში, არტაანში, არტანუჯში, ფოცხოვში** მცხოვრები ხიმშიაშვილები – ამ მხარეების ყოფილი გამგებლები – მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. მალე თურქეთის მთავრობამ ისინი გადაასახლა შიდა თურქეთში და გაფანტა. შემდეგ წლებში ნელ-ნელა წელში გაიმართნენ და სტამბოლში, ანკარაში, ბურსაში გადმოსახლდნენ, რათა შვილებისათვის მიეცათ შესაბამისი განათლება.

ქალბატონი მელაათი დიდი სიყვარულით იგონებდა ხულოში გატარებულ ბავშვობას. მას ხულოს საბაზო სკოლაში ჰქონდა მიღებული დაწყებითი განათლება. ხშირად იხსენებდა **ნინო მასწავლებელს**, რომელმაც ქართული წერა-კითხვა ასწავლა. მისი მადლით ცხებულს ღრმა სიბერეშიც კი ახსოვდა „**დედა ენის**“ ლექსები, ქართული წერა-კითხვა; უყვარდა ქართული ლიტერატურა..

მელაათ ხიმშიაშვილმა დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტი. მიიღო დაწყებითი სკოლის მასწავლებლის სპეციალობა. პენსიაზე გასვლამდე მასწავლებლობდა. ძალიან უყვარდა ბავშვები. თავის ენერგიას უანგაროდ ახმარდა მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს. **ნათესაების ბავშვებს ასწავლიდა ქართულ ენას, ქართულ წერა-კითხვას, საქართველოს ისტორიას. სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლებში აღვივებდა ისტორიული სამშობლოს სიყვარულს.** მთავრობისაგან მიღებული ჰქონდა სიგელები და ჯილდოები. სიკვდილამდე იღებდა დამსახურებული პედაგოგის პენსიას.

სარფის კარის გახსნის შემდეგ, 1990 წლის შემოდგომაზე, ძმის შვილიშვილთან, **ენვერ ხიმშიაშვილთან** ერთად, ესტუმრა სამშობლოს; მოია-

რა მშობლიური ადგილები. მომდევნო წლებშიც რამდენიმეჯერ გაახარა გული სამშობლოს ნახვით. თუმცა მონატრების გრძნობა მაინც დაუკმაყოფილებელი დარჩა. სულ ენატრებოდა მშობლიური კუთხე, სამშობლოს დედუ-ღურდანი; ბარში – კოპწია ბათუმი, ღილისფერი თვალხატულა ზღვა. მთაში კი... ხულოს სასახლის ეზო-კარში გავლაზე ოცნებობდა. შადრევანთან მდგარი ხეების ჩეროში ჩამოჯდომა ენატრებოდა. სასახლის სასტუმრო დარბაზში მდგარ, პეტერბურგიდან პრინცესა ელიზავეტას მიერ ნაჩუქარ პიანინოს კლავიშებთან გათამაშება სწყუროდა. პაპისეულ მაღალ სარკეში ჩახედვას ნატრობდა და თანაც იღიმებოდა: „იმ სარკეში ჩემს ახალგაზრდობას დავინახავ... წლები მხრებიდან ჩამომცვივდება, ნაოჭები გამისწორდება, კვლავ ისეთი მოსაწონი შევიქმნები, ოდესღაც თაყვანისმცემლებს რომ ვუნახივარ და ამღერებულან: **„მიყვარს ვარდი, მომწონს ია, ბეგის ქალმა გადამრიაო“**“.

ენატრებოდა ხულო, სხალთა, ნიგაზეული; სხალთის წყალში ჩაძირული მთვარე; ხულოს სასახლის ბაღის ძველი შადრევანი, სხალთის ტაძარი, ხულოს ძველი მეჩეთი, წინაპართა საფლავები, ხულოს გაღმა დამცავი კედელივით აღმართული არგინეთის ქედი....

ბეგის უკუღმა ტრიალს რომ ასცდენოდა მეღაათის ცხოვრება, ვინ იცის, როგორ ამალდებოდა იგი საზოგადოებრივ სარბიელზე, დანიის, რუსეთისა და ინგლისის სამეფო ოჯახების, ხიმშიაშვილთა სახელოვანი გვარის შთამომავალი, მუსიკისა და მხატვრობის მცოდნე და მოყვარე, დეკორატიული ქსოვისა და დავვირისტებული ქარგვის ოსტატი, ქართული ჩუქურთმის მესაიდუმლე...

მშობლიურ კერას მოშორებული, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონების – **ფიქრიე და მეღაათ ხიმშიაშვილების** ოცნება იყო დაბა ხულოში, დიდი სელიმ ხიმშიაშვილისა და მისი შთამომავლების ისტორიულ, 180 წლის სახლში, **სამშობლოს ერთიანობისათვის თავშეწირული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმის გახსნა**. ორივე ქალბატონის ანდერძის თანახმად, მათ საცხოვრებელ ბინებში (ბაქოში, სტამბოლში) დაცული საარქივო მასალები და სამუზეუმო ექსპონატები ნაანდერძეა აღნიშნული მუზეუმისათვის. ღვთის შეწევნით, ეს მუზეუმი მართლაც გაიხსნება ხიმშიაშვილთა საგვარეულო სახლში, დაბა ხულოში და ეს ძვირფასი საუნჯეც იქ დაიდებს ბინას.

ბაქოსა და სტამბოლში უცხო, ცივ მიწას მიბარებული მათი სულები, ალბათ, მხოლოდ მაშინ დაისვენებენ და ზეციური საქართველოდან დალოცავენ მიწიერ საქართველოს. ჩვენც თხოვრას დავასრულებთ ასევე უცხო, ცივ მიწაში მიბარებული გენიოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებით: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!“...



შერიფ ხიმშიაშვილის შეილიშვილი მელაბი ხიმშიაშვილი და
შვილთაშვილი შუშანა ფუტკარაძე



შერიფ ხიმშიაშვილის შთამომავლებთან ქალაქ სტამბოლში



შერიფ ხიმშიაშვილის შეიღიშვილი ფიქრე ხიმშიაშვილი



შერიფ ხიმშიაშვილის რძალი საადეთ ბეჟანიძე – ჯემალ ხიმშიაშვილის მეუღლე

გამოყენებული ლიტერატურა

1. უმიკაშვილი, 1883: უმიკაშვილი პეტრე, `უსეინ-ბეგ ბეჟანოღლი“, გაზეთი „დროება“, №60, თბილისი, 1993;
2. ფრენკელი, 2012: ფრენკელი აღ., ნარკვევები ჩურუქსუზე და ბათუმზე, თბილისი, 2012;
3. Василевский, 1880: Василевский Н., От Ахалциха через Годерзский перевал до Батума, см. «Военный сборник», №12, стр. 296, 1880, С. Петербург;
4. Потто, 1885: Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, С. Петербург, 1885;
5. Acar, 1995: Ahmet Acar, TARIHTE HAMŞİOĞLULARI, Ankara, 1995;
6. ქასაბ, 2012: მურად ქასაბი, ოსმალეთის ქართველები, Istanbul, 2012;
7. ფუტყარაძე, 1989: ფუტყარაძე შ., დუდი ხანუმი აჭარის მმართველი, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 25 აპრილი, ბათუმი, 1989;
8. ყაზბეგი, 1995: ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995;
9. ხიმშიაშვილი, 1879: ხიმშიაშვილი შერიფ, „გულწრფელი აღსარება“, იხ. გაზეთი „დროება“, №26, თბილისი, 1879;
10. ჯანაშვილი, 1914: ჯანაშვილი დ., „ისტორიული სურათები“, გორი, 1914;
11. ფუტყარაძე, 2006: ფუტყარაძე შ., ჩვენებურების სულიერი საგანძური: „ნაწერი განძად დარჩების“, გაზეთი „სხალთის ზარები“, №2 (23), ბათუმი, 2006;
12. ლორთქიფანიძე, 2004: ლორთქიფანიძე ქვევთან, ლორთქიფანიძე გურამ, „ამჟელ აჯარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია, თბილისი, 2004.

Shushana Putkaradze

Doctor of Philological Sciences, Professor Emeritus

Women from the Khimshiashvili Family

Summary

Georgian women wrote many glorious pages in the centuries-old history of the Georgian nation. They stood as strong pillars of families and motherland during the longtime history of Georgia. Georgian women, distinguished by their chastity and faith were considered as desired brides even by the neighboring nations. As a confirmation to this the article gives a didactic verse by a 17th century Turkish poet Niyazi Misri in which the poet praises Georgian women and advises his son to marry a virtuous Georgian woman. And indeed, Georgian women beautified the

royal courts of Byzantium, Iran, the Seljuk and the Ottomans. They used to be the queens of high cultural and educational background, philanthropic, benevolent and charitable, as the historical sources mention about them (Martha-Mariam Bagrationi, Tamar Bagrationi – Gurji Khatuni, Tamta Atabagi, the daughter of Meskhian Shalikashvili, Mihri Shah Sultan, Bezmi Alem Valide sultan, etc.).

Apart from beauty and tenderness the Nature granted Georgian women with heroic spirit as well. They often fought beside the men for the defense of their motherland and bright future. They used to be martyrs for national ideals as well as tender lady-loves; they used to bear the names of mother-heroes, crowns of powerful queens and kerchiefs of honorable women. Our ancestors have always associated the feelings of beauty, virtue, kindness, love and motherhood with women. This national consciousness has respectively been reflected in the Georgian language. The language compares Georgian women with celestial luminary bodies, flowers, roses and light. The attitude towards women reflects the high inner culture of the Georgian nation, humanism, veneration of women and high spirituality. All this is reflected in the Georgian language. In this respect especially interesting are the words “gatkoveba” – “giving away as bride” and “meughle” – “a spouse”. The article deals with the contents and meaning of these words, the principle of naming as well as the richness of the language.

After a general introduction the article deals with the outstanding women living and working in the famous family of the Khimshiashvilis in Georgia. The readers get acquainted with Dudi Khanum Bezhanidze. I am her first researcher. On the basis of the information delivered by the Khimshiashvilis immigrated to Turkey as well as the sources found in Georgia I have presented the contribution of this historical lady to the Georgian society for the first time (see “Dudi Khanum – the Ruler of Ajara”, newspaper “Sabchota Achara”, 25 April, 1989, p.4). Dudi Khanum Bezhanidze was the daughter-in-law to Selim Pasha Khimshiashvili, the wife of his son – Ahmed Pasha Khimshiashvili. She was the ruler of Ajara in 1836-1850 until her son Sherif Beg Khimshiashvili became of the legal age. With her wise command she evaded Ajara - confined within the Turkish borders – from many troubles.

The article also deals with the main biographical episodes from the lives of Sherif Beg Khimshiashvili's grandchildren – Pikrie Khimshiashvili and Melaat Khimshiashvili. These women were of tragic fate. They became the victims of the Bolshevik repressions. Pikrie Khimshiashvili died in Baku, while Melaat died in Istanbul.

All these three women of the Khimshiashvili family living and working in emigration were distinguished by physical and spiritual beauty and faithful love towards their motherland. New generations should be raised on the examples of such glorious Georgian women.

Шушана Путкарадзе

Знаменитые грузинские женщины из рода Химшиашвили

Резюме

Грузинские женщины вписали много славных страниц в многовековую историю грузинской нации. Они всегда твёрдо стояли на страже интересов семьи и родины. Отличавшиеся честностью и преданностью грузинки всегда считались желанными невестами для соседних народов. Долгое время они были украшением византийских, иранских, сельджукских, османских и других царских дворов. Многие из них стали супругами царствующих особ и отличались умом, образованностью, человеколюбием, дипломатическими способностями, любовью к искусству (Марта – Мариам Багратиони; Гурджи-хатун – Тамар Багратиони; Тамта Атабаги; Михри-шах Султан; Безм-и-Алем Валиде Султан и др.).

Отличавшихся красотой и добродетелью, грузинских женщин природа наделила героическим духом. В борьбе за свободу и светлое будущее отечества они стояли плечом к плечу с самыми отважными из мужчин и часто принимали мученическую смерть, борясь за национальные идеалы. Но в то же время грузинки были нежными возлюбленными, многие - матерями-героинями, а некоторые из них даже носили корону могущественных царей.

Женскую сущность наши предки всегда связывали с красотой, добротой, любовью и материнскими, возвышенными, божественными чувствами. Такое национальное видение нашло соответствующее отражение в грузинском языке, в котором женщина сравнивается с небесными светилами, цветком, розой, светом.

Через отношение к женщине выражается внутренняя культура грузинского языка, гуманизм, уважительное отношение, высокая духовность. Всё это находит своё отражение в грузинском языке. В этом отношении примечательны слова: *გაიხიზება* [выйти замуж] и *მეუღლე* [супруг(а)]. В данной работе говорится о содержании этих слов, о принципах именования, о величии грузинского языка.

После общего вступления в статье даются краткие биографии замечательных грузинок, представительниц одной из известных грузинских фамилий – Химшиашвили. Читателю предлагается познакомиться с образом, жизнью и деятельностью госпожи Дуди-ханум Бежанидзе, которая была невесткой борца за

единство Грузии, героя-мученика Селима Химшиашвили. Показан её вклад в дело борьбы за светлое будущее родины.

В статье читатель познакомится также с основными эпизодами биографии внучек Шериф-бега Химшиашвили Пикрие и Мелаат Химшиашвили. Мелаат Химшиашвили была внучкой датской принцессы Надежды Дагмара, которая в свою очередь являлась двоюродной сестрой императрицы Марии Фёдоровны (супруги императора Александра III). Сестра же Марии Фёдоровны Александра была английской королевой (супругой короля Эдуарда VII). Таким образом, род Химшиашвили находился в родственных отношениях с российским, датским и английским царскими домами.

Все три представительницы рода Химшиашвили отличались физической и духовной красотой и были стойкими борцами за светлое будущее своей родины. Именно на примере таких грузинских женщин должно воспитываться будущее поколение.

ნოდარ კახიძე

*ნიკო გერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

აჭარა—მაჭახელი პირველი მსოფლიო ომის წლებში

2014 წლის აგვისტოში აღინიშნა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების 100 წლისთავი. ეს იყო მანამდე არნახული მასშტაბის ომი, რომელიც 4 წელზე მეტხანს გრძელდებოდა. ომმა მოიცვა 40-მდე სახელმწიფო 70 მილიონზე მეტი მოსახლეობით და შთანთქა დიდძალი მატერიალური რესურსები ადამიანთა და სამხედრო ტექნიკის სახით, რითაც უზარმაზარი ზარალი მიაყენა მეომარ ქვეყნებს. ომმა შეიწირა 100 მილიონამდე ადამიანი დაღუპულთა, დაკარგულთა და დაჭრილ-დასახინრებულთა სახით.

პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა რუსეთ-თურქეთის ფრონტი, რომელმაც მაშინდელი მთელი ბათუმის ოლქი მოიცვა. თურქეთი ამ ომში გამოდიოდა, როგორც გერმანიის სამხედრო მოკავშირე. მისი მიზანი იყო კვლავ თავისი გაგდენის ქვეშ მოაქცია აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონები. რომლებიც მან დაკარგა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად. იგი პირველ რიგში ცდილობდა თავის ემისრები გამოეგზავნა აჭარაშიც და აქაური მოსახლეობა აემხედრებინა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ აჭარლები ასეთ პროვოკაციას არ წამოეგნ (სურგულაძე, 1972:358-359). თუმცა შემდეგ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეთითხნილი „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით, შეუბრალელობითა და მძარცველობით განთქმული კაზაკ-პლასტუნების მოქმედებით, საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობა. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პირველ რიგში ფრონტის-პირა რაიონები: გონიოს უბანი, მაჭახლისა და აჭარისწყლის ხეობათა ქვემო ნაწილის სოფლები, აგრეთვე, ლივანა, ართვინი, არტანუჯი, ლაზეთი (სიორიძე, 2008:370; გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 690).

მათი მძიმე მდგომარეობა აისახა იმდროინდელ ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში, ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ანგარიშებში, მოგზაურთა ჩანაწერებში, სხვადასხვა ავტორთა პუბლიკაციებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი და შთამბეჭდავია ის წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებში. ასეთებია: „სახალხო ფურცელი“, „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ახალი კვალ“ (გაზეთები), „განათლება“, „თეატრი და ცხოვრება“, „ნაკადული“, „ჯეჯი-

ლი“ (ქურნალები) და ა. შ. თანამედროვე თაობამ, დაინტერესებულმა მკითხველმა ეს კარგად უნდა იცოდეს და აცნობიერებდეს მას. საგაზეთო და საქურნალო წერილების ავტორები არიან იმ დროისათვის ცნობილი წარმომადგენლები ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და ინტელიგენციისა, რომელთაც გულთან მიჰქონდათ აჭარა-მაჭახლელო მძიმე გასაჭირი და ყოველნაირად ცდილობდნენ მათთვის აღმოეჩინათ მორალური მხარდაჭერა და მატერიალური დახმარება.

აჭარა-მაჭახლისა და მთლიანად ბათუმის ოლქის ფრონტისპირა რაიონების და სოფლების მძიმე მდგომარეობის დახასიათებისას, პირველ რიგში, უნდა დავიმოწმოთ ლაზისტანში მდგომი სამხედრო ნაწილის უფროსის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, დავით კლდიაშვილის შეფასება. იგი წერდა: „საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარიწყლიდან დაწყებული. უკან დახევასზე ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცალიერებიანთ აქაური სოფლები. შემდეგ აქ გადაიარა რუსთა ჯარმა-ყაზახ პლასტუნებმა, განთქმულმა თავიანთი მხეცობით, შეუბრალებლობით და მპარცველობით. ამათ სულერთიანად მოფშნეს ღვთის ანაბარად მიტოვებული სოფლები... არავითარი ჭაჭანება ადამიანის... უპატრონოდ არიან ეს საცოდავი დედაკაცები, მამაკაცები, მოხუცები, აკვნიდან ამოყვანილი ბავშვები. ამ სურათის მნახველს ღრმად შეგეზარებოდათ ომი“ (კლდიაშვილი, 1984:192).

ქვედა აჭარაში შექმნილი ვითარება მეტად შთამბეჭდავად დაახასიათა რაფიელ აცანელმა წერილში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „თანამედროვე აზრში“. იგი გვარად ჩხაიძე იყო, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანიდან. ომამდე მასწავლებლობას ეწეოდა ხულოს სასწავლებელში და კარგადაც იცნობდა აჭარელთა ცხოვრებას. ეს მხარე მან ომის წლებშიც მოინახულა და ძალზე გულდაწყვეტილი დარჩა ომის შედეგად აჭარისათვის მიყენებული მძიმე მდგომარეობის გამო. იგი წერდა: „შევედით აჭარისწყალში. ყველაფერი გვესხვაფერა: არსად სჩანან მშვიდობიანი მცხოვრებნი, მეღუპნენები. სკოლის ერთ ნაწილში ჯარი დგას, მეორე ნაწილში დაჭრილებია მოთავსებული. ყველა შენობაში ჯარი დგას. ძალაუნებურად გვებადება კითხვა: ნუთუ მთელი ეს მიდამო ჯარს უჭირავს. არა გგონია თუ სადმე მშვიდობიანი მცხოვრებია... იბადება კითხვა, სად გაიფანტა ეს ხალხი, რომელიც სამი თვის უკან შინაარსიან ცხოვრებას ეწეოდა და თავისთავად მშვიდად იყო. რა ბედი ეწია მათ ამ საშინელი ომის შემდეგ? პასუხის მომცემი ჯერ არსად ჩანს. მიდის ეტლი აჭარის ხეობაში. მარჯვნივ და მარცხნივ უზარმაზარი მთებია. შუაში აჭარისწყალი ხმაურობს. მთების ორივე კალთებზე სოფლებია გაშენებული. არცერთი სახლის ბუხრიდან კვამლი არ ამოდის, ვერცერთი სახლის წინ კაცს ვერ ხედავ. მომკვდარა სოფელი. გამქრალა სი-

ცოცხლე... ჩვენს თვალწინ გულის შემზარავი სანახაობა გადაიშალა: გზის მარცხნით და მარჯვნივ მოფანტულია საბნები, ლეიბები, ბალიშები და-ხეულ-დარღვეული. იქვე გდია აკვანი, ცოტა მოშორებით ყრია ურმები, იქვე ფერდის ბოლოში, მდინარის პირას, დგას ურმის თელეები. მარცხნით, ფერდ-ში მოჩანს ვარცლები, სკამები, დამტვრეული ჭურჭლეულობა. გავცილდით ცოტათი ამ უმსგავსო სურათებს. კვლავ უარესი სანახაობა: სასიმიინდეს ცალი ბოძი გამოჩრილი, წაქცეულ სასიმიინდიდან მიწაზე მოყრილი სი-მინდის, ცხენების ფეხებით ტალახში ჩაფშენილი სიმიინდის მარცვლები. რაც ვერ უსარგებლიათ, ტალახში ყრია“ (გაზ. „თანამედროვე აზრი, 1914, № 36). მეეტლეს, რომელიც კარგად იცნობდა აქაურობას, აცანელისათვის ასე უთქ-ვამს: „თქვენ უნდა ნახოთ და ისმინოთ რა გულშემზარავი ხმაურობაა ღამით ამ სოფლებში. ძაღლების ყეფა და კნავილი აგატირებს, ისე მოთქვამენ თავიანთი პატრონების დაკარგვას“.

ასეთ შემზარავ ვითარებას აღწერს რაფიელ აცანელი აჭარისწყელიდან მახუნცეთამდე. თუმცა მას აქაც ასეთი სურათი დახვდა. აქაური სკოლაც დანგრეულ-გაპარტახებული ყოფილა ოსმალთა ჩეთნიკების მიერ, რომელთა მოქმედებაზე ადგილობრივი მოსახლეობა რაფიელ აცანელს მეტად დამწუხ-რებული უყვებოდა.

ომმა მეტად მძიმე შედეგები მოუტანა მაჭახლის ხეობას. რუსებსა და თურქებს შორის ცხარე ბრძოლა გამართულა სოფელ სინდიეთის მახლობ-ლად მთავარანგელოს მთაზე, სადაც ბევრი სანგრები გაითხარა. თურქები რუსებს სეტყვასათვით უშენდნენ ტყვიას, მაგრამ რუსების საპასუხო იერი-შების შედეგად თურქები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ (გაზ. „სა-ქართველო“, 1915, №38).

ხეობაში ვითარების შესასწავლად საგანგებოდ იმოგზაურა აქ ქალაქ ბათუმის თავმა ივანე ანდრონიკაშვილმა. იგი წერდა: „მდ. მაჭახელისწყლის შესართავიდან, სახელდობრ მაჭახლისპირიდან, სოფელ ჩხუტუნეთამდე საშინელი სურათი იშლება. ყველაფერი დანგრეული და გადამწვარია. ამ ხეობაში გზის გასწვრივ, თითქმის თხუტმეტი ვერსის მანძილზე, არცერთი სახლი არ გადარჩენილა დაწვა-დანგრევას. მხოლოდ ჩაშავებული, ჩანახში-რებული ნანგრევები საცოდავად გამოიყურება“ (გაზ. „საქართველო“, 1916, № 7).

ოფიციალური მონაცემებით, რომლებიც ქართულ საქველმოქმედო სა-ზოგადოების 1916 წლის ანგარიშში აისახა, იმავე გაზეთების ცნობით ომიანობის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდნენ ხეობის ქვემო წელის (ქვედა მაჭახლის) სოფლები: აჭარისაღმართი, ცხემლარა, სკურდილი, ჭანივ-რი, ქედქედი. ამ სოფლების მოსახლეობამ დაკარგა საცხოვრებელი სახლე-ბი, უძრავ-მოძრავი ქონება, სურსათ-სანოვაგე, პირუტყვი, ფუტკარი და სხვ.

აჭარისადმართში მაშინ ითვლებოდა 40 კომლზე მეტი. აქედან ადგილზე დარჩენილა მხოლოდ 10 კომლი 30 სული მცხოვრებით. 3 კომლი სხვაგან გადახვეწილა. საცხოვრებელი სახლების უმეტესობა მთლიანად გადამწვარ-გადაბუგულა. მოსახლეობა სურსათ-სანოვარის გარეშე დარჩენილა. აქედან გაურეკიათ 36 ცხენი და ძროხა, 55 ცხვარი, 235 თხა, წაუღიათ 125 სკა. სოფელ სკურდიდში ომის დაწყებამდე 18 კომლი სახლობდა. ნაწილი გახიზნულა. მათი სახლები გადაუწვავთ. სახლებში არსებული ქონება კი წინასწარ გაუტაციათ. სოფლიდან გაურეკიათ 153 ცხენი, ჯორი, ხარი და ძროხა, 116 ცხვარი, 461 თხა. წაუღიათ 689 სკა. მთელ სოფელში დარჩენილა მხოლოდ 1 ცხენი, 17 ხო და ძროხა, 2 ცხვარი, 35 თხა, 3 სკა. სოფელ ჭანიერში ომამდელი 18 კომლიდან 8 კომლი დარჩენილა, დანარჩენი სხვაგან გადახვეწილა. აქედან გაურეკიათ 50-მდე ცხენი, ხარი და ძროხა, 23 ცხვარი, 6 თხა, წაუღიათ 110 სკა (ანგარიში, 1915; გაზ. „საქართველო“, 1916, №6,7).

ომის საშინელება არ შეხებია ზედა მაჭახლის სოფლებს და ქვედა მაჭახლის 5 სოფელს (ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, გორგაძევი, საფუტკრეთი) ა. წულაძის ცნობით, ეს სოფლები ომისაგან გაპარტახებას ქართველი მეთაურის მგალობლიშვილის წყალობით გადაურჩა (გაზ. „საქართველო“, 1916, № 109). ისტორიამ შემოგვინახა სხვა ცნობაც იმის შესახებ თუ როგორ იცავდნენ რუსეთის არმიაში მყოფი ქართველი ჯარისკაცები რუს-კაზაკებისაგან ჭოროხის მხარის მუსლიმან ქართველებს. ამასთან დაკავშირებით დავიმოწმებთ ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის მოგონებებს, რომლებიც ივანე გომართელმა დააფიქსირა თავის ცნობილ სტატიაში „აჭარა და აჭარლები“ (სტატია გაზეთ „ალიონის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა 1917 წელს). გაზეთში ვკითხულობთ: „ჯემალ ბეგი დიდი მადლიერებით იხსენიებდა ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც ასეთი მხეცობის დროს მაჰმადიანებს ეხმარებოდნენ, იფარავდნენ მოხუცებს, ბავშვებს, ქალებს და ღამით გააპარებდნენ ხოლმე“ (კრებ. „გამონათლევი“, I, 2013). ი. გომართელი აღნიშნულ სტატიაში თავადაც აღწერს ომის მძიმე შედეგებს, რაც თავს დაატყდა ჭოროხის მხარის მოსახლეობას.

როგორც ითქვა, აჭარა-მაჭახლის გასაჭირი, მათდამი სხვადასხვა სახით დახმარების გაწევა იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის, ცალკეულ საზოგადო მოღვაწეთა, კულტურის წარმომადგენელთა, პრესის, საქველმოქმედო ორგანიზაციების ფართო ყურადღების არეშე იყო მოქცეული. საინტერესოა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი წერილები ომით დაზარალებულ აჭარელთათვის ფულადი თუ სხვა სახით დახმარებაზე. როგორც აპოლონ წულაძე წერდა „ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველა ცდილობდა აჭარლების მძიმე ხვედრის შემსუბუქებაზე (წულაძე, 1991:87).

აჭარა-მაჭახლისადმი დახმარების საქმეში მაინც გამორჩეული იყო ქართული საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობა. მისი წარმომადგენლები უშუალოდ ადგილებზე სწავლობდნენ ომის შედეგად მიყენებულ ზარალს და ადგენდნენ თუ რა სახის დახმარება უნდა გაწეოდა კონკრეტულად ომის შედეგად გაჩანაგებულ და გაპარტახებულ მოსახლეობას. აღსანიშნავია აგრეთვე რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების, თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებას, სხვა არაქართული საქველმოქმედო ორგანიზაციების (ბაქოს ინტერნაციონალური კომიტეტი, განჯის მაჰმადიანთა საოლქო დამხმარე კომიტეტი) დახმარებები (ანგარიში, 1915). ფულადი თუ სხვა სახის ქველმოქმედებას ეწეოდნენ ცალკეული პირები და ჯგუფები თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, შორეულ ციმბირში გადასახლებული ქართველებიდან.

მთელი ქართველი ქალების მხრიდან აჭარელთათვის დახმარების გაწევაზე მოწოდებად გაისმა ცნობილი ქართველი მწერლისა და პოეტის განდევილის, იგივე დომინიკა ერისთავის, წერილი, რომელიც გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (1915, № 285) დაიბეჭდა. იგი წერდა: „ქართველო ქალებო! დავეხმაროთ ჩვენს მოძმეებს, გავიღოთ ჩვენი წვლილი ვის რამდენიც შეგვიძლია და სიკვდილს და გასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები და შვილები! მე თამამად მოგმართავთ თქვენ, რადგან ვიცი, თქვენ უფრო მგძნობიარე ხართ და უფრო მხნედ შეუდგებით ამ წმინდა მოვალეობის ასრულებას და სიტყვას საქმედ აქცევთ“.

პოეტის ეს მოწოდება, მსგავს საგაზეთო წერილებთან ერთად, შესულია ა. წულაძის წიგნში „ძმური სიტყვა“ (წულაძე, 1991:56–58). პოეტმა წერილთან ერთად 5 მანეთი გაუგზავნა გაზეთის რედაქციას აჭარელთა დახმარების ფონდში შესატანად. წერილი მთავრდებოდა სიტყვებით: „დაე ეს იყოს პირველი კენჭი, ქართველი ქალისაგან–საჯაროდ მიტანილი, მოძმეთა (ანუ აჭარელთა–ნ.კ.) დანგრეული კერის აღსადგენად. პოეტ ერისთავის ეს წერილი იყო გამოხმაურება გაზეთ „სამშობლოში“ (1915, № 31) დაბეჭდილი ჰაიდარ აბაშიძის წერილზე: „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“, რომელშიც ავტორი უსაყვედურებდა ქრისტიან ძმებს აჭარლებზე არასათანადო დახმარების გაწევაზე. ა. წულაძის შენიშვნით, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, სადაც ორი–სამი ან ერთი ქართველი ცხოვრობდა და ქართულ გაზეთს იწერდა, ყველგან გაიგეს აჭარლების უბედურება. ყველგან იწყეს ფულის შეგროვება და რედაქციაში გაგზავნა. გაზეთებს ფოსტით ცოტა რაოდენობით მაგრამ ყოველდღე მოსდიოდათ ფული, რომელიც შემდეგ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ეგზავნებოდა აჭარლებზე გადასაცემად (წულაძე, 1991:58).

მოსახლეობას, ფულთან ერთად, დახმარების სახით ეძლეოდა სურსათი, ტანსაცმელი, სათესლე მასალა, სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღები და სხვ. თუმცა, დახმარების ოდენობა საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. 1915 წლის მაისიდან აგვისტომდე საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ აჭარა-მაჭახელში გაგზავნა მხოლოდ 11 ვაგონი სიმინდი, რაც 10 ათას რუბლს ფუთზე მეტს შეადგენდა. (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, 7 ოქტომბერი). სკურდიდის, ცხემლარის, ჭანიერის მოსახლეობას სულზე დაურიგდა თითო ფუთი სიმინდი, მანეთ ნახევარი ფული, სამი გირვანქა მარილი, თითო გირვანქა საპონი, აგრეთვე თოხები, წაღდეები, ნაჯახები, სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღები, გაუნაწილდა იჯარით აღებული მიწები (გაზ. „საქართველო“, 1916, №7). მართალია, ამ რაოდენობის დახმარება, როგორც ითქვა მცირე იყო აჭარა-მაჭახლის მოსახლეობის მოთხოვნილებებთან შედარებით, მაგრამ მოცემულ ეტაპზე იგი სულის ამოდგმის საშუალებას იძლეოდა. ამ ფაქტს გამოეხმაურა პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, აჭარის (ქედის) მკვიდრი აბდულ მიქელაძე, რომელიც წერდა: „ვიცი, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, გადამწვარი სახლ-კარი არ აშენდება, ნაღები სიმინდით არ აივსება, მაგრამ თანამომძეთა მიერ გაღებული თითოეული კაპიკი ჩვენთვის მილიონია, თანაგრძნობის სიტყვაც კი მაღამოა“ (მიქელაძე, 1915). განსაკუთრებით მცირე იყო სიმინდით დახმარება, რადგან მოსახლეობის ძირითად სასურსათო მოთხოვნილებას იგი შეადგენდა. ხულოში სიმინდის დარიგებაზე უკმაყოფილებას გამოთქვამდა რუსეთის დუმის ქართველი დეპუტატი აკაკი ჩხენკელი, რომელმაც აჭარასა და ომში დაზარალებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებში საგანგებოდ იმოგზაურა 1915 წლის ივნისში, რათა მოსახლეობის გაჭირვებულ მდგომარეობას გაცნობოდა. იგი ამბობდა: ხულოს მოსახლეობა „დღეს ენისაგან გამოუთქმელ გაჭირვებაში იმყოფება. საქველმოქმედო საზოგადოებას სიმინდი გაუგზავნია, მაგრამ წვეთია ზღვაში. სულზე 4 გირვანქას არიგებენ და იმაშიც ფუთზე ორი აბაზი ერგებათ (ბათუმიდან ხულოში ასატანი ხარჯები), რაც მათ არ ემოვებათ“. აკაკი ჩხენკელს ეს ქუთაისის გაზეთ „ახალი კვალის“ თანამშრომელთან საუბარში განუცხადებია (წულაძე, 1991:83).

საქველმოქმედო დახმარების უკეთ ორგანიზაციის მიზნით აჭარის სოფლად დაარსებული იყო სასოფლო კომისიები, ცენტრ ადგილებში კი საუბნო სასურსათო კომიტეტები, რომლებსაც თვით სოფლის მოსახლეობა ირჩევდა. მათი მოვალეობა იყო კონტროლი დაეწესებინათ და ხელმძღვანელობა გაეწიათ სურსათისა და სხვა დახმარების სწორად განაწილებაზე (ანგარიში, 1917:4).

აჭარა-მაჭახლის მოსახლეობისადმი ასეთი საქველმოქმედო დახმარების ფონზე, რომელიც ქართველი საზოგადოების კეთილი ნების გამოხატულება იყო, მტკივნეული აღმოჩნდა აჭარელთა ე.წ. ღალატის თემა. ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წლიური კრების ანგარიშში ვკითხულობთ: „საჭირო იყო თბილი გრძნობების აღაპარაკება და ძმური სიტყვის მტკიცედ თქმა ობლად დარჩენილ აჭარელთა გასამხნეებლად და წელში გასამართავად“. მაგრამ ამას აბრკოლებდა ორი გარემოება. გარეგანი და შინაური. აჭარელების სასარგებლოდ თავისუფლად ხმის ამოღება ფაქტიურად აკრძალული შეიქმნა, ისინი „მოღალატეობის“ სუდარაში გაახვიეს და მათ მოინდომეს თანამოძმეებისათვის გზის შეკვრა ზნეობრივი და ნივთიერი დახმარების საქმეში. ამასთან, საზოგადოების ზოგიერთ წრეებში ერთგვარი შიში და რყევა ბატონობდა, რაც აფერხებდა საზოგადოების მოქმედებას და ორგანიზაციულ შეკავშირებას ქართველ მაჰმადიანთა დახმარებისათვის. ეს ტეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მომენტი იყო და საზოგადოების მოწინავე ელემენტებმა და ქართულმა პრესამ აჭარელთა საკითხისადმი საყოველთაო ყურადღების მიქცევა მოითხოვა და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოითხოვა ხალხის სამოქმედო ძალები“ (ანგარიში, გვ.2). ეს ამოცანა თვით ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ იკისრა და ძმური დახმარების ხელი გაუწოდა ომით დაზარალებული აჭარა-მაჭახლის მოსახლეობას. ანგარიშში ამავე დროს აღიარებულია, რომ აჭარელებს არავითარი ღალატი არ ჩაუდენიათ და ისინი ქართული ინტერესებით მოქმედებდნენ. ანგარიშში წერია: „აჭარელები, როგორც ერთხმად ამტკიცებს ყველა ობიექტური გამოკვლევა და კეთილსინდისიერი მატიანე „ყოველთვის ღოიღურნი, ყოველთვის მორჩილნი იყვნენ, არ გამოუჩენიათ არავითარი სარწმუნოებრივი მტრობა, არც არავითარი შეთქმულება ან რაიმე მასიური უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ (გაზ. „საქართველო“, 1916, №223).

ანალოგიური შინაარსისა ვინმე დ. კახელის წერილი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კლდეში“, 1915 წელს (№ 18) და შემდეგ გადმოიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“ (1915, №1). წერილის ავტორი საყვედურობს იმ ვივინდარებს, რომლებმაც აჭარელებს ბრალი დასდეს ღალატში. წერილში ვკითხულობთ: „ვიღაცებმა სიტყვა გადმოისროლეს: „აჭარელებმა გვიღალატესო. ეს ის ვივინდარები იყვნენ, ვისაც აჭარის „ღალატი“ ხელს უტკობდა, ვისაც მდიდარ აჭარელთა მამულ-დედულის ოხრად ხელში ჩაგდება უნდოდა. რა თქმა უნდა, მოეწონებოდათ მშვენიერი შავი ზღვის ნაპირები, მაგალითად, გონიოს საბოქაულო, აღსავსე ღიმონებით, ფორთოხლისა და ზეთისხილის ბაღებით (გაზ. „საქართველო“, 1915, №1).

აჭარელთა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეთა, განსაკუთრებით, ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის დაღატის შესახებ ძალზე ბევრი იწერებოდა იმდროინდელ ქართულ პრესაში. ამ ამბების თვითმხილველი და კარგი მცოდნე, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ივანე გომართელი 1917 წელს გაზეთ „ალიონის“ ერთ-ერთ ნომერში წერდა: „მე ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ აჭარა მსხვერპლი გახდა დასმენისა, ჯაშუშობისა და პროვოკაციისა. რუსის ჯარი და კაზაკები რომ აჭარაში ჩავიდნენ, იმათ ჩაგონებული ჰქონდათ, რომ მიდიან მოღალატეებთან. მოღალატეებს კი არავინ ზოგავს. ამიტომ, აღარც ჯარმა და განსაკუთრებით კი კაზაკებმა არ დაზოგეს აჭარლები და საერთოდ ართვინის მხარის მაჰმადიანობა“ (გომართელი, 1917).

გაზეთ „სახალხო ფურცლის“ ერთ-ერთი კორესპონდენტი 1915 წელს დაბეჭდილ წერილში ომის შედეგად დანგრეულ-გაპარტახებულ აჭარას აღარებდა ამ ომით დაზარალებულ ბელგიას, სერბეთს, პოლონეთს, ევროპის სხვა ქვეყნებს და წერდა, რომ „ამ ქვეყნების ბედი ათასჯერ უკეთესია, ვიდრე აჭარისა, რომელსაც უფრო სხვა თვალთა უცქერიან და იგი მოღალატეებად გამოაცხადეს“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, № 226). ეს იყო შეთითხვნილი ბრალდება.

აჭარელთა და საერთოდ მაჰმადიან ქართველთა მიმართ „სახელმწიფო დაღატში“ ბრალდება იმით იყო ინსპირირებული, რომ აჭარლები, მაჰმადიანნი ქართველები თითქოს თურქების ორიენტაციას იჭერდნენ, მათ მხარეზე გადადიოდნენ, თურქეთის ჯარში მსახურობდნენ. ამ ბრალდების ინიციატორები რუსი სამხედრო და ნაწილობრივ საერო ხელისუფალნი იყვნენ. ამით მათ სურდათ გაემართლებინათ ფრონტის ცალკეულ უბნებზე დროებითი სამხედრო წარუმატებლობა. მართალია, ამის ცალკეულ შემთხვევებს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამაში გარეული იყვნენ ქურდ-ავაზაკები, რომლებიც მთავრობის მიერ იყვნენ ძებნილი როგორც კატორღელები და რომელთაც თურქების მხრიდან თავის დაღწევა და ჯილდოების მიღება სურდათ (გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1914, №36). მაგრამ, როგორც ითქვა, საყოველთაო დადანაშაულებას აჭარელთა მხრივ მასობრივ „სახელმწიფო დაღატში“ საერთოდ არავითარი კავშირი არ ჰქონდა სინამდვილესთან. პირიქით, საბრძოლო მოქმედების მთელ პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ეხმარებოდა რუსის ჯარს გზების განწმენდაში, სურსათითა და ტყვია-წამლით მომარაგებაში (სიორიძე, 2008: 383). მიუხედავად ამისა, გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე კაზაკ-პლასტუნებმა გენერალ გუბსკის მეთაურობით გუბერნატორ ლიახოვის ბრძანების საფუძველზე, რომელიც აჭარელთა დაღატის ერთ-ერთი მთავარი ინსპირატორი იყო, სოფელ ხიტაურში სამი აჭარელი ჩამოახრჩვეს, რომელსაც იძულებით მოყვანილი

ასობით ადგილობრივი ესწრებოდა. მსხვერპლთა შორის ერთი იყო თუფან თავდგირიძე სოფელ ბარათაულიდან, მეორე შახველედ დიასამიძე ჩანჩხალოდან (სიორიძე, 2008:384, დიასამიძე, 2015:89). ჩამოსახრჩობი ბოძები თურმე ხიჭაურის ერთ ტიალ მინდორში იდგა (გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1914, №36). თვითმხილველთა ცნობით, უსამართლოდ და უსაფუძვლოდ კიდეც ორი პიროვნება ჩამოუხრჩვიათ: ქედელი ლორთქიფანიძე და მერიხელი – ბაშალა გოგოლიშვილი. დაგეგმილი ყოფილა სხვათა გასამართლებაც, მაგრამ იგი სისრულეში მოყვანილი ვერ იქნა (დიასამიძე, 2015:90).

„სახელმწიფო ღალატის“ ბრალდებით კამპანია ოფიციალურად მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, როდესაც გამოტანილი იქნა ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 26 იანვრის სპეციალური გადაწყვეტილება. ამას საფუძვლად დაედო ამავე მთავრობის შინაგან საქმეთა კომისიის, რუსეთის დუმის დეპუტატის აკაკი ჩხენკელის ინიციატივა. სწორედ ა. ჩხენკელი იყო ის პიროვნება, რომელმაც ომის შედეგად განაწამები აჭარის მდგომარეობისა და მათი „სახელმწიფოს ღალატის“ ბრალდების შესწავლის მიზნით, სპეციალურად იმოგზაურა აჭარაში, ჭოროხის მხარის სხვა კუთხეებში. იგი შეხვდა მთავრობის წარმომადგენლებს, ყველას, ვინც კარგად იცნობდა აჭარისა და აჭარელთა უბედურების მიზეზებს, მათ შორის იყო აჭარაში ნამყოფი ერთი გენერალი, რომელსაც ა. ჩხენკელისათვის ასე უთქვამს: „აჭარლების ღალატზე ლაპარაკი დიდი უსამართლობაა, რადგან აჭარლებს არ ჩაუდენიათ არამც თუ ღალატი, არამედ პირიქით, აჭარლებმა დაამტკიცეს რუსი მთავრობისადმი ერთგულება“. ამის საბუთად გენერალს დაუსახელებია ყანლის მთაზე აჭარლების მიერ გზის გაწმენდა და ის, რომ „აჭარლებს რუსებისათვის არ დაუზოგავთ არც ჯანმრთელობა, არც ქონება და არც სიცოცხლე“. აჭარელთა ასეთი ერთგულებისა და მათი უდანაშაულოდ დასჯის შესახებ გენერალს დიდი მთავრის, გიორგი მიხეილისძისათვის მოუხსენებია. ამ ამბავს მთავარზე იმდენად უმოქმედია, რომ მას ცრემლი მორევია და კიდეც დაპირება მიუცია, რომ აჭარლების უსამართლოდ დასჯის ამბავს ხელმწიფეს მოახსენებდა. ა. ჩხენკელისა და გენერლის საუბარი გადმოცემულია ა. წულაძის წერილში: „რა გააკეთეს ქართველმა დეპუტატებმა“ (წულაძე, 1984: 81). სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ა. ჩხენკელმა ჩამოსულიყო აჭარაში, კერძოდ ქედასა და ხულოში და თავად მოესმინა აჭარლებისაგან მათი მწუხარება და გასატყობი. სანამ ა. ჩხენკელი პეტროგრადში სახელმწიფო დუმას მოახსენებდა (1916 წლის თებერვალი) აჭარელთა ამ აუტანელი მდგომარეობის შესახებ, მან ჯერ დუმის მეორე ქართველ დეპუტატს კარლო ჩხეიძე გააცნო აჭარაში შექმნილი მდგომარეობა, რამაც მასზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. აკაკი ჩხენკელისა და კარლო ჩხეიძის

შთამბეჭდავმა გამოსვლებმა სახელმწიფო დუმაში მკვეთრი ზეგავლენა მოახდინა დეპუტატებზე. ყველა დარწმუნდა, რომ აჭარას და აჭარლებს არავითარი ღალატი არ ჩაუდენიათ სახელმწიფოს წინაშე და ისინი ტყუილუბრალოდ იდევნებოდნენ და ისჯებოდნენ ამის გამო.

აჭარელთა „სახელმწიფო ღალატში“ ბრალდების უსამართლობის მხილებისა და საერთოდ ქართველ მაჰმადიანთა დაცვა-გადარჩენის საქმეში წვლილი მიუძღვით ბათუმის გუბერნატორის კანცელარიის მოხელეს (1878–1891 წლები) და სხალთის სასოფლო თემის კანცელარიის მწერალს ბათუმელ სტეფანე ქემხაძეს, რომლის გაბედულმა მოქმედებამ ბევრი აჭარელი იხსნა სასჯელისაგან (სიორიძე, 2008:388; დიასამიძე, 2015:89–90; ოქროპირიძე, 2014:209). დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აჭარელთა ღალატი არც ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო (ოქროპირიძე, 2014:207).

აჭარელ და ჭოროხის მხარის სხვა კუთხეების (შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი) ქართველ მაჰმადიანთა დაცვის საქმეში გარკვეული როლი ითამაშა ამ კუთხეთა წარმომადგენლების შეხვედრამ მეფის ნაცვალ ნიკოლოზ რომანოვთან.

ქართველი საზოგადოებრიობისა და რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დუმის ქართველ დეპუტატთა გაბედული პროტესტის ხმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ უმაღლესმა ხელისუფლებამ „სახელმწიფო ღალატში“ ბრალდების გამოსაძიებლად და სამართლიანობის დასადგენად სპეციალური კომისია შექმნა, რომელმაც დაასკვნა, რომ მოსახლეობის ღალატს ადგილი არ ჰქონია და ამის ჩამდენი მხოლოდ ცალკეული დამნაშავე პირები იყვნენ (სიორიძე, 2008:388). როგორც ითქვა, აჭარელ და სხვა მოღალატე მაჰმადიანთა შესახებ დაწყებული კომპანია ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 26 იანვრის სპეციალური დადგენილებით შეწყდა და „სახელმწიფო ღალატში“ ბრალდებული 120-მდე კაცი ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დააბრუნეს (იქვე, გვ. 391).

ამ ფაქტს აღფრთოვანებითა და მადლიერებით გამოეხმაურა ქართველი საზოგადოებრიობა.

პირველმა მსოფლიო ომმა აჭარისა და ჭოროხის ხეობის მეზობელი კუთხეების მოსახლეობას სხვა მხრივაც დიდი უბედურება მოუტანა. ნაწილმა იძულებითი გადაადგილება განიცადა, ნაწილიც დროებითი მუჰაჯირობის მსხვერპლი გახდა.

რაფიელ აცანელის (რაფიელ ჩხაიძის) დასახელებული წერილიდან ვგებულობთ, რომ ხელისუფლებას საბრძოლო მოქმედების ზონაში მოქცეული ქვედა აჭარის სოფლების მოსახლეობა ზემო აჭარაში გადაუსახლებია. აცანელის აჭარაში მოგზაურობის დროს უკვე სამი თვე ყოფილა გასული

მათი გადმოსახლების დღიდან და შინ დაბრუნების უფლება არ ეძლეოდათ. თუმცა გასახლებულთა რაოდენობა კი არც თუ ისე მრავლად ყოფილა. ამის მიზეზად ის სახელდება, რომ ქვედა აჭარის რამდენიმე სოფელი იძულებული გამხდარა თურქებს გაჰყოლოდა უკან დახევის დროს.

სამწუხაროდ, ჩვენი უახლესი პერიოდის აჭარელთა ისტორიის ეს საველადო ცხოვრების ეპიზოდები დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი. საკვლევი პერიოდის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა თუ იცის გადმოცემით, რომ ასეთ ფაქტებს მართლაც ჰქონდა ადგილი და იგი შეიძლება განვიხილოთ ბათუმის ოლქიდან ქართველ მუსლიმანთა იძულებითი აყრისა და თურქეთის შიდა პროვინციებში გასახლების კონტექსტში. ამას კი რუსული საერო და სამხედრო მმართველობა გამიზნულად აკეთებდა. ამის მაგალითებიც ბევრი მოგვეპოვება. შესაძარებლად აჭარის მეზობელი ლიგანის ხეობის მაგალითიც იკმარება. სწორედ ლიგანის ხეობიდან დაიწყო პროცესი გენერალ ლიახოვის დროს და მისი ხელმძღვანელობით – აყვარათ აქაური „არასაიმედო მოსახლეობა“ და მათ ადგილას მათთვის საიმედო რუს-კაზაკები დაესახლებიათ. შევიწროებულმა მაჰმადიანმა მოსახლეობამ, რომელსაც სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, მუჰაჯირად წასვლა გადაწყვიტა. ამის შედეგად, ნიგალის ხეობაში, სადაც ომამდე 200 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა, ადგილზე მხოლოდ 7 ათასი მოსახლე დარჩა. მუჰაჯირთა ნაწილი ლაზეთში, უნიეს მახლობლად, დასახლდა და დასახლების ადგილებსაც იმ სოფლების სახელები შეარქვეს (მარადიდი, კირნათი, მირვეთი, კაპარტეთი, მურღული და სხვ.), საიდანაც ისინი გასახლდნენ. მუჰაჯირთა ნაწილმა 1917 წლის დეკემბერში უკან დაბრუნება შეძლო და მიტოვებული კარმიდამოს აღორძინება დაიწყო. ამათვე რიგში იყვნენ გონიოს მაზრის მცხოვრებნიც (ჟურნ. „გზა“, 2010, №23, გვ. 40, 42).

მაჭახლის ხეობის ხანდაზმულთა მეხსიერებაში პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული მუჰაჯირობა მეორე, ანუ პატარა მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი, განსხვავებით რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომის შედეგად გამოწვეული მუჰაჯირობისაგან, რომელიც, იმავე ხანდაზმულთა გადმოცემით, პირველ, ანუ დიდ მუჰაჯირობად იწოდება.

ხეობის სოფლებში ქედქედსა და აჭარისადმართში ჩაწერილი მასალებით ამ სოფლის მოსახლეობის ნაწილიც იძულებული გამხდარა 1914 წელს მუჰაჯირათ თურქეთში გადახვეწილიყო. ისმაილ კოპინაძის (60 წლის, სოფელი ქედქედი, 1964 წელი) გადმოცემით მისი ოჯახი იზმითში გადასახლებულა და მხოლოდ 6 წლის შემდეგ დაბრუნებულა. სახლკარი გადამწვარი და ქონება განადგურებული დახვედრიათ. ხოლო აჭარისადმართის მკვიდრის, ისმაილ მორთულაძის (55 წლის, 1964 წელი) გადმოცემით, მის ოჯახსაც განუხრახავს მუჰაჯირად წასვლა. ცოტა ხანს სოფელ ზედა ჩხუ-

ტუნეთში შეუფარებია თავი, მაგრამ მალე უკან დაბრუნებულია და თავის სოფელში გაუგრძელებია ცხოვრება. მუჰაჯირობას ვერც ზედა ჩხუტუნეთელი ეშრეფ ნაგერვადის ოჯახი ასცდა. იგი იგონებდა, რომ მან რამდენიმე წელი მუჰაჯირად თურქეთის სოფელ ჩერშემბერში გაატარა. ეშრეფი პროფესიით მჭედელი-მეიარაღე იყო და სოფელში დაბრუნების შემდეგაც თავის ხელოსნურ საქმიანობას ეწეოდა. გარდაცვლილა 92 წლის ასაკში, 1951 წელს (მასალა ჩაწერილია 1964 წელს მისი შვილიშვილის, პედაგოგ ბადრი კახიძის მიერ).

აჭარა-მაჭახლის, ისე როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეთა, მოსახლეობას ასეთი მძიმე ხვედრი არგუნა 1914 წლის პირველმა მსოფლიო ომმა, რომელმაც დიდი მატერიალური და სულიერი რესურსები შთანთქმა, აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა კუთხეს. ომით გაპარტახებული ფრონტისპირა სოფლების აღდგენა-განვითარებას კი დიდი ხანი დასჭირდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანგარიში-ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა, 1915 წელს. თბილისი, 1917.
2. აცანელი – რაფიელ აცანელი (ჩხაიძე). აჭარა.-გაზ. „თანამედროვე აზრი“. 1914, №36.
3. განდევნილი. ქართველი ქალები.-გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, №285.
4. გომართელი-ი. გომართელი. აჭარა და აჭარლები.-ერებ. „გამონათღევი“, I, ბათუმი, 2013.
5. დიასამიძე-ბ. დიასამიძე. აჭარისწყლის ხეობა პირველი მსოფლიო ომის წლებში (უსამართლო ბრალდება).-პირველი მსოფლიო ომი და საქართველო (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები). ქუთაისი, 2015.
6. კლდიაშვილი-დ. კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე. ბათუმი, 1984.
7. ლაბაძე-მ. ლაბაძე. 1915-1916 წლების ქართველთა მუჰაჯირობა.-ჟურნ. „გზა“, 2010, № 23.
8. მიქელაძე- აბდულ მიქელაძე. მადლობის წერილი ქართველებს აჭარლებისათვის დახმარების გამო. გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, №57.
9. ოქროპირიძე-უ. ოქროპირიძე. ღალატი, რომელიც არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. X. ბათუმი, 2014.
10. სიორიძე-მ. სიორიძე. ბათუმის ოლქი ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების გეგმებში.-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. III. ბათუმი, 2008.

11. სურგულაძე-აკაკი სურგულაძე. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყება და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია.-საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI, თბილისი, 1972.
12. წულაძე-აპოლონ წულაძე. ძმური სიტყვა, ბათუმი, 1991.
13. ა. წულაძე. აჭარაში მოგზაურთა საყურადღებოდ.-გაზ. „საქართველო“, 1916, № 109.

Nodar kakhidze

Batumi Shota Rustaveli state university
Niko Berdzenishvili institute senior
scientist, Dr. of historical science

Ajara-Machakheli during the First World War

Resume

Ajara-Machakheli used to be the field of the World War on the Russian-Turkish front in Georgia(1014-1918). The works, created on the basis of Georgian press data on the theme of during the War and post War and in the works of the authors, who wrote about the war theme, eliminate hard social and economic results. These were the results of the war concerning to the population of Ajara-Machakheli and South-West Georgia.

The work discusses the materials about the charity, material and moral aid to Ajara-Machakheli population by Georgian cultural society .

The work presents the accusation and exculpation for non-existing “ state betrayal” and the social idea about it. The social idea and some other factors played an important part in this case. Russian Duma Georgian deputies of those times(Akaki Chkhenkeli, Karlo Chkheidze)’s support was a really important fact. They got acquainted the situation tried to analyse it. The result of this afford was that Ajarians had been exculpated and acquitted.

ლელა სარალიძე

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი
ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და ბათუმის ოლქის საკითხი (1921-1922 წლები)

რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ევროპაში გახიზნულიყო, საიდანაც აქტიურად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. თავის მხრივ, რუსეთის მთავრობა ცდილობდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის დაემტკიცებინა საკუთარი პოლიტიკის სისწორე და რუსული ხიშტებით საქართველოს დაპყრობა, მსოფლიო საზოგადოების თვალში წარმოეჩინა, როგორც საქართველოში მომხდარი შინაური გადატრიალება. ამასთანავე, რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება მიისწრაფვოდა, რათა დროულად მომხდარიყო წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან მათი ცნობა. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაეზიარებინა საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა ცრუ განცხადებები საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე.

საზღვარგარეთ საქართველოს ემიგრაციულ მთავრობას მუშაობა რთულ პირობებში უხდებოდა. კონსტანტინე გვარჯაღაძე (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში 1921-1925 წ.წ.) იგონებს: “შეტად ცუდ პირობებში დაიწყო მუშაობა სტამბოლის წარმომადგენლობამ 1921 წელს. ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ, საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თავისი ტერიტორია და წამოსულიყო ევროპაში. ევროპაში ჩამოსვლისას ჩვენ დავინახეთ, რომ ბოლშევიკებს მიეღოთ ყოველნაირი ზომა, ევროპა დაერწმუნებია იმაში, რომ საქართველოში მოხდა შინაური გადატრიალება, ქართველ ხალხს უნდოდა ბოლშევიზმი და ახლანდელი ბოლშევიკური მთავრობა ხალხის სურვილებს და სიმპათიებს ეყრდნობო. სტამბოლში 22 სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენელია. პირველი ორი თვის განმავლობაში (აპრილი-მაისი 1921 წ.) სანამ ყველა ამ წარმომადგენელს ვეცნობოდი, დავრწმუნდი, რომ ბოლშევიკებს ერთნაირად თავისი მიზნისათვის მიეღწიათ: ხშირად ვხვდებოდი აზრს, რომ საქართველოში ვითომ ბოლშევიკური გადატრიალება მომხდარიყოს. როგორც მოგეხსენებათ, სტამბოლი (ოფიციალურად სტამბოლი ქალაქს

1930 წლის 28 მარტს დაერქვა – ლ. ს.) ევროპისათვის აღმოსავლეთის საკითხებში დიდად თვალყურსადევნებელი პუნქტია. აქედან მიდის უმთავრესად ყოველგვარი ინფორმაცია აღმოსავლეთის შესახებ, ცენტრალურ მთავრობებთან. ამიტომ აუცილებელი იყო მკვიდრი კავშირი სტამბოლის ყველა წარმომადგენელთან და მათი დაჯერება იმაში, რომ საქართველოში არ მომხდარა არავითარი შინაურული ბოლშევიკური გადატრიალება, არამედ საქართველო დაპყრობილ იქნა გარედან, უცხო ჯარებით, რომ დღეს იქ უცხო ჯარების ოკუპაცია არსებობს. კონსტანტინოპოლის მაშინდელი მთავრობა ანგორას შეჟუერებდა და რადგანაც ამ უკანასკნელს ბოლშევიკებთან ჰქონდა კავშირი, კონსტანტინოპოლის მთავრობა ჩვენთან ოფიციალურ კავშირს გაუბოღა. თან ჩვენი ტერიტორიის დაკარგვის შემდეგ, ძნელი შეიქმნა ჩვენს წარმომადგენლობას ჰქონებოდა შესაფერი ადგილი კონსტანტინოპოლის დიპლომატიურ კორპუსში. აქ, ჩვენ ძლიერ გვიშლიდა ხელს ინგლისელები, რომლებიც რუსეთთან საკომერციო ხელშეკრულებაზე ხშირად უთითებენ და ბოლშევიკების მომდურებას ერიდებოდნენ. მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენმა წარმომადგენლობამ მაინც მოახერხა და შესძლო სათანადო ნდობა და პატივისცემა მოეპოვებია კონსტანტინოპოლის ოფიციალურ წრეებში“ (სცსსა, ფ. 2114, აღ. 1, ს. 27, ფურც 5).

1921 წლის 17-18 მარტს, ქ. ქუთაისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს რევკომს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. საქართველოს მთავრობის რწმუნებული გრიგოლ ღორთქიფანიძე და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის რწმუნებული მამია ორახელაშვილი, 1921 წლის 17 და 18 მარტს, ქ. ქუთაისში შეხვდნენ და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლის – აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით და იმავე რესპუბლიკის მეორე წარმომადგენლის, ალექსანდრე სვანიძის მონაწილეობით შემდეგ შეთანხმებას მოაწერეს ხელი: “დემოკრატიული მთავრობა სცლის საქართველოს ტერიტორიის ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს მოვიდეს ბათუმის დასაცავად და დასაკავებლად გარეშე მტრების შემოსევისაგან. რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფი საბჭოთა ჯარების ნაწილები პირველ ყოვლისა ბათომზე გავლით იჭერენ ამ ოლქის სამხრეთ ნაწილებს. არა უგვიანეს, ვიდრე 25 მარტის თანხმობით, ქ. ბათუმსა, მის რაიონსა და რკინიგზის ლიანდაგზე, საჯავახოდან, ვიდრე ბათომამდე და საერთო იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ამ უკანასკნელთა ადმინისტრაცია და ხელისუფლება. რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარები შედიან ბათუმის ოლქში, როგორც მეგობრულად განწყობილი ძალა, დემოკრატიული მთავრობის და მისი მხედრობისადმი. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად საჭირო და მიზანშეწონილი იქნება დემოკრატიული მთავრობისა და რევკომის ჯარების გაერთიანებული მოქმედება, ბათუმის ოლქის გარეშე მტრის-

გან დასაცავად, გამორკვეული იქნება ორთავე სარდლობის თანხმობით“ (სცსსა, ფ. 1864, აღ. 1, ს. 471, ფურც 1).

აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას 1921 წლის 22 ივლისს, საქართველოში, დამოუკიდებლობის კომიტეტისადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში იხსენებს: “როგორც იცით, ჩვენ წამოვედით 17 მარტს, საღამოს. ღორთქიფანიძის დაბრუნებას, ქუთაისიდან, ვერ მოვეუცადეთ იმიტომ, რომ არ ვიცოდით როდის დაბრუნდებოდა და ან საზოგადოდ დაბრუნდებოდა თუ არა. ღორთქიფანიძეს ჩვენ პირდაპირი მავთულით ველაპარაკეთ 16-ს საღამოს, ვერაფერი გადაწყვეტილი ვერ გვითხრა, გარდა იმისა რომ ვლაპარაკობთო, ხოლო მეორე დღეს კი უკვე დაიწყო რუსის ჯარის წამოსვლა ბათუმისაკენ. ასეთ პირობებში, ჩვენი ბათუმში დარჩენა ნიშნავდა ტყვედ ჩავარდნას. ჩვენ მაინც გემი გავაჩერებინეთ, დილიდან საღამომდის, ღორთქიფანიძის მოლოდინში. საღამოს 6 საათზე, ჩვენთან მოვიდა ერთი ამხანაგი და გვითხრა – ესეც არის რუსის ჯარი მწყობრად დაბანაკდა ბარცხანაში, ხოლო ქუთაისიდან არავითარი ცნობა არ არის. ამის შემდეგ, გემი გამოემგზავრა სტამბოლისაკენ. რასაკვირველია, ღორთქიფანიძის დაბრუნება არ ნიშნავდა ჩვენს საქართველოში დაბრუნებას, ამაზე ორი აზრიც კი არავის არ ჰქონია. თვით თედო ღლონტიც კი, რომელიც ახლა თურმე გაბოლშევიკებულია, გვეუბნებოდა, ბათუმში, მთავრობა უეჭველად უნდა წავიდეს ევროპაში და დამოუკიდებლობის ლეგალური დროშა მაგრად შეინახოსო. აქვე ვნახე ღორთქიფანიძის მიერ დადებული ხელშეკრულება ქუთაისში. თუ ეს სწორად არის გადმოცემული, უნდა გითხრათ, რომ ის გამოსულა ჩვენ მიერ მიცემული ინსტრუქციიდან. ჩვენი დადგენილება იყო: არავითარ შემთხვევაში არ ვიცნობთ რუსის ჯარის მიერ დაყენებულ მთავრობას, საქართველოს კანონიერ მთავრობად; ისინი იყვნენ და არიან საქართველოს ოკუპანტები და მათ როგორ ჩავაბარებდით საომარ მასალას და სიმდიდრეს? როგორც სჩანს, მთელი ეს ქუთაისის კონფერენცია, ბოლშევიკების მიერ იყო მოხლართული ერთი მიზნით – ჩვენ არ გამოვეშვიტ ვეროპაში და მით დაემტკიცებიათ ევროპისათვის ის ვერსია, რომელსაც აქ ავრცელებდნენ – საქართველოში მოხდა შინაური აჯანყება, ხალხმა მთავრობა გადააგდო, რუსის ჯარი აქ არაფერ შუაში არისო და რომ ჩვენ არ ჩამოვსულიყავით – საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ იქნებოდა გადაუწყველებელი და მით მთელი ჩვენი საქმე სამუდამოდ დამარხული“ (სცსსა, ფ. 2113, აღ. 1, ს. 31, ფურც 2).

გრიგოლ ღორთქიფანიძე, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებზე, რომელიც მეტად მძიმე აღმოჩნდა ქართველი ხალხისთვის, წერდა: „დაიპყრეს თუ არა საქართველო, მაშინვე შეუდგნენ მის განაწილებას. ოსმალეთს მიეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი შავშეთ-ერუშეთ-არტაანი-ფოცხოვით. სომხეთსა და აზერბაიჯანსაც მოუჭრეს საქართველოს მიწა-წყლის საგრძნობი ნაწილი. სომხეთს მიეცა

მთელი ეგრეთ წოდებული ნეიტრალური ზონა ალავერდის მადნითა და ქარხნით, ხოლო აზერბაიჯანს – სიღნაღის და ტფილისის მაზრების ნაწილები ყარაიას ველის აღმოსავლეთ ნახევრითა და დავით-გარეჯის რაიონით. სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიის დაჯილდოვებას რუსეთისათვის უმთავრესად საპროვოკაციო მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ამ ერებს ერთი მეორეზე გადაკიდებდა, ხოლო ეს ძველი ნაცადი ხერხი კი სავსებით ხელუხლებლად დარჩა ეგრეთ წოდებული კომუნისტური რუსეთის იმპერიალისტურ არსენალში. რუსეთმა თვითონაც მიიჭრა და მიიზომა საქართველოს ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სახელდობრ, გაგრის ოლქის დასავლეთი ნახევარი ცივი წყლიდან მდინარე ფსოუმდე. ესე იგი დაარღვია ის საზღვარი, რომელიც 7 მაისის ხელშეკრულებით დაუდო საქართველოს. მაინც და მაინც ყველა ამ ტერიტორიების დაჭერას ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ქონია, გარდა ოსმალეთზე მიცემულ ძველი მესხეთისა, რადგან თვით საქართველოს სახელით დარჩენილი ტერიტორიაც, ფაქტიურად, იმავე რუსეთმა დაისაკუთრა აზერბაიჯან-სომხეთთან ერთად. ჩამოჭრილი ტერიტორიების გარდა, დარჩენილი საქართველო ფორმალურად გამოცხადებულ იქნა საქართველოს საბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, მაგრამ თვით ეს საქართველოც ძლიერ დასერა და დასჭრა რუსეთმა პოლიტიკურად და ტერიტორიალურად...“ (ლორთქიფანიძე, 1995: 226).

აჭარის რაიონებში თურქები პროვოკაციულ საქმიანობას ეწეოდნენ. ისინი ცდილობდნენ აეჯანყებინათ ქართველი მაჰმადიანები რუს-ქართველთა ძალების წინააღმდეგ, მაგრამ მათ არც ერთი ქართველი მაჰმადიანი არ მიემხრო (სურგულაძე, 2011: 69).

რუსეთის წითელი არმიის საქართველოში შემოჭრამდე, საქართველოს ეროვნული მთავრობა ცდილობდა ანგორის მთავრობასთან მოლაპარაკებას, რაც უშედეგოდ დასრულდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ანგორაში დანიშნული ელჩი – სიმონ მდივანი 1921 წლის 31 იანვარს ოსმალეთში ჩავიდა და 8 თებერვალს ანგორის მთავრობას რწმუნების სიგელი გადასცა. სამი დღის შემდეგ დაიწყო რუსეთის ჯარის თავდასხმა საქართველოზე. ცხრა დღის შემდეგ, ანგორის მთავრობამ გადაწყვიტა არდაგანისა (არტაანის) და ართვინის მხარეში ჯარის შეყვანა და საქართველოს ელჩს აცნობა, რომ 1921 წლის 18 თებერვალს, დილით, ოსმალეთის ჯარი ართვინში შევიდოდა. სიმონ მდივანმა, იმავე დღეს, ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარს ასეთი შინაარსის ნოტა გაუგზავნა: „იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რაც მე აქ ვიმყოფები, რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა განმეცხადებინა თქვენი აღმატებულებისთვის, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაიდოს ზავი საქართველოსა და ანატოლიის მთავრობას შორის იმგვარ საფუძველზე, რომ ჭეშმარიტად დამყარდეს, თანახმად ამ ორი ერის სასიცოცხლო ინტერესებისა, მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა. ამჟამად, საჭიროდ მიმაჩნია წერილობით მოგახსენოთ ის უკანასკნე-

ლი წინადადება ჩემი მთავრობისა, რომლის ანგორის მთავრობის მიერ მიღებით, მე საშუალება მექნება ხელი მოვაწერო ზავს. ეს წინადადება არის შემდეგი: **ბათომი და მისი ოლქი ყოველი დავის გარეშე, რჩება საქართველოს ფარგლებში და მისი საზღვარი უნდა გატარდეს 1914 წლის საზღვ.** თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, თუ როგორ მდგომარეობაში ჩავარდა დღეს საქართველო. ბოლშევიკური რუსეთის წითელი ჯარი, ზურგამაგრებული ახლახან გაწითლებული დაშნაკური სომხებით, ღამობს სასიკვდილო ღახვარი ჩასცეს საქართველოს. ამ სერიოზულ მომენტში, ნება მიბოძეთ განვაცხადო, რომ საქართველო ამჟობინებს კომუნისტურ-დაშნაკური ხელებით დახრწობას, თუკი მას თავის ფარგლებში ბათომი არ ეგულება. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, კეთილი ინებოთ და მოახსენოთ მაღალ დაწესებულებას, ნაციონალურ დიდ კრებას და მის მთავრობას, ამაჟამად, ამ საკითხში დავას ნუ დაგვიწყებენ, **ვინაიდან ბათომი და მისი ოლქი არის თვალი და გული საქართველოსი, ურომლისოდაც მას ცხოვრება არ შეუძლიან.** მას კიდევ დავუმატებ იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია ბათომის და მისი ოლქის ავტონომია... არდაგანის ოლქი ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგლებში შედის. თუ ვინცობაა, რაიმე გარემოების გამო, ოსმალეთი დატოვებს არდაგანისა და ოლთისის ოლქებს, იმ შემთხვევაში, ოსმალეთი გადმოსცემს ამ ოლქებს საქართველოს. ეს უკანასკნელი წინადადება უნდა იქნეს საგანი საიდუმლო ხელშეკრულებისა ოსმალეთსა და საქართველოს შორის. ეს არის საქართველოს უკანასკნელი სიტყვა და ამის მიღებას ელის იგი დიდი ნაციონალური კრებისა და მისი მთავრობის მიერ“ (სცსსა, ფ. 2118, აღწ. 1, ს. 6, ფურც. 19).

სიმონ მდივანმა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან საპასუხო ნოტა მიიღო, რომელშიც ოსმალეთის მთავრობა ასაბუთებდა თავის უფლებებს ბათუმის ოლქზე სან-სტეფანოს ხელშეკრულებით, ასევე, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით, რადგან იქ ინგლისელებმა ოკუპაცია მოხსნეს. ოსმალეთის მხრიდან ყველა ეს მტკიცებულება ყალბი იყო, ვინაიდან ეს ხელშეკრულებები ძალადაკარგული იყო, ხოლო ინგლისის ხელისუფლებამ, 1920 წლის ივლისში, ბათუმის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადასცა. რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ოსმალეთის ნეიტრალობა მოიპოვეს იმით, რომ მათ არდაგანი (არტანანი) და ართვინი დაუთმეს. თურქებმა ისარგებლეს საქართველოს მძიმე მდგომარეობით და ეს მხარე საქართველოს წაგლიჯეს.

1921 წლის 22 თებერვალს სიმონ მდივანმა ოფიციალური წერილით მიმართა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარს ახმეტ მუსტარ ბეის: „...თქვენ მიერ განზრახული მოქმედება არდაგანისა და ართვინის ოლქებში შესვლისა, ჩვენთან შეუთანხმებლად, არის განმეორება იმ დიდი ისტორიული შეცდომისა, რომლითაც ძველმა ოსმალეთმა, განუწყ-

ვეტელი თავდასხმით, აიძულა ძველი საქართველო მოეყვანა ოსმალეთის კარზე მისი დაუძინებელი და უსასტიკესი მტერი – რუსეთი და ამით თავისი თავიც დაესაჯა. იგივე მეორდება დღესაც: როცა, ერთის მხრით, ახალგაზრდა ოსმალეთი ჩაბმულია საშინელ ბრძოლაში თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, ხოლო მეორეს მხრით, ახალი დემოკრატიული საქართველო უსასტიკეს ბრძოლას აწარმოებს თავისი თავისუფლებისა და არსებობის შესანარჩუნებლად, სწორედ ამ დროს, ანგორის ნაციონალურმა დიდმა კრებამ, გადაწყვიტა თავდასხმა საქართველოზე. როცა ანგორის ნაციონალურ დიდ კრებას არაერთგზის განუცხადებია, რომ ოსმალეთის ინტერესი მოითხოვს ძლიერსა და დამოუკიდებელ საქართველოს არსებობას; და ეს ხდება კიდევ იმ დროს, როცა სახელმწიფოთა გამიჯვნის დროს, ისტორიულ, კულტურულ, იურიდიულ, ეთნოგრაფიულ და ეკონომიკურ უფლებებს უფრო მეტი ძალა და პატივისცემა აქვთ, ვიდრე რელიგიურ ერთობას, რომელზეც არის დამყარებული დადგენილება ანგორის ნაციონალური დიდი კრებისა, ამიტომ სასტიკსა და ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ და თან, ჩემს თავს ნებას ვაძლევ, განვაცხადო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძალით შემოჭრის შემდეგ, რაიმე საკითხის გადაჭრა კავკასიის შესახებ, ვისგანაც უნდა იყოს, საქართველოს დაუკითხავად შეუძლებელი იქნება!“ (სცსსა, ფ. 2118, აღწ. 1, ს. 6, ფურც. 30).

ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები უცხოეთიდან ადგენებდნენ თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ამ მხრივ, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა კონსტანტინოპოლში მყოფი მისია, რომელიც პარიზში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, უშუალოდ აწვდიდა ცნობებს საქართველოში არსებულ სიტუაციაზე. 1921 წლის 9 აპრილის წერილით ნოე ხომერიკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს ატყობინებდა: „ქმალისტები სავსებით მხოლოდ ჩვენი წამოსვლის მეორე დღეს გაუდევნიათ ბათომიდან და გაუდევნიათ სრულად მარტო ქართველ ჯარისკაცებს, გ. მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით. რუს ბოლშევიკებს, ამ ბრძოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. პირიქით, როცა რუსის წითელარმიელების პირველი ეშელონი მოსულა, მატარებელს დახვდნენ ქმალისტები და მოუთხოვიათ იარაღის დაყრა, რაც მათ შეუსრულებიათ და მხოლოდ შემდეგ, დიპლომატიური მოლაპარაკებით იარაღი მათთვის უკან დაუბრუნებიათ. მთელი სამი დღის განმავლობაში, რაც იქ ბრძოლა წარმოებდა, ისინი გარეშე მაყურებლად იყვნენ. ყველა გაკვირვებული იყო, თურმე, ქართველი ჯარისკაცების მამაცური საქციელით. ქმალისტები, ამიტომ, ძალიან გაბრაზებული ყოფილან ქართველებზე და ლტოლვილებს ტრაპიზონიდან და სხვა ადგილებიდან დევნიან... გარეგნულად ბათომში და სხვაგანაც სიმშვიდეა. საქართველოს ჩეკას თავმჯდომარე კოტე ცინცაძეა, ხოლო ბათუმის ცნობილი – საჯაია“ (სცსსა, ფ. 1864, აღ. 1, ს. 471, ფურც 3).

საბჭოთა რუსეთს და ქემალისტურ ოსმალეთს მსოფლიო ომის შემდეგ საერთო მიზანი გაუჩნდათ: ბრძოლა გამარჯვებულ სახელმწიფოთა კავშირის ანუ ანტანტის წინააღმდეგ. პირველი ებრძოდა მათ სამხრეთ რუსეთში – თეთრგვარდიელთა ფრონტზე; მეორე – მცირე აზიაში, ბერძნების მიერ გაშლილ ფრონტზე. ამ საერთო ინტერესების გაჩენამ, საბჭოთა რუსეთს და ქემალისტურ ოსმალეთს საერთო ინტერესები შეუქმნა. რუსეთი, ოსმალეთის ხელისუფლებას, სერიოზულ დახმარებას უწევდა და საქართველოს წინააღმდეგ მოსალოდნელი ომის დაწყების შემთხვევაში, მასში საიმედო პარტნიორს ხედავდა (ვადაჭკორია, 2015: 91). თურქ ნაციონალისტებსა და ბოლშევიკებს შორის პირველ კონტაქტებს ადგილი ჯერ კიდევ 1919 წლის მაისში ჰქონდა, დასავლეთ ანატოლიაში ბერძნული სადესანტო ჯარის გადასხმის შემდეგ. მუსტაფა ქემალის თანამებრძოლი, ჰუსრევ ბეი, 7 ივნისს აღმოსავლეთის ფრონტის მეთაურის ქიაზიმ ყარაბეკირისადმი გაგზავნილ წერილში მოითხოვდა კავკასიის ბოლშევიზაციას და ოსმალეთში საბჭოთა ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი რეჟიმის დამყარებას. (Afanasyan, 1981: 89). ოფიციალური პირი, ვინც საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, პირველმა დაამყარა ურთიერთობები თურქულ ჯგუფთან და ხელი მოაწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას, ეროვნებით ქართველი რუსი ბოლშევიკი შალვა ელიაშვილი იყო (ჩახიანი, 2015: 160-161).

1921 წლის 16 მარტს, იმ დღეს, როცა ბათუმში ჯერ კიდევ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმყოფებოდა, მოსკოვში, თურქებმა და რუსებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მეორე მუხლით თურქეთი უთმობს საქართველოს თავის სუვერენულ უფლებებს ბათუმზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსი ა. მანველიშვილი წერს: „...ეს სუვერენობა მას (ოსმალეთს – ლ.ს.) უკვე გამოცხადებული ჰქონდა 16 მარტის თუნდაც ერთი დღის წინ, სხვანაირად როგორ დაუთმობდა იმას, რაც მას არ ეკუთვნოდა. მაშასადამე, ამ დროს თურქების მიერ ბათუმის დაკავება იყო მხოლოდ დიპლომატიური მანევრი. თუმცა მისი პრეტენზია მუდამ ჰქონდათ, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ რუსები ბათუმისთვის მოდიოდნენ და მას თურქებს როგორ დაუთმობდნენ!“ (მანველიშვილი, 1984: 301).

კ. გვარჯალაძე თავის მოხსენებით ბარათში წერს; „როგორც ვიცით, ბოლშევიკები საქართველოში ანგორის დასტურით და შემწეობით შემოვიდნენ. ასაწონ-დასაწონი იყო ყველა ის პირობები, რომელშიდაც ოსმალები აწარმოებდნენ თავის პოლიტიკას რუსეთის და კავკასიის მიმართ. ჩვენი წარმომადგენლობა, როგორც ოსმალეთში მყოფი, პირველი დღეებიდან შეუდგა კონსტანტინოპოლის ოფიციალურ და კერძო გავლენიან პირებთან კავშირის დაკავებას. მართალია, კონსტანტინოპოლი ანგორას მოწყვეტილი იყო და ანატოლიაში მას არავითარი გავლენა არ ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც საჭირო იყო აქ ნაცნობობის ქონა იმ პირებთან, რომლებიც შემდეგში დიდ როლს ითამაშებდნენ. ანგორის გა-

მარჯვების შემდეგ კი აქ ახლა თანდათან მოდიან ქემალისტები. არის აქ, აგრეთვე, ანგორის ოფიციალური წარმომადგენელი. თურქები ჯერ კიდევ არიან მკვიდრ კავშირში რუსებთან და დიდ სიფრთხილესაც იჩენენ მათ მიმართ. ყველას ერთხმად იმას ეუბნებიან, რომ ჯერ მდგომარეობა უნდა გამოირკვეს, უნდა ვიცოდეთ ვინ იქნება ჩვენი მეგობარი, ან ჩვენი მტერი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ასე თუ ისე გარკვეული სამოქმედო ხაზი ვიქონიოთ. ერთი წლის განმავლობაში, პოლონელებმა დიდი ენერგია დახარჯეს, რომ გამოერკვიათ ოსმალეთ-რუსეთის დამოკიდებულება ერთმანეთთან ამ ახლო მომავალში და იმაზე მეტი, რაც კი საზოგადოთ ყველამ ვიცით, მათ დღემდეც კი ვერაფერი გაიგეს“ (სცსსა, ფ. 2114, ს. 27, ფურც. 8).

1921 წლის 27 აპრილს, კ. გვარჯალაძე ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს იხეთ ფაშას შეხვდა. იხეთ ფაშამ ჰკითხა მას, იყო თუ არა ის ბოლშევიკური მთავრობის წარმომადგენელი, რაზეც გვარჯალაძემ უპასუხა: „არა, თქვენო აღმატებულებაჲ. მე გახლავართ ანტიბოლშევიკური მთავრობის წარმომადგენელი. მე წარმოვადგენ აქ იმ მთავრობას, რომელსაც მხარს უჭერდა 95% ჩვენი ხალხისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უცხო ძალების შემოსევამ ჩვენ ქვეყანაში, აიძულა ჩვენი მთავრობა დროებით საქართველო მიეტოვებინა“. იხეთ ფაშამ გააპროტესტა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ გამოცემული დოკუმენტი, სადაც ანგორის მთავრობა მოდალატედ მოიხსენიეს. გვარჯალაძემ მას განუმარტა: „ეს ალბათ თქვენო აღმატებულებაჲ ბათუმის უკანასკნელ ამბებს ეხება. მას შემდეგ, რაც ანგორის ჯარებმა არდაგანი და ართვინი დაიკავეს, ანგორის მთავრობის სახელით, ჩვენ გაგვიცხადეს, რომ მათ ჩვენთან მეტი სადავო კითხვა არ ჰქონდათ და აღვითქვეს დახმარება ბოლშევიკების წინააღმდეგ ბათუმის და მისი ოლქის დაცვაში. ამ მიზნით, ჩვენ უნდა შემოგვეშვა თურქების ჯარი ბათუმის ოლქში – ადმინისტრაცია კი ყველგან ჩვენი უნდა დარჩენილიყო, თან ბათომი და მისი ოლქი უნდა ყოფილიყო ჩვენი სამხედრო ბაზა, მაგრამ როგორც კი ქემალისტები შემოვიდნენ ბათუმში, მათ ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ ბათუმი და მისი ოლქი ანგორის გადაწყვეტილებით უერთდება სათათრეთს. თქვენი ადმინისტრაცია უნდა ექვემდებარებოდეს სამხედრო ძალას, თქვენმა ჯარმა უნდა აიყაროს იარაღი და თქვენი მთავრობა და დამფუძნებელი კრება, როგორც ასეთები, ვერ დარჩებიან აქო. ამავე დროს, მოხდა ერთი რამ, რასაც მე მგონია დიპლომატიაში ძვირად აქვს ადგილი: ანგორის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ქიაზიმ ბეიმ ერთ ჩუმათ მის მიერ დაბეჭდილ პროკლამაციაში თავისი თავი ბათუმის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა“ (სცსსა, ფ. 2114, ს. 71, ფურც. 3). თავის მხრივ, იხეთ ფაშამ გვარჯალაძეს აუწყა, რომ ქიაზიმ ბეი საქართველოდან გამოიწვიეს და ხაზი გაუსვა, რომ ის კარგი მეომარია და აღმოჩნდა, რომ რომ კარგი დიპლომატი ვერ იყო. იხეთ ფაშა დაინტერესდა, არსებობდა თუ არა ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიული რეს-

პუბლიკის მხრიდან ოსმალეთისთვის არდაგანის და ართვინის გადაცემის შესახებ. კ. გვარჯალაძემ მას აუხსნა: „არდაგანი და ართვინი ჩვენ სათათრეთისთვის არ გადაგვიცია. ეს შეუძლებელიც იყო, რადგანაც ისტორიულად, ეკონომიკურად და სტრატეგიულად ამ ადგილებს საქართველო თავისად თვლის. ჩვენ იძულებული ვიყავით, მხოლოდ, ფიზიკურ ძალას დავმორჩილებოდით და ეს ადგილები დროებით დაგვეცალა, სანამ სათათრეთთან მოვრიგდებოდით და მეგობრობის ხელშეკრულებას დავდებდით“ (სცსსა, ფ. 2114, ს. 71, ფურც. 4). იზეთ ფაშა დაინტერესდა, რა პოზიციას დაიკავებდა საქართველოს ეროვნული მთავრობა, თუ რუსეთში კერენსკის მთავრობა გაბატონდებოდა, რაზეც კ. გვარჯალაძემ უპასუხა: „რაც შეეხება ჩვენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, თქვენო აღმატებულებავ, ქართველი ხალხი, რომელსაც ჰქონია წინათ ათასი წელი თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება, ეს დამოუკიდებელი ცხოვრება მან ხელახლა აღადგინა ამ 117 წლის შემდეგ და ამით ცხოვრობდა ეს 3 წელი, ამ თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას არასდროს არავის არ დაუთმობს. ისე კი, როგორც ყველა სხვა მეზობლებთან, ისე რუსეთთანაც გვინდა, რომ კარგი მეზობლური განწყობილება გვქონდეს“ (სცსსა, ფ. 2114, ს. 71, ფურც. 4).

ბათუმის ევაკუაციის შემდეგ, კონსტანტინოპოლში ჩავიდა ბევრი ქართველი ლტოლვილი, რომლებსაც მოვლა და გზის გაკვლევა სჭირდებოდათ. მათ არ იცოდნენ ენა, მეტად ძნელი იყო მათთვის სამუშაოს შოვნა, რაშიც მათ შეძლებისდაგვარად უწევდა დახმარებას იქ მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა. ისინი, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ანგორის მთავრობის წევრებთან მუშაობას. 1921 წლის 6 ივლისს, ა. ჩხენკელისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში კ. გვარჯალაძე წერს: „...როცა სტამბოლში კაბინეტის ცვლილება მოხდა და ახალი მინისტრები იქნა არჩეული, მე ისინი ყველა ჩამოვიარე და ენახე. მარშალი იზეთ ფაშა – საგარეო საქმეთა მინისტრი, მარშალი ალი რიზა ფაშა – შინაგან საქმეთა მინისტრი და სალი ფაშა – ზღვათა მინისტრი. ესენი ყველა ყოფილი დიდი ვეზირებია და აქ მათ დიდი გავლენა აქვთ. მე ვცდილობ, ყველა ამათ სწორი და ნამდვილი წარმოდგენა ჰქონდეთ ახლანდელ მდგომარეობაზე, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში. მინდა, რომ მათ რუსებზე დიდი ილუზიები არ ჰქონდეთ. ესენი ბოლშევიკებს ვერ იცნობენ; ხან მათზე ბავშვური წარმოდგენაც აქვთ და რამდენადმე ეს ყალბი მათი წარმოდგენა აადვილებს მათ კავშირს ბოლშევიკებთან. რასაკვირველია, თურქები ეშმაკი ხალხია და მათთან სიფრთხილეა საჭირო. ამ მხრივ, ესენი ზედმეტს ვერაფერს გამოგვტყუებს; როცა ეცნობიან ბოლშევიკების ბრძოლის და პროპაგანდის მეთოდებს და თუ რას წარმოადგენს ბოლშევიზმი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისთვის თმები ყალყზე უდგებათ. ამ ბოლო დროს თურქები ძლიერ დააფიქრა მათ საზღვრებზე რუსის ჯარის თავმოყრამ. არ იციან მისი ნამდვილი მიზეზი... კარგ განწყობილებაში ვარ, განსაკუთრე-

ბით იზეთ ფაშასთან. რაც შეეხება იმას, რომ მე ვითომ თათრებთან შეთანხმებიდან დიდ რამეს მოველოდე, მართალია ის, რომ ჩემი აზრით, თათრებთან შეთანხმება აუცილებელია ჩვენთვის, მაგრამ, რასაკვირველია, ამ შეთანხმებას მხოლოდ მაშინ ექნება ფასი და წონა, როცა ამ შეთანხმებაში სხვა ჩვენზე უფრო ძლიერი მიიღებენ მონაწილეობას. კიდევ მეტი, კავკასიის ერთა კავშირს მხოლოდ მაშინ ექნება მნიშვნელობა და მას მხოლოდ მაშინ შეეძლება არსებობა, თუ ეკონომიკურად და პოლიტიკურად ევროპის რომელიმე დიდი სახელმწიფო დაუჭერს მხარს“ (სცსსა, ფ. 2114, ს. 71, ფურც. 12).

1922 წლის 4 დეკემბერს კონსტანტინე გვარჯალაძე საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს პარიზში აკაკი ჩხენკელს უგზავნის მის მიერ ოსმალებთან გაწეული მუშაობის ანგარიშს, რომელშიც ნათქვამია: „...ოსმალები დღეს ამბობენ, რომ საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რადგანაც მათთან გვაქვს ხელშეკრულება, რომლის ძალით ისინი ჩვენთვის ტერიტორიულ და ეკონომიკურ საკითხებზე მორგებული და შეთანხმებული არიანო. ძველი მთავრობა რომ დაბრუნდეს საქართველოში და მათთან ჩვენ ლაპარაკი დაიწყოთ, არ ვიცით რას იზამს ისო. შეიძლება მან ხელახლა წამოაყენოს ტერიტორიული საკითხი, ეგებ სომხებს ჩაებლაუჭონ ჩვეულებრივად და ყარსის ხელშეკრულების გადასინჯვაც კი მოითხოვონო, ამიტომაც არის, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი ბოლშევიკები არიანო. ეს განუცხადეს აქ ჩვენ მეგობრებს, რომლებიც მე მივუგზავნე იმ დელეგაციის წევრებს, რომლებიც ანგორამ ახალი ხალიფის კურთხევის დღეს გამოგზავნა სტამბოლში. თუ არ გვაქვს იმის იმედი (და მე პირადად კი ამის იმედი არა მაქვს ახლა), რომ ჩვენ ჩვენი საკუთარი ან სხვა ვინმეს ძალით, ვაიძულებთ ანგორას დათმობაზე წამოვიდეს, მაშინ ისე უნდა ველაპარაკოთ ამათ, რომ ჩვენსკენ პირი იბრუნონ, დარწმუნდნენ, რომ ბოლშევიკები არ არიან მათთვის უფრო ხელსაყრელი და ჩვენთან ლაპარაკი დაიწყოთ, თორემ მარტო რუსეთით დაშინებით, ისინი ჩვენ ტერიტორიას უკან არ დაგვიბრუნებენ. მე იმ აზრისა ვარ, რომ სომხების საკითხს ჩვენ ვერ ჩავებლაუჭებით – ეს წარმოუდგენლად აღიზიანებს თურქებს. სომხებს ჩვენ მუდამ ვებლაუჭებოდით, ისინი კი მუდამ ინტრიგნობდნენ და გვღალატობდნენ. ტერიტორიულ საკითხში, ჩვენ ამ დროებით უნდა დავკმაყოფილდეთ status quo-თი და ართვინ-არდაგანის დაბრუნებაზე, ახლანდელ ჩვენ პირობებში ლაპარაკი თუ არა მავენებელი, უშედეგო იქნება ჩემი აზრით. თუ ოსმალები იბრუნებენ ჩვენსკენ პირს, მათ ისიც კი უნდა ვამცნოთ, რომ მათ შეუძლიათ გაცილებით უფრო ადვილად მოგვირიგდნენ ჩვენ ეკონომიკურ საკითხებშიდაც და ამ მხრივ, ყარსის ხელშეკრულებაც არ იქნება ჩვენთვის რამე დამაფრთხილებელი. საჭიროა ოღონდ, რომ ოსმალებმა შეიგნონ თავისი ინტერესები და ჩვენ დაგვიწყოთ ლაპარაკი. ჟორდანიას და რამიშვილი დროებით ბათუმის ოლქის ოსმალების მიერ დაჭერასაც კი ურიგდება, თუ ოსმალები ჩვენ შინაურ საქმეებში არ ჩაე-

რეოდა და ჩვენი მტრების განდევნაში ხელს არ შეგვიშლიდა... უმთავრესი კი დღეს მაინც ის არის, რომ თურქებმა იგრძნონ, რომ ჩვენთან საქმის დაჭერა და ლაპარაკი მათთვის ნაკლებ ხელსაყრელი არ იქნება, ვიდრე ქართველ ბოლშევიკებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მათთან ვერ მოვახერხებთ საქმის დაჭერას“ (სცსსა, ფ. 2114, ს. 72, ფურც.5).

კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი აქტიურად მუშაობდა, რათა გაექარწყლებინა იქ მყოფი რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის წარგზავნილის – კ. მოდებაძის ცრუ ინფორმაციები. კ. გვარჯალაძე უშუალოდ ხვდებოდა ოსმალეთში მყოფ საბერძნეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, სპარსეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს და ზუსტ ცნობებს აწვდიდა მათ ბოლშევიკურ საქართველოში არსებულ ვითარებაზე და ქართველი ხალხის რეალურ განწყობაზე. უცხოეთის სახელმწიფოთა მეთაურები თანაგრძნობით უყურებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს. მიუხედავად ამისა, საქართველო ათეული წლების მანძილზე საბჭოთა რუსეთის შემადგენელ ნაწილად რჩებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. Afanasyan, 1981: - Afanasyan S., L'Arménie, l'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du pouvoir Soviétique 1917-1923, p. 89, Paris.
2. ვადაჭკორია, 2015: – ვადაჭკორია შ., რუსეთ-ოსმალეთის ალიანსი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ (1920-1921 წწ.), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(16), გვ. 78-93, თბილისი.
3. ლორთქიფანიძე, 1995: – ლორთქიფანიძე გ., ფიქრები საქართველოზე, თბილისი.
4. მანველიშვილი, 1984: – მანველიშვილი ა., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო.
5. ნოზაძე, 1989: – ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი.
6. სურგულაძე, 2011: – სურგულაძე კ., 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები ბათუმში და მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიცია (განმათავისუფლებელი კომიტეტი და ისლამური საზოგადოება), წიგნში: ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი, გვ. 59-70, თბილისი.
7. სცსსა, ფ. 1864, აღწ., 1, ს. 471 – საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 471, ფურც. 1.
8. სცსსა, ფ. 2118, აღწ., 1, ს. 6 – ფონდი 2118, აღწერა 1, საქმე 6, ფურც. 19.
9. სცსსა, ფ. 2114 , აღწ., 1, ს. 72 – ფონდი 2114, საქმე 72, ფურც. 5.
10. სცსსა, ფ. 2114 , აღწ., 1, ს. 71 – ფონდი 2114, საქმე 71, ფურც. 4.
11. სცსსა, ფ. 2113, აღწ., 1, ს. 31 – ფონდი 2113, აღწერა 1, საქმე 31 ფურც. 2.
12. სცსსა, ფ. 2114 , აღწ., 1, ს. 27 – ფონდი 2114, საქმე 27, ფურც. 8.
13. ჩაჩხიანი, 2015: – ჩაჩხიანი ა., რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკური იტიპადისტური ენიგმა (1920-1922), თბილისი.

Georgian political emigration and Batumi region (1921-1922)

Summary

The work is based on the new archive documents and it is about history of the struggle emigration government of the Democratic Republic of Georgia for the restoration of Georgia's territorial integrity. After the Georgia's forced occupation by Russian Bolshevik troops, In March 1921, The national government of Georgia, has gone to Europe and continued to fight abroad for the restoration of the lost independence. In February, 1921, after the attack on Georgia, the Ottoman Empire promised to give a hand to the government of Georgia and under this pretext came with its army in the southern part of the Georgia Democratic Republic. In parallel of these developments, during the negotiations in Moscow, Russia and Ottoman Empire were looking for the agreement on the future divide of Georgia's territory. According to the agreement of Moscow, of March 16, 1921, The Soviet Russia was ready to cede Kars and Ardagan, but was resisting giving up Batumi. Finally, the parties agreed on the partition of the contested territories: Kars, Artaan and Artvin were handed over to Ottoman Empire, while Batumi and Adjara were left to the Georgian Soviet Republic, with legitimized right of the autonomous government to Adjara.

The government of the Democratic Republic of Georgia decided to stop the war against the Soviet Army and concentrated on the front line against the Ottoman Empire in order to protect Batumi and save it for the part of Georgia. The government of the Democratic Republic of Georgia made it possible for the Red Army of bolsheviks to march westwards and enter to the city of Batumi, but they did not participate in the military activities against turks. The task of liberation of Batumi from the Turkish units was coped with the army of the Georgian Democratic Republic by the famous general Giorgi Mazniashvili.

Representatives of the Government of the Democratic Republic in the Ottoman Empire, worked to provide information to the Government of Georgia in Paris. Based on the reports of K. Gvarjaladze and S. Mdivani - the representatives of the Government of the Democratic Republic in Constantinople, is displayed the Ottoman government officials opinions about the restoration the independence of Georgia. The heads of foreign states declaring their sympathy of georgian political emigration attempts to restore the territorial integrity of Georgia.

ბრიტანულ-ღენიკინური სამხედრო-პოლიტიკური პოლიტიკის საკითხისათვის

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ამიერკავკასია ბრიტანელთა ერთპიროვნული მანდატის ზონად ცხადდება, სადაც შემოსვლას იწყებენ ბრიტანული საოკუპაციო ჯარები. ბრიტანელები ტრიუმფატორებად შემოვიდნენ ამიერკავკასიაში და შესაბამისად, მათი შემდგომი მოქმედებების სტრატეგიას ომში გამარჯვებულის სტატუსი განაპირობებდა. ეს სტატუსი კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ახალი კოლონიალური პოლიტიკის გატარება იქ, სადაც გერმანელთა და თურქთა აღმოსავლური პრეტენზიები უკვე აღკვეთილი იყო. ამ ბრიტანული სტრატეგიის მთავარ ამოსავალ წერტილს ამიერკავკასიაში ბაქოს ნავთობისა და რეგიონის სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ფლობა, აგრეთვე, მათი ტრანსპორტირების უსაფრთხო უზრუნველყოფა წარმოადგენდა დასავლეთისაკენ, ბათუმის პორტის გავლით. სწორედ ამიტომ მოახდინეს ბრიტანულმა ქვედანაყოფებმა 17 ნოემბერს გენერალ-მაიორ უილიამ მონტგომერ ტომსონის (William Montgouimer Thomson) მეთაურობით ჯერ ბაქოს, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, ბათუმის ოკუპაცია ბრიგადის გენერალ ჯორჯ ფორესტიე-უოკერის (G. T. Forestie-Walker) ძალებით [1, 474].

საერთო ჯამში, თბილისში ბრიტანულ სამხედრო მისიას წარმოადგენდა გენერალი ფორესტიე-უოკერი, 27-ე დივიზიის მეთაური, მასთან შეშველებული მე-13 და 89-ე დივიზიის ნაწილებით – სულ 15-20000 კაცი. ამ ძალებით მოახდინეს ბრიტანელებმა მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია. გენერალ ფორესტიე-უოკერის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ გენერლები – მოლისონი (Mollison), მისი ძალები იდგნენ მეშხედში, აშხაბადსა და კრასნოვოდსკში, ტომსონი (Thomson) – ბაქოში და კუკ-კოლისი (Cook-Collis) – ბათუმში. ბრიტანული საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალს კავკასიასა და შუა აზიაში კი, ბრიტანელთა ჯარების ყოფილი სარდალი ბალკანეთში, გენერალი ჯორჯ მილნი (George F. Milne) წარმოადგენდა, რომლის შტაბ-ბინაც კონსტანტინოპოლში იყო დაფუძნებული. 1919 წლის გაზაფხულიდან ფორესტიე-უოკერი კანადელმა გენერალ-მაიორმა ჯორჯ ნორტონ კორიმ (George Norton Corey) შეცვალა [2].

ბრიტანელთათვის „სამხრეთ რუსეთის მთავრობა“ და მისი შეიარაღებული ძალები, როგორც ბოლშევიკებთან მეტროპოლი ძალა, თავიდანვე მოკავშირედ იქნა აღქმული. მოქმედებების სრული კოორდინაციისათვის

დენიკინის მთავრობაში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის სამხედრო-პოლიტიკური წარმომადგენელიც დაინიშნა – გენერალი ფრედერიკ პული (Frederick Cuthbert Poole). 1918 წლის დეკემბერში ბათუმში ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის გემები შემოვიდნენ. ჯარები გადმოსხდნენ და მთელი ბათუმის ოლქის ოკუპაცია მოახდინეს. მათ მიერ ბათუმში მარიონეტული ადმინისტრაციული ორგანო „ბათუმის ოლქის მართვის საბჭო“ ჩამოყალიბდა, რომელსაც რუსი ოფიცერი, კადეტთა ლიდერი, პ. მასლოვი ჩაუდგა სათავეში. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია ბრიტანელთა პროდენიკინური პოზიციისა, რის შედეგადაც ოლქის ოკუპაციისთანავე, ბათუმში დენიკინური ძალების შემკრებ პუნქტად, პოლიტიკურ და სამხედრო პლაცდარმად გადაიქცა. ამ საკითხს ჩვენ ნაშრომის შესაბამის ნაწილში მოგვფენთ ნათელს უტყუარი დოკუმენტებისა და საარქივო მასალების წარმოდგენით.

ბრიტანელების ამიერკავკასიაში შემოსვლასთან დაკავშირებით, გარკვეული ოპტიმისტური მოლოდინები ზოგიერთ ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებსაც გაუჩნდათ. ასეთი განწყობები განსაკუთრებით ამ უკანასკნელთა ჰქონდათ. ოპტიმიზმის საფუძველს კი ორი ფაქტორი განაპირობებდა:

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც და დიდ ბრიტანეთსაც ერთი და იგივე მტერი – ბოლშევიკური რუსეთი ჰყავდა;

2. ის რეალობა, რომ I მსოფლიო ომში ბრიტანელთა მოკავშირე რუსეთის არმიის შემადგენლობაში უამრავი ქართველი გენერალი და ოფიცერი იბრძოდა.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ქართველი გენერალ-ტეტის ერთ-ერთ ბრწინვალე წარმომადგენელს, ე.წ. „კავკასიის ველური დივიზიის“ ყოფილ მეთაურს, გენერალ ლევან (ლენკო) მაღალაშვილს,¹ საკმაოდ რეალურად ეხატებოდა მძლავრი ქართული შენაერთის შექმნა ბრიტანელთა დახმარებითა და პატრონაჟით. ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტიც ამაზე მეტყველებს.

„1918 წლის 14 დეკემბერი. ტფილისი. სასტუმრო „ორიანტი“.

მის აღმატებულება, ბატონ სამხედრო მინისტრს.

მოხსენებითი ბარათი²

¹ ლევან (ლენკო) მაღალაშვილი (1879-1926) – ქართველი ოფიცერი, კავალერისტი. დაამთავრა პაჟთა კორპუსი და ნიკოლაევის საკავალერიო სასწავლებელი. სახურობდა თერგისა და ამურის კაზაკთა ჯარებში. წინეთის ლაშქრობისა (1900-1901) რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1913 წლიდან რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. I მსოფლიო ომის მონაწილე. 1917 წლის ბოლოდან „კავკასიის ველური დივიზიის“ მეთაური. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია. მოხალისეთა კორპუსის მეთაური. 1921 წლიდან ემიგრაციაშია. გიორგის ჯვრის კავალერი.

² მოხსენებითი ბარათი წარმოადგენს ორიგინალურ საარქივო დოკუმენტს, მანქანაზე ნაბეჭდ ერთ ფურცელს. ზედ აღევს რეზოლუცია – „შენახულ იქნას საიდუმლოების განსაკუთრებული დაცვით“.

შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აზრად მოვიდა შექქმნა კორპუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად, მოკავშირეთა მთავრობებთან შეთანხმებით. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ინგლისელები თანახმა იქნებიან მომცენ ყოველივე, რაც ამისათვის მჭირდება: ფული, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და აღჭურვილობა. ამ კორპუსის შექმნით, ერთის მხრივ ახლო მომავალში ჩვენ გვექნება ძლიერი საჯარისო შენაერთი ყოველგვარი დანახარჯების გარეშე, და მეორეს მხრივ – მოვიპოვებთ მოკავშირეთა დიდ სიმპათიებს. რაც მთავარია, მივიღებთ უეჭველ შანსებს მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე მივიღოთ ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა.

ზემოთ დასახელებულ ამოცანებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სამსახურში მოეწყოს ის ათასობით ქართველი ოფიცერი, რომლებიც უსამსახურობის გამო, ერთობ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი. ამ მოხსენებით ბარათში განუხილველ საკითხებს მოგახსენებთ მოგვიანებით, პირადად, როდესაც თქვენ ამას იხეხებთ.

გენერალ-მაიორი მაღალოვი” [3].

ეს ის გენერალი მაღალაშვილია, რომლის უშუალო მეთაურობითაც „კავკასიის ველური დივიზიის” მიერ 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტიდან დაძრული გადებურტირებულ და გაყინალებულ რუს ჯარისკაცთა ეშელონები იქნა განადგურებული სადგურ შამქორთან. მანამდე კი ამ ეშელონებმა წაყენებული ულტიმატუმის ძალით დიდი რეკვიზიციები აართვეს ამიერკავკასიის მთავრობას სურსათ-სანოვავის, სამოსის, ცხენებისა და სხვადასხვა აღჭურვილობის სახით. ამ „ხარკის” გადახდის საფასურად, ამიერკავკასიის დედაქალაქი თბილისი მაშინ დიდ „რევოლუციურ” მოთარეშებას გადაურჩა. „მაგრამ მთავრობა მაინც შიშობდა, ვაი თუ ეშელონები ფოილოს ხიდთან გადმოსხდნენ და ტფილისისაკენ წამოვიდნენო” [4, 19] – იხსენებს გენერალი მაზნიაშვილი, იმ დროისათვის ქალაქ თბილისის გენერალ-გუბერნატორი და ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი. სწორედ ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მათი განადგურების შესახებ.

ბედის ირონიაა აღბათ ის რეალობა, რომ გენერალ მაღალაშვილის სარდლობის ქვეშ არსებული კარგად აღჭურვილი, შეიარაღებული და მომზადებული ქართული კორპუსის შექმნა არათუ ბრიტანელების, არამედ საქართველოს მმართველი პოლიტიკური წრეების ინტერესებშიც არ შედიოდა. ხოლო მოხსენებით ბარათში წარმოდგენილი ერთ-ერთი არგუმენტი ქართველი ოფიცრების დასაქმების შესახებ, სრულიად მიუღებელი იდეას წარმოადგენდა ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის. ეს გზა, ანუ ევროპული ტიპის მძლავრი ქართული საარმიო კორპუსის შექმნა, ერთხელ უკვე გათელილ და უარყოფილ იქნა ნოე ჟორდანიასა და მისი თანაპარტიელების მიერ. საუბარი გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინსა და ქართული არმიის შექმნის მისეულ პროექტს შეეხება:

„საქართველოში თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბებულიყო ორი ქვეითი დივიზია, საზღვრის დაცვის დივიზია, რუსული ნიმუშის მიხედვით, კავალერია – დივიზია 3 პოლკად, საჭირო დამატებითი იარაღით და დამოუკიდებელი არტილერიის ბრიგადა, მშვიდობიან პერიოდში საერთო რაოდენობით, დაახლოებით 30-40000 კაცით. თავდაცვის მინისტრმა შეარჩია გენერალი გედევანოვის³ პერსონა, ძალიან მოწესრიგებული და სიმპატიური დამხმარე, რომელთანაც ჩვენ სიამოვნებით და ნდობით ვმუშაობდით. მე მას განკარგულებაში გადავეცი მაიორი გრაფი ვოლფსკელი და რამდენიმე ოფიცერი. მე დავამუშავე ჩამოსაყალიბებელი ქვედანაყოფის საშტატო განრიგი, ასევე თავდაცვის სამინისტროს ორგანიზაციის გეგმა” [5, 12].

გერმანული პროექტი ჩაიშალა. აღნიშნული კორპუსის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა, რადგან ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აქცენტები და მთელი ძალისხმევა სახალხო გვარდიის შექმნისაკენ მიმართეს. პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სწორედ სახალხო გვარდიას თვლიდნენ ნოე ჟორდანიას და მისი თანაპარტიელები რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარ სამხედრო და ძალოვან სტრუქტურად, და არა რეგულარულ არმიას. მიუხედავად ზემოთქმულისა, ისტორიის ბოროტ ხუმრობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გენერალ მაღალაშვილს მაინც მიეცა საშუალება ჩამოეყალიბებინა სამხედრო შენაერთი, მაგრამ არა ქართული პირადი შემადგენლობით, და არა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ სომხების წინააღმდეგ და მოხალისეთა ინტერნაციონალური შემადგენლობით სომხეთ-საქართველოს ომში. გენერალ მაღალაშვილის ამ საბრძოლო რაზმის პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს ბორჩალოელი თათრები შეადგენდნენ [6].

ბრიტანელთათვის კი ის არგუმენტი, რომ საქართველოს მთავრობას ომის მიმდინარეობის ბოლო წელს აშკარა პროგერმანული პოზიციები ეკავა, უფრო წონადი აღმოჩნდა. ამან საბოლოოდ განსაზღვრა ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის ზოგადი დამოკიდებულება ახლადშექმნილი რესპუბლიკის მთავრობისა და მისი შეიარაღებული ძალების მიმართ. ეს დამოკიდებულება კი, დენიკინელებთან ურთიერთობებისგან განსხვავებით, ნამდვილად არ იყო მეგობრული, ალბათ უფრო

³ გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი (1870-1937) – პირველი ქართული რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფილო ომების მონაწილე. 1917 წელს ქვეითი დივიზიის მეთაური. 1918 წლის დასაწყისში ქალაქ ბათუმის გამაგრებული რაიონისა და ციხე-სიმაგრის კომენდანტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე (ამხანაგი) სამწყობრო-ოპერატიულ დარგში და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარ-სარდალი 1918 წლის ივლისი – 1919 წლის აპრილის პერიოდში. გენერალ იოსებ გედევანიშვილისა და პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის ძმა. გიორგის ჯვრის კავალერი.

პირიქით. და, მიუხედავად ამისა, ბრიტანელები მაინც იმედოვნებდნენ, რომ ანტიბოლშევიკური ფრონტისა და ზღუდის ორგანიზებაში საქართველო დენიკინელებთან ერთად გამოვიდოდა.

1919 წლის იანვრის ბოლოსათვის ბრიტანული ჯარების განლაგება საქართველოს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ-სტრატეგიულ პუნქტებში ძირითადად დასრულდა. ინგლისელებმა იმაზეც იზრუნეს, რათა საქართველო ბოლშევიკებისათვის დახურული ზონა ყოფილიყო. ამ მიზნით მათ თავიანთი პიკეტები ჩააყენეს საქართველოს სამხედრო გზაზე დუშეთსა და ყაზბეგში, ჩაკეტეს დარიალის ხეობა. გენერალი ფორესტიერ-უოკერი ამასთან დაკავშირებით 2 თებერვალს საქართველოს მთავრობის წევრებს წერდა: „...მე ვაპირებ გავგზავნო ყაზბეგში ყველა სახეობის ბრიტანეთის რაზმი, რომლის საერთო რიცხვი იქნება 400 კაცი. ამ რაზმის ნაწილი, დაახლოებით 60 კაცი ყაზბეგში მივა ამა თვის 8-ში, ...რაზმის დანარჩენი ნაწილი ყაზბეგში ჩავა ამა თვის 8-სა და 18-ს შორის. ჩემი რაზმი ყაზბეგში იქნება პასუხისმგებელი ბოლშევიკების წინააღმდეგ დარიალის ხეობის დაცვისათვის. რაზმის მეთაურმა ამასთან დაკავშირებით მიიღო ბრძანება იმუშაოს რამდენადაც შესაძლებელია, ყაზბეგში საქართველოს ჯარების უფროსთან ერთად. ჩემი რაზმი არ ჩაერევა არც ყაზბეგის ქართულ ტრადიციებში, არც საშვების გაცემისა და კონტროლის ქართულ წესრიგში...“ [7, 37].

ამ საკითხთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს რ. ცუხიშვილი, რომ „ბოლშევიკებთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ე.წ. მოხალისეთა არმია, რომელიც ინგლისური გირვანქა სტერლინგისა და ბრიტანელების ძალისხმევით ჩამოყალიბდა. ამასთან, ინგლისიის ერთ-ერთ მთავარ მიზანს საქართველოს ანტიბოლშევიკურ ფრონტში ჩართვა წარმოადგენდა, და, ცხადია, ამ მიმართებით საჭირო იყო საქართველოსა და მოხალისეთა შორის მტკიცე კავშირის უზრუნველყოფა“ [7, 40]. მაგრამ ნამდვილად ვერ დავეთანხმებით ავტორის იმ მოსაზრებას, რომ „საქართველოს მთავრობასა და მოხალისეთა სამხედრო-პოლიტიკურ ძალას შორის იმთავითვე მტრული ურთიერთობა სუფევდა“ [7, 42].

საწყის ეტაპზე, საქართველოს მთავრობა დენიკინელებს, როგორც ბოლშევიკებთან მეტროლ ძალას, თავის ბუნებრივ მოკავშირეებად განიხილავდა და ურთიერთობების ამ ეტაპზე, მოხალისეთა არმიასა და შევიზღვისპირეთში მოქმედ გენერალ მაზნიაშვილის შენაერთის მოქმედებებში გარკვეული კოორდინაცია ნამდვილად იყო. შესაბამისად, 1918 წლის შემოდგომიდან საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავარ ქალაქებში ნახევრად ოფიციალური სტატუსით „მოხალისეთა არმიის“ წარმომადგენლებიც დაფუძნდნენ. თბილისში – ინფანტერიის გენერალი შატილოვი,⁴ ბაქოში – პოლკოვნიკი ლაზარევი, ერევანში – პოლკოვნიკი

⁴ ვლადიმერ პავლოვიჩ შატილოვი (1855-1928) – რუსი ოფიცერი და სამხედრო

ლესლი, ხოლო ბათუმში – გენერალი რომანკო-რომენენკო. თუმცა ყველაფერს ძალიან მალე მოეფინა ნათელი და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. რუსული იმპერიული ზრახვები ძალიან მალე გამჟღავნდა და ცხადი გახდა, რომ ალექსეევ-დენიკინის იდეოლოგიურ-პოლიტიკური კრედოსათვის აბსოლუტურად არათავსებადი იყო დამოუკიდებლობის ნებისმიერი ხარისხით არსებული ქართული სახელმწიფოს იდეა. მიუხედავად ამისა, ქართულ ოფიციაში დენიკინური საფრთხის შესახებ პუბლიკაცია მხოლოდ 1919 წლის 9 თებერვალს გამოქვეყნდა. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და აღვნიშნავთ, რომ ეს პუბლიკაცია მხოლოდ მაშინ დაიბეჭდა პრესაში, როცა დენიკინელთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი შეიარაღებული აგრესია უკვე რეალიზაციის ფაზაში იყო შესული – მოხალისეთა არმიის მეწინავე ქვედანაყოფებს უკვე დაწყებული ჰქონდათ აფხაზეთში ქართული მიწების ინტერვენცია: „საქართველოს დემოკრატიის წინაშე კვლავ აღიმართა საშინელი საფრთხე, საფრთხე, რომელიც არანაკლებ საშიშია, ვიდრე ოსმალეთის ურდოები. საშიშია იმიტომაც, რომ თვით საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს მრავალი რუსეთის ბოლშევიკებისაგან გამოქცეული კონტრ-რევოლუციონერი, რომელსაც საქართველოს დემოკრატიამ თავშესაფარი მისცა როგორც პოლიტიკურ ლტოლვილთ. ეს შავრაზმელები დღეს თვით ამ თავის შემფარებელი დემოკრატიის წინააღმდეგ ირაზმებიან. თბილისი განსაკუთრებით სავსეა ამ ბნელი ელემენტებით...” [8].

ლონდონს კი თავისი არგუმენტები ჰქონდა დენიკინის „მოვრობასა“ და „მოხალისეთა არმიასთან“ მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად. ბრიტანეთის პარლამენტში ლორდთა პალატის წინაშე ერთ-ერთი გამოსვლისას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, დევიდ ლოიდ-ჯორჯი აღნიშნავდა: „ბოლშევიკური მთავრობის ცნობის საკითხი არასდროს არ მდგარა დღის წესრიგში და იგი არც განხილულა. ბოლშევიკურმა მთავრობამ უმძიმესი დანაშაულობები ჩაიდინა მოკავშირეთა ქვეშევრდომების წინააღმდეგ, რაც შეუძლებელს ხდის მის ცნობას, იმ შემთხვევაშიც კი, იგი ცივილიზებული მთავრობა რომ ყოფილიყო. მეორე მიზეზი ისაა, რომ სწორედ ესაა, ამ მომენტში მათ შეტევა მიაქვთ ჩვენს მოკავშირეებზე რუსეთში. მე ზიზღსა ვგრძნობ ყოველგვარი ბოლ-

მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1894 წლიდან პოლკოვნიკი, 31-ე ქვეითი პოლკის მეთაური, 1904 წლიდან გენერალ-მაიორი, ციმბირის I-ლი დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაური, თურქესტანის მე-7 მსროლელი ბრიგადის მეთაური. 1908 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი, ციმბირის მე-2 მსროლელი დივიზიის მეთაური, შემდეგ – მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაური. 1913 წლიდან კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაური, რითაც შეხვდა I მსოფლიო ომის დაწყებას. 1916 წლიდან ინფანტერიის გენერალი, 34-საარმიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის აპრილიდან თადარიგშია, ცხოვრობს ბათუმში. 1918 წლის დასაწყისიდან თეთრგვარდიულ მოძრაობაშია, 1918 წლის ოქტომბრიდან მოხალისეთა თბილისის ცენტრის ხელმძღვანელი. 1919 წლიდან ეკატერინოსლავის კომენდანტი. 1920 წლიდან ემიგრაციაშია. ოორგის ჯვრის კავალერი.

შევიკური მოძღვრების მიმართ და ჩვენ გულმხურვალედ დავსტირებართ მის შემადრწუნებელ შედეგებს – შიმშილი, სისხლისღვრა, ნგრევა, სიღატაკე და შიში. და მიუხედავად ამისა, სამხედრო ინტერვენცია რუსეთში უდიდესი სისულელე იქნება... ყველას, ვინც კარგად იცნობს რუსეთს, უნდა ესმოდეს, რომ მას საკუთარი ძალებით უნდა ვუშველოთ. ერთადერთი რასაც ისინი გვთხოვენ, არის ის, რომ ამისათვის აუცილებელი იარაღი მივაწოდოთ, რომ საშუალება მივცეთ იბრძოლონ თავისუფლებისათვის. ამიტომაც ვთვლი, რომ დახმარება, რომელსაც ჩვენ ვუწევთ დენიკინსა და კოლჩაკს, არ წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის ძირითადი პოლიტიკური კურსიდან – სხვის საქმეებში ჩარევის უარყოფიდან, გადახვევას.

ჩვენი პოლიტიკის შემდგომი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოკავშირე ქვეყნებში არ გაჩნდეს შეიარაღებული ბოლშევიზმი. ამიტომ ჩვენ ორგანიზებას ვუკეთებთ მოკავშირე სახელმწიფოთა მთელ ძალებს, რომლებიც ერტყმიან რუსეთს ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, რომ მათთვის შესაბამისი საშუალებების მიწოდებით შეიქმნას ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლის ბოლშევიზმის შემოჭრას” [9, 252-253].

ბრიტანელთა მხრიდან დაუყოვნებლივ დაიწყო გენერალ დენიკინისა და მისი „მთავრობისათვის” დიდი ფინანსური დახმარებებები გაწევა. შავი ზღვის პორტებით კი, დენიკინელთათვის იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სამხედრო აღჭურვილობის შემოტანა იწყება. დენიკინის არმიას პირველ რიგში კავკასიის ფრონტის კუთვნილი ქონება გადაეცა, რომელიც ბათუმის ოლქსა და ბრიტანელთა მიერ კონტროლირებად ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებზე იყო თავმოყრილი. ბათუმში საქართველოს მთავრობის სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი (გენერლების – ალექსანდრე და იოსებ გედევანიშვილების ძმა) 1919 წლის 11 იანვრით დათარიღებულ ტელეგრამაში იტყობინებოდა:

„გუშინ სარწმუნო წყაროებიდან მაცნობეს, რომ ბათუმში დარჩენილი სამხედრო ქონება და საბრძოლო მასალა ინგლისელებმა მიიღეს თურქეთისაგან და გადასცემენ დენიკინს. ამ ქონების მისაღებად ბათუმში ჩავიდა გენერალი ოგანოვსკი რამდენიმე ოფიცერთან ერთად. ამ ქონების დატვირთვა გემზე უკვე დაიწყო”.[7, 41] ბრიტანელთა მიერ „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს” მძიმე შეიარაღებაც – ტანკები და თვითმფრინავები მიეწოდებოდა. უინსტონ ჩერჩილი: „გენერალური შტაბის რჩევით ივლისის თვიდან დაწყებული, ინგლისმა მას დიდი დახმარებების გაწევა დაუწყო და არანაკლებ 250000 შაშხანა, ორასი ქვემეხი, ოცდაათი ტანკი, ვაზნებისა და სხვა საბრძოლო მასალის უზარმაზრი რაოდენობა გაუგზავნა დარდანელთა და შავი ზღვით ნოვოროსიისკში. რამდენიმე ასეული ბრიტანელი ოფიცერი და მოხალისე, მრჩეველები, ინსტრუქტორები, საწყობების უფროსები და ავიატორები დენიკინის არმიის ორგანიზებაში იღებდნენ მონაწილეობას” [10].

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრიტანელთაგან მოხალისეთა არმიას გადაცემული ტანკების გარკვეული რაოდენობა, უკვე მოგვიანებით, დენიკინელთა ნაწილის საქართველოში ინტერნირების შემდეგ, საქართველოს შეიარაღებული ძალების, კერძოდ, სახალხო გვარდიის კუთვნილებად იქცა. ამაზე ცალსახად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ერთი საარქივო დოკუმენტი.

„გზათა მიმოსვლის ინჟენერს კორინთელს.

საიდუმლო, სასწრაფო. 1920 წლის 29 აპრილი.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი გთხოვთ მიიღოთ ყველაზე ექსტრენული ზომები გვირაბებთან შემოვლითი გზის გასასუფთავებლად ტანკების (ტექსტი რუსულია. სიტყვა „ტანკები“ მთავრულითაა გამოყოფილი – **ТАНКОВЪ** – ა. ჩ.) ჩამოსაყვანად, რომლებიც იმყოფებიან ყაზბეგში. თავის მხრივ მთავარი შტაბი ამ საქმეში გაგიწევთ ყოველგვარ დახმარებას.

თავმჯდომარის მოადგილე: ხელმოწერილია – ხარაში.

მდივანი: ხელმოწერილია – აუშტროვი” [11].

თუმცა, ქართულმა სახელმწიფომ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა არსებული ტანკების შემდგომი საბრძოლო გამოყენება ვერ შეძლო. ჩვენს ხელთ არსებული არც ერთი დოკუმენტიც არც ერთი სხვა მასალით ასეთი ფაქტი არ დასტურდება.

ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობასა და დენიკინელებს შორის მჭიდრო სამოკავშირეო ურთიერთობები ბრიტანელთა მხრიდან მხოლოდ დიდი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და სამხედრო დახმარებების გაწევით არ ამოიწურებოდა. ფაქტობრივად ეს იყო ორი თანასწორუფლებიანი პარტნიორის ფართოსპექტრიანი პოლიტიკური და სამხედრო კოალიცია. ბრიტანულ-დენიკინური განსაკუთრებულად გულთბილი ურთიერთდამოკიდებულება ბრიტანელთა ახალი წარმომადგენლის, გენერალ როუტონ ბრიგსის (დოქტორ რიგგს) დანიშვნის შემდეგ დამყარდა. გენერალი დენიკინი: „ინგლისის მისიის ახალი ხელმძღვანელი, გენერალი ბრიგსი, რომელიც ამ თანამდებობაზე 3 თებერვალს დაინიშნა, ჩვენდა საბედნიეროდ, რუსეთის ნამდვილი და კეთილშობილი მეგობარი აღმოჩნდა. იჩენდა რა განსაკუთრებულ მზრუნველობას რუსული არმიის მომარაგების საქმეში, გულწრფელად იზიარებდა ჩვენს საჭიროებებს და ამასთან ერთად დიდ მორალურ დახმარებას უწევდა როგორც ჩვენს სარდლობას, ასევე რუსულ იდეას. ყველგან სადაც კი მას გამოსვლამ მოუწია, დონზე, ყუბანში, ჩეჩნეთში, მისგან მხოლოდ ღირსეული მოწოდებები გვესმოდა ერთიანობისაკენ, რუსული სახელმწიფოებრიობის მხარდაჭერისაკენ. ის კეთილი ინგლისელი და შემსრულებელი ქვეშევრდომი იყო. ყოველთვის, როცა კი მას ლონდონიდან მოსდიოდა ჩვენთვის არასასურველი გადაწყვეტილებების აღსრულების განკარგულება, ის ყოველთვის აგზავნიდა ლონდონში თავის პირად საფუძვლიან პროტესტს

(ეს ჩემთვის მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი)“... [9, 155].

მეტად ნიშანდობლივია ის სუბორდინაციული მდგომარეობა, რომ გენერალი ბრიგსი ემორჩილებოდა არა ამიერკავკასიის ბრიტანულ სარდლობას გენერალ ფორესტიერ-უოკერის სახით, ან თუნდაც ბრიტანელთა აღმოსავლური ძალების სარდალს, გენერალ მილნს, არამედ პირდაპირ დიდი ბრიტანეთის სამხედრო მინისტრს, უინსტონ ჩერჩილს. ბრიტანელთა მიერ ოკუპირებულ ქართულ მიწებზე კი დენიკინელები ისე გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სახელმწიფოში. ეს მდგომარეობა განსაკუთრებული სიმწვავეთ ბათუმსა და ბათუმის ოლქში შეინიშნებოდა, რომელიც დენიკინელთა ძალების თავმოყრისა და განაწილების ფაქტობრივ პუნქტს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში. ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის დროს რუსთა ნაციონალურმა საბჭომ ურთიერთობები დაამყარა მოხალისეთა არმიასთან, აღიარა იგი გამაერთიანებელ ცენტრად და მისგან ღირეპტივებსაც ითხოვდა. როდესაც ბათუმში გენერალი ფორესტიერ-უოკერი გამოჩნდა, საბჭომ ბრიტანელთა სარდლობას ოლქის შესახებ მემურანდუმი წარუდგინა იმ უდიდესი დამსახურების შესახებ, რაც რუს მოსახლეობას მიუძღვოდა ოლქის წინაშე მთელი 40 წლის განმავლობაში. მთავარი კი ის იყო, რომ რუსთა ნაციონალურმა საბჭომ ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მოწყობის სქემა-პროექტი წარადგინა [9, 155].

ეს კი შავი ზღვის სასაზღვრო რაზმის უფროსის სამსახურებრივი პატაკია საზღვრის დაცვის უფროსის სახელზე.

„შავი ზღვის სასაზღვრო რაზმის უფროსის №102 1919 წლის

15 მარტის საიდუმლო პატაკის ასლი სასაზღვრო დაცვის უფროსს:

ჩოლოქის ხიდზე ნატანების უბანზე ოფიცრის მეთაურობით განლაგებულნი არიან ინდუსები – 20 კაცი. საზღვრის გასწვრივ სხვა ჯარები არ არის. ბათუმში მდგომარეობა ძალიან გამწვავებულია, განსაკუთრებით 10 მარტს განხორციელებული სამგზავრო მატარებლის გაძარცვის შემდეგ ქობულეთის სადგურთან ახლოს. რუსები და ინგლისელები ქართველებს ძალიან უხეშად ეპყრობიან. ბათუმიდან ჩვენ ტერიტორიაზე რუსები არაფერს არ ატარებენ, დააფუძნეს საბაჟო. დადის ხმები რომ ბათუმში რუსების მიერ ფორმირდება სასაზღვრო დაცვა და მალე ინგლისელების ნაცვლად საზღვარზე რუსები დადგებიან. ჩოლოქის ხიდზე მდგარი ინგლისელები კარგად არიან ჩაცმულები და ნაკვებნი. ლაპარაკობენ ცოტას, იმდენად, რამდენადაც მათი ენა ჩვენ არ გვესმის.

რაზმის უფროსის მ/შ პოდპოლკოვნიკი მშველიძე“ [12].

ბათუმთან ერთად, დენიკინელთათვის ძლიერ მხარდამჭერ ფაქტორს თვით თბილისში მცხოვრები ყოფილი ცარისტი გენერალიტეტი და რუს ოფიცერთა კორპუსიც წარმოადგენდა, რომლებმაც მოხალისეთა არმიის

საქართველოსთან მოახლოებისთანავე გაააქტიურეს თავიანთი მოქმედებები.

„შიფროგრამა №59.

1919 წლის 18 იანვარი. საიდუმლო.

ნატანებიდან. სამხედრო მინისტრს.

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გედევანოვი.

„ტფილისიდან ბათუმში ჩამოვიდა გენერალი ლევანდოსკი (I მსოფლიო ომის მიწურულს კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი – ა. ჩ.), რომელმაც კერძო საუბარში გენერალ ოდიშელიძესთან⁵ განაცხადა, რომ ბათუმში თავისი პირადი საქმის გამო ჩამოვიდა, კერძოდ მოძებნოს აქ ადგილი, თავისი და თავისი ოჯახისათვის საცხოვრებლად. მაგრამ, ამასთან ერთად დადგენილია, რომ მის ჩამოსვლას პოლიტიკური ხასიათი აქვს. იგი გამოვიდა რუსთა ეროვნული საბჭოს ადგილობრივ კრებაზე და განაცხადა, რომ რუსების მთავარ მტერს ამ ფრონტზე (როგორც ჩანს მხედველობაში ჰქონდა კავკასია) – ქართველები წარმოადგენენ, რომელთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ. როგორც ჩანს, ტფილისში დაბრუნებისას იგი იქაურ რუსთა ეროვნულ საბჭოს მოახსენებს მდგომარეობას ბათუმში. ამგვარად, იკვეთება მოქმედებების ერთიანი ხაზი. დელეგაცია გამოემგზავრა.

ხელმოწერა – გედევანოვი.

გაშიფრა – კაპიტანი გეორგაძე” [13].

დიახ, დენიკინის პოლიტიკისა და სტრატეგიული გეგმების საიმედო საყრდენს ამიერკავკასიაში ზემოთ ხსენებული ე.წ. „რუსთა ეროვნული საბჭო“ წარმოადგენდა, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ყოფილი მეფის მოხელეები, კადეტთა პარტიის წევრები, თეთრგვარდიელი ოფიცრები. საბჭო მუდმივად ცილს სწამებდა ქართველ ხალხს ანტირუსულ განწყობებში და განგებ აწყობდა პროვოკაციულ გამოხდომებს. მოხალისეთა არმიასთან საბჭოს დამყარებული ჰქონდა მუდმივი კავშირები, ურჩევდა მას ამიერკავკასიის საზღვრების გადმოლახვას და აქაც რუსეთის ძალაუფლების აღდგენას. რუსთა ეროვნულ საბჭოს თავისი ფილიალები ჰქონდა გახსნილი ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებშიც. ერთ-

⁵ ილია ოდიშელიძე (1865-1921) – მეფის რუსეთის ოფიცერი და გენერალი, ქართველი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე და სარდალი. I მსოფლიო ომის მიწურულს რუსეთის კავკასიის ფრონტზე საარმიო კორპუსის სარდალი, შემდეგ კავკასიის ფრონტის ფაქტიური სარდალი. 1918 წლიდან ამიერკავკასიის ფედერაციის, შემდეგ კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სამხედრო მეთაური. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილე ქართული დელეგაციის წევრი. 1920 წლის ბოლოდან საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს წევრი. 1920 წლის 13 დეკემბრიდან 1921 წლის 16 თებერვლამდე საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 27-28. გიორგის ჯვრის კავალერი. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია.

ერთ წერილში რუსთა ეროვნულ საბჭოს წევრი დენიკინს ასეთ „რჩევა-დარიგებას“ აძლევდა: „ამიერკავკასიის მიმართ ქმედითი პოლიტიკა რომ დაეწყოთ, მოხალისეთა არმიას ევალება განამტკიცოს თავისი პოზიციები საგრძნობი ძალებით არა დაპყრობის ან სადამსჯელო ექსპედიციის მოწყობით, არამედ ადგილზე თავისი რაზმების ჩამოყალიბების გზით. ასეთი რაზმების ფორმირების ადგილად ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა ქალაქი ბათუმი, სადაც ყველაზე ადვილია ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმება მოკავშირე ინგლისელთა სახით. ახალი ფორმირების კადრად გამოდგებიან ამიერკავკასიაში ამ თუ იმ მიზეზით მრავალრიცხოვნად ჩარჩენილი რუსი ოფიცრები, რომელთა მობილიზება მოხალისეთა არმიის მთავარსარდლის ბრძანებით შეიძლება მოვახდინოთ. მრავალმა ოფიცერმა, თავისი ძალისა და ცოდნის გამოყენების ასპარეზს რომ ეძებენ, თხოვნით მიმართეს რუსთა ეროვნულ საბჭოს მითითებების მისაღებად“ [14, 232].

ამ საკითხთან მიმართებაში მეტად საინტერესო და შინაარსობრივად მოცულობითია პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის მიერ თბილისში გაგზავნილი კიდევ ერთი საიდუმლო შიფროგრამა, სადაც სრულადაა წარმოდგენილი რუსთა ნაციონალური საბჭოსა და დენიკინელთა მიერ ბათუმში დახლართული აგენტურული ქსელის მუშაობა, მისი მიზნები და ამოცანები, სამხედრო-პოლიტიკური აქტივობის მთელი სპექტრი. ეს შიფროგრამა სრულად ადასტურებს სწორედ ბათუმში დენიკინური სამხედრო რაზმების შექმნის ჩანაფიქრს, რაც ზემოთ წარმოდგენილი წერილითაც იყო დადასტურებული. ამავე დროს, პოლკოვნიკ გედევანიშვილის ამ მოხსენებით ბარათში დახატულია ბათუმში არსებული მეტად რთული საერთო პოლიტიკური სურათი. ამ შიფროგრამას ჩვენ სრულად წარმოვადგენთ.

„შიფროგრამა №72

სრულიად საიდუმლო.

ბათუმიდან. გენშტაბის პოლკოვნიკი გედევანოვი. 1919 წლის 25. 01.

სამხედრო მინისტრს,

ასლი საგარეო საქმეთა მინისტრს,

ასლი დიომიდე თოფურიძეს⁶.

დგინდება, რომ ადგილობრივი რუსული ელემენტები, ბათუმის ოლქის მმართველობის რუსთა ადგილობრივი ეროვნული საბჭოების დახმარებით ცდილობენ განახორციელონ გენერალ ლევანდოვსკის წინადადება შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ. ამასთან, ეს შეიარაღებული ძალები თითქოს იქმნება დენიკინთან გასაგზავნად, მაგრამ სინამდვი-

⁶ დიომიდე თოფურიძე – ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომისტი. ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქტორი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი ბათუმში და ბათუმის ოლქში. სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

ლეში იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე დატოვონ ადგილზე ამა თუ იმ მიზეზით. მოხალისეთა არმიის აქ ჩამოსულ მრავალრიცხოვან ოფიცერთაგან ერთ-ერთმა, რასაც მე გატყობინებდით №67 ტელეგრამით, ძალიან მთვრალ მდგომარეობაში წამოაყრანტალა, რომ იგი აქ ჩამოვიდა ადგილობრივი ჯარის შექმნისათვის, ინსტრუქტორად. გუშინ ბათუმში შემოვიდა ორი ინგლისური ნაღმოსანი, რომელთაც ჩამოიყვანეს ახალგაზრდა რუს ოფიცერთა დიდი რაოდენობა. ამ ოფიცერთა ჩამოსვლას ზემოთ ხსენებულ შეიარაღებული ძალების შექმნასთანა აქვს კავშირი.

რაც შეეხება რუსთა მუშაობას აჭარელთა შორის, როგორც ჩანს ჯემალ ბეგს (ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი – ა. ჩ.) მიცემული აქვს რაღაც დაპირებები, ეს უკანასკნელი კი თანახმაა დაეხმაროს შეიარაღებული დახმარებითაც, რადგან თავის მომხრეებს განუცხადა, რომ უახლოეს მომავალში საჭირო იქნება იარაღის ისევ ხელში აღება. რაც შეეხება ჯემალ ბეგის ზეგავლენას აჭარაში, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აჭარელთა მხრიდან დელეგირების ყოველგვარი მცდელობა ხდება ბეგებისა და ხოჯების სახით, რომელნიც რა თქმა უნდა, მხარს ჯემალ ბეგს დაუჭერენ. განსაკუთრებით მაშინ, თუ თავის მხარეს რეალურ ძალას დაინახავენ. ასეთ ძალად კი მათ შეუძლიათ დაინახონ ის შეიარაღებული ძალები, რომელთაც ქმნიან ადგილობრივი რუსები, დენიკინთან გაგზავნის საბაბით. თუ ინგლისელებს სურთ დენიკინელთა გასაძლიერებლად ბაზის შექმნა, მაშინ უკეთესია ვურჩიოთ მათ ამისათვის სხვა პუნქტი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბათუმი. რუსული ძალების თავმოყრა თავისი პოლიტიკური შედეგებით ჩვენთვის უკიდურესად საშიში იქნება. რაც შეეხება ჯემალ ბეგისათვის მიცემულ დაპირებებს, როგორც ჩანს, აქ საუბარია ბათუმის ოლქში ძველი რუსული რეჟიმის აღდგენაზე და ჯემალ ბეგისა და მისი მომხრეებისათვის სამსახურებრივი და მატერიალური კეთილდღეობის დაპირებებს.

ვთვლი, რომ ასეთივე მუშაობა მიმდინარეობს რუსების მხრიდან აფხაზებზე ალექსანდრე შერვაშიძის საშუალებით. ამიტომ ამაზეც უნდა ვიყოთ ფრთხილად. ახლახანს შემატყობინეს, რომ შერვაშიძემ ინჟინერ მიხაილ ბოგდანოვიჩ ბუზ-ოლდის საშუალებით, რომელიც სოხუმში გაემგზავრა, გაატანა წერილი და დოკუმენტები ტატაშ მარშანიას სახელზე. მოცემულ მომენტში ადგილზე აუცილებელია მამედ ბეგის (მემედ ბეგ აბაშიძე – ა. ჩ.) ყოფნა. ის კი არ მოდის, რაც აქ მომუშავე ჩვენს თანამშრომლებში იწვევს გარკვეულ შიშს წარმატებული მუშაობის შესახებ. გარდა ამისა, აქ კიდევ არიან დარჩენილნი თურქეთის აგენტები, რომელნიც თავის მხრივ უმდგრევენ ტვინს აჭარლებს. მაგალითად, ბათუმში, სასტუმრო „პეტროგრადში“ ცხოვრობს თურქი პოლკოვნიკი, განჯის ყოფილი გუბერნატორი, რომელთანაც მუდმივად იკრიბებიან ადგილობრივი მუსულმანი თურქოფილები. შესაძლებელია, რომ ასეთი პირების არსებობის შესახებ საქმის ყურში ჩავაყენოთ ინგლისელები, რომ მათ ისინი გააძევიან, როგორც თურქეთის აგენტები.

პოლკოვნიკი გედევანოვი.

გაშიფრა – კაპიტანი გეორგაძე” [15].

დენიკინელებისაგან მომავალი მოსალოდნელი საფრთხის სიმწვავე როგორც საქართველოს საზღვრებთან, ასევე ქვეყნის შიგნით, სრულად იქნა გაანალიზებული ქართველ ხელისუფალთა მიერ. მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას გამოსვლიდან (სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი, 1919 წლის 2 თებერვალი): „...ადრე ორი ფრონტი გვქონდა, ბოლშევიკური და მუსულმანური. უკანასკნელის დამარცხებით დამარცხდა პირველიც. ახლა ჩვენზე მოდის ახალი შავი ძალა, ის, რომელიც დამხო თებერვლის რევოლუციამ. ეს დენიკინის არმიაა. ეს რეაქცია ჩვენსკენ მოიწევს არა მხოლოდ სოჭიდან, არამედ მან თავი წამოწია აგრეთვე ქვეყნის შიგნით, და მთავარია, რომ თბილისშიც, ძველი ჩინოვნიკების, თავადების და უმეტესი ოფიცრების სახით. მათ კარგად იციან, რომ დენიკინის მოსვლით, ყველა დაკარგულ უფლებებს დაიბრუნებენ. და რაც მთავარია, მათ დაუბრუნდებათ ჩამორთმეული მიწები.

დენიკინელებს ორი ორგანიზაცია აქვთ: ნამდვილი, დობროარმიის სახით და სახელმწიფოს შიგნით. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და მივიღოთ ყველა ზომები. თბილისში მზად უნდა ვიყოთ ყველა მოულოდნელობისათვის. საჭიროა ტფილისის გვარდია ფეხზე დავაყენოთ... თუ ჩვენ არ გაეძლიერდებით, მაშინ გველოდება მარცხი, რასაც მოყვება ინგლისელთა განცხადება, რომ ჩვენთან ანარქიაა და მასთან გამკლავება არ შეგვიძლია, ამიტომ ისინი იღებენ ხელისუფლების სადავეებს ხელში ისევე, როგორც ეს გააკეთეს ბაქოში” [16].

საქართველოსა და მოხალისეებს შორის მტრული დამოკიდებულების ატმოსფეროში ინგლის-საქართველოს თანამშრომლობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოხალისეთა ხელმძღვანელობა საქართველოს წინააღმდეგ აქტიური სამხედრო ოპერაციებისათვის ემზადებოდა. ამდენად, საქართველოში ინგლისელების შემოსვლის პერიოდში სოჭის ოლქის საკითხი გასცდა საქართველოსა და მოხალისეთა ურთიერთობის სფეროს და იგი ინგლისის პოლიტიკის მწვავე პრობლემად გადაიქცა [7, 42].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007.
2. Richard Hovanniasian. The 27th division War Diary. Britain, WO 95/4880.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა). ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 130.
4. გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი. 1990.
5. General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943.
6. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 98, ფურცელი 32.
7. რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი“. თბილისი. 1995. გვ. 37. Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы (1917-1921 г.г.), Тб., 1958. Стр. 370.
8. რეაქციის ხმალი. გაზეთი „ერთობა“. ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 9 თებერვალი. №32. გვ. 1.
9. Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002.
10. Черчилль В. Мировой кризис 1918-1925. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. <http://militera.lib.ru/memo/0/one/english/churchill2.rar>.
11. სცსსა. პარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 2, საქმე 32, ფურცელი 96.
12. სცსსა. ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 138, ფურცელი 108.
13. სცსსა. ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 39, ფურცელი 47.
14. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1978. სსრკ ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო არქივი. ფონდი 446, საქმე 40, ფურცელი 2-3.
15. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცლები 68-69.
16. სცსსა. პარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (97-98).

Archil Chachkhiani
Ph.D., Colonel, David Agmashenebeli
Georgian National Defense Academy

On the Military-Political Alliance between Britain and General Denikin

Summary

The represented article reviews the process of entering the British occupation troops in the Trans-Caucasus, namely in Georgia, when the WWI ended. The military-political ties established in 1918-1920 by the Command of the occupation forces with the leaders of the Russian “White Movement” are also discussed

Based on the analysis of the reliable archive documents, it is unambiguously proved that throughout the above mentioned period of time, the British side continued to support General Denikin ideologically, financially and with military technology in his aggressive and expansionist policy against Georgia.

ოთარ თურმანიძე

*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

ნიკო ბერძენიშვილი რუსეთ-საქართველოს ზრთიერთობის შესახებ

ნიკო ბერძენიშვილი საბჭოთა ეპოქის გამოჩენილი მეცნიერი ისტორიკოსი იყო. ამ ეპოქაში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, მიენიჭა პროფესორის წოდება. არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ასევე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგედ და ვიცე-პრეზიდენტად. 1947 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. იგი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებასა და ხელისუფლების ორგანოებში. მიუხედავად ასეთი მაღალი კარიერისა, ნიკო ბერძენიშვილი არ ყოფილა კომუნისტური ხელისუფლების ბრმად მორჩილი. იგი დამოუკიდებელი, თავისუფალი მოაზროვნე მეცნიერ-მკვლევარი იყო, ობიექტურად აფასებდა ისტორიულ მოვლენებს, აკეთებდა სწორ დებულებებსა და დასკვნებს. შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ბერძენიშვილმა ქართული საისტორიო მეცნიერებაში პირველმა შემოიტანა ფილოსოფიური აზროვნება, რაც სხვა გამოჩენილ მეცნიერ ისტორიკოსებთან არ გვხვდება. ნიკო ბერძენიშვილმა, ივანე ჯავახიშვილთან და სიმონ ჯანაშიასთან ერთად, დაწერა საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო, რომელშიც ქართველი ხალხის ისტორია გადმოცემულია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. წიგნი 1944 წელს გამოქვეყნდა და მან სტალინური სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ამ წიგნზე აღიზარდა მთელი თაობა, განსაკუთრებით მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა. 1958 წელს ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოვიდა საქართველოს ისტორიის სამტომეულის პირველი ტომი, როგორც უმაღლესი სკოლის სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელო. ნიკო ბერძენიშვილი იყო არაერთი დისერტაციის რეცენზენტი და წიგნის რედაქტორი, რაც მის მაღალ განსწავლულობას, ობიექტურობასა და ავტორიტეტზე მიუთითებს.

ნიკო ბერძენიშვილმა მდიდარი და ამავე დროს ღირებული მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯეა. მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას, რომელიც დაახლოებით 10 საუკუნეს მოითვლის. ამ თემას აწ განსვენებულმა მეცნიერმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. X-XVI საუკუნეების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მეცნიერული შეფასება მოცემულია ნ. ბერძენიშვილის რეცენზიაში იასე ცინცაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს)“. ნ. ბერძენიშვილმა სადისერტაციო ნაშრომი კრიტიკულად განიხილა, და მის აქტუალურობაზე მიუთითა. ამასთან, ნაშრომის მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევდა იმას, რომ დისერტანტის მიერ „...მოპოვებულია ახალი მნიშვნელოვანი ფაქტები, წარმონეწილია უწყვეტი ისტორიული თავგადასავალი ამ ურთიერთობისა მისი ჩასახვიდან XVI საუკუნის მიწურულამდე“ (ნ. ბერძენიშვილი, V, 1971: 237).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ბერძენიშვილის სადოქტორო დისერტაცია „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე“, რომელიც 1943 წელს დაიცვა და ამ შრომისათვის ნიკო ბერძენიშვილს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭეს. ნაშრომი 1944 წელს დაიბეჭდა. მოკლე დროში დიდი ნაშრომმა პოპულარობა მოიპოვა, როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე ფართო საზოგადოებაში ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

სადოქტორო დისერტაციის თემად XVI-XVII საუკუნეების მიჯნის შერჩევა შემთხვევით არ ყოფილა. ეს პერიოდი ყველაზე უფრო ძნელბედობის ხანაა ქართველი ხალხის ისტორიაში. მართალია, ქართველ ხალხს დაღ-ხენილი, მშვიდობიანი ცხოვრება არასოდეს ჰქონია, ქარქაშში ხმალი არ ჩაუგია შუბი და ფარი არ მოუხსნია, მაგრამ XVI-XVII საუკუნეებში ქართველი ხალხის არსებობა ბეწვის ხიდზე ეკიდა, მას ისტორიიდან გაქრობა ემუქრებოდა. საქმე ის არის, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული ერთმანეთს შეეჯახა სამი სახელმწიფო - ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში. ყველა მათგანი დამპყრობელი იყო, მაგრამ ქართველი ხალხის მეხსიერებიდან არ წაიშლება ირანისა და ოსმალეთის სისხლიანი გამანადგურებელი ომები საქართველოს წინააღმდეგ. ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ეომებოდნენ, ამ ომებში საქართველოს დაპყრობა ორივე ოკუპანტისათვის მთავარი მიზანი იყო.

XVI საუკუნეში ირანმა და ოსმალეთმა საშინლად ააოხრეს ქართლის სამეფო. ქართლისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო XVI საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც სიმონ მეფის ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მარცხით დამთავრდა და ქართლის მეფემ სიცოცხლე ტყვეობაში სტამბოლში დაასრულა. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ირანის შაჰმა

კახეთის სამეფო ძირფესვიანად მოთხარა. ოთხი ლაშქრობის შედეგად კახეთში ქვა ქვაზე აღარ დატოვა. 300 ათასი მოსახლეობიდან 100 ათასი დახოცა, ამდენივე ტყვედ წაიყვანა, ხოლო დანარჩენები მთებსა და ტყეებში გაიხიზნენ. ამას ემატებოდა ჩრდილოეთ კავკასიის დაღესტანელ მარბიელთა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოების გამუდმებული შემოსევები, რის შედეგად საქართველო სისხლიდან იცლებოდა.

ნიკო ბერძენიშვილის აზრით, საქართველო მხსნელს ეძებდა. ყველა ცდა დასავლეთ ევროპასთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების, ირანისა და ოსმალეთის მიერ გამანადგურებელი შემოტევების შეკავების, ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის საქართველოს მარცხით დამთავრდა. ოსმალეთს მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ (1453 წ.) დასავლეთ ევროპისაკენ კარი დაიხშო. ევროპის სახელმწიფოებმა საქართველოს გამო ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ ისურვეს. ასეთ პირობებში საქართველოს ერთადერთ მხსნელად რუსეთი მოიაზრებოდა. ამ არჩევანს ისიც განაპირობებდა, რომ რუსეთი იყო ერთმორწმუნე, ქრისტიანული (მართმადიდებელი) ქვეყანა.

მონღოლთა 240 წლიანი ბატონობის გადაგდების შემდეგ (1480 წ.) რუსეთი სახელმწიფო ძალას იკრებდა და თანდათანობით ძლიერდებოდა, ახალ-ახალ ტერიტორიებს იპყრობდა. ასტრახანის აღების შემდეგ (1556 წ.) რუსეთს გზა გაეხსნა კავკასიისაკენ, მაგრამ კავკასიის, კერძოდ, საქართველოს დაპყრობას, ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებისათვის გააფთრებით იბრძოდნენ ირანი და ოსმალეთი. მოვლენების ასეთი განვითარების შედეგად რუსეთის ომი ირანთან და ოსმალეთთან გარდუვალი იყო. ამ მოსალოდნელ ომებში რუსეთი მოკავშირეს ეძებდა. ნ. ბერძენიშვილის შეფასებით რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. ცხადია, რუსეთს ეკონომიკური ინტერესებიც ამოძრავებდა, მაგრამ ძირითადი იყო პოლიტიკური ინტერესები. არსებული ვითარების ღრმა მეცნიერული გაანალიზების შედეგად ბერძენიშვილი აკეთებს დიდმნიშვნელოვან დასკვნას, რომ XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე განვითარებულ მოვლენებს ლოგიკურად მიჰყავართ საქართველოს რუსეთთან შეერთების აუცილებლობამდე (ბერძენიშვილი, 1967:).

მართლაც, ამ ძნელბედობის ხანაში სხვა გზა რომ არ არსებობდა ქართველი ხალხის გადარჩენისათვის, კარგად ათვისებულიყო მაშინდელი საზოგადოების პროგრესული ნაწილი, პირველ რიგში პოლიტიკური ხელისუფალნი. XVI საუკუნეში რუსეთთან პოლიტიკური კავშირის დამყარება მხოლოდ ელჩების დონეზე მიმდინარეობდა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო კახეთის მეფის ალექსანდრე მეორის მიერ ურთიერთობის დამყარება რუსეთის სამეფო კართან: ელჩების გაცვლა, მოლაპარაკებების გამართ-

ვა, ბოლოს, ფიცის დადება რუსეთის მეფის წინაშე და მოსკოვიდან „წყალობის სიგელის“ მიღება. ალექსანდრე „ყმობას“ უცხადებდა რუსეთის მეფეს, ხოლო მისგან მოითხოვდა „პატრონობას“. ეს პატრონობა იმაში გამოიხატება, რომ რუსეთს უნდა დაეცვა საქართველო, კერძოდ კახეთი, გარეშე მტრების შემოსევებისაგან. ალექსანდრე რუსეთის მეფისაგან თხოულობდა თერგზე ციხესიმაგრის აგებას, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში პლაცდარმად მიაჩნდათ. თერგზე ციხესიმაგრე რუსეთმა მართლაც ააგო, ჩრდილოეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებებიც ჩაატარა, მაგრამ მოსკოვის სახელმწიფოს ქმედებები ოსმალეთის წინააღმდეგ წარმატებული არ ყოფილა. ნ. ბერძენიშვილი სიღრმისეულად აანალიზებს ამ პროცესებს და დადებითად აფასებს რუსეთ-საქართველოს (კახეთის სამეფო) ურთიერთობას XVI საუკუნის მიწურულს. მას წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნდა „წყალობის სიგელის“ გაფორმება იმის გათვალისწინებით, რომ მაშინ სხვა მხსნელი არ მოიძებნებოდა. ცხადია, როგორც რუსეთს, ისე საქართველოს საკუთარი მიზნები ამოძრავებდათ. ნ. ბერძენიშვილის შეფასებით „ოსმალეთის (თუ ირანის) წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მიზანია ქართულ სამეფო-სამთავროთა შეკრება, საქართველოს მიზანია რუსეთის მფარველობის ქვეშ გაერთიანება და აღდგომა“ (ბერძენიშვილი, 1967:44).

ნიკო ბერძენიშვილის აზრით რუსეთზე ორიენტაციის აღება იმიტომაც იყო გამართლებული, რომ „ქართველობას“ ე.ი. ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ წყობას „ოსმალთა“ და „ყიზილბაშთა“ გაქრობით ემუქრებოდა. ასეთივე ბედი ელოდა კავკასიის სხვა ხალხებსაც. ამიტომ კავკასიის ხალხების მფარველ-მოკავშირედ და მათ მაორგანიზებელ ძალად რუსეთი გამოდიოდა. სწორედ ამიტომ ქართული საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა რუსეთთან თანამშრომლობას მტკიცედ დაუჭირა მხარი (ბერძენიშვილი, 1971: 170-171). ამის მიუხედავად საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ ორიენტაციაზე ხელი აღებული არ ჰქონდათ. ამის მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობა 1713-1716 წლებში. ამჯერადაც ევროპის ქვეყნებმა საქართველოს მიმართ დახმარების სურვილი არ გამოიჩინეს. ამასთან დაკავშირებით ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „... დასავლეთი ევროპა ირან-ოსმალეთის ძალადობისაგან სამშობლოს განთავისუფლების საქმეში ქართველებს არსებითად ვერ დაეხმარება (საბა ორბელიანის ელჩობის მარცხი)“ (ბერძენიშვილი, 1971:170).

XVIII საუკუნის 20-იან წლებში „ქართველობას“ ოსმალებისა და ყიზილბაშების მხრიდან კვლავ გაქრობისა და განადგურების საფრთხე შეექმნა. ასეთი საფრთხე დაემუქრა კავკასიის სხვა ხალხებსა და კასპიისპირეთს. ოსმალეთი შეტევაზე გადმოვიდა. იგი რუსეთისათვის საფრთხე იყო ამიტომ

რუსეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქრობა წამოიწყო. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველებთან ერთად სომხებიც. ამ ორ ქრისტიან ხალხს ერთი და იგივე ბედი აწუხებდათ-ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველის ლაშქრობას ირანის წინააღმდეგ ქართლის მეფე ვახტან VI დიდი იმედით შეჰყურებდა და სომხებთან ერთად 40 ათასი მოლაშქრე გამოიყვანა. ნიკო ბერძენიშვილის შეფასებით ვახტანგ VI რუსეთის დახმარებით საქართველოს „გამოხსნა-აღდგომა“ რეალურ საქმედ ეჩვენებოდა (ბერძენიშვილი, 1971: 171). პეტრე პირველის ლაშქრობა ჩაიშალა და 1923 წელს ქართლი ოსმალების ხელში აღმოჩნდა ოსმალეთმა საქართველოს დანარჩენი კუთხეებიც დაიპყრო. ოსმალთა ბატონობა 12 წელს გაგრძელდა. 1935 წელს აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალთა“ „ყიზილბაშობაშ“ შეცვალა. ვახტანგ VI 1200 კაციანი ამალით რუსეთში ნახა თავშესაფარი. ემიგრაციაში მყოფი ქართველები დაუღალავად განაგრძობდნენ ბრძოლას საქართველოს „გამოხსნა-აღდგომისათვის“.

განვითარებული მოვლენების მეცნიერული გაანალიზების შედეგად ნიკო ბერძენიშვილი აკეთებს დასკვნას რომ ამ მარცხის შედეგად „ოსმალთა ბისა“ და „ყიზილბაშების“ წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ერთადერთი იმედი რუსეთი რჩებოდა. საქართველოს გადარჩენისათვის რუსეთს მიმართავდნენ ქართველი მეფეები, აქ პოულობდნენ თავშესაფარს ქართველი პოლიტიკოსებიც. ეს იმიტომ, რომ პროგრესისათვის „მებრძოლ ქართველებს რუსეთი სწამდათ თავის ნამდვილ მოკავშირედ“ (ბერძენიშვილი, 1971: 172).

რუსეთი რომ საქართველოს საიმედო მოკავშირე იყო, ამის დასტურად ნ. ბერძენიშვილს მაგალითები მოყვანილი აქვს ამ ორი ხალხის ურთიერთობის წარსულიდან. სტატიაში „მოსკოვის ქართული კოლონიის მეგზური“ (რუსულ ენაზე) ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ქართველი და რუსი პოლიტიკური და კულტურის მოღვაწეები ერთმანეთს ხვდებოდნენ კონსტანტინოპოლსა და რომში, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში. მათ ნათესაური კავშირიც აქვთ. ქართველმა და რუსმა ხალხმა ერთნაირად განიცადეს თათარ-მონღოლთა ბატონობა. ქართველმა პატრიოტებმა ღრმად გაათვითცნობიერეს რუსეთის მნიშვნელობა ქართული პოლიტიკური იდეალის განხორციელებაში, რაც გამოიხატებოდა მტრული გარემოცვის გარღვევაში. ამის პირველი ცდა განხორციელდა XVI საუკუნის დასასრულს კახეთის მეფის ალექსანდრე მეორის მეფობის დროს. ამის გამო ირანმა და ოსმალეთმა დასაჯეს საქართველო. თეიმურაზ მეფეც ესწრაფოდა რუსეთისაგან მფარველობის მიღებას.

ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, XVIII საუკუნის 20-იან წლებში იყო მეორე ცდა ირანისა და ოსმალეთის მტრული გარემოცვის გარღვევისა. ამ ბრძოლაში, ე. ი. ქართველების გადარჩენაში, იმედი მხოლოდ რუსეთი იყო. რუსეთთან კავშირის გამო ირანმა და ოსმალეთმა საქართველო საშინლად ააოხრეს. 12 წლის განმავლობაში (1723-1735) ოსმალები პარპაშობდნენ, ხოლო 1736-1747 წლებში ირანელები. ირანს განზრახული ჰქონდა, როგორც ადრე, გაენადგურებინა ქართველები და ჩაესახლებინა ყიზილბაშები. ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ 25-წლიან ბრძოლაში ერთადერთი საიმედო დასაყრდენი რუსეთი იყო (ბერძენიშვილი, 1971: 181-184).

ნ. ბერძენიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს მოსკოვის ქართული კოლონიის საქმიანობას. იგი აღნიშნავს, რომ მოსკოვში ქართული კოლონია შეიქმნა XVII საუკუნის ბოლოს, მისი დამაარსებელი იყო არჩილ მეფე. 1724 წელს ამ კოლონიას შეუერთდა ვახტანგ VI თავისი ამალით. მოსკოვის ქართული კოლონია მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა, რითაც ხელს უწყობდა ორი ერის დაახლოებას (ნ. ბერძენიშვილი, V. 1971: 184-185).

ცხადია, რუსეთთან ორიენტაცია იძულებითი იყო, რამდენადაც ეს ქვეყანა ევროპულ ცივილიზაციას ჩამორჩებოდა. იგი ისეთივე დამპყრობი და კოლონიზატორი იყო, როგორც სხვა ქვეყნები. რუსეთის დაპყრობითი მიზნის შესახებ კარგად იცოდნენ საქართველოში. იგი გამოვლინდა 1768-1774 წლების ომის დროს, როდესაც საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. ამიტომ საქართველოს არჩევანი ისევ ევროპა რჩებოდა. 1781-1782 წლებში ერეკლე მეორემ სცადა ევროპასთან კავშირის გაბმა, დახმარების მიღება. ნ. ბერძენიშვილი აღასტურებდა საქართველოში ნამყოფი რუსი პოლკოვნიკის ბურნაშევის შეხედულებას, რომ ერეკლე „ისე არაფრისკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“ (ბერძენიშვილი, 1965: 228). მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ევროპის ქვეყნებმა საქართველოს მფარველობა და მოკავშირეობა არ იკისრეს. ამ პროცესების მეცნიერული გაანალიზების შედეგად ნ. ბერძენიშვილი დაასკვნია: „XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსეთთან კავშირმა ერეკლეს მოლოდინი არ გაუმართლა. მიუხედავად ამისა, მეფე შემდეგაც ცდილობდა რუსეთთან საუკეთესო დამოკიდებულების შენარჩუნებას და ამ ახალი ძალის საქართველოს სასარგებლოდ გამოყენებას“ (ბერძენიშვილი, 1973: 446).

ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა ხელსაყრელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, რადგან ირანი და ოსმალეთი იმდენად

დასუსტებული იყვნენ, რომ მათ პოლიტიკურ გეგმებში კავკასია, კერძოდ, საქართველო განიხილებოდა, როგორც დიდმნიშვნელოვანი თავდაცვითი რეგიონი, ბუფერული ზონა რუსეთის შემოტევისას. ნ. ბერძენიშვილის შეფასებით მაშინ დამდგარიყო ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები საქართველო გამოსულიყო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად სპარსეთს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის. მაგრამ ქვეყნის დაშლილობა, სოციალურ-პოლიტიკურ დაქსაქსულობა, მტრობა და გაუტანლობა თვით სამეფო კარზე დაპირისპირება და კინკლაობა საქართველოს კიდევ მეტად აძაბუნებდა. ამ შიდა ბრძოლებით საქართველო იმდენად იყო დაზიანებული, რომ ვერ გამოიყენე ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები (ბერძენიშვილი, 1965: 246-247). ამიტომ შეუძლებელი გახდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

ირანი და ოსმალეთი ძველი ძლიერების დაკარგვის, დასუსტების მიუხედავად, ხელს არ იღებდნენ საქართველოს დაპყრობაზე. ქართველ პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკოსებს სწამდათ, რომ ირანთან და ოსმალეთთან შედარებით რუსეთი პროგრესული ქვეყანა, ხოლო რუსები ერთმორწმუნე ხალხი იყო. ცარიზმის თვითმპყრობელური რეჟიმის მიუხედავად, რუსეთი პროგრესულ როლს ასრულებდა აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. რუსეთის ამ პროგრესულ როლზე მიუთითებდა ფრიდრიხ ენგელსი, რასაც ნ. ბერძენიშვილიც იხიარებდა. მისი აზრით რუსეთის მიერ საქართველოს მფარველობა საიმედო და სანდო იქნებოდა. საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირებით და რუსეთის დახმარებით ერეკლე ირან-ოსმალეთის მოძალადეებისაგან თავისი ქვეყნის სამუდამოდ გამოხსნასა და მის აღდგომას ლაშობდა, მაგრამ ევროპის არჩევანზე ხელი მაინც ადებული არ ჰქონდა. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით ერეკლე მეორემ მტკიცედ გამოხატა თავისი ორიენტაცია „რუსეთის გზით ევროპისაკენ“ (ბერძენიშვილი, 1971:229-239). ეს ფორმულა დღესაც აქტუალურია და ქართველი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები უნდა დაფიქრდნენ ამის შესახებ.

ერეკლე მეორის განზრახვა საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლისა და დამოუკიდებლობის ნაწილობრივი დათმობის შესახებ იძულებით იყო ნაკარნახევი. რთული საერთაშორისო პირობების გარდა საქართველოს საკუთარი ძალა არ ეყო შენარჩუნებინა დამოუკიდებლობა, ნ. ბერძენიშვილის შეფასებით ერეკლემ „დიდი მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო“. საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა თავისი ნებით ნაწილობრივ დათმო და ამის ფასად მისი „გამოხსნა-აღდგომის“ საბოლოო უზრუნველყოფის საქმეში მფარველ-მოკავშირედ გარეშე ძალა – რუსეთი მოიწვია (ბერძენიშვილი, 1965:247).

მეტად რთული საგარეო და საშინაო ვითარების გამო ერეკლე მეორემ თავისი ქვეყნის რუსეთის მფარველობაში შესვლა იმპერატორ ეკატერინე მეორეს შესთავაზა 1782 წლის 21 დეკემბერს. საკითხი რამდენჯერმე განიხილეს სამეფო საბჭოზე და დადებითად გადაწყდა. დიდი სურვილის მიუხედავად რუსეთისათვის მარტივი არ იყო ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში მიღება, რადგან პეტერბურგში ათვითცნობიერებდნენ, რომ იგი გამოიწვევდა ირანთან და ოსმალეთთან, კავკასიის მუსლიმანურ სახანოებთან დაპირისპირებას. ამ თხოვნის 7 თვის შემდეგ (1783 წლის 24 ივლისს) ციხე გეორგიევსკში (ჩრდილოეთ კავკასია) ხელი მოაწერეს „მეგობრობის პირობას“ („ტრაქტატს“). ქართლ-კახეთის მხრიდან ტრაქტატს ხელი მოაწერა იოანე მუხრან ბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, ხოლო რუსეთის მხრიდან-გენერალმა პავლე პოტიომკინმა. ერეკლე მეორემ 1784 წლის 23 იანვარს რუსეთის იმპერატორის წინაშე ერთგულების ფიცი დასდო, ხოლო ერთი დღის შემდეგ (24 იანვარს) ტრაქტატს ხელი მოაწერა და იგი ძალაში შევიდა. 1783 წლის ტრაქტატი და მასთან დაკავშირებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია კარად არის შესწავლილი საისტორიო მეცნიერებაში, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის შეფასება.

ტრაქტატი შეიცავდა ორმხრივ ვალდებულებებს. ქართლ-კახეთის მეფე მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაეს უფლებას სცნობდა და მის მფარველობაში შედიოდა. ქართლ-კახეთის მომავალ მეფეს რუსეთის იმპერატორი ამტკიცებდა. ერეკლეს შთამომავლებს უცვლელად დაიცავდა. ტრაქტატის მიხედვით საგარეო საკითხები რუსეთის იმპერატორის გამგებლობაში გადადიოდა და ქართლ-კახეთის მეფე მოვალე იყო თავისი სამხედრო ძალა რუსეთის სამსახურში ჩაეყენებინა. ტრაქტატის მიხედვით რუსეთი დაიცავდა საქართველოს გარეშე მტრებისაგან, დაუბრუნებდა უცხო ქვეყნების მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს და სხვა. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით მფარველ-მოკავშირეს დახმარებით ქართლ-კახეთის სამეფოში ლეკების თარეშს აღაგმავდნენ, კაკ-ენისელის მხარესა და სამცხე-ჯავახეთს დაუბრუნებდნენ, სახელმწიფო წეს-წყობილების ძირითად რეფორმებს გაატარებდნენ, აღმშენებლობას განახორციელებდნენ და სხვა (ბერძენიშვილი, 1965:231,239).

ნ. ბერძენიშვილი ერეკლე მეფის არჩევანს და რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატს დადებითად აფასებს. მისი აზრით, ერეკლეს არჩევანი ნაკარნახევი იყო არა მარტო ისტორიული წარსულით, არამედ, უფრო მეტად აწმყოთი და მისი მომავლით. ამასთან, იძლევა საყურადღებო დასკვნას, რომ ტრაქტატი „იყო ამავე დროს საქართველოს დიდი ისტორიული დამსახურება ამიერკავკასიის ხალხთა წინაშე“ (ბერძენიშვილი, 1965:247-248).

ამ შემთხვევაში საქმე ეხება კავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეის განხორციელებას. „გამოხსნა-აღდგომაში“ უცხო მოძალადეებისაგან მხოლოდ განთავისუფლება არ იგულისხმება. „აღდგომაში“ მოიაზრებოდა პოლიტიკური მიზანი - კავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა საქართველოს მეთაურობით. ეს იდეა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს დაიბადა, მაგრამ შემდგომში ვეღარ განხორციელდა მრავალრიცხოვანი მტრების გამუდმებული შემოსევების გამო. იგი კვლავ ცოცხლობდა საზოგადოების პროგრესულ ნაწილში. ამასთან დაკავშირებით, ნ. ბერძენიშვილი წერდა: საქართველოში პროგრესულ საზოგადოებას „არასოდეს არ დაუვიწყია კავკასიის ოდინდელი ერთიანობის შესახებ და შესაფერის მომენტში არ დაუყოვნებია ამ იდეის პრაქტიკულ სარბიელზე გამოტანა, არ დაევიწყებია ამის შესახებ არც სომეხი საზოგადოების პროგრესულ ნაწილს“ (ბერძენიშვილი, 1971:164). ნ. ბერძენიშვილმა ეს შეხედულება პირველად გააშუქა სტატიაში „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის“, რომელიც დაიბეჭდა 1954 წელს ჟურნალ „მნათობში“. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაკვეთით მეცნიერთა ნაწილმა ნ. ბერძენიშვილი გააკრიტიკა. ამიტომ ამ სტატიის მეორე ნაწილი აღარ გამოქვეყნებულა.

1783 წლის ტრაქტატის შემდეგ ირანმა და ოსმალეთმა ახალი აგრესიული ქმედებები განახორციელეს საქართველოს წინააღმდეგ, მათთან ერთად ქვეყანას მტრის სახით მოეწვინენ მოღალატე თავადები, აბრალეკები, მეზობელი ფაშები, ხანები და სხვა. მათთან 17 წლის განმავლობაში (1783-1800) სისხლიან ბრძოლებს ქართლ-კახეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი მსხვერპლად შეეწირა, მაგრამ ქართული საზოგადოების პროგრესულ ნაწილს არ შეუცვლია თავისი ორიენტაცია რუსეთთან მიმართებაში (ბერძენიშვილი, 1971:179,185).

1783 წლის ტრაქტატის მიმართ ქართული საზოგადოების პროგრესული ნაწილის ერთგულების მიუხედავად, რუსეთმა არ შეასრულა თავისი პირობა. რუსეთი საქართველოს განიხილავდა არა როგორც მოკავშირეს, არამედ იმპერიის ერთ-ერთ პროვინციას. მაგრამ სხვა უკეთესი გამოსავალი ვერ გამოინახა. 1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთს ოკუპაცია - ანექსია მოახდინა: გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, შემოიღო რუსული მმართველობა, ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის წევრები და მათი მომხრე თავადები რუსეთში გადაასახლეს. ცარიზმი შეუდგა დანარჩენი ქართული ქვეყნების დაპყრობას. ნ. ბერძენიშვილის შეფასებით იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ბრძოლა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და ქართული პოლიტიკური ხელისუფლების შენარჩუნებისათვის შეფასებულია, როგორც პროგრესული ღონისძიება (ბერძენიშვილი, 1971:245).

რუსეთის ხელისუფლებამ იმერეთის მეფის სოლომონ მეფის დაუძღურების, დაჩოქებისათვის გამოიყენა უღირსი ხერხები: სამეგრელოსა და გურიის სამთავროების წასისიება, გავლენიანი თავადების მოსყიდვა მეფის წინააღმდეგ. ამ გზით შეეცადა იმერეთის მეფის იძულებას ეთხოვა ალექსანდრე იმპერატორისათვის „მფარველობა“. ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, სოლომონის ბრძოლა „რუსობის“ დამყარების წინააღმდეგ იყო „ქართველი ხალხის ბუნებრივი პასუხი მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიტაცებისათვის“ (ბერძენიშვილი, V. 1971:246). ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ქართველი ხალხი უარყოფდა რუსეთთან კავშირს და ირან-ოსმალეთს ირჩევდა. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით „არჩევანი რუსეთთან კავშირის სასარგებლოდ ქართველი ხალხისათვის ისევე გარდუვალი იყო, როგორც თვით ქართველობის“ დაცვა (ბერძენიშვილი, 1971:246). ამასთან ერთად, საეკლესიო რეფორმები, რომლებიც რუსეთმა გაატარა საქართველოში, ნ. ბერძენიშვილის მიერ განიხილებოდა, როგორც მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოს პოლიტიკური დამონების გზაზე (იქვე, 248).

იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მარცხით დამთავრდა. ამრიგად, საქართველო „ხალხთა საპყრობილეში“ აღმოჩნდა. დებულება „ხალხთა საპყრობილე“ ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. ბერძენიშვილთან სიახლე ის არის, რომ „ხალხთა საპყრობილეში“ ქართული ქვეყნების შეკრება, დადებითადაა შეფასებული. მისი აზრით ქართული ქვეყნების თვმოყრა ერთ სახელმწიფოში, თუნდაც „ხალხთა საპყრობილეში“ ერის გადარჩენისათვის უფრო საიმედო იყო. ამიტომ საქართველოს გამოსნა-აღდგომის გზა ამ „ხალხთა საპყრობილეზე“ გადიოდა და იმ დროს უმჯობესი გზა არ არსებობდა (ბერძენიშვილი, 1965:305). მართალია, რუსეთი „ხალხთა საპყრობილე“ იყო, ცარიზმი სპობდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, ცდილობდა ქართველი ხალხის გარუსებას, მაგრამ ირან-ოსმალეთის ბატონობაში მოქცევა ამაზე უარესი იყო. თუ საქართველოს ტერიტორიას რამდენიმე სახელმწიფო დაიპყრობდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, საქართველოს ისეთივე ბედი სწვევოდა რაც ისტორიამ არგუნა ქურთ ხალხს. ამჟამად ქურთი ხალხი თავისი ძირძველი ტერიტორიით გადანაწილებულია 4 სახელმწიფოში (ირანი, თურქენით, ერაყი, სირია). ამ ხალხის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა ეჭვქვეშ დგას, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ნ. ბერძენიშვილი დადებითად აფასებს რუსეთის მიერ წარმოებულ ომებს ირანისა და ოსმალეთის, კავკასიის მუსლიმი სახანოებისა და საფაშოების წინააღმდეგ დარბევების აღსაკვეთად. ქართული მიწა-წყლის „გამოხნა“ ირანისა და ოსმალეთის ბატონობისაგან დიდი მნიშვნელობის

მოვლენად მიაჩნდა. ნ. ბერძენიშვილმა „ეპოქალური“ მნიშვნელობის ფაქტი უწოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ხობის შესართავთან ნავსადგურის აღებას, რადგან ამით წარსულს ჩაბარდა ოსმალეთის სამასწლოვანი სავაჭრო მონოპოლია და ევროპიდან აღმოსავლეთში ახალი სატრანზიტო გზა დაისახა ოსმალეთის გვერდის ავლით (ბერძენიშვილი, 1965:312). ეს იმას ნიშნავს ევროპის ქვეყნებზე ორიენტაცია კვლავ ცოცხლობდა. ქართველი ხალხი ევროპულ გზას იმედით უყურებდა.

მაგრამ ევროპის სახელმწიფოები, კერძოდ, საფრანგეთი, ინგლისი, მოგვიანებით გერმანია პრაქტიკულად ხელს უშლიდნენ ქართული ქვეყნების შეკრებას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ე. წ. „ხალხთა საპყრობილეში“. XIX საუკუნეში ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებათა შედეგად ქართული ქვეყნები „ძირითადად მოექცნენ ერთი ქვეყნის - რუსეთის შემადგენლობაში. პირველი მსოფლიო ომის დროს ლაზეთიც გამოსწილ იქნა ოსმალთა ბატონობისაგან. სწორედ ამაში მდგომარეობს რუსეთის პროგრესული როლი აღმოსავლეთის ხალხთა, კერძოდ, საქართველოსთან დამოკიდებულებაში.

ქართველი ხალხი კარგად აცნობიერებდა რუსეთის ამ როლს. ამავე დროს შეურიგებლად იბრძოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. საქართველოში XIX საუკუნეში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა სახალხო გამოსვლები ცარიზმის წინააღმდეგ. რომელშიც ქართული საზოგადოების ყველა ფენა მონაწილეობდა. ნ. ბერძენიშვილი მეცნიერულად აანალიზებს სახალხო გამოსვლებს და დაასკვნის: საქართველოში აჯანყებები იმიტომ კი არ მოხდა, რომ ყიზილბაშების მოწვევა სურდათ, არამედ იმიტომ, რომ რუსული მმართველობის უსამართლობას ებრძოდნენ. ყიზილბაშობა დიდი ხანია მიაჩნიათ უსამართლო ველურობად (ბერძენიშვილი, 1965:335).

ნ. ბერძენიშვილი გლეხთა ყველა აჯანყებას, რომლებიც მოხდა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, განიხილავდა, როგორც ანტი-რუსულს. ცხადია, ეს კონცეფცია საკამათოა. ამის შესახებ პაექრობა ნ.ბერძენიშვილის სიცოცხლეშიც მიმდინარეობდა. თავის რეცენზიაში ა. კიკვიძის სადოქტორო დისერტაციაზე „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში (ეროვნულ-განათავისუფლებელი ბრძოლა)“ ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად აკრიტიკებდა დისერტანტს იმის გამო თავადაზნაურობას განიხილავდა ერთიან ფენად და წარმოჩენილი იყო რეაქციულ ძალად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ქართული თავადაზნაურობა ორ ნაწილად იყოფოდა. თავადაზნაურობის ნაწილს, რომელიც ებრძოდა რუსულ მმართველობას, ნ. ბერძენიშვილი რეაქციულ ძალად წარმოაჩენდა. ამ მიმართებით არასწორად გვეჩვენება ნ. ბერძენიშვილის დებულება, რომ XIX

საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი თავადაზნაურობის ბრძოლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ იყო „ნაციონალურ-რეაქციული მოძრაობა“ (ბერძენიშვილი, 1971:256).

ეს არის ქართველი ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერის ი. ბ. სტალინის თეზისი, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი, სხვებთან ერთად, მართებულად ცნობდა. სინამდვილეში ასე არ ყოფილა. მართალია, ქართველი თავადაზნაურების ერთი ნაწილი 1783 წლის ტრაქტატის დადების წინააღმდეგი იყო, ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას იცავდა, მაგრამ ამის გამო რეაქციულ ძალად გამოცხადება შეცდომაა. ამასთან, ნ. ბერძენიშვილი იზიარებდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელების სტალინის, ს. კიროვისა და ა. ჟდანოვის კონცეფციას „დიდი და მცირე“ ბოროტების შესახებ, რომელიც მათ განავითარეს რუსეთის შემადგენლობაში არარუსი ხალხის გაერთიანებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ლიდერების შეხედულებით არარუსი ხალხის რუსეთის იმპერიაში გაერთიანება, - ნებით თუ ძალადობით „მცირე ბოროტება“ იყო იმასთან შედარებით, რაც მათ ემუქრებოდათ აღმოსავლეთით ჩამორჩენილი ტირანული სახელმწიფოების მხრიდან.

რუსეთი არასოდეს არ იცავდა თავის პირობას კავკასიის, ისე როგორც სხვა დაპყრობილი ხალხის მიმართ. პირველი მსოფლიო ომის დროს, კერძოდ, 1915 წელს აჭარლები უსაფუძვლოდ მოღალატეებად გამოაცხადეს და მას მასობრივად გასახლება უპირებდნენ. 1921 წელს რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოების ოკუპაცია-ანექსია მოახდინა, უხეშად დაარღვია შვიდი მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, თურქეთს გაურიგდა საქართველოს ტერიტორიის გადაცემის შესახებ და სხვა. სამწუხაროდ, ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ნ. ბერძენიშვილს თავისი შეფასება არ გამოუთქვამს. ის, რომ ნ. ბერძენიშვილი მტკივნეულად განიცდიდა ქართული მიწა-წყლის თურქეთის მიერ მიტაცებას, მკაფიოდ, ოფიციალურ დონეზე გამოვლინდა 1945 წელს. ნ. ბერძენიშვილმა ს. ჯანაშიასთან ერთად საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლების წინაშე არგუმენტირებულად დააყენეს საკითხი თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების შესახებ. ი. ბ. სტალინიც დაინტერესდა ამ პრობლემის გადაწყვეტით, მაგრამ იმდენად დაძაბული იყო საერთაშორისო ვითარება, რომ ვეღარ განხორციელდა ქართველი ერის სამართლიანი მოთხოვნა.

ნ. ბერძენიშვილი ვეღარ მოესწრო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, კვლავ გამოცოცხლდა ევროპული ორიენტაციის იდეა. ქართველი ხალხი დღესაც, დამოუკიდებლობის

აღდგენის 25 წლის შემდეგაც, მტკიცედ აღგას ევროპული ორიენტაციის გზას. ამასთან, ქვეყნისათვის აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, რასაც დღევანდელი ხელისუფლება ესწრაფვის. იმის მიუხედავად, რომ ევროპული ორიენტაციის გამო რუსეთმა ქართველი ხალხი დასაჯა, ჩამოაგლიჯა ტერიტორიის 20%, მხარს უჭერს სეპარატისტულ ძალებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში, მეცნიერულად გამართლებული არ იქნება რუსეთთან დაძაბულობის შენარჩუნება. დღეს შეიძლება პრაქტიკულად სასარგებლოც იყოს აწ განსვენებული სახელოვანი მეცნიერი ნ. ბერძენიშვილის ზემოდ ნათქვამი დებულება „რუსეთის გზით ევროპისაკენ“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს შეერთება რუსეთთან. თხზულებანი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II. თბილისი, 1965.
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, თხზულებანი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II. თბილისი, 1965.
3. ნ. ბერძენიშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, თხზულებანი, წიგნი IV. თბილისი, 1967.
4. ნ. ბერძენიშვილი, იასე ცინცაძე-ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, რეცენზია, თხზულებანი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V. თბილისი. 1971.
5. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, წერილი I თხზულებანი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V. თბილისი, 1971.
6. ნ. ბერძენიშვილი, Путеводитель к выставке „Грузинская колония в Москве“, თხზულებანი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V. თბილისი, 1971.
7. ნ. ბერძენიშვილი, Н. Махарадзе-восстание в Имерети 1819-1820 гг., რეცენზია, თხზულებანი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V. თბილისი, 1971.
8. ნ. ბერძენიშვილი, ა. კიკვიძე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა), რეცენზია, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V. თბილისი, 1971.
9. ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თხზულებანი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI. თბილისი, 1973.

Otar Turmanidze
Niko Berdzenishvili Institute
Senior scientific worker
Dr. of historical science

Niko Berdzenishvili about Russian-Georgian relations

Summary

The article discusses Niko Berdzenishvili's views about Russian-Georgian relations. It mentions how Iran and Ottomans' tried to conquer and destroy. Georgian royal authorities see Russia considered European states as the main protector for surviving. But Europeans did not assist Georgia. Georgia had no choice and accepted the protection from Russia's side.

According to the treaty in 1783 year Kartl-kakheti was as an ally under the protection of Russian authorities and only foreign affairs ceded the sovereignty. Russia did not keep its promise.

In 1901 Russia occupied Kartl-kakheti, and in the following years the West Georgia, abolished Georgia state system and established Russian rule. Georgia appeared in the "people's prison". Niko Berdzenishvili estimates "the meeting of Georgian countries" in the "people's prison" positively. He accepted the thesis of "little cruelty", which was announced in the 30-ies of the XX th century.

ოლეგ ჯიბაშვილი

ბათუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი

ნიკო ბერძენიშვილის „ისტორიულ-არქეოლოგიური“ ექსპედიცია ჯავახეთში და ქართულ-სომხური ურთიერთობები

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი სამართლიანად ითვლება ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. დვაწლმოსილი მეცნიერის დამსახურება ამ მხრივ საყოველთაოდაა აღიარებული. მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა საისტორიო მეცნიერების არც ერთი მიმართულება, მათ შორის, არც საისტორიო გეოგრაფია. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ე.წ. „ისტორიულ-არქეოლოგიური მოგზაურობანი“, რომლებიც სამეცნიერო ინფორმაციის მოძიების მიზნით ეწეობოდა საქართველოს სხვადასვა კუთხეში. ნ. ბერძენიშვილს ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს დიდი ნაწილი და საისტორიო მასალების მოძიება-გადარჩენის საქმეში სათანადო წვლილიც მიუძღვის.

ნ. ბერძენიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასეთ გასვლებს. როგორც თავადვე აღნიშნავს, *„თითოეული მივლინება-მოგზაურობა ახალი მოვლენებით (და ამის შესაფერისი ფაქტებით) თანდათან აგვებდა და სრულყოფდა ავტორის წარმოდგენას ამა თუ იმ მხარის (ქვეყნის) ისტორიულ გეოგრაფიაზე, ვიდრე, ბოლოს, ყველაფერი ეს გარკვეულ მეცნიერულ ცოდნად (სისტემად) არ შეუმუშავდა მას“* (ბერძენიშვილი, 1964: V).

ერთ-ერთი ასეთი „ისტორიულ-არქეოლოგიური“ გასვლა 1933 წლის ზაფხულში მოეწყო ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ჯავახეთის ტერიტორიაზე. ეს იყო მისი პირველი სერიოზული სამეცნიერო-სადაზვერვო ექსპედიცია საქართველოს ამ ურთულეს მხარეში. მართალია, 1927 წლის ზაფხულშიც იყვნენ აქ 15 დღით ნ.ბერძენიშვილი, გ.წერეთელი, ს.ჯიქია, ლ.მუსხელიშვილი, ი.ცინცაძე და გ.გოზალიშვილი, მაგრამ მაშინ ისინი სტუდენტ-ასპირანტებს წარმოადგენდნენ მხოლოდ და მათი ეს მოგზაურობაც უფრო შემეცნებითი ხასიათს ატარებდა, ვიდრე სამეცნიერო-კვლევითი (ბერძენიშვილი, 1964: 301; სიხარულიძე, 1989: 33-34).

1933 წელს ნ.ბერძენიშვილმა და მისმა თანაშემწე გ.ბოჭორიძემ მთელი თვე დაჰყვეს ჯავახეთში და ძალზე ნაყოფიერი მუშაობაც ჩაატარეს. მათი მივლინება დაკავშირებული იყო საქართველოს მუზეუმის (დღეს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი) ხელნაწერთა განყოფილების მიერ განზრახულ „ქართულ წარწერთა კორპუსის“ გამოცე-

მასთან. ეს წამოწყება მეცნიერს ძალზე მნიშვნელოვან და საშურ საქმედ მიაჩნდა. „განადგურებულია და მეცნიერებისათვის სამუდამოდ დაკარგულია მრავალი უძველესი წარწერა და, რაც კიდევ უფრო საგადაღლოა, დღეს ჩვენს თვალწინ დიდის სისწრაფით ნადგურდება და იღუპება ის, რაც აქამდის ჯამთა ქარტეხილს გადაურჩაო“ – დანაწევრებით აღნიშნავდა იგი და დასძენდა: „დრო აღარ ითმენს, ეს დიდი საქმე გადაუდებლად უნდა შესრულდესო“ (ბერძენიშვილი, 1964: 45).

„ამისდა მიხედვით, – წერდა ნ. ბერძენიშვილი ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებაში, – ჩემი სამივლინებო ამოცანა სავსებით გარკვეული იყო: ლიტერატურაში არსებულ ჯავახეთის წარწერათა შემოწმება და ახალ წარწერათა აღმოსაჩენად მხარის მიმოხილვა. ამას გარდა სპეციალური დაფალების სახით ნაკისრი მქონდა მხარის სიძველეების აღნუსხვა და სიძველთა დაცვის მდგომარეობის შესახებ მოხსენებების წარმოდგენა და თუ მიუხედავად ამისა დღევანდელს ჩემს საანგარიშო მოხსენებაში ამ გარკვეულ დაფალებათ გარდა სხვა საკითხებზედაც არის საუბარი, ეს იმ იმედით, რომ დამსწრე ამხანაგების აზრის მოსმენა ამ საინტერესო საკითხების შემდგომ დადრმავეებით შესწავლაში მომხსენებელს შეუწყობს ხელს“ (ბერძენიშვილი, 1964: 46).

აქ სწორედ ბერძენიშვილის მიერ ხაზგასმულ ამ „სხვა საკითხებზე“ გვინდა ყურადღების გამახვილება. მათში საკმაოდ სერიოზული პრობლემები აისახა, რომლებიც მეცნიერის დაკვირვებულმა თვალმა ადვილად შეამჩნია, ხოლო გულმა და გონებამ მტკივნეულად აღიქვა.

ჯავახეთის 1933 წლის სამეცნიერო-სადაზვერვო ექსპედიციის საანგარიშო მოხსენება მომზადდა ექსპედიციის დღიურების საფუძველზე და წაკითხული იქნა 1937 წელს თბილისის უნივერსიტეტის (დღეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) საქართველოს ისტორიის კათედრის კაბინეტის სხდომაზე, შემდეგში კი გამოქვეყნდა ბერძენიშვილის შრომების კრებულში „საქართველოს ისტორიის საკითხები“ (ტ. I, თბილისი, 1964 წ. გვ. 45-173).

როგორც აღვნიშნეთ, მოხსენებაში მეცნიერი საკმაოდ მძიმე და მტკივნეულ პრობლემებს ეხება. თუ გავითვალისწინებთ 1937 წლის პოლიტიკურ ვითარებას, იოლი წარმოსადგენია, თუ რა რისკზე მიდიოდა იგი – სრულიად შესაძლებელია მისთვის ნაციონალისტის იარაღი მიეწეპებინათ და დაესაჯათ. ამდენად, გასაგებია რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნ. ბერძენიშვილი ჯავახეთში არსებული პრობლემური საკითხების მოგვარებას, რომ მათი სააშკარაოზე გამოტანით საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდებასაც არ მოერიდა.

ჯავახეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე რთული და პრობლემური რეგიონია. ჯერ ოსმალთა ბატონობამ, ხოლო 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აქედან ქართველი მაჰმადიანების აყრამ და მათ ნასახლარზე სომხების ჩამოსახლება უმძიმესი მემკვიდრეობა

დატოვა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში. ინტენსიურად წარიმართა ქართული კვალის წაშლისა და ჯავახეთის ისტორიის მრუდე სარკეში წარმოჩენის კამპანია. სწორედ ამ კამპანიის დამღუპველ შედეგებს შეეჯახა ნბერძენიშვილი და გაბედულად შეეცადა მათ სააშკარაოზე გამოტანას.

პირველი, რაც თვალში მოხვდა მკვლევარს ჯავახეთში მოგზაურობისას, ეს იყო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სავალალო მდგომარეობა. *„უმრავლეს ადგილას ეს ძეგლები სულ მთლად განადგურებულია, გადარჩენილი კი ეხლა ნადგურდება დიდის სისწრაფით... სიძველეთ დაცვის კომიტეტმა მათი არსებობისა და ისტორიული მნიშვნელობის შესახებ არა იცის რა“* – გულისტკივილით აღნიშნავს იგი (ბერძენიშვილი, 1964: 92).

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები (ეროვნებით სომხები) ქართული ძეგლების დაცვას არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ. ახალქალაქში ყოფნისას ბერძენიშვილმა საგანგებოდ მიუთითა ამაზე რაიადმასკომის თავმჯდომარე ნაზარეტიანს, რაზეც დამამიდებელი დაპირება მიიღო, თუმცა ამ დაპირების გულწრფელობა მეცნიერმა ვერ ირწმუნა.

„ასეთი ადგილი შეთანხმება მე არასაიმედო მეჩვენა: გასულ წელს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, დოც. ს. ჯანაშია და მე გავლით ახალქალაქში ვიყავით. ვნახეთ – ძველ ციხეს ანგრევდნენ. სამწუხარო გარემოებაზე ჩვენ ამხ. ნაზარეტიანს მიუთითეთ. მან კატეგორიულად დაგვაიმედა, რომ ასეთს ამიერიდან ადგილი არ ექნება და რომ დამნაშავეს პასუხი მოეთხოვება. მიუხედავად ასეთი დაპირებისა ციხის განადგურების პროცესი შემდეგაც გაგრძელდებულა... მე იქვე სხდომაზე აღვნიშნე ეს გარემოება და ჩვენი საურთიერო სიმპატიებიც, როგორც შევატყვე და შემდეგ კიდევ დავრწმუნდი, ამის შედეგად საგრძნობლად შენედა-ო“ – აღნიშნავს გულდაწყვეტილი ისტორიკოსი (ბერძენიშვილი, 1964: 47).

ექსპედიციის მსვლელობისას მეცნიერმა მრავლად დააფიქსირა ქართული არქიტექტურული ძეგლების ვანდალური განადგურების ფაქტები. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ორიოდ ამონარიდს საანგარიშო მოხსენებიდან:

“ხოჯაბეგი. ძველი სოფელია ბოგდანოვკის გვერდით – (ჯავახელი მკვიდრნი, რუსებს გარდა, თვით ბოგდანოვკასაც ხოჯაბეგს უწოდებენ). სიძველეთაგან აქ თითქმის აღარაფერი გადარჩენილა. ეკლესია ამ 50 წლის წინ დაუნგრევიათ და მასალა ახალ ეკლესიაზე გამოუყენებიათ. სასაფლაოც განადგურებულია. ქვები აუცლიათ“ (ბერძენიშვილი, 1964: 73).

„ეშტია. დიდი სოფელია. სომეხ-კათოლიკეები სახლობენ. ძველი ეკლესია აქ აღარაა. ის ახალზე მოუხმარიათ. ამ ახალ ელკესიის კედლებში საფლავის ქვებიც მრავლად დაუტანებიათ“ (იქვე).

„უამინდობის გამო ორი დღე ახალქალაქში ვიჯექით. თხუტმეტ აგვისტოს საღამოს ნაჩქარევად უახლოეს სოფელ დილისკაში გავედით. ძველი ეკლესია აქ აღარაა. ის ახალზე გაუხმარიათ“ (ბერძენიშვილი, 1964: 106).

ასეთი ფაქტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა მკვლევარს. ინტენსიურად მიმდინარეობდა ძველი ნასოფლარების გაქრობის პროცესიც – მოსახლეობა (ძირითადად სომხები, ასევე დუხობორი-რუსები) აქტიურად ითვისებდა მათ და თანდათან წარსულის კვალს სამუდამოდ შლიდა. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი ასეთი ნასოფლარის შესახებ ნ.ბერძენიშვილი შემდეგს მიუთითებდა:

„ნასოფლარი აწინდელ არღოგის მოსახლეობას თავის სამეურნეო მიზნებისათვის გამოუყენებია (სამწუხაროდ, აქაც დავაგვიანეთ. ასეთი მოვლენა უკანასკნელ ხანებში გახშირებულა): ნასოფლარზე თივასა სთიბავენ, ორმოებს ავსებენ, მიწას ასწორებენ, შენობათა ნანგრევებს თხრიან. უეჭველია, ასეთივე ბედი მოელის უახლოეს დროში სხვა ნასოფლარებსაც. ამიტომ აუცილებელია: დავლა და აღნუსხვა ყველა ნასოფლარისა, მათი სახელებისა და ადგილ-მდებარეობის გეოგრაფიული გარკვევა ჯავახეთის ისტორიული რუკის შესადგენად, ძველი ჯავახის მოსახლეობის ტიპის შესწავლა, რომ ამ ხერხით შესაძლებელი გახდეს ნასოფლართა მოსახლეობის დაახლოებით გათვალისწინება, დასაცავად საჭირო ნაშთების შეგროვება-დაცვა“ (ბერძენიშვილი, 1964: 79-80).

მეცნიერს დაფიქსირებული აქვს ქართული ისტორიული წარწერების განზრახ დაზიანების ფაქტებიც. მაგ. სოფ. ყაურმაში არსებული ხიდის შესახებ იგი წერს: *„ყაურმა-ქიორფი (ყაურმა-ხიდი) ისტორიულ ნაშთებით შესანიშნავია. აქ დღემდის დაცულია ძველი ხიდი ჯავახეთის მტკვარზე. ის ხუთ თაღოვანია და საკმაოდ ფართე (სამ მეტრამდის). ყაურმას ხიდი 1893 წელს შეუკეთებიათ... 1893 წლამდის ყაურმის ხიდის თავში დაცული ყოფილა ძველი ქართული წარწერა. შეკეთებისას ვინმე „ფოდრაჩიკს“ ეს ქვა ამოუღია და მის ადგილას თავისი სახელით ამოჭრილი სომხური წარწერა ჩაუსვამს“ (ბერძენიშვილი, 1964: 73-74).* ხოლო სოფ. ხორენიას ძველი ეკლესიის წითელი საღებავებით შესრულებული ბაღავრის წარწერის შესახებ ამბობს, რომ იგი ფრიად დაზიანებულია და ეს უფრო განზრახ, ვიდრე ბუნებრივად (ბერძენიშვილი, 1964: 104). ასეთი ფაქტებიც ხშირი იყო ჯავახეთის რეალობაში.

მეცნიერს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ჯავახეთის სომხური მოსახლეობის აგრესიული დამოკიდებულება ყოველივე ქართულის მიმართ. ასეთი დამოკიდებულება ძალიან უშლიდა ხელს რეგიონის სრულყოფილ შესწავლას. სომეხთა დიდი ნაწილი აქტიურად ცდილობდა დაეფარა ქართული კვალი ჯავახეთის ისტორიაში და ამით გაერთოლებინა ქართველების მოსალოდნელი დაბრუნება ამ ისტორიულ ქართულ კუთხეში. მათი ასეთი განწყობა ძალიან აბრკოლებდა ექსპედიციის საქმიანობას.

როცა ასეთ ფაქტებს ეხება, ნ.ბერძენიშვილი იძულებულია ისინი წარსულის გადმონაშთად გაასაღოს და ამით არსებულ პოლიტიკურ რეალობას ანგარიში გაუწიოს, ანუ ხარკი გადაუხადოს მახინჯი ფორმებით გაბატონებულ „საბჭოთა ინტერნაციონალიზმს“.

„ქალაქიდან ჩასულთაღმე გლეხის უნდობლობა საერთოდ ცნობილია. ეს ძველი დროის უსიამოვნო მემკვიდრეობაა. სოფლისა და ქალაქის აწინდელი ურთიერთობის პირობებში, შეჭველია, ეს მემკვიდრეობა გაქრება. აღნიშნული მოვლენა ჯავახეთში გართულებულია და ქართველი მკვლევარის მდგომარეობა მით უფრო მძიმეა. კერძოდ მე მკვლევარი ისტორიკოსი მყავს მხედველობაში. საერთო გლეხურ უნდობლობას აქ თან ერთვის მეტად საეჭვო ხასიათის მემკვიდრეობა. აქა-იქ სოფლებში ნაკულაქარ-ნახუცრები და წარსულის „ინტელიგენტები“ ჯერ კიდევ ახერხებენ აცოცხლონ მოზარდ სოციალიზმის პირობებში ნაციონალიზმის საბაგელი რუდიმენტი და მით დრო და დრო დაუსჯელად შხამონ მშრომელი მოსახლეობა“-ო – აღნიშნავს მკვლევარი და ასეთი მოიარებითი გზებით ცდილობს აჩვენოს ჯავახეთში ჩასახლებული სომხების ანტიქართული განწყობა (ბერძენიშვილი, 1964: 66).

სომეხთა მხრიდან ასეთ დამოკიდებულებას არაერთხელ შეეჯახა ქართული ექსპედიცია. ორიოდე ამონარიდიც საკმარისია ამ ინციდენტების არსში გასარკვევად. აი ერთ-ერთი, მოვუსმინოთ ავტორს:

„სოფელი სათხა. წყაროსთან დავისვენეთ. სოფელში ხალხი მცირედ ჩანს: სათიბი აქეთ; წყაროზე მოხუცები, ინვალიდები სხედან. ვეკითხებით სიძველეთა შესახებ. „აი აქ – გვეუბნება ერთი ინვალიდი, სადაც ახლა კოლპერატული დუქანია, მე მახსოვს, ეკლესია იყო და სასაფლაო“... ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ ლაპარაკში ჩამოერია მეორე მოხუცი, ჩვენი მოსაუბრე შეაჩერა და ჩვენ მოგვიბრუნდა: „ამან არა იცი რა, სულელია, ბოღავს; აქ არაფერი სიძველეები არაა, რა სიძველეები უნდა იყოს აქ, ჩვენ არაფერი ვიცით“... თითქო ეს ნიშანი იყო, ამის შემდეგ ყველას ენა ჩაუწყდა და აღარავინ „არაფერი“ იცოდა... ვატყობ აქ ახალს ვერაფერს შევიტყობ. მაინც ვცდი. უხსნი ჩვენ მიზნებს. არ ჭრის“ (ბერძენიშვილი, 1964: 69).

მეორეგან, სოფ. სამსარში მომხდარ ფაქტს უფრო აგრესიული ხასიათი ჰქონდა. *„წვიმას ეპირება, – წერს ნ.ბერძენიშვილი, – გადაღების მოლოდინში ვზივართ. ცნობის მოყვარენი მრავლად მოვიდნენ. გვეკითხულობენ. ჩვენი მასპინძლები უხსნიან. ერთ ვიღაცას ვხედავ, არ მოეწონვართ. სულ „ვრასტან“ „პაიასტანს“ იძახის. ხოლო როცა გააგონეს, რომ ჩვენ ვერანაებიც გვაინტერესებს, მათ ადგილმდებარეობას და სახელებს ვიწერთ, ის ზეზე წამოვარდა, აღარავინ უსმენდა და არც თავის გულისთქმას მაღავდა. მე იძულებული ვიყავ ჩავრეოდი, ამეხსნა, მემხილებინა“ (ბერძენიშვილი, 1964: 149).*

მსგავსი აგრესია იყო სოფ. ხოჯაბეგშიც. „სამწუხაროდ, უინციდენტოდ საქმე არც აქ დამთავრდა: ერთი „მცოდნე“ დადგა და დაუინებოთ ეუბნება ჩვენს მოსაუბრეებს, რომელნიც მას ჩვენი მუშაობის მიზნებს უხსნიან (ამის შესახებ ჩვენ მისვლისთანავე მოვახსენეთ): „მე კარგად ვიცი რა უნდათ მაგათ, ესენი ქართველებია...“ ძლივს დაადუმეს“ – აღნიშნავს მკვლევარი (ბერძენიშვილი, 1964: 73).

რა „იცოდნენ“ ასეთი სომხებმა, რისი ეშინოდათ მათ?

მათი აზრით, ქართველი მეცნიერები ქართველების ჩამოსასახლებლად ამზადებდნენ ნიადაგს და ჯავახეთის ქართულ წარსულსაც და ვერანა ნასოფლარებსაც ამ მიზნით ეძებდნენ. ეს ნ.ბერძენიშვილის მოხსენებიდანაც კარგად ჩანს. მაგ. როცა ქართულ სოფელ კოთელიაში ყოფნის მომენტებს აღწერს, იგი მწარედ ხუმრობს – „კოთელიაში მრავლად გვაწვდიან ცნობებს ვერანების შესახებ, ამათ არ აშინებთ, რომ ვერანებს „დასასახლებლად“ გამოვიყენებთ“-ო (ბერძენიშვილი, 1964: 141). ხოლო მეორეგან აღნიშნავს: „ვარევანში ... ერთი ყმაწვილი ამეკიდა. დამიმარტოვა. ქართულად სადაურობა მკითხა. გაველაპარაკე. ჯავახური გამოთქმა ჰქონდა. გვარი ვკითხე – ბერიძე, ის აქამდის სომხურად ლაპარაკობდა და მეც სომეხი მეგონა. რათ გინდა ესენი? თუ იმიტომ რომ ქართველები მოიყვანო, ეს უიმედოა“ (ბერძენიშვილი, 1964: 164).

ჯავახეთის ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებაში ვაწყდებით ცნობებს სომხების მიერ ამ ქართული კუთხის შემდგომი ეთნიკური ათვისების თაობაზეც. მეცნიერს საილუსტრაციოდ რამდენიმე სოფლის მაგალითი მოჰყავს:

„ღუღალისი 1918 წლამდის დასახლებული იყო სომხებით და მუსლიმანებით. უკამასკნელნი ამ წელს აყრილან და ოსმალეთში გადასულან. მათი ადგილი წალკიდან მოწვეულ სომხებს დაუჭერიათ“ (ბერძენიშვილი, 1964: 60).

„ბატარა ხანჩალი. 1918 წლამდის აქ უმრავლესობა მუსლიმანები ყოფილა. ამ წელს ისინი აყრილან და ოსმალეთში გადასულან. მათი ადგილი სომხებს დაუჭერიათ“ (ბერძენიშვილი, 1964: 64).

„ბატკანაში მუსლიმანები ესახლა. ისინი 1918 წელს აიყარნენ. მათ ადგილზე სომხები დასახლდა“ (ბერძენიშვილი, 1964: 67).

„დაბრუნებისას სოფელ თახჩაზე გამოვიარეთ. ეს სოფელი 1918 წლამდის „მუსლიმანური“ იყო. ეხლა იქ სომხური მოსახლეობაა“ (ბერძენიშვილი, 1964: 109).

მსგავსი ფაქტები ექსპედიციის მიერ სხვა სოფლებშიც დაფიქსირებულია.

რეგიონში გაბატონებული სომხური ენა თანდათანობით იმ სოფლებსაც ასომხებდა, სადაც ნარევი მოსახლეობა ცხოვრობდა. ნ.ბერძენიშვილს არც ეს დარჩენია შეუმჩნეველი. მას დაფიქსირებული აქვს ასეთი საინტერესო და ნიშანდობლივი ფაქტი: „გოკია 1918 წლამდის თურქული

სოფელი იყო. აქ ყარაფაფახები ცხოვრობდნენ. 1918 წელში აყრილან ისინი. მათგან მხოლოდ ოთხი კომლიდა დარჩენილა. წასულთ ადგილი დაუჭერიათ სომხებს, ქართველებს, ოსებს, ბერძნებს. ქართველები სამცხიდან მოსულან. ანდრიაწმიდიდან, ხიზაბავრიდან, არიან ჯავახეთის გოგაშნიდანაც... ოსები ვერ შეწყობიან „გლეხობას“ (ე.ი. მიწის მუშაობას) და წასულან. მათგან სულ ორი სამიოდე კომლი დარჩა. აქამდის დარჩენილი თურქებიც არა დგებიან... სოფლის საერთო სალაპარაკო ენა თურქულია. ასე იყო აქამდის. დღეს სომხური ღამობს მისი ადგილი დაიჭიროს“ (ბერძენიშვილი, 1964: 155).

კიდევ უფრო საინტერესოა მეორე ფაქტი:

„ხულგუმოში თურქულად მოლაპარაკე კათოლიკური სარწმუნოების მოსახლეობა, – მიუთითებს ისტორიკოსი, – ასეთივეა ბავრა, კარტიკამი და, როგორც გადმოძცეს, ტურცხი. სომხურს ესენი ეხლა ითვისებენ. მათ თავიანთი ეროვნული ვინაობისა არა იციან რა: ხულგუმოდან 35-ოდე ყმაწვილი ახალქალაქის ქართულ შეიქმნილში (ეხლა უკვე ათწლეულში) სწავლობს და ამიტომაც თავის თავს ქართველს უწოდებს, სოფელში სომხური სკოლაა გახსნილი და სომხურად მოსწავლენიც თავს სომხად აღიარებენ, მაგრამ ორივე ეს იმ შემთხვევაში, თუ არ მოეშვებით და აიძულებთ თავიანთი ვინაობა სარწმუნოებრივი მომენტის გარეშე განსაზღვრონ, რაც მათ მეტად ეძნელებათ. ჩვეულებრივ ისინი თავის თავს ფრანგებს („ფერენგ“) უწოდებენ“ (ბერძენიშვილი, 1964: 55).

ჯავახეთში მცხოვრები კათოლიკეების უმრავლესობა, მათ შორის, თურქულენოვნებიც, ქართული წარმოშობისანი იყვნენ, ამას საარქივო დოკუმენტები და სამეცნიერო კვლევებიც ადასტურებს (ჯიბაშვილი, 2012: 80-86). აქაური კათოლიკეების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პუბლიცისტი სოლომონ ასლანიშვილი, იგივე სოლომონ ბავრელი, რომელიც ამავე კუთხის მკვიდრი იყო და კარგად იცნობდა აქ არსებულ ვითარებას

ს.ბავრელის სიტყვით, ჯავახეთელი კათოლიკეების წინაპრები არტაანის სოფელ ველში მცხოვრები ქართველები იყვნენ (ამას სხვა წყაროებიც ადასტურებს) რიცხვით სამას კომლამდე. 1723 წლამდე ისინი მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებას მისდევდნენ, ამ დროიდან კი კათოლიკობაზე იწყეს გადასვლა. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ველელი ქართველები ჯავახეთში გადმოვიდნენ საცხოვრებლად და „დაიჭირეს ოთხი ვერანა სოფელი, მაშინ სპარსელებისაგან გაოხრებულნი: ბავრა, კარტიკამი, ხულგუმო და ტურცხი. დანარჩენი სოფლები ამ მაზრებისა დაიზიარეს საუბედუროთ შემრე აზრუმიდან გადმოსახლებულებმა სომხებმა“. კათოლიკეთა არქიმანდრიტ პავლე შაჰყულიანის (ჭილიმუზაშვილი) ძალისხმევით ჯავახეთში დამკვიდრებული ველელები თანდათან სომხურ წირვა-ლოცვაზე გადაიყვანეს. „იმ დროსვე განდევნეს შაჰყულიანის წყალობით კავკასიადამ პატრი მისიონერები და

*გამარჯვებულმა შაჰყულიანმა შემორეკა და თვითონაც საჩქაროთ გამო-
აცხო ბევრი სომხის ტიპიკონის მღვდლები. ასე, სათათრეში თათრის
მთავრობისაგან, აქა საქრისტიანო მთავრობაში სამღვდელო პირებისაგან
ქართული ენა და ქართული რელიგიური წეს-რიგი იქმნა ველელებში
სრულლობით მიღებული და გამეფდა მაგათში სომხურ ენაზე წირვა
ლოცვანი და სათათრეთიდან გადმოტანილი თათრული ენა, რომელიც
იმათში ახლა ითვლება შინაურ ენათ ამ ოთხ სოფელში“ – დანანებით
ასკვნის პუბლიცისტი (ბავრელი, 1906: 6-8).*

ასე რომ ქართული მოსახლეობა ქართულ მიწაზე თვალსა და ხელს
შუა სომხდებოდა. ასეთი ტენდენცია საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა
და, როგორც ამას ნ.ბერძენიშვილის ზემოთ მოტანილი ციტატაც ცხად-
ყოფს, განათლების სისტემის საშუალებითაც ამკვიდრებდა სომხურ
ცნობიერებას კათოლიკე ქართველებში. დამეთანხმებით ალბათ, რომ ეს
ბოლო ფაქტი მოურიდებლად ააშკარავებს იმდროინდელი საქართველოს
სახელმწიფოებრივ უსუსურობას, თუმცა ამ მხრივ არც დღეს არის უკე-
თესი მდგომარეობა.

საინტერესოა, რომ უკვე იმ დროს სომხებს ჯავახეთი სომხურ მი-
წად, თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ. ეს შეხედულება უკვე გამჯდარია
სომხური მოსახლეობის შეგნებაში. ამაზე ნათლად მიუთითებს კიდევ
ერთი, ასე ვთქვათ, ტრაგი-კომიკური ინციდენტი, რაც შეუმჩნეველი არ
დარჩენია ნ.ბერძენიშვილს:

*„ბურნაშენის ეკლესია დიდია, მდიდრულად ნაშენი. წითელქვანარევი.
ეს ქვა სამსარიდან შეიძლება იყოს. ის თურმე ახლად მოტეხილი ადვი-
ლად სათლელია. შემდეგ კი მაგრდება... სანამ ვმუშაობთ, მოხუცი ქალე-
ბი მოგროვდნენ... აკვირვებთ როგორ ვკითხულობთ. უკვირთ რომ წარწე-
რა ქართულია“ (ბერძენიშვილი, 1964: 154).*

ვფიქრობ, კომენტარიც ზედმეტია, სწორედ ამაზე იტყვიან ალბათ,
სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო.

თავისი ქვეყნის მოჭირნახულე მკვლევრის დაკვირვებულ თვალს
სხვაც ბევრი რამ აქვს შემჩნეული დამაფიქრებელი და საგანგაშო ჯავა-
ხეთის ყოფაში, რაც სათანადოდ გააშუქა კიდევ მან სამეცნიერო აუდი-
ტორიის წინაშე.

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, ნ.ბერძენიშვილი მაინც ცდი-
ლობს ოპტიმისტურად შეხედოს მომავალს და თავის მოხსენებაში ერ-
თგან იმედს გამოთქვამს, რომ ისტორიკოსების შრომა თავის ნაყოფს გა-
მოიღებს და ობიექტურად აღადგენს ჯავახეთის რეალურ წარსულს.
*„დარწმუნებული ვარ გაცოცხლდება ისტორიული ჯავახეთი, – ამბობს
იგი, – ვერანა ნასოფლარები აკვამლდებიან, გლეხები მინდორ-ყანებში
სათიბ-სამკალს მოედებიან, ჩაღეწილი ციხეები მედიდურად აიშოტებიან.
ციხის კედელში საგუშაგო ჩაისაფრება, ციხის კარებით ბატონები გა-
მოჩნდებიან, ქლაქთა ნანგრევებში ვაჭარ-ხელოსნები წარმოედგებიან, მო-*

ედნები ახმაურდება, ძველ ნაგზურებზე ქარავანი გადიკლავება და მუნჯი მღვიმე-ტაძრების ნანგრევები აღაღადლებიან... (ბერძენიშვილი, 1964: 113).

ამრიგად, აკად. ნიკო ბერძენიშვილის მიერ წარმოდგენილი ჯავახეთის 1933 წლის სამეცნიერო-სადაზვერვო ექსპედიციის საანგარიშო მოხსენება საკმაოდ მწვავე პრობლემებს შეეხება, რაც მხარის მომავალთან დაკავშირებით სერიოზულ ამოცანებს სახავს ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობის წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაერელი, 1906: – ბაერელი ს., ველელები (როგორ მიიღეს ველელმა ქართველებმა კათოლიკობა), გაზ. „ჯვარი ვაზისა“, №8-9, 1906 წ.-ის 21 მაისი.

ბერძენიშვილი, 1964: – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი.

სიხარულიძე, 1989: – სიხარულიძე ი., ნიკო ბერძენიშვილი, თბილისი.

ჯიბაშვილი, 2012: – ჯიბაშვილი ო., ველელ კათოლიკე ქართველთა ისტორიიდან, – კრ.: ჩვენი სულიერების ბალაგარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IV, თბილისი.

Oleg Jibashvili

*Senior Researcher, Doctor of History,
Department of History and Archeology
Niko Berdzenishvili Institute,
Batumi Shota Rustaveli State University*

**Niko Berdzenishvili's "Historical and Archeological Expedition" to Javakheti
and Georgian-Armenian Relations**

Summary

In 1933 Niko Berdzenishvili organized a scientific-research expedition to Javakheti. According to the expedition diary, the report was made. In 1937 it was presented to the department sitting at Tbilisi State University (nowadays Ivane Javakhishvili Tbilisi State University). The text was published in the collection - "Issues of the History of Georgia" by Niko Berdzenishvili (V. I, Tbilisi, 1964, pp.45-173).

The expedition revealed serious problems connected to the attempt of the immigrated Armenians in Javakheti (after the Russian-Turkish War 1828-1829) to remove the Georgian trace here and make it Armenian. They tried to destroy Georgian historical and cultural monuments and deface the real history of Javakheti. Niko Berdzenishvili made many of these facts known to the scientific society. With that, N. Berdzenishvili clarified the existed problems and created the basis to eliminate them.

ოთარ გოგოლიშვილი

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის
სრული პროფესორი*

ახალი მასალები გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყების შესახებ

1841 წელს გურიაში მოხდა გლეხთა დიდი აჯანყება, რომელიც სამნახევარ თვეს, 22 მაისიდან (ახალი სტილით 4 ივნისიდან) სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. აჯანყება მიმართული იყო გლეხთა აუტანელი ექსპლუატაციის, მძიმე გადასახადების, ცარიზმის მიერ შემოღებული რუსული დესპოტური მართვის სისტემის, ბატონყმური წყობილების, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, იგი არ იყო განკერძოებული მოვლენა და თავისი არსით ობიექტურად უკავშირდება მთელი რუსეთის გლეხობის ბრძოლას დამყარებული ბატონყმური ცხოვრების წესის წინააღმდეგ, როგორც საერთო დემოკრატიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი სახელოვანი, გმირული ეპიზოდი.

მართალია, ეს აჯანყება იყო სტიქიური, ნათელ, სწორ პროგრამასა და ხელმძღვანელობას მოკლებული მოვლენა, რამაც განაპირობა მისი მარცხი, მაგრამ მან შეასრულა მნიშვნელოვანი პროგრესული როლი. იგი ეკუთვნის იმ აჯანყებათა ნაკადს, რომლებაც შეარყია ბატონყმობისა და ცარიზმის ბატონობა.

აჯანყება ასე დაიწყო: 1841 წლის მაისში აკეთის უბნის მსაჯული თავადი ბარათაშვილი ახალი ფულადი გადასახადის აკრეფას შეუდგა. გადასახადს რუსული ფულით თხოულობდნენ. მოსახლეობამ, რომელსაც არ გააჩნდა ასეთი ფული, უარი განაცხადა გადასახადის გადახდაზე. 24 მაისს გადასახადის ამკრეფმა ოჯახებიდან ძალით წაიღო საოჯახო ნივთები, სამეურნეო ინვენტარი (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 220, ფურც. 16-18).

გლეხობის მოთმინების ფიალა აივსო. ჭანჭათელი გლეხების ჯგუფი ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიების მეთაურობით თავს დაესხა გადასახადის ამკრეფ გოგოსი დოროძეს და წაართვა მას აკრეფილი ფული და ნივთები. შემდეგ გლეხებს შეუპყრიათ აკეთის ნაცვალი, რომლისთვისაც ნახევარი წვერი გაუპარსავეთ და ჭანჭათიდან გაუგდიათ. უბნის მსაჯული ბარათაშვილი თავად გაეშურა გლეხთა დასაპატიმრებლად.

ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიებმა შეკრიბეს აკეთისა და ლანჩხუთის გლეხები და შეადგინეს 300-კაციანი ფირალთა რაზმი. 28

მაისს გლეხთა რაზმი კვლავ მიადგა ბართაშვილის ბინას. გლეხებმა სთხოვეს მსაჯულს მაზრის უფროსისათვის გადაეცათ მათი მოთხოვნები: 1. გაეუქმებინათ ახალი გადასახადი. 2. არ დაესაჯათ აჯანყების წამომწყებები გლეხები. 3. გადაეყენებინათ აკეთის ნაცვალი (სცსსა, ფ. 229, აღწ. 1, საქ. 1496, ფურც 25).

მაზრის უფროსი იაცენკო აკეთში ჯარისკაცთა ასეულით მისულა და მტკიცედ მოუთხოვია გადასახადის ფულით გადახდა (სცსსა, ფურც. 29-31). გლეხთა მღელვარების მოთავენი ტყეში დაიმაღლნენ.

30 მაისს ახალი გადასახადის შეტანაზე უარი განაცხადეს სოფელ ვანის გლეხებმაც, იქაც მივიდა მაზრის უფროსი. გლეხთა მღელვარება გრძელდებოდა ლანჩხუთში, მაგრამ მაზრის უფროსმა ლანჩხუთში წასვლა ვეღარ გაბედა და დაბრუნდა ოზურგეთში.

აკეთში გლეხთა აჯანყება გრძელდებოდა. გლეხთა რაზმმა კურსი აიღო ოზურგეთისაკენ. აჯანყება მოედო გურიის სხვა სოფლებსაც.

ლიხაურის თემში აჯანყებულებს წინამძღოლობდნენ გლეხები ოთარ და ნიკოლოზ თოიძეები, გოჩა გორდელაძე და სხვები. ასკანაში – მამუკა ანთაძე და მუხარბეგ დოლიძე. შემოქმედში – გოგია და როსტომ მამინაშვილები. ჯვარცმაში – იორდანე პაიჭაძე, გუბაზეულის ხეობაში – ბუღარა მამალაძე (სიხარულიძე, 1956:19-20).

აკეთიდან წასულ გლეხთა რაზმი მივიდა შემოქმედში. გლეხებმა იქ მოსალაპარაკებლად მიიწვიეს მაზრის უფროსი, რომელმაც აჯანყებულებთან მისვლა არ იკადრა. შემოქმედიდან გლეხები გაემართნენ ლიხაურისაკენ, სადაც მათ შეუერთდნენ იქაური აჯანყებულები გოჩა გორდელაძის, ოთარ და ნიკილოზ თოიძეების, აზნაურ სიმონ გოგოლიშვილისა და სხვების მეთაურობით. ლიხაურიდან ჯანყის მონაწილენი გადავიდნენ დვაბზუში, ჩახერგეს გზები და შემდეგ გაემართნენ გურიანთისაკენ. მაზრის უფროსმა თავად მაიორ გიორგი ნაკაშიძეს უბრძანა ცეცხლის გახსნა აჯანყებულების წინააღმდეგ. დაიწყო შეტაკება, რომლის დროს მოკლეს სახაზინო გლეხი როსტომ მუავანაძე, ელიზაბედ გურიელის ყმა - გოგია მენაბდე, დაჭრეს ყმა დიონისე ჭანუყვაძე, გლეხოზა გაიფანტა (სიხარულიძე, 1956:22).

9 ივნისს განახლდა აჯანყება აკეთში და შემდეგ მოედო გურიაში. აჯანყების ჩაქრობა დაევალა ახალციხის სამხედრო ოლქის უფროსს, პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკის, რომელიც დაუქვემდებარეს საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორ კახანოვს. იგი 12 ივნისს ოზურგეთში ჩამოვიდა. 13 ივნისს დაღესტნიდან დაბრუნდა გურიანთაში მდგარი ჯარების უფროსი პოლკოვნიკი ბრუსილოვი. მ. არღუთინსკი ახალციხეში გაბრუნდა.

გლეხობა თითქოს მიწენარდა და 16 ივნისს გურიიდან წავიდა გუბერნატორი კახანოვი.

მალე გლეხობა კვლავ ამოქმედდა. 17 ივნისს ასკანელმა გლეხებმა განაცხადეს უარი ახალი გადასახადის შეტანაზე. 20 ივნისს ჯანყი კვლავ გაძლიერდა შემოქმედში მებატონე ელისაბედ გურიელის რეპრესიული მოქმედების წინააღმდეგ. 21 ივნისს, სოფელ ჯვარცმიდან საჯავახოსკენ გაემართნენ აჯანყებულნი, რომელთა რიგები გზადაგზა იზრდებოდა. 1500-მდე კაცს ითვლიდა გლეხთა რაზმი იორდანე პაიჭაძის მეთაურობით.

გუბერნატორი კვლავ ჩამოვიდა გურიაში, მოიარა მღელვარე სოფლები. ამჯერად გლეხებმა შეასრულეს მისი ბრძანება და დაიშალნენ. მოძრაობა მინელდა.

გამოსვლები განახლდა ივლისის დასაწყისში. 4 ივლისს თხილვანელმა გლეხებმა განაცხადეს უარი ახალი გადასახადის გადახდაზე. მათ სწრაფად გამოეხმაურნენ აკეთელი გლეხები. შემდეგ მოძრაობა გურიაში ისევ მიწენარდა, მაგრამ იმ პერიოდში გლეხთა აჯანყებამ იმერეთში იფეთქა.

ივლისის დამდეგს ხელახლა აჯანყდნენ ოზურგეთის უბნის რიგი სოფლების გლეხები, 26 ივლისს სოფელ ხვარბეთში შეიკრიბა 200-მდე შეიარაღებული გლეხი, მათ მიყვნიენ გურიანთის, ღიხაურისა და სხვა სოფლების გლეხები (სცსსა, ფ. 548, აღწ. 1. საქ. 5709, ფურც. 62).

მაზრის უფროსი იაცენკო 1 აგვისტოს მივიდა გურიანთაში და აჯანყებულებს უბრძანა დაშლილიყვნენ, მაგრამ უმრავლესობა მას არ დაემორჩილა.

აჯანყებულთა ერთი ნაწილი გაიგზავნა გურია-იმერეთის საზღვარზე, რათა გზა ჩაეკეტა გურიაში მიმავალი სამხედრო ძალებისათვის. მეორე ნაწილი დაიძრა შეკვეთილისაკენ, რომელსაც ეწოდებოდა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე.

8 აგვისტოს გურიაში შეიარაღებული აჯანყება აზვირთდა. 9 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ბრუსილოვი 200 კაცის თანხლებით გაემართა ოზურგეთიდან შეკვეთილისაკენ. გრიგოლეთის მათ დაუხვდათ აჯანყებულთა 500-კაციანი რაზმი აბესა ბოლქვაძის მეთაურობით. ბრუსილოვმა აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა კაპიტანი გაბაშვილი, მაგრამ მოლაპარაკება ვერ მოხერხდა. გაჩაღდა ბრძოლა. აჯანყებულებმა უკუაქციეს და დაამარცხეს ბრუსილოვის რაზმი. ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი აბესა ბოლქვაძემ, რომელიც ისტორიკოს ჩუდოვინის ცნობით დაიჭრა კიდევ.

გრიგოლეთის ბრძოლაში გამარჯვებამ ხელი შეუწყო აჯანყების გაძლიერებას, მის გაფართოებასა და განვითარებას (საქართველოს ისტორია, 1956:424).

აჯანყებულთა ერთმა რაზმმა 200 კაცის შემადგენლობით ხელთ იგდო ჩოლოქის საგუშაგო. გლეხთა ერთმა ჯგუფმა კი აზნაურ გოგია ქარცივაძის მეთაურობით დაიკავა ნატანების საგუშაგო. მალე მთლიანად აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთი გურია, ხოლო აღმოსავლეთ გურიაში ოზურგეთ-ქუთაისის საკომუნიკაციო ხაზი.

შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ გურიაში აჯანყებულებმა 10 აგვისტოს იერიში მიიტანეს შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის სიმაგრეზე, რომლის აღების შემდეგ ფოთისაკენ გაემართნენ.

გურიაში რეაქციული ძალების მისაშველებლად 18 აგვისტოს ფოთიდან გამოვიდა დავით დადიანი. იმავე საღამოს მისი ხელმძღვანელობით სამეგრელოს 500-კაციანმა მილიციამ შეძლო აჯანყებულთა უკუგდება მალთაყვიდან. ორი დღის ძლიერი ბრძოლის შემდეგ კი დაიკავეს გრიგოლეთი. როგორც ისტორიკოს ნ. მურავიოვის გადმოცემა ადასტურებს, აჯანყებულები მოწინააღმდეგეებს ასე მიმართავდნენ: „რისთვის მოდიხართ თქვენ ჩვენზე? თქვენთანაც იქნება ისე, როგორც ჩვენთან არის, თქვენთანაც აიღებენ გადასახადს“ და სხვა. ასეთ მიმართვას შედეგი გამოუღია. მეგრული მილიციის გლეხურმა ნაწილმა არ ისურვა წინსვლა და შინ დაბრუნდა. გრიგოლეთის ბრძოლაში სამეგრელოს მილიცია დამარცხდა. 23 აგვისტოს კი მან უკან დაიხია ფოთისაკენ.

აჯანყებულებმა გარემოიკვეს ოზურგეთი. ბრიუსილოვის რაზმი საფრთხეში იყო. გარნიზონი შეელას ითხოვდა. აჯანყების ჩამქრობ ექსპედიციას სათავეში ჩაუყენეს პოლკოვნიკი მ. არღუთინსკი.

16 აგვისტოს ნაგომარში მივიდა იმერეთის პოლიცია პოლკოვნიკ წერეთლის ხელმძღვანელობით, მაგრამ გზა ვერ განაგრძო. რადგან ნასაკირალის გადასასვლელზე გამაგრებულნი იყვნენ აჯანყებულნი. მილიციამ უკან დაიხია და მოახერხა პორუჩიკ ლევენსკის რაზმთან შეერთება.

ოზურგეთის ასაღებად აჯანყებულთა იერიშის დაწყება გაჭიანურდა. აჯანყების წინამძღოლებს შორის ერთხლოვნება არ იყო.

მეორე მხრივ, გახშირდა მილიციელთა გადასვლა აჯანყებულთა ბანაკში, განსაკუთრებით, 27-28 აგვისტოს ღამით. სწორედ ამ მომენტში თავი იჩინა თავადაზნაურობის მისწრაფებამ – ესარგებლათ აჯანყებით თავიანთი დაკარგული პრივილეგიების აღსადგენად.

აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა თავადი დავით გუგუნავა, რომელიც ოზურგეთის იერიშის დროს იდგა ერთ-ერთი რაზმის სათავეში. ლანჩხუთიდან რაზმით უნდა მოსულიყო დავით გურიელი – პოეტ მაძია გურიელის მამა.

აჯანყების მთავარი წინამძღოლი გახდა თავადი ამბაკო შალიკაშვილი. იგი 1794 წელს დაბადებული სოფელ ვანში. დასახლებულია სოფელ შემოქმედში, მსახურობდა მეფის არმიაში, იყო პროპორშიკი. გლეხთა

აჯანყების დაწყებისას იგი ოზურგეთის მილიციაში ირიცხებოდა. შემდეგ, ავადმყოფობის მიზეზით გამოსულა იქიდან და აჯანყებას ჩადგომია სათავეში.

აჯანყებულთა იერიში ოზურგეთზე წარუმატებლად დამთავრდა, ვერ განახორციელეს ერთდროული შეტევა ყველა მხრიდან. დაქსაქსულად მოქმედებდა ოზურგეთში გამაგრებული ჯარი, რომელიც შეიარაღებით სჯობდა აჯანყებულთა რაზმებს.

9 სექტემბერს დილის 9 საათზე ოზურგეთში მივიდა აჯანყების ჩახახშობად დიდი შეიარაღებული ექსპედიცია მ. არღუთინსკის მეთაურობით, გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა, აჯანყებულები დამარცხდნენ.

მ. არღუთინსკის გურიაში ახლდა და დამსჯელ ექსპედიციაში მონაწილეობდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი. როგორც ელ. მაღრაძე აღნიშნავს, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანის გენიალური დისწვილი, სრულიად სამართლიანად საყვედურობდა ბიძას უდანაშაულო გურული გლეხების სისხლის დაღვრას. შემდგომში გარკვეულ სინანულს გრძნობდა თვით გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც გაუხარდა დაპატიმრებულ აჯანყებულთა გათავისუფლება.

აჯანყების მონაწილე შეიარაღებულ გლეხთა რიცხვი 7200-ს აღწევდა. აჯანყების დროს ბრძოლებში გამირულად დაიდუპვნენ აბესა ბოლქვაძე, გიორგი ვადაჭკორია და სხვები.

ქუთაისში 1842 წლის 3 თებერვალს დაიწყო და 13 მარტს დამთავრდა სამხედრო სასამართლოს პროცესი აჯანყების აქტიური მონაწილეების წინააღმდეგ. მთავარმმართველმა გოლოვინმა დაამტკიცა მკაცრი განაჩენი 34 ბრალდებულის შესახებ.

განაჩენი ასეთი იყო: პირველი თანრიგის, პირველი ხარისხის დამნაშავეებად სცნეს თავადი ამბაკო შაღლიკაშვილი, აზნაურები ქაიხოსრო გუგუნავა და სიმონ ჭყონია. მათ ერთმეოდათ ყოველგვარი უფლება და იგზავნებოდნენ ციმბირში საკატორღო სამუშაოებზე. ასევე ციმბირში იგზავნებოდნენ მეორე თანრიგის მესამე ხარისხის დამნაშავე ალექსანდრე ნაკაიძე, პირველი თანრიგის მეორე და მესამე ხარისხის დამნაშავე გლეხები: ესიკა მამულაიშვილი, გოგია ჯიბლაძე და სხვები. ისინი შპიცრუტენებით დასაჯეს, შემდეგ იგზავნებოდნენ ბობრუისკის პატიმართა ასეულში 10 წლის ვადით. მეორე თანრიგის პირველი ხარისხის დამნაშავენი, ენუქა ვადაჭკორია, გოგია ვადაჭკორია და სხვები, ასევე, შპრიცრუტენებით დასჯის შემდეგ 10 წლის ვადით იგზავნებოდნენ სევასტოპოლის პატიმართა ასეულში, ხოლო ათანასე ვადაჭკორია, ნიკოლოზ ვადაჭკორია, დავით მეგრელიძე – ბრესტ-ლიტოვსკში (სცსსა. ფ. 648, აღწ. 1. საქ. 709, ფურც. 90-100).

არ გაუსამართლებიათ თავადი დავით გუგუნავა, აზნაური ათარმიზა თოიძე და სხვები, რომლებიც ბოლომდე არ მიყვნენ აჯანყებას.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან პროგრესული როლი მაინც შეასრულა. მას საპატიო ადგილი უჭირავს ცარიზმის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მატრიანეში. ამ აჯანყებამ მეფის ხელისუფლებაც კი აიძულა გამოეტანა სათანადო დასკვნები. გამოიგზავნა კომისია მდგომარეობის შესამოწმებლად. ამის შემდეგ სენატმა უარყო რუსეთის გუბერნიების წესები საქართველოში ბრძად გადმოღებისა და შეიმუშავა ახალი წესები.

რუსეთის ხელმწიფე ნიკოლოზ პირველიც კი იძულებული გახდა შეეცვალა სამხედრო სასამართლოს განაჩენი. ა. შალიკაშვილის გარდა, ყველას აპატია დანაშაული. ა. შალიკაშვილი კი ციმბირში კარგახანს დარჩენილა. შემდეგ იგი რუსეთის იმპერატორს კატორღიდან გაუთავისუფლებია აღმოსავლეთ ციმბირის გუბერნატორის ს. მურავიოვის შუამდგომლობით, რადგან ადრე ა. შალიკაშვილს ს. მურავიოვი სიკვდილისაგან უხსნია კავკასიაში სამსახურის დროს.

სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ საზღვარგარეთ გადახვეწილ აჯანყების აქტიურ მონაწილეებსაც: თავად მიხეილ მაქსიმელაშვილს, აზნაურებს სიმონ გოგოლიშვილს და გიტო გოგორიკიძეს, გლეხებს გოგია გორდელაძეს, როსტომ სიხარულიძეს, მაქსიმე ხუხუნაიშვილს. ისინი სამშობლოში დაბრუნებულან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №220.
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (შემოკლებით სცსსა), ფ. 229, აღწ. 1, საქ. 1496.
3. იური სიხარულიძე, გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, ბათ. 1956.
4. სცსსა, ფ. 548, აღწ. 1. საქ. 5709, ფურც. 62.
5. საქართველოს ისტორია, თბ. 1956.
6. სცსსა. ფ. 648, აღწ. 1. საქ. 709, ფურც. 90-100.

The peasants' rebellion if 1841 in Guria

Summary

In 1841 there was a great rebellion of peasants in one of the Georgian parts - Guria, which lasted for three months and a half, from May 22 (June 4 by the Gregorian calendar) to September. This rebellion was directed against the unbearable exploitation of peasants, heavy taxes, Russian tsarist despotic system of governing, serf dome system, social and national oppression. That was not a single event. With its significance it was the objective part of the struggle of Russian peasants against the serfdom style of life and the one of the glorious, heroic episodes of common democratic-liberation movement

ნოდარ კახიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის

ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი,
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის
ისტორიის შემსწავლელი ექსპედიცია
საქართველოში და აჭარა მის მასალებში
(ექსპედიციის 80 წლისთავის გამო)**

1935 წლის ზაფხულში საქართველოს ყველა კუთხეში (აფხაზეთისა და მაშინდელი სამხრეთ ოსეთის გამოკლებით) ჩატარდა მრავალრიცხოვანი ექსპედიცია, რომელმაც შეკრიბა მეტად ძვირფასი მეცნიერული მასალა საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის საკითხებზე. ექსპედიციის ინიციატორი და საერთო ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. მასალებიც მის მიერ შედგენილი პროგრამა-კითხვარის საფუძველზე იქნა შეკრებილი. ამ მასალებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აჭარაში შეკრებილ მონაცემებს.

საქართველოში შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის ამსახველი მასალების შეკრება და შემდეგ დარგების მიხედვით მისი წიგნებად გამოცემა ივ.ჯავახიშვილის დიდი ხნის ნატვრა და ოცნება იყო. როგორც თვითონ წერდა, ეს დიდი და საშვილიშვილო საქმე იყო, რომელსაც ქართული მეცნიერების ენციკლოპედიური საგანძურის შექმნა მოყვებოდა. ამ ამოცანის განხორციელება



ივანე ჯავახიშვილი

კი დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ეს ამოცანა 1935 წელს განხორციელდა. საჭირო თანხები კი ამისთვის, წინასწარ მოლაპარაკების საფუძველზე, საქართველოს მაშინდელმა სარეწაო კოოპერაციამ გაიღო. ექსპედიციის შემადგენლობა, რომელშიც 23 კაცი შედიოდა, პირადად ივ.ჯავახიშვილმა დააკომპლექტა. თითოეული მათგანი მასალების შესაკრებად საქართველოს სხვადასხვა

კუთხეში განაწილდა. სტეფანე მენთეშაშვილი მასალებს კრებდა ქიზიყში, ლუბა ბოჭორიშვილი – შიდა კახეთში, იოსებ მჭედლიშვილი – გარე კახეთსა და ერწო-მთიანეთში, გიორგი ბოჭორიძე – თუშეთში, ვა-

სილ ჩოხელაშვილი (ტუქსიშვილი) – ფშავში, ალექსი და ნათელა ოჩი-
აურები – ხევსურეთში, ვახტანგ ჯაფარიძე – ხევში, მთიულეთ-გუდამა-
ყარსა და ქართლში (მდ. მტკვრის ჩრდილოეთით), კონსტანტინე კახიანი
– ზემო ქართლსა და ქვემო იმერეთში, ირაკლი ქასაშვილი – ქართლში,
კონსტანტინე გვარამაძე – სამცხე-ჯავახეთში, ბარბარე (ბაბო) წერე-
თელი – ზემო იმერეთში, აბელ კიკვიძე – ქვემო რაჭაში, ნიკოლოზ რეხ-
ვიაშვილი – ზემო რაჭასა და ლეჩხუმში, ფაფალა გარდაფხაძე – ქვემო
სვანეთში, კონსტანტინე გრიგოლია – ზემო სამეგრელოში, ანა ხუბუტია
– ქვემო სამეგრელოში, სოლომონ ანდლულაძე – გურიაში, იოსებ გრი-
შაშვილი, ქეთევან გოგიჩაიშვილი – თბილისში, ქეთევან ლომთათიძე და
თამარ ანდლულაძე – აჭარაში. მასალები იკრიბებოდა, აგრეთვე, საინ-
გილოში ილარიონ პაპიაშვილის მიერ (მასალები, 1976:30-31).

მასალები ინტენსიურად იკრიბებოდა ორი თვის მანძილზე. ხელნაწე-
რი სახით მისი საერთო რაოდენობა, რომელიც სხვადასხვა ფორმატის
ქაღალდზეა ჩაწერილი, 6000 გვერდს აღემატება. ეს მასალები თემატუ-
რად იქნა დალაგებული და ილუსტრაციებთან (ფოტოსურათები, ჩანა-
ხატები, ჩანახაზები) ერთად გასაცნობად გადაეცა ივ. ჯავახიშვილს.

თუ რაოდენ ძვირფასი მასალა შეიკრიბა ორი თვის დაძაბული საექ-
სპედიციო მუშაობის მანძილზე საქართველოს ჩამოთვლილ კუთხეებში
შინამრეწველობისა და ხელოსნობის შესახებ, ამაზე თვით ივ.ჯავახი-
შვილი გვაუწყებდა. ისტორიკოს ვარლამ დონდუასადმი მიწერილ ერთ
წერილში იგი წერდა (სტილი დაცულია-ნ.კ.): „ვერ აგიწერთ რა უხვი,
მრავალმხრივი, საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა შეგროვდა...
მოხარული ვარ, რომ ჩემი მუდმივი ნატვრა და ოცნება შემისრულდა და
აღბეჭდილია უკვე ის, რასაც ადამიანი მალე ვეღარ გაიგონებს და
ვეღარც გაიგებს, რადგან საიქიოსაქენ მიდის უკანასკნელი თაობა, რო-
მელსაც წარსულისა კიდევ ახსოვს და გაეგება, რომელსაც იმდროინდე-
ლი კულტურის ნივთიერი ნაშთიც კიდევ საკმაოდ შენახული ჰქონია ისე,
რომ სამუხეუმო შენაძენიც ბევრი რამე ყოფილა (მასალები, 1976:10).
ამავე წერილიდან ჩანს, რომ დიდი მეცნიერი დღედაღამე მუშაობდა ამ
მასალების გამოსაცემად მომზადებაზე და მკითხველს ჰპირდებოდა, რომ
როდესაც დაიბეჭდება, „მაშინ ყველა დარწმუნდება, რამდენად დიდი და
საშვილიშვილო საქმე გაკეთდა“. მეცნიერს ახარებდა, რომ მასალები
შეიკრიბა მის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით. ამ მასალების სიუხვემ
მის მოლოდინს გადააჭარბა. ამით კმაყოფილი ივ.ჯავახიშვილი შემდეგ
წერდა: „თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც
კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართულ სამეც-
ნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს. მოხარული ვარ,
რომ ის საშვილიშვილო საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო და რო-
მელზედაც ყოველთვის ვოცნებობდი, ბოლოს მაინც განხორციელდა“
(იქვე). გამოცემამდე ეს მასალები ინახებოდა შოთა რუსთაველის ეპოქის
მუზეუმში, რომლის დირექტორიც თვით ივ.ჯავახიშვილი იყო. მისი

თხოვნის საფუძველზე, ამ მასალების გამოცემა იკისრა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ. მაგრამ 1940-იან წლებში დატრიალებულმა ამბებმა მასალების გამოცემა შეაჩერა. 1940 წელს ამ მასალების შეკრებისა და გამოცემის ინიციატორი ივ. ჯავახიშვილი გარდაიცვალა. 1941 წელს კი დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომლის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს გარდაიცვალა ს.ჯანაშია, რომელიც მასალების გამოცემით იყო დაინტერესებული. 1970-იან წლებამდე მასალები ინახებოდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

მხოლოდ 1972 წელს დაისვა საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე მასალების მეცნიერულად დამუშავებისა და გამოცემის შესახებ, რომლის ინიციატივა პროფესორ ვახტანგ ჯაფარიძეს ეკუთვნის (მასალები, 1976:11). აკადემიის



გიორგი ჩიჭოვა

პრეზიდიუმში დასმულ საკითხს დადებითად შეხვდა და მისი პრაქტიკულად განხორციელება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს დაევალა. 1974 წელს ინსტიტუტის დირექციის ბრძანებით შეიქმნა საინსტიტუტო სარედაქციო-საგამომცემლო კომისია აკადემიკოს გიორგი ჩიჭოვას თავმჯდომარეობით. კომისიაში თავდაპირველად შედიოდნენ პროფესორები მიხეილ გეგუშიძე და ვახტანგ ჯაფარიძე (მოადგილეები), აბელ კიკვიძე, მეცნიერებათა კანდიდატი ნანული აბესაძე. შემდეგ კომისიის შემადგენლობაში შეყ-

ვანილ იქნენ ენათმეცნიერები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ქეთევან ლომთათიძე, პროფესორი ვახტანგ გიგინეიშვილი და ეკონომისტი, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი.

ისტორიის ინსტიტუტის ბრძანებით „მასალების“ გამოსაცემად მომზადებისათვის შეიქმნა საპრობლემო ჯგუფი სამი კაცის შემადგენლობით (ვახტანგ ჯაფარიძე, კოტე კახიანი, აკაკი სოხაძე). ჯგუფის მუშაობაში ისტორიის ინსტიტუტის სხვა ეთნოგრაფებიც მონაწილეობდნენ. ჯგუფმა ძალზე შრომატევადი სამუშაო ჩაატარა „მასალების“ საგამომცემლოდ მომზადებისათვის, რაც დაკავშირებული იყო ივ.ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავის მოახლოებასთან. ამ მიზნით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1975 წლის 17 აპრილს მიიღო საგანგებო დადგენილება, რომლის საფუძველზე დაიწყო ივ.ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეკრებილი შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალების გამოცემა და დამტკიცდა კონკრეტული სამოქმედო გეგმა. მისი განხორციელება უშუალოდ დაევალა ისტო-

რიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, რომელმაც ზემო-ხსენებული სარედაქციო-საგამომცემლო კომისიის ბაზაზე შექმნა სარედაქციო კოლეგია აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ენათმეცნიერები, ეკონომისტები.

„მასალების“ წიგნებად გამოცემა დაიწყო 1976 წელს და დამთავრდა 1992 წელს. სულ გამოიცა ხუთი ტომი 9 წიგნად სახელწოდებით „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“. მისი საერთო მოცულობა 230 თაბახზე მეტია. პირველი და მეხუთე ტომები გამოიცა თითო, მეორე და მესამე ტომები ორ და მეოთხე – სამ წიგნად. აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით, ყველა ტომი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილი საერთო რედაქციით დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებაში“.

პირველ ტომში (1976 წელი, რედაქტორი ვახტანგ ჯავარიძე), რომელიც ივ.ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს დაემთხვა, შეტანილია მასალები ხალხური აღმშენებლობისა და ხის ავეჯის შესახებ, მეორე ტომის ორ წიგნში (რედაქტორი ვ.ჯავარიძე) – შესულია მეჭურჭლეობა (პირველი წიგნი, 1979 წ.), ქსოვა, ღებვა და ქარგვა (მეორე წიგნი, 1982 წ.), მესამე ტომის ორ წიგნში – ტანისამოსი (პირველი წიგნი, 1983 წ., რედაქტორი ა.კიკვიძე), საჭმელ-სასმელი (მეორე წიგნი, 1986 წ., რედაქტორი ი.ჭყონია), მეოთხე ტომის სამ წიგნში – მესაქონლეობა (პირველი წიგნი, 1986 წ., რედაქტორი ვ.შამილაძე), სოფლის მეურნეობის დარგები (მეორე-მესამე წიგნები, 1987 წ., 1989 წ., რედაქტორი ჯ.რუხაძე), მეხუთე ტომში (1992 წ., რედაქტორები: ა.სოხაძე, ნაბესაძე) – მეურნეობის სხვა დარგები და ყოფითი რეალიები. ყველა ტომს დართული აქვს პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა საძიებელი, ტაბულები (ფოტოსურათები, ნახატები, ჩანახაზები). დასახელებულია მოხრობელთა გვარი, სახელი, წლოვანებისა და მასალის ჩაწერის ადგილთა ჩვენებით. ცხრატომეული შიცავს 1000-ზე მეტ ფოტოსა და ნახატს, 200-ზე მეტ დოკუმენტურ ტაბულას. საილუსტრაციო მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი მომზადებულია პროფესორ ლ.სუმბაძის, დანარჩენი – სხვა მხატვარ-არქიტექტორთა მიერ.

„მასალების“ მომზადებისა და გამოცემის საშვილიშვილო საქმეში განსაკუთრებულია სარედაქციო კოლეგიის წვლილი აკადემიკოს გ.ჩიტაიას ხელმძღვანელობით. ამ საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს მისმა მოადგილეებმა, პროფესორებმა მ.გეგეშიძემ, ვ.ჯავარიძემ, სხვა ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა, ეკონომისტებმა. აღსანიშნავია ენათმეცნიერთა ჯგუფის საქმიანობა, რომელსაც 1935 წელს მასალების შემკრები, ახლა უკვე აკადემიკოსი ქლომთათიძე ხელმძღვანელობდა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი ენათმეცნიერები: ივ.გიგინეიშვილი, ივ.ქავ-

თარაძე, მ.ქაღდანი, ა.ჭინჭარაული, თ.უთურგაიძე, ა.კიზირია, გრ.იმნაი-
შვილი, გროგავა და სხვები.

„მასალების“ დამუშავებასა

ტომი I აღმშენებლობა და ავეჯი 	ტომი II ნაშრომი I მეცნიერება 	ტომი II ნაშრომი II ქსოვა და ღებვა ქარტვა 
ტომი III ნაშრომი I ცხინსაძისი 	ტომი III ნაშრომი II საქმელასამელი 	ტომი IV ნაშრომი I მესაქონლეობა 
ტომი IV ნაშრომი II სოფლის მეურნეობის დაზრდა 	ტომი IV ნაშრომი III სოფლის მეურნეობის დაზრდა 	ტომი V მეურნეობის სხვადასხვა ღარა დაზრდა ფოტო რუკა 

და გამოქვეყნებაზე სისტემატურად
ზრუნავდა და ყურადღებას იჩენდა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტო-
რიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრა-
ფიის ინსტიტუტი, რომელსაც იმ ხა-
ნებში სათავეში ედგა აკადემიკოსი
გ.მელიქიშვილი. ამ საქმისადმი დიდ
ინტერესს იჩენდნენ საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზი-
დენტი, აკადემიკოსი ე.ხარაძე და აკა-
დემიის განყოფილებათა აკადემიკოს-
მდივნები: ა.ფრანგიშვილი, შ.ძიძიგუ-
რი, აკადემიის პრეზიდიუმი (მასალები,
1976:20).

სწორედ საქართველოს მეცნიე-
რებათა აკადემიისა და ივ.ჯავახიშვი-
ლის სახელობის ისტორიის, არქეო-
ლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუ-
ტის ეთნოგრაფიის განყოფილების

საერთო ძალისხმევის შედეგად დაგვირგვინდა წარმატებით 80 წლის
წინ, 1935 წელს, მთელ საქართველოში შეკრებილი შინამრეწველობისა
და ხელოსნობის ისტორიის მასალების მეცნიერული დამუშავება და
ხუთ წიგნად გამოქვეყნება. ამით დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთ-
და, რაზეც დიდი ივანე ჯავახიშვილი ოცნებობდა და რომელიც საქარ-
თველოს წარსული კულტურის ანარეკლის ენციკლოპედიად მიაჩნდა.

მასალების ხუთტომეულის ცხრა წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი
უჭირავს აჭარაში შეკრებილ შინამრეწველობისა და ხელოსნობის მასა-
ლებს, რომელთა ავტორები არიან შემდეგში ფართოდ ცნობილი ენათ-
მეცნიერი, აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე და მასწავლებელი თამარ
ანდლუღაძე.

პირველ ტომში შესულია ცნობები აჭარაში გავრცელებულ საცხოვ-
რებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაზე, კერამიკული ჭურჭ-
ლისა და ავეჯის დამზადებაზე, რასაც წიგნის 16 გვერდი უჭირავს.

საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობებზე მასალები
ჩაწერილია ხიხაძირში, წყაროთაში (ხელოს რაიონი), ვაიოში, საღორეთ-
ში (დღევანდელი პირველი მაისი), დერეხოსხნაში, ნამონასტრევში (ქედის
რაიონი), ალამბარში (ქობულეთის რაიონი), კერამიკული ნაკეთობის დამ-
ზადებაზე – ზვარეში (ქედის რაიონი), გოგმაჩაურში (ქობულეთის რაიო-
ნი) და შუახევში, ავეჯზე – ხიხაძირში. ტექსტებს ერთვის მაშინ გადაღე-
ბული ფოტოსურათები საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე, აჭა-

რის მატერიალური კულტურის სხვა ელემენტებზე, ხიხაძირელ მხერხავეებზე, აჭარელთა ტიპებზე, სამეურნეო იარაღებზე.

მასალების მეორე ტომის ორივე წიგნში შესულია ცნობები ხის ხარატულ და წნულ ნაკეთობათა დამზადებაზე, ქსოვაზე, ქარგვაზე,



ქეთევან ლომთათიძე

ღებვაზე, სახელოსნო იარაღებზე. ხის სახვეწი დაზგები მოწყობილი ყოფილა ღელის წყლებზე და მოძრაობაში მოდიოდა წყლის ენერგიის გამოყენებით. ეს დაზგები აღწერილია ნამონასტრევისა (მთხრობელი ყედირ თურმანიძე) და ჭალათის (მთხრობელი 58 წლის მემედ ხალვაში) მაგალითზე. დახასიათებულია ის ნაკეთობები, რომლებიც ასეთ დაზგებზე მზადდებოდა. ამათგან საგანგებოდ აღსანიშნავია მთლიანი ხისაგან (ცაცხვი, თელა, თხმელა) მოხარატებული მრგვალი ფორმის სუფრები (სასადილო მაგიდები) ცენტრში ერთფეხიანი სადგამით. აქ ჩაწერილი მასალებით ადრე ასეთი სუფრების დამზადება მოსული ღაზი ხის ოსტატების პრივილეგიას შეადგენდა. ისინი ცოლ-შვილით მინდორში არსებულ ფაცხებში ცხოვრობდნენ. მათგან ეს ხელობა ადგილობრივ ხის ოსტატებსაც უსწავლიათ. 1935 წელს სოფელში ასეთ ხარატულ ნაკეთობებს ათზე მეტი ადგილობრივი ხელოსანი ამზადებდა (მასალები, 1979:260-261). ნამონასტრევი (მერისის ხეობა) მცხოვრები თურმანიძეები მსგავს ხის ნაკეთობათა დამზადებას დღესაც ბოლო წლებამდე მისდევდნენ. ხარატული წესით სასადილო მაგიდების დამზადებას, რომელიც აჭარაში ცნობილია სუფრისა და ფეშხუმის სახელწოდებით, დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი კერები ტრადიციულად არსებობდა არა მარტო მერისის, არამედ აჭარისწყლის, მაჭახლის, ღორჯომის, ჭვანის, ხინოს და სხვა ხეობებში, ჭოროხის ხეობასა (შავშეთ-იმერხევი, ლიგანი) და ღაზეთში. ხის ამგვარი ნაკეთობა საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს და მისი დამზადების ძირითად კერად სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უნდა ჩაითვალოს (კახიძე, 2004:57).

ფეიქრობაზე (მატყლის დამუშავება, შალის ქსოვილის დამზადება, ბამბის, სელის, კანაფის რთვა-ქსოვა) მასალები მოძიებულია ზენდიდში, ნამონასტრევიში, ჭვანაში, დიდაჭარაში. აქვე შესულია ხასირის (ანუ ლოგინზე დასაგები ჭილობის) ქსოვაზე (დიდაჭარა), საღებავების დამზადებასა და ღებვაზე (ჭვანა, ნამონასტრევი), თოკების გრეხაზე (მერისი, დიდაჭარა). წიგნის ამ ნაწილს ერთვის საქსეღავისა და ჭილობის ქსოვის ამსახველი ფოტოები. ასევე, ჩანახატები თოკის საგრეს ჩარხებზე, რომლებიც შესრულებულია მასალების ჩამწერთა მიერ.

მასალების მესამე ტომის პირველ ნაწილში შესულ საექსპედიციო მონაცემებში ასახულია აჭარაში გავრცელებული ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის ნიმუშები. ქალის ტანსაცმელზე ცნობები ჩაწერილია ნამო-

ნასტრევისა და ხიხაძირის მაგალითზე. მამაკაცის ტანსაცმელზე, ფეხსამოსზე – დერეხონაში, ორცვასა და ნამონასტრევიში, ხიხაძირსა და დიდაჭარაში. დასანანია, რომ ამ ტომის მეორე ნაწილში, რომელიც საჭმელ-სასმელს შეეხება, აჭარის შესაბამისი მონაცემები რატომღაც ვერ აისახა. სავარაუდოდ, ალბათ, ამ სახის მასალა 1935 წელს არ ჩაწერილა.

1935 წლის ექსპედიციის პერიოდში, როგორც ირკვევა, შედარებით მწირი, მაგრამ საინტერესო მონაცემებია ჩაწერილი აჭარის მეფუტკრეობაზე, მეაბრეშუმეობაზე, მემინდვრეობაზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე და ტრანსპორტზე (მეოთხე ტომის მეორე ნაწილი), მებოსტნეობასა და მეხილეობაზე, მეთამბაქოეობაზე, მევენახეობა-მეღვინეობაზე, მეხილეობაზე, მორწყვაზე (მეოთხე ტომის მესამე ნაწილი). სამწუხაროდ, ასევე მწირადაა წარმოდგენილი მესაქონლეობა (მეოთხე ტომის პირველი ნაწილი) და ისიც მხოლოდ ცხენის, ვირისა და ჯორის მოშენებაზე ზემო ხინოში (ქობულეთის რაიონი) და მერისში (ქედის რაიონი). ხიხაძირში შეკრებილია ცნობები მეფრინველეობაზე.



ბრინჯის ცეხვა

მეფუტკრეობაზე მასალები მოძიებულია წყაროთასა (ხულოს რაიონი) და დიდვაკეში (ქობულეთის რაიონი). აქვე მოთხრობილია სკების დამზადებაზე, თაფლის ხილვაზე (გამოდებაზე), ფუტკრის მოვლა-პატრონობაზე. მეაბრეშუმეობაზე ცნობები მოტანილია სოფელ ზენდიდიდან (ქედის რაიონი) და ჭვანიდან (ხულოს რაიონი). ამ სახის ცნობები ერთხელ კიდევ გაგვახსენებს მეაბრეშუმეობის იმ მდიდარ ტრადიციებს, რაც აჭარაში არსებობდა. მემინდვრეობიდან მეტად საყურადღებოა იმ ცოდნა-გამოცდილების გახსენება, რაც აჭარის ზღვისპირეთის მოსახლეობას გააჩნდა ბრინჯის მოვლა-მოყვანის საქმეში (მასალა ჩაწერილია ალაშბარში (ქობულეთის რაიონი). აქვე მოკლედ მოთხრობილია იმ ხალხურ კერძებზე, რომლებიც ბრინჯისაგან მზადდებოდა. ტექსტის ამ ნაწილში მოთავსებულია ფოტოსურათი, რომელიც საცხეველში ბრინჯის პროცესს ასახავს. მოკლე ცნობებია მოტანილი სახვნელ იარაღებზე (ჯილდა), ნიადაგების შედგენილობაზე, სიმინდისა და ღობიოს ჯიშებზე, კევრზე, სელ-მარხილზე, რომლებიც ჩაწერილია ხიხაძირში, რაქეთაში, ჭალათსა და ნამონასტრევიში.

„მასალების“ მეოთხე ტომში (მესამე ნაწილი) ჩაწერილი ცნობებით ჩვენს წინ ცოცხლდება მეხილეობის ძველი და მდიდარი ტრადიციები, რომელიც აჭარაში არსებობდა. მარტო სოფელ წყაროთაში (ჭვანის ხეობა) აღწერილია მსხლის 25-მდე და ვაშლის 10 სხვადასხვა ჯიშში, ჭალათში – მსხლის 10 და ვაშლის 11 ჯიშში. ამ ჯიშებიდან დღეს ბევრი აღარ გვხვდება და ისტორიის კუთვნილებად იქცა.

მსხლის ჯიშებიდან ჩამოთვლილია სასელა, ჯიხარაჯული, ხატულა, კაციტავაი, ბოქშვაი, ხეტეჭური, თავრაჯული, სხალთაფლა, მესარა, შავ-სხალი, სართულა და სხვ. ვაშლის ჯიშებიდან: ბაღჩაგაშლი, ბიაგაშლი, შაქარგაშლა, დემირალმა, შავი ვაშლი, კაჩაგაშლი და ა.შ. აქვე დახასიათებულია ხეხილის საყოფაცხოვრებო გამოყენება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მონაცემები. ირკვევა, რომ აჭარის მთიანი ზონის სოფლებში (წყაროთა, მერისი, ნამონასტრევი) 1930-იან წლებში გავრცელებული ყოფილა ვაზის ისეთი ადგილობრივი ჯიშები, როგორიცაა: ჩხავერი, ხოფათური, მეკრენჩხი, საწურავი, შავშურა, ცხენიძუძუ და შემოტანილი თეთრი და შავი ადესა. დღეს ამ ჯიშებიდან მხოლოდ აქა-იქ ჩხავერი და ადესაა შემორჩენილი. უპირატესობით სარგებლობდა ჩხავერი, რომლის ღვინოც ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნეოდა (მასალები, 1987:166). ჩხავერისა და ხოფათურის გარდა სოფელ ქაქუთში (ქობულეთის რაიონი) აღწერილი და დახასიათებულია სხვა ჯიშებიც: ტევანდიდი, ალადასტური, კლარჯული, ბათუმურაი, კაკაჩაი, მანცქავრაი, საფერავი. საუბარია მარანში ღვინის დაყენებაზე და ჭაჭისაგან არყის გამოხდაზე (1987:169-170). ისიც ირკვევა, რომ ყოფაში დიდი გამოყენება ჰქონდა სხვა ხეხილსაც (წყავი, მოცვი, წაბლი, წიწიბო, დათვასხალა, მარწყვი, მაცვალი). დიდი რაოდენობით მოჰყავდათ კაკალი.

1935 წელს მასალები ჩაუწერიათ, აგრეთვე, მეთამბაქოებაზე (ჭალათი, დეკანაშვილები), მის მოვლა-მოყვანის წესებზე. ტექსტის ამ ნაწილსაც დართული აქვს მაშინ გადაღებული ორი ფოტოსურათი, რომლებზეც აღბეჭდილია თამბაქოს საჭრელი დაზგა და თამბაქოს საშრობი ფარდული.

წყაროთასა და ხიხაძირში ჩაწერილი მასალებით ვეცნობით ტრადიციას ყანებსა და ჭაღებში (სათიბებში) სარწყავი არხების გაყვანისა და რწყვის ტრადიციულ წესებს, ხოლო ვაიოს, დიდაჭარისა და დიაკონიძეების მასალებით – წყლის წისქვილებისა და ხელწისქვილების მშენებლობას, წისქვილის საფქვავე ქვების დამზადებას. აქვე მოტანილია ჩანახატები წისქვილის ინტერიერისა და ხელწისქვილისა.

„მასალების“ მეხუთე ტომში აჭარის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები შეეხება თევზაობას, მონადირეობას და მუსიკას.

მეთევზეობაზე ცნობები შეკრებილია ორ სოფელში – ჭალათსა და წყაროთაში და მოიცავს წიგნის ორ გვერდს. აქვევეცნობით ბადის სახეებს, მათი ქსოვის წესებს, თევზის სახეობებსა და თევზაობის ხერხებს. სოფელ ჭალათში ძირითადად გავრცელებული ყოფილა გარგანაი ბადე, რომელიც გარგანზე (ჯოხზე) ყოფილა დამაგრებული. წყაროთაში კი ასეთ ბადეს ჭერის ბადე ეწოდებოდა. ბადეებს კანაფისა და ბამბის ძაფისაგან ქსოვდნენ. თევზაობდნენ ანკესითაც. წყაროთელთა გადმოცემით ჭვანის ღელეში მაშინ ძირითადად ბინადრობდა კალმახი, მურწა, ბურღა (ანუ ორულვაშიანი თევზი), ოლაგურაი (ორაგული?) და ფხიანი თევზი.

დაჭერილ თევზს (თუ რამდენიმე ამხანაგი თევზაობდა) თანასწორად იყოფდნენ.

ნადირობასთან დაკავშირებული ცნობები მხოლოდ სოფელ ჭალათშია ჩაწერილი, რომლითაც ჩანს, რომ ნადირობდნენ დათვზე, მგელზე, გარეულ თხაზე, შველზე, კვერნაზე, ფრინველებზე. სანადიროდ იყენებდნენ თოფებსა („ვინტოვკა“, „ბარდენკა“) და რკინის ხაფანგებს. ფრინველებზე საჩიტე თოფით (ფილინთა) ნადირობდნენ.



ცეკვა „ხორუმი“. ხიხაძირი

ველ იუსუფ თურმანიძეს) და ქემენჩა, რომელიც ზენდიდელი ფადიმე ბერიძის გადმოცემით, შეუძენიათ სოფელ ერგეში. იგი დამზადებული ყოფილა ლაზი ოსტატის მიერ. აქვე საუბარია ჭიბონზე, რომელიც ვერნებელ მთხრობელ თემო აბაშიძეს დაუმზადებია თხის ტყავისაგან. ტექსტს ერთვის ჭიბონის სქემატური გამოსახულება ნაწილების სახელწოდებათა ჩვენებით. აქვე განთავსებულია განთქმული ჭიბონზე დამკერული ხიხაძირელი ქონახელას სურათი.

ხიხაძირში ჩაწერილი მასალებით 1930-იან წლებში გავრცელებული ყოფილა შემდეგი სახის ცეკვები: ხორუმი, ქურთბარი, ყარაბადი, ყოლსამა, თამზირა. ხორუმი ძირითადად ქორწილებში სრულდებოდა და მასში სამი და მეტი მოცეკვავე მონაწილეობდა. ოცდაათ კაცამდე შეიძლებოდა ჩაბმულიყო ქურთბარის ცეკვაში. ხორუმი და ქურთბარი სრულდებოდა ჭიბონზე, ზურნაზე, საზზე, ჩონგურზე, ქემენჩაზე. ყარაბადის ცეკვაში ერთი ან ორი კაცი მონაწილეობდა, ყოლსამას ორი, თამზირას სამიდან ხუთ კაცამდე ასრულებდა. დასახელებულია იღეთები, რომლებიც ჩამოთვლილ ცეკვებს ახასიათებდა. მითითებულია ქალთა ცეკვაზე (მასალები, 1992:359-361). ცეკვების აღწერას ერთვის ხორუმისა და

დღევანდელი გადასახედიდან ძალზე საინტერესოა ხალხურ საკრავებთან, სიმღერებთან, ქორეოგრაფიასთან დაკავშირებული მონაცემები. საკრავებზე მასალები ჩაწერილია ნამონასტრეში, ზენდიდში (ქედის რაიონი) და ვერნებში (ხულოს რაიონი), სიმღერებსა და ცეკვებზე – ხიხაძირში. საკრავებიდან დასახელებულია ჩონგური ჩანახატით (რომელიც მაშინ ცაცხვის ხისაგან გაუკეთებია ნამონასტრე-



ქონახელა
(ედუგემ სურმანიძე)

სხვა ცვაკების ამსახველი ფოტოსურათები, რომლებიც გადაღებულია ხიხადირში.

„მასალებში“ შეტანილია, აგრეთვე, ხუთი სიმღერა, რომელიც ხიხადირშია ფიქსირებული. ეს სიმღერებია: ალიფაშა (ოთხ-ექვსკაციანი სიმღერა), მაყრული (ექვსკაციანი), ხასანბეგურა, ძველი ვოსა (ერთად მღეროდა შვიდი-რვა კაცი), მასპინძლური (მონაწილეობდა ორიდან 9 კაცამდე), ინდიმინდი (მღეროდა შვიდი კაცი). მოხრობელთა გადმოცემით ყველა ძველ სიმღერად სახელდება.

1935 წელს აჭარაში შეკრებილი შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალების საერთო მოცულობა, რომელიც შესულია საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის ხუთტომეულში, ნაბეჭდი სახით მთლიანად შეადგენს 100 გვერდზე მეტს. მასალები შეკრებილია ხულოს რაიონის 9, შუახევის (მაშინ შუახევი ხულოს რაიონში შედიოდა) – 6, ქედის – 8 და ქობულეთის 2 სოფელში 65 მოხრობელისგან (ხულოდან 26 მოხრობელი, ქედიდან – 35, ქობულეთიდან – 4). დასაბუთებულია, რომ 1935 წელს საქსპედიციო მასალის ჩაწერა ვერ მოხერხდა ხელვაჩაურის რაიონში. ასე იყო აჭარის პირველი ექსპედიციის დროსაც, 1933 წელს, როდესაც მასალები ძირითადად ხულო-შუახევის რაიონებში იქნა ჩაწერილი. როგორც ჩანს, ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ ექსპედიციის წევრებს მაშინ არ გააჩნდათ ტრანსპორტი სოფლიდან სოფელში და რაიონიდან რაიონში გადასადგილებლად, რაც აძნელებდა მათ მუშაობას. ამასთან, თითოეულ სოფელში ყველა იმ დარგის შესახებ უნდა შეეკრიბათ მასალა, რომლებიც აქ იყო გავრცელებული, რაც დიდ დროს მოითხოვდა (ჯაფარიძე, 1976:17).

1935 წელს ჩაწერილი მასალები მნიშვნელოვანი წყაროა საერთოდ აჭარის შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შესწავლაში. თუმცა, სახელწოდება „შინამრეწველობა და ხელოსნობა“ ვერ გამოხატავს იმ შინაარსს, რასაც შეკრებილი მასალები შეიცავს. ფაქტიურად, ეს მასალები საერთოდ 1930-იანი წლების აჭარის ყოფისა და კულტურის ამსახველია, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. ამ მასალებისა და 1933 წელს აჭარაში განხორციელებული პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის პერიოდში მოპოვებული მონაცემების (ჩიტაია, 2001:356-369; კახიძე, 2013) გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მეცნიერულად სრულყოფილად იქნეს შესწავლილი აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და ეთნოლოგიის პრობლემები.

მთლიანად საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის ხუთტომეული, რომელიც ცხრა წიგნად გამოიცა, ქართული მეცნიერების ენციკლოპედიური საგანძურია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის არა მარტო აჭარის, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულზე მომუშავე ვერცერთი მკვლევარი, ისტორიკოსი იქნება იგი თუ ეთნოლოგი, ფოლკლორისტი თუ დიალექტოლოგი, ენათმეცნიერი, ეკონომისტი თუ სხვა.

1935 წელს საქართველოში შეკრებილი მრავალდარგოვანი შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის ამსახველი მასალების მნიშვნელობადალზე დიდია მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული მეცნიერებისათვის. ივ.ჯავახიშვილის სიტყვებით რომ გამოვხატოთ, ეს მასალები „წარსული კულტურის უკანასკნელი ანარეკლის მთელი ენციკლოპედიაა“, რომელიც შეიცავს მრავალ ახალ ტერმინსა და გამონათქვამს და ურომლისოდაც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა სრულებით წარმოდგენილი იქნებოდა. და ეს გაკეთდა მაშინ, როდესაც ექსპედიციის წევრთა დიდ ნაწილს არ გააჩნდა ველზე მუშაობისა და ზეპირსიტყვიერი მასალების ჩაწერის გამოცდილება. თუმცა, ამ საქმეში მათ მუშაობას უადვილებდა შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეკრების ის წესი, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა შეიმუშავა (ეს წესი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს შინამრეწველის“ 1935 წლის 10 აპრილის მეცხრე ნომერშიდა შემდეგ გადმოიბეჭდა „მასალების“ პირველ ტომში). ამ წესის გამოყენებას სავსე პირობებში მომუშავე ეთნოლოგისათვის, მეცნიერების სხვა დარგის მეკლევართათვის დღესაც არ დაუკარგავს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მრავალტომეულში ძალზე მრავალადაა წარმოდგენილი ქართველი ხალხის ყოფაში არსებული ტერმინოლოგია, მათ შორის, ისეთი ტერმინები, რომლებიც ადრე ლიტერატურაში ცნობილი არ იყო. ამ ტერმინოლოგიას შინამრეწველობისა და ხელოსნობის ცალკეული დარგების კვლევაში დამოუკიდებელი მეცნიერული ღირებულება გააჩნია. ამავე რიგისაა ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც უხვადაა წარმოდგენილი მრავალტომეულში.

როგორც აკადემიკოსი გ.მელიქიშვილი მიუთითებდა, მრავალტომეულში წარმოდგენილი ცნობები სავსებით სანდოა. მისი დახასიათებით, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ამ ცნობების ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ის არის, რომ შრომის იარაღები, ტექნოლოგიური პროცესები, შრომის პროცესები მეტწილად აღწერილია იმ მოვლენებთან ერთად, რომლებიც მათ ყოფით ბუნებას ავლენდა, სრულად ამჟღავნებდა მათ იდეურ შინაარსს, ეთნო-სოციალურ მნიშვნელობას (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 4 მაისი).

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია 1930-იანი წლების იმ მოხრობელთა გახსენებაც, ვისგანაც ცნობები იქნა ჩაწერილი. ისინი მოხსენებული არიან გვარ-სახელით, წლოვანებისა და საცხოვრებელი ადგილის (სოფლის) დასახელებით.

ამაში მდგომარეობს მრავალტომეულის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მრავალტომეულის სახით ჩვენ სახეზე გვაქვს ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო და სულიერი ტრადიციები, მატერიალური და სულიერი ფასეულობანი, რომელ-

თაც თვალისწინებით უნდა ვუფროთხილდებოდეთ და ვიცავდეთ მას. ამიტომაც ვამბობთ, რომ 1935 წელს მთელ საქართველოში შეკრებილი ხუთ-ტომეულის ცხრა წიგნში შესული შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალები ქართული მეცნიერების, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის დიდი შენაძენია, წარსული ქართული კულტურის ამსახველი ნამდვილი ენციკლოპედიაა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კახიძე** – ნ.კახიძე. ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 2004.
2. **კახიძე** – ნ.კახიძე. პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია აჭარაში. – გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1983, 12 ოქტომბერი.
3. **კახიძე** – ნ.კახიძე. საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ისტორიიდან აჭარაში (აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის 80 წლისთავის გამო). – გაზ. „ბათუმის უნივერსიტეტი“, №8, ოქტომბერი, 2013.
4. **მასალები** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. I, თბილისი, 1976; ტ. II (ორ წიგნად), 1979, 1982; ტ. III (ორ წიგნად), 1983, 1986; ტ. IV (სამ წიგნად), 1986, 1987, 1989; ტ. V, 1992.
5. **მელიქიშვილი** – გ.მელიქიშვილი. მნიშვნელოვანი წვლილი ქართული მეცნიერების საგანძურში. – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 4 მაისი.
6. **ჩიტაია** – გ.ჩიტაია. აჭარისტანის ექსპედიცია. – შრომები, ტ. III, თბილისი, 2001.
7. **ჯაფარიძე** – ვ.ჯაფარიძე. წინასიტყვაობა. – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. თბილისი, 1971.

ნაილა ჩელებაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი
მეცნიერი თანამშრომელი*

მასალები ხინოს ხეობის ტოპოგრაფიული რუკისათვის (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

ხინოს ხეობა მდინარე კინტრიშის ზემო წელის ისტორიული სახელწოდებაა. კინტრიშის, ანუ ხინოს ხეობის შესახებ ცნობები მოგვეპოვება ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში „საქართველოს გეოგრაფია“, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. ფრაგმენტული ცნობები ხეობის შესახებ გვხვდება სხვა ავტორთა ნაშრომებში, კავკასიის გეოგრაფიული და საისტორიო საზოგადოების მიერ გამოცემულ შრომებში. თუმცა, შრომების მნიშვნელობა რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომის სამზადისის უკავშირდებოდა და შინაარსიც, შესაბამისად, ხეობის სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს გამოხატავდა.

ხეობის ისტორიული წარსული მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ხეობის მკვიდრის, აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის, აწ განსვენებული ალექსანდრე ქათამაძის სამეცნიერო სტატიები, რომლებიც XX საუკუნის 40-იანი წლებიდან შეკრებილი მეტად ღირებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დაიწერა. ასევე საინტერესოა 1980 წელს პროფესორ ა. კახიძის, ტ. აფხაზავასა და შ. კალანდაძის თანაავტორობით გამოცემული გზამკვლევი ქობულეთის შესახებ (ქობულეთის, 1980). ხინოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თემას ერთგვარად ავსებს გ. თავამაიშვილის მიერ 2010 წელს გამოცემული ბუკლეტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის წელიწადი, რომელიც ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიუძღვის ხინოს ხეობის წარსული ისტორიის შესწავლის საქმეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1960 წლის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად მოპოვებული ძვირფასი მასალები სამომავლოდ ხეობის შესახებ არაერთ მნიშვნელოვან გამოკვლევას შეიძლება დაედოს საფუძვლად.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ არსებული წყაროების, საარქივო და სამუზეუმო ფონდებში დაცული მონაცემების, აგრეთვე, ჩემ მიერ ხინოს ხეობაში სხვადასხვა პერიოდში შეკრებილი საველე მასალების საფუძველზე მომეხდინა ხეობის გეოგრაფიული ნომენკლატურის შესწავლა, რაც

მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას და ხელს შეუწყობს ხეობის ტურისტული რუკის შედგენას. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადაიდგა. დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც ზემო აჭარიდან ფეხით გადმოიარა ხინოს ხეობა ურთულესი გზებითა და ბილიკებით, ტოპოგრაფთა მისამართითაც წერდა და მათ ურჩევდა „... წესად გაიხადონ, რომ რუკებზე აღნიშნავდნენ საქართველოში ხმარებულ ადგილობრივ და არა თურქულ სახელწოდებებს, რომლებსაც, მართალი გითხრათ, არ იცნობენ, ყოველ შემთხვევაში, იქ სადაც მე ვყოფილვარ“ (ბაქრაძე, 1987:70). აჭარაში მოგზაურობით ერთგვარი გადამოწმების საშუალება მიეცა დ. ბაქრაძეს, რომელმაც დიდი ნდობა გამოუცხადა კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების ტოპოგრაფებს და მათ მიერ შედგენილ რუკებს. თუმცა, ავტორმა 1878 წელს გამოცემულ ნაშრომს უცვლელად დაურთო ადრინდელი 1873 წლის ტოპოგრაფიული რუკა (დანართი 1), რომელშიც შექმლო მის მიერ დაფიქსირებული რამდენიმე ტოპონიმისა თუ ჰიდრონიმის ჩამატება. ასეთები: ვარჯანაული, სოდომური, ტყემაკარავი (ბაქრაძე, 1987:19,86) და სხვ. ასე რომ, ხინოს ხეობის შესახებ დასახელებული ავტორების შრომებში მეტ-ნაკლებად ვხვდებით ნაცნობ თუ უცნობ ტოპონიმებს, რომლებშიც გარკვევით არის მითითებული მათი საზღვრები, ასევე, დაცულია თქმულებები და ცნობები მათი დაარსების შესახებ, რაც კარგ საფუძველს ქმნის ხეობის შესახებ სრულყოფილი რუკის შესადგენად.

ტურისტულად ხინო მეტად მიმზიდველი კუთხეა. ხეობა მდიდარია ბუნებრივ-რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული რესურსებით, რომელთა დიდი ნაწილი შეუსწავლელია. ხეობის სტრატეგიული ბუნება და უძველესი კავშირები დანარჩენ სამყაროსთან ადრინდელ ქმნიდა საფუძველს მისი დაწინაურებისათვის. უძველესი დროიდან ხინოზე აჭარისწყლის ხეობით გადიოდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელი ძველი გზა, ანტიკური დროიდან კი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო მაგისტრალის მონაკვეთი-ძველი აბრეშუმის გზა. სწორედ აქედან ხდებოდა ქართული სამყაროს დაკავშირება შავი ზღვით ბიზანტიურ სამყაროსთან. ხეობის ასეთი ინტენსიური ჩართვა ადრინდელ მისი დაწინაურების საფუძველი გახდა. იქ მიკვლეულია ძვ.წ.ად. III-II ათასწლეულების კოლხური ნამოსახლარები და რკინის საბადოების ნაშთები, კრამიტის წარმოების კერები. მდინარე კინტრიშზე შემორჩენილია ქვის თაღოვანი ხიდები. თითქმის ყველგან გვხვდება ეკლესიათა ნაშთები ანუ ნაქართლი ადგილები, როგორც მათ ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს. აქვეა ელიას ციხე, ღვინის მარანი და სხვ. ხეობა განსაკუთრებით მდიდარია უთხოვარი//ურთხმელის ხეებით, რომელთა ასაკს გერმანელი ექსპერტები 2500 წლით გან-

სახლგრავენ, ასევე კოლხური ბზის კორომებითა და ენდემური სახეობის სხვა მცენარეებით. სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად იცნობს საკუთარ რეგიონს და ბევრი რამ დავიწყებას ეძლევა. ამიტომ, აუცილებელია ხინოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს ხეობის მიმართ ინტერესის ზრდას და, შესაბამისად, იქ ადგილობრივი მოსახლეობის დამაგრებას, ასევე ტურისტული პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

ხინოს ხეობის სახელწოდება მდინარე კინტრიშის ძველი სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ხინოსწყლის, ხინოს მდინარის ან კიდევ მდინარე ქობულეთის სახელით მოიხსენიებს (ვახუშტი ბატონიშვილი, 1997:176-177). რაც შეეხება მდინარის ახლანდელ სახელს-კინტრიშს, იგი მოგვიანებით ჩნდება საისტორიო წყაროებში. დ. ბაქრაძე აღნიშნულ ჰიდრონიმს ასე განმარტავს: „ერთადერთი ხეობა, რომელიც თითქმის მთელ სიგრძეზე კვეთს ჩურუქსუს, კინტრიშის, ანუ ისტორიული ხინოს წყლის ხეობაა“ (ბაქრაძე, 1987:18;83).

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მდინარის სათავე იწყება მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2599 მეტრზე (ქსე, 1980:527). ხინომდე მდინარის სათავეს ქმნის სხვადასხვა მთებიდან (ნარუსალა, სარბიელა, პაწა//პატარა მთა, სალანქრია) გამომავალი დედეები. სამეცნიერო წრეში იმის თაობაზე, თუ მდინარის რომელი მონაკვეთიდან იწყება კინტრიში, არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. მკვლევარი ალ. ქათამაძე კინტრიშს უწოდებს არა სათავედან, არამედ ზემო ხინოდან, კერძოდ, საკირედან მომდინარეს, იქ, სადაც ცხრობვანისა და შოლოვერის დედეების შენაკადები ქმნიან საკირეს დედე, რომელიც, თავის მხრივ, მიერთვის ჭერელის დედე და სწორედ აქედან იწყება მდინარე კინტრიში. ხოლო ეთნოგრაფ ვლ. მგელაძის მიხედვით მდინარე ხინოსწყალი კინტრიშად იწოდება დიდუბის შემდეგ (მგელაძე, 1960:67).

ხინოს ხეობის მთიანი რელიეფი საკმაოდ ღრმა ხეობებითაა დასერილი, საიდანაც მრავალი მდინარე და დედე გადმოედინება და კინტრიშს მიერთვის. მდინარე კინტრიშის შენაკადებია: აღმოსავლეთიდან ჭერელის დედე (ქათამაძე, 1940:19), მდ. ყირალა (ბაქრაძე, 1987:86), ტყემპვალას წყალი (ჩიჯავაძე, 1960:44). დასავლეთიდან - ხერწულასა და ჭანჭურის დედეები (იქვე, ქათამაძე), ასევე მდ. მაღალხევისდედე, რომელიც მთა პერანგადან (ზღვის დონიდან 2235მ.) გამოედინება და კინტრიშის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს. სამხრეთიდან უერთდება ნატიფარას დედე, ხოლო ჩრდილოეთიდან ხორათისა და ნაბელღავას დედეები (ქათამაძე:19). სხვა ცნობით,

მდინარის შენაკადებია: ხეკნარა, პერანგა, მამედალი, დიდელე, მოსანათის დელე, სადაც 30 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერია, ბოლქვაძეების დელე, ჩრდილო-ორსაფეხურიანი 70 მეტრი სიმაღლის წყალვარდნილით, ხინოს დელე, პაწა საკირეს დელე ქათამურთან, თოდიის დელე, ჭვანის დელე ხეგანის დელე, მოსალთახევის დელე, ქათამურის წყალი და ბოტონთახევის დელე (მგელაძე, 1960:28;35;56;62;68).

მდ. კინტრიში სათავეში ჯერ ვიწრო ხეობაში მოედინება. ხინოს შემდეგ ოდნავ განიერდება და ზერაბოსლამდე დიდრონ ლოდებზე გადმოედინება. შემდეგ კი ჭახათამდე კვლავ თანდათან ფართოვდება და შავი ზღვის შესართავთან ზოგჯერ კი მდინარე დეხვასთან ერთად ერთ ტოტად ერთვის შავ ზღვას (ნიჟარაძე,ჯიბუტი,1957:46). მდინარე კინტრიში ანუ ხინოს წყალი ორ ნაწილად იყოფა: ზემო და ქვემო ხეობებად. ეს დაყოფა ხეობის სახელწოდებათა შესატყვისია, რადგან მდინარეს ზემო ხინოდან ჭახათამდე ჰქვია ხინოს წყალი, შესაბამისად ხინოს ხეობა, ხოლო ჭახათს ქვემოთ მას მდინარე კინტრიში, ხეობას კი კინტრიშის ხეობა ეწოდება. როგორც ჩანს, ხეობის მხოლოდ ზედა ნაწილმა შემოინახა თავისი ძველი სახელწოდება (შდრ. ქობულეთის,1980:23). ხეობის დიფერენცირების საკითხს აკონკრეტებს დ. ბაქრაძე და გამყოფად მდინარის შენაკად ყირალას თვლის, რომელიც სოფელ ჭახათთან ახლოს მიერთვის კინტრიშს (ბაქრაძე,1987:86). ანალოგიურად ახდენს ხინოს ლოკალიზაციას მკვლევართა ერთი ჯგუფიც (ქობულეთის,1980:23). საგულისხმოა, რომ ზ. ჭიჭინაძე ფარული ქრისტიანობის საკითხთან დაკავშირებით მსჯელობისას, კინტრიშს განასხვავებდა ქობულეთისგან. საფიქრებელია, რომ მკვლევარი კინტრიშის ლოკალიზაციას სწორედ ხინოსწყლის ხეობის საფუძველზე ახდენდა (ჭიჭინაძე, 2008:115). აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის რუკაზე ზღვისპირა ქალაქი ქობულეთი კინტრიშის სახელით არის აღნიშნული. წინამდებარე სტატიაში ჭახათიდან ზემო ხინომდე ხეობას ჩვენც სწორედ ხინოს სახელწოდებით მოვიხსენებთ.

თავის მხრივ, ხინოს ხეობაც ორ ნაწილად იყოფა: ზემო ხინოდ და ქვემო ხინოდ. მათ გამყოფად კი ზერაბოსელი ითვლება. საგულისხმოა, რომ დღეს ქობულეთის მოსახლეობა ზოგადად, ხინოს უწოდებს ხეობის ყველა სოფელს (ჩელებაძე, 2011). როგორც აღვნიშნეთ, ხინოს ხეობა მოიცავს ტერიტორიას ჭახათიდან ზემო ხინოს ჩათვლით. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ხეობის ორი უკიდურესი პუნქტის გაერთიანება დაახლოებით 1500 წლის წინ უნდა მომხდარიყო (მგელაძე,1960:21). ხეობის უმაღლესი პუნქტია სოფელი ხინო ზღვის დონიდან 1040 მეტრზე, რომელიც ქობულეთის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და მისგან 44 კმ-თაა დაცილებული (ქსე,11,1987:184). რევოლუციამდე ხინო სოფლებითურთ

მოიცავდა მთელ ხეობას ვიდრე სოფელ კოხამდე, სადაც დღემდე არის ერთგვარი „სასაზღვრო“ ქვა-ბოძი. ამ მიზნით ქვისა და რკინის ნიშების გამოყენების დიდი ტრადიცია არსებობდა საქართველოში შიდა და, ასევე, სახელმწიფო საზღვრების აღსანიშნავად (ქართლის ცხოვრება, 1973:601; ვახუშტი, 1941:122). ამიტომ საფსებით დასაშვებია კოხის ქვა-ბოძის შიდა-ადმინისტრაციული გამოყენის სახით გამოყენების პრაქტიკაც. გარკვეულ პერიოდში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გარდაქმნების შედეგად, ქობულეთის რაიონს 1922 წლებამდე ეწოდებოდა კინტრიშის მაზრა (აჭარის არქივი:5), რომელშიც 115 სოფელი იყო გაერთიანებული (ნარკვევები, 2011:64-65). თითოეული თემი, როგორც კინტრიშის, ისე ჭახათის, 6 სოფელს აერთიანებდა. 1940 წლისათვის კი ხინო სამ სოფელთან ერთად (დიდვაკე, ცხემვანი და მესხიქელი) ზერაბოსელის სასოფლო საბჭოში გაერთიანდა (კომახიძე, 1998:116). სხვა ცნობით კი აღნიშნულ პერიოდში ხინოში შედიოდა გოგოური და მისგან სამხრეთით მდებარე წერაქვეთი. ამ ორი სოფლის ხინოსგან გამოყოფად ხუციგორის ქელი მიიჩნევა (ქათამაძე, 1940:2-3). მისივე ცნობით, ხინოს საზოგადოებაში შედიოდა: თვით ხინო, წერაქვეთი, გოგოური და გორა (უკანასკნელი სამი პატარა სოფელია), დიდვაკე, ზერაბოსელი, ცხემვანი//ცხემლოვანი, კობალაური, ვარჯანული, ტყემაკარავი, სოდომური, ჭახათი და კოხი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პროცესები პირიქით წარიმართა და წარმოიშვა რამდენიმე ახალი სოფელი: ქარიანული//ქარიანელი, ბუდრათა//ბოდრათა და ოხტომი.

დღეს ხინოს ხეობის სოფლები ჭახათის თემშია გაერთიანებული. ეს გამოიწვია ხეობის რთულმა ბუნებრივ-სამეურნეო გარემომ, რის შედეგადაც ხეობის რამდენიმე სოფელი საფსებით დაიცალა და მხოლოდ აქა-იქ შემორჩა მკვიდრი მოსახლეობა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად კინტრიშის ქვემოწელის სოფლებში განსახლდა და ისინი მშობლიურ სოფლებში ძირითადად ზაფხულის პერიოდში ადიან დასასვენებლად და, ზოგიც, სამეურნეო საქმიანობის მიზნით.

სხვადასხვა დროს სოფლების გაერთიანება - გამოცალკევების გამო მათი ნაწილი ხან უბნებად, ხანაც დამოუკიდებელ სოფლებად წარმოჩნდება. ეს სოფლებია: ბუდრათა//ბოდრათა, გოგოური, გორა//გორაი, დიდვაკე, ვარჯანული//ვარჯანაული, ზემო ხინო, ზერაბოსელი, კეჭეთი, კობალაური, მესხიქელი//მესხიძირი, ნაქერვალი, ორპირი, ოხტომი, საკირე, სოდომური, ტყემაკარავი//ტყემაკარავი, ქათამური, ქარიანული//ქარიანელი, ცეცხლაძეები, ცხემვანი//ცხემლოვანი//ცხემლოვანი, წარაკვეთი//წერაკვეთი//წერაქვეთი, ჭახათი და ხინო. ჩამოთვლილ სოფლებში შედის:

ჭახათი: მაჩუყელი, მაჩვიქელი (სოფელ კოხს ესაზღვრება), მასინძელი, პარპალი, ტალახაღ, ელიას ციხე, რომელიც გოგმაჩაურს ებჯინება, შუაგორა//შუაყელი. ოსტომი, სადომური//სოდომური, კეჭიეთი, დიდელეთი, კიკნავრი, ზვანი (ქათამაძე,1940; მგელაძე:38; ქამადაძე,2007:41-42; კუკულაძე, 2008:78; ჩელებაძე,2001).

კეჭიეთი: სახტარი, შარა, საჯვარე, შავიშვილები, სასვენო (ესაზღვრება კოხს მდინარე კინტრიშთან), მთაქისველი, გობრონილაში, რომელიც ვარჯანულს ესაზღვრება და წისქვილიდელე (ქათამაძე, ჩელებაძე).

სოდომური. ეს სოფელი დამოწმებული აქვს დ. ბაქრაძეს (ბაქრაძე:86), მას განსხვავებულად -სადომურის სახელით მოიხსენებს ვლ. მგელაძე (მგელაძე:38).

ვარჯანული. მას ვარჯანაულს უწოდებს მ. ბექაია (ბექაია:25,36). მისი უბნებია: საბუზარას სერი, თოდიის დელე, საწირავი დელე//საწირავის წაყლი, ვარნალი ყელი, თედოს ტბა, საწირავი გორი, ისრიდელე (სადაც ისლამისაგან იცავდნენ თავს და იმალებოდნენ), ზედა სოფელი, ჭალა, თამარის ხიდი, ჩაო, ზეცაისთავი, თავგაღელე-ქვათეთრა, დარბაზი-ტყე, რომელიც ვარჯანულსა და კეჭიეთს შორისაა. ვარჯანულსა და საგებაურს შორისაა ბასიმელის აღმართი (ჩელებაძე:1988).

ტყემაკარავი. ეს ტოპონიმი ჩანიშნული აქვს დ. ბაქრაძეს. მას ტყამაკარავსაც უწოდებენ (ჩელებაძე,1986-88). სოფლის უბნებია: ჩიდილი//ჩიდილაი, კირნაწავა, საყივარას მთა, სერნალის მთა, ჭივანის დელე, გოგოს ტყე (ჩელებაძე,2001), გოგოს ტყის გორი, ვაკე, ძირკოული, ტაკიძნები, ნასკალევი, კიდობანას გორი, საყივარას გორი, ჭყიმარტის გორი, ტალახა (ქობულეთის, 1980:21).

კობალაური. ნაფოცხვარი, ხარუჩა დაყორვილი, ჩუფთას გორა (ქვათეთრა), ნასახტრი (მგელაძე, ქამადაძე:71). ამ სოფელში უამინდობის გამო რამდენიმე დღით იმყოფებოდა დ. ბაქრაძე, სადაც ეთნოგრაფიული ლექსიკონი შეადგინა. მას წმინდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილის წარმოჩენასთან ერთად აქვს ლექსიკოლოგიური კვალიფიკაცია (ბაქრაძე:85).

ცხემვანი//ცხემღვანა//ცხემლოვანი. ამ სოფელს იცნობს დ. ბაქრაძე და მას ცხემლოვანს უწოდებს. ხიდსაც ცხემლოვანის სახელით მოიხსენებს (ბაქრაძე:85). აქ არის ჭივანის ტყე (ქამადაძე:42). დღეს სოფელს ცხემვანი ჰქვია, სადაც არის ათაბაგების ნასახტრალის (წმიდა

გიორგი ფოცოს თავი) განახლებული ტაძარი - წმიდა გიორგის მონასტერი.

ზერაბოსელი: ხერკნალა, წიკოვრი/წიკური, ხერკილა, ჭიხვარაული, სამარცხევი, სასობელა, მამითელაური, ჭუჭულავრა (ქამადაძე, 2007:42), კიკნავრის ტყე, მთა კურვა სატილყაი, წყარვაი, აფშილას ქედი, საყდარი, ქვაბიფსკერაი.

მესხიქელი/მესხიძი (კავკასიის კალენდარი, 1917), საყდარი, იოთაი, ბრძნის დელე, ზვარიას დელე, ზვარიი ყანები, კატისციხის ტყე, ზენისელის ტყე, ზენისელის დელე, გორმანისული, ბზენისოული ტყე, ბზენისოული დელე, გრაფინაის საძოვარი, ნარახალის ტყე, ჩიდილას დელე, ჩიდილას ტყე, საგებაური.

ბულრათა, იგივე ბოლრათა (ჩიჯავაძე:33). სოფელი დაარსდა 30-35 წლის წინ. (დღეს იგი 85-90 წლისაა).

ოტომი. ოტომს ქვევითაა არტახი/არტახა. აქვეა არტახის დელე და დიდდელეთა. სოფელი დაარსდა 68 წლის წინ.

გორა/გორაი. იგი მოსალთახევის მარცხნივ მდებარეობს. სოფლის ადგილებია: ჭოშაი, ვარცხნილი, ჩარხიდელე, ტაბელნარი, ნაჭურთვალა, ნაფუზრები, ხიდითავი, თხმელნარი. სოფელი ხიდით არის დაკავშირებული სოფელ დიდვაკესთან.

დიდვაკე. სხვადასხვა დროს იგი აერთიანებდა გორაის და მესხიქელს. ნავი, ნანალიევი (მგელაძე:63-64). ხინოს დელე, ნაბელდავის დელე, კვინცი, ლოლაიდა, გორა, წერაქეთი, ქათამური, ჭანჭახი, ნასყდრი, ნაჭიშკრევი-დიდვაკედან ხინოში გადასასვლელი, რომლებიც ერთმანეთს ორპირის ხიდით უკავშირდებიან. სოფლის გადამა კარჩხალის მთაზე არის უღამაზესი მისანათის ჩანჩქერი.

წარაკეთი/წერაკეთი/წერაქეთი. იგი მოსალთახევის მარჯვნივ მდებარეობს. მისი უბნებია: ხუცის გორა და ნაჭიშკრევი (მგელაძე,1960:47;64), წყარვაი, ჩურღმული, აზავერაი.

გოგოური (შამილაძე,1960:43) მისი საზღვრებია: ორპირის ხიდი, ნაომვალის ქედი, ხუცისსერი, ლეკერწმინდა, ხევანის დელე, ჭიკარტაი, მაყრანაი, სათიბის გზა, კალვაის გზა. (იგი კალვაის მთისკენ მიდის, რომლის სიმაღლე 1763 მეტრია).

ორპირი. აქ ერთდება მოსალთახევისა და ჭერელის დედეები.

ქათამური (დღეს ზემო ხინოში შედის) - ჭანჭახი, ბობლანურის ტყე, ლეკერწმინდა, ცინასნასახლევი, ნაკოდავი, დუბენავი, ნატიფარა, ნაბელდავი/ნაბელდავა, საგებაური, ხუციგორა (ჩელეაძე,1995-1996).

დიდვაკე. დალაგვერდის ტყე, ნავის მთა, ბეჩნარი, ბელეშეთი, ლოლოიდა.

ნაქერვალი (ბეჟაია,1960), ასევე, **ცეცხლაძეები და საკირე.**

ხინო. დ. ბაქრაძე სოფელ ხინოსა და ზემო ხინოს ერთმანეთთან აიგივებს (ბაქრაძე, 1987:83), რაც იმ პერიოდის ვითარებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ხინოსა და ზემო ხინოს ზოგი უბანი ორივე სოფლის ჩამონათვალში მეორდება. მომდევნო პერიოდის ზოგიერთი მასალის მიხედვით, ზემო ხინო და სოფელი ხინო დამოუკიდებელი სოფლებია. ხინოს სხვა უბნებია: ხინოს ეკლესია-ნასახტრები, გოგოური, ქათამური, ქარიანელი//ქარიანული, საკირე, ცეცხლაძეები, მაყვანაი, ჯამიკარი, ხერწულა, თავდიდის ყანა, ორპირის ყანა, ნაკოდავი, ნაბეღლადა.

ზემო ხინო. მისი უბნებია: ჩეფრი კარავი, ჯამიკარი, საცეცხლაძო, საკირე, ქარიანული, მაყვანა (მგელაძე, 1960:71), ნადირველი, საყდარი, ხერწულაი.

ქარიანული//ქარიანელი. იგი ახალი სოფელია (ბეჭაია, 1960:63).

ქათამური. ბობლანაური, ნაკოდავი, ნაშხული (მგელაძე, 1960:78).

სოფელი ხინო სამივე მხრიდან მთებით არის შემოსაზღვრული: ჩრდილოეთით-ჭოლონისა და ნარეხალის მთები (შესაძლოა რუკებზე მთა ნარეხალის//ნარახალის ნაცვლად შეცდომითაა აღნიშნული მთა ნარუსალი), სამხრეთით-ხუციგორა (სარმიყელის მთის განშტოება), აღმოსავლეთით-ხინოს მთის ნაწილი, პერანგასა და სარმიყელის მთები, ხოლო დასავლეთიდან მას ესაზღვრება სოფელი დიდვაკე. ხინოს უფრო ახლოს საზღვრები რამდენიმე პატარა ქედზე გადის. ესენია: ვანისთავი, ნასაბლევი და ნაკოდავი.

ხინოს ხეობის სოფლების დაარსებასთან, ზოგიერთ ადგილთან და ისტორიულ ძეგლთან დაკავშირებით არაერთი თქმულება და გადმოცემაა შემონახული, რაც მოსახლეობაში ისტორიული მეხსიერების გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს. მათში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თამარ მეფის სახელს, რაც სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებული თქმულებიდანაც ჩანს. ზეპირი გადმოცემის მიხედვით, „ერთხელ სოფელში თამარ მეფეს თავისი დიდებულებით მოუღხენია და სოფელსაც „სალხინო“ დარქმევია. დროთა განმავლობაში „სალხინო“ შეცვლილა და საბოლოოდ „ხინო“ დამკვიდრებულა. დიდებული მეფის სახელს უკავშირდება აგრეთვე ტოპონიმი საგებაური. გადმოცემის მიხედვით, ხინოში მიმავალ მეფეს სოფელ ბოდრათის ხიდთან მიგეგებიან მცხოვრებნი და ამიტომ იმ ადგილს „საგებაური“ დარქმევია (ქათამაძე, 1960:2).

1940 წელს ალ. ქათამაძის მიერ ჩაწერილი ლექსით, რომლის ავტორია ცნობილი სახალხო მთქმელი მემედ ჭყონია, წარმოდგენა

გვექმნება იმდროინდელი ცხოვრებისა და ხინოს ხეობის ტოპონიმიკაზეც:

„ნური ფაშამ დააგალა, ხალხს უქადაგე ჯამეში,
რესპუბლიკას დააარსებ ჭახათს ზეით-დიდვაკეში,
ჩვენ ქვეყნებში იმყოფება ხასან ეფენდი ხინგელი,
პოლიტიკაში ჩარევის შემთხვევა მოხდა პირველი.
ფილოსოფოსი ყოფილა, დეილოცა მისი ძველი,
მესხიქედში ხელმწიფობას ჩაუყარა საძირკველი.“

(ქათამაძე, #26, 1940:10).

ხინოს ხეობის გეოგრაფიული ნომენკლატურის წარმოჩენა შესაძლებელია ტბების, მთებისა და სხვა ბუნებრივი გარემოს მიხედვითაც. ხინოს ხეობის მაღალ მთებში 2200 მეტრის სიმაღლეზე არის პატარა ტბები: ტბიყელი//ტიპიყელი ანუ ზღვის ნაწყვეტი და ტბა სიძე-რძალი, სარმიყელი. სოფლის ტერიტორიაზეა აგრეთვე პატარა შავი ტბა (<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A0>). ხეობას გარს აკრავს რამდენიმე მთა: სარბიელა, ნარეხალა//ნარუსალა, კალვა, პერანგა, კარჩხალი და გვანცა. ასევე, ჭოლონისა და ნაქერვალის მთები, ხუციგორა, რომელიც სარმიყელის მთის განშტოებაა, ხინოს მთა და პატარა ქედები: ვანისთავი, ნასაბლეთი და ნაკოდავი (ქათამაძე, 1940), ასევე მთა პაწა//პატარა (მგელაძე, 1960:48). დ. ბაქრაძის მართებული ცნობით, მთა პერანგა ერთმანეთისგან ყოფს ხინოსა (ბაქრაძე, 1987) და თავიანურის მწვერვალებს, რითაც ხდება ხინოსა და ჭვანის ხეობათა (შუახვევის რაიონი) გამიჯვნაც. მთები დასერილია შემდეგი სერებით: საბუზარას სერი (მგელაძე, 28), ჩუფთას გორა, რომელიც ქვათეთრაზეა, საყივარას გორა, სერნალის მთა. აქვეა კირნაწავა ადგილი და ნაომვალის ქედი (მგელაძე, 1960:35,56).

ხეობა განსაკუთრებით მდიდარია ტყის საფარველითაც: ქობრონაის ტყე კეჭიეთში, ქვათეთრა, კაპეტას ტყე ვარჯანულში (შამილაძე, 1960:13,22), ტყე ხუცური ჭახათში (ჩიჯავაძე, 1960:11), ფილანის ტყე, დარბაზი ტყე ანუ სასოფლო ტყე ვარჯანულსა და კეჭიეთს შორის (მგელაძე, 1960:27;59), გოგოს ტყე (ჩელევაძე, 2001) და ა.შ.

ხეობა აღპურ ზონაშია და იგი მდიდარია საზაფხულო იალაღებითაც: ხინოს იაილა, ღაშე (ჩიჯავაძე, 1960:44,49), სარმიყელი (ბეჭაია, 1960). ყიშლები ძირითადად არის მაღალი და დაბალი, რომლებიც ხინოსა და დიდვაკეს ეკუთვნის (ჩიჯავაძე, 1960:54). მაღალ ყიშლას მიეკუთვნება: ობოლქვის ყიშლა, პერანგა, ჭოლონი, ნარხალი, კალვა, ღაშე. მათი საძოვრები ძირითადად ხინოს მთაზეა. ესენია: წითლობი, ღოგონი, საღორია, საღანქრია, საყორია (ჩიჯავაძე, 1960:59).

აჭარის შიდა და გარე ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზები ერთ-ერთი უძველესია კავკასიაში. გეოგრაფიული ნომენკლატურის შესწავლა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს არამარტო ხინოს გზების საერთაშორისო მნიშვნელობა და ხიდები, არამედ შიდა საგზაო ქსელიც. ხინოს ხეობაში რამდენიმე თაღოვანი ხიდია, რომლებსაც ავტორები სხვადასხვა სახელით მოიხსენებენ. დ. ბაქრაძე ორ ხიდს ასახელებს - ხინოსა და ცხემლოვანის ხიდს (ბაქრაძე, 1987:85). ასევე ხიდები არის ვარჯანულში და გოგოურში (ორპირის ხიდი). ხიდები ქობულეთის ძველი, მთავარი გზის შემადგენელი ნაწილია და ამ გზასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა ბასიმელის ხიდი, საიდანაც გადიოდა გზები ქობულეთისკენ და ოზურგეთისაკენ (ქობულეთის, 1980:22). სოფლების შიდაკავშირი ხეობაში კი ძირითადად „გზაბაწარაით“ ხდებოდა. დ. ბაქრაძეს დამოწმებული აქვს შემდეგი ბილიკები: სომელია და ზოტიმერია. მისივე ცნობით, ხულოდან ზემო ხინოში ორი გზა მიდის: ერთი ყველაზე მთიანი ინწირვეთის აყოლებით პერანგაზე (საიდანაც თავად იმოგზაურა) და მეორე სოფელ ჭვანასა და სოფელ ხაბელაშვილებზე გავლით იმავე ქედზე (ბაქრაძე, 1987:67,88). უფრო ზუსტად - გზა ხინოდან ჭვანისკენ მიდის კალვა პერანგადან - გორაკალვა-ცხმორისი და ჩადის ცხემლარში ანუ ჭვანის ხეობაში. მეორე გზა კი ზემოხინოდანაა, საიდანაც ცხენით ხდება გადასვლა პერანგას მთაზე და ცხემლარამდე 3 საათის გზაა (მგელაძე, 1960:48). ე.ი. პირველი გზა ჭვანის ხეობაში გადის, ხოლო მეორე - ცხმორისში (ქედის რაიონი). ხინოდან გზა გადადიოდა გურიაში. მთა პატარადან ერთი გზა ზემო აჭარაში მიდის და მეორე ტოტი კი გოგიეთში. სხვა შემთხვევაში კი, გურიაში გადასასვლელი გზა გადის დიდვაკიდან ნარახალას მთაზე გავლით, რომელიც შემდეგ ჩადის გოგიეთში, ხოლო იქედან ოზურგეთში. მეორე გზა მიდის საკალმახეთიდან გოგიეთის გავლით. ჩაქვისკენ გადასასვლელი გზა გადის საყვირალაიდან. აქედან ჩადის ბოდიშში, შემდეგ ზერაბოსელში და იქედან ჩაქვში (მგელაძე, 1960:48).

ხეობა მდიდარია ისტორიული ძეგლებით, თაღოვანი ხიდებით. ხეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ ავბედობის ჟამს ხეობაში დართოდ იყო გავრცელებული დედაბრული ხელი - ფარული დამწერლობის ერთ-ერთი სახე. ხინოს ხეობა არაერთხელ წარმოადგენდა ბრძოლის ასპარეზს, თუმცა ისტორიის გარკვეულ ეტაპზე იგი მტერთა მოძალებისაგან დევნილი ქართლისა და სამცხის მცხოვრებთა

თავშესაფარსაც წარმოადგენდა. ხინოს ხეობის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ აქ იყო ხინოწმინდელის საეპისკოპოსო რეზიდენცია. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ასე გვაუწყებდა: „ხინოს ... ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოს-წყლის სამჯრეთისა ჭოროხამდე“. ცნობილია ხინოს რამდენიმე ეპისკოპოსის სახელი. დ. ბაქრაძის ცნობით უკანასკნელი ხინოწმიდელი ყოფილა დავით წერეთელი, რომელსაც დ. ბაქრაძის თქმით ოსმალთა უღელქვეშ მყოფი მხარე ალბათ არც კი უნახავსო (ბაქრაძე, 1987:84). ხინოწმიდელი დავით წერეთელი, იგივე წმინდანად შერაცხული დოსითეოს ქუთათელია, რომელიც მაშინ იმერეთ-აფხაზეთის კათოლიკოსი ყოფილა. ხინოც მის სამწყსოში შედიოდა, რადგან დ. ბაქრაძისავე ცნობით, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა (ბაქრაძე, 1987:76-77).

ხინოს ხეობაში დღეს ორი მონასტერი მოქმედებს. ერთი სოფელ ხინოში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის, ხოლო მეორე კი სოფელ ცხემვანში//ცხემლოვანში, რომელიც წმიდა გიორგის სახელს ატარებს. ხინოს ეკლესიის სიმდიდრეზე ისიც მეტყვევებებს, რომ ეპისკოპოს იოანეს იქედან ოსმალების მოძალების გამო ეს სიწმიდეები გადაუტანია ჯუმათში, მათ შორის ოქროს ხატიც. გადმოცემის მიხედვით ეკლესიაში ყოფილა ოქროს აკვანიც (ქათამაძე, 1940:10). ხეობაში მრავლადაა ნაქართლი ადგილი, რაც ნასაყდრალ, ნაეკლესიარ ადგილს აღნიშნავს. აქ მრავლადაა შემორჩენილი მათი ნაშთები ნანგრევების სახით. ოსმალთა ბატონობისა და ისლამის მომძლავრების პერიოდში ხინოში ბევრი გადმოსახლებულა სამხრეთ საქართველოდან, სამცხე-საათაბაგოდან, რომლებსაც მრავალი სიწმიდე გადმოუტანიათ გადასამალავად. ამ გზით მოხდნენ ხინოს ხეობაში გვარები: დადიანები, ათაბაგები, გოგიტიძეები და ა.შ. აშკარაა, რომ სამხრეთში ეკლესიების მოშლის შემდეგ ხშირად იმავე სახელწოდების ახალ ტაძრებს აგებდნენ აჭარა-გურიაში იქედან ჩამობრძანებული ხატებისათვის. მაგალითად, შემოქმედში აიგო ზარზმის ეკლესია (ბაქრაძე, 1987:242), ასევე შუშანეთის (მაჭახლის ხეობა) წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია სოფელ ალაბარში (ქობულეთის რაიონი) და სხვ. ანალოგიური პრინციპით უნდა იყოს აგებული ცხემვანის//ცხემლოვანის ეკლესია ხინოს ხეობაში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ადრიდანვე უწოდებდა წმიდა გიორგის - ფოცოს თავის სახელს. როგორც ჩანს, სამხრეთიდან მოსულმა გოგიტიძეების გვარმაც ამიტომ შემოინახა მტკვრის ხეობის ქართული თემის ფოცოს//ფოსოს სახელიც. ცნობები ხეობის სხვა ტაძრების შესახებაც არის შემონახული. ასეთია ხინოში, კერძოდ სოფელ ქათამურში, დადიანების ეზოში ხუციგორაზე არსებული ტაძარი, სადაც გადმოცემის მიხედვით,

რომან ხუცესი მოღვაწეობდა. ხეობაში დღემდეა შემორჩენილი შუა საუკუნეების ძეგლი ელიას ციხე, რომელიც ზღვის დონიდან 1150 მეტრზე მდებარეობს. მთას, სადაც დგას ელიას ციხე, ადგილობრივნი მას წმიდა ელიას სახელს უკავშირებენ: „ელიას მთაო, მაღალო, წმინდა ელიას სახელ-კარო...“.


ხეობის ზემო წელი ცხემვანიდან დღეს კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს შეადგენს. მის შემადგენლობაში შედის 1959 წელს დაარსებული კინტრიშის ნაკრძალი და კინტრიშის დაცული ლანდშაფტი, რომელიც 2007 წელს დაარსდა. კინტრიშის ნაკრძალი მდებარეობს სოფელ ცხემვანსა და ხინოს შორის. კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომელიც სულ რაღაც ოციოდე კილომეტრზეა განლაგებული კურორტ ქობულეთიდან.


დღეს კინტრიშის ზემოწელის - ხინოს ხეობის ბუნებრივ-რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა მეტ ყურადღებას მოითხოვს. უნდა შეიქმნას ხეობების მიხედვით გზამკვლევები და სპეციალური რუკები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება ისტორიულ-კულტურული ძეგლები და ძირითადი მარშრუტები. ხინოს ხეობაში მოგზაურობის დროს ჩემს კოლეგებთან და სტუდენტებთან ერთად არაერთ პრობლემას ვაწყდებოდით, რადგან ხეობის ტოპონიმიკური რუკა არ გვქონდა. ასეთი რუკის შედგენა უნდა დაჩქარდეს. ამასთან დაკავშირებით შევეცადეთ მოგვემზადებინა შესაბამისი ჩანართი ქობულეთის მუნიციპალიტეტის რუკაზე, რომელზეც განთავსდება ხეობის ძირითადი ტოპონიმები (დამატება 2), რაც შემდგომ დახვეწას მოითხოვს. ამ საქმის წარმატებას დიდად შეუწყოფს ხელს ხეობის შესახებ უკვე არსებული ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული ხასიათის გამოკვლევები და კარგად მოფიქრებული აუდიო და ვიდეო დისკების მომზადება. მთავარი, რა თქმა უნდა, არის საზოგადოების დაინტერესება, რაც ხელს შეუწყოფს არა მარტო ხინოს ხეობის, არამედ მთლიანად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-კულტურული ფასეულობების ფიქსაციისა და მათი პოპულარიზაციის საქმეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის სახელმწიფო არქივი, ფ.რ-11, აღწ.1, საქ.9, ფურც.5.
2. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები. საქმე #19;#26.

3. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
4. მ.ბეჟია, 1960 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები. ბსკიფ.
5. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1997.
6. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ, 1941.
7. გ. თავაშიშვილი, ხინოწმინდა, ბათუმი, 2011.
8. ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975.
9. თ. კომასიძე, აღორძინებული ქობულეთი, ბათუმი, 1998.
10. თ. კუკულაძე, „ეპ“ სუფიქსიანი ტოპონიმები ქვემო აჭარაში. - აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. 10, ბათუმი, 2008.
11. ვლ. მგელაძე, 1960 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები. ბსკიფ (ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდი)
12. მიტროპოლიტი ანანია. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 2009.
13. ნ.ნიჟარაძე, ნ.ჯიბუტი, აჭარის ასსრ.-ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება. ბათუმი, 1957.
14. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა). ტ. 4, ბათუმი, 2011.
15. მ. ქამადაძე, აჭარის ტოპონიმებიდან (სასრევები, ღანგათი, ზვანი . . .). აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. 9, ბათუმი, 2007.
16. მ. ქამადაძე, გვარსახელებიდან მომდინარე ტოპონიმები აჭარაში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. 10, ბათ., 2008.
17. ქართლის ცხოვრება, ტ.4, თბილისი, 1973.
18. ქობულეთის რაიონის ისტორიული ძეგლები (მეგზური), ბათუმი, 1980.
19. ქსე, ტ.5 თბილისი, 1980.
20. ქსე, ტ.11, თბილისი, 1987.
21. ვ. შამილაძე, 1960 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები. ბსკიფ.
22. ნ.ჩელებაძე. სავლეთ ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები (1986-88; 1995-1996; 2001, 2011).
23. ნ. ჩიჯავაძე, 1960 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები. ბსკიფ.
24. ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამუსლიმება. თბ., 2008.
25. Карта Азиатской Турции и Персии. Кавказский календарь. Сост. 1917 г.
26. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D>





Naila Chelebadze

**Materials for the topographic map of Khino Gorge
(according to the historic-ethnographic data)**

Summary

The given work studies the geographical nomenclature based on the historical sources, field materials gathered in Khino Gorge and information, which have been reserved in different funds. The work will be the condition for making the topographic map of Khino Gorge. This will encourage not only the studying of historical past of the gorge, but also the development of tourism in this part. Khino Gorge has got an excellent tourist potential. The work studies the old and new names of Khino Gorge and its locality. the names of the villages and districts are enumerated and also differentiation principles are explained.

To study the Khino Gorge is due to pay more attention. It is necessary to study the routes, create the guides, brochures and the maps for the visitors.

თამილა ლომთათიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო პერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციალური
კვლევების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი*

ქეთი ფუტყარაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი*

მოზარდის საზოგადოებაში ინიციაციის ტრადიციები აჭარაში

ყოველი მოზარდის ცხოვრებაში დგება კრიტიკული მომენტი, როცა ის კარდინალურად იცვლება. ცვლილებები ხდება არა მხოლოდ მოზარდის ორგანიზმში და გარეგნობაში, არამედ მის ქცევაში, ხასიათში, გარემომცველ სამყაროზე მის რეაგირებაში, საზოგადოებასთან მის დამოკიდებულებაში, მის გრძნობებსა და სულიერ სამყაროში. ამ ცვლილებებს, რომელსაც ფსიქოლოგები გარდატეხის პერიოდის სირთულეებში აერთიანებენ, ბევრი პრობლემა ახლავს როგორც მოზარდისა და მისი მშობლების, ასევე, მთელი საზოგადოებისათვის. ამ სიძნელეების დასაძლევად ჩვენს წინაშეა შემუშავებული ჰქონდათ რიტუალები, რომლებიც მოზარდს უადვილებდა ამ ეტაპის გავლას, ხელს უწყობდა მის ჩამოყალიბებას სოციალურ სრულფასოვან წევრად, მის ოფიციალურ გადასვლას „უფროსების ცხოვრებაში“. სოციალური ჯგუფის შიგნით განვითარების ახალ საფეხურზე ინდივიდის გადასვლის ჩვეულებები სამეცნიერო ლიტერატურაში ინიციაციის სახელწოდებითაა ცნობილი.

ტერმინი ინიციაცია „საიდუმლოებათა შესრულებას“ ნიშნავს. პირველყოფილ საზოგადოებაში ეს იყო ჭაბუკების განდობის, დალოცვის ცერემონია, რის შემდეგაც ისინი ითვლებოდნენ დასრულებულ მამაკაცებად. XIX ს-ში ჯერ კიდევ მისდევდნენ ამ წეს-ჩვეულებას ამერიკელი ინდიელები, აფრიკელები და სხვ. ინიციაციის პერიოდს განვითარების ლიმიტალურ პერიოდსაც უწოდებენ. ტერმინისა და ცნების „ლიმიტალობის“ ავტორია ფრანგული პოზიტიური ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი არნოლდ ვან გენეპი. მის თანახმად, ადამიანთა ჯგუფისათვის, ისევე როგორც ცალკეული ინდივიდისათვის, ცხოვრება ნიშნავს განცაღკავებას და კვლავ გამთლიანებას, ფორმისა და კონდიციის ცვლილებას, სიკვდილსა და კვლავ დაბადებას. რის შემდეგაც პიროვნება უბრუნდება არსებულ გარემოს, მხოლოდ განსხვავებული სოციალური სტატუსით (Геннеп, 2002:31).

ვან გენების მიმდევარი, ინგლისური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ვიქტორ ტერნერი თავის ნაშრომში - „რიტუალის სიმბოლიკა და მისი კულტურული კონტექსტი - ნდემბუს ტომის მაგალითი“, რომელიც პიროვნების ინიციაციას ეხება, გამოყოფს ინიციაციის 3 ძირითად ეტაპს: 1. *სეპარატული* - განცალკევება; ამ ეტაპზე პიროვნება იშორებს „ბავშვურ“ თვისებებს; 2. *მარგინალური* - ზღვრული პერიოდი; ამ დროს მას არ გააჩნია სოციალური სტატუსი, იგი არაა აღარც ბავშვი და ჯერ კიდევ არ ეთქმის მოზრდილიც; 3. *აგრეგატული* - დაგროვება, გაერთიანება; ზღვრულ ეტაპზე ყოფნის დროს დაგროვებული გამოცდილებით იგი გადადის უკვე მოზარდობის ეტაპზე და ახალი სოციალური სტატუსით უერთდება დანარჩენ საზოგადოებას (Turner, 1964: 4-20). ინიციაციის სხვადასხვა რიტუალი ყველა საზოგადოებაში მოინახება, თუმცა მაქსიმალურ გამოხატულებას მსგავსი რიტუალები უფრო ტრადიციულ საზოგადოებაში აღწევენ. მართალია, ეს რიტუალები უძველესი დროიდან მოდის, მაგრამ ყველა შემდგომ რელიგიებსაც ახასიათებს.

ძირითადი მიზანი ინიციაციისა არის ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას მისი ფსიქიკის, სულიერი სამყაროსა თუ სხეულისთვის დახმარების გაწევა ახალ გარემოსთან შეგუებაში, ახალ ვითარებასთან ადაპტირებაში. ამგვარად, ინიციაციის უმთავრესი მიზანი ბავშვთა სოციალიზაცია, საზოგადოების სრულფასოვან წევრად გადაქცევაა.

ბავშვის აღზრდა რთული და კომპლექსური პროცესია, რაშიც უმნიშვნელოვანესი და უნიკალური როლი ეკისრება სოციუმს. ესაა სივრცე, რომელშიც გარკვეულ ქცევებს ეახორციელებთ, სადაც ხდება ადამიანის სოციალიზაცია ანუ შეგუება გარემოს მატერიალურ, მენტალურ, სოციალურ პირობებთან, სოციალური სუბიექტის ჩამოყალიბება. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ოჯახსაც, როგორც სოციალურ მიკროსტრუქტურას.

ქართველებმა საუკუნეთა მანძილზე შექმნეს ბავშვების სულიერი და ფიზიკური აღზრდის და სრულყოფის მეტად თავისებური და ორიგინალური სისტემა, რომელიც ხელს უწყობდა ბავშვის ინტეგრაციას საზოგადოებაში, მის ჩამოყალიბებას საზოგადოების სრულფასოვან წევრად. ამ მიზნით ქართულ ტრადიციულ საზოგადოებას შემუშავებული ქონდა ბავშვთა ინიციაციის ანუ ერთ სტატუსიდან მეორეში, ერთი სოციალური მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში გადასვლის წესები. ეს ჩვეულებები ბავშვის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს მოიცავს და უკავშირდება, ძირითადად, მისი ასაკობრივი განვითარების ეტაპებს: დაბადება, 40 დღე, პირველი კბილის ამოჭრა, ერთი წელი, 3 წელი, 6-7 წელი, 12-13 წელი, 14-15 წელი, 17-19 წელი, ხოლო შემდეგ იწყება უკვე „მოზრდილების“ ინიციაციის ეტაპები (ქორწინება, ახალ ოჯახში მისი ინიციაცია, კორპო-

რაციული ინიციატია და ა.შ.). ასეთივე ეტაპებად იყო წარმოდგენილი მოზარდის ინიციატიის პროცესი აჭარაშიც.

ბავშვის პირველი ინიციატია ოჯახში მისი დაბადებისთანავე ხდება. ბავშვი, ჩვეულებრივ, ბებიას - ებეს აყავდა და იმის მიხედვით, გოგონა იყო თუ ვაჟი, ტარდებოდა მისი „ჭიპის მიჭრის“ ცერემონიალი. ვაჟს ჭიპს რაიმე სამეურნეო ან სახელოსნო იარაღზე (თოხი, ბარი, გუთანა, გრდემლი ...) „მიაჭრიდნენ“, გოგონას კი ხერტალზე, ხელსაქმე ეყვარებაო. ოჯახსა და გვარში ბავშვის ინიციატიის ერთ-ერთი სახეა მისი დაბადების აღსანიშნავად რიტუალური კერძის მომზადება. ვაჟიანობის შემთხვევაში - ფლავს აკეთებდნენ, ხოლო გოგონას შემდენსას - ფაფას. მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში დატურდება ბავშვის დაბადების დროს რიტუალური კერძის დამზადების ჩვეულება. ასეთი კერძი, ძირითადად, რიტუალური პურების ან ტაფამწვარის სახითაა წარმოდგენილი. რუსეთში ამზადებდნენ სპეციალურ ფაფას - ე.წ. "бабки на каша"-ს ბებიასათვის, რომელსაც საზეიმო სუფრაზე ბოლოს შემოიტანდნენ და მთავრდებდნენ სტუმრებს. ეს საზოგადოებაში ბავშვის პირველი მიღება და ინიციატია იყო. ამავე დროს, ფაფის სემანტიკა თავის თავში მოიცავს სიუხვისა და სისავსის დაბედების სურვილს.

ინიციატია, ზოგადად, სიმბოლურ მოკვდინებასა და ხელახლა დაბადებას, ახალი სტატუსის ადამიანად აღდგენას გულისხმობს. აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ არ შემოინახა ბავშვთა ინიციატიის მსგავსი ფორმები, მაგრამ შემოინახა მოკვდინება-აღდგომის და ხელახლა დაბადების სიმულაციის ჩვეულება. აჭარაში ოჯახში ბავშვების ხშირი სიკვდილიანობის შემთხვევაში, როცა ახალშობილი გაჩნდებოდა, ბავშვს მიიყვანდნენ მრავალშვილიან ბედნიერ დედასთან. ქალი ბავშვს ფართო პერანგში ამოატარებდა - „უბეში ამოიდრენდა“ ხელახლა დაბადების ნიშნად (ნოღაიძე, 1979:38). ბავშვს სახელსაც ახალს მისცემდნენ. ან ახალშობილს აწონიდნენ და იმავე წონის თევზს მიწაში ჩაფლავდნენ. ეს იყო ახალშობილის სიცოცხლის ჩანცვლება, მისი სიმბოლური ინიციატია ახალ ოჯახში. ამის შემდეგ ითვლებოდა რომ ახალშობილი ხელახლა იშვა და ასეთი სიმბოლური „მოკვდინება-აღდგომის“ შემდეგ აღარანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა მის სიცოცხლეს.

ოჯახში ახალშობილის ინიციატიის შემდეგი ეტაპი იყო მეორმოცე დღე. ამ დღეს ხდებოდა ბავშვის ოჯახში აკვნის მიტანა მელოგინის მშობლების მიერ. მანამდე ახალშობილს ხოჭიჭში აწვენდნენ. მე-40 დღეს კი, აკვნის მიტანის დროს, იმართებოდა ძეობა (ძიობა). თუმცა აკვნის მიტანისა და ძიობის ერთდროულად გამართვა მოგვიანებითი მოვლენა უნდა იყოს, შინაარსობრივი მსგავსების გამო ერთ დღესასწაულში მოქცეული (ვარშალომიძე, 1987:85, ჩელებაძე, 2005:45). თავდაპირველად, ეს გვარში, ოჯახში ბავშვის ინიციატიის ორი განსხვავებული ეტაპი უნდა ყოფილიყო. აკვნის მიტანა დიდი ზეიმით იმართებოდა. მას, ძირითადად,

დედის ნათესავი ქალები ესწრებოდნენ, მაგრამ მასში აუცილებლად მონაწილეობდა მელოგინის ძმა ან ბიძა. აკვნის მიტანის//ძიობის დღესასწაულით, თითქოს დედის გვარი ოფიციალურად გადასცემდა ახალშობილს მამის გვარს, რომელიც ზემოთ იღებდა და აღიარებდა ახალწევრს.

ბავშვის სოციალური სტატუსის მოპოვებისათვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალ საქმიანობას, ამიტომაც სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ მის წინასწარ განსაზღვრას. ბავშვი ენას რომ ამოიდგამდა, დაანახევებდნენ სხვადასხვა საქონლის (თხის, ძროხის, ცხვრის) ბეწვს და სთხოვდნენ ამოერჩია. რის ბეწვსაც აირჩევს, იმის ბედი ექნება, ანუ იღბალი ექნება ძროხის ან ცხვრის ან თხის ყოლაშიო-იტყოდნენ (ბსკიეა, საქმე №168). ან დაუწყოებდნენ სხვადასხვა სამეურნეო იარაღს და თვლიდნენ, რომ რომელსაც არჩევდა, იმ საქმიანობას მოჰკიდებდა ხელს მომავალში. ცხოვრების გზის არჩევას არა მხოლოდ მკითხაობით ან ბავშვის მიერ რომელიმე ნივთის არჩევით განსაზღვრავდნენ, არამედ ე.წ. „პირველი დღის“ მაგიით. პირველად შეკრეჭილ თმას, მოჭრილ ფრჩხილს, პირველ კბილს სამჭედლოში, ყანაში, ახორში ან სხვა სამეურნეო ნაგებობის საძირკველში დამალავდნენ, რომ ამ საქმიანობისათვის მოეკიდებინა ხელი ბავშვს მომავალში. მოგვიანებით სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის ან სახელმწიფო დაწესებულების სარდაფში აგდებდნენ რომ წარმატებული კარიერა ჰქონოდა. თმების შეკრეჭა მთლიანად ან თავის რომელიმე ნაწილში რიტუალურ ხასიათს ატარებს სხვადასხვა რელიგიაში. ქრისტიანობაში ნათლობისას ხდება თმის კუთხულის შეკრეჭა. ესაა ახალ მდგომარეობაში, ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის სიმბოლო.

განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო ასაკობრივი ინიციაცია უფროსებთან დამოკიდებულებაში. პატარაობის ასაკში ბავშვის აღზრდა მთლიანად დედას ევალებოდა. ბავშვის ნაკლს უფრო დედას აბრალებდნენ. იგი იყო ვალდებული ყურადღება მიექცია ბავშვის აღზრდისათვის. შემდგომ პერიოდში განასხვავებდნენ ქალთა და ვაჟთა ინიციაციის მეთოდებს. დაახლოებით 6 წლიდან ბიჭის აღზრდა და ცხოვრებისათვის მომზადება უფრო მამას ევალებოდა. „ბიჭი ბაღანა უფრო მამის ზედამხედველობის ქვეშ იყო. 6-7 წლიდან მამა ასწავლიდა ცხენზე ჯდომას, თოფის სროლას და ნადირობას, საქონლის მომწყემსვას, შეშის დაჩეხვას და სხვ.“ (ბსკიეა, საქმე №168). გოგო კი უფრო დედის, ბებიას და მამიდა-ბიცოლების გავლენით იზრდებოდა. ბავშვების ადგილი სახლში – კერასთან, საქალებო ნაწილში, საბავშვო კუთხეში იყო. ასაკობრივ ცვლილებასა და ახალ მდგომარეობასთან ერთად თანდათან, ნელ-ნელა ხდებოდა ბავშვის გადანაცვლება საუფროსო ნაწილისაკენ.

ბავშვები, განურჩევლად ასაკისა, მშობლებს უჯერებდნენ. დედ-მამის ნებართვის გარეშე ბავშვი ვერაფერს გააკეთებდა. უფროს-უმცროსობის

ტრადიცია ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. ბავშვები რიდით ეპყრობოდნენ უფროსებს, განსაკუთრებით – სტუმარს. ბავშვი არ მივიდოდა იმ მაგიდასთან, რომელიც სტუმრისათვის იყო განკუთვნილი. იმ ოთახის კარებშიც არ შეიხედავდა, სადაც სტუმარი იმყოფებოდა. უფროსისათვის სიტყვის შებრუნება და მისი შეწინააღმდეგება მიუღებელი იყო, მისი ნათქვამი და დავალება უსიტყვოდ უნდა შესრულებულიყო. ბავშვს უფლება არ ჰქონდა უფროსების ლაპარაკში ჩარეულიყო ან უფროსების საუბარი მოესმინა, ყური მიეგდო. გადმოცემით: „ბიჭი ბაღანა სოფლის თავშეყრის ადგილზე თუ გაჩერდებოდა, უფროსი მამაკაცების ლაპარაკს შორიდან უსმენდა, ახლოს ვერ მივიდოდა. ასე იქცეოდა ბიჭი 16-17 წლამდე, სანამ არ დაეცდებოდა“ (ბსკიეა, საქმე №168). ანუ 16-17 წელი ითვლებოდა ახალ სოციალურ საფეხურზე – მამაკაცობაზე გადასვლის ზღვრულ ეტაპად. სწორედ ამ პერიოდში, სოფლის მამაკაცების თავშეყრის ადგილზე მათი პირველი მიწვევით, ხდებოდა მათი ინიციატია მოზრდილი მამაკაცების სამყაროში.

გოგონების ცხოვრებაში ასაკობრივი ინიციატიის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ცვლილება ტანსაცმლის ფერებსა ან ფორმაში. ქალიშვილობაში შესვლისას ახლებურად ჩაცმა გოგონას ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის ერთ-ერთ მაჩვენებელია. ასაკობრივი თავისებურება გამოიხატებოდა გოგონების კაბების თარგსა და ფერებში. გოგონებს უფრო მხიარული ფერების (წითელი, ყვითელი, მწვანე, ალისფერი), უხვი ორნამენტით შემკულ კაბებს აცმევდნენ, 4-5 წლის გოგონას საყურეს შეაბამდნენ (სამსონია, 2005:57), მაგრამ ყველაზე დიდი ცვლილება მის ჩაცმულობაში ფიზიოლოგიური მომწიფების შემდეგ ხდებოდა. ხალხური შეხედულებით, „გოგოს სიმწიფის“ ასაკად 13 წელი იყო მიჩნეული. სწორედ ამ პერიოდისა და ახურავდნენ მას ჩადრს, მაშინ, როცა შარიათის თანახმად, გოგონას 9 წლიდან უნდა ჰხურებოდა ჩადრი. ქორწინების ასაკად კი 17-20 წელი ითვლებოდა (ჩელებაძე, 2005:48) როგორც თ.სახოკია შენიშნავდა „12-13 წლის გოგონებიც კი იმალებოდნენ, იმათაც ცოდვად მიაჩნდათ სხვა სარწმუნოების, არა-მუსლიმანს სჩვენებოდნენ. ამ ხნის გოგონებსაც აქვთ პატარა ჩადრები, რომლის ქვეშიდან ჩუმ-ჩუმად გითვალთვალებენ“ (სახოკია, მოგზაურობანი, 1985:157).

სქესობრივი ნიშნით განსხვავდებოდა მოზარდების ინკორპორაცია სამეურნეო საქმიანობაში. ბიჭების ჩაბმას სამეურნეო საქმიანობაში მამა ხელმძღვანელობდა. ბიჭებს ბავშვობიდან აჩვენებდნენ საქონლის მწყემსვას, გადმოცემით, „ჯერ თხებს და ცხვრებს ვანდობდით, მერე ხბორებს, ბოლოს საქონელს. ზაფხულში მთაზე ბავშვებიც მიგვყავდა. გვეხმარებოდნენ საქონლის მომწყემსვაში. გვეხმარებოდნენ რძის პროდუქტების გასაღებაშიც“ (ბსკიეა, საქმე №168). ბიჭები მონაწილეობას იღებდნენ თოხნაშიც. შესაფერისი ზომის თოხებს დაატერინებდნენ და ამუშავებდნენ, მაგრამ მოზარდის ჩართვა სამიწათმოქმედო სამუშაოებში უფროსებთან

ერთად ოფიციალურად ხდებოდა ნადის დროს. ვაჟი რომ 16-17 წლის გახდებოდა, „ნადში დაპატიჟებდნენ“. ამას „მანიდში მიღებას“ ეძახდნენ. ამის შემდეგ მოზარდი გადადიოდა ახალ საფეხურზე – იგი გვარის, თემის მამაკაცთა საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ხდებოდა (ნოღაიდელი, აჭარული კილოს ლექსიკონი, პირადი არქივი). ვაჟები მომავლიანობის სიმბოლოდ იყვნენ აღქმული აჭარაში და შრომითი საქმიანობის დროს არაერთი სიმბოლური რიტუალი უკავშირდებოდა მათ. პირველი ხნულის გავლებისას ზოგან მოზარდი უძღვებოდა ხარს, მოსავლის აღებისას იწყებდა ოჯახის უფროსი მამაკაცი. იგი მოსავალს უთავაზებდა უმცროსს, დედ-მამიანს – „მომავლიანიაო“. ან კიდევ ყანის აღება ყველაზე უმცროსმა წევრმა უნდა დაამთავროს იმის ნიშნად, რომ მომავალში მანვე უნდა გააგრძელოს ეს საქმიანობა. როგორც ჩანს, უფროსის მიერ საქმიანობის დაწყება და უმცროსის მიერ მისი დამთავრება სიმბოლურად უნდა გამოხატავდეს ცხოვრების წრებრუნვის უწყვეტ ციკლს და ბიჭის, როგორც ოჯახის მომავლის, შთამომავლობის გამგრძელებლის ფუნქციას უნდა უკავშირდებოდეს. იგივე იდეა იკითხება პირველი ნაყოფის მოწყვეტის ჩვეულებაში. ყველა ახალშემოსული ხილის პირველი ნაყოფი მოზარდ ვაჟს უნდა მოეწყვიტა, რათა მსხმოიარობა მომავალშიც გაგრძელებულიყო (ლომთათიძე, 2014:142).

გოგონების საქმიანობაზე ოჯახის ქალები – ბებიები, დედა, ბიცოლა-მამიდები ზრუნავდნენ. გოგონები მონაწილეობდნენ რძის პროდუქტების გადამუშავებაში, ჭურჭლის დარეცხვაში, სახლისა და ეზო-კარის დასუფთავებაში. რესპოდენტი იგონებს: „13 წლიდან უფროსმა ბიცოლამ მითხრა, „ახლა შენც უნდა გეეჩვიო საქმესო“. მის შემდეგ მამიდებთან და ბიცოლებთან ერთად ვშრომობდი. დაეყავდით ხილის საკრეფად.

დედამ კეცის დადგმა მასწავლა. დასათესად მიყავდით” (ბსკიკა, საქმე №168). გოგონები ხშირად მემთევრადაც მიყავდათ. 5-6 წლიდან ხდებოდა მისი ინკორპორაცია ქსოვის პროცესში (ჩელებაძე, 2005:34). გადმოცემით: „ჩვენთან შრომის გარეშე არ იქნება. ვერ იარსებებ. 6-7 წლიდან ბავშვებს ვაჩვენებდით ქსოვას, კერვას, ქარგვას. გოგოს ჯერ მარტივი ქარგვიდან ვაწყებინებდით, მერე ვაჩვენებდით ორნამენტების კეთებას” (ბსკიკა, საქმე №168). ახალ საფეხურზე ასვლა მის სოციალურ სტატუსში, განსაკუთრებული წეს-ჩვეულებით აღინიშნებოდა: გოგონას თავზე დაადებდნენ თიხის კეცს ან ჭურჭლის ნატეხს და ზედ დააწვავდნენ მის მიერ მოქსოვილ პატარა ნატერს. ითვლებოდა, რომ ამის შემდეგ ის შეიფარებოდა რთვა-ქსოვას და სრულყოფილად დაეუფლებოდა ამ საქმეს (ნოღაიდელი, 2008:65).

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში კლასიკური ფორმით არ შემონახულა მოზარდის საზოგადოებაში ინიციაციის ყველა ფორმა და ეტაპი, არსებული მასალა ადასტურებს, რომ ინიციაციის ის ფორმები, რომელიც აქ გამოიყენებოდა, ემსახურებოდა მოზარდის ოჯახსა და გვარში სრულ-

ყოფილ ინტეგრაციას. ამ პროცესში ოჯახი, გვარი, სოფელი ერთობლივად ზრდის ახალ თაობას, ასწავლის პირდაპირ ან ირიბად (თავისი ქმედებით) ის რაც იქნება მომგებიანი მოზარდის მომავალი ცხოვრებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის ინტეგრაციას საზოგადოებაში და მის წარმატებას. ამ პროცესში ერთი თაობა თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სულიერ და პრაქტიკულ ცოდნას გადასცემს მეორეს და ამ ტრანსლაციის გზით ეხმარება მოზარდს უმტკივნეულოდ გაიაროს ინიციაციის ეტაპები და გადაყავს იგი ახალ სოციალურ სტატუსში. ამდენად, აჭარაში მოზარდის ინიციაცია საზოგადოებაში ორი გზით ხდებოდა: 1) მოზარდს ექმნება ტრადიციული საზოგადოების (გვარი, სოფელი, ოჯახი...) შესახებ ზოგადი მენტალური ხატი, რომელიც გადაიქცევა მუდმივ შინაგან მითითებად და ნიშნულად, რისი მიღწევისკენაც ესწრაფვის სოციალიზაციის ყველა ახალ საფეხურზე; 2) მოზარდები აცნობიერებენ ყველაფერს, რაც აიგივებთ მათ ამა თუ იმ ჯგუფთან და ცდილობენ ისე განავითარონ საკუთარ თვისებები, რომ ჩამოყალიბდნენ მის სრულფასოვან წევრად. ტრადიციული ინიციაციის ეს ბუნებრივი და ჰარმონიული პროცესი მოწმობს, რომ ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებანი უაღრესად რაციონალურია და დღესაც ფართოდ გამოსაყენებელი.

ლიტერატურა

1. ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ არქივი (ბსკიეა), საქმე №168, 1988.
2. ჯ.ვარშალომიძე, აკვანი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1987.
3. თ.ლომთათიძე, აგრარული კალენდარული წეს-ჩვეულებები აჭარაში, ბათუმი, 2014.
4. ნ.ნოლაიდელი, ქორწინების ლექსიკა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბ., 1979.
5. ნ.ნოლაიდელი, ფოლოკლორულ-ეთნოგრაფიული ცნობები ფეიქრობის შესახებ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, XIII, ბათუმი 2008.
6. ჯ.ნოლაიდელი, აჭარული კილოს ლექსიკონი, პირადი არქივი.
7. ი.სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.
8. თ.სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.
9. ნ.ჩელებაძე, ქალი და ოჯახი, თბ., 2005.
10. Turner, V.W., Betwixt and Between: The Liminal Period in Rites De Passage, The Proceedings of the American Ethnological Society Symposium on New Approaches to the Study of Religion, The University of Washington Press, 1964.

Обряды инициации подростка в Аджарии

Резюме

В жизни каждого ребенка наступает критический момент, когда он кардинально меняется. Перемены происходят не только в организме и внешнем облике, но и в поведении, реакциях на окружающих его людей, на общество, кардинально меняются действия, чувства и мысли. В основном, эти изменения происходят болезненно для детей, по этому наши предки превращали это в некий ритуал, который помогал подростку пройти данный этап, дать ему возможность официально вступить во взрослую жизнь. Обряд перехода индивидуума на новую ступень развития в рамках своей социальной группы, из одного статуса - в другой, называется инициацией. В культурах практически всех народов мира присутствует этот сложный обряд. И в быту Аджарии сохранились такие распространённые обряды инициации, как: ритуалы при рождении, 40-ой день, первый зуб, 1 год, пострижение волос, смена одежды, символические подарки и магические действия, предсказания, праздничный пир и т.д. Различались обряды не только по возрасту, но и для девочек и мальчиков. Эти обряды инициации готовили подростков для «взрослой жизни», развивали у них нужные навыки, помогали их психике, душе и даже телу подростка в более быстрой перестройке к "новой жизни".

ნანული ნოღაიდელი

*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი*

ქორწინებისა და ნათესაური სისტემის ეთნოლიზმისტური ასპექტები აჭარულში

ეთნოლინგვისტიკა ეთნოსისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულებით სწავლობს სოციალურ-კულტურულ გარემოს და გვეხმარება კულტურის ისტორიის კვლევაში. მისი სრულყოფილად შესწავლისათვის მნიშვნელოვანია დარგობრივი ლექსიკის მონაცემები, რადგანაც მათი შეკრებისას ხდება გამოწველილვითი მოძიება იმ ტერმინებისა თუ გამოთქმებისა, რომლებიც ამა თუ იმ დარგს მიეკუთვნება.

საზოგადოების კულტურის ისტორიის კვლევაში დიდი ადგილი უკავია ოჯახის, საქორწინო წეს-ჩვეულებებისა და ნათესაობის სისტემის შესწავლას. ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში მომხდარმა ეპოქალურმა ცვლილებებმა ბევრი რამ შეცვალა ამ სოციალურ-კულტურულ საკითხებთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებსა და ტერმინოლოგიაში. ახლანდელი ქორწინება რადიკალურად განსხვავდება ტრადიციული ქორწინებისაგან, რომელიც მეტ-ნაკლებად განსხვავებული წესებით სრულდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მხრივ საინტერესოა საქორწინო წეს-ჩვეულებები აჭარაში და მასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალა.

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების შესახებ აჭარაში მრავალფეროვანი ლიტერატურა (ჯ.ნოღაიდელი, მ.ბეჟია, ნ.მგელაძე, ნ.ჩელებაძე...) არსებობს, ამ სოციალური დარგის კვლევამ საშუალება მოგვცა, ბევრი ისეთი ლექსიკური ერთეული და გამოთქმა წარმოგვეჩინა, რომლებიც ამდიდრებენ, ამრავალფეროვნებენ უკვე მოძიებულ, შესწავლილ მასალას და საშუალებას გვაძლევენ უფრო ღრმად ჩავხედოთ მათ არსსა და მნიშვნელობას. ამჯერად წინ წამოვიწიეთ აჭარულ დიალექტში დაფიქსირებულ შესატყვისობათა და ტერმინთა ნაწილს, რომლებიც ხატოვნად გადმოგვცემენ საქორწინო ტრადიციებთან დაკავშირებულ ზოგიერთ წესსა თუ ჩვეულებას.

საცოლედ თუ სარძლედ ქალიშვილის შერჩევას, თავისად შეგულებას **“გოგონე თვალის დაკაფებას”** უწოდებდნენ აჭარაში. ქალის მოწონების შემთხვევაში ხდებოდა საქმეში შუამავლის ჩართვა, რომელიც აგვარებდა ორ ოჯახს შორის ქორწინების საკითხს. იგი მიდიოდა ქალიშვილის ოჯახში და ოჯახს აცნობდა “შემგულებელთა” სურვილს. საქმე ერთი მისვლით არ გადაწყდებოდა. თუ ოჯახს არ სურდა, ქალიშვილი

დასახელებულ პირზე გაეთხოვებინა, შუამავალს უარით ისტუმრებდა. შუამავალი არ ანებებდა თავს. რამდენიმე მისვლისა და უარით გასტუმრების შემდეგ, თუ კიდევ მივიდოდა შუამავალი, მას სუფრას აღარ გაუწეობდნენ. ზოგან კი, საბოლოოდ უარის ნიშნად, ოჯახის უფროსი **ჯოხს გატეხდა** და დადებდა სუფრაზე (შუახვეი). ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილების ნიშანი იყო. “ჯოხის გატეხვის შემდეგ, მურავი აღარ იკადრებდა მისვლასო” – აღნიშნავენ ინფორმატორები.

თუ საქმე მშვიდობიანად გადაწყდებოდა, ამბობდნენ: **“პირობა, სიტყვა გამოვიდა”** (ბექაია, 1974), **ამბავს თავი მუუთიკრეთ** (ქოულეთი), **საქმე მოეჭარითო** (ხელვაჩაური).

საქმის კეთილად დასრულების მოლოდინში მყოფ შუამავალს ზოგჯერ თან ჰქონდა ბეჭედი ან სხვა ნივთი და საბოლოო თანხმობის შემთხვევაში, **პირობის სიმაგრისათვის**, ბელგად, ბედ დაუტოვებდა ქალიშვილის მშობლებს. უმეტესად, სიტყვიერი პირობაც საკმარისი იყო.

საქმის გადაწყვეტის შემდეგ დანიშნავდნენ ნიშნობის და ბოხჩის (თურქ. bohça – მოკრულა, ფუთა). მიტანის დღეს. **ნიშან-ბოხჩა** საპატარძლოსათვის მისატანი აუცილებელი საჩუქრებია საქმროს ოჯახისგან.

დანიშნულ გოგონას, თუ ქორწილი დიდხანს ვერ გაიმართებოდა ან ასაკით იმდენად პატარა იყო, რომ ჯერ არ გაათხოვებდნენ, ნიშან-ბოხჩასთან ერთად მიუტანდნენ ისეთ ტანსაცმელს და სხვა პირად ნივთებს, რომელიც დანიშნულ ქალს უნდა ეტარებინა და გამოეყენებინა. ამას **საცვეთ ბოხჩას** უძახდნენ.

საინტერესოა ქართველთა უძველესი ეთნოგრაფიული ყოფისა და საპატარძლოს შერჩევის ამსახველი ერთ-ერთი მომენტის დამახასიათებელი გამოთქმები: **“მტრობაში მოყვრობის ჩამოგდება”** და **“სისხლში მიცემული ქალი”**. როცა ორ ოჯახს ან ორ გვარს შორის, რაიმე მიზეზით, მტრობა ჩამოვარდებოდა, გვარისა თუ ოჯახის უხუცესი წევრები ცდილობდნენ ისინი ერთმანეთთან მოერიგებინათ. მტრობისა და სისხლის ღვრის თავიდან აცილების ერთ-ერთი რეალური გზა დამოყვრება-დანათესავება იყო. გადაწყვეტდნენ: **“მტრობაში მოყვრობა ჩამოვადგათო”**. ამიტომ, ადრე უთანხმოებაში მყოფი ერთი ოჯახის ქალს მეორე ოჯახის, გვარის ვაჟზე გაათხოვებდნენ. ასეთი ქალი ორივე მხრისათვის პატივსაცემი პიროვნება ხდებოდა. მას **სისხლში მიცემულ ქალს** ეძახდნენ. იგი **სისხლს წმენდდა** ორივე გვარს, ორივე ოჯახს.

ქალს, რომელსაც ბევრი მთხოვნელი - **მაპირებელი** ყავდა, **სადაო ქალს** ეძახდნენ. ასეთ შემთხვევაში, ზოგჯერ, იცოდნენ ქალის თავიდან მანდილის, ლეჩაქის ძალით მოხდა, რაც **ლაჩაქის წაძრობის** სახელით იყო ცნობილი. ვინც მოახერხებდა და თავსაბურავს მოხდიდა, ქალიც იმის იყო, სხვა ვეღარ წაიყვანდა. ნიშნობის შემდეგ ოჯახები შეთანხმდებოდნენ ქორწილის გამართვის დროზე. ოჯახის ხელმოკლეობის ან რაიმე სხვა მიზეზით ზოგჯერ ქორწილი დიდხანს ვერ გაიმართებოდა. საყუ-

რადღებოა, რომ ამ შემთხვევაში, მაღლალმთიან აჭარაში, არსებობდა **ნომანლობის წესი** (ნოლაიდელი, 1977:12; ჩელებაძე, 2005:157). ვაჟს უფლება ჰქონდა ეგლო საცოლის ოჯახში და ურთიერთობა ჰქონოდა დანიშნულთან. ამ ურთიერთობის შედეგად ზოგჯერ ქორწილამდე იბადებოდა ბავშვი, რომელსაც **სახელას** ეძახდნენ. **სახელა** აჭარაში გაერცვლებული ერთ-ერთი საადრეო ჯიშის მსხალია, რომელიც ადრე გაზაფხულზე მოდის. აღნიშნული წესით, ქორწილამდე “ნაადრევად” დაბადებული ბავშვის სახელწოდებად ეს ტერმინიც გადატანითი მიშენელობით გამოიყენებოდა. სხვადასხვა გარემოებათა გამო, ქორწილს ზოგჯერ ვიწრო და სახელდახელო ხასიათი ჰქონდა. ასეთ ქორწილს **ტურაქორწილს** ეძახდნენ.

დასამოყვრებელი ოჯახები საქორწინოდ ყველა წესის დაცვით ემზადებოდნენ. უნდა გამართულიყო **წაყვანის** – ოჯახიდან ქალიშვილის გათხოვების ქორწილი და ვაჟის ოჯახში პატარძლის **მიყვანის** ქორწილი. თუმცა, XX ს-ის ბოლოდან ტრადიციულმა ქორწილმა ერთგვარად იცვალა სახე და ქალ-ვაჟის ოჯახები ცდილობენ ერთად გადაიხაონ ქორწილი, რამაც ბევრი საქორწინო წესი შეცვალა.

საპატარძლოს ოჯახში, ქორწილის დასასრულს, ნეფის ხელისმომკიდე, მდადე, მოითხოვდა დამკერვლების მოყვანას. დამკერვლები მდადის თხოვნით დაუკრავდნენ, იცეკვებდნენ. ბოლოს დავლის (დიდი დოლი) დამკერვლი დავლს მეფის დადეს (მდადე) დაუდებდა წინ სიტყვებით **“დავლზე ქამარი გამიწყდაო”**. ეს ქორწილის დასასრულის მაუწყებელი გამოთქმა იყო. დადე დავლის დამკერვლს დაასაჩუქრებდა და მაყრებს წასასწვლელად მოუხმობდა.

დედოფლის სახლიდან გამოყვანამდე პატარძლის ბებია, ძმა ან ბიძაშვილი იმ კარს ჩაკეტავდა, საიდანაც დედოფალი უნდა გამოეყვანათ. სამამათილოს ან ნეფის დადეს აქაც ფული უნდა გადაეხადა, რასაც **კარის დასამყრელოს/კარდასანმყრელოს/კარის დასამკეტოს/კაფინარჯს** (თურქ. kapi – კარი) უწოდებდნენ. საინტერესოა გამოთქმა **„გზას სიმღერა ვუთხარი“**. მაყრიონს დედოფალი რომ მშვიდობიანად და მხიარულად მიეყვანა ვაჟის ოჯახში, იტყოდნენ **„გზას სიმღერა ვუთხარიო“** და ხალისიანი სიმღერითა და ხმაურით გაყვებოდნენ ცხენზე ამხედრებულ დედოფალს. ნეფის სახლში მისვლამდე იმღერებდნენ “მეზავრულს”, “ხასანბეგურას”, “მაყრულს” და სხვ.

მოყვანის ქორწილშიც ტრადიციულად მრავალი წესი სრულდებდა, რასაც შემდგომში ახალშექმნილი ოჯახის მომავალი ბედნიერება და წინსვლა უნდა “უზრუნველყო”. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოჯახში ახალფეხშედგმული პატარძლის მიერ შესასრულებელი წესები, რომელთა მეშვეობითაც, ხალხის აზრით, რძალი ადვილად შეეწყობოდა ოჯახს და შეძლებდა საქმიანობას. ზოგიერთი წესის შესრულებისას გამოიყენებოდა გამოთქმები: **კერიაზე ფეხის მოსმა, საცეცხლურის ჯაჭვზე ხელის**

მოკიდება, კეციდან მჭადის აყრა, ოჯახის (ბუხარი) კიდზე პურის ცომის მიცხება ან თაფლში თითის ჩადება და კერიაზე მოსმა, რძლის “ხელთაფლიანობის” მიზნით და სხვ. რასაკვირველია, ყველა ამ გამოთქმასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებას უფრო ღრმა ფესვები და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მოყვანის ქორწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო დედოფლის მაყრების მიერ *სუფრის დაკავება*. სუფრასთან მსხდომი დედოფლის მაყრები დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. შეეძლოთ ახალ-ახალი, ძნელად საშოვი ან მოსამზადებელი კერძი ან სხვა რამ მოეთხოვათ. სანამ მოთხოვნას არ შეასრულებდნენ, მაყრები სუფრიდან არ ადგებდნენ. ამ წესს *სუფრის დაკავება*ს ეძახდნენ. სუფრა კი რამდენიმე იდგა. მოწვეული სტუმრები რიგ-რიგობით უნდა დამსხდარიყვნენ. ჩვეულებრივ, ერთ რომელიმე სუფრას “იკავებდნენ”, ხოლმე, როცა მოთხოვნა შესრულდებოდა, მაყრებიც სუფრიდან ადგებოდნენ. *“დაკავებული სუფრის”* გათავისუფლებას *“სუფრის ჩუქებას”* უწოდებდნენ.

წესად მიღებული ღროის შემდეგ, დედოფლის მაყრები უნდა წასულიყვნენ. ზედმეტი ხნით გაჩერება სირცხვილი იყო. ამიტომ არსებობდა გამოთქმა *“სული გაუვიდა მაყარსო”*, ანუ დიდხანს გაჩერებით ცუდი, არასასიამოვნო სუნი აქვთ და დროა, წავიდნენო!

საქორწინო ცერემონიალისას ერთ-ერთი არასასურველი მომენტის აღმნიშვნელი გამოთქმაა *“თოფი გადაგვაწვა მაყარმაო”*. როცა რაიმეთი უკმაყოფილო, გულნაკლული დედოფლის მაყრები წასვლისას სროლას ატეხდნენ, მასპინძლები იტყოდნენ *“თოფი გადაგვაწვა მაყარმაო”* და ეს მასპინძელთა სირცხვილი იყო, რადგან იმის ნიშანი იყო, რომ სტუმრებს არასათანადო მასპინძლობა გაუწიეს.

აჭარულ დიალექტში, ქორწინების ლექსიკის მსგავსად, ნათესაობის სისტემის ტერმინოლოგიის კვლევამაც ბევრი საინტერესო ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა.

ქართულ ყოფაში დედისა და მამის ხაზით ახლობლობა აღინიშნება საერთო სახელით *ნათესავი*. აჭარულში მის გვერდით დასტურდება სიტყვები *ახლოკვიდრი* და *კვიდროული*, რომლებიც ძალიან ახლო ნათესავებს: დაძმებს, ბიძებს, ბიძაშვილებს და სხვ. აღნიშნავს. *ახლოკვიდრი* კომპოზიციური სახელია (ახლო+კვიდრი). მისი ძირითადი ნაწილი - *მკვიდრი* ძველ ქართულში (აბულაძე, 1973) დანიადაგებულს, ადგილობრივს, მუდმივ მცხოვრებს აღნიშნავს. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მიონაცემებით *მკვიდრი* უახლოესი, ღვიძლი ნათესავია (ქველ). აჭარულ დიალექტში სემანტიკით ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინებია *კვიდრი (მკვიდრი)* და *ახლოკვიდრი*. სისხლით ნათესავი ყველა *კვიდრია*, მაგრამ პირდაპირი ხაზით ნათესავები (ძმა, ბიძა, ბიძაშვილი და სხვ.) *ახლოკვიდრებად* იწოდებიან და ეთნოგრაფიული მონაცემებით, მათ ნათესაობაში მეტი უფლებები აქვთ და მოვალეობაც მეტი აკისრი-

ათ. ასევეა *კვიდროული*. იგი მიღებულია *მკვიდრ ფუძეზე – ეულ სუფიქსის* დართვით. *მკვიდრ+ეული(კვიდრ+ეული(კვიდროული*. ზემოაჭარულში (ხულო, შუახევი) *ახლოკვიდრის* სინონიმად აქტიურ ხმარებაშია ტერმინი *მისვარესი (მისი უარესი)*. აჭარულში, ამ შემთხვევაში, *ვარესი (უარესი)*, სალიტერატურო ქართულისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, კარგს, უკეთესს აღნიშნავს. იგი მიღებულია ძველქართული სიტყვისაგან *უაღრესი – უკეთესი (უაღრესი(უარესი(ვარესი)*: „ვერ გამოვარჩევ მათ შორის უაღრესსა, გინა უაღრესსა” (ი.აბულაძე, 1975)

როგორც ვხედავთ, აჭარულ დიალექტში დაფიქსირებული ტერმინი *მისიუარესი, მისვარესი* ნათესაობის სიტემის ერთ-ერთი საფეხურის კუთვნილებაა.

სისხლისმიერი ნათესაობის, მკვიდრობის ერ-ერთი ხაზის აღმნიშვნელი ტერმინია *მემკვიდრე*. ამ ტერმინთან ერთად, აჭარულში გვაქვს სიტყვები: *ნატამალი* და *სინსილა, შვილი*. *ნატამალი* მემკვიდრის, შთამომავლის, სემანტიკით გამოიყენება, *ნატამალობა, ნატამლობა* კი, საერთოდ, შთამომავლობას აღნიშნავს (შდრ. საბა, ნატამალი – მიდამო, გინა ნაოხარი; ქეგლ, ნატამალი – მცირე ნაკვალევი, ნასახი).

აჭარულ ყოფაში *შვილის, მემკვიდრის* სემანტიკა ადრე მკვეთრად იყო დიფერენცირებული: *შვილს* ვაჟის გაგება ჰქონდა, ქალიშვილი კი *გოგოშვილი* იყო. არსებობს გამოთქმაც: “შვილი ოჯახის ღირვია (თურქ. direk – ბოძი, ბურჯი), გოგოშვილი – სხვისი ნაცარი”. თუ ოჯახს გოგონებთან ერთად, მხოლოდ ერთი ვაჟი ჰყავდა, ან, საერთოდ, ერთი ვაჟის მეტი შვილი არ ჰყავდა, ამბობდნენ: “სინსილა (*სიმსილა*) შვილი მყავსო”.

ქართულ ენაში *სინსილა* ფრინველის ან ქვეწარმავლის ახალგამოჩენილი მართვე, ბარტყი ან წიწილაა; ასევე იხმარება იგი მოდგმის, ჯიშის, ნაშიერის მნიშვნელობით. თუმცა, აქტიურ მეტყველებაში იგი უფრო წყველის ფორმულებში გვხვდება (მაგ., ამოგწყვიტა გამჩენმა, შენი სინსილა მეისპო!). აჭარულ დიალექტში *სინსილა, სიმსილა* ოჯახში ან გვარში ვაჟის, მემკვიდრის, მოდგმის გამგრძელებლის ერთადერთობაზე მიუთითებს (“სინსილა რომაა, იმასაც ერთის მეტს არ მისცემს ღმერთი”).

ახალშექმნილ ოჯახში შვილების შეძენას, ოჯახის გამრავლებას *განეზვებას* ეძახიან. *განეზვება* მიღებულია სიტყვისაგან *ნეზვი*, რაც საბას განმარტებით, დედალ თხას ნიშნავს, მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს განმარტება, რომ ეს სიტყვა ძველად, საერთოდ, დედალ საქონელს აღნიშნავდა (შდრ.ქეგლ). აჭარულ დიალექტში *განეზვება*, როგორც ოჯახის გამრავლებაზე, ასევე, კარგი ჯიშის საქონლის მოშენებაზეც მიუთითებს („მაი იმფერი ძროხაა, გამეინეზვრო უნდა”). სიტყვაში *ნეზვი* გამოყოფენ *ზე-* ძირს, რაც *ზო-, ზუ-* ძირთან ერთად, საერთოქართველურ ძირადაა მიჩნეული (ჩიქობავა, 1938:24) და პირუტყვის მიერ ნაშიერის შობას, მოგებას აღნიშნავს. *ნე-* საერთოქართველურისათვის აღდგენილი მიმღეობის

მაწარმოებელი პრეფიქსია (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990:238), **ზუ-** კი საერთოქართველური ძირი, რომელიც წარმოდგენილია ინდოევროპული ენების ყველა დიალექტში (Гамкрелидзе, Иванов, 1990:593) და უკავშირდება სიტყვებს *ნეზვი* (დედალი ღორი) და *იზვობს* (შობს, იგებს).

ნათესაობის სისტემაში მისი ყველა წარმომადგენელი შესაბამისი სახელთ მოიხსენიებოდა: მამა – *ბაბი ან ბაბოი* იყო, დედა – *ანე, ანე ან ნენე*, ბებია – *დიდანა, დიდნენე ან ფაშა*; პაპა – *დედე*; მამის ძმა – *ემიაა*, დედის ძმა – *ტაია*, დეიდა – *ხალა*, მამიდა – *ბიბი, ბიბილა* და ა.შ.

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესოა, რომ აჭარულის ნათესაობის სისტემაში გამოყენებულ ტერმინთა შორის უმეტესობა აღმოსავლური წარმოშობისაა. თუმცა, ხშირად, მათ პარალელურად გამოიყენებოდა ზოგადქართული თუ კილოსათვის დამახასიათებელი ტერმინები: *ნენე, ბაბუა, დეიდა, მამიდა* და სხვ. შეთვისებულ ლექსიკურ ერთეულთაგან გვინდა გამოვყოთ მამიდის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც აჭარულ დიალექტში გამოიყენება ფორმით **ბიბილა**. თურქული ენის მეშვეობით აჭარულში დამკვიდრებულ *ბიბი-ს* ქართული ენის გავლენით ცვლილება განუცდია, დედილოსა და მამილოს მსგავსად, **-ილ** მაწარმოებლის დართვით გაფორმებულა (-ა კნინობითი – საალერსო აფიქსია) და მივიღეთ ტერმინი ბიბილა (ნოღაიდელი, 1981:44).

ანას, ანნესა თუ ანოსთან ერთად აჭარულში დედას უწოდებენ *ნენეს* (უმეტესად ქვემო აჭარაში). ზემოაჭარულში კი *ნენი* ბებიას აღნიშნავს. ქართველურ ენათა მონაცემებით, სახელი *ნენე*, გურულ *ნენასთან* ერთად, **ნანას** სახესხვაობაა (ჩიქობავა, 1938:17) და ზანურიდანაა შეთვისებული, თუმცა ქართულში სიტყვა **ნანა** საერთოდ დედის მნიშვნელობით უნდა გვქონოდა (შდრ. ჩუხუა, 2003). ამას ადასტურებს სააკვნო სიმღერის სახელწოდება – “ნანა”.

სახელი *ნანა* მითოლოგიურ სამყაროს უკავშირდება. ნანა ქალღმერთია, ბუნების ფრიგიული ღვთაების დედაა (მითოლოგიური ლექსიკონი, 1972:209); შუამდინარულ მითოლოგიაში **ნან** ძირი ჩანს ბევრი ქალღმერთის სახელში: *აშნანი, ნანშე, გეშთინანაჰ(კიკნაძე, 1979)*, ხოლო შუმერთა სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი *ინანა (ნანა)* იშთარის (ასურულ-ბაბილონურ მითოლოგიაში მთავარი ქალღვთაების) სახესხვაობას წარმოადგენს (“თამუზის სიზმარი”, 1969:148).

რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულს **ბაბა** (მამა), მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს თურქულ ენაშიც, მიჩნეულია, რომ შესაძლოა, არ იყოს ნასესხები თურქულიდან, რადგანაც დასტურდება სვანურში, მეგრულ-ჭანურში და ქართული ენის გურულ და აჭარულ დიალექტებში. ქართული ენის დასავლური ზონის დიალექტებში გამოყენებული ტერმინი *ბაბუც* ამ სიტყვის მეორეულ ვარიანტად მიაჩნიათ. მსგავსი ძირები განსხვავებულ ოჯახთა სხვა ენებშიც მეორდება (ჩიქობავა, 1938:16; Климов, 1964:47).

ნათესაობის სისტემაში განასხვავებენ პირდაპირი ხაზით ნათესაობას და ხელოვნურ დანათესავებას. ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთ გზას წარმოადგენდა **“ერთძუძუნაჭამობა”**, რომელსაც ახლა ძალიან იშვიათად მიმართავენ. უწინ ეს წესი სხვადასხვა ვითარებაში ხშირად გამოიყენებოდა. მაგ., ახალდაბადებული ბავშვის დედის ავადმყოფობის, გარდაცვალების ან რძის უქონლობის გამო, ბავშვს სხვა დედის ძუძუს აწოვებდნენ. ასე დანათესავდებოდა ორი ოჯახი და ამ ოჯახების ბავშვები ერთმანეთის დაძმებად ითვლებოდნენ. მათ შთამომავალთა შორის შვიდ თაობაში არ შეიძლებოდა დაქორწინება (ბექაია, 1964:217). ძუძუთი დანათესავება შეიძლება მომხდარიყო ოჯახებსა თუ გვარებს შორის შუღლის მოსასპობადაც. თუ მკვლელობა იყო მომხდარი, სისხლისღვრის თავიდან ასაცილებად, შესაძლო იყო, დედის თანხმობით, “ეშვილებინათ” ის პირი, ვისზეც “სისხლი უნდა აეღოთ” (ნოღაიდელი, პირადი არქივი, “გედევანიშვილების საქმე”).

თუ ქალს შვილები უნდებოდა, მაგრამ „არ რჩებოდა“, უკედებოდა, ამ შემთხვევაში, ბავშვი რომ გაზრდილიყო, შემდეგ წესს ასრულებდნენ: ახალდაბადებულ ბავშვს სხვა, ბევრი შვილის გამზრდელ დედას **“უბეში ამოუბერენდნენ”**: “ერთადლიანი (ქორწინებაში ერთხელ მყოფი) ბაღანადუ-უკლებელი ქალი იქნებოდა. ამეიდრენდა უბეში, ვითომ მის სახელზე გაიზრდებოდა. დედამისი გაზრდიდა მერე (ნოღაიდელი, 1981:38). შეიძლებოდა ასეთი ბავშვი გარკვეული დროის მანძილზე “მეშვილებინათ” კიდევ სხვისთვის. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, საკუთარ ოჯახში დაბრუნებისას, ბავშვის გამზრდელი დედობილად ითვლებოდა და ოჯახებსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

ხელოვნური დანათესავების რიგში ოჯახში შემოსული რძლისთვის უპირველესი არიან მეუღლის დედ-მამა – **დედამთილი** და **მამამთილი**. ენათმეცნიერებაში ეს კომპოზიტიური სიტყვები უძველესი წარმოების ტერმინებადაა მიჩნეული (ჩიქობავა, 1938:148), თუმცა მათი შემადგენელი სახელი **მთილი** ბუნდოვანი წარმოშობის სიტყვად მიაჩნიათ (Климов, 1964:126) და აღნიშნავენ, რომ **მთილი**, ქართულში, ისევე, როგორც მისი შესატყვისი **ნთილი** მეგრულში დამოუკიდებლად არ იხმარებოდა. თუმცა, ლაზურში დამოუკიდებლად გამოყენებული ტერმინი **მთირი** (მთილის კანონზომიერი შესატყვისი) – მამამთილი (თანდილავა, 2013), მოწმობს, რომ ეს ფუძე ქართველურ ენებში დამოუკიდებლად იხმარებოდა და მას უფრო ზოგადი სემანტიკაც ჰქონდა, ხოლო მასზე კომპოზიტთა პირველი ნაწილის (დედა, მამა) დართვა, ამ ზოგად მნიშვნელობას აკონკრეტებს. ამ მოსაზრების განმტკიცებას ხელს უწყობს აჭარულ დიალექტში არსებული ტერმინები: მტილი – ნერგი, ჩითილი (შდრ. აბულაძე, საბა, ქეგლ, მტილი – ბოსტანი) და სამტავრო, რაც ბუღას, სანაშენო ხარს აღნიშნავს. აგებული მისხედვით ამ სიტყვებში გამოიყოფა **მტ-** ძირი (სა-მტ-ა(ვ)რ-ო; მტ-ილი). ძირი **მტ-** ფონეტიკური სახესხვაობებით გამოყენებუ-

ლია სხვა ქართველურ ენებშიც: ჭან. ო-ნტულ-ე – ბოსტანი; მეგრ. ო-რტ-ი-ლი; ო-რტ-ვინ-ი – ბოსტანი; სვან., ლე-რტ-ამ – მწვანილი (ჩიქობავა, 1938:147; Климов, 1964:126). *მტილ-, რტილ-, ნტულ-, რტამ-* ერთსა და იმავე ფუძედაა აღიარებული, სადაც განსხვავებას ქმნის თავიკიდური მ, ნ, რ-ს მონაცვლეობა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ ენაში. ამ სიტყვათა ურთიერთობა გარკვეული აქვს იფ.ჯავახიშვილსაც (ჯავახიშვილი, 1934:98-100).

სიტყვა *ნუსა* აჭარულში ცალკე ერთეულად არ დასტურდება, *ნუსადია* კი დღემდე აქტიურად გამოიყენებოდა ქობულეთის რეგიონის მკვიდრთა მეტყველებაში. იგი საბასთანაცაა დაფიქსირებული. *ნუსა* მეგრულსა და ლაზურში *ნისა*, *ნოსა* ფორმებითაც იხმარება. იგი ამავე მნიშვნელობით, ცნობილია ჩრდილო კავკასიურ ენებშიც (Hataev, 2010:503). ტერმინი *ნუსა* დასტურდება, ასევე, ბერძნულ, ლათინურ და სომხურ ენებშიც. მიაჩნიათ, რომ იგი ამ ენებში ინდოევროპული ენების მეშვეობითაა დამკვიდრებული, თუმცა აჭარულ დიალექტში *ნუსადია* ზანური სუბსტრატის ნიშნულია.

როგორც ვხედავთ, საქორწინო წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული და ნათესაობის სისტემის ამსახველი მრავალფეროვანი მასალიდან აქ გამოტანილი ზოგიერთი ტერმინი და შესიტყვება სრულყოფილებას მატებს ქორწინებისა და ნათესაობის შესახებ არსებულ ეთნოლოგიურ მონაცემებს და ხატოვნად აღწერს ზოგიერთ ჩვეულებას, ხსნის ტერმინების მნიშვნელობას და საშუალებას გვაძლევს, უფრო საფუძვლიანად შევისწავლოთ ძველი თუ ახალი საქორწინო წეს-ჩვეულებები თუ ნათესაობის სისტემა აჭარაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იაბუღაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
2. მბეჭია, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974
3. თამუზის სიზმარი, ზ.კიკნაძის თარგმანი, თბ. 1969
4. ათანდილავა, ლაზური ლექსიკონი, ბათუმი, 2013
5. ზ.კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979
6. ნ.მგელაძე, აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004
7. მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1970
8. ნ.ნოლაიდელი, ქორწინების ლექსიკა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბ., 1979
9. ნ.ნოლაიდელი, ნათესაურ ურთიერთობათა რამდენიმე ტერმინი აჭარულში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ბათუმი, 1999
10. ნ.ნოლაიდელი, ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013

11. ჯ.ნოლაიდელი, „გედევანიშვილების საქმე“, პირადი არქივი
12. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928
13. ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990
14. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ. 1950-64
15. ნ.ჩელებაძე, ქალი და ოჯახი, თბ., 2005
16. არნ.ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართულის შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938
17. მ.ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2003
18. ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ., 1930
19. Гамкрелидзе Т., Иванов В., Индоевропейский язык и Индоевропейцы, I-II, Тб., 1984
20. Климов Г., Сравнительный словарь картвельских языков, М., 1964
21. Натаев С., Термины родства Чеченцев. Этнические параллели, Тб., 2010

ნანული ნოგაიდელი

Этнолингвистические аспекты свадебных обрядов и системы родства в Аджарии

Резюме

Для исследования истории культуры общества (этноса) особенное значение имеет изучение свадебных обрядов и системы родства. Лингвистический анализ лексики этих социальных отраслей в Аджарском диалекте выявило много особо характерных и интересных для этнологии лексических единиц, напр.: *საყვითელი ბოხა*, *სადაო კალი*, *ლაცხის მოხდა*, *აქლოკვიდრი*, *ნატამალი*, *განეზვრება* и др.

წმინდა ადგილებთან დაკავშირებული თქმულებები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტიზმში

საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ფორმაციებს ხალხის ცნობიერებაში სერიოზული ცვლილებები მოაქვს. მას, ნაწილობრივ, განსაზღვრავს ომი, მიგრაცია, რელიგიის ჩანაცვლება, სხვა აღმსარებლობითი რწმენა, რასაც ადამიანები იძულებით, ხან ნებაყოფილებით აკეთებდნენ. ყოველივე ამას მოჰყვა გეოგრაფიულ სახელთა ან დვთაებებისა და წმინდანების ფუნქციების აღრევა. როგორც ზ. თანდილავა აღნიშნავს, “დვთაება წმინდანთა ფუნქციების შეკვეცა-გაფართოება, მათი ურთიერთშენაცვლება თუ შერწყმა, რელიგიურ სისტემებსა და მითოლოგიაში ფართოდ დასტურდება (თანდილავა 1996: 54).

ე. თაყაიშვილის აზრით, „რელიგიურ იდეოლოგიურ გარდაქმნის პერიოდში ძველი სარწმუნოება ახალს ერევა, ძველი ღმერთების ფუნქციები ახალ ღმერთებზე ან წმინდანებზე გადმოდის, მაგრამ ძველი მოძღვრება და წარმოდგენა არსებითად უცვლელი რჩება (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №757, გვ. 1).

ხულოს რაიონის, აღმის მთაზე არსებობული ტოპონიმის ისტორია წმინდა მხედრის უძველესს გადმოცემას უკავშირდება. შემონახულ თქმულებაში, წმინდა მხედრის სამყოფი ადგილი მაღალი მთაა, „იალაღი“. მხედარი მათრახით ამარცხებს მტერს და იცავს ხალხს. მოსახლეობა წმინდა ადგილს „ფეილამბრის ფეხს“ // „ფეილამბრის ქვას“ – უწოდებს. მორწმუნეები, ამ ადგილს წლების განმავლობაში მიაგებენ პატივს და დღესაც ადიან. ააქეთ შესაწირი- პური, საჭმელი, ხილი და სხვა. სანოვაგეს ადგილზევე მიირთმევენ, ხშირად სხვებსაც უმასპინძლებიან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ ქვაზე ნატყფალს წმინდანის ნატყფალს“ სასწაულმოქმედ ძალას მიაწერენ. წმინდა ქვაზე იძინებენ, სურვილებს ჩაუთქვამენ. თუ ნატყფურში წყალია იმით პირ-სახეს ჩამოიბანენ – „მას კურნებადი ძალა გააჩნიაო“ და მერე უკან ბრუნდებიან. მთქმელები ამ ქვასთან დაკავშირებით შემდეგ გადმოცემას მოგვითხრობენ: “ხალხის გასანადგურებლად მოსულ დევებსა და ვეშაპებს ამ მთაზე ჩამოუსწრო ფეილამბერმა და ისინი მათრახით შუაზე გააპო, დაამარცხა და ლოდებად აქცია. „ფეილამბრის ნატყფალის“ ქვემოთ მიწაში ჩაზრდილი ლოდები, სწორედ დამარცხებული დევები და ვეშაპებია (მთქმელი: ჯაყელი/მელაძე, კახაძე, პირადი არქივი, 2008 წ.).

წმინდა ადგილის გვერდით არის მოზრდილი ქვა, რაზეც ადამიანის დიდი ნაფეხურია//„ფეილამბრის ნატერფალია“. ხალხის წარმოდგენით, ეს ადგილი წმინდაა, „ზიარეთია“, – ვინაიდან აქ „ფეილამბრის ფეხდანადგამია“ და მას პატივითა და მოწიწებით ეპყრობიან. რაც შეეხება კითხვას თუ რომელი „ფეილამბრის ფეხის ნატერფალია“? პასუხობენ: „ღმერთ//გამწენელის მოციქული“. რა თქმა უნდა, ძნელი გასარკვევია, თუ რომელ წმინდანს გულისხმობს მთქმელი. სავარაუდოდ, წმინდა გიორგი თუ მოისაზრება.

ანალოგიური წეს-ჩვეულებები ვლინდება ტაო-კლარჯეთის, „ჩვენებურთა“ ზეპირსიტყვიერებაში. სხვადასხვა რელიგიური ნაკადის კონტამინაციის შესანიშნავი მაგალითია ტოპონიმური გადმოცემები ე. წ. „ზიარეთობის“ („წმინდა ადგილების“) მონახულების შესახებ.

თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ძიყარეტგან – სალოცავები, სალოცავი ადგილია (თურქულ-ქართული ლექსიკონი 2001: 1530).

თურქეთის საქართველოში ტრადიციებზე არა ერთ მკვლევარს (ნ. მარს, ე. თაყაიშვილს, მ. ბერიძეს, რ. გუჯეჯიანსა და სხვა). გაუმახვილებია ყურადღება. მ. ბერიძისა და რ. გუჯეჯიანის დაკვირვებით, „ტრადიციული ქართული მენტალობის უმთავრესი ელემენტები, მათ შორის ქრისტიანული მოტივებიც, ხშირად შენიღბული, მაგრამ მაინც შემონახული და თუნდაც გაუცნობიერებელ დონეზე არსებული, აღწერილია XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევარ-მოგზაურთა ნაშრომებში ტრადიციულ ქართულ კულტურასთანაა დაკავშირებული. ყოფაში ფიქსირებულია „ზიარეთობის“ ტრადიციაც (მ. ბერიძე, რ. გუჯეჯიანი 2010: 176).

„ზიარეთობის“ ტრადიციასა და მისი სახელის ეტიმოლოგიას ეხება ნიკო მარი: „თეთრაქედელები//თეთრაკეთელები, ცხადია, მუსლიმები, მიჟვებოდნენ, თუ როგორ დადიოდნენ სალოცავად (ზიარეთი) ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც ახლა ნანგრევებადაა ქცეული: ზიარეთში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავევობთ და ამევიღებთ, წავიდებთ, ზიარეთათ ფორტას წავალთ და მერის, აჭარას. ფორტის ზემოთ არის ჩვენი „ზიარეთი“, ერთ საათს გოუწევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულაი მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი. ზიარეთში დაწვებიან. სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალი, და ფული აჩუქეო, შინ დაკალიო, და აქ დაკალიო, რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავს. ყოჩი (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, ხარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვა ჩიტი არ გაგვიგონია (მარი: 1911: 79).

თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა, ნიკო მარს „ზიარეთში“ სიარულის მიზეზიც აუხსნეს: „ზიარეთში მიდიან ფორთას, ჭკუა რომენ დაკარგული ექნება, შვილი არ ეყოლის, კარი არა აქ, შვეა შიგ კაცი და ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო, ოქრო ვერცხლი არ იქნება. მარტო პერან-

გი და ნიფხავი (ფიშტონი), რომ აანთებს. სამ, შვიდ. ხუთ, ცხრას. ჩემი დერდი რაცხა არიო. ვნახო სიზმარიო. და დაწვება. თუ არ ნახა სიზმარი, არ მოუხდა. თუ ნახა, თვალს დააბანიებს სიზმარში (მოუტანს რაცხას, ისე ეჩვენება) ასვამს და ეტყვის ყურბანიო (ქართ. ყურბანდო) სანთლებს ქვაზე აკრავენ. ღოცველები იქ რჩებიან 1-3 დღე, შორიდან მოსულები უფრო ხანგრძლივი დროითაც. საზიარეთოდ მიემართებიან მაისსა და ივნისში, მიდიან ფეხით (იქვე: 80).

მკვლევარი ექ. თაყაიშვილი დაინტერესებულა ამ მასალებით, იგი, ამავე დროს, იმოწმებს ნ. მარის ნაშრომსაც – „სამუსლიმანო საქართველოში ჩვეულებადან ზიარეთში წასვლა. ეს უდრის ჩვენებურ ხატობას. **ზიარეთი** სამლოცველო ადგილს ქვია და ისეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიების ნანგრევებია, ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვადასხვა ადგილებიდან, ნამეტნავად ქალები; მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ღოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ დამეს; თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც. და ამათ უნდა დაესიზმრონ ღამე, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ, ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი, და რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოღები უშლიან, რასაკვირველია, ასეთ ქცევას ხალხს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან. ასეთი ზიარეთი აქვთ ხახულის მცხოვრებთაც, მათი ხევის სათავეში, მთაზე, სადაც ეკლესიების ნანგრევებია დაცული“ (თაყაიშვილი 1991: 220).

ანალოგიური შინაარსის თქმულებას ვხდებით პროფესორ შ. ფუტკარაძის მიერ ჩაწერილ ფოლკლორულ მასალებში, კერძოდ, სოფელ ფორთას მცხოვრებლების გადმოცემით, წმ. გიორგი კლდეში ცხოვრობს და გაჭირვების ქამს გამოდის და ადამიანებს ეხმარება. მკვლევარი ასევე შენიშნავს, აქაურების ხსოვნაში დღესაცაა წმ. გიორგის სასწაულების ელემენტები, რომელსაც თავისებური ახსნა მოეძებნება, კერძოდ – „წმინდა სალოცავის ქვემოთ, მთის კალთაზე ცნობილი ტაძარია, რომელიც ვახტანგ გორგასლის მეფობისას V საუკუნეშია აგებული. იგი დღეს ნანგრევების სახითაა წარმოდგენილი – მიწისძვრას ჩაუქცევია. „ჩვენებურების“ გადმოცემით, „ეკლესიის ახლოს არსებულ კლდეებში ურჩხულები, გველეშაპები იმალებოდნენ და ადამიანებს ხშირად თავს ესხმოდნენ. ერთ-ერთი თქმულებით, ერთ გოგოს ოპიზაში, საცალფეხო ბილიკით საჭმელი ტაბლით მიჰქონდა, ტაბლა თავზე ჰქონია შედგმული. უცებ კლდის ნაპრალიდან გამოსულა ურჩხული, მის დანახვაზე გოგონა წმინდანს შევედრებია, ქვად გადამაქციეო, წმ. გიორგის ის მართლაც ქვად უქცევია“. მოქმელი ამტკიცებდა. ასეთი ქანდაკება დღესაც დგას იმ ადგილასო. დეთის რჩეული ურჩხულებს ჰკლავდა და ხალხს ამით ეხმარებოდა, ამიტომ შეარქვეს მას **წმ. გიორგიო**, მას თეთრი მფრინავი რაში ჰყოლია და სადაც ხალხს გაუჭირდებოდა, იქ გადაფრინდებოდა. წმ. გიორგის გარდაცვალების შემდეგ რაში ცაში გაფრენილა, წმინდანი კი

აქაა დასაფლავებული (ფუტკარაძე ხელნაწერის უფლებით. 28. 08. 2012) მკვლევრის აზრით, აღნიშნულ თქმულებაში ჩანს წმ. გიორგის ყოვლისშემძლეობა, რომელიც მუჰაჯირთა ცნობიერებაში დღესაცაა შემორჩენილი.

საინტერესოა უახლესი მასალები, რომლებიც მკვლევარ მაღსაზ ჩოხარაძეს ჩაუწერია და წარმოდგენილი აქვს ნაშრომში: „კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთა მხარე“ და წმინდა გიორგის ეკლესია“. ავტორი ეხება წმ. გიორგის სახელობის ე. წ. „ძეგლის“ ანუ „ნუკას საყდარის“ ტოპონიმთან დაკავშირებულ გადმოცემას: „ძეგლი ფორთას თავზეა. შავშეთის გზატკეცილიდან ფირნარლის გზაზე თუ აუხვევ, ასახვევიდან ძეგლამდე 22 კილომეტრია. ზემო ფორთასთან მისვლამდე მარჯვნივ უნდა მიუყვებ და ახვიდე ფორთის იაილამდე. მას „ზიარეთი იაილას“ უწოდებენ, რაც მოსალოდნელიცაა, იმიტომ ძეგლი ზიარეთია და იგი იაილიდან ნახევარ კილომეტრზე მდებარეობს. ეს ადგილი ადმინისტრაციულად ფორთას ეკუთვნის, თუმცა უფრო ოპიზის მხარესაა.

თურქეთის ტერიტორიის ამ ნაწილში ჯერ კიდევ უცნობი ეკლესიის ნანგრევებია, ეკლესიის წინ ორი საფლაია, იქაურების გადმოცემით, შეიძლების, ანუ წმინდანებისა. საფლავეები განახლებული და მოგვილია. ეკლესიისა და საფლავეების გვერდით აუგიათ ე. წ. დასაძინებელი, ფარდავით დაფარული ფიცრული საწოლი, რომელიც შემოღობილია და გადახურული. შეიძლების შესახებ ღეგენდებსაც ყვებიან (ჩოხარაძე 2012: 4).

აჭარაში დღესაცაა შემორჩენილი წმინდა ადგილები, რომელთა მნიშვნელობასა და დანიშნულებას, ცვლილებების მიუხედავად, დრომ ვერაფერი დააკლო და არქაულ პლასტებს შეფარებული, ისევე მნიშვნელოვანია ხალხთა გარკვეული ნაწილისათვის. ეს ადგილები „ზიარეთის“ სახელწოდებით მოიხსენიება. პირველი მაისის საკრებულოში (ქედა) დასტურდება ტოპონიმი „ზიარეთი“. ადგილობრივთა თქმით, ამ ადგილას ევლიების (წმინდანების) საფლაია. თურქობის დროს იქ აღიდგინეს და ზიარობდნენ, როცა რამე გაუჭირდებოდათ. „იქ მისული ხალხი საფლავეზე იძინებს და ნახულობს სიზმარს. საფლავი იმასაც გიცხადებს, გეხმარება თუ არა. თუ დაგეხმარება, ისევ საფლავეზე გაიღვიძებ, თუ არ შეუძლია დახმარება, საფლავი გვერდზე მოგისვრის, მაგრამ შენ ვერ იგრძნობ, ისე გაგედვიძება სხვა ადგილას“ (იქვე - მთქმ. თ. სურმანიძე). (ჩოხარაძე).

ზემო მოყვანილ თქმულებები პირდაპირ კავშირშია, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორთან.

ტოპონიმი „ზიარეთი“ არც სამცხე-ჯავახეთისათვის არის უცხო. აქ ზიარეთი არის მთა ერუშეთში (ბერიძე 1992: 13). დღევანდელი ასპინძის რაიონში ერუშეთის ფერდობზე არის ნასოფლარი „დადეში და ერკოტა“. ისინი XX საუკუნის I ნახევარში სიცოცხლით სავსე სოფლები იყო. მათ ჰქონდათ საერთო მთა ზიარეთი, რომელსაც „უნაგირასაც“ ეძახიან. იქ,

მთის წვერზე, იდგა ამადლების ეკლესია, სადაც ზიარეთობას ანუ ამადლებას ადიოდნენ, არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ მუსლიმანებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ ვარნეთში. ეს სოფელიც დღეს ნასოფლარია. მუსლიმანთა ზიარეთობა გამოიხატებოდა სანთლების დანთებით და ტრაპეზში მონაწილეობით. ქრისტიანები კი ამადლების დღესასწაულს ზეიმობდნენ. იქვე ახლოს იყო მეორე ზიარეთიც, ისიც მთაა, ოღონდ ნასოფლარ **როკეთისა**. აქ როკეთელებთან ერთად ამოდოდნენ აწვევბელები, ქუნცელები. ამ მთას ეძახდნენ „ზიარეთსაც და ამადლებასაც“. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სოფლებში (სარო და ხიზაბავრა) ამ ადგილს ამადლებას და საკვირიკეს უწოდებდნენ. დიდი ზიარეთია მითითებული იმავე ასპინძის რაიონში ერთ-ერთი მწვერვალის სახელად ძველ რუსულ რუკაზე. ტოპონიმი „ზიარეთი“ გვაქვს სამცხეშიც“ (ბერიძე, გუჯაჯიანი 2010: 179). დღევანდელი მასალით ტოპონიმი ზიარეთი და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ჩვეულებები კვლავ შემონახულია ტაო-კლარჯეთის ქართულ სოფლებში, ასევე დღევანდელ საქართველოს ზოგიერთ მხარეში. მთავარი მახასიათებელი ზიარეთად მიჩნეული ადგილისა არის იქვე **ნაეკლესიარისა და ქრისტიანული სასაფლაოს** არსებობა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რ. ერისთავის ცნობა, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში ლენხუმის მაზრის აღწერისას ჩაუწერია. მკვლევარი იუწყება, რომ “სოფელ ალაპანას იციან გიორგობა. ვითარ იგი 23-აპრილს სასწაულმოქმედის წმინდის გიორგის დღესასწაული. ამ სოფლების მთელი ხალხნიპალპანის სოფლისა, ხორცსაც ჭამენ. ხოლო **აჭარის-მხოლოდ პურ-ღვინო-ღობიოს შეექცევიან „ურა, მრავალჟამიერთ“**. იციან აგრეთვე წირვა, მარხვა და გალობა, თაყვანს სცემენ ჯვარს ნასაყდარში, მღერაინ „ნადურს“ და სხვა (ერისთავი 1986: 29).

მთაზე ასვლა და პატივის მიგება საქართველოს კუთხეებში სხვადასხვა სახით სრულდებოდა. მორწმუნეები, რა თქმა უნდა, ძირძველ ქრისტიანულ ტრადიციებს ემსახურებოდნენ. ისინი როგორც ამბობენ – „წინაპრისეულ ადათებს“ ასრულებენ.

ანალოგიური ხასიათის წეს-ჩვეულებას აჭარის სხვა სოფლებშიც გვხვდებით. ზიარეთებში სრულდებოდა არა მარტო წარმართული, არამედ წმინდა ქრისტიანული ღვთისმსახურება. აქაურ ხალხურსიტყვიერებაში, წარმართულ წეს-ჩვეულებებთან ერთად მუსლიმური ელემენტებიც გვხვდება, რაც ართულებს ფოლკლორული მასალების კვლევას. ამ სირთულის მიუხედავად, აჭარულ თქმულებებში ნათლად ჩანს, ქრისტიანული სარწმუნოების ელემენტები. რა თქმა უნდა, აჭარაში, მუსლიმური რელიგიის ზეგავლენით, ოსმალური ელემენტები ნაწილობრივ შეეზარდა ზოგად ქართულ ტრადიციებს და დღეს ისინი კონტამინირებული თქმულებების სახით გვხვდება. რაც აძნელებს მის გამოიყენებას ძველისა და ახლისაგან.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებისა და არსებული მეცნიერული ლიტერატურის, მეცნიერთა დასკვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ “ზიარეთობა” თანამედროვე და ისტორიული სამხრეთ საქართველოს მხარეთა ყოფისათვის დამახასიათებელი რეალიაა და იგი ხშირად ხალხურ კალენდარულ დღესასწაულთა ციკლშიც იკავებს ადგილს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბერიძე, გუჯეჯიანი 2010:** ბერიძე მერაბ, გუჯეჯიანი როზეტა, „ზიარეთობის“ ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, „დიდაჭარობა“ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“, ხულო-დიდაჭარა. 2010.
2. **ენციკლოპედია... 2001:** თურქულ-ქართული ლექსიკონი, ღია ჩლაიძის რედაქციით, საქ. მეც. აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქ-თურქეთის სამეც. კულ. ურთიერთობის საზოგადოება, სტამბული, 2001.
3. **ერისთავი 1986:** ერისთავი გიორგი, „ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები“, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თემურ ჯაგოდნიშვილმა, თბილისი., 1986.
4. **თანდილავა 1996:** თანდილავა ზურაბ, „წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი., 1996.
5. **თაყაიშვილი 1991:** თაყაიშვილი ექვთიმე, „სამუსლიმანო საქართველო დაბრუნება“, მრავალტომეული, ტ. I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბილისი., 1991.
6. **მარი 1911:** Н. Марр Нико, „Дневник поездки в шавшию и Кларджию., (წიგნში: Георгии Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. – Тексти и рассказы по армянано-грузинского филологии, кн. VII, 3- Петербуг. გვ. 80). 1911.
7. **სოხაძე 1964:** სოხაძე აკაკი, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან“, თბილისი., 1964.
8. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №757.
9. **ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1963:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, თბილისი., 1963.
10. **ჩოხარაძე 2012:** ჩოხარაძე მალხაზ, „კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთ მხარე“ და წმინდა გიორგის ეკლესია“ – მოხსენება წაკითხულია ბსუ-ს ქართველოლოგიის ინსტიტუტის თეორიულ სემინარზე 2012 წლის 19 ივნისს. 2012.

Naile Mikeladze

*Academic Dr. Senior Research Worker of the Department of Folklore and
Dialectology of Shota Rustaveli State University, Institute of Niko Berdzenishvili*

**The Legends Connected with Holy Places in the Folklore
of South-Western Georgia**

SUMMARU

Saint places are still preserved in Ajara, time could do nothing with their importance and destination, notwithstanding some changes. Visiting saint places/"Ziarets" is still important for some group of people. Toponym "Ziareti" in the First May City Council has the same name.

Researches revealed that the are of celebrating "Ziaretoba" is not only in the scope of Ajara, it is characteristic for Meskheta and Shavsheti. It is possible that this holiday was spread even in the Historical South parts of Georgia, thus the clue of its traditions could lead us much further. On the basis of available materials, scientific literature and conclusions of the scientists we can discuss about the case and find out that "Ziaretoba" is characteristic religion for the modern and historical South Georgia and it was often noted in the folk holiday calendar cycle.

From the reserved narratives of Ajara comparing with the materials reserved by "our people". Consideration of the parallel materials convicts us that notwithstanding some similarities there are some differences between them. For instance: in Turkey the name of the Saint is fully represented, while in Ajara – the name of the Saint person is transformed. It is important for the population of both countries to carry out the rites of customs and habits like "Ziaretoba" or "Holly Hill" on the high mountain. Vision derived from the depth of traditions feed their conscious, they lead us direct to Georgian traditions (Tetrgiorgoba, Keenoba, Damtskalobeba, Sameboba (Trinity holiday), Gergetoba, etc).

ციალა ნარაკიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომელი

ადამიანთა გვარსახელები ლაზურში

ოსმალურ-თურქული სოციალურ-პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქცეულ ჭანეთში, ჯერ იყო და, გავრცელდა ოსმალურ-ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი ანთროპონიმები, როგორც ადამიანთა საკუთარი სახელები, ისე შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელები; საუკუნეთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა ადრინდელი ანთროპონიმული მემკვიდრეობა.

შტო-გვარის აღმნიშვნელი ზანური წარმომავლობის სახელები ლაზურ ანთროპონიმიაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება. მათი უმრავლესობა ადამიანთა საკუთარი სახელებისაგან არის ნაწარმოები სუფიქსების მეშვეობით. ეს სუფიქსებია: -შ; -ფ; -ა; -უა; -ვა. გვარსახელების მაწარმოებელ სუფიქსთა ფუნქციით გვხვდება აგრეთვე ქართული „ძე“-სა და „შილ“-ის ეკვივალენტური ზანური „სქირ“-ი და „ბერ“ || „ბერი“.

გვაქვს უსუფიქსო, ფუძის სახით წარმოდგენილი გვარსახელებიც, რომელთა წარმომავლობა ყურადღებას იმსახურებს, როგორც ენათმეცნიერული, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით და მოითხოვს შემდგომ დაკვირვებას თანამედროვე ეთნოგრაფიული და ისტორიული ჭანეთის მთელ რეგიონში. ადამიანის საკუთარ სახელებთან დაკავშირებით დანაშრევის სახით ჩვენამდე მოღწეული ზანურ-ქართული საკუთარი სახელების დიდი ნაწილი ტოპონიმებშია დაცული. იგივე ითქმის გვარსახელებზეც. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ სახელებთან ერთად ლაზეთში გავრცელებული იყო ზანურ-ქართული სამყაროსათვის დამახასიათებელი ფორმები გვარსახელებისა, რომლებიც ეროვნული (ქართულ-ზანური) ანთროპონიმის ერთიან სისტემაში თავსდება.

ა) შ-სუფიქსით ნაწარმოები გვარსახელები

ბაჭაში – დასტურდება გვარსახელი „ბაჭაში“. იგი ნაწარმოებია ადამიანის საკუთარი სახელისაგან: ბაჭა-ში

დუდულაში – ვიწურში გ. კარტოზიას ჩანაწერი მასალის მიხედვით, გვაქვს შტო-გვარის სახელი „დუდულაში“. ცხადია, იგი ნაწარმოებია საკუთარი სახელისაგან „დუდულა“.

თანთუში – ეს გვარსახელი დასტურდება ხოფის მხარეში. იგი წარმოქმნილია საკუთარი სახელისაგან „თანთუ“.

კიკილიში – ს. ჟღენტის მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, გვაქვს ანთროპონიმი „კიკილიში“. მკვლევრის თქმით, „კიკილიში“ გვარსახელია, და თუ ასეა, მასში ფუძედ გამოიყოფა „კიკილ“//„კიკილი“, რომელიც ადამიანის მეტსახელი უნდა იყოს.

კოხაში – ადამიანის საკუთარი სახელის ან მეტსახელისაგან („კოხა“) წარმოქმნილი გვარსახელი „კოხაში“ დასტურდება ხოფის მხარეში.

შალაპიში – ს. ჟღენტის მიხედვით, შალაპიში გვარსახელია (ჟღენტი, 1938:211).

წიტაში – ამ გვარ-სახელით ცნობილი იყო ღაზი, რომელიც მოღვაწეობდა საქართველოში, რეპრესირებული იქნა 1937 წელს. ამ გვარსახელის ფუძე „წიტა“ მოგვაგონებს ქართულ გვარსახელს „წიტაიშვილი“ (წიტა-იშვილი).

ხალბაში – ხოფის მხარის სოფელ მაკრიალის ერთი უბნის სახელია „ხალბაშ ოფუტე“ (ხალბას კარ-მიდამო). იგი წარმოქმნილია სახელისაგან „ხალბა“, მოსალოდნელია „ხალბა“ მომდინარეობდეს ეთნონიმ „ხალიბ“//„ხალიბა“-საგან. „ხალბაში“ თავისი ფონეტიკური შედგენილობით თითქმის თანხვედრილი ჩანს გვარსახელისა „ხალვაში“. მათ შორის განსხვავებას იძლევა მხოლოდ და მხოლოდ ბაგისმიერ თანხმოვანთა მონაცვლეობა (გუბ ან პირიქით ბუფ), რაც ღაზური ფონეტიკისათვის უცხო არ არის.

ბ) –ფ სუფიქსით ნაწარმოები გვარსახელები

კუსტაფე – ადამიანის საკუთარი სახელი „კუსტა“-საგან მრ. რიცხვის –ფ ფორმანტით ნაწარმოები გვარსახელია: კუსტაფე-ე (კუსტა-ები-ი). „კუსტაფე“-ს ფორმით ათინის მხარის სოფელ კიტათში დასტურდება ტოპონიმი (კარტოზია, 1993:365).

ლოდაფე – ასეთი ფორმითაა წარმოდგენილი ფუძისეული ნაწილი ტოპონიმისა „ლოდაფეში“, რომელიც დასტურდება ვიწეს მხარეში. ამ ტოპონიმში ფორმანტი –შ(ი) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია და მიუთითებს კუთვნილებაზე, რომ ეს ადგილი „ლოდაფე“-ს (ლოდაების) კუთვნილებას წარმოადგენს. გვარ-სახელის მაწარმოებელია ფუძის („ლოდაფე“) ბოლოკიდური –ფ(ე), რაც ასე წარმოგვიდგება: ლოდა-ფ-ე (ლოდაები).

მუთინაფე – ათინის მხარეში გვაქვს ტოპონიმი „მუთინა მაჰალღე, რაც მუთინას უბანს ნიშნავს. ამავე უბანს ეძახიან აგრეთვე: „მუთინაფე“ („მუთინები“). ეს უკანასკნელი (მუთინა-ფე) რომ გვარსახელია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ურმელეფე – ათინის მხარის სოფელ თორდოვათის ერთ უბანს „ურმელეფე“ ეწოდება (კარტოზია, 1993:365). ცხადია ეს ტოპონიმი მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი გვარსახელია: ურმელე-ფე-ე, რაც „ურმელეფს“ (ურმელ-ებ-ი) ნიშნავს.

ფანგუე – ასე ეძახიან ათინის მხარის სოფელ თორდოვათის ერთ უბანს. „ფანგუეფე“ (ფანგუ-ფე) ნიშნავს „ფანგუებს“ (ფანგუ-ებ-ი. „ფანგუეფე“ შტო-გვარის სახელი ჩანს).

ჩუჩუკეფე – „ჩუჩუკეფე“-ს სახელწოდებით გვაქვს უბანი ათინის მხარის სოფელ თორდოვათში (კარტოზია, 1993:365). „ჩუჩუკეფე“ მრავლობითი რიცხვის –ეფ ფორმანტით ნაწარმოები გვარსახელია (ჩუჩუკ-ეფ-ე), რაც „ჩუჩუკეფს“ (ჩუჩუკ-ებ-ი) ნიშნავს.

ხაშაფე – „ხაშაფე“, როგორც გვარსახელი, დადასტურებული აქვს ნ. მარს. მკვლევრის აზრით, „ხაშაფე“, რომელიც ათინის მხარეში დაადასტურა, მრავლობითი რიცხვის ფორმით (ხაშა-ფე) წარმოდგენილი ნამდვილი ლაზური გვარია (მარი, 1910: 627).

გ) –ა სუფიქსით ნაწარმოები გვარსახელები

ბუღია – ხოფის მხარეში დამოწმებულია ტოპონიმი „ბუღია“ (მარი, 1910: 615). იგივე ფუძე ვიწეს მხარეში დასტურდება „ბუღივა“-ს ფორმით (კარტოზია, 1993:357). როგორც „ბუღია“, ისე „ბუღივა“ შტო-გვარის სახელებად, ხოლო „ბუღი“ საკუთარ სახელად უნდა მივიჩნიოთ.

მელა – ათინის მხარეში არის სოფელი მელიათი (მარი, 1917: 609) რომელიც მოწმდება აგრეთვე „მელდათი“-ს ფორმით (კარტოზია, 1993:365). ტოპონიმის ფუძისეული ნაწილი „მელა“|| „მელდა“ გვარსახელს წარმოადგენს.

ნარაკია – არ. ჩიქობავას მიერ 1926–1928 წლებში სოფელ სარფში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, სარფელი ჩაქიროლღების (ამჟამად – ნარაკიძეების) ადრინდელი გვარსახელი ნარაკია იყო (ჩიქობავა, 1929: 115).

პატარაია – არნ. ჩიქობავას მიერ 1926–1928 წლებში სოფელ სარფში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, სარფელი თანთოლღების (ამჟამად–თანდილაძეების) ადრინდელი გვარსახელი „პატარაია“ იყო (ჩიქობავა, 1929:115).

პულა – ორმოციოდე წლის წინათ სარფელ ასაკოვანთა გადმოცემით, ლაზეთში ცნობილი იყვნენ პულიები (პულიაფე). გვარსახელი პულა სხვა ცნობებში არ შეინიშნება.

ხეცია – გვარსახელი „ხეცია“ იხსენიება ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილ ისტორიულ გადმოცემებში: „მუსლიმანეფში ალიფაშაშა პეტრო ხეცია ელჩი მენდახოუ“, „მუსლიმანთა ალი-ფაშასთან პეტრო ხეცია ელჩად წავიდა“ (ყიფშიძე, 1939 5).

ჩხეცია – გვარსახელი „ჩხეცია“ არც თანამედროვე ლაზურ ცოცხალ ყოფასა და არც წერილობით წყაროებში არ იხსენიება. მაგრამ დიდ ინტერესს იწვევს თურქი ისტორიკოსის – მოგზაურის ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ დასახელებული (ჯღათა) ლაზები. ს. ჯიქიას თქმით არაბული ტრანსკრიპციით წარმოდგენილი ეს სახელი შეიძლება ასეც წავიკითხოთ: ჩღათა; ჩღეთა. ს. ჯიქია ევლია ჩელებისეული „ჩღათა“-ს ანუ „ჩღათა“||ჩღეთა“-ს სამართლიანად მიიჩნევს „ჩხეცია“-დ, ისე როგორც (ჩიჩუ)-ს „ჩიჩუა“-დ (ჯიქია, 1954:248–249).

დ) –უა სუფიქსით ნაწარმოები გვარსახელები

–უა სუფიქსით გვარსახელი ლაზურში იშვიათია. ჯერჯერობით ერთადერთია ი. ყიფშიძის მიერ ხოფის მხარეში დამოწმებული გვარსახელი ჩიჩუა.

ჩიჩუა – „ხუსეინ-ეფენდი ჩიჩექოღლი (=ჩიჩუა)–ასე ასახელებს თავის პერონითელ (ხოფის მხარე) მთქმელს ი.ყიფშიძე 1917 წელს ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინების შესახებ საანგარიშო მოხსენებაში (ყიფშიძე, 1917: 151). იგივე მთქმელი ი. ყიფშიძეს დასახელებული პყავს აგრეთვე „ჭანურ ტექსტებში“ იმ განსხვავებით, რომ აქ „ჩიჩუა“-ს ნაცვლად მოცემულია „ჩიჩუვა“ (ყიფშიძე, 1939:217) როგორც ჩანს, მთქმელმა ხუსეინ-ეფენდი ჩიჩექოღლიმ ი. ყიფშიძეს ავისი ძველი (ზანური) გვარსახელის შესახებაც მიაწოდა ცნობა.

გვარსახელი „ჩიჩუა“-სთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს თურქი ისტორიკოსი–მოგზაურის ევლია ჩელების ცნობა ე.წ. „ჩიჩუ ლაზების“ შესახებ. ევლია ჩელები მის მიერ ჩაწერილი ერთი ხალხური ლექსის შესახებ წერს: ეს ლექსი ჩიჩუ (ჩიჩუ) და (ჩღთა) ლაზების ერთ–ერთი ძველი, მივიწეებული ლექსია და ლაზიკელთა ენაზეა ჩაწერილი (ჩელები, 1971: 92).

ე. ჩელების მიაჩნია, რომ „ჩიჩუ“ და „ჩღეთა“ („ჩღთა“, „ჩღათა“) ლაზთა ტომობრივი სახელებია. სერგეი ჯიქია, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ლაზებისა და ლაზურის შესახებ ევლია ჩელების ცნობებს უარყოფს „ჩიჩუ“-ს და „ჩღეთა“-ს მიჩნევას ტომობრივ სახელებად და სამართ-

ლიანად შენიშნავს, რომ „ჩიხუ“ არის გვარსახელი „ჩიხუა“, ხოლო „ჩღეთა“ ანუ „ჩღთა“|| „ჩღათა“ უნდა მივიჩნიოთ „ჩხეტია“-დ (ჯიქია, 1954 248–249).

ეგლია ჩელების მიერ „ლაზიკელთა ენაზე“ ჩაწერილი ლექსის შესახებ გამოთქვამდა ვარაუდს ზურაბ თანდილაძე, რომ „ჩიხუ“ და „ჩღთა“ („ჩღეთა“, „ჩღათა“) ტომობრივი კი არა, ადამიანთა მეტსახელები უნდა იყოს (თანდილაძე, 1974: 76–94).

ამჟამად უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია სერგი ჯიქიას მოსაზრება, რომ ეგლია ჩელების ნაშრომში მოტანილი „ჩიხუ“ იგივე „ჩიუა“ უნდა იყოს, ხოლო არაბაბულ ტრანსკრიპციაში „ჩღთა“ ფორმით წარმოდგენილი სახელი უნდა წავიკითხოთ „ჩღეთა“-დ ან „ჩღათა“-დ და მივიჩნიოთ „ჩხეტია“-დ.

ე) –ვა სუფიქსით ნაწარმოები გვარსახელები

დღეისთვის ხელმისაწვდომი მასალებით ირკვევა, რომ –ვა სუფიქსით ნაწარმოები გვარსახელები ლაზურში მხოლოდდამხოლოდ ტოპონიმიაშია შემონახული. ისიცაა აღსანიშნავი, რომ –ვა ფორმანტიანი გვარსახელები ლაზურში რაოდენობრივად ჭარბობს როგორც სხვა სუფიქსებით ნაწარმოებ გვარსახელებს (ცალ–ცალკე აღებულს), ისე სუფთა ფუძის სახით წარმოდგენილ, უსუფიქსო გვარსახელებს.

–ვა სუფიქსით გაფორმებული გვარსახელები, როგორც წესი, ქმნიან ტოპონიმთა ფუძეებს. ამ სახის ფუძისაგან გეოგრაფიული სახელი წარმოიქმნება მხოლოდდამხოლოდ –თი ფორმანტის მეშვეობით: დადი–ვა–თი; გულა–ვა–თი; თორღო–ვა–თი... გვხვდება აგრეთვე შემთხვევები, როცა ტოპონიმი წარმოდგენილია მხოლოდ –ვა სუფიქსიანი გვარსახელის ფორმით –თი სუფიქსის გარეშე: ჭურჭავა; ფაჩვა (ამ სახელწოდებებით არის ცნობილი სოფლები ვიწეს მხარეში).

ანდრავა – დამოწმებულია ტოპონიმი „ანდრავათი“, რომელიც წარმოქმნილია შტო–გვარის სახელისაგან „ანდრავა“ – ეს უკანასკნელი ნაწარმოებია ადამიანის საკუთარი სახელისაგან „ანდრია“: ანდ–რა–ვა.

ბაღვა – არქაბის მხარის სოფელ ფილარგეთის ერთი უბნის სახელწოდებაა „ბაღვა“ (კარტოზია, 1993:356). ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ტოპონიმი მომდინარეობს გვარსახელი, „ბაღვა“-დან ← ბაღვა, იგი მოგვაგონებს ცნობილ ზანურ გვარსახელს „ბაღვაში“ (ბაღ–ვა–ში), რომელშიც „ბაღვა“ ფუძეს წარმოადგენს, მაგრამ ეს უკანასკნელი, ცალკე აღებული გვარსახელი უნდა ყოფილიყო.

ბაჩივა – ადამიანის საკუთარი სახელი „ბაჩი“-საგან ნაწარმოები გვარსახელი „ბაჩივა“ დამოწმებულია ართაშენის მხარის სოფლის სახელწოდებაში „ბაჩივათი“ (ბაჩი–ვა–თი).

ბუღია – „ბუღია“-ს სახელწოდებით ვიწეს მხარის სოფელ დაერაში ცნობილია ერთი უბანი (კარტოზია, 1993: 357). „ბუღია“ არის იგივე „ბუღია“.

გულა – არქაბის მხარის სოფელ ცხულეთის ერთი უბანია „გულა-თი“, რომელიც წარმოქმნილია შტო-გვარის სახელისაგან „გულა“, ეს უკანასკნელი ნაწარმოებია ადამიანის საკუთარი სახელისაგან „გულა“. გულა=ემსგავსება ცნობილ მეგრულ გვარსახელს „გულა“.

დაღია – ათინის მხარეში არის სოფელი დაღიათი. ეს სახელწოდება მიღებულია გვარსახელისაგან „დაღია“, ხოლო ეს უკანასკნელი ნაწარმოებია –ვა ფორმანტის მეშვეობით, საზოგადო სახელისაგან „დაღი“, რომელიც საკუთარ სახელადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

დუღუა – ათინის მხარეში გვაქვს სოფელი დუღუათი. როგორც ტოპონიმი, იგი ნაწარმოებია გვარსახელისაგან „დუღუა“, რომლის ფუძე „დუღუ“ ადამიანის საკუთარ სახელს წარმოადგენს.

თიმისვა – „თიმისვათი“-ს სახელწოდებით (ახლ. ქოფრუქიო) ართაშენის მხარეში არის სოფელი (ყიფშიძე, 1917:168. (კარტოზია, 1993:361). ნ. მარს იგი დამოწმებული აქვს „თიმისვათი“-ს ფორმით (ნ. მარი, მოგზ., 611). ამ ტოპონიმის ფუძე „თიმისვა“// „თიმისვა“ შეიძლება მივიჩნიოთ გვარსახელად (თიმის-ვა, თიმის-ვა), მაგრამ საჭიროა შემდგომი დაზუსტება.

თორდოვა – ათინის მხარეში არის სოფელი თორდოვათი ამ ტოპონიმის ფუძე „თორდოვა“ (თორდო-ვა) მოგვაგონებს საკუთარი სახელისაგან „თორდო“ ნაწარმოებ გვარსახელს (შდრ. „თორდია“).

დანია – ართაშენის მხარეში სოფელია დანივათი, ახლა „ჰადრჯიქ“-ს უწოდებენ (ყიფშიძე, 1917:168. კარტოზია, 1993: 361). ნ. მართან იგი დანივათი“-ს სახით არის წარმოდგენილი (მარი, 1910: 612). „დანია“ // „დანევა“ წარმოადგენს საკუთარი სახელი „დანი“-საგან ნაწარმოებ (დანი-ვა) გვარსახელს.

კეჭენევა – გვარსახელი „კეჭენევა“, რომელიც შემონახულია ტოპონიმში „კაჭენევათი“, ნაწარმოებია მეტსახელი (ან საკუთარი სახელი) „კეჭენე“-საგან.

კილა – გვაქვს ტოპონიმი „კილა“ (ვიწეს მხარეში) იგი წარმოადგენს „კილა“ ფუძისაგან მიღებულ გვარსახელს (კილა-ვა).

კოსკოვა – ათინის მხარეში არის სოფელი კოსკოვათი, რომელსაც ახლა „პისარლი“-ს უწოდებენ (კარტოზია, 1993: 365). ტოპონიმი „კოსკოვათი“-ს (კოსკო-ვა-თი) ფუძე „კოსკოვა“ გვარსახელს მოგვაგონებს, მაგრამ იგი საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას ახალი მასალების საფუძველზე.

კოსტანივა – გვარსახელი „კოსტანივა“ შემონახულია გეოგრაფიულ სახელში „კოსტანივათი“ (კოსტანი-ვა-თი). „კოსტანივა“ ნაწარმოებია საკუთარი სახელისაგან „კოსტანი“.

კუკუვა – ჩამლიპემშინის მხარეში დამოწმებულია ტოპონიმი „კუკუვათი“, რომელსაც „კოკოვათი“ –საც უწოდებენ (კარტოზია, 1993:363). „კუკუვა“ // „კოკოვა“ წარმოქმნილია ფუძე „კუკუ“ // „კოკო“–საგან.

ლაზივა – ჩამლიპემშინის მხარის სოფელ ქომოლოს (ახლ. მურათქიოდ) ერთი უბნის სახელია „ლაზივათი“ (კარტოზია, 1993:363). ფუძე „ლაზივა“ ეთნონიმი „ლაზი“–საგან წარმოქმნილი გვარსახელია (ლაზი-ვა).

მამაკივა – ათინის მხარეში დამოწმებულ ტოპონიმ „მამაკივათი“–ში (მარი, 1910: 610. (კარტოზია, 1993:365). ფუძისეული „მამაკივა“, რომელიც თავის მხრივ წარმოქმნილია ფუძისაგან „მამაკი“ გვარსახელად გვესახება, მაგრამ ახალი მასალების საფუძველზე დაზუსტების გარეშე ძნელია სარწმუნო დასკვნების გაკეთება, მითუმეტეს, რომ ი. ყიფშიძესთან გვაქვს „მამაკილათი“ (ყიფშიძე, 1917: 158) და არა „მამაკივათი“.

პალივა – საყურადღებო და მეტად საინტერესო ტოპონიმი გახლავთ „პალივათი“ (ახლ. სინანი), რომელიც ართაშენის მხარეში სოფელს ჰქვია (კარტოზია, 1993:362). თუ ამ ტოპონიმის ფუძე „პალივა“ (პალი-ვა) გვარსახელია, მაშინ იგი თავის მხრივ ნაწარმოებია სახელისაგან „პალი“, რასაც დაზუსტება სჭირდება.

ფაჩვა – „ფაჩვა“ უნდა იყოს გვარსახელი (ფაჩ-ვა), რომლის ფუძე „ფაჩ“ მოგვაგონებს მეგრულ გვარსახელს „ფაჩულია“.

ფილარგივა – გვარსახელი „ფილარგივა“–საგანაა წარმოქმნილი ტოპონიმი „ფილარგივათი“, რომელიც სოფლის სახელია ათინის მხარეში. ფუძისეული „ფილარგივა“ გვხვდება აგრეთვე „ფელარგივა“ // „ფელერგივა“–ს სახით. საჭიროა როგორც ფუძის ფონეტიკური შედგენილობის, ისე მისი გრამატიკული კატეგორიის დაზუსტება.

ქულავა – „ქულავათი“ ჰქვია ერთ უბანს ხოფის მხარის სოფელ ბუჩაში. ტოპონიმის ფუძე „ქულავა“ შტო-გვარის სახელად უნდა მივიჩნიოთ.

ღერღევა – ასეთი ფუძე შემონახულია ჩამლიპემშინის მხარის სოფელ მწანოს უბნის სახელწოდებაში „ღერევათი“ (ღერევა-თი). ფუძისეული „ღერევა“ შეიძლება მივიჩნიოთ გვარსახელად (ღერე-ვა). მაგრამ იგი ჯერ კიდევ დაზუსტებას საჭიროებს.

ღულივა – „ღულივა“ უნდა იყოს გვარსახელი, რომელიც ფუძისეული ნაწილის სახითაა წარმოდგენილი ათინის მხარის სოფლის სახელწოდებაში „ღულივათი“ (ღული-ვა-თი). იგი ნაწარმოებია სახელისაგან „ღული“.

ჩოთოვა – ჩამლიპემშინის მხარის სოფელ მწანოში დამოწმებულია ტოპონიმი „ჩოთოვათი“ (ჩოთო-ვა-თი), რომელიც წარმოქმნილია გვარსახელისაგან „ჩოთოვა“.

ჭორჭოვა – „ჭორჭოვა დისა“ (ჭორჭოვას მიწა) ეწოდება ერთ საზაფხულო სადგომს ჩამლიპემშინის მხარეში (კარტოზია, 1993:363). „ჭორჭოვა“, ეჭვგარეშეა, გვარსახელს წარმოადგენს.

ჭუკალავა – არქაბის მხარეში ერთ ადგილს „ჭუკალავათი“ ეწოდება, მას ახლა „ქესთანეალანს“ ეძახიან (კარტოზია, 1993:356). ამ ტოპონიმის (ჭუკალავა-თი) ფუძე „ჭუკალავა“, რომელიც წარმოქმნილი ჩანს სახელისაგან „ჭუკალ“, გვარსახელად შეიძლება მივიჩნიოთ.

ჭურჭავა – გეოგრაფიული სახელის მაწარმოებელი სუფიქსის გარეშე წარმოდგენილი სოფლის სახელწოდება ვიწეს მხარეში – „ჭურჭავა“.

ხოკოვა – ართაშენის მხარის სოფელ ღუთხეს (ახლანდელი თუნჯა) ერთი უბნის სახელია „ხოკოვათი“ (კარტოზია, 1993:361). თუ აქ „ხოკოვა“-ს გვარსახელად მივიჩნევთ, ფუძე „ხოკო“ შემდგომი დაკვირვების საგნად რჩება, ამჯერად მხოლოდ იმის თქმა, შეიძლება, რომ „ხოკი“ („ხოკერი“) ლაზურში გამხმარი ხის ქერქს აღნიშნავს. რააა გამორიცხული „ხოკო“ იგივე „ხოკი“ იყოს და ადამიანის მეტსახელს წარმოადგენდეს.

ხოჯივა – „ხოჯივა“, როგორც ტოპონიმი, დამოწმებულია ათინის მხარის სოფელ მამაკივათში: იგი სოფლის ერთი უბნის სახელია (კარტოზია, 1993:365). „ხოჯივა“ გვარსახელია (ხოჯი-ვა) იგი „ხარაძე“-დ ითარგმნება.

ჯაჯივა – ათინის მხარეში ერთი სოფელი ატარებს სახელს „ჯაჯივათი“ (მარი, 1910: 609; ყიფშიძე, 1917: 169. (კარტოზია, 1994:367), რომელსაც ახლა „აქმესჯით“-ს ეძახიან. ი. ყიფშიძეს ეს ტოპონიმი მოაქვს აგრეთვე „ჭაჭივათი“-ს სახით (ყიფშიძე, 1917: 157). როგორიც არ უნდა იყოს, ფუძე „ჯაჯივა“ // „ჭაჭივა“ გვარსახელი ჩანს.

ჯღანივა – ათინის მხარის სოფელ ლამლოს ერთი უბნის სახელია „ჯღანივათი“ (კარტოზია, 1993: 365). ფუძისეული „ჯღანივა“ (ჯღანივა-თი) გვარსახელი ჩანს, რომლის ფუძე „ჯღანი“ შეიძლება მეტსახელი იყოს.

ე) „სქირ“ ფუძით ნაწარმოები გვარსახელები

„სქირი“ ლაზურში ძეს, შვილს ნიშნავს, მაგრამ იგი ამავე დროს, გვხვდება შტო-გვარის მაწარმოებელი სუფიქსის ფუნქციით, ისე როგორც ქართულში „შვილი“ და „ძე“. ლაზური სქირი როგორც ფორმით, ისე შინაარსით, მეგრული „სკირი“-ს თანხვედრილია. ირკვევა, რომ შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელის მაწარმოებლად ფუძე „სქირ“ ზანურ ენაში გავრცელებული იყო. ამას ადასტურებს მეგრულ ანთრონიმიაში დღესაც არსებული

გვარსახელები, მაგალითად: პაპასკირი, წულეისკირი და სხვ. რაც შეეხება ლაზურს, მასში ამ ფორმით გაფორმებული რამდენიმე გვარსახელია დამოწმებული ტოპონიმებში. ისიცაა აღსანიშნავი, რომ „სქირ“ ფუძის მეშვეობით ნაწარმოები შტო-გვარის სახელი რთული (თხზული) სახელის სახით წარმოგვიდგება.

ტოპონიმურ თხზულ სახელებში გვხვდება აგრეთვე „სქურ“ (მაგ.: ჯელაისქური; დუდუსქური; გოლოსქუი; ვასკილისქური; მელესქური – (კარტოზია, 1993: 57–61, 65). „სქური“ ლაზურად პატარა ღელეს,, რუს აღნიშნავს და ამ ტოპონიმებში იგი სწორედ ამ მნიშვნელობის მატარებელი უნდა იყოს. მაგრამ არ არის გამორიცხული იგი მოქმედ-ინფორმატორთა მიერ „სქირ“-ის „სქურ“-ად წარმოთქმის შედეგი იყოს. მიუხედავად ასეთი ვარაუდისა, მაინც ძნელია „სქურ“ ფორმა „სქირ“-ად მივიჩნიოთ. ამიტომ „სქურ“ ფუძის შემცველი კომპოზიტიური სახელები გვარსახელებში არ შეგვაქვს.

გოლასქირი – სოფელი სარფის ერთ უბანს, რომელიც ნამოსახლარ ადგილს მოგვაგონებდა (ამჟამად ეს ადგილი დასახლებულ უბანს წარმოადგენს), ეწოდებოდა „გოლასქიროფუტე“. ეს ტოპონიმი თხზულია, შედგება სამი ფუძისაგან: გოლა+სქი-ოფუტე. მასში მეორე კომპონენტი „სქირ“ თავდაპირველად ასე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ნათ. ბრუნვის ფორმით: სქირიშ. ხოლო მესამე კომპონენტი „ოფუტე“, როგორც საზღვრული, ცალკე უნდა გვექნოდა, ასე: „გოლასქირიშ ოფუტე“ (გოლაშვილის ანუ გოლასშვილის ეზო, გოლაშვილის კარ-მიდამო). ბუნებრივია, ნათ. ბრუნვის (სქირიშ) რედუქცია ტოპონიმის მესამე კომპონენტის შერწყმის შედეგია.

გვს არ იწვევს, რომ მოტანილი ტოპონიმის პირველი და მეორე ნაწილი თხზული სახით (გოლასქირი) შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელია. იგი ქართულად ასე ითარგმნება: გოლაშვილი. „გოლასქირი“ ნაწარმოებია ადამიანის საკუთარი სახელისაგან „გოლა“.

მაისქირი – ხოფის მხარეში არის სოფელი მაისქიოფუტე ახლა „დეთეიჩი“-ს უწოდებენ (კარტოზია, 1993: 353). რთული კომპოზიცია: მაი – სქი – ოფუტე. აქაც, ისე როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. გოლასქიოფუტე), მეორე კომპონენტი შეკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი, უნდა ყოფილიყო: მაისქირიშ ოფუტე (მაი-სქირიშ-ოფუტე), რაც ნიშნავს მაიშვილის ეზოს, მაიშვილის კარ-მიდამოს. კომპოზიტის პირველი ნაწილი „მაი“, რომელიც საკუთარი სახელი ჩანს, მოგვაგონებს ქართული გვარსახელის ფუძისეულ „მეი“-ს: მეიშვილი. ქართულ ანთროპონიმიაში „მეი“ გვხვდება ქალის საკუთარ სახელადაც.

მეკალესქირი – ჩამლიჰემშინის მხარეში არის სოფელი მეკალე სქირითი, რომელსაც ახლა „დიქქადა“-ს უწოდებენ (კარტოზია, 1993: 363). ნ. მარის

მასალებში იგი წარმოდგენილია „მეკალესკირითი“-ს სახით (მარი, 1910:611), ხოლო ი. ყიფშიძესთან გვაქვს „მეკარესკილითი (ყიფშიძე, 1917: 156). ვფიქრობთ ზუსტი უნდა იყოს გ. კარტოზიას ჩანაწერი „მეკალესკირითი“ (მეკალე-სკირითი). როგორც ნ. მარისა და ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილ ფორმებს, ისე გ. კარტოზიასთან მოტანილი „მეკალესკირითი“-ს პირველ ნაწილს („მეკალე“) შემდგომი დაკვირება-დაზუსტება სჭირდება.

მეკისქირი – „მეკისქირის“ სახით ვიწეს მხარეში დამოწმებულია ტოპონიმი (ახლ. საპილმაჰალესი- (კარტოზია, 1993: 365). მის შესახებ სხვა ცნობას არ იძლევა. ი. ყიფშიძეს ეს ტოპონიმი მოაქვს „მეკესქირი“-ს ფორმით და შენიშნავს „მეკესქირი-ზღვისპირას“ (ყიფშიძე, 1910: 167). კომპოზიტური „მეკისქირი“-ს (მეკი-სქირი), ანუ „მეკესქირი“ (მეკე-სქირი)-ს პირველი კომპონენტი „მეკი“//„მეკე“ საკუთარი სახელი ჩანს. „მეკისქირი“ („მეკესქირი“) „მეკიშვილად“ ითარგმნება. იგი მოგვაგონებს ზემო აჭარაში არსებულ გვალსახელს: „მეკეიძეები“, რომელიც ამჟამად სოფლის სახელია.

პეტესქირი – ვიწეს მხარის სოფელ თეფეჯულის ერთი უბანია პეტესქირი (კარტოზია, 1993: 358). „პეტესქირი“ კომპოზიტური სახელია (პეტე-სქირი), რომლის პირველი კომპონენტი „პეტე“ შეიძლება „პეტრე“-დ წავიკითხოთ. თუ ასეა, მაშინ „პეტესქირი“ შეიძლება „პეტრეშვილად“ ითარგმნოს.

სავასქირი – ვიწეს სოფელ ჭურჭავას ერთ-ერთი უბანია სავასქირი (კარტოზია, 1993: 359). იგი კომპოზიტს წარმოადგენს: სავა-სქირი, ე.ი. „სავა-შვილი“.

ზ) **„ბერ“** (← „ბერე“) ფუძით ნაწარმოები გვარსახელები

„ბერ“(ი) ფუძით გაფორმებული გვარსახელები, გენეზისის მიხედვით, ზანური წარმომავლობისად არის მიჩნეული. მკვლევართა ასეთი აზრი შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ: ლაზურში „ბერე“ შვილს ნიშნავს. საკუთრივ ლაზურში „ბერ“ („ბერე“) ფუძის შემცველი ორი გვარსახელია დამოწმებული.

გულაბერი – ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარში ცხოვრობენ გულაბერიძეები. ისინი კარგა ხნის წინათ ლაზეთიდან გადმოსახლებული ლაზები არიან. მათ თან გადმოეცა გვარსახელი „გულაბეროლი“, რომელიც, ცხადია, გვიანდელი პერიოდის დანამატი. თხილნარში ცხოვრების პერიოდში თურქული „ოლი“ შეცვალა ქართულმა „ემ“-მ. მაშასადამე, თხილნარელი გულაბერიძეების თავდაპირველი, ზანური გვარსახელი „გულაბერი“ (გულა-ბერ-ი ← გულა-ბერ-ე) იყო, რაც ქართულად „გულაშვილად“ ითარგმნება.

კულაბერი – ართაშენის მხარეში სოფლის უბნის სახელად დამოწმებულია „კულაბერი“. „კულაბერი ავლა“ (კარტოზია, 1994: 362). რაც „კულაბერი(ს) ეზოს ნიშნავს. „კულაბერი“ კომპოზიცია: კულა–ბერი. პირველი ნაწილი „კულა“, შესაძლებელია, ადამიანის საკუთარი სახელი იყოს.

თ) უსუფიქსო, სუფთა ფუძის სახით წარმოდგენილი გვარსახელები

ზელენა – მეტად საინტერესო ფორმაა გვარსახელისა. იგი დაფიქსირებული აქვს ი. ყიფშიძეს ათინის მხარეში. „ნამდვილ ღაზს გვარად ზელენას კარტში მოუგეს“ – წერს ი. ყიფშიძე (ყიფშიძე, 1910: 164). გვარსახელი „ზელენა“ სხვა წყაროებში არსად ჩანს.

პაპილა – მოელ ღაზეთში ფართოდ ცნობილი გვარია. გვარსახელი „პაპილა“ გვხვდება ღაზეთის სხვადასხვა მხარეში ტოპონიმის („პაპილათი“) სახითაც. თ. კუკულაძის ცნობით „პაპილა“ ადგილის სახელად ქობულეთის რაიონშიც, დასტურდება. პაპილაი//პაპილა,–ასე უწოდებენ ზღვისპირა დაბლობს ჩაქვისწყლის შესართავის მარჯვენა მხარეს.

ხამფა – „ხამფა“ მოხსენებულია ერთ ღაზურ ლექსში „ჭუტა ქარმატე“ (პატარა წისკვილი“). მასში ნათქვამია: „თქვი! ჩქარ გიძირუნი ხამფაშ კულანი“ – თქვი, ჯერ თუ გინახავს ხამფას ასული“ (ქლენტი, 1938:159). ს. ქლენტის განმარტებით, „ხამფა“ ბობოლა გლეხს, კულაკს ნიშნავს, „ხამფაშ კულანი“ კულაკის ქალიშვილს ნიშნავსო წერს ს. ქლენტი (ქლენტი, 1938: 215). ვფიქრობთ, „ხამფა“ გვარსახელი უნდა იყოს, „ხამფაშ კულანი“ „ხამფას ასულს“ უნდა ნიშნავდეს.

შემდგომმა კვლევა-ძიებამ ამ ტიპის გვარსახელები შეიძლება მოამრავლოს. ენობრივად უთუოდ საინტერესო ფორმებია. შესაძლებელია, ზოგი მათგანი არაზანურიც აღმოჩნდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан, ИИАН, №7, С.-Петербург, 1910.
2. ი. ყიფშიძე, საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს., ენიმკის მოამბე, №1, თბ., 1941.
3. ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბ., 1939.
4. ს. ქლენტი, ჭანური ტექსტები, თბ., 1938.
5. არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, ნაკვ. პირველი, ხოფური კილოკავი, ტო., 1929.
6. კარტოზია, ღაზური ტექსტები, II, თბ., 1993.

7. ზ. თანდილავა, მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ლაზური ლექსი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, I, თბ., 1974.
8. ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 6, თბ., 1954.
9. ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, თბ., 1971. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ.

Narakidze Tsiala

Surnames in Laz Dialect

S U M M A R Y

There are different forms of Zan surnames in Laz anthroponomy. Most of them are produced from people's proper names by suffixes. There are Zan surnames without suffixes as well.

ელზა ფუტკარაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოლოგიის დოქტორი

აღწერითი მნებობის ფორმები თანამედროვე ქართულში

ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზმნურ ფუძეთა უღვლილებაში აღწერითი და ორგანული წარმოების ფორმათა შენაცვლება საკმაოდ ხშირი ფაქტია. ვნებითი გვარის ზმნათა ორგანული და აღწერითი ფორმების მონაცვლეობა ჯერ კიდევ ძველ ქართულ სამწერლობო ენაში დასტურდება. ამასთანავე, ცნობილია, რომ სხვადასხვა სახის აღწერითი კონსტრუქციები ერთნაირად დასტურდება როგორც თარგმნილ, ისე ქართულ ორიგინალურ ტექსტებში. იმაზეც მახვილდება ყურადღება, რომ „ამგვარი ფორმები საერთოდ არ ყოფილა უცხო ქართული ენისათვის, თუმცა სავარაუდოა, რომ იგი უფრო უნდა მოხშირებულიყო ისტორიულ ქართულში, რამდენადაც თარგმნილ ლიტერატურას ერთგვარი ბიძგი უნდა მიეცა მისი გავრცელებისათვის (ქავთარაძე, 1964:170).

აღწერითი ვნებითის ფორმები სპეციფიკურია ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის, გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ დღეს თითქმის დამკვიდრდა პრესის ენაშიც. ასეთმა ფორმებმა ჩაანაცვლა ორგანული, აქტიური ფორმები. ეს კი, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება და არ არის ქართული ენის ბუნების გამომხატველი. ფაქტია, აღწერითი ვნებითი გვხვდება მაშინაც, როცა ზმნას თავისუფლად ეწარმოება ორგანული ფორმები. ასეთ შემთხვევებში აღნიშნული ფორმების გამოყენება უნდა შეიზღუდოს. იქ, სადაც შეიძლება აქტიური ფორმების გამოყენება, აუცილებლად უნდა დავიცვათ ქართული ენის ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსება, როგორცაა ფრაზის აქტიურობა, ბუნებრივი მდინარება. აღწერითი ფორმა, ბუნებრივია, რომ ამძიმებს ენას.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთი შეფასება გვხვდება აღწერითი ვნებითის ფორმებთან დაკავშირებით.

აღწერითი წარმოების ფორმების გამოყენება შესაძლებელია თავისებური სტილის მახასიათებელიც იყოს. საუბრობს რა მკვლევარი ივანე ქავთარაძე ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიაზე, მია-ნიშნებს: „მეათე საუკუნემდის ქართული ენის ძეგლებში აღწერითი ფორმების ხმარება, რიგ შემთხვევაში მაინც, სტილიზაციის თავისებური გამოვ-

ლინება, არქაიზაციისაკენ ძველ საეკლესიო მწერალთა მიდრეკილების ნაყოფი ჩანს“ (ქავთარაძე, 1964:166). მაგრამ ფაქტია, ძველ ქართულშივე აღწერითი წარმოების ფორმები იცვლება ორგანულით. ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, მკვიდრდება ორგანული ფორმებით შეცვლის ტენდენცია. ეს არის ენის სტრუქტურის, ენის განვითარების, ენის სრულყოფის შინაგანი კანონზომიერების გამოხატულება: „ქართული ენის ისტორიის მასალების გაცნობა გვარწმუნებს, რომ აღწერითი წარმოების ფორმები იცვლება უფრო სხარტი და გამომეტყველი, მოქნილი და უნიფიცირებული ორგანული (სინთეზური) ზმნებით განვითარებული და განზოგადებული წესების შესაფერისად (ქავთარაძე, 1964:171).

აღწერითი ვნებითის ფორმები დასტურდება უძველესი წერილობითი ძეგლების ენაშივე, მაგრამ იხმარება სხვა, ჩვეულებრივი აღწერითი წარმოების ფორმათა მსგავსად. საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღწერითი ფორმები ანალიზური წარმოების ერთ–ერთ უძველეს სახეობად არის ჩათვლილი ორგანული წარმოების ფორმებთან შედარებით (ღვინაძე, 1989:268). ეს ფორმები მიჩნეულია იმ პერიოდის გადმონაშთად, როცა ენაში „ყველა ერთეული ლექსიკური იყო“ (ჩიქობავა, 1952:247).

აღწერით ვნებითად ითვლება წარსული დროის ვნებითი გვარის მიმდევობის ფუძითა და *იქნა, იქნეს* მეშველი ზმნებით შედგენილი კონსტრუქციები. იქნება ზმნასაც ამ ზმნათა რიგს აკუთვნებენ (შანიძე, 1953:435; ლ. კვაჭაძე, 1977:65). ამასთან დაკავშირებით თინათინ ღვინაძის აზრი ასეთია: „იქნება, იქნა მეშველზმნიანი ფორმები ერთ სიბრტყეზე ვერ განიხილება. იქნება მეშველზმნიანი ფორმა არ არის აღწერითი ვნებითი. იგი პასიური სემანტიკის მქონე ჩვეულებრივი აღწერითი ფორმაა (ღვინაძე, 1989:285–286). ეს კონსტრუქცია უნდა წარმოადგენდეს ორგანული ვნებითის პარადიგმის ნაწილს. უნდა შეესაბამებოდეს ორპირიანი აქტიური ზმნის კონვერსიულ ფორმას, შეიცავდეს ერთი მორფოლოგიური პირის გაგებას. თუმცა კონტექსტით ივარაუდება რეალურად მოქმედი პირიც, რომელიც ხშირად ფორმალურად არის გამოხატული —მიერ, —გან თანდებულიან ნათესაობით ან მოქმედებითი ბრუნვის ფორმით–ინსტრუმენტალისით (ღვინაძე, 1977:275).

აღწერითი ვნებითის ერთპირიანობაზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ა. შანიძე: „პერიფრასტული ვნებითი მარტოოდენ აბსოლუტურ ფორმებს გვაძლევს“ (შანიძე, 1953:4360).

საყურადღებოა ისიც, რომ ზოგჯერ ასეთი ფორმა კვალიფიცირებულია მიმდევობიან შედგენილ შემასმენლად, ხოლო *იქნა||იქნეს* ფორმები კი მის ზმნურ წევრად ნამყო ძირითადად და მყოფადში (ჩიქობავა, 1955:13).

ამგვარად, სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი ვნებითი ასეა დამახასიათებელი. ის იხმარება: 1. მხოლოდ აბსოლუტური გაგებით. 2. მხოლოდ მესამე პირში (არ აქვს I და II პირის ფორმები). 3. ოდენ მხოლოდ რიცხვში და 4. დრო-კილოთა მეორე ჯგუფში. აკლია I და III ჯგუფის ფორმები (დვინაძე, 1989:288).

აღწერილი ვნებითის ფორმაში ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა დაკავშირებულია მიმდებარესთან. გარდა ამისა, მიმდებარესთან გრამატიკული მნიშვნელობაცაა დაკავშირებული: ვნებითობა, დრო, ასპექტი. დამხმარე ზმნას კი გრამატიკული ფუნქცია აქვს. ნამყო ძირითადის *იქნა* ფორმა აღწერით ვნებითს აძლევს წარსული დროის, დასრულებული მოქმედების მნიშვნელობას, ხოლო *იქნეს* ფორმას მომავალი დროის გრამატიკული მნიშვნელობა უკავშირდება.

როგორც აღვნიშნეთ, აღწერილი ვნებითის ფორმები მრავლად გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითებს:

და ესე **იქმნა** ძალითა ღმრთისაჲთა საქმე **განსრულებული**. კონსტ. კახ. 138.

ესრეთ **სრულ იქმნა** წამებაჲ მათი ქრისტეს მიერ. გობრ. წ. 146.

გარნა ვერ **მკადრე იქმნა** წინაგანწყობად ორთავე მათ ბრძანებასა. სერ. ზარ. 668.

საუფლოთა მათოჲს... **გამოძიებულ იქმნა**. გ. მ. 127.

მის განზრახვითა **იქნა დაწყებული**. გრ. ხ. 568.

იქმნა დაწყნარებული ყოველი. სერ. ზარ. 671.

განტევებულ იქმნა საკრველთაგან ხორცთაჲსა. გ.მ. 140.

ფრიად **აღშენებულ იქმნა** ხილვითა და უბნობითა მისითა. გ.მ. 128.

სენითა მძაფრითა **შეპყრობილ იქმნა**... იო. და ექვ. ცხ. 25.

განთავისუფლებულ იქმნა საკრველთაგან ხორცთაჲსა. გ.მ. 141.

შეშინებულ და შეძრწუნებულ იქმნეს გულნი კაცთანი. დავ. და კონსტ. წ. 151.

სხვანი ვიეთნიმე შემდგომნი მათნი **შეპყრობილ იქმნეს**. დავ. და კონსტ. წ. 153.

დაჯერებულ იქმნეს იგინი სიხარულით. გრ. ხ. 573.

შეპყრობილ იქმნა წარმართთაგან. დავ. და კონსტ. წ. 159.

განძიებულ იქმნა მამისა გრიგოლისაგან. გრ. ხ. 613.

იქმნა სრულად **მორჩილ** სიტყვათა ჩემ გლახაკისათა. გრ. ხ. 602.

მართალია, ძველ ქართულში გვხვდება აღწერილი ვნებითის ფორმები, მაგრამ ისევ ძველ ქართულშივე ის იცვლება ორგანული წარმოებით. დღეს

კი, აღწერითი ვნებითის ფორმები დამკვიდრებულია ქართულში, განსაკუთრებით პრესის ენაში.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ლექსიკურ-სემანტიკური და ფორმობრივ-სტრუქტურული შეზღუდულობის მიუხედავად, აღწერითი ვნებითის ფორმები განიხილება, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის საქმიანი მეტყველების სტილისა და სამეცნიერო პუბლიცისტური სტილის დამახასიათებელ ერთ-ერთ აქტიურ სტრუქტურულ-გრამატიკულ საშუალებად: „ეს საშუალება ფუნქციურ სტილთა განმასხვავებელ ერთ-ერთ თავისებურებად უნდა გამოიყოს ისევე, როგორც საერთოდ ვნებითური კონსტრუქციებისათვის უპირატესობის მინიჭება ან პასიურობის აღწერითი წარმოება შედგენილი შემასმენლის სხვა სახეობებით (აშენებულია, აშენებული იყო, აშენებული იქნება“ (ღვინაძე, 1989:292).

აღწერითი ვნებითის ფორმები ხშირია თანამედროვე სალიტერატურო ენაში: „უკვე ისტორიულ ქართულშივე დასტურდება ასეთი ფორმები მორფოლოგიური ფუნქციით და შესამჩნევად ვრცელდება XIII საუკუნიდან ისტორიული პროზისა და დოკუმენტების ენაში“ (ქავთარაძე, 1964:167–168). მართალია, ორგანული ვნებითის ფორმებთან შედარებით აღწერითი ვნებითის ფორმები გრამატიკული შესაძლებლობებით გაცილებით ღარიბია, მაგრამ ისინი ორგანული წარმოების ზმნების ნაცვლად უფრო ხშირად გამოიყენება და ფაქტიურად ჟურნალ-გაზეთების, საქმიანი თუ ოფიციალური სტილის ენაში დამკვიდრდა. სამწერლობო ენასა და მეტყველებაშიც ხშირად ისმის: გაკეთებულ იქნა, გაცხადებულ იქნა, დაწერილ იქნა, გაფუჭებულ იქნა, მოწესრიგებულ იქნა, გამოცემულ იქნა, დაბეჭდილ იქნა, გადაცემულ იქნა, გაღებულ იქნა, მოკლულ იქნა, აშენებულ იქნა, გამოყოფილ იქნა, დაშლილ იქნა, მოხსნილ იქნა, შესრულებულ იქნა, ჩატარებულ იქნა, გაშენებულ იქნა, დაარსებულ იქნა, გაანალიზებულ იქნა, განზოგადებულ იქნა, განხორციელებულ იქნა, შემოწმებულ იქნა, დადგენილ იქნა... მაშინ, როცა ამ აღწერითი ფორმების ნაცვლად გვაქვს ორგანული წარმოება: გაკეთდა, გაცხადდა, დაიწერა, გაფუჭდა, მოწესრიგდა, გამოიცა, დაბეჭდა, გადაეცა, გაიღო, მოიკლა, აშენდა, გამოიყო, დაიშალა, მოიხსნა, შესრულდა, ჩატარდა, გაშენდა, დაარსდა, გაანალიზდა, განზოგადდა, შემოწმდა, დადგინდა...

როგორც ენახეთ, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში შეიმჩნევა ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესები. ჯერ კიდევ ძველ ქართულშივე მკვიდრდება ტენდენცია აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლისა, მაგრამ მეორე მხრივ, თანამედროვე სალიტერატურო ენასა და ჟურნალ-გაზეთების, საქმიანი, ოფიციალური, პუბლიცისტური სტილის ენაში მყარად ფეხმოკიდებულია აღწერითი ვნებითის ფორმები.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ამ უკანასკნელი პროცესისათვის შინაგანი მორფოლოგიური მიზეზებიც არსებობდა –ინიან ვნებითა და სათავისო ქცევის ფორმათა დამთხვევა ნამყო სრულში (აღმოიყვანა, იპოვა, მოკლა). ენაში გაჩნდა მათი გარჩევის მოთხოვნილება და ენის რესურსებიდანვე გამოიძებნა შესაფერისი ფორმა“ (ღვინაძე, 1989:269).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, აღწერითი ვნებითის ფორმებმა (ვნებითის ორგანული ფორმების მსგავსად) შესაძლებლობებისა და უკუქცევითობის ფუნქციათა გამოხატვაც იტვირთეს და ამდენად, სალიტერატურო ენაში არსებობის უფლებაც მოიპოვეს. ოღონდ აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენების ყველა შემთხვევა ვერ ჩაითვლება ერთნაირად გამართლებულად (ღვინაძე, 1989:269).

და მიუხედავად ამისა, მაინც ისმის კითხვა: რამდენად საჭიროა აღწერითი ფორმების გამოყენება, თუნდაც პრესის ენისათვის, როცა ენას შეუძლია ორგანული ფორმების წარმოება. ეს კი, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია ენის სიწმინდის დაცვის საკითხთანაც. „ენის სიწმინდის შენარჩუნება, ესაა დამკვიდრებული ლიტერატურული ენის ნორმების დაცვა. მისი დამახასიათებელი წესების, მართებული სიტყვებისა და გამოთქმების შესაბამისად ხმარება, ბუნებრივი წარმოთქმის გამოყენება (თოფურია, 1965:8). აღწერითი ვნებითის ფორმები კი ენის ბუნების გამომხატველი ნაკლებადია. ამასთანავე, ამ ფორმათა დამკვიდრებამ ხომ არ შეასუსტა ენის გამომსახველობითი ძალა.

ვნებითის ორგანული ფორმების ნაცვლად აღწერითი ვნებითის ფორმათა დამკვიდრების საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში მინიშნებულია, რომ „ძველი ვნებითის მოშლით ჩვენმა ენამ არამცირედი გამომხატველობითი უნარი დაკარგა. ერთი მხრივ, ორაზროვნება და ორჭოფობა გაქრა, მაგრამ მეორე მხრივ, დაგვეკარგა აგრეთვე (ინიანი) მარტივი, დიდი გამომსახველობითი ძალის ფორმები და მათ ნაცვლად შეგვრჩა არაეკონომიური აღწერითი ფორმები, რომლებიც ენას ამძიმებს“ (იმნაიშვილი, 1987: 90–91).

ანალოგიურად, ვნებითის აღწერითი ფორმები როგორც გრამატიკული, ისე სტილისტიკური თვალსაზრისით მიუღებელ ფორმებადაა მიჩნეული (შალამბერიძე, 1964:12).

აღნიშნულთან დაკავშირებით ა. შანიძის აზრი ასეთია: „პერიფრასტული ვნებითი ახალ ქართულში თანდათან იფართოვებს ხმარების არეს და ისეთ ზმნათაგანაც გვაქვს, რომლებიც ადვილად აწარმოებენ ვნებითს“ (შანიძე, 1953:304).

საყურადღებოა სხვა შენიშვნაც: „ბოლო ხანებში მონდომებით ავრცელებენ აღწერით ვნებითს: აღებულ იქნა, წადებულ იქნა, მოკლულ იქნა, აოხრებულ და განადგურებულ იქნა“ (თოფურია, 1965:105).

გასათვალისწინებელია ა. არაბულის შეხედულება. მისი აზრით, ენათა ურთიერთგავლენაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ შესაძლებელია განსხვავებული ენობრივი სისტემის ზეგავლენით მეორე ენამ უფრო ღრმა და მასშტაბური ცვლილებები განიცადოს. აღწერითი ფორმების გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უკვე აუცილებელ მოვლენად იქცა გარკვეულ სფეროში, მაგრამ უკეთესია მათ თავი ავარიდოთ იქ, სადაც ბუნებრივად შეიძლება ორგანულით ჩანაცვლება და გამოვიყენოთ აქტიური ფორმები (არაბული, 2004:246).

პრესის ენაზე დაყრდნობით თ. ღვინაძე აანალიზებს ვნებითის ფორმებს და გვთავაზობს დასკვნას: აღწერითი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის საჭირო გრამატიკულ-სტილისტური დანიშნულების მქონე ენობრივი ერთეულია. მასზე უარს ვერ იტყვის სალიტერატურო ენა ისევე, როგორც ვერ შეეღწევა იგი პასივის სხვა აღწერით ფორმებსაც. მაგრამ აღწერითი ვნებითის გამოყენების შეზღუდვა მაინც საჭიროა ისეთ კონტექსტებში, სადაც აქტიური ზმნების გამოყენება უფრო ბუნებრივია და შესაფერისი (ღვინაძე, 1989:293).

აღნიშნული ფორმები გრამატიკულ-სტილისტურ უხერხულობადაც არის შეფასებული სათანადო ლიტერატურაში: „ზოგჯერ ახალ ქართულში (უპირატესად ჟურნალ-გაზეთების ენაში) შეინიშნება გაუმართლებელი გატაცება ამ კატეგორიის გამოყენებაში, რაც საგრძნობ გრამატიკულ-სტილისტიკურ უხერხულობას იწვევს. შდრ. გარიცხულ იქნა ნაცვლად გაირიცხასი“ (ქავთარაძე, 1964:173). „თუ არ არსებობს აღწერით ფორმათა გამოყენების გრამატიკული საფუძველი მაშინ, ირღვევა ქართული ენის ფრაზის სისხარტე და დინამიკურობა“ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2013:179).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზემოთ წარმოდგენილი შეხედულება-შეფასებები ნათლად გვიჩვენებს, რომ ძველ ქართულშივე აღწერითი წარმოება იცვლება ორგანული ფორმით. თუმცა ენის განვითარების ისტორიაში შეინიშნება უკუ პროცესი – აღწერითი კონსტრუქციების მოჭარბება. განსაკუთრებით კი, საქმიანი მეტყველების, სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილის ენაში.

ვთვლით, რომ მიუხედავად აღწერითი ფორმების ფუნქციური სტილის განმასხვავებელ გრამატიკულ-სტილისტიკურ თუ სტრუქტურულ საშუალებად მიჩნევისა, აუცილებლად ესაჭიროება ენის ნორმათა თვალსაზრისით შეზღუდვა. სხვა საქმეა, როცა ასეთი კონსტრუქცია გამოიყენება ისეთ შემ-

თხვევებში, როცა ზმნას არ უხერხდება ორგანული ფორმების წარმოება, მაგრამ მათი გამოყენება უნდა შეიზღუდოს ისეთ შემთხვევებში, სადაც ზმნური ფორმის გამოყენება შესაძლებელია და ბუნებრივიც.

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღწერითი წარმოება შეიძლება გრამატიკულად იყოს განპირობებული. ეს მაშინ, როცა ზმნას საერთოდ არ მოეპოვება შესაბამისი ორგანული ვარიანტი, ან კიდევ მეორე სერიისათვის იყენებს აღწერითს. ზოგჯერ აღწერითი ფორმის გაჩენა განპირობებულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა დამთხვევითა და შესაბამისად, მათი გამიჯვნის აუცილებლობით. არის შემთხვევა, როცა აღწერითი ვნებითის ფორმაში სახელად ნაწილად რთული ან უცხო სიტყვისაგან ნაწარმოები მიმდგომის ფუძე გვხვდება, რის გამოც ორგანული წარმოება მოუხერხებელია. აღნიშნულ გამონაკლის შემთხვევებში ენა ვერ გაექცევა აღწერით კონსტრუქციებს.

ამდენად, აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენებას გარკვეული კანონზომიერება უნდა გააჩნდეს და არა ის, რომ ფართოდ გაედოს კარი და შესაბამისად, თავისუფლად დამკვიდრდეს ენაში. ასეთ შემთხვევაში აღწერითი ვნებითი უმართებულო, გრამატიკულად შეუპირობებელი წარმოებაა. ქართული აქტიური ბუნების ენაა, ქართულში ზმნა ფორმათა მრავალფეროვანი წარმოებით ხასიათდება და ორგანული წარმოების ზმნური ფორმებით სავსებით შესაძლებელია აზრის, სათქმელის მკაფიოდ, ნათლად გადმოცემა ისე, რომ ქართული ფრაზის ბუნებრიობა შენარჩუნდეს.

ფაქტია, პერიფრასტული ვნებითი თანდათან იფართოვებს გამოყენების არეს და ისეთ ზმნებთან გვაქვს, რომლებსაც ეწარმოებათ ორგანული წარმოების ვნებითები. აშკარაა, რომ არ ჩანს აღწერითი ფორმების საჭიროება და მაინც გამოყენებულია ის. ხშირია აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენების ისეთი შემთხვევები, როცა ზმნას შესაბამისი ორგანული დონიანი ფორმები თავისუფლად ეწარმოება, უპირატესობა კი აღწერით ფორმებს ენიჭება. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ ინიანი ვნებითისათვის სათავისო ქცევის ფორმებთან დამთხვევა შეიძლება ჩაითვალოს აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენების მიზეზად, დონიანისათვის ასეთი საფუძველი არ არსებობს. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ მათ ნაცვლად დონიანი ვნებითის ორგანული ფორმები გამოვიყენოთ. მომრავლებულია ასეთი ფორმები: განთავისუფლებული იქნა, გამომჟღავნებულ იქნა, შემოწმებულ იქნა, დასამარებულ იქნა, გაანალიზებულ იქნა, შესრულებულ იქნა, დაჯილდოებულ იქნა, წახალისებულ იქნა, განზოგადებულ იქნა, განხორციელებულ იქნა, განხორციელებულ იქნა, გადაადგილებულ იქნა, დამუშავებულ იქნა... აღნიშნულ აღწერით ფორმებს თავისუფლად ეწარმოება შესაბამისი დონიანი ვნებითები: განთავისუფლდა, გამომჟღავნდა, შემოწმდა,

დასამარდა, გაანალიზდა, შესრულდა, დაჯილდოვდა, წახალისდა, განზოგადდა, განხორციელდა, გადაადგილდა, დამუშავდა. ასეთ შემთხვევებში აღწერითი ფორმები არაბუნებრივი ჩანს და მსგავს ფორმებს ორგანული წარმოების ფორმების გამოყენება აჯობებდა და გრამატიკულადაც განპირობებულია. ორგანული ვნებითის ფორმებთან შედარებით აღწერითი ვნებითის ფორმები სემანტიკური შესაძლებლობებითაც გაცილებით ღარიბია.

ამგვარად, აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენება უნდა შეიზღუდოს და ქართული ენისათვის ბუნებრივი, ორგანული ვნებითის ფორმების ჩანაცვლება არ უნდა მოხდეს მაშინ, როცა ენა თავისუფლად აწარმოებს ორგანული ვნებითის ფორმებს და თან, ქართულში ვნებითი გვარი წარმოების მხრივ მრავალფეროვანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. ვ. თოფური, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
3. ი. იმნაიშვილი, კიდევ ერთხელ ვნებითი გვარის ზმნების თავისებურებათა შესახებ ძველ ქართულში, „აკაკი შანიძე-100“, თბ., 1987.
4. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
5. ივ. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბ., 1964.
6. თ. ღვინაძე, აღწერითი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IX, თბ., 1989.
7. გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1964.
8. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
9. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
10. ნ. ცეცხლაძე, მ. ხახუტაიშვილი, სტილისტიკა, თბ., 2013.

Describe passive voice in modern Georgian Language

Summary

In verbal root's conjunction descriptive form and organic gourd form's change in rather often fact in Georgian Language. Different kind of descriptive construction in translation and in the old Georgian original texts are same.

In works is represented similar form of some picture description and organic found of old and the following period of Georgian literature Language.

It's fact that in the old Georgian descriptive creating forms change to organic forms. On the other hand in the history of Georgian literature we can notice contrast process. It's necessary to limit using the forms. It was done, it was declared, or been done, has been declare which are same in Georgian Language.

მოდალურ წინადადებათა კონსტრუქციები ლაზურში

მოდალობის მიხედვით, ლაზურში წინადადებათა სამი ტიპი გამოიყოფა: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი. თითოეულ წინადადებას შეიძლება ახლდეს ესა თუ ის ემოციური იერი, ან გამოსატავდეს მთქმელის ძლიერ გრძნობას. ამის მიხედვით, დამატებით გამოიყოფა ძახილისა და კითხვით-ძახილის წინადადებები (კვაჭაძე, 1996, 41).

თხრობითი წინადადება. თხრობითი წინადადება გადმოგვცემს რაიმე ცნობას ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის შესახებ. თხრობითი წინადადებით გადმოცემული ფაქტი შეიძლება იყოს ნამდვილიცა და არანამდვილიც, ის ადასტურებს რასმე ან უარყოფს. მაგ.:

უსთაქ ოხორი დოკოდუ (ჩიქობავა, 2008, 244) ოსტატმა სახლი ააშენა. გუდა მოკიდერი გულვან (ჩიქობავა, 2008, 345). გუდააკიდებული დადიან, ქოთუმექ მაქვალი სქუმს (ჩიქობავა, 2008, 246) ქათამი კვერცხს დებს. დუღდა სქანის იწკედი (ჩიქობავა, 1929, 3) შენ საქმეს მიხედ. არ ზენგინი კოჩი ქორტულორენ (ყიფშიძე, 1939, 30) ერთი მდიდარი კაცი ყოფილა თურმე. ტეენ, ვა ტეენ, არ დივი ქორტერენ (ასათიანი, 1974, 54) ყოფილა, არ ყოფილა, ერთი დევი ყოფილა თურმე, არ ხინის უყოუნტეენ არ ჯოლოი დო არ მამული (კარტოზია, 1972, 18) ერთ მოხუც ქალს ყოლია ძაღლი და ერთი მამალი. ორჭარი ნოლაშა ქაგეხთუ დო დუქანის ნჯუმუ ქოძირუ (ქლენტი, 1938,6) ორჭელი ქალაქში ჩავიდა და დუქანში მარილი დინახა.

თხრობით წინადადებაში სიტყვათა განლაგება თავისუფალია და წინადადების ინტონაცია აღმავალ-დადმავალია. თხრობითი წინადადება მთავრდება დაბალი ინტონაციით (ახვლედიანი, 1949, 139).

კითხვითი წინადადება. კითხვითი წინადადება შეიცავს კითხვას და მისი მიზანია მოუბარმა მიიღოს თანამოსაუბრისაგან მისთვის საჭირო ახალი ინფორმაცია, დაადასტუროს ან უარყოს კითხვითი წინადადებით გამოთქმული აზრი (კვაჭაძე, 1996, 43). ლაზურში კითხვითი წინადადების გამოსატვის საშუალებებია:

1. კითხვითი ნაცვალსახელები: მი? „ვინ“, მუ? „რა“? ნამუ? ნადა? „რომელი“, მუფერი? „რაფერი“?, როგორი? „მუკო“, ნაკო? „რამდენი“?

2. კითხვითი ზმნისართები: სო? „სად“?, მუნდეს? „როდის“, მუჭო? „როგორ“, მუშენი? „რატომ? სოქადა? „სანამდეს“?

3. კითხვითი ნაწილაკები: ხოშ „ხოშ“ თურქულიდანაა შეთვისებული. ვარი? „არა“?

4. –ი ნაწილაკიანი კითხვითი წინადადება. –ი ნაწილაკი ძველ ქართულში არსებული ა–სა და მეგრულში ო–ს შესატყვისია.

მაშასადამე, კითხვით წინადადებაში გამოიყოფა ა) კითხვითსიტყვიანი და ბ) კითხვით ნაწილაკიანი წინადადებები.

სი მი ოლლი გიწუმელან (ჩიქობავა, 1936, 3) შენ ვინ გვარისა ხარ (გეუბნებიან, გეძახიან). სი მუ გჯოხონს შენ რა გქვია? (ჩიქობავა, 1936, 3). უნივერსიტეტის ღაზური მიქ დოგურამს (ქლენტი, 1938, 13) უნივერსიტეტში ღაზურს ვინ ასწავლის. აქ მუ იქიბ–და? (კარტოზია, 1993, 4) აქ რას აკეთებო? ვ მუ კადმეთი რენ? (ქლენტი, 1938:8) რა უბედურებაა? ამუს მუ ჯოხონს? (ყიფშიძე, 1939, 18) ამას რა ქვია? ნამუ რენ სქან ოხორი? (სარგ. მეტყ.) რომელია შენი სახელი? ნადა ტუ ჯუმა სქანი? (სარგ. მეტყ.) რომელი იყო შენი ძმა? სი მუფერი კოჩი რე? (ჩიქობავა, 1929, 7) შენ როგორი (რაფერი) კაცი ხარ? მუფერი ჩხოში ტუ? (ჩიქობავა, 1938, 5) როგორი თევზი იყო? მუფერი შერი ენ–და? (ჩიქობავა, 1936, 22) როგორი რამე არისო? სი ნაკო წანერი ტი? (ქლენტი, 1938, 12) შენ რამდენი წლის იყავი? სი მუკო ჯუმა გიყონ? (სარგ. მეტყ.) შენ რამდენი ძმა გყავს?

სო მონჯირაფ? (ყიფშიძე, 1939, 17) სად დამაძინებ? სო დიბადი? (ქლენტი, 1938,12) სად დაიბადე? მუნდეს უკიბლასინონ? (ყიფშიძე, 1939, როდის უნდა შეგროვდეს? მუნდეს ბღურარე? (ჩიქობავა, 1936, 8) როდის უნდა მოგვადე? მუჭო რენ ბაბა სქანი? (სარგ. მეტყ.) როგორ არის მამაშენი? დოდრუ მიწვი–მუჭო გალოდუ? (სიქობავა, 2008, 248) მართალი მითხარი–როგორ მოგივიდა! მუჭო რეთ, მუ იქიფთ (სარგ. მეტყ.) როგორ ხართ, რას აკეთებთ? მუშენი წანადანის ოხორეფე ფაღუფთ? (ყიფშიძე, 1939, 7) ახალ წელს სახლებს რატომ (რაისთვის) ასუფთავებთ? სი მუშენ იმტერ? (ჩიქობავა, 1936, 27) შენ რატომ გარბიხარ? სი სოქაღა გამტინენ? (სარგ. მეტყ.) შენ სანამდე გაიქცევი?

მოშვაჯინუშა ხოშ იდაგინონ? (სარგ. მეტყ.) დასასვენებლად ხომ უნდა წახვიდე? გიარი ხოშ გინონ (სარგ. მეტყ.) საჭმელი ხომ გინდა? ქომოხთუ ვარი? (სარგ. მეტყ.) მოვიდა არა?

ჰაწი ვიწური გიწვა–ი? (ჩიქობავა, 1936, 9) ახლა ვიწურად გითხრა? აჩქვა მუნ ორენ გიჩქინ–ი? ახლა რა არის იცი? (ქლენტი, 1938, 3). ა–ნდას მუ მალოდუ, ქოგიჩქინ–ი? (ყიფშიძე, 1939, 55) დღეს რა მომივიდა, იცი? ცონა თქვანის ნკოლი ქორენ–ი? (ქლენტი, 1938, 6) თქვენს ყანაში კალია არის? ღაზუტი მუინტუ–ი? (ჩიქობავა, 2008, 246) სიმიინდი დამწიფდა?

ბრძანებითი წინადადება. ბრძანებითი წინადადება გამოხატავს მოქმედის, პირველი პირის ნება-სურვილს, რომლის შესრულებასაც ის ავალებს მისამართ პირს (კვაჭაძე, 1996, 53). აგრეთვე, ბრძანებითია მაშინაც, როცა იგი გადმოცემულია ხვეწნით, მუდართ და ა.შ. ბრძანებითი წინადადებისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის ინტონაცია, რომელიც იცვლება იმის მიხედვით, გამოხატავს იგი კატეგორიულ ბრძანებას, თხოვნას თუ ხვეწნას (კიზირია, 1982, 67).

ბრძანებითი წინადადების შემასმენელი ბრძანებითი კილოს ფორმაა, რომელსაც გამოხატავს მბრძანებელი და შემსრულებელი. პირველი პირის სურვილის შემსრულებელი შეიძლება იყოს მეორე და მესამე პირი. პირველ პირს შეიძლება მაშინ ებრძანოს, როდესაც ფორმა მრავლობითი რიცხვისაა. ე.ი. შემასმენლად ბრძანებითის წინადადებაში გვაქვს მეორე და მესამე პირის ფორმები და მრავლობითი რიცხვის ყველა პირისა (შანიძე, 1973, 206).

ბრძანებითი წინადადება ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი.

წართქმითია წინადადება, როდესაც პირველი პირი ზმნა-შემასმენლის გამოხატული მოქმედების შესრულებას მოითხოვს მისამართი პირისაგან.

არ ხოჯეფე ქოლოდგინი! (ჩიქობავა, 1936, 5) ერთი ხარები გააჩერე! სი ნოსი ვარ გიღუნ! (ჩიქობავა, შენ ჭკუა არა გაქვს! 1936, 21) ჭამი ქოლომოგური! (ყიფშიძე, 1939, წამალი მასწავლე! 13), კინჩი, სო ულურ, აჰა სკანი დოვა! (ყიფშიძე, 1939, 17) ჩიტო, სად მიდიხარ, ჰა შენი ბუდე! ნეკნა გონწი! (უღენტო, 1938, 8) კარი გააღე! ჰექ მოთ ხე, ფიცარის ჟინ დოხედი! (ჩიქობავა, 2008, 245) იქ რატომ ზიხარ, ფიცარზე დაჯექი!

უკუთქმითი ბრძანებითი წინადადება, რომლითაც პირველი პირი მისამართ პირს უკრძალავს ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების შესრულებას. ასეთ ბრძანებითს აკრძალვით ეძახიან (კვაჭაძე, 1996, 53).

ღაზურში უკუთქმითი ბრძანებითის ფორმათა საწარმოებლად გამოიყენება ნაწილაკები: ვა (რ) „არ“, მო „ნუ“.

მო ჭარუმ! (ჩიქობავა, 1936, 22) ნუ წერ! სი ნოსი ვარ გიღუნ! (ჩიქობავა, 1936, 21) შენ ჭკუა არა გაქვს! ოხორიშა ვარ მოხთა! (სარფ. მეტყ.) სახლში არ მოხვიდე! ვაქითი მო ოჩქუმერ! (სარფ. მეტყ.) დრო ნუ მიგყავს!

ბრძანებით წინადადებას სხვადასხვა ელფერი ახლავს. ამა თუ იმ ელფერს გამოხატვის ძირითადი საშუალება, გარდა ზმნის ფორმებისა და დამხმარე სიტყვებისა, ინტონაცია წარმოადგენს. ბრძანებითი წინადადების ინტონაცია მრავალფეროვანია და იგი გამოხატავს: საკუთრივ ბრძანებას, მოწოდებას, წაქეზება-გამხნელებას, თხოვნას, ხვეწნა-მუდარას, დალოცვას, წყევლას, მოწვევა-მიპატიუებას, მისალმებას.

ბრძანებითი კილოს ფორმა პირველი პირისა ინკლუზიურია; ექსკლუზიურია, თუ ზმნის ფორმა პირველი ობიექტურ პირისა მრავლობითშია.

მოდალურ წინადადებებს მეტ-ნაკლებად შეიძლება ახლდეს მთქმელის ესა თუ ის ემოცია, გრძნობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ბრძანებითი წინადადება.

ემოციური წინადადებისათვის დამახასიათებელია ემოციურობა, რომლის ხარისხი შეესაბამება სათანადო განცდებს (კიზირია, 1982, 68). ემოციური წინადადება გამოხატავს: 1. კმაყოფილებას, სიხარულს, აღტაცებას, მოწონებას: ო, სი კაი კოჩი დე! ოჰო, შენ კაი კაცი ხარ? 2. ნატვრას, სურვილს: ე, ორდო დოთანატუ! ნეტა, მალე გათენდებოდეს. 3. დანანებას, სიბრაღულს: ვახ, მუ მადოდუ! ახ, რა მომივიდა! 4. აღშფოთებას: ემუში კოჩობას მუ ვუწვა! იმის კაცობას რა ვუთხარი!

ამ ტიპის წინადადებებში, რომელიც ძახილის წინადადებით არის ცნობილი გამოიყენება შორისდებულები, სპეციალური სიტყვები და ნაწილაკები. გამოიყენება კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნიზედები, რომლებსაც შეცვლილი აქვთ ძირითადი მნიშვნელობა, გამოხატავენ ამა თუ იმ ემოციურ იერს და არა კითხვას.

ემოციურ წინადადებას ახლავს კითხვაც, ის კითხვით-ძახილის წინადადებითაა ცნობილი: ჩქინ მუ კაბაეთი მიდუნან, ვა მიჩქინ?! ჩვენ რა ბრალი გვაქვს, არ ვიცით?! ემუქ დომპილუფს-ი მან?! ის მომკლავს მე?!

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვაჭაძე 1996: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996
2. ახვლედიანი 1949: გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბ., 1949.
3. კიზირია 1982: ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.
4. შანიძე 1973: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

წყაროები

1. ჩიქობავა 2008: არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. 3. თბ., 2008.
2. ყიფშიძე 1939: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბ., 1939.
3. ულენტი 1938: ს. ულენტი, ჭანური ტექსტები, თბ., 1938.
4. კარტოზია 1972: გ. კარტოზია, ღაზური ტექსტები, თბ., 1972.
5. ასათიანი 1974: ი. ასათიანი, ჭანური (ღაზური) ტექსტები, თბ., 1974.
6. ჩიქობავა 1936: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

7. კარტოზია 1993: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, თბ., 1993.
8. ჩიქობავა 1929: არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, თბ., 1929.
9. სარგ. მეტევე.: სარგის მეტეველება.

Omar Memishishi

Modal Sentences Construction in Lazuri

Summary

According to modality, there are three kinds of sentences in Lazuri: declarative, imperative, interrogative. Declarative sentences make a statement. They express facts and events, confirm or deny something.

The aim of interrogative sentences is to give the speaker new information. The interrogative sentence contains a question that is expressed with question pronouns, question adverbials and question particles.

The imperative sentence demands from the second person to perform the will of the one, who is the author of that sentence.

რაჭული „ქვე“-სა და ზანური „ქო“-ს ურთიმართმიმართებისათვის

ქართული ენის დასავლურ კილოებში ზანურის პლასტები დღესაც რელიეფურად ვლინდება როგორც ფონეტიკასა და გრამატიკაში, ისე ლექსიკაში. მათ გამოვლინებასა და მეცნიერულ ანალიზს უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტებისა და, საერთოდ, ქართველური ენების შესწავლისათვის.

ქვემოთ ჩვენ შევეხებით რაჭული „ქვე“-სა და ზანური „ქო“-ს ურთიმართმიმართების საკითხს.

ქვე- ნაწილაკი, დამახასიათებელი მთლიანად რაჭულისათვის და ხევსურულისათვის, წარმოდგენილია ქვემორაჭულშიც, ოღონდ „ქე“-ს სახით (ქე წაიყვანა, ქეც დაღამდა... (ძიძიგური შ., 1955: 240). ქვე გვხვდება იმერულსა და გურულშიც (ფენრიხი, სარეველაძე, 2000: 492).

თავდაპირველად განვიხილოთ, თუ რა ფუნქცია აკისრია „ქვე“ და „ქო“ ნაწილაკებს ზემოთ დასახელებულ დიალექტებში. პ. ხუბუტია წერს, რომ „წ“ ნაწილაკისათვის მთათუშურში (ხუბუტია პ., 1941), აღნიშნავს, რომ „წ“ თუშურში დადასტურებას, დამტკიცებას გამოხატავს, ისევე როგორც ხევსურულსა და რაჭულში „ქვე“, სხვა დასავლურ კილოებში „ქე“-ან „ქი“ მეგრულში „ქო“ და სვანურში „ჩუ“ (ძიძიგური შ., 1955: 19).

ირკვევა, რომ „ქვე“ და „ქო“-ჩვენთვის საინტერესო კილოებში დადასტურებას, დამტკიცებას გამოხატავს, ეს რომ ასეა, ამას გვიდასტურებს შ. ძიძიგურიც ზემოთ დასახელებულ ნაშრომში: თერჯოლურ მეტყველებას ახასიათებს დადასტურების ფუნქციით წინადადებაში „ქვე“-სა და „ქე“-ს გამოყენება: „ხალათები ქე წამეიღო“, „იმან ქე (ქვე) დაარიგაყე ბიჭები“, „თვითან ქე ჩამევიდა სიდან“, „მგელი ქვე უწევს ნახნავში“, „ქე მომადგე ამ შუაღამეში“. უნდა ითქვას, რომ „ქვე“-ს გამო ენების ინტენსივობა სუსტდება, ხოლო „ქე“ გაბატონებულია (იქვე, 1955: 147).

დადასტურებითი შინაარსი აკისრია აგრეთვე „ქვე“ ნაწილაკს შემდეგ მაგალითებში: „ე ცოლი ქე მეემართა ლეკურით“, „უკანასკნელი,

ერთი შვიდამდი მაინც ქვე იყო მღვდელი“, „ერთი ქვე გეიძიძგნა“, „ი, ძმებმა ქვე იცოდნენ მისი სისუსტე, მარა...“, „ქვე კი არ ჭამენ გელუანები“, „მე ქვეც ვატყობდი“. ამის გვერდით, იხმარება გამარტივებული სახე „ქვე“-სი ქე: „უკეთ ქე ვიყავით“, „ქე რა უნდოდა“, „ადგა და ქე გადაკრა ღუნო“ (იქვე, 1955: 171). „ქე“-ს პარალელურად ქვემოიმერეთსა და გურიაში გვხვდება „ქი“-ც: „ქი მეიტანა პური“.

„ქვე“ და „ქე“ პარალელურად იხმარება. ასეთი პარალელიზმი საინტერესოა მათი გენეტიკური ურთიერთობის გასარკვევად და, ამავე დროს, „ქვე“-ს დაკარგვისა (მივიწეებისა) და „ქე“-ს გავრცელების ფაქტის დასადგენად. როგორც ცნობილია, იმ კილოში, სადაც „ქვე“-ა გავრცელებული (ხევსურული, ზემო და მთარაჭული), „ქე“ არ გვხვდება და პირიქით, იქ სადაც „ქე“-ა გავრცელებული (ქვემოიმერული, გურული, აჭარული), „ქვე“ ამჟამად აღარ იხმარება. ეს გარდამავლობა დაუცავს იმერულ დიალექტს და ამ მხრივ მის გვერდით უნდა მოვიხსენიოთ ქვემოთაჭულის ის სექტორი, რომელიც გეოგრაფიულად მოსაზღვრეა იმერეთისა. რაც შეეხება „ქი“-ს, მისი გავრცელების არეა ქვემოიმერეთი და გურია.

საყურადღებოა მეგრულში პრევერბისეული თუ ნაწილაკისეული „ო“-ს გადასვლა გ-ში (როგაგა გ, 1962: 32).

ქო → გ

ქოროთ ქო-მო-რო-თ-უ („ქე“ მოვიდა“

ქოძირე ქო-მ-ძირ-უ („ქე“ მიიგენა“

ქლოხოლე ქო-დო-ხოლე-უ („ქე“ დაჯდა“

ქლაღოხოლე ქო-მუ-ლა-დო-ხოლე („ქე“ დაადგნენ შიგ“, (იქვე, 36-38).

ზანურის „გ“ ბგერის საკითხს პირველად შეეხო ალ. ცაგარელი. მკვლევარს სწორად აქვს შენიშნული რომ გ ხმოვანი მეგრულში დამახასიათებელია არსებითად სამურზაყანოსა და ზუგდიდის მაზრის მცხოვრებთა მეტყველებისათვის, ხოლო სენაკის მაზრაში იგი უფრო იშვიათად იხმარება. ეს ხმოვანი მას მეგრულის ძირითად ბეგარდ აქვს გაგებული. ალ. ცაგარელის დაკვირვებით, „გ“ იძლევა უ, ი, ე, ო რეფლექსებს: გ→ო ქმორთე „კი მოვიდა“ (ცაგარელი ალ., 1880: 17-18). ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგში მოსაზრებები შეიცვალა.

ი. ყიფშიძე, ისევე როგორც ალ. ცაგარელი, გ ხმოვანს თვლიდა ნახევარხმოვნად, იგი ამ ხმოვანს ძირითად ბეგრად მიიჩნევდა (ყიფშიძე ი., 1914: 012).

სვანურის „გ“ ხმოვანი ა. შანიძეს შეტანილი აქვს თითქოს ძირითად ხმოვანთა რიგში (ა, ე, ი, ო, უ, გ), მაგრამ იქვე, სქოლიოში, მიუთითებს:

გ ხმოვნის ძირითად ხმოვნად მიჩნევა შეიძლება საცილობელიც იყოსო.

მეორეულად აქვს მოაზრებული „გ“ ხმოვანი ზანურის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში არნ. ჩიქობავას. „ჭანურისაგან განსხვავებით, წერს იგი, მეგრულს გააჩნია „გ“ ნახევარხმოვანი, მიღებული „ი“-სა და „უ“-ს (ზოგჯერ „ო“-ს) დასუსტებით: გგრნი → გირინი „ვირი“, კენტერი კინტირი „კიტრი“, თერი → თირი „თოვლი“, ქმორთუ „ქვემოვიდა“ (შდრ. ყან. ქომოხთუ „კი მოვიდა“ და სხვა (როგავა გ, 1962: 9).

ირაციონალური ბგერის „გ“ აღაგას ქართულში გვხვდება ი, თუმცა ეს „გ“ ნახევარხმოვანს მიაგავს, მაგრამ იგი სიტყვაში ნამდვილი ხმოვნის როლს ასრულებს: იგი მარტო ერთ თანხმოვანთანაც ქმნის მთელ სიტყვას, ან სიტყვის მარცვალს: ზან. გგავს, ძძევს; წვწელს (ამ წელიწადს); ჩქჩვენ (ჭარაია პ., 1997: 30-31).

ქმო-რთ-გ←ქო-მო-რთ-უ ←„ქე“ მოვიდა ←„ქე“ მოვიდა ფონეტიკური ურთიერთობისათვის იხ. ჭარაია პ., 1997: 219. შდრ.: მეგრ. ო=ქართ. ე, ასე მაგ.: ოზე=ეზო, მეძობარი=მეძებარი, კიბო=კიბე.

ზანურში დადასტურებით ნაწილაკ „ქო“-ს გარდა სხვა ამგვარი დანიშნულების ნაწილაკი არ გვხვდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. როგავა გ., 1962 — გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.
2. ყიფშიძე ი., 1914 — Кипшидзе И., Грамматика мингрельского языка, С.-Пб., 1914.
3. ჩიქობავა არნ., 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
4. ცაგარელი ალ., 1880 — Ал. Цагарели, Мингрельские этюды; вып. II, С.-Пб., 1880.
5. ძიძიგური შ., 1955 — შ. ძიძიგური, ძივბანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., I, 1955.
6. ჭარაია პ., 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.
7. ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 — პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

For the Interrelations of Rachvelian “*qve-*” and Zanian “*qo-*”

Summary

The article deals with the issue of interrelation of Rachvelian “*qve-*” and Zanian “*qo-*”. As it is clear from the research, Rachvelian “*qve-*” and Zanian “*qo-*” are dialect changeable variants: “*q mortu – qve movida*”. “*Qve*”, “*qe*” and “*qi*” confirmed in western dialects and Zanian “*qo*” are one and the same in terms of materials as well as functions. In Zanian, except the agreement particle “*qo*” there are no other particles with the same meaning.

ლტოლვილი ჩონგური

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ მკითხველს მიაწოდა ქართული პოეზიის საინტერესო შენაკადი – უცხოეთში მცხოვრები, კერძოდ, საბჭოთა პერიოდში ევროპასა და ამერიკაში საქართველოდან გადახვეწილი ქართველი პოეტების მიერ უცხოეთში შექმნილი ლექსების ანთოლოგია, რომელშიც შევიდა ასევე ირანსა და თურქეთში მცხოვრები ქართველებისა და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ქართველი ებრაელების პოეტური ნიმუშები. იგი გამოსაცემად მოამზადეს ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო მკვლევარმა აკადემიკოსმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა და პროფესორმა ნესტან კუტივაძემ.

ანთოლოგიას პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილის წინათქმასთან ერთად ერთვის მისივე გამოკვლევები „ემიგრანტ მწერალთა როლისა და ადგილისათვის ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, „საბჭოთა პერიოდში ევროპასა და ამერიკაში მოღვაწე ქართველი ემიგრანტი პოეტები“, რომელშიც წარმოდგენილია მდიდარი და მრავალფეროვანი ინფორმაცია ევროპასა და ამერიკაში დაარსებულ ჟურნალ-გაზეთების შესახებ, როგორიცაა გაზეთები - „საქართველო“, „ახალი საქართველო“, „ქართული გაზეთი“, „თეთრი გიორგი“, „მამულიშვილი“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „საქართველო“, „მუ ზარადი“, „ბროლის ხმა“, „კლდე“, „მომავალი“ და ჟურნალები „თავისუფალი საქართველო“, „ახალი ივერია“, „კავკასიონი“, „მხედარი“, „ქართლოსი“, „კავკასია“, „ბედი ქართლისა“ და სხვა. გაანალიზებულია მათი პერიოდულობა, დამფუძნებელთა და თანამშრომელთა ღვაწლი. აქვეა მოკლე ეტიუდები გრიგოლ რობაქიძის, აკაკი პაპავას, სიმონ ბერეჟიანის, გიორგი ყიფიანის, გიორგი გამყრელიძის, გივი კობახიძის, ახმედ მელაშვილის და სხვათა შესახებ. ინტერესით იკითხება „მუჰაჯირთა ტრაგიკული ხვედრის პოეტური გამოვლინებანი.“ უთუოდ მნიშვნელოვანია „გურჯული ვაიზის“ კომენტარები, „ქართულენოვანი პოეზია ისრაელში“ და სხვა. მათ შესახებ კომენტარებს აღარ განვაგრძობ. მინდა მეტი დრო ანთოლოგიაში წარმოდგენილ ავტორთა პოეტურ ნიმუშებს დავუთო. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ანთოლოგიას ბოლოში ერთვის ავტორთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობარი.

ანთოლოგიაში წარმოდგენილია ევროპასა და ამერიკაში ემიგრირებული 29 ავტორი, რომელთაგან საქართველოში ყველაზე უფრო რეიტინგულია გრიგოლ რობაქიძე. ამ ავტორთა უმეტესობა 1917-1921 წლების ისტორიულ მოვლენებისა და 1924 წლის ცნობილი აჯანყების მონაწილენი არიან. მათი უცხოეთში გადახვეწა სწორედ ამ მოვლენების გამოისობითაა გაპირობებული. იყო სხვა მოტივები და გარემოებებიც.

მე მთლიანად ვიზიარებ და არაერთხელ დამიფიქსირებია ჩემს ნაწერებში მკვლევართა მოსაზრებები, რომ XX საუკუნის ემიგრანტული ქართული პოეზიის ნიმუშები მხარს ვერ უსწორებენ ჩვენი პოეტური კულტურის ზოგად მიღწევებს. თვით გრიგოლ რობაქიძემაც კი, რომელიც სხენებული საუკუნის 20-იან წლებში საკმაოდ აღიარებულ მწერლად ითვლებოდა, ემიგრაციაში ყოფნისას, მაღალმხატვრული ვერაფერი შექმნა. ანთოლოგიაში შეტანილი მისი ხუთი ლექსი ფერმკრთალად გამოიყურება საქართველოში შექმნილ მისსავე ნიმუშებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტია.

1943 წელს დაწერილია გრიგოლ რობაქიძის ლექსი „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“, რომელმაც აკაკი წერეთელი გამახსენა. მასში გამოხატულია ომში წასული მებრძოლის დედის დარდი და ვარაძი. მსგავსი მოტივები ჩვენს პოეზიაში არახალია. აქ დაწინაურდა სიმონ ჩიქოვანის ბრწყინვალე ლექსი „ქართლის დედა“, რომელიც ასევე მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიწერა. სხვა ლექსებში, როგორც თითქმის ყველა ემიგრანტი პოეტის ნაწერებშია, „მშობელი მიწის“ ტკივილია დაფიქსირებული.

მეორე მსოფლიო ომის წლებში დასავლელ ავტორებს გრიგოლ რობაქიძე დიდების კვარცხლბეკზე აჟავდათ, მაგრამ ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, იგი იქ აღარავის აინტერესებს. „კარდუს“ ავტორი აკაკი ბაქრაძე ამბობს, გრიგოლ რობაქიძე „გარიყა ევროპულმა კულტურულმა ცხოვრებამ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი ევროპული სინამდვილისათვის უცხო და მიუღებელი გამოდგა მწერლის შემოქმედება. მისი სახელი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა.“ ასე ხდება იქ, ევროპაში, მაგრამ სამშობლო, როგორადაც გაორებული არ უნდა იყოს, მის სახელს შეინახავს.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გიორგი ყიფიანის ლექსმა „სტალინი“, ცხადია, ლექსთწყობითა და პროფესიული გამომსახველობით, რაც მის და სხვა ავტორთა ლექსებში არცთუ ისე სანიმუშოა.

საერთოდ, ანთოლოგიაში წარმოდგენილ და ემიგრანტთა სხვა ლექსებშიც საბჭოთა თემატიკა თითქმის ანტიიდეოლოგიურ ჭრილშია წარმოდგენილი.

გიორგი ყიფიანიც ამ პოზიციიდან გვისაბუთებს სტალინის პორტრეტს. თუმცაღა საზგასმულია მისი პიროვნული ძალმოსილება: „შენ ლეგენდა ხარ, გრიგალებში გაუგონარი, პოლიუსებზე დაბჯენილი მაგარი ჩექმით, მსოფლიო ტახტზე აყვანილი ქართული გვარი, წითელი ქვეყნის უღმობელი, მრისხანე ღმერთი.“ მიმაჩნია, რომ „მრისხანე ღმერთი“ კარგად მიგნებული მეტაფორაა.

უთუოდ საინტერესო ლიტერატურული ფაქტია აკაკი პაპავას ლექსი „მეფე სოლომონ მეორეს საფლავთან“. მნიშვნელოვანი მეტაფორული მიგნებებია სიმონ ბერეჟიანის ლექსში „მგოსანი.“ იგი ეხმიანება და აგებს ანთოლოგიაში წარმოდგენილი პოეტური სახეების საერთო განწყობილებას: „ვარ ჩემი ქვეყნის გულმხურვალე ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო, თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დემტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო.“

ანთოლოგიაში წარმოდგენილია ევროპასა და აზიაში მოღვაწე 29 ავტორის პოეტური ნიმუშები, რომელთაგან გამოვეყოფ შალვა ამირეჯიბის ერთ ლექსს, რომელიც ჟურნალ „კავკასიონიდანაა“ გადმობეჭდილი. აქ უაღრესად საინტერესო პოეტური სახე-სიმბოლოებია დახატული. პოეტურობით გამოირჩევა გიორგი გამყრელიძის ლექსები, რომელთა შესახებ აქ აღარ ვისაუბრებ, რადგან ამ პოეტის პოეზიაზე ვაპირებ ცალკე სტატიის დაწერას.

ცალკე საუბრის თემაა ასევე 1971 წლიდან ამერიკაში მცხოვრები ქართველი პოეტის დოდონა კიზირიას ლექსები. ქალბატონი დოდონა ფილოსოფიის დოქტორია და გარდა ლექსებისა, წერს საინტერესო ესეებს კულტურულოგიის თემებზე. იგი, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო თანამედროვე პოეტია თემატიკური სიახლეებითა და გამომსახველობითი საშუალებებითაც. ერთნაირად ფლობს კონვენციური ლექსის ტექნიკას, თავისუფალ ლექსსაც და ე.წ. ვერლიბრსაც. რომ არა ის ხანგრძლივი განუკითხაობა და ქაოსი, რაც ჩვენს მწერლობაში მეოთხე საუკუნეა სუფევს, ცხადია, მეტ ყურადღებასა და დაფასებას იმსახურებს.

ანთოლოგიაში წარმოდგენილია თურქეთელ ქართველთა პოეტური შემოქმედება. მათ შორის ზოგი მუჰაჯირია და ზოგიც მუჰაჯირთა შთამომავალი. ნური თავდგირიძე, როგორც პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი შენიშნავს, - ბედნიერი გამონაკლისია, რომლის ლექსები პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ მოიძია და გამოაქვეყნა. მე მათ „ზულფიეს სკივრში შემონახული ლექსები“ ვუწოდებ. ზულფიე ნური თავდგირიძის ქალიშვილია. იგი მცირეწლოვანი იყო, როცა მამამ დედასთან დატოვა და მუჰაჯირად წავიდა. მუჰაჯირი პოეტი შემდგომ თავის ლექსებს სწორედ მას უგზავნიდა, იმ იმედით, რომ იგი ყველაზე უკეთ შეინახავდა, ერთ-ერთ ლექსში წერს

კიდევ – „ჩემი ლექსები, ვიცი, მუშაობენ იმდენად, მათ შეინახავს უბეში ჩემი ზუღფიეს სკივრი.“ ზუღფიე, როგორც უკვე ვთქვი, ნური თავდგირიძის აქ დარჩენილი ქალიშვილი და მკვლევარ შუშანა ფუტკარაძის ბებიაა (დედის დედა). სწორედ, რომ ზუღფიეს სკივრის საგანძური პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ გამოამზეურა. ანთოლოგიაში წარმოდგენილი ლექსები გამოირჩევა მეტაფორულობით, თუმცა თვალშისაცემია დიალექტები და ამ დიალექტებში გაბატონებული თურქიზმები.

ანთოლოგიაში დაბეჭდილია ასევე ეშრეფ ილმაზის (მახარაძე), ჯეირან ლაღელშის, სულეიმან ინოღლუს (ინაიშვილი), ახმედ მელაშვილის, თაჰსინ საიგოლის (ბეჟანიძე), ქაზიმ უნარის (დავითაძე), ბაიარ შაჰინ ქონდარიძის, ფარნა-ბექა ჩილაშვილის ლექსები, რომელთა ლაიტმოტივია მშობლიური გარემოს და მისი მიწა-წყლის მონატრება. ჩამოთვლილ ავტორთა შორის, პროფესიულობით გამოირჩევა ფარნა-ბექა ჩილაშვილი.

ცალკე განყოფილებააა წარმოდგენილი ფერეიდნელ ქართველთა ლექსები. ემამყულიბათავანის (ნიკოლოზ ბარათაშვილი), ალექსანდრე დავითაშვილის, რეზი დავითაშვილის, ალიმარდან იოსელიანის, მეჰდი ლა-ჩილაშვილის, საიდ მოყადასის (სეფაშვილი), ხოსრო მოყადასის (სეფაშვილი), საიდ მუღიანის (მოლაშვილი), ხასან ალი რაჰიმის, მეჰდი სეფიანის, ლადო სეფიაშვილის, მოჰსენ ხუციშვილის ლექსებს აერთიანებს სამშობლოს მონატრება და ტკივილიანი წარსულის ნაკვალევი.

რაც შეეხება ისრაელსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ებრაელი პოეტების ლექსებს, ქართველი მკითხველი ბევრ მათგანს სხვა გამოცემებითაც იცნობს.

ქართველ ებრაელთა სულიერ წინამძღოლად დავით ბააზოვი ითვლება, რომელსაც ქართველ ებრაელთა ილია ჭავჭავაძეც კი უწოდეს. როგორც პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი შენიშნავს, ქართული სიტყვის პირველი თვალსაჩინო ქართველი ებრაელი ოსტატია გერცელ ბააზოვი. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს გამოდიოდა გაზეთი „ხმა ებრაელისა“, ხოლო 1993 წელს მწერალმა გურამ ბათიაშვილმა დააარსა და დღესაც გამოდის გაზეთი „მენორა.“ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ თვით ისრაელში გამოდის ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები.

ანთოლოგიაში წარმოდგენილია ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი და ზოგიც ნაკლებად ცნობილი, ქართველი ებრაელი პოეტები, რომლებიც ისრაელსა და მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ. ცხადია, ყველა მათგანის პოეტური ნიმუშების ანალიზს აქ არ შევუდგებით. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ყველა მათგანში ფიგურირებს და წინაურდება საქართველო, მისი სიყვარული და ნოსტალგია. ავთანდილური სიმღერის

ნოტები მოისმის დავით აგმონის (აჯიაშვილი) ლირიკაში, მკითხველს შეეგებება მეტაფორა - „როგორც ღიმილი მკრთალი თამარის და გაურქოლება რუსთაველისა.”

ისღა დაგვრჩენია, დავეთანხმეთ წინასიტყვაობის ავტორს კრებული შეფასებაში: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ემიგრანტი თანამემამულეების შემოქმედებითი მემკვიდრეობის ძნელად ხელმისაწვდომობის გამო, წინამდებარე ანთოლოგიას სრულყოფილების პრეტენზია ვერ ექნება, ვფიქრობ, მასში თავმოყრილი ლექსების მეშვეობით მკითხველს მაინც შეეძლება მეტნაკლებად ნათელი წარმოდგენა უცხოეთში მოღვაწე ქართველი პოეტების მიერ შექმნილ პოეტურ მონაგარზე.”

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია. ქუთაისი, 2014წ.
2. ა. ნიკოლეიშვილი - ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთ. 2006 წ.
3. ა. ბაქრაძის „ გრიგოლ რობაქიძის” ცხოვრება და ღვაწლი, თბ. 1999 წ.
4. ა. ნიკოლეიშვილი - ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში , ქუთ. 2002 წ.
5. შ. ფუტყარაძე - ჩვენებურების ქართული, ბათ, 1993 წ.
6. გ. შარაძე - საქართველოს ცის ქვეშ, წიგნი I,II,III, 1991, 1993, 1993 წლ.
7. ა. ჭელიძე - ფერეიდნელი ქართველები, თბ. 1951 წ.

Шота Зоидзе

Изгнанная лира

Резюме

В статье разобрана суть антологии эмигрантской поэзии XX века, которую подготовили профессора Кутайского Университета имени Акакия Церетели Автандил Николейшвили и Нестан Кутивадзе.

В Антологии представлены стихотворения 29 авторов эмигрированных в Европу и Америке, поэтические творения грузинских эмигрантов, живших в Турции и Иран и возвративших грузинских евреев на историческую родину.

Лайтмотив стихотворений, опубликованных в Антологииб любовь к Грузии и ностальгия к родине своей.

Эти стихотворения являются интересным притоков грузинской поэзии XX века.

ოთარ თურმანიძე

*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

**ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი
1935–1940 წლებში**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც წელს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა, სამასწავლებლო ინსტიტუტის მემკვიდრეა. 80 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა ასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გამოუშვა, რომლებიც წარმატებით მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ საქართველოს, კერძოდ, აჭარის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, მთლიანად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დღემდე საინტერესო ისტორია განვლო. ამ ისტორიის ერთ-ერთი მონაკვეთია 1935–1940 წლები, როდესაც იგი ფუნქციონირებდა სამასწავლებლო ინსტიტუტის სახით ორწლიანი სასწავლო პროგრამით და ძირითადად ამზადებდა არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლებს. 1945 წელს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი ოთხწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა. ამის შედეგად ინსტიტუტის წინაშე დასმული ამოცანები გაიზარდა, სპეციალობები და სასწავლო პროგრამები გაფართოვდა. 1990 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე სახელმწიფო უნივერსიტეტი შეიქმნა.

ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი 1935 წელს გაიხსნა. 1938 მას წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ მას განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა აჭარასა და მთელ დასავლეთ საქართველოში განათლებისა და კულტურის აღორძინება-განვითარებაში. ბათუმში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნა ისტორიულ აუცილებლობით იყო გამოწვეული. XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ღიკვიდაცია, ახალგაზრდობისათვის დაწყებითი განათლების მიღება. 1930–1931 სასწავლო წელს შემოიღეს საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლება. ამ მიმართულებით იყო წარმატებები და

წარუმატებლობაც. სამომავლო ინტერესები მოითხოვდა ახლო მომავალში საყოველთაო-საგაღებულო არასრული საშუალო განათლების შემოღებას, რაც ზრდიდა მოთხოვნილებას მასწავლებელთა კადრებზე.

საყოველთაო-საგაღებულო დაწყებითი განათლების შემოღებასთან დაკავშირებით, სასკოლო ქსელი გაიზარდა. მაგალითად, 1934–1935 სასწავლო წელს აჭარაში ითვლებოდა 335 დაწყებითი სკოლა, აქედან ქ. ბათუმში–19, ქობულეთის რაიონში–80, ბათუმის–74, ქედის–48, ხულოს რაიონში–114 დაწყებითი სკოლა. ეს მნიშვნელოვანი წინსვლა იყო იმასთან შედარებით, რაც 20-იან წლებში არსებობდა. მაშინ არასრული საშუალო განათლებაში 7 კლასი ითვლებოდა და ამ ტიპის სკოლები ცნობილი იყო შვიდწლედის სახელწოდებით. მთლიანად აჭარაში ამ პერიოდში 41 შვიდწლიანი სკოლა აღირიცხებოდა (ქ. ბათუმში–14, ქობულეთის რაიონში–11, ბათუმის–7, ქედის–3, ხულოს რაიონში–6). სრული საშუალო სკოლა, ქ. ბათუმის გამოკლებით, მხოლოდ ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონებში არსებობდა.

დაწყებითი სკოლების პედაგოგიურ კადრებს პედტექნიკუმები ამზადებდნენ, რომლებიც გახსნილი იყო ქ. ბათუმში (№1 და 2), ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონებში, მაგრამ ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ მასწავლებლებზე მოთხოვნილებას. საგულისხმოა, რომ 1934–1935 სასწავლო წელს აჭარის დაწყებით სკოლებში 937 მასწავლებელი მუშაობდა. მათ შორის: ქ. ბათუმში–227, ქობულეთის რაიონში–193, ბათუმის–175, ქედის–112, ხოლო ხულოს რაიონში–230 მასწავლებელი. მაგრამ მათი ნაწილი არასპეციალისტი იყო და, ცხადია, სწავლებისა და აღზრდის საქმე დაბალ დონეზე იდგა. რაიონებში მომუშავე 710 დაწყებითი სკოლის მასწავლებლიდან არასრული საშუალო განათლება ჰქონდა 113 კაცს.

კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო საშუალო სკოლებში. 1934–1935 სასწავლო წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არასრულ საშუალო სკოლებში 280 მასწავლებელი მუშაობდა, მათ შორის ქ. ბათუმში – 168, ქობულეთის რაიონში–50, ბათუმის–35, ქედის–12, ხულოს რაიონში–15 მასწავლებელი (აცსა, ფ.რ–5, ან. 1, ს. 319, ფურც. 2–7). ქ. ბათუმის საშუალო სკოლებში მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონე შედარებით ნორმალური იყო, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით რაიონების პედაგოგიურ კადრებზე. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სკოლებში 1935–1936 სასწავლო წელს უმაღლესი განათლებით იყო მხოლოდ 7 მასწავლებელი, უმაღლესდაუმთავრებელი–6, საშუალო განათლებით–192, არასრული საშუალო განათლებით–21 მასწავლებელი (აცსა, ფ.რ–5, ს.333, ფურც. 10–11).

პედაგოგიური კადრების თვისებრივი შემადგენლობა არასახარბიელო იყო აჭარის დანარჩენ რაიონებშიც. მაგალითად, ხულოს რაიონში 1937

წლის აპრილის მდგომარეობით ყველა ტიპის სკოლაში მუშაობდა 262 მასწავლებელი. უმრავლესობა რაიონის ფარგლებს გარედან იყო მივლინებული. ადგილობრივი იყო მხოლოდ 16 მასწავლებელი. მასწავლებელთა საერთო რაოდენობიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 9 კაცს, საშუალო პედაგოგიური—110, ზოგადი საშუალო—102, ხოლო არასრული საშუალო განათლება—41 მასწავლებელს (აცსა, ფ. პ-1, ან. 4, ს. 106, ფურც. 62).

საერთოდ აჭარის სოფლად ყველა ტიპის სკოლების მასწავლებლების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს რაიონებიდან იყო მოვლინებული. ისინი ძნელ პირობებში ენერგიის დაუზოგავად და დიდი პატრიოტული სულისკვეთებით მუშაობდნენ აჭარელი ახალგაზრდების სწავლებისა და აღზრდისათვის. ასეთი თავდადებული მუშაობით ეროვნულ საშვილიშვილო საქმეს ემსახურებოდნენ. ამასთან, XX საუკუნის 30-იან წლებში მთლიანად საქართველოში პედაგოგთა კადრების ნაკლებობა იყო. ამიტომ აღნიშნულ წლებში ყურადღებას იჩენდა როგორც საერთოდ პედაგოგიური კადრების, ისე მათი ადგილობრივი მოსახლეობიდან მომზადებისათვის. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ბათუმში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნა.

ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად დანიშნა ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი ხუსეინ ახმედის ძე ნაკაიძე, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იგი მაღალი დონის სპეციალისტი იყო და განათლების სისტემაში მუშაობის საკმარის გამოცდილება გააჩნდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტში“ მიიწვიეს სამუშაოდ და სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კიდევ ორი წელი იმუშავა, 1930 წელს კი ბათუმში გადმოვიდა საცხოვრებლად და დანიშნეს ქალაქის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილედ. 1932 წლის იანვარში გადაიყვანეს აჭარის განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ, ხოლო იმავე წლის აპრილში—კომისრად. ხ. ნაკაიძე 1936 წლის 27 აპრილიდან შეთავსებით მუშაობდა აჭარის ცენტრალურ აღმასრულებლის კომიტეტთან არსებული ხელოვნების საქმეთა განყოფილების გამგედ.

ხუსეინ ნაკაიძის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნა მისდამი საქართველოს ცენტრალური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და საზოგადოების მხრიდან პატივისცემის გამოხატულება იყო. ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს ფილოსოფოსი არხიპო დარსაველიძე.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე რთული ამოცანები იდგა. მუშაობა ნულიდან დაიწყო. ძირითადი ამოცანა იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კადრების შერჩევა და მოზიდვა. მისაღები გამოცდების

ორგანიზაცია, აბიტურიენტებიდან კარგი კონტინგენტის შერჩევა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ინსტიტუტს არ ჰქონდა საკუთარი სასწავლო შენობა, არ ჰყავდა ადგილობრივი პროფესორ-მასწავლებელთა კადრები. მათი ძირითადი ნაწილი თბილისიდან და ქუთაისიდან უნდა მოეწვიათ. ინსტიტუტის ხელმძღვანელობას არ გააჩნდა ამ მიმართულებით გამოცდილება. ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტს ქალაქის ოთხ ადგილას გამოუყვეს შენობები, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ერთსართულიანი შენობა 12 პატარა ოთახით, სადაც განთავსდა ადმინისტრაციული აპარატის კაბინეტები და საბუხჰალტრო სამსახური. მეორე ორსართულიანი შენობა შედგებოდა 5 პატარა ოთახისაგან, სადაც განთავსდებოდა ქიმიის ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. მესამე შენობაში, რომელიც ასევე 5 ვიწრო ოთახისაგან შედგებოდა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი მოეწყო. ლექციები ტარდებოდა №1 პედაგოგიური ტექნიკუმის შენობაში სადამოს ხუთი საათიდან. ასეთ მდგომარეობაში იყო ინსტიტუტი 1942 წლის თებერვლამდე. სიახლე იმით აღინიშნა, რომ ომამდელ წლებში ააგეს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ ინსტიტუტს ჩამოართვეს მის განკარგულებაში არსებული შენობები და სამხედრო უწყებას გადაეცა. სანაცვლოდ ინსტიტუტს გამოეყო სკოლის შენობა 36 ოთახით, სადაც შედარებით ნორმალური პირობები არსებობდა. ამის შედეგად დღის სწავლება შემოიღეს (აცსა, ფ.რ-432, ან. 1, ს. 121, ფურც. 1).

ორთული პირობების მიუხედავად ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ხუთსეინ ნაკაიძის თავკაცობით სიმკვლელები დაძლია. ორგანიზებულად ჩაატარა მისაღები გამოცდები, შეარჩიეს პირველ კურსზე ჩასარიცხ სტუდენტთა კონტინგენტი. 1935 წელს ინსტიტუტში მიღება ოთხ სპეციალობაზე გამოცხადდა: ენისა და ლიტერატურის, ისტორიის. ფიზიკა-მათემატიკის და საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის. სულ პირველ კურსზე ჩაირიცხა 168 სტუდენტი. მათი შორის: ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე – 53, ისტორიის – 38, ფიზიკა-მათემატიკის – 33, ხოლო საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტზე – 44 სტუდენტი.

მეორე წელს ინსტიტუტში მიღება გამოცხადდა 5 სპეციალობაზე. ახლად გაიხსნა ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი. ინსტიტუტში სულ მიიღეს 321 კაცი. მათ შორის ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე ჩაირიცხა 90 სტუდენტი, ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობაზე – 53, ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიისა – 46, ფიზიკური კულტურის სპეციალობაზე – 42 სტუდენტი (აცსა, ფ.რ-432, ან. 1, ს. 2, ფურც. 32). 1939 წლის მისაღებ გამოცდებზე განცხადება შეიტანა 800 ახალგაზრდამ. გამოცდების შედეგად ჩაირიცხა 280 აბიტურიენტი. ყველაზე მეტი სტუდენტი იყო ენისა და ლიტე-

რატურის ფაკულტეტზე (114), შემდეგ მოდიოდა ფიზიკა-მათემატიკის (75), საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის (41), ისტორიისა და ფიზიკური კულტურის ფაკულტეტები 25-25 აბიტურიენტი (აცსა, ფ.რ-432, ან. 1, ს. 97, ფურც. 4).

საქართველოს ცენტრალური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა აჭარელი ჭაბუკებისა და ქალიშვილების უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისათვის. სწორედ ამ მიზნით ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში 1936-1937 სასწავლო წელს მოეწყო მოსამზადებელი კურსები, სადაც 40-მდე ახალგაზრდა ჩაირიცხა. ძირითადად იყვნენ მასწავლებლები, რომლებსაც პედაგოგიური განათლება არ ჰქონდათ (აცსა, ფ.რ-432, ან. 1, ს.2, ფურც. 13). მოსამზადებელი კურსები ომამდელ პერიოდში მუდმივმოქმედი იყო და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მასწავლებელთა ადგილობრივი კადრების მომზადებაში.

რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებელთა კადრებს, მაშინ აჭარაში უმაღლესი სასწავლებლისათვის საჭირო კადრები თითქმის არ მოიძებნებოდა. მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი სპეციალისტი შეარჩიეს, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდათ მოსკოვის, თბილისის და სხვა სასწავლებლებში. მათ შორის აღსანიშნავია ნ. ლორთქიფანიძე (გეოგრაფია), პ. პატარაია (პოლიტიკური ეკონომია), ჯ. ნოღაიდელი (ქართული ენა და ლიტერატურა), გ. სულუხია (პარტიის ისტორია), ვ. იაშვილი (მსოფლიო ისტორია), მ. სტამბოლიშვილი (ფილოსოფია), ი. ხუსკივაძე (ქიმია), ა. ბეგიაშვილი (ფიზიკა-მათემატიკა), აღ. ჩავლეიშვილი (ქართული ლიტერატურა), ნური ნიჟარაძე (ბიოლოგია), ნადიმ ნიჟარაძე (გეოგრაფია).

ინსტიტუტში შეიქმნა განყოფილებები, კათედრები, კანცელარია, საბუხ-ჰალტრო და კადრების სამსახურები. მოეწყო ბიბლიოთეკა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, სასადილო და ბუფეტი. განყოფილებები დეკანატის ფუნქციას ასრულებდნენ. პირველ წელს ოთხი განყოფილება შეიქმნა სპეციალობათა მიხედვით. თავისებურება ის იყო, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში შედიოდა ქართული და რუსული სექტორები. განყოფილების პირველი გამგეები იყვნენ: ალექსანდრე ჩავლეიშვილი (ქართული ენა და ლიტერატურა), ვუკოლ იაშვილი (ისტორია), ალექსანდრე ბეგიაშვილი (ფიზიკა-მათემატიკა), ნიკოლოზ ლორთქიფანიძე (ბუნებისმეტყველება-გეოგრაფია). მისი დაპატიმრების შემდეგ (1937 წ.) ამ თანამდებობაზე დანიშნეს ნადიმ ნიჟარაძე. 1936-1937 სასწავლო წელს შეიქმნა ფიზკულტურის განყოფილება და მათი რაოდენობა 5-მდე გაიზარდა. გამგედ დანიშნეს პეტრე კილაძე (საშუალო განათლებით).

კათედრები შესაბამისი პროფილის განყოფილებაში შედიოდნენ. 1935-1936 სამასწავლებლო წელს კათედრებს ხელმძღვანელობდნენ: ენებისა და

ლიტერატურის კათედრას პროფ. ვ. ბერიძე, ისტორიისას–დოც. ს. კაკაბაძე, ფიზიკა–მათემატიკისას–ს. თოთიბაძე, პედაგოგიკისას–დოც. გ. თაფშიშვილი, გეოგრაფიისას–ნ. ლორთქიფანიძე, ქიმიისას–ი. ხუსკივაძე, ბიოლოგიისას–დოც. გ. კოკჩაშვილი. რეორგანიზაციის შედეგად, ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში 1937–1938 სასწავლო წელს 11 კათედრა ფუნქციონირებდა. ჩამოყალიბეს სპორტისა და ტანვარჯიშის კათედრები. გაყოფის შედეგად შეიქმნა ენების, ლიტერატურის, ფიზიკის, მათემატიკის დამოუკიდებელი კათედრები. შეიცვალა ზოგიერთი კათედრის გამგე. კერძოდ, ნ. ლორთქიფანიძის, ი. ხუსკივაძის დაპატიმრების შემდეგ, გეოგრაფიის კათედრის გამგედ თბილისიდან მოიწვიეს პროფ. ალ. ჯავახიშვილი, ქიმიის კათედრის გამგედ–დოც. გ. ციციშვილი, ბიოლოგიის კათედრის გამგედ–დოც. ლ. ქიქოძე, ფიზიკის კათედრის გამგედ–დოც. ა. კაკუშაძე.

კათედრის ხელმძღვანელები გამოცდილი და მაღალკვალიფიციური ლექტორები იყვნენ, წარმატებით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. კათედრებმა 1935–1937 წლებში შეიმუშავეს, განიხილეს და დაამტკიცეს სასწავლო პროგრამები. აწვობდნენ გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ზრუნავდნენ პროფესორ–მასწავლებელთა ლექციების მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარებაზე, სამეცნიერო–პედაგოგიური ხელოვნებისათვის. კათედრები უშუალოდ წარმართავდნენ სასწავლო დისციპლინებში პროგრამული მასალის შესრულებას, სამეცნიერო მუშაობას, პედაგოგიურ პრაქტიკას. კათედრის სხდომებზე ამტკიცებდნენ სამუშაო გეგმებს, აკადემიურ დატვირთვებს, იხილავდნენ ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობას. ახორციელებდნენ კონტროლს მათი უფლებამოსილების ფარგლებში, პერიოდულად წარადგენდნენ ანგარიშს შესაბამისი განყოფილებისა და დირექციის წინაშე. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ზრუნავდა ბიბლიოთეკის წიგნებით შევსებისათვის. თვით ლექტორები აწვდიდნენ წიგნებს საოჯახო ბიბლიოთეკიდან. ინსტიტუტი ბიბლიოთეკისათვის წიგნებს სხვა გზითაც იღებდა. ამის შედეგად ბიბლიოთეკაში 1937 წლის მარტში 5000 ეგზემპლარი წიგნი ითვლებოდა. 1938 წელს მათი რაოდენობა 11858 ცალამდე გაიზარდა (აცსა, ფ.რ–432, ან. 1, ს. 53, ფურც. 101, საბჭოთა აჭარა, 2 აპრილი, 1937).

ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის, როგორც ორწლიანი სასწავლებლისათვის, პირველი ორი წელი არსებითი იყო მასწავლებელთა კადრების შერჩევის, მოზიდვის და სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის. ამ მიმართულებით საკმაო გამოცდილება შეიძინეს, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა მომდევნო წლებში. ძალზე დიდია თბილისიდან და ქუთაისიდან მოვლინებული პროფესორ–მასწავლებელთა დამ-

სახურება. 1936–1937 სასწავლო წელს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში 36 პროფესორ–მასწავლებელი მუშაობდა, ხოლო 1937–1938 სასწავლო წელს–45. მათ შორის იყო 2 პროფესორი, ერთი პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი, 9 დოცენტი, 7 დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი, 10 უფროსი მასწავლებელი, 5 მასწავლებელი და 11 ასისტენტი (აცსა, ფ. რ– 432, ფურც. 3). 1941 წლის შემოდგომისათვის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში 50 ლექტორ–მასწავლებელი მუშაობდა. ძირითადი შტატი ჰქონდა 16 კაცს, შეთავსებით–31, ხოლო საათობრივად მოწვეული იყო 3 კაცი. პროფესორები საერთოდ აღარ მუშაობდნენ. დოცენტი იყო 7 ლექტორი (მეცნიერებათა კანდიდატი), უფროსი მასწავლებელი–2, ასისტენტი–14 კაცი (აცსა, ფ.რ– 432, ან. 1, ს. 121, ფურც. 12).

ომამდელ პერიოდში მოწვეულთა შორის აღსანიშნავი არიან პროფესორები: ვუკოლ ბერიძე (ქართული ლიტერატურის ისტორია), გიორგი ახვლედიანი (ენათმეცნიერება), სარგის კაკაბაძე (საქართველოს ისტორია), რაჟდენ ხუციშვილი (ფიზიკა), გიორგი თავაზიშვილი (პედაგოგიკა), ალექსანდრე ჯავახიშვილი (გეოგრაფია). კოტე ბაქრაძე (ფილოსოფია), გიორგი თვალაძე (ანატომია); დოცენტები (მეცნიერებათა კანდიდატები): შოთა ძიძიგური, ალექსანდრე ღლონტი (ქართული ენა), სოლომონ ყუბანეიშვილი (ძველი ქართული ლიტერატურა), კოწია კაპანელი (ლიტერატურის თეორია), ნოდარ ურუშაძე (დასავლეთ ევროპის ლიტერატურის თეორია), ვლადიმერ ბერაძე (ანტიკური ლიტერატურის ისტორია), გიორგი წერეთელი (ენათმეცნიერების შესავალი), ნოდარ ურუშაძე (დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია), ანგია ბოჭორიშვილი (ფსიქოლოგია), ზოსიმე ხოჯავა (პედაგოგიკა), ერმილე ბურჭულაძე, სევერიანე ყალიჩავა (ახალი და მსოფლიო ისტორია), ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, იასე ცინცაძე, ლავრენტი გეგეშიძე, ლუბა ბარამია (საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია), ლევან ებანოიძე, კონსტანტინე გრიგოლია, აბელ კიკვიძე, ავთანდილ იოსელიანი (საქართველოს ისტორია), ირაკლი ბერაძე (შუა საუკუნეების ისტორია), გიორგი ციციშვილი (ქიმია), გიორგი კოკონაშვილი, ლევან ქიქოძე (ბიოლოგია), გიორგი პატარიძე (მინერალოგია) და სხვები.

მათ დიდი წვლილი შეიტანეს აჭარაში პედაგოგიური კადრების მომზადებაში. სპეციალური, მაპროფილებელი დისციპლინების გარდა, ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტზე ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნები: ფილოსოფია (დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი), პარტიის ისტორია, პოლიტიკური ეკონომია. ფილოსოფიის კურსი მიჰყავდათ მიხეილ სტამბოლიშვილსა და არხიპო დარახველიძეს, პოლიტიკური ეკონომია–პარმენ პატარაიას, პარტიის ისტორია–გიორგი სუ-

ლუხიას, ასევე, ყველა სპეციალობაზე ისწავლებოდა ქართული და რუსული ენები, პედაგოგია, ფსიქოლოგია, ფიზიკური კულტურა და სამხედრო მომზადება.

ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსული ენის სწავლებას. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა 1940 წლის 25 აგვისტოს მიიღო დადგენილება „ნაციონალური რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების შესახებ“, დაისახა საერთო ამოცანები რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის. ამ თემაზე მოსკოვში ჩატარდა საკავშირო თათბირი. ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ენების კათედრის სხდომაზე (1940 წლის 24 ოქტომბერი) განიხილეს რუსული ენის სწავლების შესახებ და დაისახა კონკრეტული ამოცანები. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია ინსტიტუტში რუსული ენის სპეციალური კათედრის გახსნა (აცსა, ფ.რ-432, ან. 1, ს. 84, ფურც. 17).

მართალია, ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ღირექცია, განყოფილებები და კათედრები მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ, მაგრამ მათზე ყველაფერი დამოკიდებული არ იყო. სასწავლო ფართის სივიწროვის გამო გაძნელებული იყო აუდიტორიების შერჩევა, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა. მაგალითად, 1936–1937 სასწავლო წელს ინსტიტუტის 5 სპეციალობაზე 11 ჯგუფი შეიქმნა და მეცადინეობისათვის გამოსადეგი იყო მხოლოდ 7 აუდიტორია. ინსტიტუტის 1936–1937 წლების ანგარიშში ნათქვამია: ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში, სადაც გაერთიანებული ლექციები ტარდება, აუდიტორიების შერჩევა პრაქტიკულად შეუძლებელია. ჯგუფები აუდიტორიების გარეშე რჩებოდა (აცსა, ფ.რ-432, ან. 1, ს. 2, ფურც. 15). მართალია, 1935 – 1940 წლებში შეიქმნა ფიზიკის, ზოოლოგიის, გეოგრაფიის, ანატომია-ფიზიოლოგიის, ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტები, ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, მაგრამ ისინი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. კაბინეტ-ლაბორატორიებს აკლდათ ხელსაწყოები და სხვა აუცილებელი ინსტრუმენტები, თვალსაჩინო მასალები. მიუხედავად ამისა, ინსტიტუტში სტუდენტების სწავლებასა და აღზრდაში მნიშვნელოვანი მიღწევები იყო.

ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება 1937 წლის ივნისში მოხდა. სახელმწიფო გამოსაშვები გამოცდებისათვის საგანგებოდ მოემზადნენ, რადგან ეს იყო პირველი გამოშვება. შეიქმნა ინსტიტუტის საერთო კომისია, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი ილიას ქათამაძე ხელმძღვანელობდა. კომისიაში შედიოდნენ ინსტიტუტის ღირექტორი ხუსეინ ნაკაიძე და ღირექტორის მოადგილე არხიპო დარახველიძე. სახელმწიფო

ფო გამოცდები 137 სტუდენტმა ჩააბარა და მიანიჭეს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაცია. მათ შორის ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დიპლომი მიიღო 47 სტუდენტმა (ქართული და რუსული სექტორები) ისტორიის–26, ფიზიკა–მათემატიკის–35, ხოლო ბუნებისმეტყველება–გეოგრაფიის სპეციალობის–35 სტუდენტმა (აცსა, ფ.რ–432, ან. 1, ს. 75, ფურც. 176). 13 კურსდამთავრებულმა წარჩინების დიპლომი მიიღო (ახმედ ჭანიძე, ალექსანდრე ბერიძე, არონ მაღაზონია, ხაჯერ ხალვაში, ბექირ ხალვაში, რეჯებ ბერიძე, ილია თხილაიშვილი. ფერიდე ნიჟარაძე, დურსუნ მუჟანაძე, ვაღერიან გავაშელი, დურსუნ მახარაძე, ფაცია აფხაზავა, გრიგოლ გურგენიძე).

1937 წლის აგვისტოში წარმატებით ჩატარდა რიგით მესამე მისაღები გამოცდები, რის შედეგად ინსტიტუტში ჩაირიცხა 302 სტუდენტი. აქედან ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე –83, ისტორიის–64, ფიზიკა–მათემატიკის–78, ბუნებისმეტყველება–გეოგრაფიის–41, ხოლო ფიზიკულტურის სპეციალობაზე 36 სტუდენტი. ნიშანდობლივია, რომ ინსტიტუტში სტუდენტთა მოძრაობა სისტემატურად მიმდინარეობდა. ამის შედეგად ყველა სპეციალობის მეორე კურსზე 231 სტუდენტი აღირიცხა. მთლიანად ინსტიტუტში 1937 წლის პირველი სექტემბრის ცნობით 533 სტუდენტი ირიცხებოდა. შედარებით დიდი რაოდენობა მოდიოდა იყო ენისა და ლიტერატურის (160), ფიზიკა–მათემატიკისა (134) და ისტორიის სპეციალობებზე (108) (აცსა, ფ.რ–432, ან. 1, ს. 17, ფურც. 1–2).

დიდი ტრაგედია დაატყდა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტს 1937–1938 წლების პოლიტიკური რეპრესიების დროს, პროფესორ–მასწავლებლებისა და სტუდენტების ნაწილს დააბრალეს კონტრრევოლუციური ტროცკისტული საქმიანობა, ანტისაბჭოთა ლაყბობა. ბევრი ხალხის მტრად, მავნებლად გამოაცხადეს, ნაწილი დახვრიტეს, ხოლო მეორე ნაწილი გადაასახლეს. 1937 წლის ნოემბერში დააპატიმრეს ინსტიტუტის დირექტორი ხუსეინ ნაკაიძე. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 14 ნოემბერს ხუსეინ ნაკაიძე პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფიდან გარიცხა. იგი მოხსნეს დირექტორის თანამდებობიდან და საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, სასჯელის უმაღლესი ზომა–დახვრეტა მიუსაჯეს. ხუსეინ ნაკაიძე დახვრიტეს ბათუმში 1938 წლის 3 იანვარს. ასე დაასრულა სიცოცხლე 32 წლის ასაკში ქართული ინტელიგენციის შესანიშნავმა წარმომადგენელმა, ინსტიტუტის პირველმა დირექტორმა ხუსეინ ახმედის ძე ნაკაიძემ, რომელმაც ბევრი გააკეთა ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდისათვის (გაზ. აჭარა, 23 მაისი, 2015).

ხუსეინ ნაკაიძესთან ერთად დააპატიმრეს ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეცნიერებისა და სკოლების განყოფილების გამგე, ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ლექტორი ანდრო შავიშვილი, მისი მეუღლე, რუსული ენის მასწავლებელი ნინო ღარიბაშვილი. ქალბატონ ნინოს წაუყენეს ბრალდებად ის, რომ ვერ ამხილა თავისი ქმარი, როგორც ხალხის მტერი. ნ. ლორთქიფანიძე, ა. შავიშვილი ბათუმში დახვრიტეს, ხოლო ნ. ლორთქიფანიძის მეუღლე მარიამ პეტრეს ასული ლორთქიფანიძე, როგორც მტრის ოჯახის წევრი, საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის დადგენილებით ციმბირში გადაასახლეს. მას ბრალად წაუყენეს განუცხადებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლი). ა. შავიშვილის მეუღლე ნ. ღარიბაშვილი ინსტიტუტიდან გააძევეს. კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებად და ხალხის მტრად შერაცხეს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ლექტორები ს. კაკაბაძე, დ. ებანოიძე, ა. გრიგოლია, ი. მეგრელიშვილი, გრ. გორგაძე და სხვები (აცსა, ფ.პ-75, ან.1, ს. 3, ფურც. 33, 41, 43).

ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის თანამშრომლების რეპრესირება დიდი დანაკლისი იყო. ინსტიტუტის კოლექტივში, როგორც მთლიანად საზოგადოებაში, დაისადგურა შიშმა, უნდობლობამ, უიმედობამ. ხ. ნაკაიძის დაპატიმრების შემდეგ, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დროებით დანიშნეს ა. დარახველიძე. 1938 წლის იანვარში ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს ნური ისმაილის ძე ნიჟარაძე, ხოლო მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო დარგში ალექსანდრე ლეონტის ძე ჩავლეიშვილი, რომელიც ამავე დროს ენისა და ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელად და ლიტერატურის კათედრის გამგედ მუშაობდა. 1939-1940 სასწავლო წელს განყოფილებას დეკანატი ეწოდა. შეიცვალა მათი ხელმძღვანელები. ალ. ჩავლეიშვილის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს შემდეგ ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ხელმძღვანელად დანიშნეს მიხეილ სტამბოლიშვილი, რომელიც შემდგომ შეცვალა ალექსანდრე მანჯგალაძემ. ისტორიის-პარმენ პატარაია, საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის-ა. ჩხაიძე. დანარჩენებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოსტები (ა. ბეგიაშვილი და პ. კილაძე).

ცვლილებები განიცადა კათედრათა გამგეების შემადგენლობამაც. 1939-1940 სასწავლო წელს სოციალურ-ეკონომიკური დისციპლინების კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა, რომელშიც შედიოდა ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია, პარტიის ისტორია. ისინი გაერთიანდნენ ერთ სასწავლო საგანში: „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები“. კათედრა ყველაზე დიდი იყო, რომელშიც 16 წევრი ირიცხებო-

და. კათედრის გამგედ დანიშნეს მიხეილ სტამბოლიშვილი. 1938–1939 სასწავლო წლიდან კათედრის წევრად ირიცხებოდა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კოტე ბაქრაძე. პოლიტიკურ ეკონომიაში ლექციების კურსი მიჰყავდათ პარმენ პატარაიას, კასიანე ბაბილოძეს. ფილოსოფიაში (დიალექტიკური მატერიალიზმი და ისტორიული მატერიალიზმი) – კოტე ბაქრაძესა და მიხეილ სტამბოლიშვილს.

მართალია, ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტებაში პირველი ნაბიჯები 1935–1938 წლებში გადაიდგა, მაგრამ პრობლემა გადაწყვეტილი არ იყო. 1937–1938 სასწავლო წელს მოწვეული პროფესორ–მასწავლებლები საერთო რაოდენობის 52%-ს შეადგენდა (აცსა, ფ.რ–432, ან. 1, ს. 53, ფურც. 4). არადა თბილისიდან და ქუთაისიდან მოწვეული პროფესორ–მასწავლებლების უმრავლესობა შეთავსებით მუშაობდა და მათი მოწვევა დაკავშირებული იყო ხარჯებთან. ამასთან, ძირითად სამუშაოზე დაკავების გამო სასწავლო–სამედიცინო ცხრილი მათ თავისუფალ დროზე უნდა მორგებოდა. ხშირად ირღვეოდა სასწავლო–სამეცადინო ცხრილი, ადგილი ჰქონდა ლექციების გაცდენებსაც. საერთო ჯამში ირღვეოდა სასწავლო პროცესის რითმულობა. ამიტომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ადგილობრივი კადრების მოზიდვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის. ზემოთ დასახელებული ადგილობრივი კადრების გარდა, მომდევნო წლებში სამუშაოზე მოიწვიეს: ბიოლოგიაში მამია (მემედ) კომახიძე, ფიზიოლოგიაში–იოსებ ჩარკვიანი; ფიზიკაში–ხუსეინ ხალვაში და შაქირ ნაკაშიძე, რუსულ ენაში–დიმიტრი ჭანტურიშვილი, მათემატიკაში–შოთა ქემხაძე და სილოვან დადუნაშვილი, ქიმიაში–ვლადიმერ ქემხაძე, ბოტანიკაში–ნატალია ჟორდანიას, გეოგრაფიაში–ნადია ჯიბუტი, ირაკლი (მემედ) ნაკაიძე, დავით მამფორია; პოლიტიკურ ეკონომიაში–კასიანე ბაბილოძე, პედაგოგიაში–ვლადიმერ ჭანტურია და გრიგოლ ბაბილოძე, კონსტიტუციურ სამართალში–რევაზ კომახიძე და სხვები.

მართალია ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში ლექციების წასაკითხად თბილისიდან კვალიფიციური ლექტორები ჩამოდიოდნენ, მაგრამ მათ ძირითადი სამუშაო თბილისში ჰქონდათ. ადგილობრივი კადრები, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი არ გააჩნდათ, ენერგიულად მუშაობდნენ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. 1940 წელს დისერტაცია დაიცვა ჯემალ ნოღაიდელმა, რომელსაც მიანიჭეს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მომდევნო წლებში საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს მ. სტამბოლიშვილმა (ფილოსოფია), ვ. ჭანტურამ, გ. ბაბილოძემ (პედაგოგია), ვ. ქემხაძემ (ქიმია), შ. ქემხაძემ (მათემატიკა), კ. ბაბილოძემ

(ეკონომიკა), ხ.ხალვაშმა (ფიზიკა), დ. ჭანტურიშვილმა (რუსული ენა), ნ. ნიჟარაძემ, ნ. ჯიბუტმა (გეოგრაფია) და სხვებმა.

ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი წესდება 1939 წელს მიიღეს, რომელიც იმავე წელს დაამტკიცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა. წესდებას აშკარად ამჩნევია პოლიტიკური ელფერი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული: ინსტიტუტის ძირითად მიზანს შეადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, „სტახანოვური მოძრაობის“ გაშლა და სხვა. დადგენილი იყო მისაღები გამოცდები: ფილოლოგიის ფაკულტეტზე-ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა, ისტორია (რუსულ სექტორზე-ქართული და რუსული ენები და ისტორია); საერთოდ ყველა ფაკულტეტზე მისაღები გამოცდებს აბარებდნენ ქართულ და რუსულ ენებში. გარდა ამ საგნებისა, ისტორიის ფაკულტეტის აბიტურიენტი მისაღები გამოცდებს აბარებდა ისტორიასა და გეოგრაფიაში; ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე-მათემატიკასა და ფიზიკაში; საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის-ბუნებისმეტყველებას, გეოგრაფიას, ქიმიასა და ისტორიაში; ფიზიკური კულტურის ფაკულტეტზე-ფიზკულტურასა და ბუნებისმეტყველებაში.

წესდების მიხედვით, სასწავლო გეგმებს ზოგად დისციპლინებში (დიდლექტიკური მატერიალიზმი, ისტორიული მატერიალიზმი, პოლიტიკური ეკონომია) ამტკიცებდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი, ხოლო სპეციალურ საგნებში-საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი. დაწესდა სტუდენტთა ცოდნის შეფასების ოთხბალიანი სისტემა („ფრიადი“, „კარგი“, „საშუალო“, „არაღამაკმაყოფილებელი“). მეცნიერულ-პედაგოგიურ კადრებში და დამხმარე პერსონალში შედიოდნენ: კათედრის გამგე (პროფესორი ან დოცენტი), წევრები პროფესორი, დოცენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი, ასისტენტი, უფროსი ლაბორანტი, ლაბორანტი, უფროსი პრეპარატორი და პრეპარატორი.

ინსტიტუტის სტრუქტურაში შედიოდა განყოფილებები და კათედრები. სულ დამტკიცდა ხუთი განყოფილება (ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის, საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიისა და ფიზკულტურის). კათედრების რაოდენობა 12 ერთეულით განისაზღვრა (ენის, ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკის, სოციალურ-ეკონომიკური დისციპლინების, ქიმია-ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გიმნასტიკის, სპორტის, პედაგოგიკისა და სამხედრო მომზადების). წესდებაში განსაზღვრულია ღირექტორის, მისი მოადგილის, თანაშემწის, საბჭოს წევრების ფუნქციები

(აცსა, ფ. რ-432, ან. 1, ს. 67, ფურც. 56-70). ამ წესდების საფუძველზე წართმართა მომავალი მუშაობა.

ინსტიტუტში განხორციელებული ორგანიზაციული, საკადრო, სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო ღონისძიებები გამიზნული იყო მასწავლებელთა კადრების მომზადებისათვის. ინსტიტუტის სტუდენტთა კოლექტივი სტაბილური იყო. 1937 წელს ინსტიტუტში სწავლობდა 458 სტუდენტი, 1938 წელს-524, 1939 წელს-575, 1940 წელს (1 ივლისი)-505 სტუდენტი. ამ უკანასკნელ წელს ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლობდა 260 სტუდენტი, ფიზიკა-მათემატიკის-94, ისტორიის-84, საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის-64, ხოლო ფიზიკური კულტურის ფაკულტეტზე-38 სტუდენტი (აცსა, ფ.რ-432, ან. 1, ს. 75, ფურც. 176; ს. 97, ფურც. 4). სტუდენტთა მოძრაობა სისტემატური იყო. ოჯახური პირობების გამო ზოგიერთმა სტუდენტმა სწავლა მიატოვა. მცირე ნაწილმა ვერ შეძლო სასწავლო პროგრამების ათვისება. იყო სხვა მიზეზებიც. კერძოდ, ჯარში გაწვევა. სტუდენტთა უმრავლესობა კარგად სწავლობდა. მაგალითად, 1936-1937 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით 72 სტუდენტი ფრიადოსანი იყო (საბჭოთა აჭარა, 1937, 2 აპრილი).

საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავდა სტუდენტების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამის იგნორირება უსამართლობა იქნებოდა. მაშინდელი მცირე შესაძლებლობის მიუხედავად სტუდენტთა დიდი ნაწილი სტიპენდიას იღებდა. მაგალითად, 1936-1937 სასწავლო წელს ინსტიტუტის პირველი კურსის 274 სტუდენტიდან სტიპენდიას იღებდა 212 (საერთო რაოდენობის 77,4%), მეორე კურსის 139-დან სტიპენდიას იღებდა 118 (85%). 1939-1940 სასწავლო წლის პირველ ნახევარში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის 231 სტუდენტიდან სტიპენდიას იღებდა 207 სტუდენტი (89,5%). ანალოგიური ვითარება იყო სხვა ფაკულტეტებზეც. რაიონებიდან ჩამოსული ხელმოკლე სტუდენტები ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებელში, რომელიც სპეციალურად აგებული იყო მათთვის. მაგალითად, 1937 წლის ცნობით საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა 150 სტუდენტი (აცსა, ფ.რ-432, ან. 1, ს. 2, ფურც. 17; ს. 53, ფურც. 101; საბჭოთა აჭარა, 1937, 2 აპრილი).

ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი 1935-1940 წლებში არ გამოირჩეოდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით. გარედან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები სამეცნიერო შრომებს ძირითად სამუშაო ადგილზე აკეთებდნენ. ადგილობრივი კადრებიდან, რომლებიც მეცნიერულ შრომებს წერდნენ, აღსანიშნავია ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ჯემალ ნოღაიდელი და ვლადიმერ ჭანტურია. მნიშვნელოვანი მიღწევა ის იყო, რომ 1941 წელს ინსტიტუტმა გამოსცა პირველი სამეცნიერო სტატიების წიგნი „ბათუმის

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო კრებული“.

ყველა ფაკულტეტზე, სპეციალური საგნების გარდა, სავალდებულო სახელმწიფო საგამოცდო საგანი იყო სოციალურ-ეკონომიკური დისციპლინები. 1939–1940 სასწავლო წლიდან „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები“. სპეციალური სახელმწიფო საგამოცდო საგნები იყო: ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე-ქართული ენა, ქართული ლიტერატურა (რუსულ სექტორზე-რუსული ენა, რუსული ლიტერატურა); ისტორიის ფაკულტეტზე-ძველი მსოფლიოს ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია; ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე-ფიზიკა, მათემატიკა; საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიის ფაკულტეტზე-ბუნებისმეტყველება, ქიმია, გეოგრაფია; ფიზკულტურის ფაკულტეტზე-ფიზიკური კულტურის მეთოდика, ფიზკულტურის გიმნასტიკა.

სახელმწიფო გამოცდების შედეგების შესახებ ინსტიტუტი ანგარიშს წარუდგენდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტს და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს. ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტთა მეორე სახელმწიფო გამოცდები ჩატარდა 1938 წლის ივნისში.

ინსტიტუტი დაამთავრა 227 კაცმა, მათ შორის, 57 ქალმა. აჭარელთაგან დიპლომი მიიღო 34 კაცმა, რაც საერთო კურსდამთავრებულთა 6,7%-ს შეადგენს. 1939 წელს მესამე გამოშვების შედეგად სახელმწიფო დიპლომი გადაეცა 252 კურსდამთავრებულს. აქედან ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა 77 კაცმა, ისტორიის-61, ფიზიკა-მათემატიკის-48, ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის-38, ფიზიკური ფაკულტეტის-28 კაცმა. 1940 წელს ენისა და ლიტერატურის ისტორიის, ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი დაამთავრა 146 კაცმა. მდგომარეობა გაუარესდა 1940–1941 სასწავლო წელს. ივნისში 155 სტუდენტიდან სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა მხოლოდ 81 სტუდენტმა. მათ შორის ენისა და ლიტერატურის ქართულ სექტორზე 52-დან 33, რუსულ სექტორზე-17-დან 13, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე 35-დან 7, ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის-23-დან 13, ისტორიის-15-დან 7, ფიზიკური ფაკულტეტის ფაკულტეტზე-13-დან 7 სტუდენტმა. ამის მიზეზი ის არის, რომ სტუდენტთა ნაწილი არ გამოცხადდა სახელმწიფო გამოცდებზე. ზოგიერთმა დამაკმაყოფილებელი შეფასება ვერ მიიღო (აცხა, ფ.რ-432, ან. 1, ს. 75, ფურც. 153, 176; ს. 97, ფურც. 1-2; ს. 121, ფურც. 3).

ამრიგად, 1937–1941 წლებში აჭარის, გურიისა და სამეგრელოს სკოლებს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ოდენობის მასწავლებელთა კადრები მიაწოდა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ ინსტიტუტში სასწავლო პროცესი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ომის გამოცხადების შედეგად ფრონტზე გაიწვიეს ინსტიტუტის დირექტორი ნური

ნიუარაძე, ისტორიისა და ფიზკულტურის ფაკულტეტების დეკანები პარმენ პატარაია და პეტრე კილაძე, საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის ფაკულტეტის კათედრის პროფესორი გიორგი თვალაძე. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობა დროებით დაეკისრა ალექსანდრე ჩავლეიშვილს. 1942 წლის სექტემბერში ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა მიხეილ სტამბოლიშვილი. არმიაში გაიწვიეს სტუდენტებისა და თანამშრომლების ნაწილი. სამამულო ომის დაწყების შედეგად ინსტიტუტის ისტორიის ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც ცალკე შესწავლას მოითხოვს.

გამოყენებული წყაროები

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი (ფ) რ-5, ანაწერი (ან), საქმეები (სს.) 319,333.
2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი პ-1, ანაწერი 4, საქმე (ს.) 106, ან. 75, ს.3.
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.რ-432, ან. 1, საქმეები 2, 3, 17, 53, 67, 75, 84, 97, 121.
4. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 1937, 2 აპრილი
5. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 2015, 23 მაისი.

Otar Turmanidze

Niko Berdzenishvili Institute

Senior scientific worker

Dr. of historical science

Batumi Teacher's Institute (1935-1940)

Summary

Batumi teacher's institute was established in 1935. In the first year of 1935 the departments and faculties were created, entrance exams were conducted. The article discusses the teachers' and students' contingent, the educational-teaching process is characterized. The institute had to-year educational programme and it used to prepare elementary school teachers.

1937 year was the first graduation year. 137 people graduated from the institute. They were qualified as elementary school teachers. Since then hundreds of specialists graduated from Batumi teachers' institute and sent hundreds of teachers to schools.

ნანი გუგუნავა

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

განათლების ისტორიის საპირობები აჭარაში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო შუა საუკუნეებში დაწინაურებული, კულტურული მხარე იყო. აქაურ ეკლესიებსა და სამონასტრო ცენტრებში აქტიური საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა. ეს მრავალგზის აღუნიშნავთ ქართველ მოღვაწეებს. 1879 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: „...ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს“ (ჭავჭავაძე, 1995:11–12).

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა: „შუა საუკუნეებში, როდესაც საქართველოს სამეფო ჰყვაოდა, მესხეთი (სადაც შედიოდა აჭარაც-ავტ.) ძლიერ დაწინაურებული ნაწილი იყო ჩვენის ქვეყნისა. განათლებით, მოქალაქეობით, სხვადასხვა ხელოვნების ცოდნით მესხნი ბევრად სჯობდნენ სხვა ქართველებსა (გოგებაშვილი, 1982:280). დიდი პედაგოგი ამას იმიტაც ხსნიდა, რომ სამხრეთი საქართველო უშუალოდ ესაზღვრებოდა ბიზანტიას.

ანალოგიურია თედო სახოკიას აზრიც: „აჭარა, – ამბობდა იგი, – ზემო ქართლის ანუ სამცხე-საათაბაგოს ნაწილს შეადგენდა. ჩვენს ისტორიაში ეს მხარე ცნობილია ჩვენს საუკეთესო მწიგნობართა აკვანად და სამშობლოდ“.

ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ნადგურდებოდა ქართული კულტურისა და განათლების ცენტრები, იღვენებოდა ქართული ენა. „განათლების სისტემა“ მედრესეთი ამოიწურებოდა, სადაც მოზარდებს მათთვის გაუგებარ არაბულ ენაზე რელიგიურ დოგმებს აზეპირებდნენ. მოსახლეობა ფიზიკური განადგურებისა და სულიერი დეგრადირების ზღრუბლზე აღმოჩნდა.

დიმიტრი ბაქრაძე წერდა: „აჭარაში ქართული ენა თითქმის დღემდე შეუბღალავად შემორჩათ (ბაქრაძე, 1987:40).

ზ. ჭიჭინაძე ახლოს გაეცნო ხალხის ცხოვრებას. მოგზაურობისას ქართულ წიგნებს არიგებდა, სალოცავად მეჩეთშიც შედიოდა, რამაც მას მოსახლეობის ნდობა და სიყვარული მოუპოვა.

აჭარა, მთლიანად სამხრეთი საქართველო, იყო ილიას, აკაკის, გრ. ორბელიანის, დ. ყიფიანის, ნ. ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას, ს. მესხის, გ. წერეთლის, გ. ყაზბეგის, ი. კერესელიძის, დ. კლდიაშვილის. პ. უმიკაშვილის და სხვა ერისკაცების მთავარი საზრუნავი. მათ ძალისხმევას ადგილზეც ნოყიერი ნიადაგი დახვდა. ამ მხრივ ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იბრაიმ, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, შერიფ და ნური ხიმშიაშვილები, გულო კაიკაციშვილი, ლომან ეფენდი ქარცივაძე, აბდულ მიქელაძე, დედე ნიჟარაძე და სხვა. ისინი დაუღალავად საქმიანობდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნული თვითშეგნების აღორძინების, ქართული სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნისათვის.

შერიფ ხიმშიაშვილი 1879 წ. გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ „გულ-წრფელ აღსარებაში“ მადლიერებას გამოხატავდა ქართული საზოგადოებისადმი და წინასწარმეტყველებდა, რომ საერთო ძალისხმევით სამუსლიმანო საქართველოში მალე წინ წავიდოდა ქვეყნის მშენებლობა, განახლდებოდა ციხე-ტაძარნი, სწავლა-მეცნიერება, სამოქალაქო ვაჭრობა. მოგვიანებით მემედ აბაშიძე წერდა: „მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებულობისა, თავის დედა-ქვეყნის შეილება, მაჰმადიან ძმებს დიდთან-პატარამდე ქრისტიანმა ქართველობამ ძმური ნუგეშის ხელი გაუწოდა და შეძლებისდაგვარად შესაფერისი დახმარება აღმოუჩინა... ჩვენდამი მათი ამაგი და მზრუნველობა ვერ დაიფასების“... (შარაძე, 1988: 72).

განთავისუფლების შემდეგ აჭარას ყოველ სფეროში სჭირდებოდა დახმარება, მაგრამ მთავარი მაინც იყო სკოლების გახსნა, წიგნების გავრცელება. სწავლა-განათლება ილია ჭავჭავაძეს ადამიანის არსებობის პირობად მიაჩნდა... ერის მოძღვარი შემდეგ მიუთითებდა: „ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელი კაცისათვის არსებითი პურია... ცხოვრების მოედნიდან ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს. მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ“... (ჭავჭავაძე, 275: 358-359). სწავლა, ცოდნა და მეცნიერება ღონეა იმისათნა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ უდგება... ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის (ჭავჭავაძე, 1955:19-20).

XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ქართული სახალხო სკოლების გახსნისათვის ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა: ასპარეზზე აქტიურობდა თეორგალეულთა თაობა: გამოსცეს ი. გოგებაშვილის უკვდავი ბუნების კარი“ (1868 წ.) და „დედაენა“ (1876 წ.). 1879 წელს ჩამოყალიბდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც აარსებდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ხელმძღვანელობდა წიგნების გამოცემას. ამ საზოგადოების აჭარის განყოფილების პირველი თავმჯდომარე 80-იან წლებში იყო პოეტი გრიგოლ ვოლსკი.

ქ.შ.წ.კ.გ საზოგადოებამ იმთავითვე სწორი კურსი აიღო, მან ქართველი ერის ბურჟუაზი გამოაცხადა მშობლიური ენა და ილაშქრებდა რა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვდა სასწავლებლებში

ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას. ი. გოგებაშვილი იმოწმებდა ე. უშინსკის სიტყვებს: „ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი იმაზედ ლაპარაკობს,–ხალხიც ცოცხალია“ (გოგებაშვილი, 150). ცნობილ პედაგოგს–ლუარსაბ ბოცვაძეს მიაჩნდა, რომ თუ „დედაენა“ რიგიანად არ ესმის ბავშვს, ისე სხვა საგნების სწავლება არასოდეს ნაყოფიერი არ იქნება“ (ბოცვაძე, 1982:51).

მშობლიურ ენაზე სწავლების ი. გოგებაშვილისეული მეთოდოლოგია მთლიანად გაიზიარა მემედ აბაშიძემ, რომელიც 1900-იანი წლებიდან აქტიურად გამოვიდა ასპარეზზე. იგი ამ საკითხს უკავშირებს ეროვნული ერთიანობის სახელმწიფოებრივ პრინციპებს და აცხადებს: „ხალხი, რომელიც დაკარგავს მშობლიურ ენას, დაკარგავს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სახესაც“.

ბათუმში სკოლის გახსნას და ორგანიზაციული, ფინანსური საკითხების მოგვარებას უშუალოდ ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. იგი აქ სამჯერ ჩამოვიდა. მისი ძალისხმევით 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. პირველ მასწავლებლად დაინიშნა ალექსანდრე ნანეიშვილი.

1883 წლიდან ამ სკოლის მზრუნველად გვევლინება იბრაიმ აბაშიძე.

1881 წელს ბათუმში გაიხსნა სამკლასიანი სასწავლებელი (რუსულ ენაზე სწავლებით), რომელიც 1886 წელს ექსკლასიანად გადაკეთდა. 1886 წ. დაარსდა ბათუმის ქალთა რუსული სასწავლებელი – შემდგომში მარიამის ქალთა სასწავლებელი. ამავე წლებში გაიხსნა ბერძნული და სომხური სკოლები.

90-იანი წლებიდან ცალკეულ პირთა ინიციატივით ბათუმში იხსნება კერძო სკოლები. 1886 წელს მთავრობის მოხელის, ალ. ბერიძის ინიციატივით, სკოლა გაიხსნა ხულოში.

მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით და ხალხის მოთხოვნით სკოლები იხსნება ახალშენში, აჭყვაში, დაგვაში, ორთაბათუმში, აჭში, ქედასა და კვირიკეში, ყოროლისთავსა და ბარცხანაში, ჩაქეში, მახუნცეთში, ბობოყვათში, აჭარისწყალსა და ერგეში. მოკლე დროში აიგო ორსართულიანი შენობა, რომელშიც 1897 წელს საზეიმოდ გაიხსნა ვაჟთა გიმნაზია (დღეს მასში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტია). 1900 წელს ქალთა გიმნაზია გაიხსნა (დღევანდელი 2 საშუალო სკოლა).

პედაგოგთა მრავალი წერილი შედიოდა ხელისუფლების ორგანიზაციებში თხოვნით, რათა სამუშაოდ გამოეგზავნათ აჭარაში. ეს დიდი პატრიოტული მოძრაობა იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ ზრუნავდა მთელი საქართველო ახლად შემოერთებული ძმების მომავალზე, კულტურისა და განათლების აღორძინებაზე. მათ ამაგს არასოდეს დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

ქრისტიანული ცივილიზაციის წყალობით საქართველო სწრაფად დაწინაურდა.

ოციანი წლების მეორე ნახევარში სწრაფად ფართოვდებოდა სკოლების ქსელი. აჭარის სახკომსაბჭომ შეიმუშავა და 1929 წლის 30 იანვარს გამოსცა დეკრეტი აჭარაში საყოველთაო სავალდებულო დაწვებითი სწავლების შემოღების შესახებ. 1930-41 წლებში ძირითადად დამთავრდა მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. დაიწყო შეიღწევიან საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე თანდათანობით გადასვლა.

სახალხო განათლებისა და სკოლისათვის ზრუნვა სამამულო ომის დროსაც არ შეწყვეტილა. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმის შესაბამისად, სახალხო განათლების საქმე მკვეთრი აღმავლობის გზას დაადგა. ქართულმა სკოლამ გაბატონებული ადგილი დაიჭირა აჭარის მოსახლეობის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

დღეისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 6 უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს, 255 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, მათ შორის 4 სკოლა-ინტერნატი, რომლებშიც 54155-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს. მათი სწავლა-აღზრდის საქმეს 7323 მასწავლებელი ემსახურება.

აჭარის 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში 7055 აღსაზრდელია ჩარიცხული. საბავშვო ბაგა-ბაღებში 420 აღმზრდელ-პედაგოგია დასაქმებული. ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს 26 არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სპორტული სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, ნორჩ-ნატურალისტთა სადგური, მოსწავლეთა ტურიზმისა და სასწავლო-ტექნიკური შემოქმედების რესპუბლიკური ცენტრები ნაყოფიერად მუშაობენ. მათ სექციებში ინტერესების, მიდრეკილებისა და უნარის მიხედვით ათასობით მოსწავლეა გაერთიანებული, რაც სრულიად აკმაყოფილებს მოსწავლეთა ფიზიკური, ინტელექტუალური, მხატვრული და ესთეტიკური განვითარების მოთხოვნებს.

ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო ათწლეულში თითქმის სტაბილურია. ფრიადოსან მოსწავლეთა რაოდენობა 228.

განათლების ძირითადი მიმართულებების განხორციელებას ხმარდება არსებული პედაგოგიური პოტენციალი, ფიზიკური და ინტელექტუალური რესურსები.

დღის წესრიგში დადგა ცენტრალიზებული და რეგლამენტირებული სისტემიდან განათლების თვისებრივად განსხვავებულ, დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლა, მართვის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოქმედება, მონოვარიანტული სკოლის ნაცვლად, ვარიანტული სკოლის დამკვიდრება.

სწავლების შინაარსი ისაზღვრება სასწავლო გეგმით, პროგრამებით და დადგენილი სახელმწიფო სტანდარტებით.

საგანმანათლებლო სტანდარტი არის ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც სწავლების პოლიტიკას განსაზღვრავს ამა თუ იმ საგანში. ისაზღვრება სწავლების ახალი მეთოდი (ინტერაქტიული, ტრანსმისიური), ხდება მათი აპრობაცია და დანერგვა სასკოლო დაწესებულებებში. აჭარის სკოლებში აპრობაცია გაიარა და ფართოდ ინერგება მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარების მეთოდები.

აჭარის სკოლების საკმაოდ დიდი ნაწილი ჰუმანიტარული პროფილის სწავლების მიმართულების მქონეა. ამ პროფილით მომუშავე სკოლებში ფეხს იკიდებს ხელოვნების ისტორიის, საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის, ხალხური ზეპირსიტყვიერების, მითოლოგიის, ეთიკის და სამართალმცოდნეობის საგანთა სწავლება. სკოლებთან შექმნილია მოსწავლეთა სამეცნიერო საზოგადოებები, სადაც მიმდინარეობს საკვლევადიებო მუშაობა ადგილობრივ, ფოლკლორულ, დიალექტურ, ტოპონიმურ მასალებზე.

მსოფლიოში, საგანმანათლებლო სფეროში, მეცნიერთა მიერ შემუშავებულმა სწავლების ფორმებმა და დებულებებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს და იუნესკოს საპროგრამო ორიენტირად იქცნენ, რაც გულისხმობს სწავლების პროცესის, გაკვეთილის შინაარსისა და სტრუქტურის, სწავლების მეთოდების გარდაქმნას და მათ წარმართვას პრობლემური სწავლების საშუალებით. ამის შესაბამისად პრაქტიკაში დამკვიდრდა სწავლების ორი მოდელი: 1. ინოვაცია-მოდერნიზაცია და 2. ინოვაცია-ტრანსფორმაცია. ინოვაცია-მოდერნიზაცია ითვალისწინებს ტრადიციული სწავლების-არსებულის განახლებას. ინოვაცია-ტრანსფორმაცია ძიებას, კვლევას, პრობლემის დასმას და გადაწყვეტას ნიშნავს.

კარგად სწავლების ამოცანა ჩვენთან სკოლის ძირითადი მოვალეობაა. როცა სკოლა წარმატებით ასრულებს თავის ფუნქციას, ახალგაზრდობის აღზრდა, განვითარება და განათლება საიმედო საყრდენს ეფუძნება.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ განათლების მაღალ სტანდარტებზე, უპირველეს ყოვლისა, მივმართავთ აჭარის განათლების უმდიდრეს ტრადიციებს, მის საინტერესო წარსულსა და დღევანდელობას.

ჩვენი სკოლების კურსდამთავრებულთა უმეტესობა კარგი ცოდნით, აღზრდითა და განათლებით გამოირჩევა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ აჭარის სკოლის აღზრდილი ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებით ეუფლებიან მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის, კულტურის და ასე შემდეგ დარგებს.

განათლების სფეროში აჭარაში წლების განმავლობაში მრავალი სიახლე დაინერგა და განხორციელდა. ბევრ სასიკეთო წამოწყებას დაედო სათავე.

ისე მასშტაბურად მოიცვა მსოფლიო ახალმა ნანატექნოლოგიებმა, რომ უფრო თაობა მხოლოდ სავალდებულო მინიმუმის ათვისებას თუ ახერხებს, ახალი კი, ღილაკებით „შეიარაღებული“ ჩასცქერის თავის „სმარტფონს“ და მეგობრობს მასთან, მეცადინეობს მასთან ერთად, ერთობა, ქორწინდება კიდევ მისი საშუალებით.

ერთი სიტყვით, დადგა ახალი ერა და მასთან ერთად გაჩნდა სხვა-ნაირი აღსაზრდელი, შესაბამისად, მას განსხვავებული მოძღვარი სჭირდება.

ძველისა და ახლის ჭიდილია დღეს. ასე იყო ყოველთვის. ორი ეპოქა ერთმანეთს უპირისპირდება. ამ ბრძოლაში რაღაც უნდა გადარჩეს, რაღაც დავივიწყოთ, რაღაც გავიგოთ–გავითავისოთ, რაღაც განვსაზღვროთ, დავგეგმოთ და ვიმოქმედოთ.

რას მოელის ახალგაზრდობა სწავლებისაგან, რა შედეგი უნდა დადონ საგანმანათლებლო საფეხურის დასრულებისას. მონახვენი კი თავიანთ ადგილს 7 მილიარდიან გლობალიზებულ სამყაროში. რას წაიღებენ წარსულიდან საგზადად, რას შექმნიან, რას გადასცემენ მომავალ თაობას.

აი, კითხვები, რომლებიც აწუხებს უფროსსაც და უმცროსსაც.

ბევრი რამაა გასაკეთებელი, ნებისმიერი საქმე ფინანსებთანაა დაკავშირებული, საგანმანათლებლო სისტემა კი განსაკუთრებულად.

პირველი და უმნიშვნელოვანესი, რაც უნდა გაკეთდეს, სახელმწიფოსაგან განათლების სისტემის პრიორიტეტად მიჩნევა. ამ წერტილიდან უნდა დაიწყოს ყველაზე მთავარი – ინტელექტუალური რეფორმა და ბიუჯეტი მკვეთრად გაიზარდოს. ჩვენს ღარიბ ქვეყანაში წყლის ნაყვია გადაშენებული მოთხოვნები, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ განათლების სისტემაა ის ბალავარი, რომელზედაც უნდა დაშენდეს ყველაფერი. ჩვენი სახელმწიფოებრიობა ინტელექტმა უნდა გადაარჩინოს, რომლის მიღებას დრო უნდა, მაგრამ ხეჭეჭურის ხეს რომ ბაბუა ურგავს შვილიშვილს, ყველამ ვიცით.

კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიონალი მუშაკები, საგანმანათლებლო რესურსის სრულყოფა აუცილებელი პირობაა კარგი შედეგის დასაღებად, თუმცა ძვირადღირებული. ამასთან არის რამდენიმე ასპექტი, განსაკუთრებულ ხარჯს რომ არ მოითხოვს, განსხვავებული ხედვა და მიდგომა სჭირდება, მაგალითად: სულ რამდენიმე წელია, რაც სკოლა თორმეტწლიან სწავლებაზე გადავიდა, თუმცა ბევრისთვის გაუგებარი დარჩა ამ ცვლილებების მიზანი. საპროგრამო ჩარჩოებიც კი თითქმის იგივეა. ვფიქრობთ, მე-12 კლასი უნდა იქცეს საბაკალავრო საფეხურისათვის მოსამზადებელ პლაცდარმად. აქედან გამომდინარე XII კლასში პროგრამა კი არ უნდა იყოს, არამედ ცოდნის გასამყარებელი, შემაჯამებელი და სააბიტურიენტო მასალა უნდა გაიარონ მოსწავლეებმა, როგორც აბიტურიენტებმა. ამასთან, სკოლის ბაზაზე ჩატარებული

გამოსაშვები გამოცდები შეიძლება ჩაითვალოს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებადაც.

ჩვენს სკოლებში, ფაქტობრივად, არ არსებობს სპორტული ინფრასტრუქტურა. თეთრ შურს იწვევს ამერიკისა და ევროპული ქვეყნების სასკოლო სპორტული მოედნები და დარბაზები, ვიცით, დღეს ეს ოცნების სფეროა, მაგრამ იგი ადამიანს არ კლავს, ზოგჯერ ოცნებებიც ხდება.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ყოფილ საბჭოთა და პოსტსაბჭოურ საქართველოში განათლების რეფორმის გატარების რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი, თუმცა ბოლომდე ვერცერთი ვერ იქნა მიყვანილი.

აშკარად ჩანს, რომ ამჟამად მიმდინარე განათლების რეფორმაც გარკვეულ კითხვებს ბადებს. მიზეზი ბევრია. მთავარი კი ისაა, რომ გლობალიზაციამ გარკვეული დატვირთვა შეიძინა განსაკუთრებით პატარა, განვითარებადი ქვეყნისათვის. თვალნათლივ ეხედავთ, აშკარად თუ შეფარვით, როგორ უშლის იგი ხელს ეროვნულ თვითმყოფადობას, საუკუნოვან ტრადიციებს, კულტურას.

საქართველოს განათლების სამინისტროს (რა თქმა უნდა, ადრინდელზე არის საუბარი), რომელმაც შეიმუშავა თანამედროვე განათლების რეფორმის პროექტი, არ გააჩნდა მეცნიერულად დასაბუთებული და ბოლომდე გააზრებული განათლების კონცეფცია. ყოველ შემთხვევაში ეს არ იყო ცნობილი საზოგადოებისათვის.

მიუღებელია პედაგოგიკის სფეროში დაგროვილი ცოდნის გათვალისწინების გარეშე განათლების რეფორმის განხორციელება. ახლაც და მომავალშიც განათლების რეფორმა მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე ვერ განხორციელდება. ამისათვის არის მოწოდებული პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი დარგი—უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, რომელიც აუცილებლად უნდა ჩადგეს უმაღლესი განათლების სამსახურში.

ყოველივე ეროვნულის დაკნინების არაპირდაპირი გამოხატულება იყო საკითხების ამოღება საქართველოს ისტორიის, მშობლიური ლიტერატურის და სხვა პროგრამებიდან. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გოგებაშვილის „დედაენა“ აღარ ისწავლება დაწყებით სკოლაში. არადა, ისინი ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ღირსების განმტკიცების აუცილებელი პირობა იყო.

სამწუხაროა, რომ ქართული ენის სამოქმედო ასპარეზი თანდათან შევიწროვდა. ამ შეგნებული დაუღევრობის შედეგი ქართული ენის გრამატიკის სწავლების განდევნაა.

შესაცვლელია არსებული მიდგომები საგანმანათლებლო პროგრამებთან, სწავლების ორგანიზაციის ფორმებთან და მეთოდებთან მიმართებაში. ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს საგანთა სწავლების მეთოდოლოგია, რაც სამწუხაროდ იგნორირებულია უმაღლეს სკოლაში. უნდა აღდგეს აკადემიური პერსონალის საქმიანობისადმი ადრე არსებული მონიტორინ-

გი (ლექციებზე ურთიერთდასწრება, კათედრის გამგის სავალდებულო დასწრება, ხელშეკრულების ხანგრძლივობა და ა. შ.).

განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებმა უნდა განსაზღვროს ჩვენი თანამედროვე და სამომავლო პოტენციალი, რომელიც განაპირობებს ჩვენს შესვლას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ეს კი მოითხოვს განათლების როლის, ადგილის, მისი ისტორიული დანიშნულების სრულიად ახალ გააზრებას, და რაც მთავარია, მეცნიერულ მართვას.

აჭარის პედაგოგიურ საზოგადოებრიობას შეგნებული აქვს დროის პასუხისმგებლობა და მოთხოვნები, აქვთ სურვილი, ცოდნა და ენერგია საზოგადოებასთან ერთად გადაწყვიტონ მომავალი, ამ საუკუნის შესაბამისი თაობის სწავლებისა და აღზრდის საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, თბ., 1955
2. ი. გოგებაშვილი, საგანძური, თბ., 1982
3. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985
4. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
5. გ. შარაძე, მემედ აბაშიძე, თხზულებანი, თბ., 1998
6. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV
7. იქვე
8. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 2
9. ლ. ბოცვაძე, პედაგოგიური თხზულებანი, ტ. I, თბ., 1982
10. ნ. გუგუნავა, მემედ აბაშიძე-განმანათლებელი, ბათუმი, 1998
11. მ. აბაშიძე, რჩეული ნაწერები, 1973
12. ნ. გუგუნავა, განათლება აჭარაში ბოლო ათწლეულში, ბათუმი, 2003.

About the History of Education in Adjara

Summary

The work concerns to some aspects of education in Adjara. After the Osman Empire had conquered South-West Georgia, the educational centers and Georgian art was gradually destroyed, the Georgian language was persecuted.

The work considers the materials describing the merits of honored Adjarian laymen, whose deed was greatly productive for the revival of national self-consciousness and advancement of educational activities.

The article describes the existing problems in scientific support of the educational reformation, as well as in the implementation of the basic directions of educational system. It also considers the questions of perfect utilization the pedagogical potential and physical and intellectual resources and concerns to the innovations in the sphere of education.

The work pays a particular attention to the current circumstances for the relevant teaching and upbringing novelties, which are required by the modern age.

უჩა ოქროპირიძე

*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი*

**„...კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი“ –
ოქროპირიძეთა გვარის წარმოშობის ისტორიიდან**

ოქროპირიძეთა გვარი, ისე, როგორც ქართულ გვართა უმრავლესობა, პიროვნების სახელისაგან, კერძოდ, ოქროპირისაგან შეიძლება იყოს წარმოშობილი (ოქროპირი ნიშნავს მჭევრმეტყველს, ორატორს, მოძღვარს). ცნობილი ისტორიული პიროვნება იყო ერთ-ერთი უდიდესი ღვთისმეტყველი, მეცნიერი და მწერალი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოანე ოქროპირი (347-407 წლები), რომელიც სიცოცხლის ბოლოს აფხაზეთის ბიჭვინთაში გადმოსახლეს და იქ მიმავალი გზად კომანაში (კამანში) გარდაიცვალა. 980 წელს ოშკის ლავრაში საქმიანობდა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ასევე იოანე ოქროპირი. X საუკუნის დასასრულს (980-1001 წ. წ.) ქართლის კათალიკოსი იყო წმინდა იოანე (მეოთხე) ოქროპირი (980-1001 წ. წ.), რომელიც პარხლის ტაძრის (XI ს-ის) წარწერებში სახელდებულია, „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქად“ (მეტრეველი, 2010: 37), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოში პატრიარქის ტიტული ამ დროიდან არსებობდა და ამ წოდების პირველ მატარებლად სწორედ ეს იოანე მეოთხე ოქროპირი შეიძლება მივიჩნიოთ (სილოგავა: 2008). ამავე პიროვნებაზეა საუბარი შატბერდისეულ კრებულშიც (ჟორდანია, 1892: 309). 1033-1048 წლებში კი ქართლის კათალიკოსი ყოფილა იოანე (მეხუთე) ოქროპირი, რომელიც იხსენიება საეკლესიო კრების დადგენილებაში შიომღვიმის მონასტრის შეუვალობის შესახებ (პირთა ანოტირებული... 2004: 346-349) იმავე პიროვნების შესახებაა საუბარი “ქართლის ცხოვრების” პირველ ტომში (ქართლის ცხოვრება, 1955: 296), თედო ჟორდანიას “ქრონიკებში” (ჟორდანია, 1897: 36), ივ. ჯავახიშვილის თხზულების „ქართველი ერის ისტორიის“ VIII ტომში (ჯავახიშვილი, 1977: 314) და სხვაგანაც. შემდგომ საუკუნეებშიც ამ სახელით არაერთი სასულიერო პირია მოხსენებული: ოქროპირ-მოძღვარი, მოწმე ოპიზის მოძღვარ იოანეს მიერ ბერთას ღვთისმშობლისადმი მიცემული დაწერილისა (XII ს.), იოანე XI ოქროპირი – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (XVI ს.), ოქროპირი – წმინდა სამების ეკლესიის დე-

კანოზი (XVII ს.), ოქროპირი – ბოლნისის ღვთისმშობლის ეკლესიის დეკანოზი (XVII ს.) და სხვა (პირთა ანოტ... იქვე).

აჭარის ერისთავთერისთავს, ცნობილ მწერალს, ასტრონომსა და ფილოსოფოსს **ტბელ აბუსერისძეს** ეკუთვნის ნაშრომი **„გალობა წმიდათა იოვანეთა ნათლისმცემელთა, მახარებელისა ოქროპირისა“**... ტბეთის სულთა მატყანის XI-XIII საუკუნეთა ნუსხაში მოხსენიებულია ოქროპირ მოძღვარი, კაცი ოქრო გიორგიეთ... კაცი ოქრო ჭუმბასძე, ოქროპირ ღოთათიძე და იორდანე კაცი ოქროს-ძე (ტბეთის სულთა...1977: 148, 153), ხოლო „თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერების“ ტექსტში მოხსენიებულია ოქროკაცი, ოქროპირ სიხათ, ოქროპირ სიხასძე, სიხათ ოქროპირი და მისი დედა თეკლა, სიხასძე ოქროპირი, მონაზონი (თისლისა და ხახულის... 1986: 83). ნაშრომში – აჭარის ღვივის ვრცელი და მოკლე დაფთრებში, – მოხსენიებულნი არიან ზემო აჭარის სოფელ ნენიაში მცხოვრები ოქროპირი ძე გაბრიელისა (აჭარის ღვივის... 2012: 61), ხულაში მცხოვრები ოქროპირი ძე კარაბილისა (იქვე, 67) სოფელ ღორჯომს მცხოვრები მახარებელ ძე ოქროპირისა (იქვე, 69), ქვედა კურძას მოსახლე ოქროპირი [იქვე, 72], როსტევეან ძე ოქროპირისა – ტბეთის რაბათის მოსახლე [იქვე, 78] და სხვა.

საყურადღებოა, აგრეთვე, 1465 წლის 23 აპრილის მცხეთის სიგელი (№75), რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი: „...დაიწერა... მოქცევასა მეთოთხმეტესა, ქ-კს :რნგ: აპრილსა ოც-და-სამსა ხელითა **ოქროპირისშვილისა მახარებელისასა...**“ (ჟორდანიას, 1897: 285-286). ხოლო თ. ჟორდანიას შედგენილ „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა“, რომელიც წმ. მღვდელმთავარ ალექსანდრეს 1896 წელს გამოუცია, XIV-XV საუკუნის ხუცურად დაწერილ დოკუმენტში ვკითხულობთ: **„...და დამიდევს ალაპი მამისა ჩემისათვის... იოანე ოქროპირისა ჩემისა შვილისათვის...“** (ჟორდანიას, 1896: 47) და სხვა.

აჭარაში მირათის ხეობის ისტორიულ ძეგლებს შორის საყურადღებოა მდინარეების ჩირუხისა და უჩამბის შესართავთან შეახვევის, იგივე ოქროპილაურის ციხესიმაგრის ნაშთები, (13. რუხაძე, 1957: 61-69), რომლის კავშირი ოქროპირიძეთა გვართან გარკვეული არ არის.

ქართლის ოქროპირიძეთა გვარში შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით (14. მთხრობელი ზურაბ ოქროპირიძე – დისევი, 65 წლის), ამ გვარის მამამთავარი იყო დავით აღმაშენებლის თანამედროვე საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე **იოანე მახარებელი** (დისეველ ოქროპირიძეთა ერთ-ერთ შტოს სწორედ მახარებელიანთი წარმოადგენს), რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დავითის მიერ გატარებულ რეფორმებსა და სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში; (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **იოანე მართლაც არის მოხსენიებული დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი გაცემულ ორივე ანდერძში – პირველში, როგორც „სულიერი**

ბერი და მეფის მოძღვარი“, ხოლო მეორეში, როგორც „ქართლის კათალიკოსი“). (ნათელი ქრისტესი... 2003: 210-213). ამის გამო სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ ღვაწლის დასაფასებლად მეფეს მისთვის მამული უბოძებია სამემკვიდრეოდ, რასაც დავითის დამ საკუთრივ მისი კუთვნილი სოფელიც საჩუქრად დაუმატა, რომელიც აღნიშნულ მამულს ზემოდან საზღვრავდა. ამიტომაც ამ სოფელს ხალხმა **დისეული, ანუ მეფის დის მიერ ნაბოძები უწოდა**. ეს არის სწორედ ოქროპირიძეთა ბუდე-სამშობლო, სოფელი დისევი.ამავე გადმოცემის თანახმად **იოანე მახარობლისათვის დავით აღმაშენებელსვე მიუცია გვარი ოქროპირისძე** („ივერია“, №210, 1890). ამასთან, ცნობილი ფაქტია დავით აღმაშენებლის მიერვე გაცემული გუჯარის ოქროპირიძეთა ოჯახში დაცულობის შესახებ.

ცნობილი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე თავის ნაშრომში მიუთითებს: „აღექსანდრე ბესარიონისძე ოქროპირიძემ დისევში გვიჩვენა ერთი გუჯარის ასლი, რომლის დედანი მცხეთის სიონის არქივში ინახებოდა და ეს პირი დეკანოზ გაბრიელ ოქროპირიძემ გადაიღო. აქვე მყოფი მოხუცი ექიმი ბესარიონ ოქროპირიძე ამბობს, – აღნიშნულია ავტორის იმავე წყაროში, – ჩვენს წინაპრებს მუდამ საჩივარი ჰქონდათ. დისევი ჩვენ დავით აღმაშენებელმა გვიბოძა და ნურავინ გვერევა შიგო.

აღექსანდრემ გვიჩვენა პაპამისის განცხადების პირი, – განაგრძობს იგივე ავტორი, – რომელშიც ის მართლაც ჩივის: დისევი დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ჩვენი, ოქროპირიძეების, იყო და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო. ამ განცხადებას ხსენებული გუჯრის პირს ვურთავთ და გთხოვთ, ჩვენი ჩვენ მოგვახმართო“ (მეგრელიძე, 1963: 30-31. მოცემულ გუჯარში ოქროპირიძეთა ამ საგულგებელი მამულის მცხეთის სვეტიცხოველზე გადაცემის, მისი საზღვრებისა და მასთან ერთად „**კეთილგვაროვან ოქროპირიძეთა მისთვის** შეწირვის შესახებ არის აღნიშნული (მეგრელიძე, იქვე: 18. ჩემი სოფელი... 2011:24-25).

ნიშანდობლივია ისიც, რომ სოფლის, გვარის მფარველი წმინდანი უძველესი დროიდან დღემდე, იოანე მახარებელია, რომელიც ქართულ სასულიერო-საისტორიო თხზულებებში არაერთხელ მოიხსენიება ოქროპირად. მაგ: **ტბელ აბუსერისძის „გალობა წმიდათა იოვანეთა: ნათლისმცემელთა, მახარებელისა ოქროპირისა...“**, ან 1218-1227 წლების არსენ კათალიკოსის სიგელი, სადაც ნათქვამია: „...და ვინც ეს დაწერილი და გაგებული წ~სა მღუიმისა შეუცვალოს... უწინდელი წ~სა მამამთავრისა იოვანესი ქე“ზისა, ანუ ოქროპირი ქე“ზისა... და რაოდენნი სხუანი შემდგომად სხენან ხელით წერილნი სანატრელისა... წ“ისა მამამთავრისა მელქიზედეკი“სი“. თ. ჟორდანიას იქვე მიუთითებს, რომ „იოანე და ოქროპირ ერთი და იგივე სახელია“ (ჟორდანია, 1896: 50-51).

საკუთარი სახელებიდან ოქრო, ოქრია, ოქრუა, უამრავი გვარია ნაწარმოები: ოქროშიძე-ოქროშიაშვილი, ოქრომჭედლიძე-ოქრომჭედლიშვილი, ოქრიაძე-ოქრიაშვილი, ოქრუაძე-ოქრუაშვილი, ოქროკვერცხიშვილი, ოქროსცვარიძე და სხვა. ოქროპირიძეთა გვარი კი უნდა მომდინარეობდეს საკუთარი, ან მჭევრმეტყველების, ორატორული ხელოვნების გამო შერქმეული სახელის, ოქროპირისაგან; – ოქროპირიძე (ოქროპირაშვილი). მართალია ძირი – ოქრო ყველასთვის საერთოა, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებულია.

რაც შეეხება ოქროპირიძეთა გვარის ფორმირება-წარმოშობას, ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდის ამსახველი რამდენიმე დოკუმენტი იძლევა იმის საშუალებას, დავეშვათ ვარაუდი, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ ამ მეფის დროს და შეიძლება უფრო ადრეც დაწყებულიყო. 1074 წელს დაწერილი ათონის ტყავის წიგნში (თედო **ჟორდანია** ამ წიგნის დედანს ათონის **მანუსკრიპტს** უწოდებს და თვლის, რომ **იგი დაწრილია 1028 წლამდე**) 1011 წლის თარიღის ქვეშ ნათქვამია: „...ქრისტე შეიწყალე ბერი **იოანე გრძელისძე** და სულიერი შვილი მათი **იოანე ოქროპირი**... რომელთა მიერ აღიწერა წმინდა ესე წიგნი. მოიხსენეთ სულიერი ძმაი ჩემი **გარერჩელი** წმ. ლოცვასა თქვენსა”... იქვე წმინდა თეოდოსის ცხოვრების აღწერის ბოლოსაც, 1013 წლის ქვეშ, აღნიშნულია, რომ „... მოიხსენეთ წმ. ლოცვასა თქვენსა ბერი **იოანე გრძელისძე** და **იოანე ოქროპირი** და **საბა და ივანე გარერჩელი**”... (ჟორდანია, 1892: 166). სავარაუდოა, აქ საქმე გვაქვს ოქროპირის, როგორც გვარის პირველად ხსენებასთან, რადგან ვფიქრობთ, რომ ორივე დოკუმენტში იოანე გრძელისძეც და ივანე გარერჩელიც (ისევე როგორც ჯაყელი, თორელი, თუხარელი თუ სხვა) გვარებითაა მოხსენებული. ამიტომაც სრულიად დასაშვებია, რომ ამ შემთხვევაში **ოქროპირიც გვარის მნიშვნელობით იყოს ნახმარი**, რაც საკმაოდ ბუნებრივად გამოიყურება.

ვინ იყვნენ ოქროპირიძეთა წინაპრები?

გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის № 210-ის მონაცემთა მიხედვით, რასაც ოქროპირიძეთა გვარისადმი გაცემული დავით აღმაშენებლისეულად მიჩნეული სიგელიც ამტკიცებს, სოფელი დისევი აღნიშნულ მეფეს ერთგული სამსახურის სანაცვლოდ ოქროპირიძეებისათვის უბოძებია. აღნიშნულ ვერსიას იზიარებს ცნობილი ისტორიკოსი იოსებ მეგრელიძე. ვერსიის მართებულობას ადასტურებენ ოქროპირიძეთა გვარის ცნობილი მოღვაწეები.

„მატიანე ქართლისაის“ ავტორის ცნობით, დისეველებითი ჯერ კიდევ XI საუკუნემდე ეკუთვნოდა „წმინდასა სვეტიცხოველსა“. ამასვე გვაუწყებს თ. ჟორდანის ქრონიკების II ტომში დაცული **1020 წლის მეღქისედეკ კათალიკოსის სიგელიც**, რომელშიც ნათქვამია: „...ჩვენ კურთხეულმან ქართლის კათალიკოს-პატრიარქმან მეღქისედეკ ...აღვაშენე... ქართლს მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა ცუქითი შესავალითა

მისითა, ყინწვისი შესავალითა მისითა და შინდების ნახევარი: **კურბითის :რა:** (101 – ავტ.) აზნაორი კარგი სოფელი ერთი: ჩოჩეთს უბანი :ა: (1-ავტ.) მიწა დავენახი სამეფო” [ქორდანი, 1897: 33, (1020 წლის მელქისედეკ კათალიკოსის სიგელი)]. ამასვე ადასტურებს **1040 წლით დათარიღებული ბაგრატ კურაპალატის გუჯრის ნაწევებიც**, რომელიც, სხვათა შორის, თავისი ხელით დაუწერია „...ქრისტესმიერ კათალიკოსსა ოქროპირს...” და მასვე დაუმტკიცებია „...და მტკიცე არს უკუნისამდე”... (იქვე, გვ. 35-36) ორივე გუჯარში მოხსენებულია **სოფელი კულბითი**, რომელიც დავით აღმაშენებლის მიერ ოქროპირიძეთა გვარისადმი გაცემულ წყალობის სიგელში **მთლიანად დისევის საზღვრებშია მოქცეული** (ქორდანი, 1892: 181-188).

ისტორიკოსი როლანდ თოფჩიშვილი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ოქროპირიძეთა წინაპარი, სახელად ოქროპირი, ლიახვის ხეობის უკიდურესი ზემო წელიდან, ისტორიული დგალეთიდან გადმოსახლდა დისევში. ზემოაღნიშნულ ამბებთან ეს თქმულება თითქმის არ მოდის წინააღმდეგობაში. დგალეთი, ქართველი ტომის ხალხით დასახლებული, უძველესი ქართული პროვინცია იყო. იგი, ჯერ კიდევ V საუკუნიდან ვახტანგ გორგასალმა ნიქოზის საეპისკოპოსოს დაუქვემდებარა. IX-XI საუკუნეში კი ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა არაბთაგან და შემდეგ თურქ-სელჩუკთაგან არაერთგზის მოოხრებული, ხალხისგან დაცარიელებული შიდა ქართლის აღორძინებას. ამიტომ მთიანი რეგიონებიდან ბარში ინტენსიურად ხდებოდა ქართველთა ნაწილის ჩამოსახლება. დგალეთს ამ მხერივ დიდი როლი უნდა ეთამაშა ქართლის მომძლავრების საქმეში.

საისტორიო თხზულების „მატიანე ქართლისაი-ს“ მიხედვით ქართლის კათალიკოსმა მელქისედეკმა გამოარჩია შიდა ქართლის რამდენიმე სოფელი „შესავალითა მისითა“ სვეტიცხოვლისათვის შესაწირავად. მის შემდგომ პერიოდზე კი ასე მოგვითხრობს იგივე მატიანე: „და გარდაიცვალა წმიდა ესე და აწ წარუშართენ ღმერთმან ოქროპირს, მელქისედეკისაგან შეილად გაზრდილსა. დაჟდა კათალიკოს-პატრიარქად ოქროპირი და ამანცა მრავალი შემატა ღიდსა კათოლიკე ეკლესიასა... წმიდამან ამან კათალიკოს-პატრიარქმან ოქროპირმა მრავალი ეკლესია აღაშენა და განაახლა...” (ქართლის ცხოვრება, 1955: 295-296; პირთა ანოტ... იქვე).

შეიძლება დაიშვას ვერსია, რომ **ხომ არ არის ერთი და იგივე პიროვნება მელქისედეკისაგან „შეილად გაზრდილი“ ოქროპირი და გვარის ეთნარქად მიჩნეული (დისეველი) ოქროპირი?** მით უმეტეს, რომ უწმინდეს პატრიარქ მელქისედეკს ახლო ურთიერთობა ჰქონდა შიდა ქართლთან. ორივე ოქროპირის ცხოვრების ხანა კი დროში საინტერესოდ ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ როგორადაც არ უნდა იყვეს, ერთი რამ უდავოა: გვა-

რის მესაძირკველ დისცეველი ოქროპირი უნდა ყოფილიყო, გამორჩეული სასულიერო მოღვაწე. საერთოდ კი ოქროპირი, თავიდან როგორც თიკუნი, შემდეგ კი პიროვნების საკუთარი სახელი – როგორც ზემოთ აღნიშნეთ, – მჭევრმეტყველთან, ორატორთან, მოძღვართან არის დაკავშირებული.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ხალხის მესხიერებაში შემორჩენილი თქმულება-წარმოდგენები, ხშირ შემთხვევაში, ისტორიული სინამდვილის ადამიანთა ხსოვნაში დაღეჭილი რეალობის გამითიურებული ასახვაა; ყოველივე ამას თუ დავუმატებთ ზემო აღნიშნულ სხვა გარემოებათ და მათი ანალიზის მიხედვით ვიმსჯელებთ, შესაძლებელია, რომ ოქროპირიძეთა გვარის ეთნარქი, იოანე-ოქროპირ მახარობელი, სწორედ ქართლის კათალიკოს-პატრიარქების ოქროპირი IV-ისა და ოქროპირ V-ის (ან კიდევ, ერთის ან მეორის) შთამომავალი ყოფილიყო (დროშიც კარგად ემთხვევა მათი ზეობის ხანა, 980-1001 და 1033-1048 წლები, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის წინა პერიოდს) და იქნებ სწორედ ამის გათვალისწინებით მისცა დავით მეფემ მას გვარად ოქროპირისძე. ამასთან, როგორც ისტორიული რეალობა და „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“ გვიჩვენებს, სახელ ოქროპირის მატარებელ პიროვნებათა უმრავლესობა საეკლესიო მოღვაწეა (პირთა ანოტ.... იქვე).

რაც შეეხება დავით აღმაშენებლისეულად მიჩნეული წყალობის წიგნს, რომლითაც სამართლიანად ამაყობენ ოქროპირიძეები, მკვლევრებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ დოკუმენტის ავტორი ქართლის მეფე დავით მეათე (1505-1525) შეიძლება იყოს. თუმცა ოქროპირიძეების გვარის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე ადასტურებს, რომ აღნიშნული სიგელი (წყალობის წიგნი) წმინდა დავით აღმაშენებლისეულია, რასაც მხარს უჭერენ სხვა ისტორიული წყაროებიც.

სავარაუდოა, რომ დავით აღმაშენებელმა ოქროპირიძეებს გამორჩეული დამსახურებისათვის უბოძა ეს მიდამო და სოფელი დისევი „თავის სამართლიანის სამზღვრებით“ შესწირა სვეტიცხოველს. აღნიშნული აზრი გაზიარებულია გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის 210-ე ნომერშიც. მკვლევარ იოსებ მეგრელიძეს ნაშრომში „წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ღიახვის ხეობაში“ (მეგრელიძე, 1963: 30-31), მოჰყავს ცნობილი სასულიერო მოღვაწეების გაბრიელ დეკანოზის (1824-1904), მღვდლის ალექსანდრე ოქროპირიძის, დიაკვან ვლადიმერ ოქროპირიძის და სხვათა საჩივრები: „დისევი დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ჩვენი, ოქროპირიძეების იყო და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო“ (იქვე).

საქართველოს დამსახურებული ექიმი, პროფესორი ბესარიონ ოქროპირიძე წერდა: „ჩვენს წინაპრებს მუდამ საჩივარი ჰქონდათ, დისევი ჩვენ დავით აღმაშენებელმა გვიბოძა და ნურავინ გვერევა შიგო...“

სიგელი, რომელზეც ვსაუბრობთ, XVIII ს-ის II ნახევარში სიძველის გამო ერეკლე მეორის თხოვნით განუახლებია ანტონ კათალიკოსს. თავად ტექსტი ანტონ კათალიკოსმა გადააწერინა დეკანოზ იოვანეს. ცნობილი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე აღნიშნულ დოკუმენტს უფრო „გალობანი სინანულისა-ნის“ ავტორისად მიიჩნევს და ტექსტის ბოლოს მითითებული თარიღით (1516)?, გაკვირვებას კითხვის ნიშნით გამოხატავს.

სიგელში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა ღვთისათა ჩვენ მეფეთ მეფემ აფხაზეთისათა აღმოსავალ-დასავალამდე მპყრობელ პატრონმა ხელმწიფე-მან დავით და ძემან-ჩემან დიმიტრიმან ესე მტკიცე და უცილობელი შემოწირულობისა სიგელი მოგახსენეთ თქვენ ცათა სწორსა სასოსა ჩვენსა სვეტიცხოველსა და მას შინა აღმართებულსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა შემოგწირეთ **სოფელი დისევი** თავის სამართლიანის სამზღვრებითა. ასე მოგვიხსენებია და შემოგვიწირავს საქარე გზამდისინ, წურბელთ წყარომდისინ და სათიბის წვერამდისინ, ღრმა გზამდისინ, ბერიჯვრის წვერამდისინ და სათიბის წვერამდისინ, საოსო გასაყარ გზამდისინ, იქით საიკორთო გზამდისინ, გახვრეტილ ქვამდისინ, სასადილო წყალმდისინ, ფურთსადგომამდისინ, წითელ კოშკამდისინ, ნასერლები, ჩხოკურის წყალამდისინ, მრგვლივ ტყემდისინ და ტბამდისინ, კვირაცხოველის გზამდისინ, და ნაცარყანა ხევამდისინ, ზეით გზამდისინ და ქვევით შარამდისინ **ეს სოფელი დისევი** მრგვლივ სამზღვრით შემოგვიწირამს ყოველის კაცის უცილებლად და ულაპარაკოდ და ხელშეუშლელად მოგვიროთმეგია და კაცნი შემოგვიწირამს **კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი** მოსახლენი **დავით და ნიკოლოზ** და მალიაძე დემეტრე ესენი თავისის მთითა, ბართა და აბილახტაური თავისი საწისქვილოთი, ეს ასრე მოგვიხსენებია და შემოგვიწირამს თქვენ სვეტიცხოველსა და კვართსა კათალიკოსსა დოსითეოსსა; შეიწირე მცირე ესე შესაწირავი, და ნაცვლად გვაგე დღესა მას განკითხვისასა, ხოლო დამამტკიცებელი და რომელმაც ამას შლად ხელყოს, რისხამს ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი და სვეტიცხოველი და ჩვენთა ცოდვათა მიერ განკითხვისა დღესა მას განკითხვისასა, ხოლო დამტკიცებული ამისანი ღმერთმან აკურთხოს.

დაიწერა ხელითა მღვდელმონაზონის ეგნატისათა თვესა აპრილსა ივ (13 – ავტ.) ქენ [ს] სდ (204 – ავტ.), ხელჩართული ესე არს. დავით მეფე ვამტკიცებ. ნებითა ღვთისათა ჩვენ ყოველის საქართველოს პატრონმა, მეფის ირაკლის შორის ძემან ანტონი დავით მკვიდრისამან გარდავაწერინე წიგნი ესე წინაშე ჩვენისა სიონის დეკანოზის იოვანეს უმეტნაკლებოდ, რომელისაცა მკვიდრი ჩვენა გვაქვს“. (თარიღი 1516 წ.). (მეგრელიძე, იქვე; ჟორდანი, 1897: 334).

რიგ გარემოებათა გამო მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი წმინდა დავით აღმაშენებლის ხელიდან მომდინარეობს. წინამდებარე სი-

გელში მოყვანილი სამეფო ტიტულატურა, „მეფეთ მეფე აფხაზეთისათა და აღმოსავალ-დასავალამდე მპყრობელ პატრონი“, დიდგორის შემოქმედს უფრო შეეფერება, ვიდრე დანაწევრებული, ისიც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მეფეს. თუმცა, ერთი რამ მაინც დასაზუსტებელია: წყაროს მიხედვით, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი დოსითეოსია, დავით აღმაშენებლის დროს თედო ჟორდანიას ქრონიკების მიხედვით – იოანე ჟორდანია, იქვე, (მეფესა დავითს მონაზონი არსენ): 70), როინ მეტრეველის უახლესი მონაცემებით კი – **1090 წლამდე დიმიტრი, შემდეგ ბასილი III 1090-1100წლებში, შემდეგ კი მას 1104 წლიდან მოსდევს იოანე VI**, რუის-ურბნისის კრების თავმჯდომარე (მეტრეველი, 2012: 55-56) ოქროპირიძეთა გვარში შემორჩენილი თქმულება-გადმოცემების **იოანე მახარებელ-ოქროპირი**. მახარებელი და ოქროპირი რომ ერთმანეთის ბადალია, ამის შესახებ არაერთგზის არის მინიშნებული თედო ჟორდანიას ქრონიკებში და ეს არის დაფიქსირებული აბუსერისძე ტბელის ნაშრომის ზემოთ მოყვანილი სათაურშიც. თუ არ ჩავთვლით 1100-დან 1104 წლამდე არსებულ გაურკვეველ სიცარიელეს, რომლის პერიოდშიც შეიძლება დაეუშვათ დოსითეოსად სახელდებული პიროვნების კათალიკოს-პატრიარქობა, სხვა ასეთი ვინმე დავით აღმაშენებლის ზეობისას არ ჩანს. რაც შეეხება ქართლის მეფის, დავით X-ის მეფობის ხანას, ქართლის კათალიკოსად იხსენიება დოროთეოს II (1507-1511, ზოგან 1516). როინ მეტრეველის მიხედვით კი ამ დროს დოროთეოსის (1503-1505 და 1511-1516 წ.წ.) გარდა კათალიკოს-პატრიარქები იყვნენ იოანე VIII (1505-1509 წ.წ.), დიონისე (1509-1511 წ.წ.) და ბასილი VI (1517-1528 წ.წ.) (მეტრეველი, 2010: 82-84). ასე რომ, დოსითეოსი აქაც არ ფიქსირდება. მაგრამ თუნდაც დაეუშვათ, რომ დოსითეოსი იგივე დოროთეოსი იყო, ეს არაფერს არ ცვლის, რადგან ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ დავით X არა სიგელის ავტორი, არამედ სიძველის გამო, პატარა კახის მსგავსად, მისი განმახლებელია და გარკვეული ცდომილებანი რომელიმე გადამწერის შეცდომამ გამოიწვია. **(თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ დოროთეოსი და მეფე დიმიტრი ერთად არიან მოხსენებული დავით აღმაშენებლის მეფობის შემდგომ ახლო პერიოდის, 1154 წლის გიორგი მთაწმინდელის წერილში, რომელშიც დოროთეოსი ნახსენებია როგორც 70 მოსწავლისათვის დატოვებული საკითხავის ავტორი, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელს უთარგმნია ლათინური ენიდან ბერძნულ და ქართულ ენებზე).** [ჟორდანია, 1897: 78-79]

ამასთან, ცნობილია 1392 წელს შედგენილი სია მცხეთის საეკლესიო მამულებისა, რომელშიც საქართველოს სხვა სოფლებთან ერთად პირდაპირ შეტანილია სოფ. დისევიც. მასში ნათქვამია: „...კუალად სოფელი ზერტი თვისითა მამულითა, ნასოფლარი, სათიბი; სოფელი ქვეში; სოფელი ფლაგი; **სოფელი დისევი**; სოფელი ჩხიკეთი; სოფელი სათიხარი; და რაც ქართლს, კახეთს, ანუ სომხეთს დასხუათა ადგილთა ყმანი და მა-

მულნი ყოფილან აწ ჩვენ გუჯრითა ამით განვაახლეთ და ვათარხნეთ ყოვლისა სამეფოსა ხარჯისაგან...“ (ქორდანი, 1897: 195-198). ადრე მოხსენიებულ გუჯართა მონაცემებსაც თუ გავითვალისწინებთ, ყველაფერი ეს იმის დასტურია, რომ იგი 1516 წლამდე დიდი ხნით ადრე უკვე შეწირულია სეპტიცხოვლისადმი. აღნიშნული გუჯარი ხელმოწერილია ასე: „მეფე ალექსანდრე გამტკიცებ ნებითა ღთისათა“ და აქვს დასმული ბეჭედი წარწერით „მონა ღვთისა ალექსანდრე“. ნუსხა აღნიშნული გუჯრის შემდგომში დაუმტკიცებია სვიმონ მეფეს (+1599 წ.), როსტომს (+1656 წ.) გიორგის (იქვე, გვ. 197), საიდანაც ჩანს, რომ სიგელ-გუჯართა განახლება ჩვეულებრივი პრაქტიკა უნდა ყოფილიყო იმ პერიოდის საქართველოში. ამასთან, შიო-მღვიმის აღნიშნულ მამულების შესახებ უნდა იყოს საუბარი 1445-1469 წლების შიო მღვიმის სიგელში, რომელშიც ნათქვამია: „...მეფეთ-მეფემან გუგი და მეუღლემან ჩ-ნმან პატრონმან დედოფალმან ნესტან-დარეჯან ესე სიგელი გკადრე... **შიოს უდაბნოს მღვიმისა...** მას ჟამსა, ოდეს კარზედა მოგუიდგეით და **ძუელნი გუჯარნი და განაჩენნი მის სულკურთხეულისა აღმაშენებლისა დავითისი** და ჟამთა უკანასკნელობისა და შლილობისაგან დიადი წესი და საქმე შეცულოდა და **სულკურთხეულსა მამასა ჩემსა ხელ ეყო.**“ (ქორდანი, 1896: 73).

დაბოლოს, ჩვენი ამ შეხედულებებისა და აღნიშნული სიგელის დავით აღმაშენებლისადმი კუთვნილების ირიბ დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ 1534 წელს ნიკორწმინდის ხუცურად დაწერილი სიგელიც გაცემული იმერთა მეფის ბაგრატ მესამის მიერ, რომელშიც ნათქვამია: „...შემოვსწირეთ სოფელნი და დაბანი ...თ-ქნ წ-ო გ-ი მთისა მთავარმოწამელ! როგორათაც **დავით აღმაშენებლისაგან და ძისა მისისა დიმიტრისაგან** შემოწირული ყოფილიყო...“, და „...ჩვენ მეფეთა-მეფემ აფხაზეთისათა აღმოსავალ-დასავალამდე მპყრობელ პატრონმა ხელმწიფემან **დავით და ძემან ჩემმან დიმიტრიმან** ესე მტკიცე და უცილობელი შემოწირულებისა სიგელი მოგახსენეთ...“, როგორადაც დავით აღმაშენებლისეულად მიჩნეული ჩვენი გვარის მომხსენებელი გუჯარი იწყება, ფაქტიურად უნდა მიუთითებდეს ამ ორ დოკუმენტში მოხსენებულ პიროვნებათა იდენტურობაზე.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თ. ქორდიას „ქრონიკების“ მეორე ტომში აღნუსხულ [გვ. 344-345] 1519 წლის ქვათახევის მონასტერზე შეწირულების სიგელში, 1526 წლის მცხეთისა [გვ. 368-369] და 1550 წლის (გვ.390-391) ქვათახევის სიგელებში, ყველგან მოხსენიებულია მეფე დავით მეათის შვილები, – **ლუარსაბი, ადრაზანი და რამაზი**. ერთადერთი დოკუმენტი, სადაც ამ მეფის შვილად დიმიტრია მოხსენებული, არის „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში აღნუსხული ცნობა (ქართლის ცხოვრება, 1959: 492), რომელიც 1518 წელს მომხდარ ამბავთა შესახებ მოგვითხრობს. მასში ნათქვამია, რომ „აღიძრა ყაენი და წარმოვიდა საქარ-

თველოს საქრისტიანოსა; ხატთა და ჯუართა ყუელასა ატყუებდეს. პატრონმან მეფემან დავით თვისი შვილი რამაზ გაგზავნა და ყაენს წინა მიაგება და დაიხსნა საქრისტიანო. და დაჰყო რაოდენიმე ხანი მერმე დღითა კეთილითა აღსავსემან აღირჩია კეთილი ნაწილი და იქმნა მონაზონი, და უწოდეს სახელად დამიანე. და ესხა ძენი სამნი: ლუარსაბი, დიმიტრი და რამაზი.“ მაგრამ ამავე მოვლენაზე, ზუსტად 1518 წლის ქვეშ, თ. ჟორდანიას ზემოთ დასახელებულ ქრონიკებში (გვ. 335) ოთხჯერაა საუბარი და არცერთხელ არ არის ნახსენები დიმიტრი უფლისწული (ყველგან **ლაპარაკია ლუარსაბის, ადრაზანისა და რამაზის შესახებ**), რაც “ქართლის ცხოვრებაში” ამ ფაქტთან დაკავშირებით დაშვებულ უზუსტობაზე უნდა მიუთითებდეს. ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ დავით მეათისა და მისი შვილებისადმი მიძღვნილ სიგელებში სამივე ვაჟი – ლუარსაბი, ადრაზანი, რამაზი, ყოველთვის ერთადაა მოხსენებული და რომელიმე მათგანი მამასთან ერთად ცალკე არაა დაფიქსირებული, როგორც ეს დავით აღმაშენებლისეულად მიჩნეულ გუჯარშია გაკეთებული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, კიდევ ერთხელ მეტყველებს ჩვენი მოსაზრებების სასარგებლოდ, რომ ხსენებული წყალობის სიგელი უცილობლად დავით აღმაშენებლის ხელიდან უნდა იყოს გამოსული.

როგორც ჩანს, სხვადასხვა ეპოქის ერთიანი საქართველოს, თუ ქართლის მეფეებს არაერთხელ განუახლებიათ ოქროპირიძეების საგვარეულო სოფლის – დისევის სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის სიგელი. ერთ-ერთ შემთხვევაში მის განმარტებლად ქართლის დაუმორჩილებელი და გმირი მეფე სიმონ I (1556-1600) გვევლინება. 1559 წელს აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, დომენტი I-ის (1556-1560) თხოვნით სიმონ მეფემ (იგი ზემოთნახსენები ქართლის მეფის – დისევისადმი ბოძებული სიგელის სავარაუდო განმარტებლის, დავით მეათის შვილის შვილია) დისევთან ერთად სვეტიცხოველს დაუმტკიცა ძველი შეწირულობები, რომელსაც მცხეთის დიდი სიგელი ეწოდება [ჟორდანიას, 1897: 400-401] მასში მითითებულია სვეტიცხოველის კუთვნილი მამულები, სოფლები მათი საზღვრებით.

ყველაფერი ზემოთ განხილული, სოფელ დისევისა და მასში მცხოვრები ძირითადი გვარის – ოქროპირიძეებისადმი ქართული სამეფო ხელისუფლების მნიშვნელოვან ყურადღებაზე მეტყველებს, რაც აღნიშნული საგვარეულოს წარმომადგენელთა ღვთისა და სამშობლოსადმი კეთილმსახურების შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის მიერ დავით აღმაშენებლის სიგელის განახლება კი იმის დასტურია, რომ სოფელი დისევი XVIII საუკუნის ბოლომდე მცხეთის სვეტიცხოვლის საკუთრებას წარმოადგენდა.

თუ თვალს გადავაგვლებთ ძველ ქართულ სიგელ-გუჯრებს, წყალობის წიგნებს, დავრწმუნდებით, როგორი სიზუსტით არიან ისინი შედგენილნი. შემწირველი ადრესატისადმი შეწირულ ყველა წვრილმანს აღ-

ნუსხავს. დავით აღმაშენებლის მიერ ოქროპირიძეებისადმი ნაწყალობევი სიგელში ზედმიწევნითაა ნაჩვენები სვეტიცხოვლისადმი ბოძებული დისევის საზღვრები. სიგელი ოქროპირიძეებს „კეთილგვაროვანთ“ უწოდებს. როგორც ჩანს, დიდმა დავითმა “კეთილგვაროვან ოქროპირიძეებს” ოფიციალურად უბოძა ვრცელი ტერიტორია და იგი დაუქვემდებარა მცხეთის სვეტიცხოველს, რითაც გაგრძელდა მათი თავდადებული მსახურება სამშობლოსა და დედაეკლესიისადმი.

წმინდა იოანე ოქროპირი გვმოდვრავს: “არაფერია უფრო წმინდა, ვიდრე ენა, რომელიც უბედურების ჟამს ჰმადლობს უფალს! ჭეშმარიტად გეტყვით: არაფრით განსხვავდება იგი მოწამეთა ენისაგან და იგივე გვირგვინს ღებულობს...” („ყოველთა შინა ჰმადლობდეთ“...2009-2010: 8-9).

და ადამიანურ სათქმელში, რომელი სიტყვა გამოხატავს ამ წმინდა ენას უფრო უკეთ, ვიდრე ოქროპირი, ე. ი. ენა, რომელიც მუდამ ჟამს ჰმადლობს უფალს; ამიტომაც მისგან ოქროპირიძეთა გვარის წარმოშობის შესაძლებლობა მეტად სანდომიან საქმედ მიგვაჩნია; რადგან, განა ვინმე არ ისურვებს ისეთ საძირკველს, რომელიც უკვდავებაზეა დაშენებული, განა ვინმე უარყოფს ისეთ მამას, რომელსაც ჩვენთვის მარადიული ფასეულობების ჩანერგვა განუზრახავს, – და განა ღვთისთვისაც სათნო არ იქნება წმინდანთა ნაკურთხ ემბაზში განბანოს ჩვენი ღამაზი გვარის უფლისადმი ერთგულად ნამსახური მემკვიდრენი?! მით უმეტეს, ეს თუ დოკუმენტებითაც მხარდაჭერილია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ბეჭირიშვილი, 1996: - ბეჭირიშვილი ი., აჭარის ისტორია გვარ-სახელებში, ბათუმი.

მეტრეველი, 2010: - მეტრეველი რ., ერთიანი საქართველოს მეფეები და პატრიარქები, გამომც. “არტანუჯი”, თბილისი.

სილოგავა, 2008: - სილოგავა ვ., პატრიარქი X საუკუნის საქართველოში. პარხლის წარწერა, ოშკი, თბილისი.

ჟორდანი, 1892: - ჟორდანი თ., ქრონიკები, I, ტფილისი.

ჟორდანი, 1897: - ჟორდანი თ., ქრონიკები, II, ტფილისი.

ჟორდანი, 1896: - ჟორდანი თ., ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძველი ვაჰანის ქვაბთა, ტფილისი.

პირთა ანოტ. 2004: - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, საქართველოს მეცნ. აკად. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომც. “არტანუჯი”, თბილისი.

ქართლის ცხოვრება, 1955: - ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი.

ქართლის ცხოვრება, 1959: - ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი.

ჯავახიშვილი, 1977: - ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია (თორმეტ ტომად), ტომი VIII, თბილისი.

ტბეთის სულთა... 1977: - ტბეთის სულთა მატინე, თინა ენუქიძის გამოცემა, თბილისი.

თისლისა და ხახულის... 1986: - თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო დარეჯან კლდიაშვილმა, თბილისი.

აჭარის ლივის... 2012: აჭარის ლივის ვრცელი დამოკლე დაეთრები, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს: ზ. შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბილისი.

რუხაძე, 1957: - რუხაძეშ., დარჩიძეებისა და შუახევის ციხე-სიმაგრეები, აჭარის ასსრ სახელმწ. მუზეუმი, შრომები, ტ. II, სახელმწ. გამომცემლობა, ბათუმი.

ოქროპირიძე, მთხრობელი ზურაბ ოქროპირიძე, 65 წლის.

ნათელი ქრისტესი... 2003: ნათელი ქრისტესი საქართველო, წ. 1, ანდერძი დავით მეფისა შიო მღვიმისადმი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., თბილისი.

გაზ. “ივერია” - გაზ. „ივერია“, №210, 1890.

მეგრელიძე, 1963: - მეგრელიძე ი., წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ლიახვის ხეობაში, საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, №5, თბილისი.

ვარდოსანიძე, 2000: ვარდოსანიძე, საქართველოსკათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი (1918-1921 წ.წ.), თბილისი.

ჩემი სოფელი...2010: ჩემი სოფელი-ლიახვის ხეობა, ჟურნ. „კარიბჭე“, №9 (122), 30. IV-15. V.

ყოველთა შინა ჰმადლობდეთ, 2009-2010: - „ყოველთა შინა ჰმადლობდეთ“ (წმ. იოანე ოქროპირის მიხედვით), ჟურნ. „საპატრიარქოს უწყებანი“, №4, 24.XII.09-7.I. 10.

Ucha Okropiridze

“Okropiridze’s having Kind Surname” – from the history of Okropiridze’s Surname

Resume

The present work discusses brief history of origin of Okropiridze’s Surname. They say that surname Okropiridze should have derived from the name of a person having spiritual title or the additional name- Okropiri and the surname Okropiridze was given by Davit The Builder to the Johanne herald.

The surname is mentioned in the Deed of Grace given by David the Builder where the talk is about Svetitskhoveli and “Okropiridze’s having Good Surname”. The scientific discussion is given hereby that the mentioned Deed is really of David The Builder and the direct and indirect evidence of it are shown and accordingly the appropriate conclusions are made.

ნუგზარ ჩხაიძე

*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოსოფიის დოქტორი*

**სოციოლოგიური კვლევების სანდოობის ზოგიერთი
საკითხისათვის**

სოციოლოგიაში წარმოებული კვლევების რეპრეზენტულობა (წარმომადგენლობითობა) გვევლინება ამ კვლევების სანდოობის ხარისხის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

ზოგადად რეპრეზენტულობა წარმოადგენს სოციოლოგიური კვლევის ერთეულის შერჩევის იმგვარ პრინციპს, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ რეზულტატები, რომლებიც მიღებული იქნა შეზღუდული რაოდენობის ობიექტების შესწავლის საფუძველზე, გადატანილი იქნას გენერალურ ერთობლიობაზე (ეს არის ობიექტი მთლიანად). რეპრეზენტატიული შერჩევის მთავარი დანიშნულებაა საკვლევად შერჩეული ერთობლიობის (უშუალო ანალიზის ობიექტის) ნიშნები იმავე პროფილის ნიშნები იყოს, რაც დამახასიათებელია გენერალური ერთობლიობისთვის, ანუ მაგალითად, თუ ვაწარმოებთ რომელიმე დასახლებული პუნქტის (გენერალური ერთობლიობა) მოსახლეობის სოციოლოგიურ გამოკითხვას, საჭიროა გამოსაკითხ რესპოდენტთა სტრუქტურა (ასაკი, სქესი, ეროვნება და ა.შ.) შესაბამისობაში იყოს გენერალური ერთობლიობა სტრუქტურასთან. არასწორი, ხარვეზიანი შერჩევის შედეგად მიღებული ინფორმაცია არ იქნება ვალიდური და მისი გავრცელება მთელ გენერალურ ერთობლიობაზე არამართებულია.

რეალურად აქ საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გავაკეთოთ ინდუქციური დასკვნები, ანუ ცალკეული ერთეულების სოციოლოგიური შესწავლის საფუძველზე როგორ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მთლიანად მთელ შესასწავლ ობიექტზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ქმდება წარმოდგენს ისეთ პროცესს, როცა ხდება გადასვლა დაკვირვებადი სოციალური ობიექტებიდან, მათი თვისებებიდან და ურთიერთობებიდან არადაკვირვებად ობიექტებზე. ინდუქციურ მეთოდს მეცნიერების მრავალი დარგი

იყენებს. რაც შეეხება სოციოლოგიას, აქ ინდუქციური მეთოდის გამოყენებას გარკვეული პრობლემური ფონი დაყვება.

სოციოლოგიაში ინდუქციური მეთოდის გამოყენებისას ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად გვევლინება ის გარემოება, რომ ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევა უნიკალურია: ის ტარდება კონკრეტულ ისტორიულ და სოციალურ მომენტში, განუმეორებელია ის სიტუაციაც, როდესაც ხდება მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგებზე გარკვეულ გავლენას ახდენს ფსიქოლოგიური, კულტურული, ეთნიკური და სხვა სახის ფაქტორები. გამომდინარე ასეთი ვითარებიდან, შეიძლება თუ არა საერთოდ ვისაუბროთ სოციოლოგიაში ინდუქციური დასკვნების საფუძვლიანობაზე? გულწრფელები თუ ვიქნებით, ასეთი დასკვნები არ შეიძლება მთლიანად, ასი პროცენტით იყოს ლოგიკურად დასაბუთებული, რადგან ექსტრაპოლაცია (რომელიმე მოვლენის ერთ ნაწილზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნების გადატანა მის მეორე ნაწილზე ვრცელდება იმ ადამიანებზეც, რომელთა სოციოლოგიური გამოკითხვა არ ჩატარებულა.

გამომდინარე ასეთი გარემოებიდან, რა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამა თუ იმ კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის შედეგების განზოგადება რეალურად ასახავს მთელი მოსახლეობის დამოკიდებულებას გარკვეული პრობლემური საკითხებისადმი? ამ შემთხვევაში სოციოლოგები ეყრდნობიან მრავალჯერ აპრობირებულ იმ კონცეფციას, რომ ადამიანები ან მათი გარკვეული სოციალური ჯგუფები მსგავსი ნიშნების თუ თვისებების მატარებლები არიან. მაგ. საკმარისია საქართველოს ნებისმიერ კუთხეში გამოვკითხოთ 100 პენსიონერი, პენსიის ოდენობის თაობაზე და დავინახავთ, რომ მათი პასუხები ძირითადად იდენტური იქნება პენსიონერთა მრავალრიცხოვანი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის პასუხებისა: მათი აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც გამოკითხული 100 პენსიონერი, უკმაყოფილო იქნება პენსიის ოდენობით. ამ დებულების უფრო ნათლად წარმოსახენად, შეიძლება პირობითად ქიმიკი მოვიშველიოთ. მაგ. თუ შავი ზღვის ქიმიური სტრუქტურის შესწავლა გვინდა, არ არის საჭირო მთელი შავი ზღვის შესწავლა. საკმარისია სინჯარაში აღებული ზღვის წყლის უმნიშვნელო რაოდენობის ქიმიური ანალიზი, რომ ჩვენ გვეცოდინება მთელი შავი ზღვის ქიმიური შემადგენლობა.

ჩვენ შორს ვართ იმ მოსაზრებისგან, რომ ყველა პენსიონერი აბსოლუტურად ერთ აზრზე იყოს პენსიის ოდენობით კმაყოფილების თაობაზე – ადამიანი მრავალმხრივი ბუნებისაა, ცხოვრებაც მრავალფეროვანია, ამიტომ დასაშვებია, რომ პენსიონერთა გარკვეული ნაწილი არ გამოთქვამს უკმაყოფილებას პენსიის ოდენობით გამო (მაგ. ასეთები შეიძლება იყვნენ ის პენ-

სიონერები, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთ მდიდარ შვილებთან ერთად და არ განიცდიან მატერიალურ სიდუხჭირეს).

მიუხედავად ამისა, ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ პენსიონერების რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი იქნებიან თავიანთი პენსიების რაოდენობით, უმნიშვნელოა და ვერ განსაზღვრავს პენსიონერთა ამ საკითხისადმი დამოკიდებულების ძირითად ვექტორს (ნებისმიერ სოციოლოგს, კვლევის შედეგებისადმი გარკვეული ეჭვის შემთხვევაში, შეუძლია გადაამოწმოს მიღებული რეზულტატები განმეორებითი ემპირიული სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე, რაც მოხსნის სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ სოციოლოგიური კვლევისადმი).

სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისას, მრავალი ნიუანსის გათვალისწინებაა საჭირო. მაგ. დადგენილია, რომ ადამიანთა შრომითი საქმიანობის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესპოდენტის სქესს: მამაკაცები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ შრომის შინაარსს, ხოლო ქალები შრომის პირობებს. ამ თეზის განმარტება შეიძლება ერთი კონკრეტული მაგალითით. 1982 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარა სოციოლოგიური გამოკვლევა ბათუმის საწარმოებში დასაქმებულთა შრომის პირობების თაობაზე. გამოკითხვის შედეგებმა შრომისადმი ქალთა და მამაკაცთა დამოკიდებულების გარკვეული სხვაობა გამოავლინა – კაცები თავიანთი შრომით კმაყოფილების დონეს ძირითადად უკავშირებდნენ ხელფასის რაოდენობას, ხოლო ქალებისთვის მთავარი იყო არა ხელფასის ოდენობა, არამედ შრომის პირობები. მაგ. ქალები, რომლებიც მუშაობდნენ ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში და მათ იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ (საშუალოდ 300 მანეთი და მეტი), უფრო მეტად იყვნენ უკმაყოფილო თავიანთი საქმიანობით, ვიდრე ბათუმის მექანიკური ქარხნის ნათურების საამქროს თანამშრომელი ქალები, რომელთა ანაზღაურება საშუალოდ 80 მანეთის ფარგლებში მერყეობდა. სამუშაოსადმი ასეთ განწყობას ძირითადად ფსიქოლოგიური ფაქტორი განსაზღვრავდა – ქალები, რომლებიც ნათურების საამქროში მუშაობდნენ თავიანთი საქმიანობით კმაყოფილებას უკავშირებდნენ არა შრომის ანაზღაურებას, არამედ სხვა რეალობებს: სუფთა და არამძიმე სამუშაო. შესასრულებელი სამუშაოს სიმარტივე, ქალთა კოლექტივი, ქალებისთვის აღნიშნული ხასიათის შრომის პრესტიჟულობა. მათგან განსხვავებით მანქანათმშენებელ ქარხანაში დასაქმებული ქალები, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი ხელფასი ჰქონდათ, მაინც უკმაყოფილო იყვნენ თავიანთი სამსახურით. ასეთი ვითარება კი ძირითადად განპირობებული იყო ქალები-

სათვის შეუფერებელი მძიმე და შეუფერებელი სამუშაოს შესრულებით, რაც ძალიან ღიახვდა მათ ღირსებას.

ამგვარად ჩვენ შეგვიძლია სანდოობის საკმაოდ მაღალი ხარისხით ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტთა სქესმა ამა თუ იმ კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის სტრუქტურიდან გამომდინარე შეიძლება ერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კვლევის შედეგებზე. სხვა შემთხვევაში კი არა. ასეთ ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით, კარგი იქნება, თუ მკვლევარი ძირითადი სოციოლოგიური კვლევის დაწყებამდე, რამდენიმე საპილოტე გამოკითხვას ჩატარებს. ამ შემთხვევაში შესასწავლი ერთეულის სოციოლოგიური კვლევა უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებზე გარკვეული გავლენა შეიძლება იქონიოს იმ ქვეყნის ან რეგიონის ეთნიკურმა შემადგენლობამ და ტრადიციებმა, სადაც ტარდება კვლევა. მაგ. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, განსხვავებულად აფასებენ თავისი ხალხის და სხვა ერების წვლილს მსოფლიო კულტურის განვითარებაში. ძალიან ხშირად ისინი საკუთარი ერის დამსახურებას მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში აზიადებენ. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის თაობაზე სხვადასხვა სახის სოციოლოგიური გამოკითხვისას რესპოდენტები უფრო გულწრფელები არიან, ვიდრე პოლიტიკური ხასიათის გამოკითხვების დროს. ჩვენი ვარაუდით, ამ შემთხვევაში რესპოდენტთა ნაწილს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩა იმის შიში, რომ მათ პასუხებს ამა თუ იმ პოლიტიკოსის ან პარტიების შესახებ „ვიდაც“ გაიგებს და მათ პრობლემებს შეუქმნის.

დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზია. მაგ. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის „მაღალი“ რეიტინგი, მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო იმ ტელეპროპაგანდით (უფრო სწორი იქნება ტელედემაგოგიით), რასაც ეწოდნენ მისდამი დაქვემდებარებული ტელეარხები.

რესპოდენტების პასუხებზე, მათ აზროვნებასა და ქცევაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია უეცრად წარმოშობილ კარდინალური ხასიათის მოვლენებს. მაგ. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომიტინგეების დახოცვამ საბჭოთა ჯარების მიერ, მკვეთრად შეცვალა ქართველი ხალხის დამოკიდებულება საბჭოთა სისტემისადმი. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმზე ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა. ასევე დიდი როლი ითამაშა „ნაციონალური მოძრაობის“ და მ. სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხების საქმეში საქართველოს ციხეებში ფარულად გადაღებულმა პატიმრების წამების კადრებმა. მისმა

ჩვენებამ ხელი შეუწყო 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას.

სოციოლოგიაში ერთ-ერთ რთულ საკითხად ითვლება პოლიტიკური პროგნოზის სოციოლოგიური დასაბუთება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი რთული პრობლემის გადალახვა, როგორიცაა მაგ. საპრეზიდენტო არჩევნებში რეალური მონაცემების „დადება“, გარკვეულწილად მიიღწევა მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის პერიოდულობის გაზრდით – ის რეგულარულად წარმოებს მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში. მისი ინტენსივობა კი ითვალისწინებს რესპოდენტთა რამდენჯერმე გამოკითხვას ერთი თვის განმავლობაში. ხშირად ის ტარდება პრეზიდენტობის კანდიდატის ყოველი საჯარო გამოსვლის ან ტელედებატების შემდეგ. ამ მხრივ ყველაზე დიდ წარმატებებს აღწევს ისეთი ცნობილი ამერიკული სოციოლოგიური ორგანიზაციები, როგორებიც არიან „პარისის სამსახური“ და „გელაპის სამსახური“. მათ მიერ 1936 წლიდან დღემდე ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნების სოციოლოგიური პროგნოზის ცდომილება ძალიან მცირეა და მერყეობს 1,2%-3,6%-მდე ფარგლებში.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წინასაარჩევნო გამოკითხვებს ამერიკაში აწარმოებს მრავალი კონკურენტი სოციოლოგიური ფირმა. ასეთი ვითარება კი საშუალებას იძლევა მოხდეს მიღებული სოციოლოგიური რეზულტატების ეფექტური გადამოწმება. ამასთან ერთად სოციოლოგიური კვლევის შედეგები მყისიერად მიეწოდება მასმედიას, რაც ძლიერ ზეგავლენას ახდენს, როგორც მერყევ ამომრჩეველზე, ასევე იმათზეც ვინც უკვე მტკიცე არჩევანი გააკეთა.

სამწუხაროდ საქართველოში მოღვაწე ორი საერთაშორისო ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია – „ენდიაი“ და „აირაი“ აშკარად არაკვალიფიციურ სოციოლოგიურ კვლევებს აწარმოებენ და ხშირად არასანდო (უფრო ზუსტად ფალსიფიცირებულ) ინფორმაციას აწვდიან ქართულ საზოგადოებას. მაგ. მათი სოციოლოგიური გამოკითხვებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დიდი უპირატესობით უნდა გაემარჯვა „ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო ბიძინა ივანიშვილს რეიტინგით მკვეთრად უსწრებდა არა მარტო მ. სააკაშვილი, არამედ ისეთი ნაკლებრეიტინგული პოლიტიკური ფიგურა, როგორიც „ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის“ იმჟამინდელი ლიდერი გიორგი თარგამაძე იყო. არჩევნებმა კი, როგორც ცნობილია, სულ სხვა შედეგი მოიტანა.

სამწუხაროდ საქართველოში დღეისთვის არ ფუნქციონირებს არც ერთი რეალურად დამოუკიდებელი ადგილობრივი სოციოლოგიური სამსახური. ჩვენს ქვეყანაში მომქმედი ვითომდა „სამამულო“ სოციოლოგიური ფირმები რეალურად უცხოური სოციოლოგიური (და შესაძლებელია არა

მარტო მათი) ორგანიზაციების დანამატებია და ამიტომ მათი კვლევების „შედეგები“ ხშირად არ ასახავს ქვეყანაში არსებულ მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. ამ გარემოებაზე ყურადღებას მრავალი ექსპერტი ამახვილებს. მათი აზრით, ასეთი „კვლევების“ უმეტესობას პოლიტიკური დაკვეთის „ელფერი დაჰკრავს“.

პოლიტიკური ხასიათის კვლევების სანდოობის ხარისხს პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალიან აფერხებს ის გარემოება, რომ ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ დაბალია მოსახლეობის პოლიტიკური კულტურა, მათ საკმაოდ დიდ ნაწილს არ აქვს რაიმე გამოკვეთილი, მყარი პოლიტიკური თვალსაზრისი და არჩევნებიდან არჩევნებამდე მერყეობს ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დროს. ამის ნათელი მაგალითია 1993 რუსეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები. ყველა მონაცემებით არჩევნებში იმარჯვებდა ხელისუფლების კურსის მხარდამჭერი პარტია – „რუსეთის დემოკრატიული არჩევანი“ (პარტიის თავმჯდომარე ი. გაიდარი). ამ კუთხით სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა იმ დროისათვის ყველაზე ცნობილმა რუსმა სოციოლოგმა ტატიანა ზასლავსკაიამ რომელმაც გამარჯვება სახელისუფლო პარტიას უწინასწარმეტყველა. არჩევნებმა კი სულ სხვა შედეგი მოგვცა – ზემოთაღნიშნული პარტია არჩევნებში დამარცხდა. ასეთი ვითარების ანალიზი გააკეთა თვით ტ. ზასლავსკაიამ, რომელმაც განმარტა თავისი არასწორი პროგნოზის ძირითადი მიზეზები. ის კი შემდეგში მდგომარეობდა: წინასწარჩვენო ბრძოლის ბოლო ეტაპზე – არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ძალიან გააქტიურდა ორი ქარიზმატული პოლიტიკური ფიგურა – ვლადიმერ ჟირინოვსკი და ალექსანდრე ლეხედი. მათმა პოპულისტურმა, აგრესიულმა, დემაგოგიურმა და ნაციონალისტურმა პროპაგანდამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა იმ არამყარი პოლიტიკური შეხედულებების მქონე ელექტორატზე, რომელიც კვლავ ოცნებობდა საბჭოთა კავშირის აღდგენაზე და იაფ პროდუქციაზე (იმ პერიოდში რუსეთში მკვეთრად გაიზარდა სამომხმარებლო ფასები). მათმა უმრავლესობამ არჩევნებზე ხმა ვ. ჟირინოვსკის და ა. ლეხედის მისცა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ი. გაიდარის პარტიის დამარცხება. ამასთან ერთად, არასწორი პროგნოზის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ სოციოლოგიური კვლევები შეწყდა არჩევნებამდე ერთი თვით ადრე. ეს პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა რუსეთის მერკანტილური ხასიათის მქონე იმ ამომრჩევლისათვის, რომ მკვეთრად შეეცვალა თავისი პოლიტიკური ვექტორი და ხმა მიეცა ოპოზიციური პარტიებისთვის. ამიტომ, გამომდინარე ამერიკელი სოციოლოგიური გამოცდილებიდან, რესპოდენტთა წინასწარჩვენო გამოკითხვები უმჯობესია არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გააქტიურდეს და არა პირიქით. ასეთი პრაქტიკა იქნება იმის გარანტია, რომ

სოციოლოგიურ კვლევებში მოსახლეობის რეალური პოლიტიკური განწყობა აისახოს.

ის, რომ რუსული ელექტორატი ადვილად ექვემდებარება მათი ცნობიერების მანიპულირებას სახელისუფლო პროპაგანდის მხრიდან, ნათელ ასახვას პოულობს სხვადასხვა სახის სოციოლოგიურ გამოკითხვებში. მაგ. თუ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, საქართველო რუსეთის მტრებს შორის „მოწინავე“ პოზიციაზე იყო (უფრო ხშირად ამ მხრივ მხოლოდ ამერიკა გვისწრებდა), ახლა საქართველო რუსეთში ნაკლებად მნიშვნელოვანი „მტერია“. ჩვენი ადგილი ამჟამად უკრაინამ დაიკავა. ეს ყველაფერი მიგვიბრუნებს იმ გარემოებაზე, თუ რა ძნელია სოციოლოგის მიერ სწორი პოლიტიკური პროგნოზის გაკეთება იმ ქვეყნებში, სადაც ბევრი პოლიტიკურად მოუმწიფებელი, მყარი საკუთარი აზრის არმქონე ადამიანი ცხოვრობს.

სოციოლოგიაში ძალიან ძნელია რესპოდენტთა იმ პასუხების ინტერპრეტირება, რომელიც რაციონალურ ლოგიკას არ ექვემდებარება და ამ კატეგორიის ადამიანების აზროვნების გარკვეული ირაციონალობით არის განპირობებული. ასეთი ვითარების ყველაზე ნათელ მაგალითად გამოდგება, რუსეთში მოსახლეობის ცხოვრების პირობების თაობაზე ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები – რესპოდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი მუდმივად გამოთქვამს უკმაყოფილებას ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტით (უმუშევრობა, ხელფასის დაბალი დონე, უგზოობა, კორუფცია და ა.შ.), მაგრამ როგორც კი შეკითხვა შეეხებოდა პრეზიდენტ პუტინის საქმიანობას, რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილი იყო მისი მოღვაწეობით, რაც რესპოდენტთა ამ ნაწილის აზროვნების ალოგიკურობაზე მიუთითებს.

სოციოლოგიური კვლევის სანდოობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გენერალური ერთობლიობის და წარმომადგენლობითი შერჩევის (რეპრეზენტატულობის) ერთმანეთთან შესაბამისობა საკვლევი რეალობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების მიხედვით. თუ რეპრეზენტულობა ძირითადი პარამეტრებით არ შეესაბამება გენერალურ ერთიანობას, მაშინ სოციოლოგიური კვლევის რეზულტატები ყალბი იქნება. აქ მთავარი სიძნელე არის გენერალური ერთობლიობის მთელი მასივის ზუსტი პარამეტრების დადგენა (მაგ. როგორია ამა თუ იმ საკვლევი ერთეულის დემოგრაფიული, რელიგიური, ეთნიკური, პროფესიული და ა.შ. სტრუქტურა). გენერალურ ერთობლიობის ზუსტი განზომილებების დადგენა ძალიან შრომატევადი პროცესია, ამიტომ სოლიდური სოციოლოგიური კვლევა ძალიან დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

სანდო სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა აგრეთვე საკვლევი ერთეულის და მისი ელემენტების სწორი, დასაბუთებული სტრატეგიფიცირებული (შრეობრივი) შერჩევა (სოციოლოგია-

ში სოციალურ სტრატას (ფენას, შრეს) წარმოადგენენ ადამიანთა ის დიდი ჯგუფები, რომელთა შორის სოციალური უთანასწორობა განსაზღვრავს მათ იერარქიულ ადგილს საზოგადოებაში). სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ყოველმხრივ არგუმენტირებული ტიპოლოგიის ასაგებად საჭირო სრული მონაცემების მოპოვება შეუძლებელი ან გაძნელებულია და არც თუ ისე იშვიათად მკვლევარები იძულებული არიან გაითვალისწინონ მხოლოდ ის პარამეტრები, რომელთა შესახებ არსებობს ინფორმაცია. ცხადია, რომ ასეთი ვითარება ხელს არ უწყობს რეპრეზენტატული მონაცემების მოპოვებას, რადგან რესპოდენტთა ვერანაირი შემთხვევითი შერჩევა ვერ „იმუშავებს“, თუ ტიპოლოგია გაკეთებულია იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც არ განსაზღვრავენ შესასწავლი მოვლენის შინაარსს. ამგვარად შემთხვევითი შერჩევის პროცედურის გამოყენება სოციოლოგიური კვლევების დროს, არ არის კვლევის რეპრეზენტატულობის სრული გარანტია.

საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე გამოსაკითხ რესპოდენტთა მასივის მინიმალური მოცულობა. სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიით მიჩნეულია, რომ თუ გამოკითხულთა რაოდენობა უმნიშვნელოა, დიდია ხარვეზიანი სოციოლოგიური რეზულტატების მიღების ალბათობა. სამწუხაროდ საქართველოში, სოციოლოგიური კვლევების „გაიოლების“ მიზნით, ხშირად ხდება რესპოდენტთა მცირე რაოდენობის გამოკითხვა, რაც რასაკვირველია ვერ მოგვცემს სრულ და ზუსტ ინფორმაციას საკვლევი ობიექტის შესახებ (მაგ. გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სოციოლოგიური კვლევების ფორმა, ქვეყნის სულ რამდენიმე რეგიონში გამოკითხავს რესპოდენტთა შეზღუდულ რაოდენობას და შემდეგ მის შედეგებს მთელ საქართველოზე განავრცობს. ასეთ შემთხვევაში კვლევის რეპრეზენტულობა დარღვეულია, რაც განსაზღვრავს ასეთი კვლევის შედეგების სანდოობის დაბალ ხარისხს. მცდარ და არაზუსტ ინფორმაციას კი საზოგადოება შეცდომაში შეყავს ამა თუ იმ სოციალურ მოვლენასთან დაკავშირებით.

რეპრეზენტატულობის დასაბუთების და შესაბამისად სოციოლოგიური კვლევის სანდოობის დონის ამაღლებას ხელს უწყობს საკვლევი ერთეულის დიფერენცირება. მაგ. თუ გვინდა სრულყოფილად შევისწავლოთ სტატისტიკური კავშირი მოსახლეობის შემოსავლების რაოდენობასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის, საჭიროა გამოვკითხოთ რესპოდენტთა წინასწარ შერჩეულია მინიმუმ სამი განსხვავებული სოციალური ჯგუფი (აქ შემთხვევითი შერჩევის პრინციპი არ გამოგადგება) – ა) მაღალი შემოსავლების მქონე პირები; ბ) საშუალო შემოსავლების მქონე პირები; გ) დაბალი შემოსავლების მქონე პირები. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება შემოსავლების დონის ყველა შესაძლებელი დიაპაზონი, რაც უზრუნველყოფს

გამოკითხვის რეპრეზენტულობას და მისი რეზულტატების მთელ საზოგადოებაზე გავრცელების შესაძლებლობას. სხვა შემთხვევაში ეს საკითხი სრულად ვერ იქნება შესწავლილი, რადგან დაეყრდნობა მცდარი ფაქტორების კორელაციას.

სოციოლოგიური კვლევების რეპრეზენტულობის დასაბუთებაში დიდ როლს თამაშობს კლასიფიცირების რთული მათემატიკური მეთოდების გამოყენება, მაგრამ რიგ შემთხვევებში ეს გარემოებაც კი ვერ უზრუნველყოფს სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მაღალ სანდოობას. ეს ძირითადად ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლევარს ზოგადი, ზედაპირული წარმოდგენა აქვს საკვლევ ობიექტზე და მისი შესწავლისას არ ითვალისწინებს მრავალ პრინციპულად მნიშვნელოვან ფაქტორს.

საბოლოო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ რეალური და სანდო სოციოლოგიური კვლევის ჩატარება საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია. მაგ. არასწორ რეპრეზენტატულ შერჩევას შეუძლია მთლიანად გადაუსვას ხაზი ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევას. უმთავრეს ფაქტორად სოციოლოგიური კვლევის რეპრეზენტულობის დასაბუთების და შემოწმების საქმეში მიჩნეულია შერჩევითი კვლევის მეთოდოლოგიური დაგეგმვა და მხოლოდ შემდეგ მეთოდური. თუ ამ საკმაოდ ცხად მოთხოვნას გავითვალისწინებთ, შერჩევის რეპრეზენტულობა რომელიც საკმაოდ რთული პროცესია, არ წარმოგვიდგება რთულად გადასაჭრელ პრობლემად.

Нугзар Чхаидзе

К некоторым вопросам достоверности социологических исследований

Р е з ю м е

Чтобы как-то справиться с неоднородностью выборочного массива, обычно применяют стратифицированный отбор, но, к сожалению, полные данные для построения всесторонне обоснованной типологии не всегда бывают доступны и исследователи вынуждены учитывать только те параметры, по которым имеется информация. Очевидно это не способствует получению репрезентативных данных, ибо никакой случайный отбор не поможет, если типология сделана на показателях, которые не определяют изучаемое явление. Таким образом, применение процедуры случайного отбора ещё не может гарантировать репрезентативности выборки.

სოციალური აზრის განვითარების ფორმირების ასპექტი

სოციალური აზრის წარმოშობასა და განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ პირველი ფილოსოფიური იდეები ადამიანისა და საზოგადოების შესახებ მონათმფლობელური აღმოსავლეთის ქვეყნებში (ეგვიპტე, ბაბილონი, ჩინეთი და ინდოეთი) ჩაისახა.

ეგვიპტელები ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ადამიანთა საზოგადოებას მარადიულ არსებობას მიაწერდნენ, ე.ი. მათი აზრით ადამიანთა სიცოცხლე სამყაროში სიკვდილის შემდეგაც გრძელდებოდა. ეგვიპტური „ქადაგების“ მიხედვით საზოგადოება პირამიდაა, რომლის ზედა საფეხური მონათმფლობელურ ელიტას უჭირავს, ხოლო ქვედა საფეხური მიწათმოქმედებსა და ხელოსნებს; უმდაბლესი საფეხურია მხოლოდ მონების, ყველაზე უფრო ჩაგრული უფლებო სოციალური ფენის. აშკარაა, „ქადაგება“ გაბატონებული საზოგადოების ინტერესებს იცავს. გამონაკლის შემთხვევაში, იგი მოსახლეობის ღარიბის ფენების მიმართაც იჩენს მოჩვენებით გულმოწყალებას.

ბაბილონში, ისევე, როგორც ეგვიპტეში, სამეფო დიდებულები, ქურუმები და მონათმფლობელები ყველგან წინა პლანზეა წამოწეული, ხოლო მონები-უმდაბლესი სოციალური ფენა მოკლებულია საზოგადოების წევრად აღიარების უფლებასაც კი.

ჰამურაბის (ბაბილონი) კანონების მსგავსად, კონფუციუსის ჩინური მოძღვრებაც საზოგადოებრივ, კეთილდღეობასა და ჰარმონიას მმართველობისადმი უსიტყვო მორჩილებას უკავშირებდა. უფრო პროგრესული შეხედულებების ავტორია მო-ძი (ძვ.წ. 479–400 ს.), რომლიც შრომას „ბუნებრივ მდგომარეობად“ აღიარებს. მისი აზრით შრომის პროცესში უნდა მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ღარიბები, არამედ მაღალი (გაბატონებული) საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლებიც. ანალოგიურ შეხედულებებს იმდროინდელ სხვა ჩინელ მოაზროვნეებთანაც ვხვდებით.

ძვ. წ. VI საუკუნეში რელიგიურ-ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური იდეებით გამორჩეულ „ჯაინიზმს“ (ინდოეთი) საინტერესო ეთიკური შინაარსი გააჩნია. ამავე დროს, იგი ადამიანებს მოთმინებითი ტანჯვისაკენ მოუწოდებს მატერიალური კეთილდღეობაზე უარის თქმის სასარგებლოდ.

„მაღალი“ და „დაბალი“ საზოგადოების აშკარა აღიარებას არც „მანუს კანონები“ უვლის გვერდს.

„ბუდას“ (623–544) მიხედვით, ადამიანი ტანჯული არსებაა. ეს ტანჯვა დაბადებიდან მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება; მან ამ ტანჯვით უნდა უზრუნველყოს ამქვეყნიური წამება იმქვეყნიური ბედნიერი ცხოვრებისათვის (ლუტიძე, 2002:91). ეს გზა ადამიანებს ნირვანამდე უდიდეს ბედნიერებამდე მიიყვანს. ბუდა ერთ-ერთი პირველი მოაზროვნეა, ვინც ზნეობრივი სრულყოფის გზები ჩამოაყალიბა შემდეგი ნიშნების მიხედვით: გონიერული ქცევა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, სწორი მეტყველება, ასეთივე აზრთა წყობა, აზროვნება და ა.შ. (ჯორჯაძე, 1911:76–77). ანალოგიური შეხედულებები არც სხვა ინდოელი მოაზროვნეებისათვისაა უცხო.

ადამიანისა და საზოგადოების შესახებ უაღრესად საინტერესო მოსაზრებები გააჩნიათ ძველ ბერძენ და რომაელ მოაზროვნეებს. ამ იდეებს ისინი ფილოსოფიური პოზიციებიდან აშუქებდნენ.

ადამიანის ზნეობრივი ბუნების ასხნა ბერძენ ფილოსოფოსთაგან პირველად სოკრატემ (ძვ.წ. 470–399) მოგვცა. მან წინა პლანზე წამოსწია სიკეთე, როგორც ადამიანური თვისება. სიკეთის წყაროს იგი ცოდნაში ხედავს, სრული ცოდნა გამორიცხავს ცუდსა და მიუღებელ ქცევებს. ეს მისი ეთიკის ერთი უმთავრესი საკითხია.

დემოკრიტემ (ძვ.წ. V ს.) კიდევ უფრო გააღრმავა ეს შეხედულება. მან ხელი, გონება და შრომა ადამიანის არსებობისათვის საჭირო საშუალებების წარმოების საფუძვლად აღიარა. გონიერება, სულის ნათელი, ღელვის დაოკება, გონების საშუალებით მიიღწევა და ადამიანური სიამოვნების მთავარი პირობად იქცევა. ყოველივე ეს კი მხოლოდ აღზრდისა და სწავლების გზითაა შესაძლებელი

პლატონის (ძვ.წ. 428–348) მიხედვით თავიანთ არსებობას ადამიანები უზრუნველყოფენ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გზით. ამ ერთიანობასა და თანხმობას ემსახურება სახელმწიფო, როგორც სათნოებისა და ბედნიერების დამკვიდრების საფუძველი. მაგრამ ყველა სახელმწიფო როდია ასეთი. არიან ცუდი და კარგი სახელმწიფოები, ცუდი და კარგი მმართველობის ფორმები. პლატონის სახელმწიფოში ხალხი მოკლებულია ასეთ შესაძლებლობას. იქ სახელმწიფო მმართველობა არისტოკრატიის ხელშია; მხოლოდ გონიერსა და იდეურ ადამიანებს შეუძლიათ ქვეყნის მართვა. ასეთები მხოლოდ ფილოსოფოსებია, და სახელმწიფო ხელისუფლებასაც ისინი უნდა განაგებდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, პლატონის სტრუქტურაში ფილოსოფოსებს პირველი ადგილი უკავიათ, ხოლო ყველაზე ბოლო ადგილი მიწათმოქმედებსა და ხელოსნებს აქვთ მიკუთვნებული. რაც შეეხება მონებს, პლატონი მათ არც ერთ საზოგადოებრივ ფენას არ აკუთვნებს. პლატონის „იდეური

სახელმწიფო“ სრულიად არ არის იდეალური. იგი მხოლოდ გაბატონებული წრის წარმომადგენელთა ინტერესების დამცველია.

ანტიკური სამყაროს სწორუპოვარი მოაზროვნე, არისტოტელე (ძვ.წ. 384–322) ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სვამს ადამიანთა („პოლიტიკურ ცხოველთა“) გაერთიანების აუცილებლობას. რეალურად არსებობისათვის მათ ერთმანეთი, ერთობლივი შრომა ესაჭიროებათ. სხვა ადამიანებთან კავშირი საკუთარი არსებობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა, მაგრამ ამას სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს. „ცხადია, რომ აუცილებლად საუკეთესოა ის სახელმწიფო, რომელსაც აქვს ისეთი წყობილება, რომ ყველა ადამიანს შეუძლია წარმატებით მოქმედება და ბედნიერი ცხოვრება“ (არისტოტელე, 1996:98). უარყოფითი და მიუღებელია ტირანისა და ოლიგარქიაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი მართვის ფორმა, იგი ხელს უშლის და აბრკოლებს საზოგადოების წინსვლასა და განვითარებას (არისტოტელე, 1996:69).

არისტოტელე ცნობს ქონებრივ ნიადაგზე ადამიანთა ჯგუფებად დაყოფის რეალობას და აქედან გამომავს არასწორი დასკვნა ფიზიკური შრომისა და პოლიტიკური ცხოვრებისათვის ადამიანთა დაყოფის სასარგებლოდ, რასაც იგი „ბუნებრივი ნების“ აუცილებლობით ამართლებს..

არისტოტელეს აზრით მონა მხოლოდ „ცოცხალი იარაღია“, მის მიმართ ნებისმიერი მოქმედება სავსებით გამართლებულია, რის გამოც დიდი სტაგირელი მას „მოქალაქეობრიობის მიღმა“ ტოვებს (Аристотель:445).

ატომისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის – ეპიკურეს (ძვ.წ. 341–270) შემოქმედებაში წინა პლანზეა წამოწეული ნების თავისუფლების საკითხი. ნება ხელს უწყობს საკუთარ სიამოვნებაზე ზრუნვას და სწრაფვას ბედნიერი მომავლისაკენ, იცავს ადამიანებს მოულოდნელობებისა და ტრაგიკული მოვლენებისადმი შიშისაგან. ფილოსოფიის ამოცანაა უზრუნველყოს ატარაქსია–სულის უშფოთველობის–განცდა. ადამიანისა და საზოგადოების შესახებ ანალოგიურ თეორიულ პოსტულატებსს ძველი აღმოსავლეთის მოაზროვნეთა შეხედულებებშიც ვხვდებით (ლუტიძე, 2002:102).

შუა საუკუნეებში რელიგიამ ფილოსოფიურ–რელიგიური დოგმატების დასაბუთების ფუნქცია იკისრა. ამის უტყუარი დადასტურებაა ნეტარი ავგუსტინეს (ძვ.წ. 354–430) შემოქმედება. მან ღმერთი ყოვლის შემოქმედად გამოაცხადა. ადამიანის თავისუფლება ღვთაებრივ ნებას დაუმორჩილა (ე.ი. ამ ნებით დეტერმინირებულად აღიარა) (ავგუსტინე, 1985:24). ღვთაებრივი წინასწარგანზრახულობის იდეაც მისი შექმნილია: ყველაფერი რაც ხდება და უნდა მოხდეს წინასწარაა განზრახული და განჭვრეტილი ღმერთის მიერ.

საზოგადოებისა და ადამიანის თეოლოგიური გაგების ავტორია თომა აკვინელი (ამ რწმენას ევროპული საზოგადოება მთელი საუკუნეების მან-

ძილზე იცავდა), მაგრამ ახალმა ეპოქამ, ბოლოს და ბოლოს მთლიანად შეცვალა წარმოდგენა ადამიანსა საზოგადოებაზე, გაათავისუფლა იგი ღმერთის ყოვლისშემძლეობის იდეისაგან.

ნიკოლოზ მაკიაველმა არა რომელიმე გარეგან ძალას, არამედ ადამიანს დააკისრა ზრუნვა საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. „ნივთები უნდა ემსახურონ ადამიანს“. მაკიაველის ამ მოწოდებამ მთელი ევროპა შემოიარა.

კერძო საკუთრების გაუქმება და საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება, ანუ ქონებრივი უთანასწორობის მოსპობა, მხოლოდ თავისუფალი შრომით შეიძლებოდა. ეს შრომას მიანიჭებდა საყოველთაო და სავალდებულო ხასიათს, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და გონივრული ორგანიზაციის პირობებში, მაგრამ კერძო საკუთრების დარჩენის შემთხვევაში, „კაცობრიობის უდიდეს და საუკეთესო ნაწილს სამუდამოდ დააწვება მწუხარებათა მიძიმე და აუცილებელი ტვირთი-ამბობდა „უტოპიის“ ავტორი თომას მორი (Mop. 1935:91).

უტოპისტებმა საბუნებისმეტყველო მეცნიერება ადამიანის განვითარების უმთავრეს საფუძვლად და სავალდებულო სასკოლო საგნად გამოაცხადეს. მათ წინა პლანზე წამოსწიეს ადამიანის ზნეობრივი შეგნების ამადლება, როგორც საზოგადოებრივი და პიროვნული ურთიერთობის სრულყოფის უქვეყელი გარანტია. ე.ი. საზოგადოებრივი და პიროვნული ურთიერთობის ჰარმონია ზნეობრივი სრულყოფის ქვაკუთხედი უნდა გამხდარიყო. საზოგადოების წევრთა ძმებად ქცევის მოწოდებას, მათი მეცნიერული ცოდნით შეიარაღებას და ესთეტიკურ განათლებას, მომავალი საზოგადოების ნამდვილი სახის შექმნისათვის უნდა შეეწყო ხელი.

უტოპისტების საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნათა შორის განსაკუთრებული ადგილი ადამიანის ფიზიკურ განვითარებას ეჭირა, როგორც სიმამაცის, სიმტკიცისა და ჯანსაღი სულის ნამდვილ წყაროს. სწავლისა და შრომის შეკავშირების ეს თეორია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა და დღესაც ჯეროვანი ადგილი უჭირავს ჯანსაღ სოციალურ პროგრამებში (Mop, 1935:108-109).

თანასწორობა, სამართლიანობა, პიროვნების აღზრდა, შრომისა და სწავლების შეკავშირება, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, ის პრინციპებია რომელთა განხორციელებისათვის დღემდე იბრძვის კაცობრიობა.

სოციალური საკითხებისადმი ინტერესი XVII საუკუნის ფილოსოფიაში, საზოგადოებრივი პრობლემების ბუნებრივი კანონების გზით ახსნის მოწოდების ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად იქცა. ამ საკითხს აქტიურად ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ინგლისელი ფილოსოფოსი ჰობსი (1588–1679). მისი აზრით, საზოგადოების შინაგანი განვითარების კანონებით ახსნა

სამართლიანობისა და თვითშეცნობის აუცილებლობით იყო გამოწვეული. ჰობსის გამოთქმა – „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“ – სოციალური ინტერესების გამომხატველიცაა და საზოგადოების შიგნით არსებული დაპირისპირების აღიარებაც. ადამიანის („გონებით დაჯილდოებული“ ცხოველის) მისწრაფება უკეთესი ცხოვრებისაკენ მხოლოდ გონებას შეუძლია აქციის რეალობად (Гоним. 1929:217).

ჰობსისეული პრინციპების თეორიული გაგრძელებაა სპინოზას (1632–1677) შეხედულება ადამიანის ინტერესების დაკმაყოფილებაზე, როგორც კოლექტიური ძალებით საერთო სარგებლიანობის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობაზე (Спиноза, 1935:550).

საზოგადოების ხანგრძლივი ისტორიული განვითარების ბუნებრივი კანონების ნიადაგზე ახსნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შარლ მონტესკიე (1639–1755). საზოგადოების საკუთარი იმანენტური კანონების მოქმედების აღიარებამ დიდად წინ წასწია სოციოლოგიური აზრი, აქცია იგი დიდ მეცნიერულ მოვლენად (Ш. Монтескье, 163). ეს მონტესკიეს უდავო დამსახურება იყო (ლუტიძე, 2002:119).

მონტესკიემ პირველმა გამოიყენა კვლევის შედარებითი მეთოდი ინგლისისა და საფრანგეთის მაგალითზე, აგრეთვე, ძველი რომის კანონმდებლობის ანალიზით მივიდა იგი სახელმწიფოებრივი მართვის ახალი ფორმების დადგენამდე (დემოკრატიული რესპუბლიკა, მონარქია, დესპოტური სახელმწიფო). სოციოლოგიური პრინციპების ამ დონეზე გაგების გამო ზოგიერთი მკვლევარი მონტესკიეს სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად აკი თვლის (Арон, 1993:33).

ფრანგი განმანათლებლების ერთ-ერთი სახელგანთქმული წარმომადგენლის ვოლტერის (1694–1778) ფილოსოფიური მემკვიდრეობა საკმაოდ მდიდარი და საყურადღებოა. ვოლტერს ადამიანი ყველაზე უბედურ ცხოველად მიაჩნია დედამიწაზე, როგორც ძალადობის, შიშის, ომებისა და ნგრევის მსხვერპლი.

ვოლტერი ორთოდოქსალური რელიგიის მტერია, განსაკუთრებით კათოლიციზმის. იგი განათლებული გონების აპოლოგეტია. მხოლოდ განათლებას შეუძლია სრულყოფილი ადამიანი, ზნეობრივად გააკეთილშობილოს იგი. ყოველივე საზოგადოების სასარგებლო ზნეობრივია, – ამბობდა ვოლტერი, მაგრამ ამას ხელს უშლის ბოროტი ძალები, ომები და სოციალური უბედურებანი. ადამიანთა გონებრივი პროგრესის საფუძველი მხოლოდ გონებაა, იგი განაპირობებს კულტურულ წინსვლას და ამით აახლოებს საზოგადოებრივ პროგრესს.

ვოლტერმა საჭიროდ ჩათვალა „ისტორიის ფილოსოფიის“ შექმნა, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური

ცხოვრებისა და კულტურის სფეროების შესწავლა. ამით მან, ფრანგ განმანათლებლებთან ერთად, სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების წარმოშობის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა (ლუტიძე, 2002:126).

საზოგადოებრივი აზრის განვითარებას დიდი იმპულსი მისცა რუსოს (1712–1778) შემოქმედებამ. მისი „ხელშეკრულების თეორია“ გონებრივი აქტის უპირატესობის აღიარების პირდაპირი დადასტურებაა. რუსო უთანასწორობის მტერია, მოითხოვს კერძო საკუთრების თანაბრად განაწილებას, სამოქალაქო თავისუფლების უზრუნველყოფას და ყოველივე ამას საზოგადოების საერთო ნებას უკავშირებს.

რუსოს აზრით მართვის ყველაზე სრულყოფილი ფორმა სუვერენული რესპუბლიკაა, როგორც თავისუფლებისა და თანასწორობის შერწყმის საუკეთესო გამოხატულება.

„გონების კულტმა“ აშკარად იჩინა თავი XVIII საუკუნის ფრანგი ენციკლოპედისტების შემოქმედებაში. მათი მატერიალისტური შეხედულებები დიდ გავლენას ახდენდა აღნიშნული საუკუნის აზროვნების დონეზე. სამყაროს მატერიალურობა და მისი შინაგანი განვითარების კანონების შესაბამისად მოძრაობის აღიარება, მძლავრი იმპულსი იყო სოციალური აზრის გავლენის მასშტაბების გაფართოებისათვის.

ენციკლოპედისტები ადამიანთა ბედნიერ ცხოვრებას საზოგადოებრივ ძალთა მექანიკურ გაწონასწორებას უკავშირებდნენ, რაშიც გადამწყვეტ სიტყვას სახელმწიფოსა და მის კანონმდებლობას აკისრებდნენ. საზოგადოების ფორმირებაში საზოგადოებრივ გარემოს უდიდესი უპირატესობა ენიჭებოდა; გარემომცველ ადამიანთა წრე, ტრადიციები, ჩვეულებები და ა.შ. მომეტებული ყურადღების საგნად იქცა, განსაკუთრებით პოლიტიკური წყობა, რომლის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები მათ ყურადღების გარეშე არ რჩებოდათ. ადამიანთა ბედნიერებას მხოლოდ გონება განსაზღვრავს, იგი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის უამრავ საშუალებას პოულობს. გონების სამეფოს დამკვიდრება ხალხის განათლებისა და ბუნებრივ საფუძველზე ადამიანთა აღზრდითაა შესაძლებელი. ესაა, საზოგადოებაზე, ფრანგი ფილოსოფოსების შეხედულებათა გადრმავება და შემდგომი განვითარება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლების (ჯ.ს. მილი, ა. სმიტი, დ. რივარდო) შეხედულებების ფართო რეზონანსი.

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების, მისი მოძრაობის კანონებისა და კატეგორიების შესწავლის საფუძველზე მათ დაადგინეს საზოგადოების განვითარების ძირითადი მიმართულებები, ამავე დროს, მეცნიერულად გამოიკვლიეს სოციალური პროგრესის წინააღმდეგობრივი ხასიათი.

ისტორიის ფილოსოფია, როგორც ახალი დარგი (რომლის საჭიროებაც ადრევე იგრძნობოდა), ახლა უკვე ფრთებს ისხამდა და პრაქტიკულად ხელშესახებად ჩანდა მისი პრობლემატიკა, რაც საფუძვლიანადაა გადმოცემული ჯამბატისტა ვიკოს (1668–1744) ნაშრომში „ახალი მეცნიერების საფუძვლები:“ (1725). საზოგადოების ეკონომიკური კანონების კვლევა აქ, საზოგადოების არსებობისა და ცვალებადობის გარდაუვალობის დონემდეა აყვანილი. ვიკომ წამოაყენა განგებისმიერი (დმერთისმიერი) არსებობისა და ისტორიული წრებრუნვის, საზოგადოების სამ სტადიანი განვითარების თორია. წრებრუნვა მთავრდება მესამე საფეხურით და საზოგადოება უბრუნდება საწყის ეტაპს. მ.შ. წარმოშობა, წინსვლა და დაღუპვა, მისი გარდაუვალობა, ასეთია ვიკოს დასკვნა (Вико, 1940:118). მიუხედავად ბევრი არასწორი დებულებისა ვიკომ ფილოსოფიასთან ერთად მეცნიერების თეორიის ფუძემდებლის სახელიც მოიხვეჭა.

ისტორიის წარმოსახვისა და უწყვეტი სწორხაზოვანი წინსვლის თეორიის მცდარობას კრიტიკული პოზიცია დაუპირისპირა იოჰან გოტფრიდ ჰერდერმა (1744–1803). ისტორიული წინსვლის აბსოლუტიზაცია მას უკანდახევად მიაჩნია. საზოგადოებრივი პროგრესი არ გამოირიცხავს უკანდახევასა და განმეორებას, მაგრამ იგი საბოლოო ანგარიშით საერთო აღმაშლობისადმი დაქვემდებარებული მომენტი. საზოგადოებრივი განვითარების ყოველი მომდევნო საფეხური აფართოებს და აღრმავებს ადამიანთა თანაცხოვრების ჰუმანურ ღირებულებებს. „თუ ფილოსოფიას სურს სასარგებლო იყოს ადამიანისათვის, მან თავის ცენტრალურ პრობლემად ადამიანი უნდა აქციოს“, – ასკვნის გერმანელი მოაზროვნე.

ისტორიული ცვალებადობის დაუსრულებელ პროცესში უნდა გამოიყოს ის რაც მდგრადია ყველა ხალხის ცხოვრებაში, ამის საფუძველია კულტურის ერთობა, რომელიც განსხვავების მიუხედავად იგივეობრივ მომენტსაც შეიცავს ოჯახი, რელიგია, სახელმწიფო, ხელოვნება, ენა და ა.შ. ხალხთა კულტურის ერთიანობაზე მიუთითებს. მას სწამს საკაცობრიო პროგრესი, ადამიანის უფლება ბედნიერებასა და თავისუფლებაზე, მისი ჰუმანური არსი. „ადამიანში არაფერია ჰუმანურ სულზე მაღალი“ (Гердер, 1977:491). ასე ეხმიანება იგი აღორძინების ეპოქის მოაზროვნეთა მოწოდებას.

კაცობრიობის პროგრესი, მისი აუცილებლობა ი. კანტის (1724–1804) ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. კანტის აზრით ადამიანების შემოქმედებას მათი ნებისაგან დამოუკიდებელი და მათ მიერ შეუცნობელი ბუნებრივი კანონზომიერებანი უდევს საფუძვლად. ბუნებრივი განვითარების გეგმა საზოგადოების ფარული გონივრული მიზანი. ისტორიის იდეა თვით ბუნებამ შექმნა, მის მიერია საზოგადოების წინაშე დასმული გეგმის განხორციელების ყველა ობიექტური პირობა.

საზოგადოებრივი წყობის იდეალური ვარიანტი მისთვის რესპუბლიკური წყობაა, რომელმაც უნდა შექმნას ყველა პირობა ინდივიდუალურ თავისუფლებათა შესაბამისობაში მოსაყვანად. ამ პროცესის სრულყოფილად გაშლა საზოგადოებრივი პროგრესის ის საფუძველია, რაზედაც ოცნებოდნენ ადამიანები საუკუნეების მანძილზე.

ისტორიული პროგრესის აუცილებლობას ბევრი მოაზროვნე შეხებიდა. მსოფლიო ისტორიის პროგრესი ჰეგელის (1770–1830) გამოთქმით „განვითარების კანონია“ (Hegel, 1835:10). ამ კანონის მთელი შინაარსი სულის მოძრაობაში გამოიხატება, როგორც საფესურებრივი მოძრაობის ფორმა. მაგრამ ეს არარის სწორხაზოვანი მოძრაობა, როგორც ვიკო ფიქრობდა.

ჰეგელის მიხედვით ისტორიაში, როგორც სამყაროში გონება ბატონობს ანუ „მსოფლიო ისტორიული პროცესი გონივრულად მიმდინარეობს“. საზოგადოებრივი პროგრესის მეორე მხარე დამოკიდებულია იმ კანონზომიერებებზე, რასაც შემეცნება–გაცნობიერების პროცესში გონი აღწევს. ესაა გონის მოძრაობის ანუ თვითშემეცნების გზა და იგი საზოგადოებრივი პროგრესის გარკვეულ დონეს შეესაბამება.

ჰეგელის აზრით, მსოფლიო ისტორიის 4 საფესურიდან ყველაზე დაბალი აღმოსავლური (ჩინური, ინდური, სპარსული, ეგვიპტური) საფესურია, რაც მას გონის მიერ საკუთარი თავის შემეცნების ყველაზე დაბალ სტადიად მიაჩნია. მისი აზრით, ამ მხრივ უფრო მაღლა იდგნენ ძველი ბერძნები და რომაელები.

ამ მოსაზრებას იგი უფრო დაბეჯითებით უსვამს ხაზს „ლოგიკის მეცნიერებაში“: ადამიანური თავისუფლების იდეა უფრო სრულყოფილად აისახა ბერძნულ–რომაულ სამყაროში, როცა იგი ერთი ადამიანის თავისუფლებით კი არ შემოიფარგლა, არამედ გაფართოვდა თავისუფლების შეგნების მქონე ადამიანთა არე (ჰეგელი, 1962:409). მაგრამ ისტორიული მოძრაობის თვითშემეცნების ყველაზე სრულყოფილ სახეს იგი გერმანულ სამყაროში ხედავდა. მისი აზრით მსოფლიო ისტორიის მიზანს (თვითგანვითარებას) სული სწორედ იქ, გერმანულ სინამდვილეში აღწევს. რაოდენ გადაჭარბებულიც არ უნდა იყოს ეს აზრი, მნიშვნელოვანია ის, რომ სული მოძრაობს, ვითარდება და წინ მიდის, რაც სამყაროსა და საზოგადოების ობიექტური კანონზომიერების გზით განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებს.

სოციოლოგიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბება და ტერმინ „სოციოლოგიის“ შემოღება დაკავშირებულია ფრანგი ფილოსოფოსისა და სოციოლოგიის ოგიუსტ კონტის (1798–1857) სახელთან. 1818 წლიდან მას სენ–სიმონის პირადი მდივნის პოსტი ეკავა, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა მის შემდგომ მოღვაწეობაზე. 1829 წელს კონტმა დაასრულა თავისი ნაშრომი „პოზიტივური ფილოსოფიის კურსი“, ხოლო

უფრო გვიან „პოზიტიური პოლიტიკის სისტემა“. ამ შრომებით იგი ფილოსოფიისა და სოციოლოგიის დიდ მოაზროვნეთა რიგში ჩადგა.

კონტის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს დეკარტემ, ბეკონმა კონდორცემ და განსაკუთრებით სენ-სიმონმა. უნდა აღინიშნოს, რომ სენ-სიმონმა პირველმა შემოიღო ტერმინები „სოციალური დინამიკა“ და „სოციალური სტატისტიკა“, ამავე დროს, მიუთითა, რომ მეცნიერება საზოგადოების შესახებ „მკითხაობაზე“ კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ „დაკვირვებაზე“ დაფუძნებულ მეცნიერებადღე უნდა ამაღლებულიყო“ (Сен-симон, 1948:166-167). ბუნებრივია, ამ და სენ-სიმონის სხვა მოწოდებამ – „პოლიტიკა უნდა იქცეს მეცნიერებად“ კონტზე დიდი გავლენა მოახდინა. თვითონ კონტი ასე აშკარად არ აღიარებდა ამას, მაგრამ პ. ბარტი (უნგრელი სოციოლოგი) დაუფარავად წერდა: კონტი სენ-სიმონის მხრებზე დგას და უმთავრესი მასალა სოციოლოგიის დასაფუძნებლად მას სენ-სიმონმა „მიაწოდაო“, (ლუტიძე, 2002:156).

კონტის აზრით, მეცნიერებათა კლასიფიკაცია დასაბუთებული ცოდნის საფუძველია, ხოლო მეცნიერებათა კლასიფიკაციის საფუძველს სამყაროს მოვლენათა ერთგვაროვნება წარმოადგენს. ყოველი მეცნიერება იკვლევს ერთგვაროვან, მსგავს მოვლენათა სფეროს და ამით განსხვავდება სხვა მეცნიერებებისაგან.

მარტივიდან რთულისაკენ სვლა კონტის აღიარებული პრინციპია. მეცნიერებებს, იგი ასეთი რიგის მიხედვით განალაგებს: მათემატიკა, ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია, ფიზიოლოგია (ბიოლოგია) და სოციოლოგია (სოციალური ფიზიკა). სოციოლოგიის მიმართ ტერმინ „ფიზიკას“ იგი იმისათვის იყენებს, რომ მას (სოციოლოგიას) ზუსტი მეცნიერების სტატუსი მიანიჭოს (Конт, 1910:143).

კონტმა კარგად იცის, რომ ადამიანის გონების განვითარების პირვანდელ, საწყის სტადიაზე, კაცობრიობას არ შეეძლო სამყაროს მოვლენებისა და პროცესების მეცნიერული ახსნა. გარემომცველი სამყაროს წარმოსახვის მიხედვით ახსნა კი მოკლებულია რეალურ საფუძველს და ვერ სცილდება თეოლოგიური ცოდნის ფარგლებს.

საკაცობრიო ცოდნის პროგრესის შედეგად გონებამ მიაღწია „დიდებით“, „პოზიტიურ“ ცოდნას, რომელიც ბუნებისა და საზოგადოების მარეგულირებელი კანონების შესწავლაზე იყო დაფუძნებული და ჩამოყალიბდა სრულფასოვან თეორიად სამყაროს შესახებ.

პოზიტიური მეთოდი კვლევის ზოგადი წესია ბუნებისა და საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლისათვის, თუმცა მას აქვს კვლევის სპეციალური მეთოდები. სოციოლოგიური კვლევის მეთოდი მთელიდან ცალკეულზე გა-

დადის. სოციოლოგიური კანონების შემეცნება ხორციელდება ისტორიული მოვლენების შესწავლისა და განზოგადების წესით (ინდუქციური მეთოდით), ბუნების მოვლენები კი პირიქით – დედუქციური მეთოდით შეისწავლება.

კონტის მიხედვით, ფილოსოფიის მეთოდი ადამიანის გონების განვითარების უკანასკნელი სტადიის ნაყოფია, როცა ადამიანი სცილდება უშინაარსო აბსტრაქციებს და გაბედულად იკვლევს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებს, თავისუფლდება თეოლოგიისა და მეტაფიზიკის რაიმე გავლენისაგან.

საზოგადოებრივი ცხოვრება ორგანული სამყაროს უმაღლესი საფეხურია, ე.ი. მისი შემადგენელი ნაწილია და როგორც ნაწილი, იგი ისევე ემორჩილება ბიოლოგიურ კანონებს როგორც ბუნება.

მაგრამ სოციალური ორგანიზმის კანონები არ დაიყვანება ბიოლოგიურ და ცოცხალი ორგანიზმების კანონებზე. სოციალური ცვალებადობა და სოციალური დინამიკა მხოლოდ საზოგადოებას ახასიათებს. კონტი გრძნობს ამ განსხვავებას, ცვალებადობასა და პროგრესს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (პოლიტიკურში, რელიგიურში, სამართლებრივში, სახელწოდებოში, მეცნიერულში და ა.შ.).

სოციალური სტატისტიკა და სოციალური დინამიკა, კონტის მიხედვით, სოციალური განვითარების კანონზომიერებათა ახსნის ინსტრუმენტია. პირველი თავისებური სოციალური ანატომიაა და პასუხს იძლევა კითხვაზე – რით აიხსნება წესრიგი საზოგადოებაში, ხოლო მეორე, რომელიც საზოგადოების განვითარების ადრინდელ და ამჟამინდელ მდგომარეობას განიხილავს ორგანულ კავშირში, პასუხობს კითხვაზე – რა კანონებზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი მოვლენების თანმიმდევრობა, სოციალური პროგრესი და რით ემსგავსება ერთმანეთს ტერიტორიულად დაუკავშირებელი ხალხების ცხოვრება (ლუტიძე, 2002:164).

კონტი განსაკუთრებით გამოყოფს სოციალური ჰარმონიის კანონს და იგი მყარი საზოგადოებრივი პროგრესის, ანუ ყოველმხრივი განვითარების საფუძვლად მიაჩნია. ამ უზოგადესი კანონის მოქმედებას არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნები და ხალხები მიჰყავს წინ, არამედ მთელი კაცობრიობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიძინა ლუტიძე, სოციოლოგია, ლექციების კურსი (I ნაკვეთი), თბ., 2002;
2. არჩილ ჯორჯაძე, თხზ. ტ. III, თბ., 1911;
3. არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწილი მეორე, თბ., 1996;
4. Аристотель. Политика. СПб., 1911;
5. ავგუსტინე ნეტარი. აღსარება, თბ., 1985;
6. Т. Мор. Золотая книга. М., 1935:91;
7. Т. Гобс. Избранные сочинения. М., 1929;
8. Б. Спиноза. Этика, М., 1935;
9. Б. Арон. Этапы развития социологической мысли. М., 1993;
10. Гердер. Идей к философии истории человечества. М., 1977;
11. Гегел. Философия истории. Соч. т. 8. М., 1835;
12. ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება. თბ., 1962;
13. Сен-Симон. Избранные сочинения. М., 1948;
14. Кант О. Система позитивной философий. В книге: «Родоначальники позитивизма». СПб, 1910.

К. Глonti

Некоторые аспекты развития социальной мысли

Аннотация

Возникновение социальной мысли имеет долгую историю. Оно связано с философскими идеями древнего восточного рабовладельческого мира. Более последовательными, и систематизированными эти взгляды стали в античной Греции и в Риме.

О. Конт является новой степенью общественной теории. Он заложил основы социологии, как независимого научного направления.

В основном многосторонний и обоснованный вид социология получила в XX веке. Сфера исследований этого научного направления, все больше расширяется в связи с потребностями времени.

Irakli Iashvili (†)– Werner Seibt

BYZANTINISCHE SIEGEL AUS PETRA IN WESTGEORGIEN*

Im archäologischen Komplex von Cixisdziri (Tsikhisdziri), auf einem felsigen Hügel an der Südostküste des Schwarzen Meeres, 16 km nördlich von Batumi, wo die Besiedelung bis in die späte Bronzezeit zurückreicht, ließ Justinian I. eine byzantinische Festung errichten, die er Petra nannte,¹ und die zugleich als Handelszentrum (*monopwlion*) konzipiert war. Sie lag zunächst außerhalb des byzantinischen Provinzialgebietes, wurde dann aber – zumindest für einige Jahre – eingegliedert. In den bald danach einsetzenden byzantinisch-persischen Kriegen spielte die Festung eine sehr wichtige Rolle, wurde aber nach der byzantinischen Wiedereroberung im Jahr 550 weniger gründlich zerstört als die Quellen vermuten lassen.²

Petra blieb auch weiterhin Bischofssitz im Bereich von Patriachats von Konstantinopel, jedenfalls bis zur Auswanderung eines großen Teiles der Lazen nach Pontos, was spätestens im 9. Jh. zur Folge hatte, dass auch die byzantinische Kirchenprovinz Lazike hierher verlegt wurde (mit Trapezunt als neuer Metropolis).

Petra und seine Umgebung waren aber weiterhin besiedelt, mit einer gewissen Blüte im 10.-14. Jh. Dann war diese Region lange auch Teil des Osmanen-Reiches,³ bis sie zum russischen Reich kam. Heute ist Adžarien ein Teil Georgiens.

Systematische Ausgrabungen fanden besonders 1961-1966 und 1983-1988 statt.

Im folgenden werden zehn Siegel aus dieser Region vorgestellt, die überwiegend aus dem 11. Jh. stammen.

1. Paulos, Stratelates (ca. 3. Viertel 6. Jh.)

Av.: Blockmonogramm mit dem Zentralbuchstaben Pi (mit verlängerter Horizontalhaste), in das ein großes Alpha eingeschrieben ist, dessen v-förmige

* Irakli Iashvili stellte diese Siegel beim Symposium in Berlin vor, verstarb jedoch kurz danach. Der Artikel ist daher seinem Gedächtnis gewidmet. Für wertvolle Unterstützung danken wir Frau Nino Inaishvili, der Direktorin des Archäologischen Instituts in Batumi.

¹ Vielleicht wurde schon unter Justinos I. damit begonnen.

² Teile der aus dem 6. Jh. stammenden Stadtmauer und einzelner Gebäude sind bis heute erhalten.

³ Aus dieser Zeit stammen erhebliche Teile der heute noch sichtbaren Befestigungen. Vgl. z. B.W. Siebt "Westgeorgien (Egrisi, Lazica) in frühchristlicher Zeit, *Die Schwarzmeerküste in der Spätantike und im frühen Mittelalter*, hrsg. von R. Pillinger – A. Pülz – H. Vettters [Schiften d. Balkan-Kommission, Antiquar. Abt. 18] (Wien, 1992), 140, 143, Taf. 33-35; vgl. auch die Karte Taf. 36.

Mittelhaste infolge eines unten angefügten Omikron wie eine übliche Ligatur Omikron-Ypsilon aussieht. Auf der Horizontalhaste des Pi ist ein Kreuz angebracht.

Obwohl die verlängerte Oberhaste des Pi auch ein zusätzliches Tau bedeuten kann (in diesem Fall wäre das Mitlesen des Hypatos-Titels denkbar), ziehen wir die einfache Lesung Paulou vor.

Der Name Paulos findet sich oft in Monogrammen, überwiegend in kreuzförmigen, gelegentlich auch in Blockmonogrammen. Eine genaue Entsprechung ist uns nicht bekannt, eine gewisse Nähe wäre eventuell zu Zacos-Veglery, Nr. 1363, festzuhalten, wo allerdings das Pi keine Verlängerung der Querhaste aufweist und die Ligatur Omikron-Ypsilon oben "aufsitzt".

Rv.: Kreuzförmiges Monogramm, das höchstwahrscheinlich den Rangtitel *strathlatou* wiedergibt, denn auf der rechten Seite ist neben dem Sigma nicht ein Ny, sondern ein beschädigtes Eta zu erkennen. Somit entspricht das Monogramm dem Typus 453 bei Zacos-Veglery (durch drei Exemplare belegt) sowie dem Typus 327 der *PLRE* III.

Die Kombination von Block- und Kreuzmonogramm sowie der Feldrand in Form eines Lorbeerkranzes lassen primär an eine Datierung in das 3. Viertel des 6. Jh. denken.⁴ In der Auktion Münz Zentrum Köln 73 (22.-24.4.1992), Nr. 2050 wurde ein Monogramm-Siegel angeboten, das ebenfalls von einem Paulos Stratelates stammt, aber in beiden Fällen Kreuzmonogramme aufweist und deutlich jünger ist (ca. Ende 6. – 1. Hälfte 7. Jh.), weshalb wir eine Identität ausschließen.

Stratelates war zwar früher die Entsprechung für das hohe Kommando eines *magister militum*, in diezer Zeit wurden aber auch niedrigere Offiziere so bezeichnet, sodass der Terminus immer mehr einem Titel nahe kam. Wahrscheinlich war Paulos als höherer Offizier in Nordost-Anatolien oder West-Georgien Aktiv, entweder noch unter Justinian I. oder bereits unter Justinos II. Er ist anderweitig jedoch nicht belegt.

2. Christophoros, Hypatos und kaiserlicher des Genikon (ca. 840-870)

Av.: Anrufungsmonogramm Laurent Typus V, mit üblichen Tetragramm: Qeotoke bohgei tw sw doulw.

Auch wenn das Siegel links außen plattgedrückt ist, besteht an dieser Lesung kein Zweifel.

Rv.: ΧΡΙΣΤΟ|ΦΟΡΩΝΠ..|ΣΤΡΑΤΟΤΟΥ|ΛΟΓΟΘ

Cristoform upat(w)(kai) b(asilikw) not(ariw) tou g(enikou) logoq(esiou).

Die wichtige Angabe, um welches Logothesion es sich handelt, ist erstaunlicherweise nur mit einem einzigen Buchstaben wiedergegeben, der zudem verloren ist; es handelt sich aber ziemlich sicher um das Genikon.

⁴ Zur Problematik der byzantinischen Monogramme allgemein vgl. W. Seibt, "Monogramm," *Reallexikon zur byz. Kunst* VI (Stuttgart, 1999), 589-614. Nach dem neuesten Forschungsstand beginnen die Kreuzmonogramme bereits unter Justinos I., nicht erst unter Justinian I., wie man früher annahm.

Paläographisch fallen die sehr spitzen, schmalen Omikron (jedoch ohne “Knötchen“!) im Gegensatz zum breiten Sigma auf; das Beta dürfte unten bereits offen sein, auch wenn die verdickten Enden der Hasten diesen Eindruck trüben.

Siegel von Angehörigen des Genikon, nicht zuletzt der Logotheten, finden sich öfters außerhalb der Grenzen des Reiches; vielleicht beglaubigten sie ursprünglich nicht zuletzt Exportlizenzen oder dergleichen.

Bei Laurent, *Corpus* II, Nr. 723, werden zwei Siegel, die einander sehr ähnlich sind, behandelt, die einen Christophoros als b. spaqario~ kai b. notario~ tou bestiarion nennen.⁵ Auf dem Avers findet sich dort jeweils ein Patriarchenkreuz über Stufen mit der üblichen Anrufungsumschrift. Diese Bullen sind etwas jünger als unser Typus, es gibt aber nicht genügend verbindende Indizien, um der Frage einer Identität näherzutreten.

3. Adrianos, kaiserlicher Protospathar und Offizier der Megale Hetaireia (ca. Drittel 10. Jh.)

Av.: Patriarchenkreuz auf drei Stufen, zwischen Zierranken, die die Höhe des unteren Querbalkens des Kreuzes, der zusätzlich gekreuzt ist, leicht überragen. Darum die übliche Anrufungsumschrift:

 KEROHΘ TQCΘΔOVΛ. K(uri)e bohq(ei) tw sw doul(w)
Rv.: +ΑΔΡΙ|ΑΝΟΡ|Α|C|ΠΑΘ|ΣΕΠΙ|ΤΙΜΕΓ|ΑΛ|ΕΤΕΡ|ΙΑ
+ Adrian(w) b(asilikw) (prwto)spaq(ariw) (kai) epi t(h)(~)
megal(h~) et(ai)r(ei)a(~).

Auch wenn uns nur eine ungenügende Abreibung des Stückes zur Verfügung steht, kann die Transkription als gesichert gelten. Über Zierelemente (Perlenreihe?) lässt sich keine sichere Aussage machen. Da in die megalh etaireia der kaiserlichen Leibgarde (im Gegensatz zu den anderen Abteilungen) eher keine Ausländer aufgenommen wurden,⁶ wäre es nicht sehr wahrscheinlich, dass Adrianos aus der Gegend von Petra stammte. In manchen Fällen dürften Protospatharier allerdings auch nur titular in diese Truppe eingeschrieben worden sein. Es ist ferner anzunehmen, dass sich nicht die jeweiligen Kommandanten, die eher als etaireiarcai erscheinen, sondern die Offiziere der Leibgarde epi ... th~ etaireia~ nannten. Während die megalh etaireia oft in den Quellen, besonders auf Siegeln, erscheint, werden die beiden anderen, die „mittlere“ und die „kleine“, nur sehr selten erwähnt.

4. Manuel, kaiserlicher Ostiarios und Chef des kaiserlichen Tisches (ca. 2. Drittel 10. Jh.)

Av.: Patriarchenkreuz auf drei (?) Stufen, die Zierranken erreichen fast die Höhe des kürzeren Querbalkens. Beide Querbalken sind gekreuzt. Die übliche Anrufungsumschrift ist teilweise stärker beschädigt.

⁵ Zum Typus 723 B gibt es ein Parallelstück in der Sammlung Utpadel in München.

⁶ Vgl. Oikonomidés, *Listes*, 327.

Rv.: +MANΘ|HARΩCT|.PIOCKAIΘ|ΠITICOIKΘ|.AKICTP|.ΠEZHC
 + Manouhl b(asiliko~) (o)st[ia]rio~ kai epi t(h)~ oike[i]ak(h)~
 tr[a]pezh~.

Der Name ist zwar stärker beschädigt, dürfte aber sicher sein; am Ende der 1. Zeile befindet sich die Ligatur Omikron-Ypsilon. Manuel war sicher Eunuch, sowohl der Rangtitel Ostiarios als auch das Amt des epi th~ trapezh~, der für den kaiserlichen Tisch, auch bei offiziellen Empfängen, zuständig war,⁷ sprechen dafür.

Am Ende der Regierung Konstantins VII. (959) war ein Niketas epi th~ trapezh~;⁸ Manuel wird ein Vorgänger oder der unmittelbare Nachfolger des Niketas gewesen sein.

5. Abasios, kaiserlicher Asekretis, Protonotar und Themenrichter von Peloponnesos und Hellas (ca. 1. Drittel 11. Jh.)

Das durch Bleifraß stärker beeinträchtigte Stück weist auf beiden Seiten nur Schrift auf.

Av.: .ΘΚΕ|.ΟΗΘΕΙ|..C.ΔΥ|ΛΩΑΡΑ|CΙΩ
 Rv.: RACH|.PHTA...|TAPSKP...|ΠΕΛΟΠΟ...|ΣΕΛΑΔ...
 [+] Q(eoto)ke[b]ohqei [tw] s[w] doulw Abasiw b(asilikw)
 ash[k]rht(i~) (prwto)[no]tar(iw) (kai) kr[it(h)]
 Pelopo[n(nhsou] (kai) El(l)ad(o~).

Der Name Abas war bei den Armeniern, nicht zuletzt in der Familie Bagratuni, beliebt. Auch der Bruder des berühmten Gregorios Pakurianos (diese georgische Familie stammt aus dem byzantinischen Militärkommando Iberia) hieß so: im Typikon erscheint er jedoch als Apasio~ magistro~, auf einem Siegeltypus als Apash~.⁹ Im 1. Drittel des 11. Jh. stammten viele Themenrichter bzw. Zivilgouverneure aus dem Kreis der kaiserlichen Sekretäre. Wahrscheinlich hatte Abas noch nicht den Rangtitel eines Protospathars erreicht.

6. Theodoros Abasgos (?), Taxiarchos) 1. Hälfte 11 Jh.)

Av.: Büste des Erzengels Michael im Loros, wohl mit Szepter in der Rechten (schwache Reste erkennbar) und Kreuzglobus in der Linken (gänzlich verloren); von der Beischrift dürfte rechts oben ein C erhalten sein.

Rv.: .ΚΕΡΘ|.ΕΟΔΩΡ|.ΑΖΙΑΡ|.ΤΩΑΡ
 [+] K(uri)e b(oh)q(ei) [Q]eodwr(w) [t]axiar[c(w)] tw Ab(asgw) (?).

Die Revers-Seite ist nach links unten dezentriert, mit Feldverlusten. Nach AR

⁷ Vgl. Oikonomidés, *Listes*, 305-306.

⁸ Skylitzes, 246.

⁹ Vgl. W. Seibt, "Arsakidh~/Aršakuni – Armenische Aristokraten in byzantinischen Diensten," *JÖB* 44 (1994) 349-359, hier 355; zu dem Siegel in der Sammlung Zarnitz gibt es Parallelstücke in DO (Neg.-Nr. 55.65.11-2611) und in der Sammlung Tsolizides (Nr. 129).

(am Ende der letzten Zeile) ist ein kleiner Kürzungsstrich erkennbar. Entweder folgte noch eine weitere Zeile mit maximal zwei bis drei Buchstaben, oder unter der Legende befand sich ein größeres Zierelement. Es gibt natürlich mehrere (potentielle) Familiennamen, die mit Ab... beginnen, relativ häufig wäre etwa Abalantes belegt,¹⁰ seltener Abramios¹¹ u.a. Mit Rücksicht auf den Fundort erwägen wir jedoch Abasgos, was in dieser Zeit einen Bewohner von Westgeorgien allgemein bezeichnen kann, nicht nur einen Abchazen im engeren Sinn.

Abasgos als Familienname dürfte auch auf dem metrischen Siegel eines Georgios aus dem späteren 12. oder 13. Jh. erscheinen,¹² vielleicht zudem auf einer ebenfalls metrischen Bulle eines Nikephoros aus dem späteren 11. Jh. im IFEB.¹³ Vgl. ferner PLP I 19-23, 91005 sowie einen Abasgos Grammatikos, an den Ioannes Italos einen grammatischen Traktat richtete.¹⁴ Ein Taxiarchos, Taxiarches oder Axiarchos befahl etwa 1000 (oft fremdstämmige) Infanteristen.¹⁵

7. Georgios Pektes (?) (ca. 2. Viertel 11. Jh.)

Av.: Büste des hl. Georgios als Offizier, in den Mantel gehüllt, in der Rechten die Lanze, die Linke hielt wohl einen Schild. Die übliche Lockenfrisur verdeckt auch die Ohren. Von der Beischrift ist nur links  erhalten.

Rv.: +K̄ERΘ|ΓΕΩΡΓ|ΟΠΗΚ|ΤΕΙ
+K(uri)e b(oh)q(ei) Gewrg(iw) [t](w) Phkt(h).

Leider ist gerade der Familien- oder persönliche Beiname des Mannes beschädigt. Die im Resümee des Programmheftes des Symposions erwogene Lesung ΜΑΚΤΕΙ- unter Verwies ein offenbar ähnliches Stück, das einst Schlumberger publizierte¹⁶ - entspricht den Spuren nur unzureichend. Der erste Buchstabe ist oben eingedrückt, es wird sich wohl um P oder eventuell N handeln. Auch der zweite Buchstabe ist etwas beschädigt, H dürfte ziemlich wahrscheinlich sein. Phkth~ wäre mit h phkth zu verbinden, was entweder ein Netz oder eine Art Käfig, vor allem für den Vogelfang, bedeutet, oder eine bestimmte Art von Käse, der aus geronnener Milch bereitet wurde. Nhkth~ andererseits wäre der Schwimmer. Beide Formen sind sonst nicht als Beinamen belegt.

Dieses Siegel wurde in der Basilika der Akropolis von Petra 1964 ausgegraben.

¹⁰ Vgl. DOSeals 3.39.20; Seibt, *Bleisiegel*, Nr. 159; V.S. Šandrovskaja, "Popravki i dopolnenija k "Katalogu molivdovulov" B.A. Pančenko," *Viz. Vrem.* 38 (1977) 102ß119, hier 108-108, Nr. 99.

¹¹ Vgl. V.S. Šandrovskaja - W. Seibt, *Byzantinische Bleisiegel der Eremitage mit Familiennamen*. 1. Teil: *Sammlung Lichačev – Namen von A bis I* (Wien, 2005), Nr. 1.

¹² Pančenko, *Katalog*, 99-100, Nr. 359, Taf. XII, Nr. 6; vgl. Laurent, *Bulles métriques*, Nr. 678; PLP I 21.

¹³ Vom – wahrscheinlich dreisilbigen - Namen ist dort allerdings nur ΑΡΑ... erhalten.

¹⁴ Ioannis Itali opera, ed. N. Ketscakmadze (Tbilisi, 1966), 161, Nr. 64.

¹⁵ Vgl. Oikonomidés, *Listes*, 335, und J.-Cl. Cheynet, "Note sur l'axiarque et le taxiarque," *REB* 44 (1986) 233-235; *Seyrig*, Nr. 181.

¹⁶ Schlumberger, *Sig.* 675.

8. Bardas Daes, Protospathar und Taxiarchos (1030/1060)

Av.: Büste der Theotokos Nikopoios, die mit beiden Händen ein Christus-Medaillon vor der Brust hält. Von den Siglen sind nur links Spuren vom My und Rho zu erahnen.

Rv.: $\overline{\text{K}}\overline{\text{E}}\overline{\text{P}}\overline{\text{Θ}}|\overline{\text{R}}\overline{\text{A}}\overline{\text{P}}\overline{\text{Δ}}\overline{\text{A}}|\overline{\text{A}}\overline{\text{C}}\overline{\text{Π}}\overline{\text{A}}\overline{\text{Θ}}\overline{\text{S}}|\overline{\text{T}}\overline{\text{A}}\overline{\text{Z}}\overline{\text{A}}\overline{\text{X}}|\overline{\text{T}}\overline{\text{O}}\overline{\text{Δ}}\overline{\text{A}}\overline{\text{H}}$
[Q(eoto)]ke b(oh)q(ei) Barda (prwto)spaq(ariw) (kai) tax(i)a(r)c(w)
t(w) Dah.

Auch diesen Beinamen können wir nicht anderweitig nachwiesen. Es wäre jedoch denkbar, dass er mit der georgischen Provinz Tao zu verbinden ist, von der ein Teil im 11. zum byzantinischen Militärkommando Iberia gehörte. Bardas/Vard war besonders bei den Armeniern als Vorname recht beliebt.

9. Konstantinos Kontoniketas, Bestes (ca. 2. Hälfte 11. Jh.)

Av.: Standbild des Militärheiligen Theodoros, die Lanze in der Rechten, die Linke auf dem Schild ruhend. Der - gepflegte - Bart des Heiligen ist kürzer als üblich. Beischrift: $\text{Θ}|\text{Θ}\text{E}|\text{O}-|\text{Ω}|\text{Ω}|\text{Ω}$

Rv.: $\overline{\text{K}}\overline{\text{E}}\overline{\text{P}}\overline{\text{Θ}}|\overline{\text{Ω}}\overline{\text{N}}\overline{\text{R}}\overline{\text{E}}\overline{\text{C}}\overline{\text{T}}|\overline{\text{Ω}}\overline{\text{N}}\overline{\text{K}}\overline{\text{O}}\overline{\text{N}}\overline{\text{T}}|\overline{\text{N}}\overline{\text{H}}\overline{\text{K}}\overline{\text{H}}\overline{\text{T}}$
[+] K(uri)e b(oh)q(ei) [K]wn(stantinon) best(hn) [t](o)n
K(o)nt(o)n(i)kht(an).

Es gibt viele Namen, die mit Konto- („Kurz“) beginnen, besonders die Familie der Kontostephanoi wurde sehr prominent, für Kontoniketas lässt sich aber nur ein einziger weiterer Beleg anführen.¹⁷

Konstantin wird wahrscheinlich wie die beiden Taxiarchen ein höherer Offizier gewesen sein.

10. Ignatios Kaiser, Monachos (ca. 1081)

Während es sich bei den bisher behandelten Siegeln um Unikate handelt, ist diese Bulle nur ein weiteres Exemplar eines gut bekannten Typus einer sehr gut bezeugten Persönlichkeit.¹⁸

Av.: $+\overline{\text{K}}\overline{\text{E}}|\overline{\text{R}}\overline{\text{O}}\overline{\text{H}}\overline{\text{Θ}}\overline{\text{E}}|\overline{\text{T}}\overline{\text{O}}\overline{\text{C}}\overline{\text{Ω}}|\overline{\text{Λ}}\overline{\text{Ω}}$
Rv.: $\overline{\text{I}}\overline{\text{Γ}}\overline{\text{N}}\overline{\text{A}}|\overline{\text{T}}\overline{\text{I}}\overline{\text{Ω}}\overline{\text{A}}\overline{\text{X}}|\overline{\text{Ω}}\overline{\text{K}}\overline{\text{A}}|\overline{\text{C}}\overline{\text{A}}\overline{\text{Π}}$
+K(uri)e bohqeī tw sw [d(ou)]lw Ignatiw (mona)c(w) [t]w
Kaisari

Ioannes Dukas erhielt nach der Thronbesteigung seines Bruders Konstantin X. Dukas (1059) den hohen Titel Kaiser, der ihn über alle anderen Würdenträger erhob. Im Laufe der Regierung seines Neffen Michael VII. kam es jedoch zu Zerwürfnissen; nach einem angeblichen Usurpationsversuch ca. 1075 wurde Ioannes Mönch, und zwar

¹⁷ PLP VI 13077 (zum Jahr 1321).

¹⁸ Vgl. Laurent, *Corpus* V/2, Nr., 1387; Zacos, Veglery, Nr. 2685; Seibt, *Bleisiegel*, Nr. 37; Ermitaž, M-1952.

mit dem Namen Ignatios. Nach der Machtübernahme durch Alexios I. Komnenos spielte Ioannes/Ignatios wieder bedeutendere Rolle bis zu seinem Tod, der für ca. 1088 angenommen wird. Wenn die Hypothese stimmt, dass er unter Alexios I. als Ioannes Dukas Basileopator siegelte, dann war obiger Siegeltypus nur bis ca. 1081 in Gebrauch.¹⁹

Auch wenn Petra und die umliegende Region in mittelbyzantinischer Zeit nie zum byzantinischen Reich gehörte (abgesehen von den Themen bzw. Militärkommandos in Nordost-Anatolien gab es von 1033 bis in die 70er Jahre des 11. Jh. auch eine byzantinische Strategie in Abchazien, mit den Zentren Soterupolis-Pityus und Anakopia) zeigen die Siegel doch auch den starken byzantinischen Einfluss bzw. enge Kontakte von Mitgliedern der einheimischen Aristokratie mit dem Reich.

¹⁹ Vgl. dazu Seibt, a.O.

ბიზანტიური ბულები პეტრადან დასავლეთ საქართველოში**

ბათუმის ჩრდილოეთით, 16 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს ციხისძირის არქეოლოგიური კომპლექსი, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსთან, კლდოვან ბორცვზეა აგებული. გვიანი ბრინჯაოს ხანიდან დასახლებულ ამ ტერიტორიაზე იუსტინიანე I-მა ააშენებინა ბიზანტიური ციხესიმაგრე, რომელსაც მან პეტრა¹ უწოდა და რომელიც, იმავდროულად, სავაჭრო ცენტრი (monopolion) უნდა გამხდარიყო. თავდაპირველად ციხესიმაგრის ადგილმდებარეობა სცდებოდა ბიზანტიის პროვინციული მხარის ფარგლებს, თუმცა შემდეგ ის რამდენიმე წლით ამ მხარის შემადგენლობაში შევიდა. ციხესიმაგრე, რომელიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ბიზანტია-სპარსეთის ომების დროს, 550 წელს ძლიერ იქნა დანგრეული ბიზანტიელთაგან ხელმეორედ დაპყრობის დროს, თუმცა არც ისე ძლიერად, როგორც ეს აღწერილია წყაროებში.²

პეტრა რჩებოდა ეპისკოპოსის რეზიდენციად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, ვიდრე ლაზების დიდი ნაწილი არ გადასახლდა პონტოში, რასაც მოგვიანებით, IX საუკუნეში, ბიზანტიური საეკლესიო პროვინციის – ლაზიკის საეპისკოპოსოს გადატანა მოჰყვა შედეგად (ტრაპეზუნტში, როგორც ახალ მეტროპოლიაში).

პეტრა და მისი შემოგარენი წარმოადგენდა დასახლებულ პუნქტს, რომელმაც განსაკუთრებულ აყვავებას X-XIV საუკუნეებში მიაღწია. შემდეგ ეს რეგიონი ოსმალეთის იმპერიის³ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწი-

* ეს სტატია ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ვერნერ საიბტმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა წიგნში: *Studies in Byzantine Sigillography*, Eds. Jean-Claude Cheynet and Claudia Sode, v. 9, 2006. წინამდებარე კრებულში გამოსაცემად მოამზადა ნინო ინაიშვილმა. გერმანულიდან თარგმნა აწ. განსვენებულმა ბსუ პროფესორმა რეზო ფარცვანიამ.

** ირაკლი იაშვილმა ეს ბულები წარმოადგინა ბერლინში გამართულ სიმპოზიუმზე, თუმცა ამის შემდეგ ის მალე გარდაიცვალა. ეს სტატია მის ხსოვნას ეძღვნება. ჩვენ მადლობას ვუხდით ნინო ინაიშვილს, ბათუმის კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების გამგეს, ამ დიდ საქმეში გაწეული უზადლო დახმარებისათვის.

¹ შესაძლოა ეს იუსტინე I-ის დროს დაიწყო.

² VI საუკუნის ქალაქის კედლებისა და ცალკეული ნაგებობების ნაწილები დღემდე შემონახული.

³ იმდროინდელია მკაფიოდ გამოხატული თავდაცვითი ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაშთები. შდრ. მაგ. W. Seibt "Westgeorgien (Egrisi, Lazica) in frühchristlicher Zeit" *Die Schwarzmeerküste in der Spätantike und im frühen Mittelalter*, hrsg. von R. Pillinger – A. Pülz – H. Vettters [Schiften d. Balkan-Kommission, Antiquar. Abt. 18] (Wien, 1992), 140, 143, Taf. 33-35; შდრ. აგრეთვე, რუკა - Taf. 36.

ლია, სანამ იგი გადავიდოდა რუსეთის იმპერიის ხელში. დღეს აჭარა საქართველოს ნაწილია.

სისტემატური გათხრები ჩატარდა 1961-1966 და 1983-1988 წწ-ში.

ნაშრომში ჩვენ წარმოგიდგენთ ათ ბუღას ამ რეგიონიდან, რომლებიც უპირატესად XI საუკუნეს განეკუთვნება.

1. **პავლე, სტრატილატი (დაახლოებით VI ს. მესამე მეოთხედი)** (სურ. 1).

Av.: აქ წარმოდგენილი ბლოკური ტიპის მონოგრამის ცენტრში მოჩანს P ასო, რომელშიც ჩაწერილია დიდი ალფა, რომლის v ფორმის შუა ნაწილი, მასში ჩამატებული ომიკრონის გამო, გამოიყურება როგორც პატარა ომიკრონისა და იპსილონის ჩვეულებრივი ლიგატურა ანუ ასოთშეერთება. P-ს ზედა ჰორიზონტალურ ხაზზე კი ჯვარია მოთავსებული.

მიუხედავად იმისა, რომ P-ს წაგრძელებული ზედა ხაზი შეიძლება T (ტაუ) ასოსაც ნიშნავდეს (მაშინ ამ შემთხვევაში, ალბათ, უნდა წავგვიტოხა სიტყვა Hypatos – ტიტული, ჩვენ მაინც უპირატესობას სახელ Paulou-ს ვანიჭებთ.

სახელი პავლე (Paulo-) ხშირად გვხვდება ჯვრის ტიპის მონოგრამებში და მხოლოდ იშვიათად – ბლოკური ტიპის მონოგრამებში. ზუსტი ანალოგი ჩვენთვის არ არის ცნობილი. თუმცა ამ მხრივ მეტ სიახლოვეს ვხედავთ Zacos-Veglery-ს N1363-თან (სამი ეგზემპლარით წარმოდგენილი), რომელთანაც P წაგრძელებული არ არის, ხოლო ომიკრონ-იპსილონის შეერთება ზედა ნაწილშია მოთავსებული.

Rv.: ჯვრის ტიპის მონოგრამა, რომელიც უდავოდ გადმოსცემს ტიტულს strathlatou, რადგანაც სიგმის გვერდით მარჯვენა მხარეს შეიმჩნევა არა ასო N-ნიუ, არამედ დაზიანებული H-ეტა. ამდენად, მონოგრამა სრულად შეესაბამება Zacos-Veglery-ის 453-ტიპს, ასევე PLRE III 327 ტიპს.

ბლოკური და ჯვრის ტიპის მონოგრამების კომბინაცია და ასევე დაფნის გვირგვინის ჩარჩო გვაფიქრებინებს, რომ იგი თარიღდება VI საუკუნის მესამე მეოთხედი⁴. ქალაქ კიოლნის სამონეტო ცენტრის აუქციონზე (22-24.04.1992) გამოტანილი ბუღის (№2050) მონოგრამა პავლე სტრატილატის პერიოდს განეკუთვნება და ორივე ვარიანტი ჯვრის ტიპის მონოგრამას წარმოადგენს, თუმცა აშკარად უფრო ახალგაზრდაა

⁴ ზოგადად ბიზანტიური მონოგრამების პრობლემატიკისთვის შდრ: Seibt, "Monogramm," *Reallexikon zur byz. Kunst* VI (Stuttgart, 1999), 589-614. უახლესი აღმოჩენები გვიჩვენებს, რომ ჯვრისებრი მონოგრამები ჩნდება უკვე იუსტინე I-ის და არა იუსტინიანე I-ის დროს, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული.

(დაახლოებით VI საუკუნის ბოლო და VII საუკუნის პირველი ნახევარი), რის გამოც მათი იდენტურობა გამორიცხულია.

სტრატეგის ტიტული ადრე *magister militum*-ის უმაღლესი მხედართმთავრის თანამდებობას შეესაბამებოდა, მაგრამ ამ დროს ასეთ ტიტულს იღებდნენ დაბალი რანგის ოფიცრებიც, ასე რომ, თანამდებობის აღმნიშვნელი ეს ტიტული უფრო და უფრო დაუახლოვდა წოდებას. როგორც ჩანს, პავლე, როგორც მაღალი რანგის სამხედრო პირი, მოღვაწეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიასა თუ დასავლეთ საქართველოში ან უკვე იუსტინიანე I-ის, ან იუსტინე II-ის ხანაში. მისი სხვაგან მოღვაწეობის შესახებ დამადასტურებელი ცნობები არ მოგვეპოვება.

2. ხრისტოფოროსი, ჰიპატოსი და გენიკონის საიმპერატორო ნოტარიუსი (დაახლოებით 840/870) (სურ. 2).

Av.: ღვთისმშობლისადმი მიმართვა (Laurent V ტიპი) ჩვეულებრივი ტეტრაგრამით: Qeotke bohqei tw sw doulw.

მიუხედავად იმისა, რომ საბეჭდავის მარცხენა კიდე დაზიანებულია, შეუძლებელია მის წაკითხვაში ეჭვის შეტანა.

Rv.: ΧΡΙΣΤΟ|ΦΟΡΩΝ|..|ΣΥΝΟΤ|ΤΟΥ|ΛΟΓΟΘ

Cristo forw up[at(w)](kai) b(asil)kw not(ariw) tou [g(enikou)] logoq(esiou).

მნიშვნელოვანი მონაცემი, თუ რომელი ლოგოთესიონის შესახებაა საუბარი, ჩვენდა გასაკვირად, გადმოცემულია მხოლოდ ერთადერთი ასოთი, რომელიც სამწუხაროდ, დაკარგულია. მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე ეხება გენიკონს.

პალეოგრაფიულად თვალშისაცემია წვეტიანი, ვიწრო ომიკონი (თუმცა „კვანძის“! გარეშე) ფართო სიგმასთან შედარებით; როგორც ჩანს, ბეტა ქვემოთა ნაწილში უფრო ღია იყო, მიუხედავად იმისა, რომ წახნაგების მოხაზულობის მსხვილი დაბოლოება ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

როგორც გენიკონის, ასევე ლოგოთესის კუთვნილი საბეჭდავები, ხშირ შემთხვევაში ნაპოვნია იმპერიის საზღვრებს გარეთ. შესაძლოა, მათი საშუალებით ხდებოდა საექსპერტო ლიცენზიების მსგავსი დოკუმენტების დამოწმება.

Laurent Corpus II, Nr.723 ვხვდებით ერთმანეთის მსგავსს ორ ბულას, სადაც მოხსენიებულია ხრისტოფოროსი როგორც b. spaqario~ kai b. notario~ tou bestiariou.⁵ ორთავე ბულის წინა მხარეზე მოჩანს საფეხურებზე აღმართული პატრიარქის ჯვარი ირგვლივ ჩვეულებრივი მი-

⁵ 723 B ტიპისთვის არსებობს მსგავსი ნიმუში მიუნხენის Utpadel-ის კოლექციაში.

მართვის წარწერით. ეს ბულები ცოტათი უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ჩვენი ტიპი, თუმცა აქ არასაკმარისად მოჩანს მათი დამაკავშირებელი ნიშნები, რათა გადაწყდეს მათი იდენტობის საკითხი.

3. ადრიანე, საიმპერატორო პროტოსპათარიოსი და მეგალე პეტერის მეთაური (დაახლოებით X საუკუნის მეორე მესამედი) (სურ. 3).

Av: საპატრიარქო ჯვარი სამსაფეხურიან საყრდენზე, დეკორატიულ ჩარჩოში, რომლის სიმაღლე ჯვრის ქვედა კიდის სიმაღლეს ოდნავ აღემატება. აქვე გაკეთებულია მიმართვის წარწერა:

ΚΕΡΟΗΘΥΨΩΔΟΝΥΛ.uri)e bohq(ei) tw sw doul(w)

Rv.: +ΑΔΡΙ|ΑΝΟΡ|Α|C|ΠΑΘ|ΣΕΠΙ|ΤΙΜΕΓ|ΑΛ|ΕΤΕΡ|Α

+ Adrian(w) b(asilikw) (prwto)spaq(ariw) (kai) epi t(h)(~) megal(h~) et(ai)r(ei)a(-).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბულის მხოლოდ არასაკმარისი ნაწილი მოგვეპოვება, მასზე წარწერა მაინც გარკვევით მოჩანს. დეკორატიული მორთულობის (წერტილოვანი რკალი?) შესახებ არ შეგვიძლია დამაჯერებლად ვისაუბროთ. იმის გამო, რომ განსხვავებით სხვა საჯარისო ნაწილებისაგან მეფის გვარდიაში - megalh etaireia უცხოელებს არ იღებდნენ,⁶ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ადრიანე წარმოშობით პეტრადან იყო. მხოლოდ ზოგ შემთხვევაში იყო შესაძლებელი ტიტულის მიხედვით მათი საჯარისო ქვედანაყოფში მიღება. უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდგომში არა მხოლოდ მეთაურები, რომლებიც გვევლინებოდნენ როგორც etaireiarcai, არამედ გვარდიის ოფიცრებიც თავის თავს უწოდებდნენ epi th~ etaireia~. მაშინ როცა megalh etaireia ხშირად გვხვდება წყაროებში, განსაკუთრებით კი ბულებზე, სხვა დანარჩენი ორი - „საშუალო“ და „პატარა“ - იშვიათად მოიხსენიება.

4. მანუელი, საიმპერატორო ოსტიარიოსი და საიმპერატორო მაგიდის უფროსი (ზედამხედველი) (დაახლოებით X საუკუნის მეორე მესამედი) (სურ. 4).

Av.: პატრიარქის ჯვარი სამ(?)საფეხურიან სადგამზე. დეკორატიული მორთულობა აღწევს თითქმის ზედა პორიზონტალურ ხაზს. ჯვრის ორივე მკლავი დახრილია. ირგვლივ ჩვეულებრივი მიმართვის წარწერა, ნაწილობრივ ძალიან დაზიანებულია.

Rv. +ΜΑΝ|Θ|ΗΛ|Υ|Ω|C|Τ|.Π|Ι|Ο|C|Κ|Α|Ι|Ε|Π|Ι|Τ|Ι|C|Ο|Ι|Κ|Ε|.Α|Κ|Ι|C|Τ|Ρ|.Π|Ε|Ζ|Η|C

+ Manouhl b(asiliko~) (o)st[ia]rio~ kai epi t(h)~ oike[i]ak(h)~ tr[a]pezh~.

⁶ შდრ. Oikonomidés, *Listes*, 327.

თუმცა სახელი ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ მისი წაკითხვა დამაჯერებელია. პირველი სტრიქონის ბოლოს არის ომიკრონის და იპსილონის ლიგატურა. მანუელი ნამდვილად იყო ევნუქი - ჰქონდა ოსტარიონის ტიტული და *epi th- trapezh-* თანამდებობა, რომელიც იმპერატორის სუფრის და ოფიციალური მიღებების პასუხისმგებელი იყო,⁷ რაც ამტკიცებს, რომ ის იყო ევნუქი.

კონსტანტინე VII-ის (959) მმართველობის ბოლოს ცნობილია ერთი ევნუქი, სახელად ნიკეტასი, რომელიც იყო *epi th- trapezh-*.⁸ შესაძლებელია, რომ მანუელი იყოს მისი წინამორბედი ან უშუალოდ მისი მემკვიდრე.

5. აბასიოსი, საიმპერატორო ასიკრიტისი, პროტონოტარიუსი და პელოპონესის და საბერძნეთის თემის მოსამართლე (დაახლოებით XI საუკუნის პირველი მესამედი) (სურ. 5).

საბეჭდავი დაზიანებულია ტყვიის კოროზიისგან. ორივე მხარეს მოცემულია მხოლოდ წარწერები.

Av.: Θ̅Ϟ̅ϸ̅|̅.̅Θ̅Η̅Θ̅Ε̅Ι̅|̅.̅Ϛ̅.̅Δ̅Η̅|̅Λ̅Ψ̅Α̅Ρ̅Α̅|̅Ϛ̅Ι̅Ω̅

Rv.: Ῥ̅Α̅Χ̅Η̅|̅Ρ̅Η̅Τ̅Α̅..|̅Τ̅Α̅Ρ̅.̅Σ̅Κ̅Ρ̅..|̅Π̅Ε̅Λ̅Ο̅Π̅Ο̅..|̅Σ̅Ε̅Λ̅Λ̅Δ̅
[+] Q(eoto)ke[b]ohqeī [tw] s[w] doulw Abasiw b(asilikw)
ash[k]rht(i-) (prwto)[no]tar(iw) (kai) kr[it(h)]
Pelopo[n](nhsou) (kai) El(l)ad(o-).

არმენიელებში ფართოდ გავრცელებული სახელი აბასი არანაკლებ პოპულარულია ბაგრატუნების დინასტიაში. ასე ერქვა ცნობილი გრიგოლ ბაკურიანის ძმას (ეს ქართული ოჯახი წარმოშობით იყო იბერიიდან, ბიზანტიური სამხედრო თემიდან), თუმცა ტიპიკონში ის გვევლინება, როგორც *Apasio- magistro-*, და ერთ-ერთ ბულაზე, როგორც *Apash-*.⁹ XI საუკუნის პირველ მესამედში ბევრი თემის მოსამართლე ან სამოქალაქო მმართველი იყო საიმპერატორო მდივნების წრიდან. როგორც ჩანს, აბასს ჯერ არ ჰქონდა მიღებული პროტოსპათარიონის ტიტული.

6. თეოდოროს აბასგოსი (?) ტაქსიარხოსი (XI საუკუნის პირველი ნახევარი) (სურ. 6).

⁷ შდრ. Oikonomidés, *Listes*, 305-306.

⁸ Skylitzes, 246.

⁹ შდრ. W. Seibt, “Arsakidh-/Aršakuni – Armenische Aristokraten in byzantinischen Diensten,” *JÖB* 44 (1994) 349-359, აქ 355; Zamitz-ის კოლექციის ბულას მოეპოვება პარალელური ეგზეგპლიარები DO –ში (Neg.-Nr. 55.65.11-2611) და ასევე Tsolozides-ის კოლექციაში (Nr. 129).

Av: მთავარანგელოზ მიხეილის ბიუსტი ღორღოში, მარჯვენა ხელში თითქოს სკიპტრა უჭირავს (მცირე ნაწილია შემორჩენილი), მარცხენაში - გლობუსი ჯვრით. არსებული წარწერიდან უნდა იყოს შემორჩენილი მხოლოდ მარჯვნივ ზემოთ არსებული X.

Rv.: $\overline{\text{K}}\overline{\text{E}}\overline{\text{R}}\overline{\Theta}|\overline{\text{E}}\overline{\text{O}}\overline{\Delta}\overline{\Psi}\overline{\text{P}}|\overline{\text{A}}\overline{\text{Z}}\overline{\text{I}}\overline{\text{A}}\overline{\text{P}}|\overline{\text{T}}\overline{\Psi}\overline{\text{A}}\overline{\text{R}}$

[+] K(uri)e b(oh)q(ei) [Q]eodwr(w) [t]axiar[c(w)] tw Ab(asgw) (?).

რევერსი დეცენტრირებულია მარცხნივ ქვემოთ და მისი მცირე ნაწილი არ შემოინახა. **AR**-ის შემდეგ (ბოლო სტრიქონის დასასრულს) ჩანს შემოკლების შტრიხი. ამას მოსდევდა კიდევ ერთი სტრიქონი მაქსიმუმ ორი ან სამი ასოთი, ან ლეგენდის ქვემოთ გამოსახული იყო დიდი დეკორატიული ელემენტი. არსებობს რამდენიმე სავარაუდო გვარი, რომელიც იწყებოდა Ab-ით. შედარებით ხშირად გვხვდება მაგალითად აბალანტესი,¹⁰ უფრო იშვიათად აბრამიოსი,¹¹ და სხვები. აღმოჩენის ადგილის მიხედვით, ჩვენ უფრო ვვარაუდობთ აბასგოსს, რომელიც იმ დროისათვის, ზოგადად, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებს ნიშნავდა და არა მხოლოდ აფხაზს, ვიწრო გაგებით.

აბასგოსი, როგორც გვარი, შესაძლოა წარმოდგენილია გეორგიოსის მეტრულ ბულაზე XII საუკუნის ბოლოს ან XIII საუკუნეში,¹² ან იქნებ ნიკეფოროსის მსგავს მეტრულ ბულაზე XI საუკუნის ბოლოს IFEB-ში.¹³ შდრ. ასევე ბულას - PLP I 19-23, 91005 ვინმე აბასგოს გრამატიკოსის, რომელსაც იოანე იტალოსმა მიუძღვნა თავისი გრამატიკული ტრაქტატი.¹⁴ ტაქსიარხოსი ან აქსიარხოსი მეთაურობდა დაახლოებით 1000 ინფანტერიის (ხშირად უცხო წარმოშობის) ქვეითებს.¹⁵

7. გეორგიოს პეკტეს (?) (დაახლოებით XI საუკუნის მეორე მეოთხედი) (სურ. 7)

Av.: წმინდა გიორგის ბიუსტი, როგორც მხედარი, აცვია მანტია, მარჯვენაში - შუბი უჭირავს, მარცხენაში, როგორც ჩანს, ფარი ეკავა. გავრცელებული ვარცხნილობა ხვეული კულულებით ყურებსაც უფარავს. წარწერიდან შემორჩენილია $\Theta|\Gamma|\Phi$

Rv.: $+\overline{\text{K}}\overline{\text{E}}\overline{\text{R}}\overline{\Theta}|\overline{\Gamma}\overline{\text{E}}\overline{\Psi}\overline{\text{P}}\overline{\Gamma}|\overline{\Phi}\overline{\Pi}\overline{\text{H}}\overline{\text{K}}|\overline{\text{T}}\overline{\text{E}}\overline{\text{I}}$

+K(uri)e b(oh)q(ei) Gēwrg(iw) [t](w) Phkt(h).

¹⁰ შდრ. DOSeals 3.39.20; Seibt, *Bleisiegel*, Nr. 159; V.S. Šandrovskaja, "Popravki i dopolnenija k "Katalogu molivdovulov" B.A. Pančenko," *Viz. Vrem.* 38 (1977) 102-119, აქ 102-119, Nr. 99.

¹¹ შდრ. V.S. Šandrovskaja - W. Seibt, *Byzantinische Bleisiegel der Eremitage mit Familiennamen*. 1. Teil: *Sammlung Lichačev – Namen von A bis I* (Wien, 2005), Nr. 1.

¹² Pančenko, *Katalog*, 99-100, Nr. 359, Taf. XII, Nr. 6; vgl. Laurent, *Bulles métriques*, Nr. 678; PLP I 21.

¹³ სავარაუდოდ სამმარცვლიანი სახელიდან აქ შენარჩუნებულია მხოლოდ **ARA** ...

¹⁴ Ioannis Itali opera, ed. N. Ketsakmadze (კეტაქმაძე) (Tbilisi, 1966), 161, Nr. 64.

¹⁵ შდრ. Oikonomidēs, *Listes*, 335, und J.-Cl. Cheynet, "Note sur l'axiarque et le taxiarque," *REB* 44 (1986) 233-235; Seyrig, Nr. 181.

მამაკაცის გვარი ან სახელი, სამწუხაროდ, დაზიანებულია. სიმპოზიუმის პროგრამის რეზიუმეში წარმოდგენილი წარწერა **MAK TEI** არასაკმარისად შეესატყვისება იმ კვალს, რომელიც ბულაზეა შემორჩენილი, მითითება არის აშკარად მსგავს ეგზემპლიარზე, რომელიც ადრე შლუმბერჟემ გამოაქვეყნა.¹⁶ პირველი ასო ზემოთ შეჭყლექილია. ეტყობა, საუბარია **Π** ან **N** ასოებზე. მეორე ასოც ოდნავ დაზიანებულია, მაგრამ **H** საკმაოდ დამაჯერებელია. თუ სიტყვა **Phkth-** დავუკავშირებთ სიტყვა **h phkth-**-ს, მივიღებთ სიტყვა ბადეს ან ჩიტების სატერ ერთგვარ გალიას, ან კიდევ ეს სიტყვა შეიძლება ნიშნავდეს ყველის კონკრეტულ სახეობას, რომელიც დამზადებულია შედედებული რძისგან. სხვა გაგებით კი, სიტყვა **Nhkth-** შეიძლება ნიშნავდეს ნაოსანს. ორივე ფორმა, სხვა მხრივ, როგორც სახელები, არ დასტურდება.

ეს ბულა 1964 წელს გათხრების შედეგად პეტრას აკროპოლისის ბაზილიკაზე იპოვეს.

8. ბარდას დაესი, პროტოსპათარი და ტაქსიარხოსი (1030/1060) (სურ. 8).

Av: ღვთისმშობელი-ნიკოპოლისი, რომელსაც ორივე ხელით ქრისტეს მედალიონი უჭირავს მკერდის წინ. მარცხენა მხარეს შემორჩენილია **M** (მიუ) და **P** (რო) ასოების ნაშთები.

Rv.: **.K̅E̅R̅Θ̅|R̅A̅P̅Δ̅A̅|A̅C̅Π̅A̅Θ̅S̅|T̅A̅Z̅A̅X̅|T̅O̅Δ̅A̅H̅**
[Q(eoto)]ke b(oh)q(ei) Barda (prwto)spaq(ariw) (kai)
tax(i)a(r)c(w) t(w) Dah.

ჩვენ ამ სახელების დადასტურებაც არ შეგვიძლია. უბრალოდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის დაკავშირებულია ტაოსთან, ქართულ პროვინციასთან, რომლის ერთი ნაწილი XI საუკუნეში ბიზანტიური იბერიის სამხედრო თემის სარდლობას განეკუთვნებოდა. ბარდასი, იგივე ვარდა, წარმოადგენდა სომხების საყვარელ სახელს.

9. კონსტანტინოს კონტონიკეტასი, ბესტესი (დაახლოებით XI საუკუნის მეორე ნახევარი) (სურ. 9).

Av: წმინდა მხედარი თევდორეს მდგომარე ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხელში მახვილი უჭირავს, მარცხენა ხელით კი ფარს ეყრდნობა. წმინდანის კარგად მოვლილი წვერი ჩვეულებრივზე უფრო მოკლეა. წარწერა კი ასეთია: **Θ̅|Θ̅E̅|O̅-̅|Ω̅.̅|̅**

Rv.: **.K̅E̅R̅Θ̅|̅Ω̅N̅R̅E̅C̅T̅|̅Ω̅N̅K̅Ω̅N̅T̅|̅N̅H̅K̅H̅T̅**
[+] K(uri)e b(oh)q(ei) [K]wn(stantinon) best(hn) [t](o)n
K(o)nt(o)n(i)kht(an).

¹⁶ Schlumberger, *Sig.* 675.

არის ბევრი ისეთი სახელი, რომელიც Κοντο-თი („მოკლე“) იწეება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა კონტოსტეფანოსების ოჯახი, ხოლო რაც შეეხება კონტონიკეტასის ოჯახს, მის შესახებ მხოლოდ შემდეგი ერთადერთი დამადასტურებელი საბუთის მოგვანა არის შესაძლებელი.¹⁷

კონსტანტინე, ისევე როგორც ორივე ტაქსიარხოსი, როგორც ჩანს, მაღალი რანგის სამხედრო პირი გახლდათ.

10. იგნატიოს კაისარი, მონახოსი (დაახლ. 1075 – დაახლ. 1081) (სურ. 10).

თუკი აქამდე განხილულ ბულებზე საუბარია უნიკალურ ეგზემპლიარებზე, აქ წარმოდგენილი ბულა ძალიან ცნობილი პიროვნების კარგად ცნობილი ბულის ტიპის ერთ-ერთი მორიგი ეგზემპლიარია.¹⁸

Av.: +K̅E|ROHΘE|TΩCΩ.|ΛΩ

Rv.: IFNA|TIΩAX̅|.ΩK̅AI|CAPI

+K(uri)e boh̅qei tw sw [d(ou)]lw Ignatiw (mona)c(w) [t]w
Kaisari

იოანე დუკამ თავისი ძმის კონსტანტინე X-ის ინტრონიზაციის შემდეგ, მიიღო კეისრის ტიტული, რომელიც მას ამაღლებდა ყველა რანგის ტიტულების მატარებლებზე. თავისი ძმისწულის მიხედვით VII-ის მეფობის პერიოდში მოხდა განხეთქილება და ის დაადანაშაულეს ძალაუფლების უზურპაციის მცდელობაში; ამის შემდეგ, დაახლ. 1075 წელს იოანე დუკა აღიკვეცა ბერად იგნატიოსის სახელით. ალექსი I კომნენოსის ინტრონიზაციის შემდეგ, იოანე-იგნატიოსი კვლავ გავლენიან ფიგურად რჩებოდა სიკვდილამდე, რომელიც ივარაუდება დაახლოებით 1088 წელს. თუკი სწორია ის ჰიპოთეზა, რომ საკუთარ საბეჭდავზე ის აღნიშნული იყო როგორც ბასილევსი, მაშინ ჩვენი ტიპი გამოიყენებოდა მხოლოდ დაახლოებით 1081 წლამდე.¹⁹

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პეტრა და მისი შემოგარენი შუაბიზანტიურ პერიოდში არ შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში (სხვათა შორის 1033 წლიდან XI საუკუნის 70-იან წლებამდე ბიზანტიის სტრატეგიული გეგმა ვრცელდებოდა აფხაზეთზეც, რომელშიც შედიოდა სოტერუპოლის/პიტიუსისა და ანაკოფიის ცენტრები), საბეჭდავები მიუთითებენ ძლიერ ბიზანტიურ გავლენაზე ან ადგილობრივი ქართული არისტოკრატიის ბიზანტიის იმპერიასთან მჭიდრო კონტაქტებზე.


¹⁷ PLP VI 13077 (1321 წლისთვის).

¹⁸ შდრ. Laurent, *Corpus* V/2, Nr., 1387; Zacos, *Veglery*, Nr. 2685; Seibt, *Bleisiegel*, Nr. 37; Ermitaž, M-1952.

¹⁹ შდრ. ამასთანავე Seibt, a.O.

შემოკლებათა განმარტება

- DO – Dumbarton Oaks
JÖB – Jahrbuch der österreichischen Byzantinistik
IFEB - Institut Français d'études byzantines
Laurent, *Corpus II* – Laurent V., *Le corpus de sceaux de l'empire byzantin II. L'administration centrale*, Paris, 1981.
Laurent, *Corpus V.2* – Laurent, V., *Le corpus de sceaux de l'empire byzantin V.2. L'église*, Paris, 1981.
Oikonomidés, *Listes* – N. Ikonomidés. *Les listes de préséance byzantines des IXe et XIe siècles*. Paris, 1972
PLRE III – J. R. Martindale, ed., *The Prosopography of the Later Roman Empire*, III, A.D. 527-640 (Cambridge, 1992)
PLP – E.Trapp, with R.Walther, H.-V. Beyer, K.Sturm-Schnabel, E.Kislinger, I.Ch.Leontiades, S. Kaplameres et. al. eds. *Prosopographisches Lexicon der Palaiologenzeit* (Vienna, 1976-96)
REB – Revue études byzantines
Seibt, W. *Bleisiegel* – Seibt, W., *Die byzantinischen Bleisiegel in Österreich*. Vienna, 1978
Schlumberger, *Sig.* – Schlumberger, G., *Sigillographie de l'empire Byzantine*. 1884
Seyrig - Cheynet, J-C., V. Morrison, and W. Seibt, eds. *Les Sceaux byzantins de la Collection Henri Seyrig*. Paris, Bybliothèque nationale, 1991.
Viz. Vrem. – Византийский Временник
Zacos-Veglery – Zacos, G., Veglery, A., *Byzantine Lead Seals*, Basel, 1972



როინ მაღაყმაძე

ნიკო გერკენიშვილის ინსტიტუტის 2014 წლის კომპლექსური სამეცნიერო მსაპედიცია ამიერტაოში

2014 წლის 6-11 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო გერკენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი (როინ მაღაყმაძე, შუშანა ფუტყარაძე, ნაილა ჩელეაძე, თამილა ლომთათიძე, ელზა ფუტყარაძე, ნაილე მიქელაძე, ჯემალ მიქელაძე) ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალებს კრებდა ისტორიულ ამიერტაოში (ართვინის ვილაიეთის იუსუფელის რაიონი), ქუაბაქის ხევის შემდეგ სოფლებში: ქობაი //ქობაკი (იუქსექობა), ელიასჯევი//ხევაი//ხევაკი (დოლუფინარი), იეთი. ჩამოთვლილი სოფლები კომპაქტურად მცხოვრები ქართველებით არის დასახლებული. ისინი, ძირითადად, ნათესაობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და მათში იშვიათად მოწმდება ერთი გვარის შიგნით ქორწინება. მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში თვალშისაცემია მრავალი ქართული ელემენტის შემონახულობა. ამ მხრივ ძალზე თვალსაჩინოა საცხოვრებელი ნაგებობანი და მთლიანად საკარმიდამო კომპლექსი, რომელიც დასავლურქართული ტიპისაა და ხასიათდება საცხოვრებელთან ახლოს მდებარე ბაღჩა-ბაღებით. სოფელ იეთში დაფიქსირდა საუკუნეს მიღწეული საცხოვრებელი სახლი სამეურნეო ნაგებობით. სახლი ფერდობზეა განლაგებული. იგი ქვედა მხრიდან სამსართულიანია, ზედა მხრიდან ორ სართულიანი. სოფელ ქობაქში კი დაფიქსირდა 200 წელს მიღწეულ საცხოვრებელი სახლი, რომელიც ოდნავ შეფერდებულ ადგილზე დგას. იგი აშენებულია ადგილზე არსებული სხვადასხვა ფერის ქვა-მასალით კირხსნარის დუღაბზე. სახლი ორსართულიანია, თუნუქის სახურავით, რომელსაც ზემოდან ქვები აწევიან. სახლის გვერდითი კედლის შუა ნაწილზე განთავსებულია ხის კარიანი შესასვლელი 1.80 მ. სიფართის ქვის კიბით. ძველი საცხოვრებელი ნაგებობების ფასადის მხარე გვერდით მხრეზეა მოქცეული. წინა მხარე უშუალოდ გზის პირამდე გადის. მისი მოპირდაპირე მხარის გარე ხედი კი კარ-მიდამოს ბოსტან-ბაღის მიმართულებითაა. ამგვარი დაგეგმა-

რება ნიშანდობლივია ტაო-კლარჯეთის საცხოვრებლებისათვის. სახლის კედლების სისქე 80 სმ-ია. ასეთი მასიური კედლები თავდაცვითი ნაგებობებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. სახლი გეგმაზე ოთხკუთხედი ფორმისაა. საინტერესოა ოთახთა დაგეგმარებაც. შესასვლელის შუა ნაწილში გამჭოლი დერეფანია (ჰავლი), რომლის აქეთ-იქით მხარეს ოთახებია განლაგებული. შესასვლელი კარიდან მარცხენა მხარეს ოთხი ოთახია განთავსებული. ორი დიდი ოთახი, სახლის სახელწოდებით, თავსა და ბოლოშია განთავსებული. პირველში ბუხარი და ერთი სარკმელია, მეორეში კი მხოლოდ სარკმელი. ამ რიგში განთავსებულ ოთახთან ერთი ვიწრო ოთახია – ციხე-ოთახის სახელწოდებით. ოჯახში მომსახურე პირს, რომელიც დანაშაულს ჩაიდენდა, ამ ოთახში გამოამწყვდევენ. ასეთი ციხე-ოთახები აჭარაშიც დადასტურდა. მაგალითად სოფელ ჭინკაძეებში, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშენებულ იბრაიმ მიქელაძის სახლის ერთ ოთახს, რომელიც სხვა ოთახებთან შედარებით პატარა იყო, ციხე-ოთახს ეძახდნენ. ასეთივე ციხე-ოთახი გააჩნია მეზობლად მცხოვრებ ვლადიმერ მიქელაძის სახლსაც. რაც შეეხება შუა გამჭოლ დერეფანს, იგი ზემო აჭარული სახლის გამჭოლი დერეფნის იდენტურია. საცხოვრებელი სახლის პირველ მარცხენა ოთახში მოწყობილი ბუხარია. მარცხენა მხარეს განთავსებული სარკმლით. ბუხრის მარჯვენა მხარეს კედელში აბანოა განთავსებული, რაც, ასევე, ნიშანდობლივია აჭარული სახლებისათვის. გამჭოლი დერეფნის მარჯვენა მხარეს ორი დიდი ზომის ოთახია შუა ნაწილში გამყოფი ჰავლით.

აქაურ ყველა საცხოვრებელს გააჩნია სასტუმრო ოთახი, რომელსაც „სახლი“ ეწოდება. სტუმრის მიღება ხდება სოფლის ცენტრში თავშეყრისა და საერთო სტუმრის გამასპინძლების ადგილას – „გირგვალ ქვასთან“, სტუმრის მიპატიუების ტრადიციული მიმართებია – „სახლა გვედეთო“, „დაჯექ, პური ვჭამოთო“ და სხვა.

ტაო-კლარჯეთის სამეურნეო ნაგებობათა შორის საყურადღებოა წისქვილი და სასიმინდე ანუ ნალია, რომელსაც ხელოსნები მაღალი ოსტატობით აშენებდნენ. ნალიასთან საკულტო ქმედებებიც სრულდებოდა. მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებიდან აქ გვხვდება თაღიანი ხიდები, სამი ციხესიმაგრისა და ეკლესია-მონასტრების ნაშთები.

მდიდარი და საინტერესო მასალები იქნა ჩაწერილი ბავშვის დაბადება-აღზრდასთან დაკავშირებით: მათი სქესობრივ-ასაკობრივი პერიოდიზაციის შესაბამისი ტერმინოლოგიით (ბგანო, ციცა-გოგო, ბიჭი-ღარჭი, ღენჭი და ა.შ.), საერთოდ, ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ტრადიციებზე, ბებიას-ქალის ინსტიტუტზე, გორგალაში ბავშვის ჩაწენაზე და სხვ. განსაკუთრე-

ბით აღსანიშნავია აკვნის სიმღერები, ქართული „იანანას“ ცალკეული ვარიანტების შემონახულობით.

მოპოვებული მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ მიწათმოქმედებასთან ერთად სიმბიოზურად ვითარდებოდა მესაქონლეობა. ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ტერასულ მიწათმოქმედებას, ტერასებზე ხილი და ვენახები იყო გაშენებული. მინდვრის კულტურებიდან მოჰყავდათ ქერი, ფეტვი, ღომი, დიკა, ცერცვი. ვენახი ძირითადად მაღლარის სახითაა წარმოდგენილი. მისი უძველესი ჯიშებიდან გვხვდება კარული და ბოდური ვაზი, ასევე, გარეული თუ ნახევრადგელური ვაზი - თიყურძენი. მრავალ ადგილას არსებული ქვევრის ნაშთები წარსულში მეურნეობის არა მარტო ამ დარგის, არამედ ხელოსნური წარმოების მაღალგანვითარებულობაზეც მეტყველებს. ამის დასტურია სამეურნეო და საყოფაცხოვრებო იარაღების დამზადების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, მათი სახელწოდებები და შრომითი ურთიერთდახმარების ფორმის (მამაკაცთა და ქაღთა ნადი) არსებობა. რაც შეეხება მესაქონლეობას, იგი ძირითადად მთაბარული ხასიათისაა.

ჩაწერილია მასალები მეფუტკრეობაზე. აქაც, ისე როგორც საქართველოს სხვა და მათ შორის თურქეთის საზღვრებში მოქცეული ჭოროხის მხარესა და ლაზეთში, დგინდება მეფუტკრეობის სამი ძირითადი ფორმის (ტყიური, ნახევრად ტყიური და შინაური) არსებობა. ყოფაში მოწმდება მეფუტკრეობის დიდი სამეურნეო გამოცდილება და მასთან დაკავშირებული წესჩვეულებები.

ამიერტაოში, საკმაოდ კარგადაა შემონახული ქართული ხალხური სამზარეულოს ტრადიციები. დამახასიათებელია, რომ აქაური კერძები აჭარაში გავრცელებული კერძების მსგავსია. ესენია: სირონი, ყველიხავიწი, მოხრაკული, ქერაშურაი, ბექმეზი, ბორეგი, ბიში, ლუხუმი, ერიშტა, ხაშლამა, ტოლმა, ყაურმა, ჭიმური, რძის პროდუქტები (სხვადასხვა სახეობის ყველი - ხმელი, მშრალი, ანუ გამხმარი, ჩეჩილა, ხაჭოყველი, გუდაყველი და სხვ., ერბო, მაწონი, კაიმაღი, დო, აირანი, ხაჭო).

ძველი სამეურნეო ტრადიციების ამსახველია მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილი ქართული ხალხური კალენდარიც.

ტაოს ქართველებმა შეინარჩუნეს არა მხოლოდ ქართული მატერიალური კულტურის, არამედ არამატერიალური კულტურის ტრადიციული ქართული ელემენტებიც: სხვადასხვა წესჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, რიტუალები, დღესასწაულები. ჩაწერილია მასალები ისეთ წესჩვეულებებზე, როგორიცაა: ახალწელიწადობა, ზიარეთობა, ხარმანობა, შვიდმაისობა, ცხრამარტობა, მსხვერპლშეწირვა, წვიმის გამოთხოვის წესი, მთებსა და წყალსაცავებთან ღოცვა-ვედრება ამინდის გამოთხოვის მიზნით, ქორწინებასთან (ნიშნობა, საქორწინო რიტუალი, ახალ პატარძალთან შეხვედრა, მზითვი - ჯეიზი), ახალშობილის მოვლასთან, სახ-

ლის მშენებლობასთან (საძირკველში სხვადასხვა მაგიური ნივთის ჩადება, შესაწირავი, ბაირადის აღმართვა, ნადი), დაკავშირებული რიტუალები და სხვ. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მთის საზაფხულო დღესასწაული - ფესტივალი, რომელსაც აქ მარიობის ან ყადიობის სახელით მოიხსენიებენ. ეს არის ბერიკაობის უძველესი ქართული დღესასწაულის ნაირსახეობა, რომელიც უხვად შეიცავს მთიან აჭარაში გავრცელებული - შუამთობის დღესასწაულის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ხარების შერკინება (ხარების ჭედვა//ჭედობა), კარდაკარ ჩამოვლა სანოვაგის შეგროვების მიზნით, ფერხულობა, სიმღერები, ცხენების ჭენება//ხტუნაობა, შაირობა. ცეკვები, სიმღერები და შაირები თან ახლდა აქაურთა ცხოვრების ყველა მხარეს. მაგალითად, ფართოდ იყო გავრცელებული ხალხური სიმღერა ელესა//ჰელესა, რომელსაც ხის მოჭრისა და ბარში ჩამოთრევის დროს სრულებდობდა.

ტაოელთა ეთნოგრაფიულმა ყოფამ დღემდე შეინარჩუნა ტრადიციული საბავშვო თამაშები - ქოსტიკი, დუხები, მისკეთი, ჩელიკობა, ტანათამაშობა, შვიდქვობია, მკურნალობის ხალხური წესები (მუცლის ტკივილის, სამარტვილოს, აყივლების (ყივანახველას), ჭიის) და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა ქუაბაქის ხევის ფოლკლორი. მათ თქმულება-გადმოცემებში ნათლად ჩანს ზოგადქართული ფოლკლორის, კერძოდ აჭარის ზეპირსიტყვიერების, არქაული კვალი. ჩვენებურთა საწესჩვეულებო ზეპირსიტყვიერებაში დღესაცაა შემორჩენილი დამცავი მაგიის ელემენტები: შელოცვა, ლოცვა, გადალოცვა, თხოვნა-ვედრება, გამოლოცვა, სიტყვის ტაბუ. მათი რწმენით, ოჯახის დაცვა ბოროტი ძალისაგან, მხოლოდ და მხოლოდ ლოცვას შეუძლია.

ამიერტაოს სოფლებში ჩაწერილ ფოლკლორულ მასალებში ვხდებით, როგორც საწესჩვეულებო, ასევე, ისტორიული პოეზიისა და პროზის ნიმუშებს. ხალხური ტექსტები ჰიპერბოლიზირებულია. მათგან განსაკუთრებულია თამარ მეფესთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები, რომლებშიც თამარ მეფე გადმერთებულია. მას მთქმელები ყოვლისშემძლე, კეთილშობილ, სპეტაკ ადამიანად გვიხატავენ. გადმოცემით, თამარ მეფისთვის დაბრკოლება, გაჭირვება არ არსებობდა. მის გამჭრიახობას არაერთხელ უხსნია ერი და ქვეყანა განსაცდელისგან. გადმოცემის თანახმად, თამარ მეფეს აუგია სავრიეთის წყლის არხი. ამის შესახებ სხვადასხვა სახის ლეგენდებს ყვებიან. არსებობს გადმოცემები ამ მხარეში თამარ მეფის მოგზაურობის შესახებ და სხვ. ამ კუთხის არქაული ტექსტებში საქართველოს ისტორიული წარსული ირეკლება, რაც სამომავლოდ საკვლევი თემაა.

ამიერტაოს მოსახლეობა ორენოვანია; ოფიციალური სახელმწიფო ენა თურქულია. ქართული საოჯახო ენის ფუნქციის მატარებელია მხოლოდ. მაგრამ თანდათანობით ოჯახებშიც ფეხს იკიდებს თურქული ენა. ახალმა

თაობამ ნაკლებად იცის წინაპრების ენა (“ერთმანეთთან გურჯუჯე ვხვარათოფთ (გლაპარაკობთ), ღანჯები ვერ ხორათობენ”), ახალგაზრდები ქართულის ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სარბიელს ვერ ხედავენ. ქართული ენის თანდათანობით დაკარგვას ხანდაზმული ქართველი ტაოელები მწარედ განიცდიან. თანაც კარგად იციან ამის გამომწვევი მთავარი მიზეზი: „ქართულა მექტები (სკოლა) არ არი და იმითვინ იკარგვის ჩვენი ჩიტის ენაო“.

ექსპედიციამ შეაგროვა როგორც ეთნოგრაფიული, ისე ფოლკლორული ხასიათის თემატურად მრავალფეროვანი რომლებიც საინტერესოა ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ტაოს ქართულიც ძალიან საინტერესო დიალექტია. აქაურთა ქართული მდიდარია არქაიზმებითა და დიალექტიზმებით. ტექსტებზე დაკვირვება მეტნაკლებ წარმოდგენას გვაძლევს ამიერტაოს მეტყველებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ტაოს ქართული გამოირჩევა არქაულობით. ამიერტაოს მაღალმთიანეთის სოფლები ზაფხულს ატარებენ იაღაღებზე – იაიღებში, სადაც ტაოელებთან ერთად სახლობენ ლაზებიც. ამიტომ მაღალმთიანი ტაოს სოფლების მცხოვრებთა მეტყველებაში შეინიშნება ლაზური სუბსტრატი – ლაზური ენობრივი ფორმები, როგორც ლექსიკაში, ისე გრამატიკულ წყობაში.

ფონეტიკურ თავისებურებათაგან მნიშვნელოვანია ის, რომ აქ დღემდე ცოცხალია ძველი ქართულის ხშული ბგერა **ჭ** (ხარ): *ფერჭული, ჯევი...* ასევე, სპორადულად დასტურდება უმარცვლო **ჟ** წუმა, *ქუეყანა...* **ძ** ბგერას ენაცვლება **ჯ**: *ვაზოვებდით, ზროხა, ზალი, დეიზინებენ...* თუმცა **ძ** ბგერის წარმოთქმაში შეინიშნება მერყეობა. გვხვდება **რ** ბგერის დაკარგვის შემთხვევები: *კინა, ზალი...* ბუნებრივია, რომ დასტურდება სხვა ფონეტიკური პროცესებიც. რაც შეეხება მორფოლოგიურ თავისებურებებს, ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში დაირთავენ **ი** ხმოვანს: *ანაი, პატიანი, გოდორაი...* თანხმოვანფუძიან სახელებთან დაკარგულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი: *მარილ უყენებენ, ამ ადგილ ქვია, სახლ ვაკეთებ, წამალებ ყიდავს...* სპორადულად გვხვდება ისეთი ფორმა, რომელშიც **თ** სუფიქსი ერთდროულად ბრუნვის ნიშანიცაა და რიცხვისაც: *დაბადულთ ბარ იციან...* აღწერითია ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმა: *ფენა ბევრი იყო, ენ კაი...*

არქაული იერი დაჰკრავს თვლის სისტემას. თვლისას **და** არის წარმოდგენილი არა მხოლოდ ასის შემდეგ, არამედ თერთმეტიდან ოცამდე: *ათი და ხუთი, ათი და ექსი წლის, სამ ოცი, ერთი ათი და ექსი...* რიცხვით სახელთან მსაზღვრელად გვხვდება **თანე** (ცალი): *ორი თანე...* განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელის ცოტას, მცირეს მნიშვნელობით გვხვდება **აბლი**. *აბლი ვიცი, აბლი ვიხვართოთ.*

საინტერესოა ზმნის ფორმა. ამ ზმნას აწმყოს მწკრივში მოსალოდნელი **ს** სუფიქსის ნაცვლად მოუდის **ჟ**: *თოხი მაქვა, ტარი აქვა, ბევრი საქმე მაქვა, შენზე თვალი მაქვა*. მრავლობითში **თ** ნიშნის მაგივრობას ეწევა **ან**: *ბეჭელი გაქვან? პირუტყვები გყავან, კუდები აქვან, გული თეთრი აქვან*. გვხვდება შემთხვევები, როცა **მ** პრეფიქსი ობიექტის პირველი პირის მრავლობით რიცხვში გვხვდება **გვ** პრეფიქსის ნაცვლად: *არ მაქვან დიდი ყანა, ტაფა მაქვან*.

ძველი ქართულის მსგავსად, ქუაბაქის ხევის მეტყველებაში, მესამე სუბიექტური პირს მრავლობით რიცხვში უწყვეტელსა და წყვეტილში აქვს **ქს** სუფიქსი: *შეკაზმიდეს გოგოსა, უწინ ელჩობაზე მოვლოდეს, თაფლ მოგართმიდეს...*

თავისებურებით ხასიათდებიან **ავ** და **ამ** თემის ნიშნიანი ზმნები უწყვეტელში. დასტურდება **ვედ//ვიდ, ემდ//მიდ**-იანი წარმოების ფორმები: *გასმეფდი, დამალეფდენ, კონკეფდენ, შეეკოჭვიდი, ეუკითხვიდით, გავლეხვიდით, ვთესვიდით, მოვთერძვიდით, ჩაასხმიდენ, მივართმიდით, დააბმიდით, ჩეცცმიდი...* ადგილის გარემოება, ძველი ქართული ენის მსგავსად, უთანდებულო ფორმითაა გადმოცემული: *ზამთარ მოვდეს, ყანისთავ არი ზიარეთი*.

ამიერტაოს მეტყველებაში **უკან** ზმნიზება **თანაობის** გამოსახატავად გამოიყენება: *ჩემს უკან იყავ (ჩემთან იყავ), დიდის უკან (დიდთან) დიდი იყავ, სამ ღამეს დადგენ ჩემს უკან (ჩემთან)*. დაცულია კითხვითი **ა** ნაწილაკი, როგორც კითხვითსიტყვიან, ისე უკითხვითსიტყვო კითხვით წინადადებაში: *ავათ ვარა; ზროხა გყავსა?.. ნარ* სუფიქსი სხვა ფუნქციით ისმის ამიერტაოს მეტყველებაში და უტოლდება მრავლობითი რიცხვის **ქბ** ნიშანს: *ჩვენი კილდევენარი(კლდეები), ხევნარი(ხეები) არ ურვიან*.

ქუაბაქის ხევის მეტყველება საინტერესო სურათს გვიჩვენებს ლექსიკური თვალსაზრისითაც. გვხვდება სიტყვები: *აბლი - ცოტა, პატინია - პატარა, ფერხულობა - ცეკვა, სათესავი - ბოსტანი, ნობეთი - რიგი, ვაწკარებთ - ვაწყობთ, ხვართობა - ლაპარაკი, ბლანი//ბგანი - გოგონა, ღარჭი - ბიჭი, გაყუდება - დადგომა, დედეკაცი//დეკაცი - დედაკაცი, გარიგება - მიხედვრა, მარქუალი - კარტოფილი, დგომა - ცხოვრება*. მცენარეთა, ცხოველთა, საყოფაცხოვრებო საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებიდან აღსანიშნავია ძირძველი ქართული სიტყვები, როგორიცაა: *ცერცვი, დიკა, ჭვავი, კალო, საჭვნელი, ფერხული, ქორაფი, კეცი, ნაკვერცხალი, კერძი, ტენცო, შამანთელი, შეშხა, ხოზალიმა, მოკოდვა, დაყრა და სხვ*. ადამიანთა საკუთარი სახელები თურქულ-ოსმალურია, მაგრამ ბევრს კარგად ახსოვს ძველი ქართული გვარი (მაგალითად: სარიყაია - ნაწილი ყემბერაშვილი იყო, ნაწილი - კაცოვანი. თორსმანი - ტურცხიანი, იშარი - ყოჩუაშვი-

ლი/ყოჩიოთი და სხვ.). ტოპონიმია თითქმის მთლიანად ქართულია; აქა-იქ ჩანს მხოლოდ თურქული წარმოშობის გეოგრაფიული სახელები. უამრავი ქართული ტოპონიმი დაუცავს ქუაბაქის ხევის ქართულს: *ომერბანკარი, ალიბანკარი, წყაროთა, ბიკრიეთი, წისქვილკარი, დინგიკარი, ბარდიეთი, კვირიკეთი, ლეკნარი, ჭუიჭაღა, საფურე, დიდვაკე, პირისპირ, წვართა, ზეკარიქელი, ბერთხევი, ფიქალთავი, ჭაღათი, ჭიღათი, ტიტველქელი, ლერწმანი, უკანამთა, ქვაფუტკარი, ობლეკარი, ჭელიბანკარი, ველითავი, სათიყე, სადგი-ყანა, ნაჯვარევი, მოგლესილი, ძივისწყარო, ჩაწყვეტილი და სხვ. ბევრია კომპოზიტიური წარმოშობის ტოპონიმები. ძირითადად კომპოზიტის ორივე ნაწილი ქართულია. კომპოზიტის ერთ ნაწილად გვხვდება კარი: ობლიბანკარი, წისქვილკარი, გოდლიკარი... თავი: ველითავი, კალოთავი... ქელი: საფლავიქელი, ზეკარიქელი, ქელქელი... ამდენად, ქუაბაქის ხევის ქართული საინტერესოა ენათმეცნიერული თვალსაზრისით.*

გარდა ზეპირსიტყვიერი მასალისა, ექსპედიციის დროს მომზადდა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა გეგმები, უძველესი საფორტიფიკაციო ნაგებობების, თაღიანი ხელების და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების. ფოტოსურათები, სამეურნეო და საოჯახო იარაღ-ინვენტარის, ხელსაწყოების ჩანახაზები და ჩანახატები და სხვა. ეს ვიზუალური მასალა თვალსაჩინოს ხდის ამიერტაოში ქართული ეთნოკულტურის ტრადიციული ელემენტების არსებობას და ადასტურებს, რომ ამიერტაოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა ზოგადქართული ხასიათისაა.

სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაოდ სხვადასხვა ადგილებშია გაფანტული. ადგილზე დარჩენილები მისდევენ მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას. სოფლებში თითქმის აღარ დარჩნენ ახალგაზრდები. შიგა მიგრაციასაც აქაურები მუჰაჯირობის სახელით მოიხსენიებენ - „იელოვაში წავედით მუჰაჯირობაში, მერე იუსუფელში“. იაილები, ძირითადად, აგარაკის როლს ასრულებს. თავად აღნიშნავენ, რომ „იაილები მოიშალა, რადგან გენჯები ქალაქებში წავიდნენ“. ეს შიგა მიგრაციაც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ამიერტაოს მოსახლეობის მხოლოდ ერთ ნაწილშია შემორჩენილი ეროვნული ცნობიერება, ქართველობის შეგნება. მცირდება ქართულის მცოდნეთა რიცხვი (ადგილობრივთა გადმოცემით, „იუსუფელ ქალაქს 63 სოფელია და ქართული სამმა იცის: ხევამ, ქობამ, ბალხამ“). ნელ-ნელა ქრება ტრადიციული კულტურა და ადათ-წესები, ამიტომაც ექსპედიციის მიერ მოპოვებული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური მასალა ძალიან ფასეულია, ხოლო საკვლევადიებო სამუშაოების გაგრძელება ამ ტერიტორიაზე მეტად მნიშვნელოვანი და საშური საქმეა.



ექსპედიციის წევრები მთხრობელებთან. სოფ. გაღმა ქობაი



ექსპედიციის წევრები მთხრობელებთან. სოფ. ხევაი



შუშანა ფუტყარაძე მთხრობელთან. სოფ. იეთი



თამილა ღომთათიძე
მთხრობელთან.
სოფ. გაღმა ქობაი



ნაილე მიქელაძე მთხრობელთან. სოფ. იეთი



როინ მაღაყმაძე მთხრობელთან. სოფ. იეთი



სოფ. გაღმა ქობაი



საცხოვრებელი სახლი. სოფ. ქობაი



კალო. სოფ. ქობაი



კვერი. სოფ. ქობაი



კვერი. სოფ. ქობაი



შადრეგანი. სოფ. ქობაი



წისქვილები. სოფ. გაღმა ქობაი



საფუტკრე



ხის ქვიჯა. სოფ. პარხალი




ზედშედგმული კეცები.
სოფ. იეთი




თიხის წყალგაყვანილობის მილი. სოფ. პარხალი




თიხის წყალგაყვანილობის მილი. სოფ. პარხალი



იშანის ეკლესია



პარსაღის ეკლესია



ოთხთა ეკლესია



ხახულის ეკლესია

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ კაპნისთავში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით, 2015 წელს სოფელ არქეოლოგიური სამუშაოები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპნისთავის ადრე-შუასაუკუნეების ნამოსახლარის ნაშთების შესწავლით დაიწყო. ქვევრების უბანზე აიგემა 16X8 მ თხრილი, რომელიც ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. თხრილის სამხრეთ მონაკვეთში გამოიკვეთა ნაგებობის საძირკვლის ნაშთები, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა ზომის მშრალი ქვის წყობით. ჰუმუსოვანი ფენის აღებისას ბევრგან ჩნდებოდა (განსაკუთრებით თხრილის სამხრეთ მონაკვეთზე) საცხოვრებელი ნაგებობის იატაკის გამაგრების მიზნით შექმნილი ქვის წყობის ნაშთებიც. სარდაფის დონეზე უნდა იყოს განლაგებული იატაკის გასამაგრებლად დალაგებული ქვის წყობის ფრაგმენტები.

ქვევრების დიდი ნაწილი ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია ჩამარხული. აშკარაა, რომ სწორედ ეს ადგილია გამოყენებული მარნის დანიშნულებით, ქვევრები ერთ რიგად გარკვეული სისტემის მიხედვითაა განლაგებული. ერთი ქვევრი მარნის გარეთაც გაიწმინდა. იგი მთლიანად ქვის გროვაში იყო ჩადგმული. კარგად იკითხება გრუნტში ჩატრილი ქვევრის კონტურები, მათი მომცველი სივრცეები წყლის ადვილად გამტარი ხრეშოვანი შრითაა შევსილი. თხრილში ქვევრების რაოდენობამ 11 მიაღწია.

კაპნისთავის საღვინე ქვევრები ორი სახისაა: პირველი, მეექვსე, მეათე და მე-11 ადრეულია. ისინი მსგავსია 2012 წელს ჩაქვის ჩაისუბანში მოპოვებული ქვევრისა, რომელიც წინასწარეულად გვიანრომაული – ადრეპროტო-ბიზანტიური ხანით თარიღდება (კახიძე, სურმანიძე, 2013:228, ტაბ. XXI/1,2). საქართველოში მსგავსი ქვევრები ადრე უცნობი იყო. 2013 წელს მიღებული ინფორმაციით მსგავსი ქვევრის ფრაგმენტები აღმოჩნდა სოფ. სარფში, ოღონდ ისინი მოგვიანო პერიოდის უნდა იყოს, რადგან კაპნისთავის ქვევრების მსგავსად, მასაც ტანი კირხსნარით ჰქონია დაფარული (კახიძე, სურმანიძე, 2013:228). ანალოგიური ქვევრები დაცულია ტრაპიზონის აია სოფიას ტაძრის შესასვლელთან, ტრაპიზონისა და რიხეს მუზეუმში (კახიძე, სურმანიძე, 2013:228-229, ტაბ. XXVII/1, 2; XXVIII/1).

რაც შეეხება დანარჩენ მე-2-ე, მე-4-ე, მე-5-ე, მე-7-ე, მე-8-ე და მე-9-ე ადგილობრივ ქვევრებს, ისინი ყავისფერკეციანია. მთელი ტანი დაფარულია სიმეტრიულად დაშორებული ზოლებით. ისინი ჰორიზონტალურად

შემკული ქვევრების კლასს განეკუთვნება. ქვევრები ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ კირხსნარით დაუფარავთ და ზოგიერთი მათგანი ორმაგ ქვევრად უქცევიათ. ერთი ქვევრი კი სამმაგია. არაა გამორიცხული, რომ მარანში ქვევრები სანახევროდ იყო ჩადგმული. ბუნებრივია, კირხსნარით დაფარული იყო მეორე ნახევარი. ხოლო ყველა ორნამენტირებული ზედა ნახევარი კი – ხილვადია.

მსგავსი ქვევრები გვიანანტიკური ხანიდან დღემდე გავრცელებული, საინტერესოა ურბნისის მარნის ქვევრები (ბოხოჩაძე, 1963:140, 147; ტაბ. IV/3, სურ. 3. იქვე იხილეთ სხვა ლიტერატურა), ასევე, უფლისციხის განვითარებული და გვიანდელი შუასაუკუნეებით დათარიღებული რელიეფური სარტყელით შემკული ქვევრები (მინდორაშვილი, 2008:33, ტაბ. X/4).

ქვევრების დუდაბით დაკირვა შუაფეოდალური ხანიდან დასტურდება. ამისათვის იყენებდნენ კირხსნარს, რიყისა და ქვიშაქვის ნატეხებს, ზოგ შემთხვევაში ქვევრისა და ჭურჭლის ნატეხებსაც. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქვევრების დაკირვას ერთდროულად იწყებენ მთელ საქართველოში, მიზეზი კი მხოლოდ ბუნების სტიქიური მოვლენები ყოფილა, რომელიც მიწაში დაფლული საღვინე ქვევრის მთავარი მტერია. ასეთი დამანგრეველი მიწისძვრა საქართველოში XI ს-ის 80-იანი წლების მიწურულიდან ივარაუდება (1080-1089), რამაც გამოიწვია ქვევრების დასკდომა, რასაც თავისთავად უნდა მოჰყოლოდა დაზიანებული ქვევრების შეკეთების ცდა და ამ მიზნით მათი დაკირვა. როგორც ჩანს, ქვევრების დაკირვა წესად გამხდარა და არა მარტო გაბზარულ, არამედ ახალშეძენილ მთელ ქვევრებსაც კირავდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი საფრთხე (ბოხოჩაძე, 1963:14-142, სურ.3).

კაპნისთავის მარნის შეწავლა ჯერ არ დასრულებულა. ვფიქრობთ, რომ მომავალი არქეოლოგიური აღმოჩენები კიდევ უფრო მეტი სიახლის მომცემი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

ბოხოჩაძე ა. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, 1963.

კახიძე ა., სურმანიძე ნ. სოფელ ჩაისუბნის „შუამთის“ გორანამოსახლარის არქეოლოგიური დაზვერვების შედეგები. – კრებული „ჭარა წარსული და თანამედროვეობა“, I, ბათუმი, 2013, გვ. 222-264.

მინდორაშვილი დ. უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბილისი 2008.



1



2

ბიჭიკო დიასამიძე

*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის
განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

როინ მაღაყმაძე

*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი,
ისტორიის აკადემიური დოქტორი*

მთიანი აჭარის სოფელი (პრობლემები და პერსპექტივები)

აჭარის მთიანეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო მხარეა. ბოლო წლებამდე იგი საქართველოს სხვა მთიან მხარეებს შორის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული და მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი ტემპებით გამორჩეული იყო, რაც მას ქვეყნის სხვა რეგიონების ეროვნულ-დემოგრაფიული კლიმატის გაჯანსაღების ფუნქციას აკისრებდა, მაგრამ ბოლო ათწლეულებში მდგომარეობა აშკარად შეიცვალა. თუ ადრე სოფლად გაცილებით მეტი ბავშვი იბადებოდა, ვიდრე ქალაქად, ახლა პირიქითაა. იშვიათია მრავალშვილიანი დედები (5–10 შვილით) სოფლადაც. 2009 წელს 1000 კაცზე გაანგარიშებით, აჭარაში სოფლად დაიბადა 13,8 ბავშვი, ქალაქად კი 19,8 (თოთაძე, 2012, 69), რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირდა ბუნებრივი მატება სოფლად. ეს კი იმ ტენდენციების პირობებში, რაც ბოლო დროს შეიმჩნევა მთიანი აჭარის სოფლებში (ახალგაზრდობის მასობრივი გადინება სოფლიდან, შესაბამისად, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუქმება, გზების, სატრანსპორტო და სოციალური მომსახურების მოშლა, შობადობის შემცირება), თუ საგანგებო ზომები არ იქნა მიღებული, სოფელი ჯერ „დაბერდება“, შემდეგ ნასოფლარებიდა დარჩება. ამიტომ ყველას ვაღია, ვინც ფიქრობს და ვაღდეულობა იფიქროს ქვეყნის, საკუთარი შვილების მომავალზე, იზრუნოს ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის, რომ ერთიანი ძალისხმევით შეჩერდეს სოფლის დაცლისა და ნგრევის პროცესი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი უკვე მესამე წელია სწავლობს ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, კულტურული განვითარების ტენდენციებს, მათში შემაჯავლი სოფლების ცხოვრების დინამიკას, მოდერნიზაციის გზებს და ცდილობს შეიმუშაოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი სოფლის მოდელის შესაქმნელად.

ამჟამად აჭარაში 333 სოფლის ტიპის დასახლებაა (საქართველოს... 2002, 1), აქედან 209 სოფელი ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში შედის და მთიანი აჭარის სოფლებად ითვლება, მაგრამ ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების 124 სოფლიდან 25 მაინც, მთიან ზონაშია (მაჭახლისა და კინტრიშის ხეობის სოფლების უმრავლესობა). რამდენადაც მთის სოფლების უმრავლესობას ერთნაირი პრობლემები აწუხებს, ვფიქრობთ, მთის ერთი სოფლის ბუნებრივი პირობების, წარსულისა და დღევანდულობის, ამჟამად შექმნილი სიძნელეების განხილვისა და რეკომენდაციების შემუშავებით, მეტ-ნაკლებად გათვალისწინებული იქნება სხვა სოფლების პრობლემებიც.

ჩვენ მიერ შერჩეული და შესწავლილი სოფელი **კვიახიძეები** შუახევის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1280 მეტრზე მდებარეობს. ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრიდან-ბათუმიდან ამ სოფლამდე 89 კილომეტრია, ხოლო რაიონის ცენტრიდან-შუახევიდან 19 კილომეტრი. ამ საუკუნის დასაწყისში სოფელში 57 სახლი იდგა (დიასამიძე, 2008, 7) და ცხოვრობდა 277 სული (128 კაცი, 149 ქალი) (საქართველოს..., 2002, 12). თანამედროვე სოფელი დაახლოებით 300 წლისაა, თუმცა აქ არსებული ძველი სამაროვნებით დაკავებული ფართობი იმდენად დიდია, რომ ამ სოფლის ძირძველობაზე მიუთითებს და აშკარაა, რომ თანამედროვე სოფელი ძველ ნასოფლარზეა გაშენებული. სოფლის ერთ უბანში-გაბელაურში, ადგილ კორდაძირში ქვითკირის საძირკვლის ნაშთებია, რომელსაც ადგილობრივები ეკლესიის საძირკვლად თვლიან, რადგან ირგვლივ ძველი სამაროვნებია. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სამანქანე გზის გაყვანისას შემთხვევით აღმოჩენილი ქრისტიანული წესით დამარხული ადამიანის ჩონჩხის ნაშთები, ღვინის ქვევრები და კერამიკის სხვა ნიმუშები. სოფელს შუაზე ყოფს მდინარე, რომელსაც **წისქვილისღელეს** ეძახიან. ადრე აქ ათამდე წისქვილი ყოფილა გამართული, რაც სოფლის სიდიდე-მრავალრიცხოვნობაზე და წამყვანი სამეურნეო დარგის-მემარცვლეობის (პური, ქერი, სიმინდი) მაღალმოსავლიანობაზე მიუთითებს. ახლა აქ მხოლოდ ორი წისქვილია დარჩენილი (დიასამიძე, 2008, 8). სოფელში სამანქანე გზა 1957 წელს იქნა შეყვანილი, მანამდე სატრანსპორტო საშუალება ცხენი იყო. სოფელი დღევანის თემში

შედის და მასზე გადის თემის სოფლების (დღვანი, ლომანაური, გოგინაური) ტრადიციულ საზაფხულო მთაზე – „საბერწიაზე“ ასასვლელი გზა. აქედან იქ ასვლისათვის 3–4 საათი სჭირდება ფეხით მოსიარულეს. ახლა მთაზე ასასვლელი სამანქანო გზაცაა გაყვანილი. იგი ელექტროენერგიითაც მარაგდება. საბჭოთა პერიოდში, სოფლის განაპირას, ფართო მოვაკებულ ადგილას, სამხედრო მესაზღვრეთა ნაწილის შენობები იდგა. აქედან ას მეტრში მავთულხლართები კეტავდა გზას მთა „საბერწიასაკენ“, რადგან აქედან ახლოსაა სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან. სწორედ ამ მხრიდან აკრავდა სოფელს მისი მკვებავი ტყე, საიდანაც იღებდა შემას, სამშენებლო მასალას, ძვირფას და იშვიათ სამკურნალო მცენარეებს. მრავლად იყვნენ იქ გარეული ცხოველებიც. გადმოცემით, აქ მოკლული იშვიათი ნადირის (ვეფხვის) ტყავით დაუმსახურებია აქაურ მონადირეს ზემოაჭარის ბეგის – ხიმშიაშვილის გულუხვი ჯილდო (დიასამიძე, 2004, 16); (დიასამიძე, 2008, 32).

სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია XIX საუკუნის ბოლოდან მოგვეპოვება. რუსი მკვლევარის ლისოვსკის ცნობით, 1887 წელს სოფელში 12 კომლი ყოფილა 126 სულით (დიასამიძე, 2008, 18), ხოლო ქუთაისის გუბერნიის ბათუმისა და ართვინის ოლქების ადმინისტრაციული დაყოფის მასალებით, XX საუკუნის დასაწყისში 15 კომლია აღრიცხული 110 სულით (Административное..., 1900, 16).

2008 წლისათვის სოფელში ცხოვრობდა 44 კომლი, 277 სულით, თუმცა XX საუკუნის 30–იანი წლებიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და ქვეყნის საზღვრებს გარეთ საცხოვრებლად სოფლიდან გადასულია 170 ოჯახი (დიასამიძე, 2008, 17).

სოფლის მოსახლეობა ძირითადად დასაქმებული იყო და არის სოფლის მეურნეობაში. სოფლის ტრადიციული დარგები იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მემინდვრობის კულტურათაგან სხვადასხვა დროში სხვადასხვა კულტურა იყო წამყვანი. ზეპირი გადმოცემებით, სოფლის შედარებით დაბალ და მზიან ადგილებში მოჰყავდათ პური, ქერი და ბრინჯი, რაზეც ტოპონიმები „კალო“, „თავკალო“ მიუთითებენ, შემდეგ პირველობა სიმინდს და კარტოფილს მოუპოვებია, საბჭოთა ხანის ბოლო ათწლეულებში კი შემოსავლის მთავარი წყარო გახდა თამბაქოს წარმოება.

მესაქონლეობაში ადრე თანაბარი ადგილი ეკავა წვრილფეხა (თხა, ცხვარი) და მსხვილფეხა (ძროხა, ხარი, კამეჩი) პირუტყვს, ახლა უფრო მეტად მსხვილფეხა საქონელი ჰყავთ და თანაც ძალიან შეზღუდული რაოდენობით. ზაფხულობით (სამი თვე) პირუტყვს მთაში მიერეკებიან, სადაც ძირითადად ბებია ქალები უვლიან საქონელს და ამზადებენ რძის პროდუქტებს (კარაქი, ყველი, ნაღები, ნაღული, დო, მაწონი და სხვა).

სოფელი ადრე განთქმული იყო ხისა და რკინის საოჯახო ნივთებისა და იარაღების ოსტატებით. გასული საუკუნის 80-იან წლებამდე სოფელში მოქმედებდა სამჭედლო, სადაც ამზადებდნენ ცულებს, წაღებს, თოხებს, სახნისებს, ნაღებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, სხვადასხვა დანიშნულების ნაკეთობას.

გადმოცემით, აქაური ხის ოსტატების მიერ დამზადებული გობები, ჯამები, ხერტლები და სხვა ნივთები კარგად საღებოდა მეზობელ შაფშეთსა თუ არტაანში. სოფელში არსებული ტოპონიმი „ნაგობვარა“ ამაზე უნდა მიუთითებდეს. ეს ის ადგილია, სადაც ადრე ხის გობები მზადდებოდა.

სოფლის ცენტრში ჯერაც დგას XIX საუკუნის 90-იან წლებში აშენებული ხის ჯამე (მეჩეთი), რომლის კარები და სალოცავი დარბაზის დიდი ნაწილი ორნამენტითაა შემკული, სადაც მზის, ვახის და სხვა მცენარეების გამოსახულებებია ამოკვეთილი.

იქვე, ასი მეტრის ფარგლებში, სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობებია: კლუბ-კანტორა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ცხრაწლიანი სკოლა. ადრე კლუბ-კანტორის შენობაში განთავსებული იყო სოფლის ადმინისტრაცია, კლუბი, სოფლის ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი. ახლა ამ შენობაში დროდადრო თუ შეიკრიბება ხალხი საჭირობოროტო საკითხების გადასაწყვეტად და არჩევნების ჩასატარებლად. სამწუხაროდ, სოფელს დღეს რწმუნებულიც აღარ ყავს და მთელ თემს (ხუთ სოფელს) ერთი თემის გამგებელი განაგებს. სოფლის ბიბლიოთეკა სკოლისას შეუერთეს, სამედიცინო პუნქტი ხომ ბოლო ორი ათეული წელია აღარ ფუნქციონირებს. კლუბიც ბოლო წლებში ისე ვეღარ გუგუნებს, როგორც ადრე იყო. სოფელს, როგორც ჩანს, „მომღერალი სოფლის“ სახელიდა შერჩება! არადა, სულ 15–20 წლის წინანდელ ამ სოფელზე წერდნენ: „მთის პატარა სოფელია კვიახიძეები, რომელიც მოსახლეობის მრავალრიცხოვნებითაც არ არის გამორჩეული, მაგრამ 120-კაციანი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ჩამოაყალიბეს, რომელშიც თითქმის მთელი სოფელი მონაწილეობდა. ანსამბლის მიერ შესრულებული „ივერი-მასპინძელისა“, „მაყრული“, „შინმოუსვლელო“ და სხვა, უზადოა და შესრულების სტილიც მხოლოდ ამ სოფლისთვისაა დამახასიათებელი“ (მარეთის... 2011, 292).

მუზეუმი XX საუკუნის ბოლოს სოფლის ინტელიგენციის ძალისხმევით დაფუძნდა. ახლა 800-ზე მეტი ექსპონატია განთავსებული აქ და დამოვალიერებელს მოუთხოვრებს აქაურთა წარსულზე, ყოფასა და კულტურაზე სამეურნეო საქმიანობაზე.

სოფლის წინაშე ყველაზე დიდი დამსახურება სკოლას მიუძღვის. იგი 1928 წელს შექმნილა. 60-იანი წლების ბოლომდე მასწავლებლებად

საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულები მუშაობდნენ, რომელთაც დღესაც დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ აქაურები.

70-იანი წლების დასაწყისში 80-ზე მეტი მოსწავლე იყო სკოლაში (დიასამიძე, 2008,95), ხოლო საუკუნის დასასრულს 48. ამჟამად ცხრაწლიან სკოლაში სულ 19 მოსწავლეა, რაც თავისთავად მეტყველებს სოფლის დემოგრაფიულ სიტუაციაზე, რომ არაფერი ვთქვათ 10–15 გამოკეტილ სახლზე, რომლებიც მხოლოდ ზაფხულობით თუ გაიღება. თუ იმასაც დავამატებთ, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში 25 ახალგაზრდა ოჯახმა (85 სული) დატოვა სოფელი და საცხოვრებლად ქ. ბათუმსა და მის შემოგარენში დაიდო ბინა, აშკარა გახდება, რომ სოფელს კარგი მომავალი არ უჩანს. ერთი ტენდენცია შეიმჩნევა: თუ XX საუკუნის მთიანი აჭარის სოფლებიდან მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში სახლდებოდა უპირატესად ისევ სოფლად (ფუტყარაძე, 1995, 15), ბოლო ათწლეულებში ჩასახლება უფრო ქალაქად ხდება და ამას თავისი ახსნაც აქვს. კერძოდ, დასაქმებისა და შემოსავლების, თანამედროვე კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მეტ პერსპექტივას ხედავენ ახალგაზრდები ქალაქში.

კვიახიძეებიდან წასული 22 ახალგაზრდა ოჯახიდან სოფლად მხოლოდ ხუთი დასახლდა, დანარჩენებმა ქალაქად დაიდო ბინა. ჩვენ შევძელით 18-ის ანკეტური გამოკითხვა, რომელთაგან 10 უკვე 15 წელია წასულია სოფლიდან, ხოლო 8 ახალგაზრდამ 5–10 წელია, რაც დატოვა სოფელი.

კითხვაზე: **რატომ წავიდნენ სოფლიდან?** – ასეთი პასუხები მივიღეთ:

- ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო–2
- სპეციალობით მინდოდა დასაქმება–3
- მუდმივი სამუშაო მინდოდა–9
- მინდოდა ცალკე ოჯახად მეცხოვრა–3
- მცირეა შემოსავლის წყაროები–9
- ვფიქრობდი უკეთესად მოვაწყობდი ცხოვრებას–8
- შვილების უკეთესად სწავლა-აღზრდას შევძლებ–7
- ცხოვრების მძიმე პირობებია – 15

კითხვაზე: **გამიმართლდათ იმედები?** – ასეთი პასუხები მივიღეთ:

- გამიმართლდა სრულად–5
- გამიმართლდა ნაწილობრივ–11
- არ გამიმართლდა–1
- არ უპასუხა–1.

კითხვაზე: **რა შემთხვევაში არ წამოვიდოდნენ სოფლიდან?** – ასეთი პასუხები მივიღეთ:

- თუ იქნებოდა დასაქმების საშუალება–12

– უკეთესად იქნებოდა მოგვარებული სოფლის სოციალური და კულტურული პრობლემები–13

– თუ სოფელს გაუჩნდებოდა საიმედო და პერსპექტიული შემოსავლის წყარო–15

– თუ სახელმწიფო სოფელს უკეთესად უპატრონებდა–10

– თუ ჩვენს შვილებს უკეთესი ცხოვრების პერსპექტივა ექნებოდათ–10.

დავინტერესდით სოფელში დარჩენილი და ცხოვრება გამოვლილი ადამიანების აზრით ამ საკითხზე. კითხვაზე, **„როგორ ფიქრობთ, რატომ მიდის ახალგაზრდობა სოფლიდან?“**–ასეთი პასუხები მივიღეთ (გამოვკითხეთ 12 კაცი):

– არ აკმაყოფილებთ სოფლის ცხოვრებისა და შრომის მძიმე პირობები–8

– დამოუკიდებელი ცხოვრება სურთ–6

– არ აკმაყოფილებთ შეზღუდული შემოსავლები–10

– ვერ ნახულობენ მუდმივ სამუშაოს–7

– იოლად ცხოვრება სურთ–3.

კითხვაზე, **რით შეიძლება ახალგაზრდების სოფლად დამაგრება და შესაბამისად სოფლის გადარჩენა**, რესპონდენტებმა ვრცელი განმარტებები მოგვცეს, ამიტომ გადავწყვიტეთ მათი სრულად ჩაწერა:

„წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან როცა მიწაზე კერძო საკუთრება დაკანონდა, თითო მტკაველი მიწის დაბრუნებას ვცდილობდით, ყველამ გაარკვია ვის რა ეკუთვნოდა და ვამუშავებდით კიდეც. სოფელს ჯერ კიდევ ემსახურებოდა მანქანები, ტრაქტორი (საბჭოთა წყობილებიდან შემორჩენილი), ამით გადავიტანეთ მძიმე 90-იანი წლები, ადრე არც ხილი და მოსავალი არ გვიფუჭდებოდა, სახელწიფო იბარებდა, გზებიც უკეთესად იყო მოვლილი, ტყიდან შეშა უპრობლემოდ მოგვქონდა, ჩვენი ტყე ჩვენ გვემსახურებოდა და გვივლიდა, მაგრამ მალე ჩვენს ტყეს ვიღაც მდიდრები გამოუჩნდნენ პატრონებად (ტენდერში გავიმარჯვეთ) და რამდენიმე წელიწადში მთა „საბერწიას“ მისადგომებამდე იგი ისე გაჩეხეს, რომ ახლა სოფლისთვისაც ვეღარ ვნახულობთ მასალას. სოფელს შემოსავლის ეს წყაროც წაგვართვეს. ზამთარში ერთი მეტრი და მეტი სიმაღლის თოვლი რომ მოვა, მთელ ხეობას ერთი ტრაქტორი სრულყოფილად მოემსახურება? ადრე ყველა სოფელს მისი ტრაქტორი ჰყავდა. ახლა ვართ სამყაროს მოწყვეტილი, თუ შუქი ჩაქრა (რაც არაა იშვიათი). სოფელში ადრე რწმუნებული გვყავდა, მას ევალებოდა ხალხის ორგანიზება ასეთ საქმეებზე. ის შტატი გააუქმეს და ზამთრის პირობებში 8–10 კილომეტრით დაშორებულ ხუთ სოფელს ერთი თემის რწმუნებული უპატრონებს? არ ვიცი, რატომ ვინახავთ მთავრობას, თუ

ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ და ვიფიქროთ ყველაფერზე. ჩვენ გვგონია, რომ ბევრ ჩვენს პრობლემას რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი გზის წესრიგში მოყვანა (ასფალტის ან ბეტონის დაგება) გადაწყვეტს, რადგან თუ ახლა ბათუმიდან სოფლამდე 2,5–3 საათია საჭირო მგზავრობისთვის, მაშინ საათნახევარი საკმარისი იქნება. უკვე აღარ შეგეშინდება ავადმყოფობის, ჩვენს ნაშრომსაც ბაზარში სწრაფად და იოლად ჩავიტანთ, მიმღები და გადამამუშავებელი პატარა საწარმოების გამართვაც გაიოლდება და სამუშაო ადგილებიც გაჩნდება, ინვესტორებიც გვეწვევიან, როცა კარგი გზა იქნება. სოფელს შესანიშნავი ადგილი და შენობები აქვს ძველი „ზასტავის“ (სამხედრო ნაწილის) ტერიტორიაზე, სადაც ტურისტული ცენტრი შეიძლება შეიქმნას დასვენებისა და გართობის კარგი პირობებით. იგი ზამთარ-ზაფხულ იმუშავებს. გასაღდება ადგილობრივი ნატურალური პროდუქტები, დასაქმდებიან ადგილობრივები და ამით იგი სოფლის სიცოცხლის დაბრუნების საშუალებად შეიძლება იქცეს. სოფელს არ აკლია წყალი და სუფთა ჰაერი, მიწაც საკმარისი გვაქვს და თუ სახელმწიფო ხელს შეგვიწყობს, სხვაგან რატომ წავა აქედან ახალგაზრდობა? იგი თანამედროვე სოციალური და კულტურული გარემოს შექმნას მოითხოვს და სამართლიანადაც. თუ რაზეც ზემოთ ვთქვით, ისე გაკეთდება სოფელიც გადარჩება და ქვეყანაც, რადგან მთის სხვა სოფლებსაც მსგავსი პრობლემები აწუხებთ”.

მართალია, ამით დასრულდა ჩვენი საუბარი რესპოდენტებთან, მაგრამ ფიქრი და მსჯელობა სოფლის გადარჩენა მოდერნიზაციის პრობლემაზე კვლავ რჩება. აჭარის მთიანი სოფლების ბუნება, ჯანსაღი ჰაერი და სუფთა წყალი, ნატურალური სოფლის მეურნეობისა და რძის პროდუქტები, მიმზიდველი ბუნება, ბართან და მის ულამაზეს კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრთან – ბათუმთან სიახლოვე (50–150 კმ) იმის რეალურ პირობებს ქმნის, რომ მოკლე დროში შეიქმნას პირობები აქ ტურიზმის სხვადასხვა სახეთა განვითარებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა თუ არსებული ტურისტული ადგილების კეთილმოწყობის (გომარდული, დანისპარაული) დასრულება-სრულყოფისათვის. ეს კიდევ ერთი საშუალება იქნება იქაურთა დასაქმებისა და შემოსავლის წყაროს გაჩენისა.

სოფლად შექმნილი მდგომარეობის შესახებ რესპოდენტთა პასუხებში დასმული საკითხების, აგრეთვე, ამ პრობლემებზე სხვათა გამოცდილების გათვალისწინებით, მთის სოფლის გადარჩენა-განმტკიცებისა და მისი ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, სახელმწიფომ პრიორიტეტულად გამოაცხადოს მთის სოფლის დაცვა-შენარჩუნებისა და მოდერნიზაციის საკითხი და საკანონმდებლო დონეზე დასახოს მისი პრაქტიკულად განხორციელების გზები.

კერძოდ:

ა) გამონახოს საჭირო საშუალებები (სახსრები) სოფლიდან რაიონულ ცენტრამდე საავტომობილო გზების მოსაწესრიგებლად (ასფალტის ან ბეტონის დაგება) და სოფლისთვის აუცილებელი ტექნიკის (ტრაქტორი, სატვირთო ავტომანქანა) შესაძენად.

ბ) აღდგენილ იქნას ყველა სოფელში რწმუნებულის თანამდებობა და მას დაევალოს სოფლის ყველა საჭირობო საკითხის გადაწყვეტა სოფლის აქტივზე დაყრდნობით.

გ) საკანონმდებლო ინიციატივის წესით განხორციელდეს მთის სოფლებში დასაქმებული სპეციალისტების (მასწავლებლები, ექიმები, კულტურის დარგის მუშაკები, აგროსპეციალისტები, ტექნიკოსები...) შრომის ანაზღაურების გაზრდა, აღდგენილ იქნას სოფლის ბიბლიოთეკები და სამედიცინო პუნქტები, დაინერგოს ინტერნეტმომსახურება.

დ) ხელი შეეწეოს შინამრეწველობის დარგების: მეთუნეობა, ქარგვა, ქსოვა, ხის მკვეთელობა...) აღდგენას და დამზადებული პროდუქციის გასაღებას.

ე) ხელი შეეწეოს და წახალისდეს სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებში (მიწათმოქმედება, მეხილეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა...) ახალი ჯიშებისა და ტექნოლოგიების დანერგვასა და წარმოებული პროდუქციის გასაღებას. ამ მიზნით, ხეობების მიხედვით შეიქმნას ხილის, ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხნები, რაც გაუჩენს მოსახლეობას შემოსავლის წყაროს და ახალ სამუშაო ადგილებს.

ვ) მკაცრად განისაზღვროს სოფლის ფარგლებში არსებული ბუნებრივი სიმდიდრის (ტყე, წიაღისეული, წყალი...) მოვლისა და მოხმარების წესი... მისგან შემოსავალი უპირველესად მოხმარდეს სოფელს.

ზ) ხელი შეეწეოს და წახალისდეს ინვესტორთა აქტივობა სოფლად ტურისტული და დასასვენებელი სახლების მშენებლობის მიზნით (კრედიტების გამოყოფა...), რაც უზრუნველყოფს ადგილობრივთა დასაქმებას, ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო და რძის პროდუქტების გასაღებასა და სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას. მომზადდეს ცალკეული სოფლების ბუკლეტები მათი ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის საქმიანობის, ეთნოლოგიური ყოფის, კულინარიის, ისტორიული და გამორჩეული ლანდშაფტური ადგილების, დასვენებისა და გართობის პირობების ჩვენებით.

თ) მთის სოფლის მოსახლეობის სოციალური პირობების არსებით სრულყოფამდე, ყველა კომლზე განხორციელდეს სოციალური დახმარება.

ი) განსაკუთრებულად წახალისდეს სოფლად მრავალშვილიანობა (ხუთი და მეტი შვილი). ახალშექმნილ ოჯახებს მიეცეთ შეღავათიანი კრედიტები.

ვფიქრობთ, ამ ღონისძიებათა გატარებით შესაძლებელი გახდება ჯერ მთის სოფლის დაცლა-ნგრევის შეჩერება, შემდეგ კი ახალ იმპულსს შეიძენს მისი ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და დემოგრაფიული სრულყოფა-გაუმჯობესების პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დიასამიძე, 2004: დიასამიძე რ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.
2. დიასამიძე, 2008: დიასამიძე თ., კვიახიძეები, ბათუმი.
3. თოთაძე, 2012: თოთაძე ა., აჭარის მოსახლეობა, თბილისი.
4. მარეთის... 2011: მარეთის ხეობა. ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები, ბათუმი, 2011.
5. საქართველოს... 2002: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ბათუმი.
6. ფუტკარაძე, 1995: ფუტკარაძე თ., თანამედროვე მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში, ბათუმი.

თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე (პროფესორ ვახტანგ შამილაძის გარდაცვალების 80 წლისთავის გამო)



თვალსაჩინო მეცნიერ-ეთნოლოგსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ვახტანგ შამილაძეს 2015 წლის 15 სექტემბერს დაბადების 80 წლისთავი შეუსრულებოდა, მაგრამ ამ ღირსეულ თარიღს ვერ მოესწრო – 2010 წლის 5 დეკემბერს იგი ტრაგიკულად დაიღუპა. მად-

ლიერმა ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელშიც იგი დაარსებიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა, სამჯერ აღნიშნა მისი საიუბილეო თარიღები დაბადების 50, 60 და 75 წლისთავებთან დაკავშირებით, რითაც ღირსეულად შეფასდა მკვლევრის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ბატონმა ვახტანგმა ცხოვრების და სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობის მეტად ნაყოფიერი გზა განვლო. იგი დაიბადა 1935 წლის 15 სექტემბერს ბათუმის (ახლანდელი ხელვაჩაურის) რაიონის სოფელ ახალშენში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ქალაქ ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1959–1961 წწ.) მუშაობდა ახლად დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1961–1964 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ამავე ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. აქვე დაიცვა საკანდიდატო (1964) და სადოქტორო (1979) დისერ-

ტაციები. 1986 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

1966 წლიდან ვახტანგ შამილაძე კვლავ ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს უბრუნდება. მუშაობდა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1966–1969 წწ.), სწავლულ მდივნად (1969–1978 წწ.), დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1981–1984 წწ.), პარალელურად, კითხულობდა ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1993–1996 წწ.).

1983 წელს პროფესორი ვახტანგ შამილაძე მიწვეული იქნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოლოგიის კათედრის გამგედ, სადაც 2004 წლამდე მუშაობდა. ამავე დროს, მას კავშირი არ გაუწყვეტია ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, როგორც უფროს მეცნიერ-თანამშრომელს და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრს. იგი კვლავაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებაში.

2004 წლის 30 ნოემბრიდან 2006 წლის 2 მაისამდე ვახტანგ შამილაძე კვლავ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს უბრუნდება, როგორც დირექტორი. იმავედროულად, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრაზე. 2006 წლის სექტემბრიდან გარდაცვალებამდე, ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად, ლექციებს კითხულობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არჩეული იყო სრულ პროფესორად და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარედ.

პროფესორი ვახტანგ შამილაძე წამყვანი სპეციალისტი იყო ქართულ ეთნოლოგიაში. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და მისი გუნდის მიერ შექმნილი ქართული ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) სკოლის ტრადიციებზე აღზრდილმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. იგი იკვლევდა ქართველი ხალხის მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობების პრობლემებს, ეთნოსისა და ეროვნული პოლიტიკის ზოგადთეორიულ საკითხებს, ისტორიული ეთნოლოგიის, ეთნოლოგიის მეთოდისა და მეთოდოლოგიის პრობლემებს. აღნიშნულ საკითხებს მკვლევარმა მიუძღვნა 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რომელთა შორის 10 მონოგრაფიაა. მის ნაშრომებში დასმულ საკვლევ პრობლემათა საფუძველია ეთნოლოგიური კვლევის ახალი წყაროების ძიება და ქართველი და კავკასიელი ხალხების ტრადიციული კულტურისა და ყოფის ეთნოსპეციფიკური ნიშნების თავისებურებათა გაშუქება. მეცნიერუ-

ლი კვლევა-ძიების ამ გზაზე ვახტანგ შამილაძემ მნიშვნელოვან წარმატებებს მიღწია. მის შრომებში წამოყენებულმა და განზოგადებულმა თეორიულმა დებულებებმა საერთო აღიარება ჰპოვა ეთნოლოგიაში. ამ თვალსაზრისით საკმარისია დავასახელოთ ავტორის კაპიტალური მონოგრაფია „საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (თბ., 1979, 400 გვერდი, რუსულ ენაზე), რომელშიც საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეში მრავალწლიანი საველე და კამერალური კვლევა-ძიების შედეგად შესწავლილია საქართველოსა და ზოგადად კავკასიის მესაქონლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემები, დადგენილია მეურნეობის ამ ტრადიციული დარგის კულტურულ-ისტორიული თავისებურებები და გამოვლენილია მისი ადგილი და როლი ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში.

ავტორის ეს მონოგრაფია, რომელმაც იმთავითვე მიიპყრო ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა ფართო წრის ყურადღება, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია, კავკასიათმცოდნეობითი მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევაა, რომელსაც გააჩნია გლობალური მნიშვნელობა მსოფლიოს მთიანი რეგიონების პასტორალური კულტურის ურთულესი პრობლემის კვლევაში.

წარმატებული აღმოჩნდა ვახტანგ შამილაძის მონაწილეობა არიდული და ზომიერი ზონის მესაქონლეობის პრობლემების შესახებ ჟურნალ „საბჭოთა ეთნოლოგიაში“ გამართულ მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა დისკუსიაშიც. კერძოდ, მის მიერ წარმოდგენილი ქართულ-კავკასიური მესაქონლეობის ფორმათა საკლასიფიკაციო სქემა დისკუსიის შემაჯამებელ წერილში აღიარებული იქნა მსოფლიოს სხვა მთიანი ქვეყნების სანიმუშო საკლასიფიკაციო ნიმუშად.

2009 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა ვახტანგ შამილაძისა და ოთარ მიმინოშვილის ერთობლივი 600-გვერდიანი ნაშრომი სახელწოდებით: „საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია“ (ნაწილი პირველი), რომელიც განკუთვნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დამხმარე სახელმძღვანელოდ. მასში განხილულია საქართველოს ეთნოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები, მისი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპები, მოცემულია ეთნოლოგიის ისტორიის ახალი პერიოდიზაცია.

მრავალფეროვანია პროფესორ ვახტანგ შამილაძის სალექციო კურსების პროგრამა. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა ლექციებს ზოგადი, საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობითი ბაზის, ძირითადი თეორიული მიმდინარეობების, მეთოდოლოგიის საკითხებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ შამილადის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით დაცულია თსუ-ს ეთნოლოგიის კათედრის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის, საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრების (სოხუმი, თბილისი, ახალციხე), საზღვარგარეთის (ისრაელი, ბულგარეთი, ჩერქეზეთი, ადიღე, დაღესტანი, აზერბაიჯანი) მეცნიერ-თანამშრომელთა 20 საკანდიდატო და 10-მდე სადოქტორო დისერტაცია, არაერთი სამაგისტრო ნაშრომი.

აღსანიშნავია პროფესორ ვახტანგ შამილადის დამსახურება სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის თვალსაზრისითაც. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარე, ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველი და სამეცნიერო საბჭოს წევრი, კავკასიის კულტურათა შემსწავლელი საზოგადოების წევრი, ნიუ-ორლეანის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს წევრი. 2002 წელს გახდა აშშ-ს ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ მსოფლიოს 1000 ცნობილ მეცნიერთა ნომინაციის გამარჯვებული. მისი ბიოგრაფიული მონაცემები შევიდა ამავე ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ლექსიკონში.

ვახტანგ შამილაძე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციის საქმეში საერთაშორისო მასშტაბით. იგი მრავალჯერ მონაწილეობდა მოსკოვში, თბილისში, სოხუმში, ბაქოში, უფაში, კიშინიოვში, ნაღიკში, ყაზანში, მახაჩყალასა და სხვა ქალაქებში გამართული სამეცნიერო კონფერენციებისა და სესიების მუშაობაში, იყო მოსკოვის, დელის, ჩიკაგოს, ლონდონის, თეირანის საერთაშორისო კონგრესების მონაწილე და მომხსენებელი, მონაწილეობდა ვაშინგტონში, სიეტლში, დენვერში, ახალ ორლეანში, ჰააგაში, მოსკოვში გამართული საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების მუშაობაში.

სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის პროფესორი ვახტანგ შამილაძე 1988 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. დაჯილდოებული იყო მთავრობის ორდენებითა და მედლებით, საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელით.

ვახტანგ შამილაძე ერთ-ერთი პირველთაგანია ქართველ ეთნოლოგთა შორის, ვინც თავის კოლეგებთან ერთად განაწილარა ქართული ეთნოლოგიური სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება – კავკასიათ-

მცოდნეობა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებულ კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიამ მისი ხელმძღვანელობით დიდი ძალა და ენერგია შეაღწია სსრკ დაშლის შემდეგ წლების განმავლობაში შეწყვეტილი მეცნიერული კონტაქტების აღდგენას კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო წრეებთან. რეგიონში შექმნილი დაძაბული ვითარების მიუხედავად, განვლილ პერიოდში ვახტანგ შამილაძე არაერთხელ ეწვია ამიერ და ჩრდილოკავკასიის სააკადემიო, საუნივერსიტეტო და სამთავრობო სამეცნიერო ცენტრებს და პირადი კონტაქტები დაამყარა წამყვან მეცნიერებთან და პოლიტიკოსებთან. 1995–2010 წწ. კომისიის უშუალო ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები თბილისში (1998, 2003, 2009, 2010), ერევანში (1999, 2003), მახაჩყალაში (1999, 2007), ბაქოში (2000, 2005), ბათუმში (2006), შამქორში (2008).

პროფესორ ვახტანგ შამილაძეს მარტო მისი მეცნიერული მემკვიდრეობით როდი იცნობენ. იგი ასევე გამორჩეული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობითაც. 1988–1990-იანი წლების დასაწყისში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში, თსუ-ს ეთნოლოგიის კათედრა, რომელსაც ვახტანგ შამილაძე ორ ათეულ წელზე მეტ ხანს უძღვებოდა, არაერთხელ გამხდარა საზოგადოებრივი შეკრებებისა და ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებზე მსჯელობის ცენტრი. სწორედ ამიტომ იყო, რომ 9 აპრილის ტრაგედიის ცხელ კვალზე, 1989 წლის 14 მაისს, იგი არჩეულ იქნა საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ბათუმის ლეონიძის ტერიტორიული ოლქიდან, 1990 წლიდან იგი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრია, 1991 წელს – აჭარის არ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, 1985 და 1989 წწ. კი ორგზის არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის დეპუტატად.

საქართველოს პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდში იგი იყო თავდაცვის, უშიშროებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, საგარეო ურთიერთობებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტების წევრი, 1999–2004 წწ. ხელმძღვანელობდა პარლამენტის კავკასიის ქვეყნებთან და ხალხებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტს, მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა საპარლამენტო დელეგაციებს აშშ-ში, ჰოლანდიაში, ირანში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამავე პერიოდში იყო საქართველოს პარლამენტის საქართველო-ირანის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი, აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს საელჩოსთან ირანში და ირანის საელჩოსთან საქართველოში.

ყველგან, სადაც კი ბატონ ვახტანგს უმუშავია, დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა, მისაბამ მაგალითს იძლეოდა სამეცნიერო და სხვა სახის საქმიანობაში, იყო თავმდაბალი, გულისხმიერი, ამავე დროს –

მომთხოვნი და პრინციპული თავისი კოლეგებისა და მეგობრების მიმართ. სხვებისადმი თანადგომა და თანაგრძნობა, პატივისცემა და ერთგულება მისი ცხოვრების პრინციპი იყო.

ვახტანგ შამილაძე 75 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან. მისი ბევრი ჩანა-ფიქრი და ოცნება განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ რისი გაკეთებაც შეძლო, მნიშვნელოვანი წვლილია ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში, ეთნოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლაში.

ბატონ ვახტანგის ხსოვნა მარად დარჩება ოჯახის წევრების, კოლეგების, მეგობრების, აღმზრდელების გულებში, ყველა იმათ გულებში, ვისაც იგი იცნობდა, ვინც მას იცნობდა. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იღვწოდეს ადამიანი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროფესორი მერაბ ხალვაში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ისტორიის დოქტორი რეინ მაღაყმაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ კახიძე

ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის
განყოფილების უფროსი

შრომები გამოდის წელიწადში ერთხელ

სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის თავისუფალები
შესახებ და შრომებში გამოქვეყნებული მასალების შინაარსსა და
სიზუსტეზე პასუხს არ აგებს. სრული პასუხისმგებლობა ავტორებს
ეკისრებათ.

მისამართი:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
6010 ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 35

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.12.2015

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 30.2

ტირაჟი 200

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35